

მასალები

საქართველოს
შინამრეწველობისა და
წვრილი ხელოსნობის
ისტორიისათვის

ავად ი. ჯაკაბიშვილის
საერთო რედაქციით

5

ტომად

ტომი

IV

ნაწილი

II

სოფლის მეურნეობის
დარგები

ტომში შეტანილია მეტად მნიშვნელოვანი მასალები სოფლის მეურნეობის სქედასხვა დარგის შესახებ.

მასალები შეიცავენ ცნობებს მიწის დამუშავების, განოყიერების, მარცხელისა და მცენარეთა ჩიშების თესვის, მორწყვის, მოსავლის აღებისა და დამუშავების, შენახვისა და გამოყენების შესახებ.

ტომში გადმოცემულია მეფუტკრეობა-შეაბრეუბეობის, სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და ტრანსპორტის კეთებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საინტერესო ცნობები.

მასალები შეიცავენ უაღრესად მდიდარ ტერმინოლოგიურ ცნობებს, რომლებიც დღეს ხალხს თითქმის აღარ ახსოვს.

წიგნს დართული აქვს მეტად საინტერესო დოკუმენტური საილუსტრაციო მასალები და სპიობლები.

სარედაქციო კოლეგია: აკად. გ. ჩიტაია (თავმჯდომარე), აკად.

პ. გუგუშვილი, აკად. წ/კ ქ. ლომთათიძე, აკად. წ/კ დვ. გიგინეიშვილი, პროფ. მ. გეგეშიძე (თავმჯდომარის მოადგილე), პროფ.

ქ. გრიგოლია, მეცნ. კანდ. ვ. ჯაფარიძე (თავმჯდომარის მოადგილე), მეცნ. კანდ. ა. სოხაძე (მდივანი).

რედაქტორი ჯ. რუხაძე

წინასიტყვაობა

წინამდებარე IV ტომის II ნაწილში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მასალა შეტანილი იგი, როგორც ცნობილია, 1935 წელს ივ. ჭავჭავიძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით იყო შეკრებილი.

IV ტომის II ნაწილი გამოსაცემად მომზადდა და მასალა დალაგდა ივ. ჭავჭავიძის მიერ შემუშავებული პრინციპების საფუძველზე. ამ ნაწილში მოთავსებულია მასალა: მეფუტკრეობის, მეაბრეშუმეობის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების კეთების, მემინდვრეობისა და ტრანსპორტის შესახებ.

მასალა დალაგებულია იმ თანმიმდევრობით, როგორც წინა ტომებში; ჯერ აღმოსავლეთ საქართველოა წარმოდგენილი, ხოლო შემდეგ დასავლეთ საქართველო. თანმიმდევრობა იწყება აღმოსავლეთიდან და მიდის ჩრდილო-დასავლეთით, შემდეგ სამხრეთით, თუმცა ზემოაღნიშნული პრინციპი ზოგჯერ დარღვეულია.

ამ ტომის გამოქვეყნებით გრძელდება იმ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და უაღრესად მრავალფეროვანი დოკუმენტების გამოშუქება, რომლებსაც ქართველი ხალხის სამეურნეო საქმიანობის მაღალი კულტურის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

აღნიშნული მასალა დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჭავჭავიძის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში ინახებოდა. იგი ხელმისაწვდომი იყო ყველასთვის, ამიტომ ამ მასალის გამოყენებამ დიდი როლი შეასრულა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების მეცნიერულ დონეზე წარმართვისათვის. მასალა ძვირფასი წყაროა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის შესადგენად, ქართველი ხალხის თვითმყოფადი კულტურის შესასწავლად. ცნობილია, რომ ეს მასალა ძირითადად XX ს. 30-იან წლებს მოიცავს და ამდენად ატლასის ორი მონაკვეთისათვის (XIX ს. მეორე ნახევრისა და XX ს. 30-იანი წლების) და უფრო შორეული პერიოდისათვის (XIX ს. I ნახ.) მეტად საჭირო ცნობებს გვაწვდის.

IV ტომის II ნაწილში კლასიფიკაციის სისტემის დასაცავად გამოვიყენეთ აგრეთვე კომისიის მიერ დამუშავებული სქემა. აღსანიშნავია, რომ მასალის ზოგ (მაგალითად დასავლეთ საქართველოს) ნაწილს ფაქტების დეტალური აღწერილობა აკლია.

აქ წარმოდგენილი მასალიდან მაინც კარგად ჩანს, თუ როგორი იყო ქართველი ხალხის სამეურნეო-კულტურული მიღწევის დონე და ტრადიცია.

მეტად საყურადღებო მასალაა მოცემული აბრეშუმის შინამრეწველური წესით დამუშავების ირგვლივ. საყურადღებოა ცნობა მანქანიკის — ძაღვის ამოსაღები იარაღის აღწერილობაზე.

მეფუტკრეობის შესახებ აქამდე გამოუქვეყნებელ ეთნოგრაფიულ აღწერათა ეს მდიდარი ფონდი განსაკუთრებული მნიშვნელობის ცნობებს შეიცავს..

მემინდვრეობის პროდუქტის მიღებას, ბუნებრივია, წინ უსწრებდა სხვადასხვა ზასათის და ფორმის სამურნეო იარაღით მიწის დამუშავება. ეს თანმიმდევრული პროცესი მასალებში ნათლად არის ასახული.

სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს, მარტო იმის დამადასტურებელი როდია, რომ ამ იარაღის კეთება საქართველოში ბოლო დრომდე ფართოდ იყო გავრცელებული; გამსაცვიფრებელია ეს იარაღები თავის მრავალფეროვნებით, ფუნქციის სხვადასხვაობით, მათი ნაწილების ურთიერთშეწყობა-გამართულობით, ნიადაგის პირობებთან დამოკიდებულებით. იარაღის მრავალფეროვნება გამოწვეული იყო აგრეთვე სათვის კულტურების თავისებურებით, გეოგრაფიულ-კლიმატური პირობებითა და ამა თუ ამ რაიონის სპეციფიკით.

საყურადღებოა აღმოსავლეთ საქართველოში შეკრებილი მასალები დიდ გუთანზე და ცუთანში შებმულ ხარის სახელებზე, როგორცაა: გუთნის თავის, ანუ ღირღიტის ხარები, საგლეჩის ხარები, საჭლოში ხარები, წისაყრავი ხარები და სხვ.

მასალაში ნაჩვენებია მოწეული მოსავლის დასამუშავებელი იარაღები: საცეხველი, საფშენელი და კვერი.

სამეურნეო იარაღების დამზადება მოითხოვდა: მკვდლების, ქვის მთელელების, ხუროების დიდ ცოდნასა და გამოცდილებას. როგორც მასალიდან ჩანს, არსებობდა სპეციალური სამკვდლოები, ქვის მთელეთა და საბადოთა ლოკალური ცენტრები.

უხვი და საყურადღებო მასალაა მოტანილი კვერის დამზადების შესახებ, რომელიც ყურადღებას იქცევს კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით. აღწერილია ერთფიციანი (იმერეთი, ქსნის ხეობა), ორფიციანი (ქართლი, კახეთი, სვანეთი, რაჭა) და იშვიათად სამფიციანი (ქვემო ქართლი, გარე კახეთი) კვერები. კვერის ორი სახეობაა დადგენილი: თავიანი—თავაწეული და ბრტყელი — თავდახრილი. მასალა არის საკვირო ხის შერჩევასა და მოკრაზე, კვერის დახზვასა და საკოხე ადგილების „ამოღებაზე“, საკვერე ხის გამოკობიტებაზე, უღლების // სარტყლების დასხმვაზე, კვერის მოკოხვა// მოკაევაზე.

საინტერესოა მასალა ნიადაგის თავისებურების შესახებ. კარგადაა წარმოდგენილი აგროტექნიკური ღონისძიებები: ნიადაგის მორწყვა-განოყიერება. ნაკელის მოყრა, თესლმონაცვლეობა, მიწის დასეენება და სხვ.

საყურადღებოა პატივის წყლით გატანის წესი აჭარაში. ნიადაგის ხელოვნური დაჭობება, ნიადაგის მოშლამევა (ქართლი, კახეთი, გურია, სამეგრელო, იმერეთი) და სხვ.

მრავალფეროვანია მასალა მარცვლეული კულტურებისა და ბოჭკოვანი მცენარეების მოვლა-მოყვანაზე, კანაფის მეურნეობის ძირითად თავისებუ-

რებზე, კანფის მოყვანის ხალხურ წესებზე, კანფის პროდუქტისა და ქერელის გამოყენების მდიდარ ცოდნა-გამოცდილებებზე.

საგულისხმო მასალა დაცული ხორბლის სხვადასხვა სახეობის: მახასა და ზანდურის, იფქლის, ხულუგოს, დიკას, „ხოზოს“, ასლის და სხვათა შესახებ. გარკვეულა აღნიშნული მარცვლეული კულტურების გავრცელების გეოგრაფიული ზონალობა.

დიდ ინტერესს იწვევს ბრინჯის შესახებ საინგილოში შეკრებილი მასალა შინამრეწველობის მასალებით ირკვევა აგრეთვე აღნიშნულ მარცვლეულ კულტურათა არაერთნაირი მასშტაბები, რაც გამოწვეული იყო კლიმატის, ნიადაგების, ტენიანობის, რელიეფის თავისებურებებითა. და ამა თუ იმ რაიონის საწარმოო სპეციფიკით.

ამ მნიშვნელოვან და დიდ სამუშაოს ანხორციელებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიის საპრობლემო ჯგუფი; წინამდებარე ტომისათვის ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და ტომი შეადგინა საპრობლემო ჯგუფის მეცნიერ თანამშრომელმა მ. ჯაფარიძემ. საძიებლები შეადგინეს ენათმეცნიერებმა: ლ. სოხაძემ, ც. ყვანტალიანი, დ. შენგელიამ, ნ. თაქთაქიშვილმა და მ. ჩიჭავაძემ.

წინამდებარე ტომს ახლავს ტექსტში ილუსტრაციები, ტაბულები, საკუთარ, გეოგრაფიულ სახელთა და ტერმინთა საძიებელი.

საილუსტრაციო მასალის ერთი ნაწილი მასალის ჩამწერთა მიერ არის ჩახატულ-ჩახაზული; გამოყენებულია აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებაში დაცული არქივის მასალა. ილუსტრაციები შესარულა არქიტექტორმა გ. დავითაშვილმა როგორც არქივის, ასევე ნინო ბრილაშვილის მიერ ეთნოგრაფიულ ნაშრომებში გამოქვეყნებული ჩანახატი მასალის კობრივით.

დიალექტური ტექსტები შეამოწმეს: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წ/კორ. ივ. გიგინეიშვილმა (ქიზიყი, შიგნით კახეთი, გარე კახეთი, ერწო-თიანეთი), ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიის განყოფილების გამგემ, უფრ. მეცნ. თანამშრომელმა რ. ლამბაშიძემ (საინგილო), ამავე ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომლებმა: პროფ. თ. უთურგაიძემ (თუშეთი), ა. ჭინჭარაულმა (ფშავი, ხევსურეთი), მ. მესხიშვილმა (ქართლი), მ. ქალდანმა (სვანეთი), ა. კიზირიამ (სამეგრელო).

ამგვარად ჩატარებული მუშაობის შედეგად, საქართველოს სხვადასხვა დიალექტებზე ჩაწერილი მასალები ენათმეცნიერულ სხვადასხვა სახეობის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს და მეცნიერულად სინდოა.

ტექსტების შემოწმებასა და საძიებლების შედგენას ზელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ქ. ლომთათიძე.

დაბეჭდილი მასალის კორექტურას სხვადასხვა დროს ასრულებდა საპრობლემო ჯგუფის ყველა თანამშრომელი.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ეთნოგრაფია თანდათან აღრმავებს წარსული უოფისა და კულტურულ-ისტორიული ტრადიციების შესწავლას და კვლევის შედეგებს უკავშირებს ჩვენი საზოგადოების ამოცანებს, შინაპრეწველობის მასალა იყო და დღესაც დარჩა ერთ-ერთ პირველწყაროდ. ამიტომ არის, რომ აღნიშნული მასალების გამოცემას უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

ქ. რუხაძე

სოფლის მეურნეობის დარგები

ს ი ა

იხ პირთა, რომელთაც შიკრიხის მასალანი 1935 წელს საპარტიზოლო
შინამარეწვალოხი და წარილი ხლოხროხის იხორიისათხის

1. ხტიფანი მენთეშაშვილი, მასალეხი შეკრიბა ქიზიყში.
2. ღუბა ბოკორიშვილი, მასალეხი შეკრიბა შიგნი კახეთში.
3. იოხეხ მჭედლიშვილი, მასალეხი შეკრიბა გარე კახეთსა და ერწო-
თიანეთში.
4. იოხეხ პაიაშვილი, მასალეხი შეკრიბა საინგილოში.
5. გიორგი ბოკორიძე, მასალეხი შეკრიბა თუშეთში.
6. ვახილ ჩოხელაშვილი (ტუქსიშვილი), მასალეხი შეკრიბა ფშავში.
7. აღიქხი ოჩიაური, } მასალეხი შეკრიბეს ხეესურეთში.
8. ნათელა ოჩიაური, }
9. ვახტანგ ჭაფარიძე, მასალეხი შეკრიბა ხევში, მთიულეთ-გუდამაყარში
და ქართლში მტკვრის ჩრდილოეთით (მდ. ჭანისა და არაგვის ხეობებში).
10. კონსტანტინე კახიანი, მასალეხი შეკრიბა ზემო ქართლსა და ქვემო
იმერეთში.
11. ირაკლი ქანაშვილი, მასალეხი შეკრიბა ქართლში, მტკვრის ხამხრე-
თით.
12. კონსტანტინე გვარამიძე, მასალეხი შეკრიბა მესხეთსა და ჭავჭავთოში.
13. ბარბარე (ბაბო) წერეთელი, მასალეხი შეკრიბა ზემო იმერეთში.
14. ახელ კიკვიძე, მასალეხი შეკრიბა ქვემო რაჭაში.
15. ნიკოლოზ რეხვიაშვილი, მასალეხი შეკრიბა ზემო რაჭასა და ლეჩ-
ხუმში.
16. ფაფაღა გარდაფხაძე, მასალეხი შეკრიბა ქვემო სვანეთში.
17. კონსტანტინე გრიგოლია, მასალეხი შეკრიბა ზემო სამეგრელოში.
18. ანა ხუბუტია, მასალეხი შეკრიბა ქვემო სამეგრელოში.
19. ხლომონ ანდლულაძე, მასალეხი შეკრიბა გურიისში.
20. ქეთევან ლომთათიძე, } მასალეხი შეკრიბეს აჭარაში.
21. თამარ ანდლულაძე, }
22. იოხეხ გრიშაშვილი, მასალეხი შეკრიბა თბილისში.
23. ქეთევან გოგიჩაიშვილი, მასალეხი შეკრიბა თბილისში, ქალთა შორის.

მეფუტკრეობა

408050

მთხრობლები: შაქრო სტეფანეს ძე მესხთაშვილი, 30 წ., წიგნიერი, მამა-პაპა მეფუტკრე ჰყოლა (სოფ. ნუკრიანი); ხომონა ტურაშვილი, 43 წ. წიგნიერი.

ჩვენში სულ ერთი ქურა ფუტკარია. ამაში არის განსხვავება, რომელიც მოშავოა, ის ხახტი ფუტკარია, მამალია, არ ვარგა, მარტო სკამს. მათის ბოლოს ან თიბათეში დახსოცავენ ხოლმე მუშა ფუტკრები. დედა უფრო მშვიდაა, მოგრძო და ჰალარა.

ჩვენში გავრცელებულია გეჭები, დაწვენილი რომ არის, და კოდები, ფეხზე რომ დგას. ცოცხალი ხეა აღებული, გათლილი, გული გამოღებული აქვს. შუაზეა გამობილი, ქვეშითა ნახევარს გახვრეტილი აქვს, რომ თუ ვიხიციბაა წყალი ჩაიპარა, გაუვიდეს. გეჭას ზევიდან ხაფარობელს, დურეჭს, კიდევ აფარებენ, რომ გეჭის ხუფი შეინახოს. პურეჭს ხუფზე მიაბამენ ხოლმე, ზედა ჰკიდია. თანდათან გაიწინა სკეხიც (ფუჯა და როგო სულ არ იციან რა არის).

ფუტკარს უყვარს ბაღებს ყვავილი. ყვავილიდან ფიტხ იღებს, თაფლად მანანას იღებს. ციდან სინსლივით წვიმს მზეში, თიბათევისა და მკათათეში იცის, თუ აცივდა, მანანას აღარ აგროვებს. კაკლისა და ცაცხვის ფოთლებზე იცის, ჰინჰარეც. ბზინავს.

თაფლი ზოგი შავია, მიწიდან თუა აღებული, ხრამხარში გააქვს. დედის თაფლი წითელია, ძალიან ნოყიერია. წაქლათ კარგია. ახალი ბღარტის თაფლი ყელსა ხწვამს, დედისა არა. ერთნაირია, ფოლოსათვენ არის.

დედა კვარცხებს დახდებს. მთელ ზამთარს დედა ზედა ზის კრუხათ და დებს კვარცხს. მარტის პირველში ჩახახულია და შეძლეგ მძიმე-მძიმეთ იჩეკება. გამოსვლა ამინდზე ჰკიდია. ჭერ შიგ არის დედა და ნათლავს, გარეთ არ უშვებს. მაისში გამოვა. თუ ცუდი ამინდია, თიბათევედ. მკათათევედინაც არ გამოვა. ყურს მივადებთ, ხმა ისმის, დედა კრუ-კრუს იძახის, ჰყოფს. შეიძლება გამოვიდეს და გეჭას დეგეილოს. დედა გამოვა. ბინას მოსძებნის, იპოვის, მოვა, წაიყვანს. თითო თვალზე ზოგჯერ ორიც გამოდის. ერთხელ გეჭამ სამი ფოლი გამოუშვა და პაპაჩემმა ხამხეთოდ დადო, სხვას აძლევდა იმის თაფლს. თუ უნდა ალაქიანს, ეოლს გამოაშვებინებს, თუ უნდა, მოსწველის. თაფლს რომ ბევრს ამარტებს, ფოლს ვეღარ გამოუშვებს.

ფუტკარი დედას მისდევს, თუ დედა არ წავიდა, არ წავა, მე ერთხელ წამივიდა ფუტკარი. ვერ დავიპირე, გემეჩავრა და დედა მოუკალ-ყე, წავიდა ფუტკარი, თითო-ორილა დაიფანტა. თუ დედა გეჭაში მოუკვდათ და თითონ

ცოტანი არიან, შესვამენ რაც თაფლი აქვთ, ან წავლენ, ან მეზობელ გეჭაში მივლენ. იქ კიდე ჰსოცავენ. თუ ძლიერია, ახალგამოსული ყოლიდან მოჰნახვენ დედას.

ყოლის გამოსვლისას წინასწარ უნდა მომზადებული ჰქონდეს კაცს ბარამბო და კახრა, ან ხოკერი. ზედ თაფლ-წუალს წაუსვამთ, ბარამბოს მოუსვამთ, გეჭად გასუფთავებული მზად გვაქვს. ქვით ვაკაუნებთ და ვიძახით „მო დედე, მო დედე“, რომ ხმაზე მოვიდეს. გეჭაშიც ბარამბოს უყოლებთ. ხოფხ კარგად არ დაეზურავთ, ჩხირებზე დავაუნებთ, რომ ფუტკარი არ დასრისოს. გუნდასავით რო შეეკიდება მალა, შემრე ჩხირებს გამოვაცლით, ბარამბოს ამოვიღებთ. ფუტკარიც რო დადგება, შემრე კარგა დაუგლესამთ ნებეს, იგრე რომ მზის სხივი არ უნდა ჩადიოდეს, სინათლე ეჭავრებათ. კარებს დაუგლესავს უგდებთ. ფუტკარს ყოველთვის კართან ყარაუფლი ჰყავ, ისვლებიან. ფუტკარი შორს მიდის ხამოვარზე. მზე ცოტა რომ გადაეწეკრება, ფუტკარიც გეჭაში მღერის.

[თაფლს] წინათ წელიწადში ერთხელ ვიღებდით სახალწლოთ, გეჭაზე — 30 გიფანქახ. ძველათ ფიტხ ჩავყრიდით ქვაბში, ცეცხლზე გავაღობდით, ტოპრაკაში გაწურავდით. თაფლი და სანთელი გავა, ქუჭყი, რომელსაც ვაჭა ჰქვინ, შიგ დარჩება. გავაცივებთ. სანთელი ზევით წამოვა, თაფლი — ქვეშ. გაცივდება, მოვხდით. სანთელს კიდეც გავაღობთ. ჯამფილებში ჩავასხამთ, კერიულებს გავაკეთებთ.

ფუტკარმა ავი თვალი იცის. ხაფუტკარში უცხო კაცი არ უნდა შაუშვა. ფუტკარმა ტყაი იცის. თუ გაუჩნდა, ვეღარ მოაშორებ, უნდა დაიწვას. ერთხელ გაუჩნდა და დაეწვიოთ. ლოცვა იციან, მაგრამ ახლა აღარ კისრულობენ.

სანთელს (ასე ეძახიან) სანთლად ქნიან და საყდარში ანთებენ. თაფლისას გოზინაყს აკეთებენ და კოლიოსთვის ინახავენ.

შიგნი კახეთი

მთხრ. ხანდრო ბაზიერაშვილი, 80 წ. (სოფ. იყალთო).

წელიწადში ხან ოცი ძირი, ხან ოცდაათი ძირი თაფლი მომქონდა ხოლმე ტყიდან. უხლა კი დამაკლდა ივალთ და ველარაფერსა ვხედავ.

მაის-თებთვეში ფუტკარი გამოვა და ზღარტხს გაუშვებს. ზღარტხს გამოსვლის შემდეგ, ხის ფულუროდან იქნება თუ კლიდან, განოვა ფუტკარების დედა და წავა, „შოვის სადნი ალაგს ფუტკარებისთვის. ალაგს იმითომ ეძებს, რომ უნდა გაიყარნენ. შემრე დედა დაბრუნდება უკანვე და ეტყვიით თავიანთ უნაზე, რომ თქვენთვის ხინა ნაშროვნი მაქვს და უნდა გავიყარინეთო. გამოვა მთელი ფუტკარი, ცამოუძღვება დედა, კალოსავით ტრიალს დაიწყებს მალა და წავლენ.

თუ ფუტკარი სახლიდან გეგვმცა, მაშინ დავიწყებთ ტაშტის რაკარუქს, ჩხარუნს და ფუტკარი იქვე დატრიალდება. დეებვევა ყვავილს ან რომელიმე ხის ტოტს, ტოტზე იმდენი ფუტკარი დეებვევა, რომ თამთამს დაიწყებს და ძუძუსავით ჩამოჰკიდავს. მივიტანთ კახრს — გეჭახ ან ხეახ და ტოტს ქვეშ შაუდგამთ, შამოკრავთ უცბათ ჯოსსა და მთელი ფუტკარი გეჭაში ჩაცვივა; ჩაცვივა შიგ და მალლიდან საფარებელს დავაფარებთ. გარეთ რაც ფუტკარი დარჩება, ისიც შავროვდება და ერთად დაბინავდება. თუ ფუტკარი მაინც არ დადგა, მაშინ გეჭას მოუსოთ თაფლს, დაბრუნდება და აღარ წავა. შემრე და-

აწყუნენ მუშაობას და ფიტის ზიდის. ჯერ ფიტი უნდა იმოვნონ და მემრე თაფლი; როგორც კაცმა ჯერ სახლი აიშენოს და მემრე სარჩო შაიტანოს.

ფიტს ააშენებენ მთელ ფულუროში; რაც ფულურო ზეში ან გეკაში გაიმართება, სულ მთელი ფიტით უნდა აავსონ. დაიწყებენ მემრე თაფლის ზიდვას; დაიწყებენ და ეზიდებიან, ვიდრე თოვლი მოვა და აცივა, მანამდის სულ უნდა იმუშაონ. შავაზე მავადინარო არაფერი არ არის, დილით — ღამე — გავა, ერთი საათი მაინც ღამე უნდა იყოს, როცა გავა და ხალამოდისა მუშაობს. ერთ საათში უნდა წავიდნენ და მოვიდნენ. როცა ყვავილი ახლო მანძილზე არ არის, შვიდ ვერსზედაც წავა ხოლმე.

მე ტყეში ხშირად დავდივარ და კარგათ ვიცი ფუტკრის წესები. მაგალითათ, აქ რომ ფუტკარი გამარჩვენია, გავყოლივარ უკან და შვიდ ვერსზე წასულა მე ბევრ ფუტკარას ვპოულობ ტყეში.

თაფლს როცა ვიპოვნი, ამოვიღებ, ჩავასხავ პარკში და გავწურავ. თაფლი გაიწურება და ფიტი პარკში დარჩება. მემრე ფიტს ჩავყრიტ წყალში, ავადულებტ, ჩავასხავტ პარკში, ჭოხებს მოუჭირებტ და გაიწურებტ. ხანთფიც გავა, წყალიც გავა და მარტო ფიტი დარჩებტ პარკში. ქვეშ გასული წყალი ქათფით მალა მათვლებს სანთელს.

წავალ ტყეში ფუტკრის დასაპერათ და თან წავიღებ ფიტს. ტყეში ბევრი ყვავილებია, იმაზე დადიან ფუტკრები, იქ ავანთებ ცეცხლსა და ზოლს დავაყენებ ფუტკრისას. ფიტს დაუღებ ცეცხლზე; ის დაიწვება და დაიწყებს ბოლვას. მემრე იმის ბოლი, ნიაყ რომ დაჰკრავს, აქეთ-იქით წავა და გაიფანტება. ფუტკარი საცა იქნება, იქთაც გაიფანტება. ფუტკარი ბოლს რომ მოჰხლებტა, დაიწყებს ხუნხულხა, მოსდევს იმ ბოლსა და მოვა იმ ალაგას, საცა მე ვარ. თუფშს დავდგამ მიწაზე, ზედ დავდებ ხავსს და ზეიდან მოვასხამ თაფლსა. სულზე წამოსული ფუტკარი მოვა იქა და დაჭდება; ბოლის სულზე სხვა ფუტკრებიც დაიწყებენ მოსვლას. ზედ როცა დაჭდება, ფთაზე მოუსომ თაფლსა, ველარ წავა და დავიჭერ. პატარა წკირს ჩავასველებ თაფლში, მიუშვერ ენაზე, მიუს-მოუსომ ცხვირზე და შასჰამა. მემრე აფრინდება მალა და დატრიალდება იგრე, რომ თვალით ვერც კი დაინახავ. როცა კარგათ გაძლება, მაშინ აფრინდება ხოლმე. იქიდან რომ აფრინდება, ისეე თავის ბინაზე წავა. იგრე ხწორეთ წავა, რომ ერთ ბეწუს არ შარბუნეს აქათ-იქით, სულ პირდაპირ წავა ბინაში. მივა ეხლა რს თავის დედასთან და ეტყვის, რომ მავან ალაგას ამისთანა სარჩოა და აბა წავადეთო. აიყრება მთელი ფუტკარი და წამოვა იმის სულზე და მოდიან ეგრე დედაშიწაზე სუნსულიტ. მოვა და მოვა ფუტკარი, სულ მთელი ფუტკარი წამოვა. დეხევეიან და სჰამენ იმასა და დაიწყებენ სიარულს თავიანთ ბინისკენ.

იქიდან ავდგები და წავიღებ თუფშს იქით, საითყენაც ის ფუტკრები მიდიან. თუ იმ ხეს გავცდი, საცა ისინი არიან, უკან მობრუნდება ფუტკარი და, თუ არ გავცდი, მაშინ წინ მიდის ისე. ახლა დავიწყებ სიარულს და მივალ იმ ხესთან, საცა ისინი არიან და გამარჯვებას ვეტყვი. უნდა გამოვიჭრა ხე და ამოვიღო. ფუტკრები დემბევევიან, როცა დაუწყებტ ჭრას, მაგრამ პატარა ფუტკროს მოეჭრი, მივიტებ ბოლსა და სულ ცალ მხაროზე წავა ფუტკარი და ველარაფერ დაშაკლებენ. შიგ პურები უწყვიათ — თაფლის პურები — იმას ამოვიღებ. ერთხელ ამოვიღე წმინდა შიოს კლდეში და სამა ფუთი გამოვიდა. ამოვიღებ იმ ფულუროდან პურებსა და ჩავაწყობ გუდაში. ფუტკრები დაიბოცებიან, ყვავილობა გათავებულია და სარჩოს ველარ იპოვიან და აბა რით ისაზრდოვებენ? იგეთი პურებია, რომ ზოგს ერთი საყენი აქვს ხოლმე სიგრძე. რაც ფულურია, იმდოლას პურს აყეთებენ.

ხან ხიანათაჲ ჩამოვიტან ხოლმე ფუტკარს, იმათ პატარა კარები აქვთ, ზამთარი რომ მაატანს, დინდგლხ ემახიან, და ის კარები იმათ უნდა ამოღობონ, რომ ზამთარში სიცივე არ შეუვიდეთ. იმას ცოტას, ერთ ჩუჩრუტანას დაუდებენ, რომ ჰაერმა იმუშაოს. სუ რომ დაკეტონ, არ იქნება. არიან იმაში ზამთარში, არ გამოვლენ, მანამ არ გაზაფხულდება და ყვავილი არ გაიმართება. გაზაფხულზე გაჰხსნიან კარებს, — დახჩვრეტავენ, — და გამოვლენ. დაიწყებენ შაშინ ისევ მუშაობას.

ზამთარში უნდა თათო გეჭას ორი ლიტრა თაფლი მაინც. თუ არა აქვთ, სუ დაწვლდება და დაიხოცება.

ფუტკარები დინდგლხ აცლიან პანტის ფითრსა, ფითრს რომ წებო აქვს, იმას აცლიან და კარებს იმითა ჰკეტავენ.

იანვარში უნდა ამოვიღოთ თაფლი, მაშინ ველარ იკბნებიან. გეჭიდან შეიძლება ნახევარი ფუთი ამოვიღოთ, ფუთიც ამოვა, შიგ კი უნდა დაურჩინოთ, რაჟდენიც ეყოფათ. თუ ცოტა თაფლი აქვს, უნდა თავი გაანებო, არ უნდა ამაილო.

კარგია, როცა ჰაერიდან მანანა მოდის. ის მანანა თხილის ფოთოლს ეცემა, რომ დაჰხლდა, სუ ბჭევიანავს. ენა რომ აუსო, ნამდვილი თაფლია. იმასა ჰლოკავენ და იმიდან შაქთ ბევრი სარჩო. იმ მანანაზე კარგი არა არის რა, იმიდან ნამდვილი თაფლი შაქთ.

საკა ყვავილი არ არის, სხვა ქვეყანაში ხადმე, ფუტკარები ეღლზე დადიან, იმისი თაფლი მაწყინარია: გულს ურევს ადამიანს, იელი არ ვარგა. ჩვენში ფუტკარი არ დადის იელზე, აქ სხვა ყვავილებიც ბევრია.

მინდორზე რაც ყვავილია, სუყველას ეტანება, ყურძნიდანაც შაქქს წებო. ღამე ჰაერიდან ყვავილებს ჩაუდგება პატარა ნამე და დატკბება ყვავილში. ფუტკარები ჩაჰყოფენ ისხარ ყვავილში და იმასა ჰსუტავენ, როცა გაძღებან, წავლენ თავიანთ ბინაში. ბინაში როცა მოვლენ, ყველა ფუტკარი ფეხებზე დაიჟოლებს და გაიჭურება, თავისივე ფეხებით უნდა მაიჭველოს. როგორც ფური მაიჭველოს, იგრე მაიჭველება.

ფუტკარმა იცის ერთი სატკივარი, თურჭულხ ვეტყვით იმას. როცა ფუტკარებს ეს სატკივარი სჭირთ, ენახ ვერ ხმარობენ და გეჭა ცარიელა რჩება. ამ სატკივარმა თოვის ნებაზე უნდა გაუაროს, ზოგი მოკვდება და ზოგი დარჩება. გეჭაში ხანდახან პეპელა უჩნდება ხოლმე ფუტკარს. გაზაფხულის პირზე უნდა გაიხსნას გეჭა და უნდა ვნახოთ, რომ პეპელამ არ დაანელოს. თეთრი პეპელაც არის და ყვითელი პეპელაც. თუ ის გეჭაში ჩავიდა, კვერცხს დაჰყრის და სუ დაანელებს; იმისი კვერცხი ჰიის თესლსა ჰგავს, ის უნდა გამოვაცალოთ.

დედა [ფუტკარი] როცა დაბერდება, აღარ აყენებენ. გაშაავდებენ გარეთა, დეუბვევიან, ჰებენავენ და აღარ უშვებენ.

გეჭებსა შეიძლება ოთხი-ხუთი დედა ჰყვანდეს. ფუტკარი რომ დაძველება და დარჩება დიდხანს, დედა იქნება. ფუტკარმა გასძლოს ბევრი-ბევრი სამი წელიწადი, მეტს ვერა, ძან მოცადინეა და ვერა სძლებს დიდხანს.

ფუტკარი სუ ერთი ჭიშისა არის, ხოლოთ ზოგი ავი არის და ზოგი ჰკვიანია.

ჩვენ ძველებურ გეჭაში გყავს, სკა ეხლა შამაილეს ცოტა ხნებში.

გეჭა ყველა ხისაგან შეიძლება გავაკეთოთ: სუყველა ხეში შადის ფუტკარი. ტყეში მოგჭრით მრგვალ ხეს და მოვიტანთ. იმას შუაზე გავხეჩავთ, ამოვაცილოთ გულს ვარცლივით და მემრე ერთმანეთზე გავაწყობთ ისევ. პატარა ხეებს დაუწყობთ და იმ ხეებზე დავაწყობთ გეჭებს. სკას დურგლები აკეთებენ.

ფუტკარი ზამთარში სიმშრალეში უნდა იყოს, ზაფხულში კი პაერზე სჭობია.

პარე კახეთი

მთხრ. ტიტეკო გიორგის ძე ფეჭრეშვილი, 80 წ. (სოფ. მანავი).

იმ სისქე სწორე წიფელს, რასაც იღლია მოხვევს, ერთ აღლზე დაგმორავლით, ან გადავებრხავლით, მემრე შუაზე გავხეთქლით სიგრძივ და მემრე გულეებს ცულით ამოკუთხრილით. მემრე ხელჩოთი ამოვასუფთავებლით და ხათვალეს გავუკეთებლით.

პირველად ჩვენ ტყიდან მოვიყვანეთ ერთი თვალა ფუტკარი. ვიპოვეთ ხეში. მოვჭერიით, სათვალე დავეუკეთ და ხარებით მოვათრიეთ ღამე. მეორე დღესვე მუშაობა დაიწყო. მეორე წელს ზღარტი გამოუშო: ზარამზო დავიჭირეთ ხელში, ზედ დაეხვია. ახალ გეჭაში მარილწყალი მოვუსვით და მარამზოდან შიგ ჩავყარეთ, მემრე ზევიდან დაეხურეთ თავისი ნახევარი. ამის მეტი არაფერი უნდოდა.

თუ გეჭას ამოვთხრილით და ამოვასუფთავებლით სიგრძეზე, მაშინ ფუტკარიც პურებს სიგრძეზე აწყობდა, ხოლო თუ სიგანეზე ამოვთხრილით და სიგანეზედვე ამოვასუფთავებლით ხელჩოთი, მაშინ პურებსაც სიგანეზე ჩააწყობდა. სიგანეზე ჩაწყობილი პური უფრო ადვილი მოხაწვდელი იყო.

ზამთარში პირებს ნეხვით შემოვულესავლით გეჭას, მხოლოდ სათვალეს გავუშვებლით. ხოლო ყურისგდება უნდოდა დოღობის დროს, რომ ზღარტი არ წასულიყო, ან თითონ არ გაქცეულიყო.

პურს ზამთრისათვის ვარაუდით დავურჩინებლით. თუ მოსავალი არ იყო, არ მოვწვევლილით.

თაფლს ასე ვხდიდით: გამოვიღებლით გეჭიდან თაფლს და ფიჭებთანად ჩავყრილით ქვაბში, მემრე გავაცხებლით ისე, რომ სულ გამდნარიყო. მემრე ამირიკოს პარკში ან ტილოში ჩავასხამლით და ზევიდან ჯოხებით მოვუქერილით პარკსა და ჩავწურავლით ქვაბში. თაფლი გამოვიღოდა და პარკში დარჩებოდა მხოლოდ ხანთელი.

სანთელს ამოვიღებლით პარკიდან, გავრეცხლით ჯამფიელაში და შემდეგ გადავადნობლით. გადადნარს გავწურავლით პარკში, წმინდა სანთელი გამოიწურებოდა, ხოლო პარკში დარჩებოდა ხარჯი. სანთელს ისეთ ტურტლებში ჩავასხამლით, რომ გაციებული წამოვარდნილიყო.

ფუტკარს გოდრებშიც ვინახავლით. მრგვალად მოვწნამლით გოდორს, სათვალეს გავუკეთებლით, გავლესავლით ნეხვითა და ზევიდან რასმე გადავხურავლით, რომ წვიმას არ გაეფუჭებინა.

მთხრ. ვანო ნაყოლოზის ძე ვძელიშვილი, 45 წ. (სოფ. ჩაილური).

ფუტკარზე ნადირობა. წავიღოლით ტყეში, წავიღებლით ცოტა თაფლს, ანუ როგორც გლეხები ვეტყვილით, ხაჩვევს. საჩვევს წავუსვამლით ყვავილს, მოფრინდებოდა ფუტკარი, შესჭამდა და წავიღოდა, მემრე სხვებსაც მოიყვანდა, ისინი იქიდან უკან გაფრინას იწყებდნენ თავის ხეხაკენ და ჩვენ თვალს ვადევნებლით, თუ საით მცდოდნენ, მივყვებოლით მათ კვალს პირდაპირ, რადგან მათ პირდაპირ იციან წასვლა სკისაკენ, ასე ვიპოვნილით ხოლმე. ამას ჰქვია ხაჩვევა.

ფუტკარს ინახენ (ჰყავთ, აშენებენ) გუფუტკა (გუფუტკაში). მისი გამოავლე-ბის მსურველი ან მთაში, ტყეში იჭერს, ან ყიღულობს რამოდენიმე გეჭა ფუტკარს. ზირობის (კავკასიონის ქედის ძირში მცხოვრებლები) მცხოვრებლები უფრო მეტათ მისდევენ. ფუტკარის დაჭერას. მცოდნე პირები, როგორც მონადირენი, ისე დადიან, ციხებენ მთებში, ტყეებში ფუტკარს.

ფუტკარის შიმენილება უსაფრღებთან სადმე (მთაში) წყლის პირას და წყალზე მოსულ ფუტკარს ათვალიერებენ მისი გაფრენის მიმართულების გასაგებათ. მიმართულების გაგების შემდეგ მიდიან ფუტკარის ბინას საძებრათ. წყლით ან სხვა მასალით დატვირთულმა ფუტკარმა ბინასკენ პირდაპირი მიმართულებით გაფრენა იცის. თუ შიმენილებს გზადაგზა სხვა ფუტკარებაც შეხვდნენ. იმავე მიმართულებით მიმფრინაუი, მაშინ ბინა წინ არის, ხოლო თუ ასეთი არ ხვდებათ, მაშინ ისინი ასცდნენ გზას. ამ შემთხვევაში უკან ბრუნდებიან სწორე გზაზე დასადგომათ. გზაზე დადგომის შემდეგ ერთ-ორ-გან რაიმე ნატეხში სდებენ თაფლს ან შარდს, რომ ფუტკარი მოვიდეს მათზე. თაფლზე მოსული ფუტკარი არ მიაჩნიათ კარგ მუშათ, შარდზე მოსულს არ ჩევენ. თაფლზე ან შარდზე მოსული ფუტკარის საშვალეობით გებულობენ მისი ბინის მიმართულებას და ციხებენ.

ფუტკარის ბინის აღმოჩენის შემდეგ უკომლევენ ისე, რომ ფუტკარი არ დაიხიკოს და დაბორიადღეს კი და თან ხეს, რომელშიც არის ფუტკარი, სჭრიან [ფუტკარის] დასაჭრათ, თაფლის გამოსაღებათ [კი] ყუბას უღიდებენ. თუ კარგი ძლიერი ფუტკარია („ზიმი ფუტკარი“ — მიმი, მრავალი), სახლში მოჰყავთ კასრით ან ხოკრით, თუ არადა, ფუტკარს მთლად ახრჩობენ — „მხო-ცენ“ და თაფლს იღებენ.

სახლში მოყვანილ ფუტკარი დედას ფრთებს აკვეცენ, „გეუს“, ანწლს, ბარამოს ან ცოტა თაფლს უსვამენ და შიგ „აგრუვეენ“ (აგროვებენ, ჰყრიან) ფუტკარს. ამის შემდეგ დედა ფუტკარ-ი იწყებს თაფლის კეთებას. დადის, მხოტავს (სწუწნის) ყვავილებს, „სიჩაფლეს“ (თურქ., უწმინდურს) და თაფლით „დაზურგულ“-ი (დატვირთული) მოდის ბინაში.

ზოგ მეფუტკარეს მიაჩნია, რომ თაფლი წვიმს ხოლმე და უფრო მეტწილს და კარგ თაფლს ფუტკარი იმით აკეთებს.

ზოგიერთ წლებში გაზაფხულზე და ზაფხულში ხის ფოთლების ზედაპირი — განსაკუთრებით თხილის, წნორის — მთლათ თაფლით არის ხოლმე დაფარული. ასეთ წელს მეფუტკარემ იცის, რომ თაფლის კარგი მოსავალი იქნება.

საშამიროთ დედა ფუტკარი ფუტკარი ვირს, ანუ (აღ.) ფორს (ჭორს, მაძალი ფუტკარი) ჰკოცავს, რომ ზამთარში თაფლი არ ჰკამოს.

ფუტკარს გუფუტკა ეხებათ ყოველთვის ჰყავს „ყარაულევ (ყარაულეობი), რომელნიც ატყობნიებენ შიგნით სხვა ფუტკარებს ყველა მოსალოდნელ უბედურებას: „თაგის, ხლკის, სხო ფუტკარის „ყოინის“ (თურქ.), ანუ ჟარის (ჭარის) თავდასხმას. შიგ გეჭაში შესულ თაგვს ან ხვლიკს ფუტკარები საერთო ძალით ჰკლავენ და ღინდგელით მარხავენ — გლეხენ, უცხო ფუტკარს კი ხოცავენ და გარეთ ჰყრიან. ხშირათ, თუ უცხო ფუტკარი ძლიერია, თავდაშეცველი ფუტკარი მარცხდება.

ზაფხულში ფუტკარ „ვეჩა(ს) აზლეუს“ (თურქ., ბარტყობს). ფუტკარის მატლ-ი იქცევა ფუტკრათ და „ვეჩაჲ“ (ბარტყი) გამოდის.

ბარტყის გამოსვლის დროს, თუ სადმე ახლო ზეზე არ გროვდება, არამედ ჰაერში ტრიალებს, ღედის გამოსვლის შემდეგ, მტვერს აყრიან, ლაგანს (ტაშტს) უკრავენ, რომ ახლოს დაგროვდეს. ბარტყის სადმე დაგროვების შემდეგ ცოტათი „უკომლევენ“, ხის ტოტს „აქანევენ“ (არხევენ) და „ვეჩას“ თავისი ღედით ჰყრიან თავისუფალ, სუფთა გეჭაში. თუ ღედა ორია, ერთს ჰკლავენ, რომ არ გაიყოს „ვეჩა“. ხშირათ ორ პატარა „ვეჩასაც“ ერთ-ერთს ღედას უკლავენ და აერთებენ ჭარის გასაძლიერებლათ.

ბარტყის დაჭერის დროს ვისაც ფუტყრის „დაკმენით“ კანი უსივდება, ისევეს ხელებზე, სახეზე დის ან „წოლას“ (მაწონს).

ხშირათ დაჭერადამდამდეველებულ ბარტყის ტოტებს ბინას და „მიიხორჩევის“ (შირბის, მიფრინავს); მაშინ ცდილობენ ისევე მტვერის შეყრით და ტაშტის დაკვრით დააგროვონ სადმე ზეზე და ისევე შეაკომლევით იჭერენ. მაგრამ ისეთი შემთხვევებიც ბევრია, როდესაც ფუტყარი ძალიან მაღლით მიფრინავს და ასეთ „ყაჩად“ ფუტყარს ვერ იჭერენ, თუ მისი ახალი ბინა ვერ იპოვენ. „გადახორჩინს“ მიზეზია ბინის დაწუნება, უთაფლობა. ზოგჯერ ძველი ბინადარი ფუტყარიც თუ დაიმშა, „მიიხორჩევის“.

საზამთროთ, შემოდგომაზე აქლამი (გეჭის ახდა, მოწველა) ისეთ ფუტყარს, რომელსაც ცოტა აქვს თაფლი და საზამთროთ არ ეყოფა, პატარონი თაფლს უმატებს. შემოდგომაზე „აკლამი“ ამოღებულ თაფლის „შანევეს“ (თურქ.), ანუ (აღ). ფიტებს და გაზაფხულზე შენდი(ს) ყოვილში ამნაწმენდ ფიტებს (ფეჭა) სწურავენ, თაფლს აცალკეებენ და ფიტებს ადნობენ — „ცუნ-ის“, ანუ (აღ.) ხანთელ-ის მისაღებათ. გამდნარს ჭერ ასხავენ წყლიან კურკულში და გაყინვა-გაციების შემდეგ ხელმეორედ ადნობენ, ყალბში ასხავენ. „ცუნს კორეგს“ (კერეგებს) შიგ ჩიტანებული ბაწრით ჰკიდებენ.

„ფუტყარი გეუს ყარასავში ხშირათ შუადით განახეთქ მურყნით ჰყრიან (ომოყრად), ანუ (აღ.) ჰღარენ (ომოღარად), ისე როგო ლაქანა რაჰმს, ზირობი სოფლევეში კი მუხადით რაჰმით“. ზამთარში გეჭებს მუხის ქერქს აფარებენ სისეელისა და სიცივისაგან დასაცავად.

ხ ე ვ ს უ რ ე თ ი

მთხრ. ომიკა გიგაური, 64 წ. (სოფ. ბლოში, ბაცალიგოს თემი, პირაქეთი ხევსურეთი).

შეფუტყრობა ჰევსურეთ არა იმთენად ას, ზოკან ფუტყარის ქსენებაიც არ ას. ზოგან კი ხყავ თხუთმეტ-თექვსმეტ ძირამდე. უფრო ფუტყარიანობა-ას არაგვე, არაგველ ჰევსურეთს უფრო მისდევენ ფუტყარს.

ფუტყარი როსაც გამოუშობს ნატვხ, ხოკერში ან კახრში ახკრფენ. აკრეფის წინავე ხოკერს ნებ-ნაცრით გაუგოზენ ჰვრატინებსა ძირს, მემრ თაფლ-წყალს გამაველებენ ხოკერს შიგათაზე, ან სველს (შრატს). დასდგმენ იმ ოლაგ-ზე ხოკერს, სადაც ბარტყ იქნების დახვეულ, გაუშლიან წინ ფარდას ან სხვას რას, დაიწყებენ ფუტყარს აკრეფას, უფრო კი დედას შაგდებენ შიგ ხოკერში. როსაც ხოკერში შიგირიფების ფუტყარ, წუხრიხან, მასკვლავების დასხმოდგეს, ფუტყარსთან ხაფუტყარში მიიტანენ ფუტყარიან ხოკერსად' ფიცარზე დასდგენ მალგოზენ ნაპრით ნებ-ნაცრით. ხოკერ ხის ქერქ-ას, უფრო ცაცხვისაბ, ააგდებენ გაზაფხულ, როსაც ხეს რომ ლაპო ჩაუდგების, მახრიან სიგძით, სიგანეს სიმაღლედ მუქცევენ, ძირსაც თავისასავ მააკრებენ ურძის

ყაყატოთ. საფუტკარედ უფრო ირჩევენ ქარიბანს, კალო თუ დაფარებულ-ას ან ჭერხოში. ხათვალეებს გარესკე მისცემენ კედელშით, ფუტკარიც იქით დაიწყებს მუშაობას.

ფუტკარის აღებას დაიწყებენ ქარისუქმს, ენკენისთვეში. ხოკრებს, კასრებს გაშინჯვენ, კელით ასწევენ, რომელი მზუბუქ იქნების, იმეებს გადაზღვ-მენ ცალკე. თუ ატყობენ, რომ ზამთრის თავს ვერ გაიტანსა-დ' დაივოცების, იმ ხოკრებს სათვალეებში შაუზოლებენ არყის ზოკოს, ან მჩერის ნახევს. აკამლისაგან შაშინებულ ფუტკარი ერთად შაიკვრის, მემრ აიღებენ ხოკერს, დაღბერტყენ ცეცხლზე, ცეცხლზე ყარტს წაყიდებულ უნდა ხქონდას რო, რაიც გაფრენას მასწრობს, იმით დაწვან ან ხოკერს წყლიან ვარცლში ან ბაკანში ჩაღბერტყენ, აისრ დაღლევენ. თაფლიან ხილილოხ (ფიქას) ცეცხლზე გამწვა-ულს გასწურვენ ბალნის ტომარაით. გამდნარ თაფლსა-დ' სანთულს ტომარაში ჩასხმულს მახვევეს საბელს, პირთ მაგრა დაიქერენ, მეორე [კაცი] ორითავ კელით მაუქიკებს ტომარას ორ ჯარჯ-შამაცმულ მალთა'დ გასწურვენ თაფლს. რაც ტომარაში დარჩების, იმას დაასხმენ წყალს, ჩაასხმენ ერთად ქვებშია წამააღლებენ. წამაღლებილგე იქავ გასწურვენ დააყენებენ თაფლწყალს. ისი ჩაისხმის ქოთანში, აფუვდების თავისთავად. იმას ხქვიან შარბათი. რაიც დარჩების ტომარაში იმას ჩახრყრიან ქვებში, წამააღლებენა გასწურვენ ტი-ლოს პარკით ბაკანში. ბაკანში გახყინავს, ბაკანშით გაყინვილგე ამიღებენა გამავ ხანთელს. სანთელს დაახვევენ ბამბის საგულეზედ ვმარობენ ჭვარებში. (სალოცაებში).

თაფლს ქვამენ ცალესაც (მარტო თაფლს, გაურველად), გარკვეენ ყინულ ერობოშიან გამავ თაფლ-ერბო. იმას პურს ატანენ [თაფლს] გაამწვაებენ ქვებ-შიან გაურკვეენ არაყში, იმას დათაფლულ არაყ-ხქვიან. უცეცხლოს თაფლს ვმარობენ ნაჭრევის წამლადაც — ნაჭრევი (ჭრილობა) ჩაზღებენ თაფლსა ძალიან ჩქარად არჩენს ნაჭრევს.

ფუტკარის უყორს (უყვარს) ცაცხვის ყვავილი, ივლის¹, ყვავილიდ' სხვა-დასხვა ბალახის ყვავილებზე, რომნის სახელიც ჩვენ არ ვიცით.

მ თ ი უ ლ ე თ ი

მთხრ. არჩილ არგანაშვილი, 35 წ. (სოფ. ნალვარევი).

გამოსვლით რო გამოვა ფუტკარი, დეებევა ხეზე. დაუდგამთ ხკახ, საცე-რი გვაქვს, ჩამოვყრით იმაზე ფუტკარს და ხოკრის წინ დავყრით და შევა, მაგრამ გრიდ ადგოლას უნდა; თუ მზემ დაჰკრა, იშლება ადვილად ფუტკარი. თუ დავაგვიანეთ ხეზე დახვეული ფუტკარის შეგროვება, მამინ ადვილათ იშ-ლება და შიდას. თუ ფინთი რამე სუნი აქვს, სკა იქნება, თუ ხოკერი, არა დგე-ბიან შიგ, ისევე ბრუნდებიან უკან.

სკიდან დედაცა და ფუტკარიც ახალი გამოდის და ძველი შიგა რჩება.

თაფლს ნახევარზე მეტს სკაში ვტოვებთ, თაფლს აქ შემოდგომაზე ვი-ღებთ და ამიტომ ფუტკარისათვის შიგ ბევრსა ვტოვებთ.

თაფლისაგან სანთელსაც ვაკეთებთ. სკა არის. თუ ხოკერია, რამდონიც პატარაა, იმდენი უფრო ხეირობს, არც ბუზი უჩნდება და არც ვია.

¹ ილი—ყვითელყვავილიანი დაბალი ბუჩქი.

პახუბი კითხვებზე:

1. ზამთარში თუ სკას სახლში შევიტანთ, ეგრე დავდგამთ და თუ არადა მანინ ჩალაში ვინახამთ. თუ კაცს ადგილი აქვს, მაშინ ისევე სახლში სჭობია, ძანარზე. თუ გარეთ შევიტანამთ ხოლმე, სკას თავს ავხდით და ზედ ჩალას დავადებთ, რა თბილათ იყოს. ზემოდან თავს დავახურამთ. თუ კარგი ამინდი დადგება. გაზაფხულის დასაწყისში, მაშინ სკებს გამოიტანენ გარეთ. ეს ხდება მარტის ოცდახუთიდან. ამას ფუტკარიც გრძნობს, „ხოკერებმა“ აკაჭუნებენო“ [კიტყვით]. ცივ ამინდში რა გამოიტანონ სკები, მაშინ ფუტკარი სკიდან ჩვეულებრივად გარეთ გამოდის და სიცივის გამო იხოცება.

2. ხოკერებიდან თაფლი გამოაქვთ ლეინობისთვეში ფუტკარის დაწელების საშუალებით; ხოკერს ცივი წყლით სავსე ქვაბში ან წყაროში ჩასდებენ, ამ გზით ფუტკარს დახოცავენ, დაწელებენ და თაფლს ამოიღებენ. წყალი თაფლს არ აფუჭებს.

3. სკიდან იმიტომ გამოდის ფუტკარი, რომ ახალი დედა უჩინდებათ და ერთი აურზაური აქვთ და მეორეც ფუტკარი მრავლდება და [ერთ ხოკერში] ვერა თავსდება.

თუ ორი ან სამი დედა ფუტკარი გაჩნდა, მაშინ ერთს დაიტოვებენ და დანარჩენს ხოცავენ. გაქცეულ და ხეზე მიხვეულ ფუტკარს ცხრილში გადმობერტყავენ და ახალ სკია წინ დაპყრიან. ფუტკარი ხშირად შედის სკაში, მეტადრე თუ სანთელი გაუკეთეთ.

4. მთხრობელის სიტყვით ფიჭა და გოლი ერთი და იგივეა.

5. ხოკერი კეთდება თელის ან ბლის ქერქისაგან. ბალს კიდევ თელა სჭობია, რადგან ბალს შწარე სუნა აქვს. ფიცარს ბუზი და კია ეტანება და ხის ქერქს კი არა. ხოკერს კერავენ იმავე ბლის ან თელის ქერქით ანდა თელის ტოტის თხელი ფენით. ამას ასე აკეთებენ: თელის ტოტს ერთი და იგივე ადგილას ერთი მხრიდანაც და მეორედანაც ჩაუჭრიან დანით და შემდეგ ასეთ ტოტს მუხლზე რომ გადალუნავენ, ჩანაჭერის მიხედვით გასტერება თხელი ფენა ტოტს. ხოკერს თავი მოკერებული აქვს და ძირი არა. ხოკერ აქვს ხათვალე.

6. სკებს აკეთებენ ფიჭვის ხისაგან, ამკერებენ ლურსმებით. შეიძლება ხაჭვის და ცაცხვის ხისაგანაც ვაკეთდეს სკა. წიფელი არ შეიძლება, რადგან იმას შლილი აქვსო.

7. პეპელი აფუჭებს ფიჭას. პეპლის კვერცხებიდან გამოსული მატლები ხერეტენ შოთებხ; შოთი — ფიჭის უჯრედი.

8. თაფლს ფიჭას ასე აცლიან: ცეცხლზე დიდი ქვაბით დასდგამენ წყალს და გააცხელებენ, მერე „ვედროში“ ჩაყრილ ფიჭას „ვედროიანათ“ ვაცხელუბულ წყალში ჩასდგამენ. თაფლი ღნება და ფიჭასაგან ცალკევდება, ფიჭას ამოიღებენ და რჩება თაფლი.

9. ფუტკარს უყვარს ხაშუჭა და ნარი (მალალიც არის და დაბალიც). სხვა ყვავილების შესახებ მთხრობელმა არაფერი იცის.

10. გეჭა — გახეთქენ დიდ ფიჭვის ხეს, ერთ ნახევარსაც გამოაღრმავებენ და მეორესაც, მერე ერთმანეთზე მიადებენ, ერთ ადგილს ნახვრეტს გაუკეთებენ ფუტკარების შესასვლელათ და დასდგამენ.

11. ქალა — თაფლის უვარგისი ნაწილი, ქუჭყი, ნაგავი.

მობრ. ივანე ჩოხელი, 41 წ. (სოფ. ჩოხი).

[ფუტკრის სკისათვის] მოგვეკონდა ხის ქერქი, თელა არის უკეთესი, ცაცხვი; შავკრამთ იმას, ისევ ხეს ვხევთ და იმითი გვერდებს ამოუკერამთ, მერე ისევ ხის ქერქს მოვაკერებთ, ძირსაც საძირეს დაუდგამთ ხის ქერქს, გამოუჭირთ ხათოლდეს (სათვალეს)¹.

თაფლის აპოლება როცა გვინდოდა, წაიღებდით ამასა, მიუდგამდით წყალსა და დავანელებდით წყლითა. ფუტკარი დაიხოცებოდა, თაფლს მივიღებდით, გავდნობდით ცეცხლზე, სანთელს ხატში იყენებდნენ და მკვდარში. ზამთრივ დაბინავების დროსა [სკი] შავკვონდა კალოებში და ვაყრიდით ბზესა. ექვსი თვე ეგრე იქნებოდა, არ ვნახამდით მკვდარი იქნებოდა, თუ ცოცხალი. მერე რო გდაუდგამდით, ღვრე შზიანი დღე რო იქნებოდა, არც გაუშვებდით ძირსა, მარტო აუხსნიდით სათოლესა. ფუტკარს წინათ კი არ უყურებდნენ, სიძობით იგებდნენ რომელი [სკაც] მძიმე იქნებოდა, იმას ანებებდნენ. წინათ ფუტკარი სკებში ოთხ-ხუთ წელიწადს სძლებდა.

პახუხები კითხვებზე:

1. ხოყერის სიმაღლე უდრის 50—60 სმ, სიგანე — 30 სმ.

2. ხოკერს თხილის წვრილად მოთლილ ქერქით შეკერავდნენ, დაამაგრებდნენ, ძირი კი მიეკრებოდა არ იყო, იმას ძროხის ნაკელით მოლესავდნენ ხოლმე.


3. როცა ფუტკრები ხოკერს თაფლით გაავსებდნენ, მაშინ თაფლის ამოსაღებად ხოკერს ფუტკარიანათ ან წყლით სავსე ქებაში ჩააგდებდნენ, ანდა ცივ წყაროს წყალს შეუფენებდნენ და დაანელებდნენ ფუტკარს; „როგორც ცივი წყალია, ფუტკარის დახოცვისათვის უკეთესიაო.“¹ უმეტეს შემთხვევაში ასე იღებენ ეხლაც თაფლს! ფუტკრის დასწვების შემდეგ თაფლს დანით ამოსჭრიდნენ და ფიჭთან თაფლს ცეცხლზე შემდგარ ქებაში ჩაყრიდნენ და ადუღებდნენ. როცა ცოტა გაგრილებოდა, ზევით მოყენებულ ფიჭას ხელით მოსჭულეტდნენ და დარჩებოდა წმინდა თაფლი.

4. თაფლს იღებენ შემოღვრით—ენკენის-თვეში ან ღვინობისთვეში.

5. არ იცნობს ფუტკრის ჭიშებს, ქართულიაო.

6. ფუტკრის მკვებლები: „ფუტკარს ემტერება პაერში ფრინველი—ლოჯო, შიგნიდან კიდევ არის ჩრჩილი, არის თაგვი, მელი, დათვი. თაგვი ემტერება ზამთარში. თუ ფუტკარი ფიჭას არ ამსებს, ჩრჩილი შიგ კვერცხებსა სდებს, მერე მატლები გამოდიან და ობს, ესეღს აბამენ. ზაფხულში იცის. წინათ ამის წაშალი არ იცოდნენ, ეხლა გოგირდს უბოლოებენ“.

7. ფუტკრის საყვარელი ყვავილები: გაზაფხულით — ტირიფის ყვავილი მთაში, ჭუჭუა — მინდვრის ყვავილია, კუნეღა, ცაცხვი; თაფლისათვის კარგია



სურ. 1. ხოკერა

¹ ფრჩხილებში ჩასული სიტყვა დედანში ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ (რედ).

წითელი და თეთრი ხაშურა. ჩვენებურად დაჭრა. დაჭრა მეტისმეტად ლაღიანია. დაჭრა ზაფხულისაა. არის კიდევ, ჩვენ ვერყვით ქონდარას, თბილის ფათელიდან ლებულობს ფუტკარი თავლსა, ეძახიან შანანას (ენა რო გაუსო, ტკბილ გემოს იგრძნობ, დარიანობაში იცის). წვეწს იღებს კიდევ ნარბიან, ძირხვეწადან და იონჯადან.

8. გოლი. მთხრობელის სიტყვით იგივე ფიქაა, მხოლოდ ჯოლიქძელისაქელიაო.

9. კაპარკი, ანუ ჰეო — ფუტკარს რო აქვს ფეხებზე ყვითლადო. ეს არის უვადღებობს შტეფი, რომელსაც ფუტკარი პატარა ფუტკარების გამოსახრდელად ხმარობსო.

10. როცა ფუტკარი გაიჭყევა და ხეს მიეხვევა, მიიტანენ მახლობლად ახალ ხოკერს, დასდგამენ და წინ ფარდას გაუშლიან. შემდეგ [ხეხე] მიხვეულ ფუტკარს ცხრილში ჩამობარტყავენ და მიიტანენ და ფარდაზე ახალი ხოკერის მახლობლად დაყრიან, რომ „ეგება შავლისო“.


11. ფუტკარ საზამთროთ ხოკერში უნდა ჰქონდეს ოცი-ოცდაათი გირვანქა თაფლი.

12. ხოკერის სათოლეს ნებით ამოლესავენ ზამთარში.

ჯამო ქართლი

მთხრ. თედორე გლახუას ძე ბუზიაშაშვილი, 80 წ. (სოფ. რუისი).

უწინ მამაჩემს ყავდა ფუტკარი. რბილ ხეს გავხეთქავდით, ამოვლარავდით [ორივეს] ვარცლევით, ერთსაც და მეორესაც დავამზობდით ერთმანეთზე და საცა ვახეთქოლი იყო, შეელესავდით საქონის პარტივითა. გამოუჭრიდით შეხასხვლელ-გამოსახვლელს და ვეძახოდით კოღხა. კიდევ ვაკეთებდით ვაზის რქის



სურ. 2. კოლი

კოკიჯათი. მანებხს დავასხავდით, ბოლ[ო]ებს ვიწროს გაუყვებდით, პირს—ფართეს, მერე ვაზით დავწნავდით გარეშდითი, პარტივით გავლესავდით, ვასასლელს გაუყვებდით, ვიწროსაკენ — თავს. როდესაც [თაფლის] გამოლება გვიწოდდა, ფართე თავს ავსნიდით.

მესამენაირი [სკა] იყო როგორც დანწული, ოთხკუთხიანი, მხოლოდ შემოწული; ორივე მხარეს კარგი ჰქონდა; რომელსაც ვაუტსნიდით, იმას მზისაკენ ჰქონდა პირი. იქიდან რომ ამოვლავდით [თაფლს], მერე მეორე მხარეს მივბრუნებდით მზისაკენ. პარტივითა იყო შემოლესილი. ამას ფსკას ვეძახოდით. ორივე მხრივ

იმიტომ ვაკეთებდით, რომ ერთ წელიწადს ერთს რომ გამოვლავდით, მეორე წელიწადს—მეორე მხარეს, რომ თაფლი არ დაქველავდულიყო და რაღაც (წვევი ბატლი, თეთრია) არ გაჩენოდა; ის უქამს ფუტკარს დაწინდებულ თაფლს და ფუტ-

კარი ზოგი მიფრინავს და ზოგი იხოცება. მეოთხე არის ფიცრის ჩარჩოიანი ხკა.

[ფუტკარი] რომ ფერხდა, დედა სხვაგან წაასამდა შეილებს, „ტახტხა“ — უკრავდით, რომ არ გავულისებულიყო და არ გაქცეულიყო, ჩამოებერტყავდით ჩანაში¹.

ფუტკარს უყვარს წარი ეკლისა. [გვხვდება] ბაღში, მინდორში მაღალი ეკლები იცის. მოუჭირდით და ტკპილი [წვენი] გამოდიოდა; იმოტენა თაფლი არა ყვავილ არა აქვს, თეთრი წარია, თეთრი ბურტყელი აქვს, როცა გახმება, აღარც წვენი აქვს და აღარც ოხრობა.

როცა გამოვიღებ თაფლს, [ფუტკარი] შიგ არის ჩაყუებული (მეფარებულ). [თაფლის] გამოღებისას მიუუახლოვებდით ნახტახხალს (ძველმანებია ნაჭრების); შწარე კომლი აქვს. [ფუტკარები] პურების ჭვეშ დაიმაღლებოდენ. ჩვენ იმ კვარებს გამოვიტანდით. ფხკას ვეძახით ბუზებს რომ ჩაყვრიო. პურებს რომ გამოვიტანდით, გვექონდა ტილოს ჭვამი, გავათფობდით ჭვამში პურებს, მერე პარკს აქვს ბოლო ვიწრო და პირი — ჩასასხმელი — ვანიერე; ვიწროებში მიდიოდა თაფლი რომ არ გაფუჭებულიყო, პარკში რჩებოდა ჭვამ... მანამ დაიწურება, ფიჭა ქვიან, რომ დაიწურება და თაფლი გამოეცლება და პარკში რომ დარჩება, იმას ვეტყვით ჭვამს. მანამ ცეცხლზე გავათბობდით, იმას ვეძახით უციცხლო თაფლს, მაგრამ რომ გავათფობთ ცეცხლზე, იმას კი ცეცხლიან თაფლს ვეტყვით.

თაფლს ფიჭიან წამლათაც ხმარობენ, მუწუკიათვის იმას უკეთებდენ, ტყრამის წამლიც არის. იმაზე თაფლის ფაფას დაადებენ და არგებს. [თაფლს] რომ გამოვიღებდით, იმდენი უნდა დაგვეტოვა [ფუტკარისათვის], რამდენიც ეყოფოდა, ვარაუდითა. თუ არ ეყოფოდა, შექარ[ის] ფიცარზე დაუყრიდით და შეუღებდით შიგა. დაეხვეოდენ და წუწნიდენ.

თურქული — პირი ტკივა და ფეხებაცა, დაკრუნჩხულია სულა, ფეხებიცა და პირიც წაუხდება. ფეხებზე აქვს კარგ მუშა ფუტკარს ყვითლები: უშრომელა ბუზი ზის მუქთად და გაბერილია. უხარგებლო ფუტკარს ბაზი ფუტკარი ქვიან; რომ შევა [სკაში], სულ უქამს, ის არის ღონიერი და ბრყვი.

სანთელისათვის ჩაყვრიდით ჭვამს ჭვამში და შოვადულებდით მაგრად. მერე ჩავასხავდით ტილოს პარკში და ციფყალიან ტამბში ჩაედებდით პარკს. პარკს ტამბიკებს მოუჭირდით, რომ გაწურულიყო. რაც დარჩებოდა პარკში, ის იყო სულ უვარდისი ჭვამი. ის იყო წამალი ჭვალის; გააცხლებდა, ჭვალი საცა ჭქონდა დაიდებდა და რგებდა. პურის გუნდებოვით გვექონდა. სანთელს კი ჩამოვქნიდით — პატრუქს დავიჭერდით, სანთლები დაიჭრებოდა თხლათა, შემდეგ მიფარებდით შევათბობდით ცეცხლზე, დაეხვდით ხელით მაგრათ, რომ მისცემოდა წიაღი (ძალა); შემდეგ დავიჭერდით პატრუქს, ამ სანთელს ჩამოვქნიდით ზედ ხელით და გარშეშო შემომგვალდებოდა. მეორენაირად — ვათფობდით ქილაში, მერე პატრუქს ამოვავლებდით და თუ არ ეყოფოდა, კიდევ ამოვავლებდით. იმით ვაკეთებდით კლაპტრებს (დიდი სანთლებს).

უზაკ[ის] რომ არაუის არაფერ[ის] დაუშავებენ: ღვაფი — დილი ნამი.

მთხრ. ტატო თედორეს ძე გოგიაჩაშვილი, 95 წ. (სოფ. ატოცი).

შვიგულში გამოვიდოდა ფუტკარი, საღამო ეამი რომ მოუწევდა, შემიკრავდა ნიავი და ჩამოვადებდა ძირს, მივეყვებოდით და მივეყვებოდით; ნიშანს

¹ Уши (уши) = როფი. დ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი (რედ.)

² დედანშია: „უზაკა“.

რომ ვნახავდით, ზოგი რომ აქ იყო მკვტარი, ზოგი იქ, და მივიდიოდით, რო-
მქელ] ხესთანაც იყო ფუტკარი, წაავტკევიდით იმ ხესა, მერე ამოვტკრიდით
იმას, თაფლს წამოვიღებდით, ფიჭისას. თაფლს გუდგებთ წამოვიღებდით.

მთხრ. ილა ხლომონის ძე ოსიტაშვილი, 90 წ. (სოფ. თიღვა).

ძველად კახის ეძახოდენ შვიგულ ადგილში რომ ხეა ყავდათ-რაა. იყრი-
და ისა და ერთი ძირი ორ ძირად ვახდებოდა. ზოგი სულ წახდებოდა და იბერ-
წებოდა. რომ გაძრიოდებოდა, თყრიდა და ტყეში ააბოდა. არ მოწყინდებ-
ოდა, ყვავილებისათვის ვარბოდენ. წკეპლით დაურაკუნებდით ტასტსა და თუ
შოგვეყვებოდა, მოგვეყვებოდა, თუ არადა წავიდოდა, რომელსაც შხამი და შწა-
რე არ ჰქონდა, იქ შესხდებოდა, შექსხდებოდა ყვავილს. საცა გამოღრუტულ
ხეს ნახავდენ, მოჭრიდენ, თავ-ბოლოს გაუკეთებდენ და ჩაყრიდენ შიგა.

ჭერ ხარჭველს ავხდიდით ფუტკარს. ან თოვს ჩავყრიდით, ან წყალს ჩა-
ვასხავდით, მერე ამოვიღებდით ბურებად, შემდეგ წყალს გაეთბობდით, ჩა-
ყრიდით ტილოში და გაიწურებოდა, ფიჭა დარჩებოდა და თაფლი გამოვიდო-
და. ფიჭას გავადნობდით და მივიღებდით სანთელს.

მთხრ. ბესო ხვიშონის ძე ჭახველაძე, 106 წ. (სოფ. ავლევი).

ფსკებს დავდგავდით და გაუკეთებდით დიდ კოდებს, ერთი ძირი ფუტ-
კარი] რომ ყოფილიყო უწინა, იმისთანა გემოიანი ყვავილი იყო, რომ ერთი
ძირი ფუტკარი ხუთსა და ნაყარს კიდევ იყრიდა და ორ წელიწადში გადაიჭ-
ცეოდა თითხმეტ, თხუთმეტ ძირად. ნოყიერი ყვავილ-ბალახი იყო წინად. რომ
მოფხვევოდა ხეზედ, მერე მიუდგავდით ხესა. ფსკასა და ჩაყრიდით შიგა,
მერე საფარებელს დავაფარებდით ზედა, გავაკეთებდით გამოსახვდელს და
შეხახვდელს; ამით სათვალვებს ვეძახდით. მერე მარლის კენიტს შეუდგამ-
დით და ლოკამდა იმას. რომ გაიჭკევიდა ფუტკარი, რკინის ბაღიას დაურა-
კუნებდით. „ტასტსა“-რა, მიუხვევოდა ხეზე მერე, მიუდგამდით სკას, ჩავყრი-
დით შიგა, დავახურავდით მერე თავხახურავს. წინად დავახავდით წყალსა და
დავახაროვდით საწყალს და ამოვიღებდით თაფლს. ერთ სკაში ამოდიოდა ორი
ფუთი.

ფუტკარი რომ იყრიდა, შენობდა ისა და ვარბოდა.

ფუტკარი სხვადასხვა ყვავილებს წუწნიდა, ფუტკარს არაჟი ბუზი ყავდა
და იმას გამორეკავდა. ნეშტარს კი არ ჰქონდა არამ ბუზს. არამ ბუზს ონავარ
ფუტკარს ვეძახოდით, მოეჭრებოდა და თუ დაძალავდა, [ფუტკარს] გარეთ გა-
მორეკავდა ერთბაშად და შექამდა თაფლსა.

ფუტკარმა იცოდა კიდევ თვალის აღება. ვინმე უცხო კაცი რომ მოვიდო-
და, თვალი ეცეპოდა, თვალის აღება იცოდა; ზოგს ისეთი თვალი ჰქონდა,
რომ საქონელს რომ თვალი ეცეს, შეიქვს კანკალსა.

ფიჭას დავკვლუტავდით ხელით, ფიჭას სანთლად გავადგანობდით და
თაფლს წამოვადუღებდით და მერე გადავასხავდით ხოლმე დიდ ქილებში.

მართლი მტკპრის სამხრეთით

მთხრ. გრიგოლა ყველაშვილი, 36 წ. (სოფ. ბობნევი).

არის მუშა ფუტკარი. დედებში განსხვავებაა. არის შავი ფუტკარი, უფრო
ურთილოა უყვარს იმას. დედა ფუტკარს შავი ფერი დასცემს. ახალგაზრდა

ფუტკარსაც შავი ფერი აქ. რო ბერდება, მაშინ ფრთები უცვივდება და აღარ ვარგა; თითონ ცვლიან — დედა კვერცხს დასდებს და ახალგაზრდა დედა გამოვა. არის, ზოგ საფუტკარებში წითელი ფერი დასცემს; საერთოდ, იმ ჯიშს ფუტკარი წითელი ფერისა გამოდის. მაგას ეძახიან სხვადასხვა ჯიშსა, სახელები არ ვიცი.

ბუნებრივი ნაყარი რო გამოდის, ეხვევა ხეზე, ჩამოვიღებთ, სარზე გაკეთებული „ვედრა“ ვაკე, ჩაყრით როფში, დაიწყებს მუშაობას; თუ ხელოვნურია ფიჭვა ექნება, ადვილია. თუ თითონ ააშენებ, მაშინ უგვიანდებათ. თუ დედას დაეიჭერთ, უკეთესია, სულ რო მალს იყოს [ბარტყი] და შევსვით დედა, თითონ ჩამოვლენ. პირველ ნაყარს ერთი დედა ყავს, მეორეს ბევრი; ოციც გამოსდევს, ოცდაათიცა. და ისე, პირველა დედა რო გამოდის, რომელიც დედაობს შიგა, როცა ნაყარი უნდა გამოუშოს, ნაყრობა რო უნდა, შიგარჩება ახალგაზრდა დედა, ის დედა (ე. ი. პირველა) თავის ფუტკრით გამოდის, სკა ფენება თუ როფი, დაიწყებს აშენებას თავის ფიჭვს. დედა თავისი მუშით სულ გამართული გამოდის.

ჩვენ ფულურო ხეს ვარჩევთ, ტყეში გავასუფთავებთ, ნაყარს ჩაყრით და დაიწყებს შიგ მუშაობას. ძირსაც და მალლიდანაც ფიცარს გაუკეთებთ. სათვალე ექნება შუა ადგილზე ან ნაპირზე, რო ფუტკარი შევიდეს შიგა და იმუშაოს. სათვალე პატარა უნდა, დიდი ადგილი რო ჰქონდეს, მაშინ სხვა შევა; ამათ იციან ერთი-მეორეზე დაცემა.

ფუტკრის საყვარელი ყვავილებია: ცაცხვი, მერე არის დაპირილი ბალახი — უფრო მეტი თაფლის მომცემი, ქონდარი — შემოღვამის ქონდარი. აი ესლა რო გაავდარდეს, ქონდარმა უნდა მისცეს თაფლი; სხვა ბალახებია კიდევ: დახაბი ბალახი — კლდეებში აყვავებული, ნაცრისფერი ბალახი, ვარდისფერი, ლებულობს კიდევ გრაკლიდანა; არის კიდევ თხისფხელა, დიდგულა, სამყურა ბალახი, მელაკუდა. ერთი სიტყვით, ყველა ბალახიდან ლებულობს, რაზედაც ყვავილია; გაზაფხულზე თხილის ყვავილიდან ლებულობენ. ეკენი ფიჭვს აკეთებენ — ოფლი გამოსდის. ჰეო რო გამოდის, სანთელი გამოდის თითონ რგოლებიდან. ჰეო რო მოაქვთ, ფუტკრისთვიან ხმარობენ — რძისა, ჰეოს და თავანთ თაფლსა ერთმანეთში ურევენ და ისე უნდა ამოზარდონ ფუტკარი.

ფუტკარი კვერცხისებებთარის გაჩენილი. დედა სდებს; მარტო ერთმა დედამ დღე და ღამეში სამი ათასი უნდა დადოს აპრილიდან მაისში, თიბათვეში. ჰეო არის ყვავილის მტერი, რძეს თითონ აკეთებენ, თითონ გამოსდით.

ჩვენ უვლით, ვასუფთავებთ, როფს უვლით, ვადმოვხდით თავსა, ბოლოსა. ვასუფთავებთ, რო რჩილი არ გაუჩნდეს. მაგათი სატყვიარი არის — დახის პეპელა, შავია. კარგებში დაჭდება და კვერცხს უყრის და ის (ე. ი. ფუტკარი) შიგნით შეყრის და აფუჭებს იმითი; კიდევ — ტყის კრაზანა, ის უბრძვის, მაგრამ თუ ფუტკარმა დასძალა, არ შეუშვებს და თუ დაიმორჩილა, შიგა და თაფლს სულ წაიღებს. როგორც ყაჩაღი, ისე უნდა შეუვარდეს. არის კიდევ ფრინველი — ყვითელი, გაფრენილა იჭერს და სჭამს ფუტკარს.

საფუტკარე უნდა ისეთ ადგილას იყვეს, რო ფეხი დამიანის ან საქონლისა არ ხედებოდეს. უქარო ადგილი უნდა იყვეს; მოდის ტყიდან დალილი ფუტკარი, უნდა დაისვენოს და აფრინდეს — შევიდეს სკაში.

გაქცევა იცის ახალგაზრდა დედამ. ახალგაზრდა დედა არის გიჟი, ჯერ ჰეო ნაყლებია, წავა ტყეში. ჯერ დარბის, ისე ბნედიანობს; მერე რამდენათაც დაძმობდება, სიარულს უკლებს და ისე აღარ დარბის. მერე რაჯი შიგ დაიწყებს მუშაობას, აღარ წავა. თუ თავის დროზე არ უპატრონა პატრონმა, ბინას რო დუგვიანებ, მაშინ გაიქცევა. ის ვაგზავნის ჯერ მუშებს, ისინი გამოზამავენ

ბინას, საცა რო უნდა იცხოვრონ. მოუტანენ ამბავს, აშლის დედა და წავა. აფრინდება და სულ წავლენ. ისე წავა, რო ვერ გაიგებ. თუ დაეხვია სადმე ტყეში და იპოვნი, დედა უნდა დაიჭირო, დედას ემორჩილებიან ისინი. ან თუ ფრთას ცოტას დაუსრისამ, რო აღარ გაფრინდეს.

ფუტკარი სამ ნაწილსაგან წარმოსდგება: დედა ფუტკარი, მუშა და მამალი ფუტკარი. მამალი ფუტკარი არაფერს არ აკეთებს. დედა რო მოუყვდეთ, სხვა უნდა გამოიყვანონ, ის უნდა განაყოფიერდეს ჰაერით, გაფრინდება და ჰაერში უნდა განაყოფიეროს. დედა ხუთ წლამდე ასაზრდოებს. დედა რო დაატყოფს თავის თავსა, დაბერდა, დადებს კვერცხს, რო უდღოთ არ დარჩენენ და, თვრამეტი დღის შემდეგ გამოდის დედა ფუტკარი. მამალი ფუტკარი გამოდის ოცდარი დღეში, მუშა ფუტკარი — ოცდარი დღის შემდეგ. დედას თითონაც შეუძლიან ღონიერი ფუტკარი გამოიყვანოს დედათ.

ფუტკრის ავაღმყოფობა ის არის, რომ ხშირად უჩნდება ფუტკარს, როცა რო გაუცოდება კვერცხი. გადაედება ფუტკარს მაშინ, შიგა ლება და სიმყაყე იშასა ჰქვიათ. როცა ცუდი ამინდები დაეცემა — სიცივე, ქარი, ეჭავრებათ. თბილი აედარი მაგათენ საუკეთესოა. უქარო დღეები უყვართ.

თაფლის გამოღება არის მაშინ, როცა ცივა ერთ ადგილზე; გამოვჭირთ დანით, თაფლსა ხელით ავწვეთ და სიმძიმეთი გავიგებთ, რაც ეკუთვნით, დაუტოვთ, რაც არა, გამოვიღებთ ფიჭახ, მერე თაფლს — ცალკე და სანთელს ცალკე. სანთელს მოვიხმარებთ და თაფლსაც — საჭმელათ. სანთელი ყველაფრისათვის გამოსადეგია — ზოგი ანთებს, ძაფს ესანთლამთ, ხარაზი ხმარობს, ვყიდით.

მხსნეთი

მთხრ. არჩილ ხაქარაის ძე ხამხონიძე, 50 წ. (სოფ. ტატანისი).

ადგილობრივ არსებობს ორი ჯიშის ფუტკარი — მოყვითალო ფუტკარი და მოშავო. პირველი უფრო მეთაფლეთა და წყნარი, მეორე — უფრო მკბენარა და ნაკლები მეთაფლეთ.

ხაფუტკრე უნდა იყოს სამხრეთისაკენ დაქანებული და დასავლეთ-აღმოსავლეთის ქარებისაგან დაცული ან ბუნებრივი ზღუდით, ან ხელოვნურათ.

სკები კარგია ჩარჩოთათ — დაღანზლატისა, მაგრამ კარგათ გვარობს აგრეთვე კოლაში (ამოთხრილი ხე გობივით) და ზოგან გოლორშიც (გავლესილი ტალახით გარედან).

ფუტკარს უფრო უყვარს მოყვითალო ყვავილები: გვირილა, შალგი, ქარაქენძა. რაც ადგილობრივ ბევრია. არ იწუნებს აგრეთვე ესპარკეტს და სხვა ცერცვოვან ყვავილებს.

თუ ფუტკარმა ღაღის მიწურულეებში იხარტვა, მაშინ ხშირათ გარბის ხოლმე ტყისაკენ, სადაც ღაღიანობა იმ დროს უხვია. ამ დროს მისი დაქერა ძნელდება, მაგრამ თუ არ დააგვიანე და დროზე მოუარე ან წყალი შეასხურე, დაეშება, მიუხევეა რამე მცენარეს და მისი მოთავსება სკაში ადვილია.

ჩვენში უმთავრესი ფუტკრის მკენებელი ჩრჩილია. სხვა ავაღმყოფობა — ხიდაშლეს და მისთანებს ადგილი არა ჰქონია აქ. ხანდისხან თავიცი ეძგერება ხოლმე, მაგრამ მას ფუტკრები მალე გავუდავენ ხოლმე და ამიტომ არც ისე საშიშია.

თაფლს ვიღებთ როგორც კი მთავარი ღაღიანობა მოისპობა, დაახლოებით პირველ აგვისტომდე ახლით. ხანდისხან (ფუტკარს) ფიჭებს გამოეწურათ და

ისევ ფუტკრებს დაუბრუნებთ, რომ ხელახლავ გაავსოთ თაფლით, ეს ხდება მთავარი ღალიანობის დროს, ივლისში.

თაფლი ინახება საუკეთესოდ საცხოვრებელ სახლში — ოთახში, ხის ან მინის ჭურჭლებში; ნოტიო ადგილას ფუტკრება და ძალიან ნოტიოში ფაჭების დაბეჭდვით უკრებდებიდან ამოხეუქავს ხოლმე თაფლი და იღვრება. თაფლს ვხმარობთ გამოწურულსაც ცობრუბით და ისე ფაჭას. ვაყვინებთ, თაფლის ღვინოს, რაც სასიამოვნო და მარგებელი სასმელია; მზადდება ასე: სამ-ოთხ წილ სუფთა წყალს გურევეთ ერთ წილ თაფლში, ადუღდება და დადგება მშვენიერი ყვითელი, ოქროსფერი ღვინო.

ჯავახეთი

მთხრ. ლაზარე ხუციშვილი, 48 წ.

ათი წელიწადია ფუტკარს ვინახავ, ადგილობრივი ჯიშისა. რომელიც გოკიდან გადმოვიყვანე.

ახლად გამოსულ ბარტყს ცოცხს უდებთ ან თაფლიან ჭურჭელს, რახედაც ეხვევა ბარტყები. ამას ჩაებრტყავთ ცარიელა ხაშში, ზევიდან გადავადარებთ ტილოს და სკას დავახურებთ თავზე. ჩვენ ჩარჩობიან სკებში გვეყავს ფუტკარი; სკასაც ჩვენ თვითონ უაკეთებთ. მასალა [მოგვაქვს] ბაქურიანის ტყიდანა, ჩვენებური ხა ოთხუთხია, შიგ ჩაწყობილია ფიჭიანი ყუთები მცირე ფეხებზე დაყრდნობით, რაც ნიადაზე გვაქს დაწყობილი, ზევიდან ხახურავი და წინ გამოხაფრენი კარები აქვს, რომელსაც ზაფხულობით ვუფართობთ და ზამთრობით ვავიწროებთ, იმისდამიხედვით, რო სიცხე-სიცივემ არ აწყინოს. ზამთარში სკის კარებს საქონლის ჩაკელით უგლუსავთ და სახლში შეგვაქვს.

გაზაფხულზე ჩვენში ცუდი ქარი იცის, რაც დიდ ზიანს აყენებს ფუტკარს, ჩაკერცხილ ფუტკარზე ცუდი გავლენა აქვს. საკვებათ ფუტკარი უფრო იონჯას ეტანება, სელს და პურის ყვავილს. საუკეთესო თაფლად ჩვენში ბარტყის თაფლი ითვლება, რადგან ბარტყი უფრო ნაზს ყვავილებს ეტანება საკვებათ, დედა ფუტკარი კი არ არჩევს საკვებათ მცენარეს.

ხილვის დროს, რომელ ფიჭიდანაც გამოიწურება თაფლი, ისევ იმ ფიჭას ჩაუდგამთ სკაში და თუ ფიჭა და ხანთელი გადადუღებულა, თაფლის გამოწურვის დროს სანთლის ნაწილი გამოვა და ფიჭა დარჩება. ახალგაზაფხულიდან ოჯახს დავუსუფთავებთ, დაობებულ უსუფთაობას გამოვაცილით, რაც ძალიან ვნებს ფუტკარს. იმ დროს ფუტკარს ფლარათსაც აძლევს და გააჯანსაღებლად მარილწყალს დაუდგამთ ჭურჭლით, რაც აღონიერებს ბარტყის გასამრავლებლად.

ფუტკარი როცა გაქცევას ამირებს უბინაობის გამო და ბინას დაექებს, წყლიან ცოცხს შეკვრებით უკან ვაბრუნებთ თუ რო ახლოს არის და, თუ ქაერში შორს იქნება წასული, მისი დაბრუნება აღარ შეიძლება.

ფუტკარს თავი და ჰიალუა ძალიან ვნებს, რომელიც თაფლს და ფიჭას უჭამენ სკაში.

გვალეიანი წელიწადი სპობს ფუტკარს, რადგან ყვავილს წვენს უხარშავს და უშრობს.

ნთრ. გიგო გიორგის ძე მატრაშვილი, 87 წ. (სოფ. ხანი, ბაღდადის რაიონი).

ფუტკრის ბინას ძველად როფს ვეძახოდით. ხახილავი პერანგივით გავაკეთებდით და საცერზედ იყო წამოგებული, რომელსაც პირბადეს ვეძახოდით.

ფუტკრისათვის ვაკეთებდით თხმელის, ცაცხვის და წაბლის ხეს ბინად. ჭერ გავმორავდით, ესე იგი გადავჭრიდით ხეს, მერე გავაპობდით და მერე ამოვიღებდით გულს.

ფუტკარს უყვარს მანანა. მანანა ციდან ნეშოზედ ჩამოცვინდება და ფუტკარი დააფრინდება, ნეშოს ეილებს და წაიღებს როფაში. ფუტკარს უყვარს ცაცხვის ყვავილი, [იქელის ყვავილი და შერის ყვავილი. [იქელისა და შერის ყვავილზე რომ მანანა დაეცემა, მაშინ ის ფუტკარისათვის მაწყინარია. მაგრამ ცაცხვის ყვავილზედ რომ მანანა დაეცემა, მაშინ ის მარგებელი და კარგია ფუტკარისათვის. რაც გამოყვავილდება, ყველაფერზე ახის ფუტკარი და ყვავილს შოულობს. მანანა რომ ნეშოზე დაეცემა, იმდენი დაეცემა, რომ ფუტკარს ენა ამოუტლიკავს და ენა დაუსტელებია. მანანაჰს პეტერე ნაწუმს — დილის ნაში — იმას ვეტყვით. ეს გემრიელი ნაში ეცემა ნეშოს. ფუტკარი იმას ძლიერ ერჩის. როცა ჩამოვა ფუტკარი, იმისთანა ხმას გამოუშვებს, რომ თლად დაედება.

ფუტკარი ფეჭაში ინახავს თაფლს, როფში აქვს გაკეთებული ხორაჭები; სირაქა და ფიჭა ერთია ორივე.

ფუტკარი ხანდახან გაგულისდება და გეიპარება, რატომ კი არ ვიცი. როცა ფუტკარი გაგულისდება, მაშინ მივა პატრონი — შეფუტკრე და დოუკაუენებს ჭვას და რკინას — ოოო, ოოო, ოოო, ასე დოუკაუენებენ, ან მობრუნდება და ან წავა გუალ ტერში და შევა ბლოიან ხეში და დაბინავდება.

როფში თუ მიჩენია ჭინჭველა, ფეხას დაამსებს. ყოველ განაფხულზე გაუხსნიდით ფსკას, მარტში გავწმენდავდით, თუ რამე მავნებლობა ჰქონდა შრე ნაცივი, იმას გოუწმენდავდით ნავავს ცხვირსახოკით. ერთხელ შემოგვეჩვია დათვი და დაგვიმსო ფსკა. ერთხელ ასოცი ბირი როფი ფსკა გვექონდა, მამამ დაგვინაწილაყუე, მერე შემოგვეჩვია დათვი და მთლად დაგვიმსო.

თუ ერთ ბირ ფსკაში ორი დედო ფუტკარია, ერთი გამოვა, არ განერდება, წავა და სხვაგან დაყრის.

როცა თაფლი გეინდა ამოვიღოთ, გავსნით სახილავს, ამოვიღებთ ერთ ძესამედ თაფლს და ორ ნაწილს კი დავტოვებთ.

თაფლის ფეჭვს ვიყენებდით სანთლად. ფიჭვს ჭერ გამოვზარჩავდით, გავწურებდით, დავწურავდით იმას. დანუჯვრა — იმას ნიშნავს, რომ ტუტიანი რაიმე რომ გამოიხარჩება, გავწურავთ და დეინუჯვრება და გავაკეთებთ.

ფუტკრის გოლი არ გამიგონია, არც გოლეუღი. ფიჭა — ცარიელი, უთაფლო ხანთეღია თაფლის ჩასასხმელად მოწყობილი. თაფლი რომ იქნება, იმას ეცხვით ჩვენ ხარაჭს.

ფუტკრის გამრავლებას ურას ვეტყვით. სწორედ ფუტკარი ყრის დროს გამოდის და შეიძლება დატოვოს ძველი ბინა, შეიძლება იქვე გააკეთოს ბოლა, როკზე ბინა, მოაყრის სარაქს, ამას ჩვენ ჩამოვიღებთ და ჩვეტანთ ბუჭში. ჭერ დედას შემოვიყვანთ და მთელი ფუტკრები მას შემოყვება.

1 დედანში აქაც და ქვევითაც არის — „დილის ლაში“.

აქანდყოფობა ის იცის, რომ თუ პეფელამ მოახერხა შესვლა ბუცში, დოუდობს კვერცხს; კვერცხში მატლი იცის, მატლი კი სულ შეუღამავს ფუტკარის საკვებს.

ლეჩხუმი

მთხრ. თომა სიმონის ძე ყურაშვილი, 84 წ.

ამაღლება დღეს [სკას] თიკანს შემოვავლებდით, დავკლავდით, ხშიადს გამოვაცხოზდით და თავ-ფეხზე ვილოცავდით; ხეა რომ ფერიდა, იმ ლოცავ კაცს არ უკებნდა.

[ფუტკარი] ლოფირაში გვყავდა. ლოფირას ბიყვაც ვეტყვი. მარკვე ხეს ავიღებთ და ამოვტობამთ, ამოვღარამთ კაა, ერთს ძირს დავდგამთ და მეორეს წამოვავარებთ თავზე. ისე რომ, თლათ არ მიუჭენთ პირებს, თვარა დეილუ-პება, ამოიგუდება უაეროთ. ზეით რომ წვიმა არ ჩეეპაროს, ცოტა რაღაცეებს გადავავარებთ — ყავარს ან ფიცარს. ლოფირას ქონდა დატოებული ბუზულის ხასულე. ზამთარში თავათ გამოაკავებდა ხეშიწითო ბუზული. იმ შესაძრომებს ხასულეს ვეტყვით და ხათვალეგხაც ისე ვიტყვით ზერატიმალეზო.

ლოფირას თავათ ვაკეთებთ. დიდი საქმე არაა, მისი გაკეთება; ცაცხვი, წაბლი და თხმელასი ვიცით; რგვალი ბე რომ შუა გააპო, მერე ამოყარო ორივე და ისევე შეამხო, ჰე ასეა, მეტი კი არა უნდარა. ზედაში შენობას გააკეთებს, ქვეშ ცარიელია. კუჭუი ქვეშ იყო ხარანჯის შენობი.

ხათვალეთ დამარაგებული აქვს ფეჭა. ფეჭა ხომ იცი პატარა-პატარა თვალები რომაა, ე იმაში, რომელში ხარტყობხ და რომელში თაფლს ასხამს. ორნარი ბუზულია. ერთია ხარის და მეორე მთის. ხარის ბუზული მცირეა, პატარა, მოწითანო, წაჰქელო, მთის დიდა, მსხვილი და მოშაო ფერი აქ კი არა, სულ შავია. შოღავე ამას მეტი აქვს, თაფლიც მთისა ჯობია, გრილია მეტი. მთის ბუზული უკებნარია, ამაღლებას იმას არ უყვარს ლოცვა, ხარისას კი... ბუზულს უყვარს თბილი, მყუდრო, მშრალი ადგილი წყალის დაახლოებით, სადაც ხუბიცი ბლომათაა ყვავილიანი (ეკლის ხეა კარგი, ცაცხვი).

ხანთელს ერთმანეთს უფასოთ ვაძლეედით. გაცემა არ შეიძლებოდა ხუთშაბათს და ორშაბათს, დამწველსაც არ გასცემდა კაცი ამ დღეს. ამოღებას დახილავს ვეტყვით. ტაფაზე მოუკიდებთ ხმელ სარანჯს, მისი კვამლი რავარც მოხდება ცალკე მიიწევს, ი დალოცვილი, ჩვენისას ცალკე დაგვიტოებს. ცოტა მოშორებით გოგირდს უნათებდით, რომ „ბრუნალე“ (უნასი) არ მიკარებოდა ან ბუჭინჭველა. მეთაური მიდის და მოიტანს ზღვის წყალს, დეებევიან და ყველას გუნაწილებს. მინიჭება მას რაღაცა დიდი აქვს. ვა, შე კაცო, ვიმი!.. უბუშეოს გარეთ ყრიან, დასასობი წიკარტია საკებნი. ფეხებით მოსავს ლოფირას. ძველი მეთაური რჩება და ახალი მიდის. მისში თუ იქვე ხეს სველი (შრტი) გადაასხი, როცა იყრის, იმას მიესევიან. ჩავრკეთ როფეში (იგივე ლოფი).

სახალისოთ ვინახავდით ხახაჯოს, დანარჩენს სუფთა ტილოში ცეცხლზე გაწურავდით. ცალკე თაფლი მიდის, სახაჯო რომ რჩება, იმას ცალკე ვაკეთებთ.

მთხრ. ქიშუარდი გარდაფხაძე, 75 წ. (ხოლური — სოფ. ლევშიერი).

იმ ადგილს, სადაც ფუტკარი ჰყავთ ხოლმე, ეძახიან ლალობა-ს, თვით ფუტკარს კი — ლაღბ — ბუჭჭლა-ს; დედას — დი ბუჭჭლი, მამას — უფი ბუჭჭლი; მუშა ბუჭ — მუშა ბუჭჭლა-ს, არა მუშა ფუტკარს კი ეძახიან ჭულ-ს.

სკა — ღობრა წარმოადგენს მრგვალ, შუაზე გაპობილ ხეს, რომლის სიგრძე ხშირად უდრის ერთ-ნახევარ ალაბს ან ნაკლებს, სიგანე კი ერთნახევარ მტკაველს. ამ შუაზე გაპობილ ხეს გულს ამოაყლიან ხოლმე ნაჯახით, შეაღამახებენ ეჩოთი (ჩორთად) და ერთიმეორეზე დაადებენ; გაუყეთებენ ორივე გვერდზე ბუჩის შესასვლელს — ხგა ღაზ-ს. უნდა დაიდგას მზიან ადგილას, ღამჯუ-სა, და ცდილობენ [ეგრეთვე] ხეხილთან ახლოს იყოს. ღობრა-ს აყეთებენ უმთავრესად ბელეყი-ისაგან, თხმელისაგან, რადგან უფრო რბილია, ადვილად გასათლელია და სითბოს კარგად ინახავს, თან ბევრიც იშოვება. ზედა და ქვედა ნაწილებს სკიას ეძახიან ფიბე ო ჩუბე ღობრა, სახურავს — ნარქველუნ-ს, ახურა ყავრი ან კა, ან კიდევ ცაცხვის ქერქი, რომ წვიმა არ ჩავიდეს. ძირში „ლენკერი“-ს უყეთებენ, ნაპირში — პატარა ნახვრეტს, თუ წვიმა ჩავს, იქიდან გავიდეს და კიდევ, ფუტკარმა ზედმეტი სიბინძურე გამოყაროს გართ. ფუტკარის საყვარელ საყვებად ითვლება ცაცხვე მუღჯა (ცაცხვის ყვავილი), სხვადასხვა ხეხილის ყვავილი, ადრა — იელი; როგორც ამბობენ, ძალიან ეტანებიან სამყურა ბალახსაც.

ლალობა (საფუტკარი) სუფთად უნდა იყოს შენახული, ახლო-მახლო ბალახი არ უნდა გააჩერონ, არ [უნდა] აწვიმდეს; ღობრა მალღობზე უნდა იდგეს, თავბოლოში ქვებზე დაყრდნობილი.

მაისში და ივნისში ფუტკარი იშვრინე (იყრის) და ამისათვის წინდაწინ ახალი „ღობრა“ მზად აქვთ. როცა ფუტკარი იყრის, აუცილებლად ახლო მდებარე ლაბეს ან ხეს მიესვრა ხოლმე, ან კედელს, ამიტომ, თუ ბეზუა, ამ ხის ტოტს რამოსჭირან და „ღობრა“-ში ჩაყრიან უცბათ, სახურავს დაახურავენ; ან კედლიდან ცოცხით ჩაყრიან სკაში; იმისათვის, რომ ფუტკარი აყრის დროს შორს არ წავიდეს, მას ხელით აყრიან მიწას იმ მიმართულებით, სითაც მიფრინავს ფუტკარი და ამ საშუალებით უკან აბრუნებენ, რომელიც კედელს ან ხის ტოტს მიაჭდება. ხშირად, იმ მიზნით, რომ ფუტკარი აყრის დროს შორს არ წავიდეს, ასეთ ხერხს მიმართავენ ხოლმე: გამოიტანდნენ ქალის ქვემო საცვალს, გაშლიდნენ, ააფრიალებდნენ და ფუტკარი უსათუოდ უკან დაბრუნდებო, ან საცვალს მიეკვროდა, ანდა კედელს, საიდანაც შემდეგ ჩაყრიდნენ სკაში.

თაფლის — თფი-ს — ამოღება იციან წელიწადში ერთხელ: ან შემოდგომაზე — წიფობისთვის, ანდა გაზაფხულზე — მარტში. თაფლის ამოღების დროს საჭიროა ორი კაცი, რომ ასწიონ „უიბე ღობრა“, რომელიც მიწებულულია ქვემოზე ფიჭით, ამ დროს საჭიროა ღონე, რომ პირველი მოაშორონ შეორეს. ზედა ნაწილის აღებისას გულაღმა დასდებენ და ჩოგნით ფრთხილად იღებენ თაფლს, რომელიც მხოლოდ ზედა ნაწილშია და არა ქვედაში. თაფლს აკლიან მხოლოდ ერთ მესამედს, ორ მესამედს კი სტოვებენ. ამ პროცესს ეძახიან ლიხლაფი-ს ფიჭას, რომელიც საუესეა თაფლით, ეძახიან ფარ-ს („სარაქა-ს“); ფუტკარს ფარ-იდან კოროლის ცოცხის საშუალებით ხვეტენ ღობრაში, რომ არ გამოჰყვეს თაფლს.

ცარიელი ფიჭა — ფიჭ. ფიქიდან აღნობენ ჭვიდ-ხ (სანთელს) ასეთი წესით: ჭერ თაფლიან ფარ-ს დაადნობენ, ცოტა წყალს დაასხამენ და წამოაღლებენ, შემდეგ გადგამენ გასაცივებლად. თავზე გაიკეთებს სანთელს, რომელსაც ხელით აიღებენ და ქვაბში ჩასდებენ, მას მიუმატებენ ცარიელ ფიჭას, ჩაასხამენ წყალს, ააღლებენ და გასწურავენ, შემდეგ გააცივებენ, რის შემდეგაც ის თავზე მოიგდებს სანთელს, რომელსაც მეორეჯერ გადაადნობენ და თვით ქვაბში გააცივებენ. ეხლა უკვე საბოლოოდ ამოიღებენ ქვაბისიდანა სანთელს — ჭვილ-ს. ქვაბში რაც დარჩება, იმას ხელახლა გასწურავენ და საბოლოო ნარჩენს არტაჟ-ი ხმარობენ ფაფად.

სანთელი ძალიან ძვირად ფასობს სევანეთში; ხშირად ჰყიდიან ხოლმე სვახები ლეჩხუმში, ოჯახშიც ხმარობენ დღესასწაულების დროს. თაფლიც, თუ ზედმეტი აქვთ, რაც იშვიათია, ბაზარზე — ლეჩხუმში წილიღებენ ხოლმე, თუ არადა შინ ხმარობენ, უფრო ხშირად არაყს ჩაურევენ, ან რანგს გააკეთებენ.

სევანეთში ძალიან უფრთხილდებიან ფუტკარს ავი თვალისაგან, რომელიც მათი აზრით ანადგურებს მას, არ ახეირებს, აგრეთვე ქალისაგან — განსაზღვრულ დროს ძალიან დაეკულია საფუტკარე; ამიტომ არის რომ ფუტკარის მომვლელი სევანეთში მამაკაცია, რომელიც ცდილობს ნაკლებად გააყაროს ქალი საფუტკარეს.

ზომო საშვებრელო

მთხრ. ხაყვა ფიფია, 94 წ. (სოფ. წყაყა).

ძველათაც, მე რომ მახსოვს. ხყა (ფუტკარი) ქოფეში (როფი) გვეყავდა. ქოფესათვის შუაზე გაჩეხავდით ხის მორს, ამოვლებდით გულს. მერე ამ ნაჭრებს დაეწყობდით ერთიმეორეზე (ეკვობხანდითა, ეკობხაფა — პირებით ერთიმეორეზე დაწყობა), გაუკეთებდით გამოხვავალს, რასაკვირველია, სანამ შიგ ჩავებრტყავდით (ქიგეორაფანდით) ფუტკარს და [მერე იწყებდა] მუშაობას.

ფუტკარი აკეთებს თოფურს (თაფლს). ფუტკარი თაფლს ფარახში (ფიჭაში) ასხამს, რომელსაც აგრეთვე თვითონ წინასწარ აკეთებს ხოლმე. თითოეულ ფარახს თაფლით რომ გავსებს, თავს კარგად მოუღვსავს, რომ თაფლი არ დაიღვაროს. შუა ოქტომბრის (გუგამაუთა) მერე თაფლს გამოვიღებდით (დობწონუნდით, წონუა — აწონვა, ამ შემთხვევაში თაფლიან გადმოვლებდა). ფუტკარს ოსქილადარებს (სარჩოს) დაუტოვებდით, დანარჩენს გამოვიღებდით. ოწონალო (გამოსაღებად) ჩვენ ეხმარობთ რკინის დანას, მჭრელ დანას. [დანიი] მკვერით ხოლმე. თაფლით გავსებული ფარახები ერთად შეადგენენ ხარანჯის. გამოვლების დროს წინასწარ ფორტის (ხის დაფულუროებული ძირკვი), ან ძროხის ხმელ ფუნას (მსხვილი რქოსანი საქონლის პაცივი) მოუკიდებთ ცეცხლს და შეუბოლებთ ხოლმე. გამოვებული სარანჯის ნაწილს სტუმრისათვის — გამოუწურავს (უჭყინჭყოლო) შევიწახავდით, ხოლო დანარჩენს ჩაყვრიდით დიდ კარდილაში (ქვაბი) და ჭობით კარგად მოვხელავდით ხოლმე. ამის შემდეგ ცეცხლზე ჩამოვკიდებდით და, კაცის ხელს რომ მოთმენა შეუძლია, იმ ზომამდე შეგვაცხელებდით და ხელით გამოვწურავდით ხოლმე თაფლს. გამოწურვის შემდეგ თაფლს ცალკე შევიწახავდით, ცუხს (ცვილს) — ცალკე. ამის შემდეგ ფიჭას ცალკე ჩაყვრიდით ქვაბში და კარგა ვაღლებდით და რომ მოიხარშება (დეფახუნს)... მოყვითალო ფერს გადაიყრავს ხოლმე. ამის შემდეგ გვაქვს კიფის (კანაფის) ნაქსოვის ჩახვიე და მღულარე ცუხს

შიგ ჩავსახამთ. აქ ხანთელი წურწურით გამოდის, ჩახვიეში ცუხი რჩება ხოლმე. სანთელი ჩქარა ვაცივდება და ის მზათ არი.

ფუტკარი პეულეობით (ყვავილით) იკვებება. ვანსაკუთრებით უყვარს ცხაცხუ (რცხილის), ლაკაციის (აკაცია), ხემა (ხურმა) და სხვა ყვავილი. როდესაც ფუტკარი ცერება და მიდის, ვაშინათევე ვაწყობთ ახალ ქოფეს. ავლებთ ორ ქვას და ერთიმეორეს ვურტყამთ და თან უმღერით (უბირთ, ბირა — სიპლერა) უ-უ-უ-უ. ახლად გაყრილ ფუტკარს დედა ჰგონია და ყველანი შიგ ჩაცვივიან.

კვამრო სამებრელო

მთხრ. აღექსანდრე გოჭახ ძე კუტალია, 77 წ. (სოფ. ლორჩვის უბანი, ხობის რაიონი).

ჩვენში მეგრული ჭიშის ფუტკარი იყო. ფუტკარი იყრიდა აპრილში და მაშინ უნდა დაგვებინავებინა ქოფეში. ქოფეს ასე ვამზადებდით: მოვჭრიდით ხეს და დავეხრახვედით ნაწილებად, თითო[ს] ერთი ან ერთ-ნახევარი მეტრის სიგრძის[დ]. თითოეულ ნაწილს სიგრძეზე გავჭრიდით, ორივე ნაწილს ამოვუღებდით გულს. ქოფესათვის მასალად ვიღებდით ცაცხვს ან თხმელას, რადგანაც რბილი ჭიშებია და გულის ამოღება უფრო ადვილია. ქოფეს ზევიდან ვახურავდით ქერქს, რომელსაც ვეძახდით ოფეჩხ. ქერქს უფრო აკაციისას ვიღებდით, რადგანაც მას ქერქი ადვილად სძვრება. ზამთრისათვის ქოფეს ძროხის პატრვით შევლესავდით, რომ სოცივე არ შესულიყო. ასე შელესილი იყო სოემბრიდან ოთხი თვე. შემდეგ გაზაფხულზე მოვწმენდით და ჩავხუდავდით, რა მდგომარეობაში იყო. თუ თაფლი არ ჰქონდა, მივცემდით შაქარს, დავასხამდით წყალს და ისევ დავახურავდით სახურავს. ივნისში ისევ ეხსნიდით და ამოვიღებდით თაფლს. როდესაც ფუტკარი იბარტყებხ, მაშინ მისვლა ქოფესთან შეუძლებელია. ქოფე როდესაც ფუჭდება, ფუტკარი თვითონვე აწეებხ. ფუტკარს თავისი მტერი ჰყავს: ფუტკარს ხანდახან უჩნდება გემა.

მთხრ. ბიბო პავლეს ძე ანაკიძე, 45 წ. (სოფ. მარანი, აბაშის რაიონი).

ჩვენში სენური ჭიშის მონათესავე მეგრული ჭიშის ფუტკარი იყო. ფუტკარი გვეყვდა როფოში (როგო). როფო ამოტეხილი მორი იყო. ფუტკარს თავის როფოთი ვეძახდით ბუჯხ. ახლა ფუტკარს უფრო გაუმჯობესებულა ბინა აქვს. ეს ბინა გაკეთებულა ფიცრებისაგან, ექვსი კედელი აქვს. ვაკეთებთ თხმელისაგან და ალვის ხისაგან. ხეის ბუდეში ხდება ფუტკარის აღზრდა, საზრდოს შენახვა და გამრავლება; ხაკუჭნაოში ინახება ზედმეტი თაფლი. სკას სახურავის ქვეშ მოთავსებულა აქვს ხალიში, რომელიც იფარავს ფუტკარს ზამთარში ზედმეტი სიცვიისაგან და ზაფხულში ზედმეტი სიცხისაგან. ხეის ძირს წელიწადში ორჯერ ვასუფთავებთ.

ფუტკარი ეტანება შვინდის, თხილის, თხმელის, ალუბლის და აკაციის ყვავილებს. ზოგჯერ ფეჭახ ადამიანი ხელოვნურად აკეთებხ.


ხდება, რომ ფუტკარი ბინას მოსცილდება. ეს ხდება იმ მიზეზით, რომ ფუტკარს ბინა არ მოეწონება, ან გაუჩნდება ჩრჩილი და მკებნარი.

თაფლს ვიღებთ ივნისში და ივლისში. ვიღებთ მთელ ჩაჩხოვხს. ჩაჩხოვხს ჩაველებთ ციბრუტში. თაფლი გამოიწურება ფეჭის დაუზიანებლად.

ჩარჩოს ისევ ჩავდგამთ სკაში. ფიჭვას გადავადლებთ და ვხმარობთ ისევ ხელოვნური ფიჭვის გასაყეთებლად.

მთხრ. ეკა ვაჩიას ახ. კილახონია 80 წ. (სოფ. ზემო ლედგები, დიდი კყონის რაიონი).

როდესაც სკა იყრის, ერთ ბუკში დასაბინავებული ფუტკარი მოფრინდება ხეზე რკუად (გროვად). მოვამზადებთ როფებს. როფე თხმელის ხის ორად



სურ. 3 სკაბი

ანოტოხილი მორი არის. დგას ორად გატოტიანებულ ორ წაბლის ტოტზე, რომლებიც მიწაშია ჩარჭობილი.

ფუტკარს ხიდან ასე ვხსნით: მივიტანთ ახლო კალათას და გრძელი ჩოხით ჩამოვებერტყავთ, შემდეგ კალათიდან ჩავებერტყავთ როფეში. ამ მუშაობის დროს თავი და ხელები შეხვეული გვაქვს.

ზემოდან როფეს ვახურავთ ან ფიცრებს, ან წაბლის ქერქს, რომ დაცული იქნეს სიცივისაგან. როფე ათი-თორმეტი წელიწადი სძლებს.

თებერვალში სკას ვწმენდთ ბურღუსაგან (მატლია). აგვისტოს თხუთმეტიდან გამოგვაქვს თავლი (იწონუ თოფური). თავლის ამოღების დროს ვიკეთებთ პირბადეს და ხელბადეს. ხელში ვიღებთ ხაკვამლეს (ჭურჭელი, რომელშიც ანთებული¹ პატივია). როფეს გადმოვებარუნებთ და მივიტანთ საკვამლეს. ფუტკარი ძირში ჩავა, შემდეგ მოვხსნით თავს, დანით გავჭრით ფიჭვას, ამოვჭრით მოკაუტებულ რკინით და ცოცხით ფუტკარისაგან ვასუფთავებთ. ამოვჭრით ფიჭვას ვაწყობთ ქვაბში. თავლიან ფიჭვას ვწურავთ ფორჩას საშუალებით. ფორჩა სუსგან (სელისაგან)² დამზადებული ქსოვილია. ფორჩაში დარჩენილ ცუხს (ფიჭვას) გადავადნობთ — ხანთელს ვაკეთებთ.

ხდება, რომ ფუტკარი იაყრება და გაფრინდება. ამის მიზეზი ის არის, რომ ფუტკარს ადგილი არ მოეწონა.

¹ დედანშია „მოკიდებული“.

² სიტყვა „სელისაგან“ დედანში ჩამატებულია იგი: ჩავახშვილის შიერ.

ჩვენში აშენებენ ადგილობრივი ჯიშის ფუტკარს და აბინავენ ბუკში.

საფუტკარეს სახელები: სკეს ეძახიან ჩვენში ფუტკარს, ფუტკარის ბინას ეძახიან ბუკს, ან როფს. როგო ეწოდება თათრულ ბუკს: ღრუიან ხის მორს გამოუკეთებენ თავს და ბოლოს და შიგ დააბანავენ სკას. ამგვარ ბუკს ეძახიან კიდევ ორთუმელს, რომელშიც აბინავენდენ სამარაველებელ სკას. ორთუმელი იყო დაყუდებული.

ფუკა და გეჭა არ ვიცი.

ფუტკარი რომ ბუკში დაბინავდება, იმწამსვე დაიწყებს ბუკის ღია კედლებს (ქვეშურტანების) დინდგლოთ გამოლესვას, სტოვებს ღიად მარტო შესასაღლეს — ვიწრო ჩიტინას (კარს). დინდგოლა არის წებოს მსგავსი ნივთიერება, რომელსაც ფუტკარი თვითონ ამზადებს და ხმარობს ბუკის გასალესად შიგნიდან. როცა ბუკს გამოლესავს, იწყებს თავლის კეთებას.

ბუკი არის დიდი ხის მორი შუაზე გახეთქილი და გულამოჭრილი, ერთიმეორეზე დადებული გრძლად მომალლო ბორჯგებზე ან ხეზე გადობილი ტყეში. ხშირად სკის ბუკებს აწყობდენ თვით ეზოში ცალკე ყუდროში, ან ცის ქვეშ. ძველად ბუკებს დგამდენ ტყეში მაღალს წიფლის ხეზე, არჩევდენ შოტაელ წიფელას (მოტიალი — უბოლო-უტოტო), რომ დათვის არ შესაღებოდა ზედ ასეა. ასეთს წიფლის ხეზე ასეა მეფუტკარისათვისაც საძინელო იყო, მაგრამ მეფუტკარე ასეთს ხეზე ადიოდა ამგვარად: მეორე ახლოს წიფელზე ადიოდა ერთი ამბანაგი და იქადამ შოტიალამდგარ წიფლის ბოლზე (ტოტზე) გადასვრიდა მახვილი, ფრთელს ბაწარს (თოკს) და ჩამოუშვებდა ძირს (ზედ ქვა ეყიდა სიმძიმისათვის), მეორე ამბანაგი გამოიბამდა წელზე ამ ბაწარს და ამის საშუალებით ადიოდა ზევით წიფელაზე. მერმე ამავე ბაწარს ჩამოუშვებდა ძირს და მანდ გამოიბამდენ გამზადებულს ბუკს და ასე აიტანდენ ზევით წიფელზე. იქ დადგამდა მეფუტკარე წიფლის ტოტზე და მიამარებდა ზედ. მერმე იმავე ბაწარით ჩამოუშვებოდა ძირს.

ტყეში ბუკს იმიტომ სდგამდენ, რომ, როცა სკა ყრიდა, დაშრებო სკა ახალი ბინის ძებნის დროს შეამკვლევდა (იპოვნიდა) ამ ახლად დადგმულ ცალკე ბუკს და იმწამსვე გადმოიყვანდა სკეს ნაყარს და ეს ნაყარი დაბინავდებოდა ამ ბუკში და დაიწყებდა მუშაობას. ტყეში ამგვარს მაღალს და შოტიალ წიფელაზე დათვი ვერ ავიდოდა და ვერაფერსაც ვერ ავნიებდა სკას (დათვი სკას მტერია). როცა სკა თავლს დაამზადებდა და სკეს ხილვის დრო მოვიდოდა, მეფუტკარე ავიდოდა ამ წიფელაზე ისევე მეორე ხილვან გადმოშვებული ბაწარის საშუალებით, აიტანდა ბაწართვე ზევით კარდალს, დანას და მასთან ფოუოს ცეცხლს; შეუფუტებდა სკას და გახსნიდა ბუკს, ამოსჭრიდა ბუკიდან თავლიან ფაჭებს, ჩააწყობდა კარდალში და ჩამოუშვებდა ძირს ბაწართვე და შემდეგ ისევე დახურავდა ბუკს და ჩამოვიდოდა თვითონ ძირს.

ეზოს ბუკების თავლის ხილვაც ამგვარადვე ხდებოდა ფუტკებს (ბოლის) საშუალებით. ორივე შემთხვევაში დადძალი სკა იხოკებოდა ხილვის დროს. ფუტკარის საყვარელი ყვავილები: ცაცხვის ხეს, აკაცხის, შიშინარა ხეს ყვავილები (დილით მზის ამოსვლამდის უნდა ისარგებლო, ვინაიდან მზის ამო-

სკლისთანავე ის იხუჭება), იონჭახ (ბალახი) ყვავილი, ქურჩუმელახ (მცენარეა) ყვავილი, ხამურა ბალახის, წყავის, ხუროხ, ბარდის ყვავილი. თხილის და ხაპის ყვავილებიდან აგროვებს მტყერს. გოლეული — ფაჰა თაულანის; ფიჰა — უთაფლო, ცარიელი სანთელი.

თაფლს ჩვენში იყენებენ უსოფარი დროიდან საქმელად და სამკურნალო წამლების დამზადების დროს. თითქმის ყველა წამლები, რომლებიც სწებებულია ძველს კარაბადინებში, მზადდებოდა უმეტეს ნაწილად თაფლზე.

თაფლოდან დამზადებულს საქმელს — ხაფიხს აკმევენენ ზელოვინე ქალს (წმობიარობისას). ხაფიხს ამზადებდენ ამგვარად: ნელთბილ თაფლ-წყაში აურევდენ პურის ან ლომის ქვილს და ააღულებდენ; როცა დამუშავებოდა, მიართმევდენ ზელოვინე ქალს, რომლისთვისაც ეს იყო ნიყიერი და მარგებელი საქმელი.

ფუტკრის გაფრენის მიზეზი. ბუკიდგან სკის გაფრენის მიზეზი უნდავრესად არის ჩინჩი. ჩინჩი ერთგვარი მატლია, რომელიც ჩნდება ბუკში პეპელას ნიერ ბუკში დაყრილი კვერცხებისაგან; როცა ეს გაჩნდება ბუკში. სკა იმწამსვე აიყრება და გავა ბუკიდგან. მეორე მიზეზი არის ვრთნადრი მწერი ზაფი, რომელსაც ჰქვია ფუტკრის მგელი. ეს არის ტანად დიდი და თუ ბუკში შეიპარა, ანადგურებს ბუკს; როცა ფუტკრები ამას გაჩვენებენ, აუტეხენ იმს, დაუტევიან და თუ მოერაენ, დაახრჩობენ, შეგნეულობას გამოწყწნობენ და ერთს კუთხეში მიართმევენ და იქ დინდგილათა შეახეუვენ თუ გარეთ გატანა ვერ მოახერხეს. ხშირად ბუკს თავიც ესტუმრება და თაფლს გაანაუგურებს, მაგრამ ფუტკრები ამასაც ხოცავენ და იქავე კუთხეში მიართმევენ (გარედ ვერ გაიტანენ), ამასაც დინდგილათი შეკრავენ, რომ სუნი არ გაუშვას. დინდგილათ შეფისული თავი სუნს არ გაუშვებს. თუ სკა მტერს ვერ გაუმკლავდა, სკა თვითონ სტოვებს ბინას და გაფრინდება ბუკიდგან. ახალი ბინის საძებნელად გაუშვებენ რამოდენიმე სკას, რომელსაც ჰქვია დაშრები და როცა ტყენი ნახავენ მოხერხებულს ბინას ან ხის ღრუში, ან ცალიერ ბუკს ეზოში, ან ტყენი წიფლებზე გაღებულს, იმწამსვე გაიყვანენ დედა ფუტკრის და ნილიან ახალ ბინაზე და იქ შეუდგებიან ბუშაობას. როცა ბუკში სკა მოაწლავრდება, მეორე დედას გამოიყვანებენ და ამ შემთხვევაშიც სკის ნაწილი ბუკიდგან გამოფრინდება და მეორე, ახალ ბინას მოსებნის და იქ დანიავდება. ამას ჰქვია სკამა ფარაო.

ხშირად სკას ესწინს სხვა მებზობელი ბუკიდგან (სადეფტკრედგან) ჯგუფი სკაი, რომელსაც ჰქვია ჭურუმი. თუ სძლია ჭურუმმა, ბუკში თაფლს შეუქამს და სკასაც გაანადგურებს, მაგრამ უამბდურ სკას ბუკი ყოველ მხრივ გაღოსილი აქენ და კარებთან დარაჭები ჰყავს დაყენებული, რომელიც როცა შეამჩნევს ჭურუმის თავდახმას, ატყობინებს ამხანაგებს და იცავენ თავს. ბევრი ისოცება ამ დროს. და თუ ვერ სძლია ჭურუმმა, მიბრუნდება უკან.

სკა ტოვებს თავის ბინას იმ შემთხვევაშიც, როცა ბუკში ჩნდება ავადმყოფობა ხიმუყე და ამით ბუკში ცუდი სუნი დგება; ამას გარდა, როცა სკაში ჩნდება ნაენებლები, როგორიცაა ტილი, რომელიც უსუფთაობით უჩნდება სკას და ჰეპელა, რომელიც ჰყრის ბუკში კვერცხებს და ამიდან უჩნდება მატლები. და ბოლოს ფუტკრის მგელი — დიდი ბზიკი, თუ შეეპარა ბუკში ანადგურებს თაულსაც და ფუტკარსაც.

თუ სკა ბუკიდგან გამოფრინდება მთლიანად და სხვა ბინის ძებნა დაიწყოს, მისი დაბრუნების საშუალება არის ბუკის სისუფთავე; ბუკი უნდა გასუფთავდეს ძალიან. სკას უყვარს ლომონის სუნი — საჭირთა რამოდენიმე ხაჭერი ლიომონი ბუკში დაიდვას.

როცა სკა გამოდის ბუკიდგან ჭგუფად, ის მიყრის მახლობელ ხეზედ და იქიდგან რომ არ წავიდეს შორს, მეფუტკრე წყალს აშეშებს ხელთოფე-
ლათი და თან ტასს ან სხვა რამეს ურახუნებს. სკა ერთად უფრო შეჭგუფ-
თება და მეფუტკრე გადის ხეზე (სადაც სკა მიყრილია) გიდლით და ჩაყრის
გიდელში და ახალს გასუფთავებულს ბუკში ხელახლა დაბინავდება, თუ ბინა
არ მოეწონა, ხელახლა გამოდის ბუკიდგან და ახალ ბინას დაემგბს.

თაფლის გამოყენება: თაფლი იხმარება საკმელად და ხმარობდენ ძვე-
ლად სოფლის წამლების შესამზადებლად, ფიჭა — თაფლის სანთლის დასამ-
ზადებლად, სანთლის განაწურა, რომელსაც მცუხი ჰქვია; იხმარება ჩვენში
სანთლის არყის გამოსახდელად, რომელიც ძლიერ სასიამოვნო სასმელია და
მარგებელიცაა.

ხანთლის არაყი მზადდება ამგვარად: აიღე თაფლისაგან ყოველივე ჭურ-
კლის ნარეცხი — დანისა, კოვზის და სხვა ჭურჭლების ნარეცხი, რაც თაფლი-
საგან გასერილია თაფლის გამოწურვის დროს. დააყენე მისგან შეზავებული
თაფლ-წყალი, სასმელად სასიამოვნო და ტკბილი, ჩაყოლო ნახევარი გირ-
ვანქნა წონა თათლიანი სანთელგამოუდნობელი ფაჭა პატარა ნაქუცებად
(ნაკვრებად) ქუეული, შეურიე ამაში ფიჭის ნახარში წყალი, სანთლად რომ
მოხარაშე ისა. ჩაასხი თიხის ჭურჭელში; ორი დღის განმავლობაში საღაპო-
ობით აურიე ჭოხით კარგად, რომ ფიჭები თავზე არ მოიკრიფოს. მესამე საღა-
პის კიდევ აურიე, დაახურე თავზე, რომ სუნე არ გამოვიდეს და ამყოფე ასე
თერათმეტ-თორმეტი დღე. მეთორმეტე დღეზე ახადე ბრთხილად თავზე და
დააყურე — დუღს თუ არა. თუ კიდევ დუღს, ერთი დღე კიდევ დააცადე,
შემდეგ კიდევ დააყურე და თუ კიდევ დუღილი არ გაუთავებია და კიდევ
ცომციმებს — აურიე კარგად და მეორე დღეს გამზადე არყის გამოსახდელი
მომწობილობა და გამოხადე. თუ გადაგიცილდა, გაფუჭდება და არაყი აღარ
გამოიხდება.

თაფლის ხანთლი მზადდება ასე: წინეთ აიღეთ თაფლისაგან განაწურა-
ვი ფაჭა, ჩაყარეთ წყალში, დაადგით ქებათ ნელ ცეცხლზე, ადუღდება და
ურეუთ ხის ჭოხით მანემდის არ შეაბყობთ, რომ ფაჭა სრულიად არ დადნე-
ბა; აიღეთ თხელი ტილოს ტომარი (კუმტულიანი), ჩაასხით შიგ ერთად, დაი-
წურება სანთელი ქვეშ შედგმულ ჭურჭელში. დაყოვნეთ ერთ დღეს და და-
შეს. გაცივდება. დაგროვილი ჭუჭყი უნდა მოაცილოთ დანით და შეშდეგ კი-
დევ გადაადუღებთ. ამას ჰქვია სანთლის გადახალისება, რაც ჭურჭელშიც
გინდა, იმაში ჩაასხამთ და სანთელი იმ ფორმას მიიღებს და მზად არის.

თაფლის მღება ასე: **თაფლის გოლები** (ფიჭები) უნდა დასწერით ხე-
ლით და მივიღებთ თაფლს უნდა ეცადოთ წყალი არ შეურიოთ თაფლს, თო-
რემ ამჟავდება. გაწურვის შემდეგ რჩება ფაჭა, რომლისგანაც ვღებულობთ
სანთელს. სანთლის გადადნობის შემდეგ რჩება მცუხი (სანთლის ჭუჭყი).

აშარა

მთხრ. მუჰამედ ნაყაშიძე, 25 წ. (სოფ. წყაროთა, ხულოს რაიონი).

ფუტკარი არის ბუკში, სკაში. ბუკათ ხე ვარგა ცაცხვი, კატარი¹ და
თხმელად. მოხევე ერთ ფხარ ცაცხვს, თხმელას ან კატარს, მერე გააპოფ შვა-
ზე და ამოჭრი ორნივეს, ზედას და ქვედას, დაამურავ ერთიმეორეზე და დუ-

¹ კატარი — ფიჭვი (აქედან [მომდინარეობს] გეოგრაფიული სახელი ბახმარის მახლობ-
ლად აქარელთა საძვარი იდგილისა კატარიანი).

ტევ პატარა შეხვავალს წინ. აქედან შედის და გამოდის ფურტკარი. შესავალი ორ-ც შეიძლება. ბუკიზა ვარგა ხე ნელლიც და ხმელიც. ხეზუდაც შეიძლება მისი შემოდება და მიწაზეც, ბოვას გუჯეთეფ და ზეთ დადებ ბუკს. ხეზე საკოპავი ბაწრით ევტანთ. კაცი ავა ზედან, თოკი აქ ატანლი. ბუკზე მობმულია თოკი. ტანზე გადაადებს იმ თოკს და გინდა, ქვევიდან დასწევს და ედგანს, გინდა — ზედიან. რომ ედგანს, ბუკს დადებს, წყვილათ რომ ზოლები იქნება, ორი ტანი რომ იქნება ერთათ.

სკა და ბუკი ერთია. ბუკს ეზოთ ამოეთლით. ბუკი — როგო ცარიელია, სკა — ფურტკარი რომაა შოთ ისეა. ექვისი თავი სკაი მაქო, ექვისი თავი ბუკი მაქო. იტყვიან².

ფურტკარი ერთი ჭიშის გვყავს — წითელი თაფლი იცის. როცა მართვე, ბარტვი გამოვა — მისში, როგორც გიდლის კუნძულო იქნება დაკიდებული, ისე ხეზე. მერე ცოცხით წყალ ჰუასხამთ და გაბუედება ისი წყლით, მერე ცოცხით გავყრით კოდში. კოდლიდან მივტანთ და ჩავყრით სკაში და დავა-ზურავთ თავს. მართვე რომ გამუა, დედა დარჩება. მართვე მისში ყრის. მერე დედა რომ გათება, ძველი დედა გავა. თუ არ გავიდა, მაშინ ახალი დედა ჭრის ძველს, ყრის გარეთ და არ შამუშვებ.

დედა ფურტკარი გრძელია და უფრო დიდა. მართვე რომ გავა, ლეგენზე — ტამბზე დავარახუნებთ, დავაწკარუნებთ და რუწკარუწკზე დაბრუნდება. რომ გავა, ხეზე წავა და ზოგჯერ ხის ღრუებში იკეთებს ბუდეს და ავა ზეფურტკარაჲ იქნება. დასაბუდებლად უყვარს წიფელა. ფურტკარი ყვავილს ჭამს (შეკრის, წყავის, ბალახის — ყველაფრის ყვავილს ჭამს), ბეოლას — დამწიფებულს.

ფურტკარი პირველათ ფუჭს აკეთებს და მემრე თაფლს ჩაასხამს შიან. ფურტკარს აწყენს ხაკივე. ზამთარში გამოსავალი არ უნდა ჰქონდეს. ამოგლისო უნდა, რომ ჰავრმა არ იმუშაოს. იმას აქ იმდენი თაფლი დაუტოთ, რომე გაზაფხულამდე ეყოს. ჭამს შიან და გადარჩება.

თაფლს ებრძვის: ჭიანჭველა, ყავი, კვერნა, დათვი. დათვი ზამთარში ავლებს ხიდან ძირს ბუკს და ჭამს თაფლს. კვერნას ხუნდს დუწყით და ჩავარდება შოთ. დათვი უნდა მოკლა.

თაფლის გამოღებას სკას ხილვა ქვია. დავყრით ნაგულას რამეზე, დავანთებთ ცეცხლს და ამის ფურტს მივცემთ ბუკს, ერთ თავს უწევ და ისე ასწევ ერთ თურეფს და ორ წილს გამეილფ, ერთს კი დატევ. ცულ ფურტკარს სულ არ ვხილავთ. ნახილავს გადავადნობთ ცეცხლზე ქვაბში, გავწურავთ ჩახეში³ და გევა სუფთათ თაფლი და დარჩება ფუჭი. თაფლს ჩავასხამთ დერგაში, მტვრავთ მავრა თავს, რომ ჭიანჭველა არ შეიპაროს. ჩახეში რომ დარჩება, იმას წყალს მტმარეფ, ვადუღეფ კიდო, გამოწურავ ჩახეში ისეც და დარჩება ფუჭი, წვენი რომ გვეიდა, იგი გაცივდება და შეიყენებს სანთელს. დარჩენილი წყალი სანთლის წვენია.

თხელი თაფლი რომ დარჩება ბოლოს, იმა შიანაჲ ქვია.

² გევა და ფურტკარის ჭიშები არ იცან.

³ აღმოსავლეთ გურიაში — ხელფურტკარი.

⁴ ჩახევი — ტილოს პატარა ტომარა.

მთბრ. ისახე დღეიანი (სოფ. დიდვაცე ზერაბოსელის სასოფლო საბჭო, ქობულეთის რაიონი).

მოვსჭრით ხეს, გავხვეთ ხუთ ტკაველზე, დაგვრავთ ცულს და გავაპობთ. ვულს ამოვჭრით. სკის ეჩოათ ამოვსწმენდ და იქნა ბუჯი. ბუჯი ხეზეც დეიდემბა და ფოლგან, სადაც მოხერხთება. ხის ბოლზე შამოპკრავს საყოლს⁵ კაცი. საყოლის ერთი თავი ჩამუა ძირში, მოკიდებს ხედს და წავა ზეით. მიერე კაცი ბუჯს ბაჭარს მუბამს, წეილებს და დადგამს ვორ ბოლზე. ბუჯიხა გამოდგება ცაცხვი, წაბლი, თხმელა. ჩვენ ვიცით სულ ერთი ჭინისი ფუტკარი.

გამოქცევილი წაყარი შედის ბუჯში. თუ არ შეედა, თოფს ვისვრით, დაბრუნდება და დაყდება ხის ბოლზე, გიდელსავით. მოვტანთ ხის ტყავიდან — წაბლის ტყავიდან გაკეთებულ კოპეს, გადავარებთ წყალს ფუტკარს, დაგრილდება და აღარ კმენს. თუ არ ადგა, შემდეგ ნაფოლას ფუტით შუფუტებთ და ჩავერით კოპეში. შემდეგ წამოვიღებთ და ჩავერით ბუჯში. ავი თუ ოზოში გვაქ, დაბალზე მაშინ ჩავერით, თუ არა, ხეზე იგი არ იქნება. ჩავერით და დავახურავთ თავზე. ბუჯს აქ თვალი, თვალიდან სკაი ფუტკარი შედის შით. ყრა, მართვეს ვასვლა, ხთება მისში.

სკაი ხმარობს ყველანაირ ყვაილეებს. წითელი თაფლი ცოტა მაწყენარია. თუ წაბლს ყვაილიდან არის გაკეთებული, იგიც მაწყენარია. ვხილავთ კვირკობისთვის თხუთმეტიდან ოცამდე. ბუჯის ხილვა არის ასე: გავანთფ ნაგულას ფუტს, მიმაქ დანა, ლაფერაა, ხიმონაა⁶ და წვეალ ხახილავში. ავილევ ბუჯს პირველათ და ფუტს მივცემთ, შემდეგ ხიმონას ღებჯგენ თავს. ფუტით სკას ერთ კუთხეში გავრეკავთ და დევწყეფთ ხილვას. გამოვჭრით თაფლიან ფაჭას შევაზე მოსვლამდი. რაც რჩება, იმას ვუძახით ხაღდევს.

ბუჯს თავს ფრთხილათ დავახურავთ, რუმე ფუტკარი არ დემაყიპოს. მოვტანთ სახში ფეჭა. იმას ჩავეყიპათ ჩოგანით ქებაში, გავათფოფთ, სანთელს ზეიდან მოიცივამს და თაფლი დარჩება ქვეშ. გვეტანთ ცივ ადგილას. როიხა ვაცივდება, სანთელს მუართუმთ და წმინდა თაფლი დარჩება. ამ თაფლს ვასახათ კოკაში. სანთელს ავადულებთ ცოტა წყალთან ერთათ; როცა ადუღდება, იმას ჩავასახათ საწურველში, მეგრე ჩოგნით მუტკრთ აქეთ-იქით და გავწურავთ ფართო ლუგენზე, ლუგენს გვეიტანთ ცივ ადგილზე და იქნა სანთელი. ქვეშ რჩება ხანთლის ფეხი, რომელსაც ვამეავებთ და ვხითთ არაყს. კიდევ შერბეთს ვაყეღბთ. საწურში რჩება ღუჭი⁷. რე არაფერზე არ იხპარება.

ბუჯის მტერი: მატლი, თაგვი, კვერნა, დათვი. თუ ბუჯს — ჭარას დღე თვალი არ აქ, მას თაგვი ვერ ავნებს. გადავებრუნებ ბუჯს და დანით მუაცილევ მატლს, თუ არ ივარგებს ავი ბუჯი, მიერეში გადავიტანთ. ბუჯს ემარტება ტილი.

თუ გავრინდა დედა და ჩიტმა შექამა, იფსება თელი ბუჯი. თუ ტილი დავმართა, დეიფსება და მორჩა.

მართევ ვამოდის მისში. იმიტომ ვამოდის, რუმე ერთ ბუჯში ვორი დედა ჩნდება. ერ ბუჯში ვორი დედა არ შედძლება. მაშინ ურთ კვირა გავა, ახალი დედა ცლავს ძველს. თუ ვამოსლიხან შეიჩხუბენ, მაშინ ძველი ცლავს ახალს.

5 საყოლი — მსხილი თოკი.

6 ხიმონაა — ბუჯის თავისთვის დასამჭგენი ხე.


7 ფუჭი — ცუხი (გურ.).

ბიოფიზიკა

ნოტიციები: ანანა მენთეშაშვილი, 85 წ., წიგნიერი (სოფ. ქვემო მაჩხა-ანი); ბაბო გურაშვილი, 42 წ., წიგნიერი (სოფ. ნურბანი); ევა იოსების ახ. გელაშვილი, 75 წ., წიგნიერი, მომანჯანიკე (სოფ. კარდენახი); ევა გიორგის ახ. ფირანაშვილი, 65 წ., წიგნიერი, მომანჯანიკე (სოფ. ჭიმიტი).

სათუთლელ კარგს, მაგარს პარკს ვარჩევდით. მსხვილი, ბოხვი პარკი არ ვარგა. პარკი იყო თეთრი, პირისფერი, ყვითელი. ჭიას ვატყობდით რომელი კარგი იყო და იმაზე ვარჩევდით. რომელი პარკიერაკრატებს, ის არის კარგი. ხათესლე პარკს მზეზე არ გავიტანდით. ამოხახვევი პარკი მზეზე გავაქვქვს, რომ შიგ რომ ზღმურდლია, დაიკოცოს.

სათესლელ არჩეული პარკიდან პეგელა ერთ კვირაზე გამოვა. თესლს ქალალზე დაეყრევიანდით. თესლი პატარა ხანი იქნება ისე, მტრე ავაგ-




სურ. 4 აბრუშის ქრის პარკი.

როგებთ, პარკში (ტოპრაკში) გავაკეთებდით და გრილათ შავინახაშლით სპილენძში ენკენის-თვემდინ. მეტრე რაკი აცივებოდა, ბარგში შავინახაშლით, რომ არ დამპრალიყო. ჭიას თესლს წარამარა ადგილიდან დაძვრა არ უნდა. ერთ ადგილას გაჩერებული უნდა იდვას. როცა იქით დრო მოვიდოდა, ე. ი. რო გამოზაფხულდებოდა, ენახაშლით, რომ ისე არ გამოვიდესო. ხარებობის დღეს გავაქანებდით, ბზობის დღეს უბეში ჩაუილებდით, წირკაზე წავილებდით და წირვას მოვასმენინებდით. ეგრე აპრილის ნახევრიდან ვიწყებთ ზრუნვას. ვისაც უნდოდა, რომ

ადრე გამოსულიყო, უბით ატარებდა. თესლი სხვილდება, ლურჯდება. თესლს მზეზე გავიტანთ, ბალიშზე დავდებთ, საცერს დავადგამთ ზედ. ეგრე სამკერ ვიჭთ. სამ დღეს მეტრე გამოვა; როცა გამოვა, დავაფენამთ გონგოლა ბაღახს, ზედ გავხვევა და იმით ამოვკრეფამთ.

პირველად რო გამოვიდოდა, ბიჭა ჩავარდაო ვიტყვით. კოკალზე (ნეხვისა და ბზისა კეთდება კეცივით) გადავიტანთ. ჭერ მურაა. ვაქმევთ დაჭრილ ფურცლებს ბოხს. (ბობი ფურცლის ოდნავ გაშლილ კვირტს ეწოდება). დილასალამოს ვაქმევთ მურას. ერთ კვირაზე ქერქს გაიძრობდა და ვიტყვოდით, ერთიხა ამოვდილაო. მეორე კვირას მეორედ გაიძრობდა და ვიტყვოდით — „ორისააო“, მესამეზე—მესამეს, მეტრე ცხრა დღე უნდა ქამოს და ქერქიხა ამოვიდეს. მეტრე კიდე ათ დღესა სჰამს. სულ ოთხკერ იძრობს ტყავს. ახლა ხაპარკეხა სჰამს ძალიან ბევრს. პირველ ქერქს რო გამოიკვლოს, მეტრე კიაა

და დღეში სამჯერ ვაჭმევთ. საპარკეს როცა სჭამს, დაუყარი, მიიხედავ აღარ არის. რამდენი შესჭამს, იმდენი უნდა დაუყარო. წინათ თუ ფოთოლს უფენამდით, ცხლა კინწრებს უშლით. საპარკეს რო შესჭამს, ერთ ოთხ-ხუთ დღეს გაჩერდება და შემდეგ ნიშანი ექნება. ნიშანს რომ ვნახავთ, ცახს შეუდგამთ,



სურ. 5 კოკალი.

გარეშად საცაეს უყეთებენ. ესეც ცახია, ოღონდ დაწვენილი, რომ ჭია ნაპირს არ გაღპოვიდეს, არ გაღპოცივიდეს. ცახად გონგოლო, მუხის კინწრები, გრაცლი და მისთანები უნდა. ღვთისშობლისა და შთავარანგელოზისათვის იცოდნენ ცახის შეთქმა. ბერი გამოგვივაო, ვითომც. ამას გარდა, აწალეუბის დღეს საღამოთ დაუკიდებდით ერთ დიდ ქვას, აბრაშუმას და ვიტყოდით: „აწალე წონა აბრაშუმო და ამისთანა წმინდაო“.

ჭია როცა გაბეგრდება და კოკლებზე ვეღარ დაეტევა, ლახტებზე ვიღებთ. ლახტი სჭობია, რადგან ნიავი ყველა მხრიდან მუშაობს. ციცარი არ ვარგა. ოდი იცის. ჭიას ნესტაც სწყენს და სიცხეც. ზეორე სართულში კარგი მოჯი. სუთ-ექვს დღეზე ჭიას ნაძირს (ნაჭამი კინწრებისა და ცურკლის ზქელი ხროვია ქვეშ. თუ არ გამოუღებს, გაფუჭდება ჭია) გამოცელა უნდა. ფოთოლს ფურცლის კინწრებს დაუყარი, ზედ ვაებვევა და აყვრებთ და სედისა ლახტზე გადავიღებთ. ნაძირს გადაყვრით, ლახტს გაუასუფთავებთ და იმაზეც გადავიღებთ. ლახტერი ჩამოკიდებულია ზოგი, ზოგი გოდრებზე დგას.

ჭია პარკს რომ ვაყეთებ, ცახებს აყვრევთ და პარკს დავარჩევთ. ამ დროისათვის აქ-იქა თითო-ოროლა კადეც ექნება დარჩენილი ჭია, რომელსაც მანანახ ვიტყვით. გამოვამანანავებთ, ცალკე ლახტზე ვაყეთებთ. მანანახს მანანაც შეიძლება იყოს.

პარკი შეხვეულია ფელაში, ფელით არის მიბმული პარკი ცახის ფოთლებზე. ფელას ვარჩევთ და ვართავთ აფათ.

ჭია შვიდ კვირაზე მოდიოდა. ჭიის წასვლა აპრილში გამოდიოდა, თიბათღეში თავდებოდა. ამინდსეც ეკიდა.

ჭიის ავადმყოფობანი. ჭიამ იცხს ღოკი, ზოგის თქმით ყიყვი, თუ მრავალნი ნოუსწრო (მრავალი იბადება თიბათის რეაში ძველი სტილით, ამიტომ ადამიანი ცდილობაშია, რომ ამ დროისათვის მოასწროს). ყიყვიან ჭიას ყელი ჩამოსივდება, ხოცაჭს. ჭიამ იცის ყვაფილიც, გაყვითლდება. სიყვითლისათვის, ერთის თქმით, მაწონი იცოდნენ. გასთქვეფამდნენ და გადააწუ-

წებდნენ, ზოგის თქმით წყალს შეულოცავდნენ და ზედ ცოტად ასხურებდნენ. ლოცვა ვერაფერ ჩამაწერინა, არ ვიცი. საერთოდ, ჭია როცა ქერქს იცვლახს, ავთაა, ზელი არ ეხლება. პატარაობაში ზმირათაა ავთ. ამას გარდა 'მოლტის ტყაზნი და ეკირილი არ შეიძლებაო, ჭია დაყრუვდებაო.

პარკის კეთების დროს შეტოკება არ შეიძლება, ძაფი გაუწყდებაო; თუ ძაფი გაუწყდა, მორჩა, წახდა, ამიტომ, სანამ ნიშანსა ნახავდნენ, იციან, ვადა და ერთი-ორი დღით წინ უტკვლიან ნაძირს, რომ შემდეგ არ მოუხდეთ გაწყვეტა. ისე დატოვონ არ შეიძლება, ძალიან ბევრი ნაძირი ექნება.

ერთ მისხალ ჭიის თესლს ექვს-რვა გაბმა აბრეშუმი გამოვიდოდა. ხუთი დიდი ძირი ფურცელი დასჭირდება. სჭობია უთუთო ფურცელი. თუთა ჭიანჭველს უჩენს ჭიას. ჭიანჭველა დიდი მტერია ჭიისა, ლუპავს. უძაც საყარისისი ფურცელი არა ჰქონდა, ყიდულობდა ფულით, ან ნაჭიოზზე იღებდა, ე. ი. რაც მის ჭიას ყაფი ექნებოდა, ის წაიღებდა, ან გარავდებოდნენ მოსავლის კვლობაზე ყავს.

ყავად პეპელა გამოსული პარკი იხარშება ნაცარწვენიდელში (ნაცარტუტაში). ყაჭადვე ხარშავენ ამოხვეული პარკის პერანგებს, ძირში რო რჩება უხეირო.

ყავად იხარშება დაყვლეტილი უხეირო პარკიც.

ნიტრა პარკი სამ გირვანქას იწონის.

აბრეშუმი ჰირისფერი პარკისა სჭობიაო.

გამოგონა, თითქოს უკანამხარში, იორზე, ტყეში აბრეშუმის ჭია რყოს ველურად. ნამდვილი არაფერ იცის.

ძველად იყო ყვითელი, მსხვილი პარკი. აბრეშუმი ამოდიოდა როგორც ოქრო. ძველათ ჩალური სახლები იყო, გრილოდა და იშვიათი იყო რო ჭია გაფუჭებულყო. ცლა კრამიტანი სახლებია და ვერ მოჰყავ ჭია. ძველათ იმთენი ნაჭიობი მოდიოდა, რო იძახოდნენ, „წამოლით ფელა აპყარეთ ფელა აპყარეთო“. ვინც უშველიდა პარკის დარჩევას, ფელა იმისი იყო. სხვა ფასი არ იყო. წინ-წინ საბო კოდიც ბევრს მოჰსვლია.

მემანჯანკობა. ავილებთ დიდ მანჯანკებს ტაშტს. მიწას მოვთხრით, ზედ დავდებთ ტაშტს. ტაშტის წინ ბოძებია, ბოძებს შუა ტავშირა//ტაშურა. ტავშირაში უნდა გაიაროს ძაფმა. ტავშირა მოკაულია. ტავშირიდან ძაფი კოჭზე, ანუ კვირბაგაზეა მოღებულ, რომელიც ართაქს, მეგრე კავიანი ქობია და იქიდან ეხებვა ქარაზე, ანუ ჩარხზე.


მანჯანიკს ქვეშ ცეცხლი უყვითა. ზოგი პარკი აღულებულ წყალს შველულობდა, ზოგი ცხელ ჭინჭიხს, ავადმყოფი ჭიის პარკი არ ვარგოდა. საწყათი ჩაყარდით. კარგი პარკისა ბევრი ამიხსვევოდა, ცუდისა ცოტა.

მანჯანიკში ჩაყარდ პარკს, ხავხები (აუირო) გვოქნდა, იმას ნელ-ნელა ვცემდით, მეგრე ერთი წმინდა სუფთა ქობი გვქონდა, რომელსაც ხხარა ერქვა. იმას მოურეუდი და ყველა წვერს ამოვიღებდი და ტავშირაზე გადავტარებდი. როცა ერთი რიგი გამალოვდა, მეგრე შვებალახა იყო, გავარჩევდით, სამს ავილებდით, მოურეუდით და იმას ამოვახვევინებდით. რაც დარჩებოდა, აღარ ამიხსვევოდა, ამოვილებდით, ვარჩევდით, ეხარშავდით და ყაფი გამოდიოდა.

ქვაბთავი, ე. ი. პირველი ამოღებული ერთი-ორი მეტრო იქნებოდა. ზოგს თან გაეყოლებდით, ან გასასყიდათ იქნებოდა, ან რა, სქელი იყო, ხარჯინი.

რასაც ერთხელ ქაროდან გადავიღებდით, გაბმა, ხიფი, ხაიათი ერქვა. ეისაც რა უნდოდა იმას ეძახოდა. ზოგი წმინდა აბრეშუმს ეძახოდა ხაიათს, რა

ვიცო. ზოგის თქმით ხიფი მუხლებზე ამოხვეული ძაფიაო. ერთი ჭარას აბრუხებს, მეორე, მომანჯანიკე იქ უხის მანჯანიკს და ზუმარჯუებს. ზოგან პარკის პატრონი აბრუნებს ჭარას, ზოგან — მომანჯანიკის დამხმარე ამხანაგი.



სურ. 6 მანჯანიკის ჩარხი.

ერთ დაყრანზე ერთ ნიტრას ვაყრიდით, ნიტრაზე ერთი ჭამი ჩვენი იყო — ათზე მეთერთმეტე იყო ჩვენი ხაწეხოო. ტაშტი რო რჩებოდა, ისიც ჩვენი იყოო. შეშა, წყალი, ხარჯი პატრონისა იყო.

თითო მემანჯანიკე წელიწადში ათ გაბამდე აიღებდაო. კარდუნაში (გელაშვილის სიბუჯით) ორმოცამდე მომანჯანიკე იყოო. დილით ადრიდან შუის ჩასვლამდე თხუთმეტამდე გაბმას ამახვევდა. ორსამ კვირას გასტანდა. ბოლოს მანანა იქნებოდა.

აბრეშუმი გირვანქა ექვსი-რვა მანეთი ღირდა. აბრეშუმისა მენდინი იქსოვებოდა უფრო; აგრეთვე — ჩახსაკრაფი, ხონჯარი და მისთანები.

თუ ვინმემ აბრეშუმი მოიპარაო, იმ საიჭიოს აბრეშუმს ამოახვევინებენ პირითო. ზოგმა მომკვდავმა ღელაკაცმა რომ ტუჩების ცმაკუნი იცის, ამბობენ: „აბრეშუმი მოუპარნია და ებლა ლმერთი სჯის და პირით ძაფს ალებინებსო“.

მოსუცებმა იციან ხოლმე დაფერადებული აბრეშუმის შუნახვა, როცა მოკვდება, მაშინ დისჭრიან და დაარიგებენ ხოლმე ჳირისუფალთა და მოტირალთა შორის. იმ ქვეყანას ძაფი გვექნებაო. ნემსის გაცემაც იციან. ნემსი და ძაფი უნდა გვექონდესო.

შიგნი კახეთი

მთხრობლები: მარიამ შურაბის ახ. ბუთლიაშვილი, 90 წ. (სოფ. კურდღელ-ლაური); ტახო თლიკოს ახ. ქვახარშიაშვილი, 82 წ. (სოფ. ზემო ხოდაშენი).

უწინ საგანგებო ჳიამბა მოდიოდა, შინაურული თეხლითაც მოგვეყანდა და მოვაჭრე სომხებიდანაცა ვღებულობდით ხოლმე.

შინაურულათ მოყვანილი ჳიის პარკი ყვეთელი იყო და სხვილი, გამოწერილი კი თეთრი იყო და პირისფერიც, ემან პარკიც წვრილი იცოდა. თეთრი

პარკი ჩოგორც ეხლა არის, ვგრე არ იყო ხოლმე გახელებული; უფრო ყვირთელი პარკი იყო ყველგან.

რომელიც თავიდათავი პარკი იყო, იმას აიღებდნენ ხათხლეთ, პარკიდან პეპილები გამოვიდოდნენ და თესლს დაპყრიდნენ. ავილებდით იმ თესლსა და წყალს გაველებდით; როცა გაშრებოდა, დაპყრიდნენ ქვაზე და ჯამს დაპირქვევებდნენ ზედ, ჯამს გარშაშო შამოულესამდნენ ხოლმე და ვერც თავი მიუდგებოდა და ვედარც კიანჭველა მემრე, როცა დრო მოვიდოდა აღებისა და ავივებოდა, ჩაპყრიდნენ პარკში და გრილ ადგილას შაინახამდნენ, ბარგში ინახამდნენ ხოლმე. ვახაფხულზე, აბრილში გამოსვლის დრო მოუვიდოდა. ფურცელს რო შავატყობდით ნეკერი გამოაქვსო, მაშინვე თბილათ უნდა შეგვენახა თესლი, უბეში ჩავიდებდით ხოლმე და მალე გამოდიოდა. ტახო ქვანახარშაშვილის ჭიტიც, „ჭინი თესლს ხან კალათაში ჩავედებდით ხოლმე და სიბოზზე დავეიდებდით. კალათი უნდა გავვექანებინა და გემეგვექანებინა, მენრე გავხსნიდით და ვნახამდით, რო გამოსვლია“.

როცა წვრას იხამდა, როცა პირველათ თავს გამოაყოფდა, დაუდებდით გონგოლასა და ამოკრეფამთ კოკალზე. ჭინს გამოკრეფა სამ დღეს დასრულებოდა, მესამე დღეს მთლათ გამოდიოდა ჭია და ამოკრეფასაც მოვრჩებოდით. მენრე დაუკრეფამდით ფურცლს ფოთოლს, დავექამდით, დავეკრდით წვრალათა და ისე დაუყრიდით. კოკალი როცა აიქებოდა, ნაძარხ გამოუცვლიდით და ახლა სხვა კოკალზე გადაკრეფამდით. სანამდის სამისა ამოვიდოდა, მანამ სუ კოკლებზე გვეყვანდა ხოლმე. ქორფა ჭინსთვის ყოველთვიან დაეწყო ფურცელი მიკმევენია. ფერი როცა გადაუქმენდნია, მთლები დაძიყრია; მთელ-მთელი ფურცელი რო არ დემეყარნა, ნაძარხ ვერ გამოუცვლიდი. ერთმა კარგმა მცოდნე დედაკაცმა მიხსრა, რო ჭიან ფურცელი არ უნდა დაუქვრო, დაკუტდებო, ტოტებთან უნდა დაუყარო, რო გავიდ-გამოვიდესო (ერთ-ერთმა მოხუცმა ქალმა, რომელიც ზემოდხსენებულ საუბარს უსმენდა. აღნიშნა, რომ მას არასოდეს დაეწყო ფურცელი არ უკმევენია ჭინსათვის და არც არასოდეს არ ვაჭეუქებია).

სწორი და სწორი იცის ჭიან. კვირა და კვირა იცვლება ხოლმე; დღეს რო ჭია გამოვიდეს, დღესსწორს ერთდღეს ამოვა. ახლა მეორისა უნდა ამოვიდეს, მეორეთ თავები უნდა დაუსოვდეთ. როგორც ავანტყოფები, იგრე არიან ხოლმე გაბეჭუბულები, სამ დღემდინ ვერაფერსა ჰქამენ, სამი დღის შეპდევ კი ძალიან ჰქამენ. სამისა რო ამოვა, მაშინაც ვგრე იცის გაბეჭუბა და სამ დღემდინ ავანტყოფებივით არიან.

ქერქისათვის რო შეენახა, მაშინაც ავანტყოფი ვახდება და ქერქს რაკი ვახდებ, მენრე თავისუფალია. ქერქის შეპდევ პარკისა უნდა ქამოს ცხრა დღეს და მეათე დღეს ნიშანს ვნახეთ. ორამდინ თათო-თითოჯერ ვაქმევთ დღეში, სამისა რო ვჭარულდება, მაშინ მოღმატებთ და ორჯელ დაუწყებთ კმევას, ქერქისათვის როცა ამოვა, მაშინ გაუსამჭერებთ გამოუცვლით ნაძარხსა და ლახტებზე ვადავათხელებთ. მემრე, ოთხ დღეში ერთხელ ნაძირი უნდა გვეცვალანა. პარკისათვის ცხრა დღე უნდა ქამოს მაგრათ, „პარკისას ჰქამო და ბეჭერი კმევა უნდაო“, სუ მუქა-მუქა უნდა უყრიდეთ ფურცელს როცა ჭია სიამდარეს დასრულებთ, მემრე ვნახავთ ნიშანს და შეუდგამთ ცახს.

ნიშანს რო ვნახამთ, ვერ მარტო სანაპირო ცახებს შამოუდებთ; სანაპირო ცახები გქელ-გქელები უნდა იყოს. ორი-სამი დღის შემდევ სხვა ცახებსაც ჩაუდგამთ შიგადაშიგ.

უხეირო ხეზე ჭია არ ავა; ცახებათ საუკეთესოა მუხა, კოშში და რცხი-
ლა, გონგოლასაც შაუდგამთ ხოლმე. გონგოლას თითის საბტყო ფოთოლი
აქვს, ჭია ძან ეხევეა გონგოლას და ამოკრეფის დროსაც იმით ამოკრეფამთ
ხოლმე. ცოცხი და თივაც კი შაგვიდგამ ცახათ, ერთი ყვითელუყვავილიანი ბა-
ლახიაც აღონჭას უძახიან, და იმაზედაც აღის ჭია, გვირილაც კარგია ცახათ.

საკახეს რომ მოვიტანთ, მაშინვე კი არ უნდა შაუდგათ, ჭერ ცოტა უნდა
შაჭყნეს და მეგრე შავკრათ. სუ პირველათ რომელ ცახსაც შაუდგამთ, იოზის
ცახს ვეძახით იმას, პირჯვარს დაეწერდით და ციტყოდით: „აბა, დმერთო,
ბელი მოგვიპართო“ და იობის ცახს მაშინ შაუდგამდით. აბრაშუმის ჭიას
იობის მატლს ეტყვიან და იობის ცახსაც იმის ბედობაზე უდგამთ. იობის
ცახს ვინც საწყალი ადამიანია იმას მივუცემთ ხოლმე; იმ საწყალმაც უნდა
გააზაროს, ეს სასულთერო სადღეგრძელოა!

ჭია შვიდ კვირაში მოდის, მაგრამ ხან ორ თვესაც გასტანს ხოლმე,
ჭიის მოყვანა ამინდზეა დამოკიდებული. ჭიას დადინჯებული ჰაერი უნდა,
ავდარი არ უხდება. პარკის გაკეთების დროს რო ჭეჭა-ჭეხილი და ქარი ავარ-
დეს, ჭიას გააჩერებს, ჭამაშიც გააჩერდება და პარკშიც გააჩერდება, ქუხილის
დროს იგრე ყრუვდება, რო ვეღარა ჰჭამს. მანამ პარკის გაკეთებას დაიწყებს,
მანამდენ ავდარიანი ამინდი ძან ვერ გააფუჭებს, არა უშავს რა, მაგრამ პარკ-
ში ძანა უნებულობს. სიცხის დროს ფანჯარა და კარები ღია უნდა იყოს და
ჰაერმა იბუღოს. ლატები ჩამობნულია და ჰაერი თუ მოჰხვდა, კარგა გაუე-
ლოს. სიცხეშიც ბელის შაწყობა უნდა და სიცვიეშიც; ერთხელ ავდარი მო-
ძივდა და აცივდა, დაუდგი ფეჩი და შშენიერი ჭია მოვიყვანე. ფეჩი რომ
არ დემდგა გაფუჭდებოდა. მანამ ფეჩს დაუდგამდი, გაჩერებულები იყვენ
და აღარ ჰჭამდნენ, სობობზე გამაიღვიძეს და ჭამაც დაუწყეს.

ცახები როცა კარგათ გაიბობბებოდა და პარკიც გამაგრდებოდა, ვად-
მოყვარიდით ცახებს და დაუწყებდით რჩევას, ფელას ავხდიდით ხოლმე და
იმისი დარჩევა ის იყო.

რომელი ჭიაც ვერ მასწობდა პარკის გაკეთებას, იმას გამოვაშორებ-
დით, გამოვანანავებდით და ცალკე გააკეთებდნენ პარკს. ვისაც უნდოდა,
პარკს ვაყიდოდა, ვისაც უნდოდა, შემანჯანაყეს ამახვევიებდა. ყველა იარა-
ღი შემანჯანაყეს იყო, ხოლოთ წყალი და შეშა ჩვენ უნდა მოგვეტანა.

მანჯანიქს თვალითა აქვს გაკეთებული, როცა ტარს ფატრიალებდათ,
აბრეშუმი იმ თვალზე ეხვეოდა ხოლმე და ძაფები ერთმანეთს ეკვრებოდა.
როცა ამახვეოდა, ხაითს დავიჭურდი ხელში და ვშლიდი დაკრულ ძაფებს.
ამოხვევაში პირველი წვერი სხილი ამოვდის, ამას ხარხანდს ვეძახოდით.
სარბანდსაც გამოვხარშავდით და ძაფათა ვხმარობდით ხოლმე საკერავში.
ერთი ლიტრა უნდა ჩეყარხა ერთ ჭერათ, ერთი ლიტრიდან ერთი კარგი
ხაითი ამოდიოდა, სამი ხაითი ერთი გირვანქა გამოდიოდა და სამოთხ მუ-
ხეთში ვაყვიოდით ხოლმე.

ერთ ლიტრა პარკზე ერთ ჯამს გვართმევდა შემანჯანაყე.

სუყველა პარკი კარგა ვერ ამოხვეოდა, ნაწუწულა შიგა რჩებოდა და
ყაქს იმისაც ვაკეთებდით. ჭერ ჭიას გამოვაცლიდით და მეგრე საბონწყალში
და ნაცარწმინდაში გამოიხარშებოდა. ნაცარწმინდაში გამოიხარშული ბუმბუ-
ლივით გამოდიოდა. ჭიას თუ არ გამოვაცლიდით, ჭეჭყიანი ყაქი გამოვიდო-
და. კარგ პარკსაც ავიღებდით ხოლმე საყაქეთ. დომფაღს ვეტყვოდით იმას,
იმისთვისაც ჭია უნდა გემგვეცალბინა და იგრე გემგვეხარშა. მოხარშულ
ყაქს ქვით დავებგვამდით ხოლმე და ბუმბულივით ხდებოდა.

ერთი რიგის პარკს ბოყვც ეძახიან: დიდი არის და მრგვალი, იმაში შეიძლება ორი ჭიაც იყოს. ის აბრეშუმით არ ამახვევა და ისევ ყაჭათა ხარშამენ ხოლმე.

აბრეშუმს ვეიდილით კიდეც, მაგრამ ჩვენც ძანა გვეპირდებოდა სახლში. ხელონები იყვნენ ხოლმე სოფლათ, მოუტანდით აბრეშუმსა და თავთას ვაჭსოვინებდით ხოლმე. თავთისაგან კაბასაც იყერამდნენ, ხალათსაც, პერანგსაც, შვიდიშაც. წითლათა ჰლებავდნენ და იგრე იყერავდნენ. ნეფეს რო წითელი თავთას პერანგი არა ჰქონოდა და პატარძალს შვილიში, არა გზით არ შეიძლებოდა.

ბარე კახეთი

მთხრ. მართა ესტატეს ახ. კუტაბაძე, 66 წ. (სოფ. კაკაბეთი).

მაისში, პარკს რომ გააკეთებს ჭია, რამდენიც გვინდოდა, იმდენ პარკს გადავარჩევდით ცალკე, დავაწყობდით ისეთ ალაგას, რომ არც სიცოცვე ყოფილიყო, არც სიცხე. სამ დღეში შიგ პარკში გაჩნდებოდა პეგელა, პარკს გამხვრეტდა და გარეთ გამოვიდოდა. ეს პეგელები სუფთა ალაგზე იმეპლებდნენ და ცხრა დღეში დასდებდნენ თესლს, რის შემდეგ თვითონვე დაიპოცებოდნენ. ამ თესლს ისე ავიღებდით, რომ არ გამოფუჭებოდა-რა, შევხვევდით მატკალში ან კოლოფში ჩაყვრიდით, შემდეგ კოლოფიანად შევხვევდით ხელსახოცში და ლობიოში ჩაეფლავდით. ლობიო ზამთარ-ზაფხულ ერთნაირ სითბოს აძლევს და არა ფუჭდება.

აპრილში ამოვიღებდით ლობიოდან, ხელსახოცის ყურში გამოვკრავდით და უბრეში ჩაფრებდით, რომ სითბო ჰქონოდა, ღამე კი ბალიშის ქვეშ ამოვიღებდით მარცაქალზე, რომ ჩვენი სითბო ჰქონოდა ისევ და კვარცხი არ გალავებულყო. ცხრა დღეს ვატარებდით ასე და გამოვიდოდა შურა. ამ მურს იმიანადვე დავდებდით თბილ თონზე, ამ შურეში, მყუდროზე, რაშიაც იყო გამოხვეული. შურეში როცა დავდებდით, ზედ საცურს ვადავაფარებდით, რომ ჭათებეს ან წიწილგეს არ აეკენკათ. მურს ზედ დავადებდით გონგოლას. გონგოლასზე ავიდოდა მური და გონგოლიანად გადავიტანდით შემდეგ კოკლებზე (ყოფდები ნეხვისა იყო, უ. ი. ნაცარში არეული ნეხვის კეცებივით) კოკლებს ჭოხებს ვაეფუწობდით პირებზე და ერთმანეთს დავადგამდით და ვადავაფარებდით შალს, რომ არ შესცივნოდა ან არ დასცხობოდა, ან ჭიანჭველა არ დაჰხვეოდა, ან კატას არ შეეპაშა. გველბოკერაც სჭამდა. რამდენიც ფაიზრდებოდა, იძენი ხშირდებოდა და ვადაგვექონდა ახალდაახალ კოკლებზე.

მურს ვაჭმევდით ფურცლის ღოღს; კოკორს მოვაცლიდით (ამას ბოხცვა ჰქვიან), დავკუწავდით დანით ძალთან წმინდათ და დავუყრიდით, ვიდრე მური იყო. ზამ დღეში ერთი დღედალაძე დაიძინებდა. სამ წილს რომ ამოვიდოდა, გათუთრდებოდა და მემრე დაიწყებოდა ქერქის კმევა. ქერქს რომ გამოიცვლიდა და თვალწარბი და კუდი გამოუჩინდებოდა, მემრე პარკისას იწყებდა ჭამას (ანუ პარკის ჭამა დაიწყებოდა).

პარკის ჭამას რომ ათავებდა და კანში გაულვივდებოდა აბრეშუმში, ხვითქისას დაიძინებდა დღე და ღამე. მემრე იწყებდა პარკს. ლაფანს შემოიპირებდა თავზე, რომ მაგარი პარკი გაეკეთებინა და შეუღვამდით ცახხ. ცახხად შეუღვამდით ხოლმე გამხმარ გონგოლას, მუხის ფოთოლს, გვირილას,

სხვას. ცახში გაიკეთებდა პარკს.

თუ ნაჭები და კარგი ჭია იყო, ცხრა დღეზე სულ გაიკრიფებოდა ცახზე. ცხრა დღის შემდეგ გამოვანანავედით ერთ ლახტზე, ან ორ ლახტზე. სამი დღის შემდეგ გამოვარჩევდით ცახიდან. სამ დღეს დავეფნავდით მზეში, მეგრე მანჯანაყზე ამოვახვევდით აბრეშუმს. ამას უნდოდა სულ ცხრა კვირა.

გულით, ანუ უბით რომ ვატარებდით თელს, დილით ნამს ავალბინებდით ხოლმე ხელსახოცში შეკრულს, ე. ი. ნამიან ბალახს წამოვკრავდით და ისევ წარაფად ჩავიდებდით უბეში.

ჭიასა ესხავდით ლახტებზე და დღეში შეიღწერ ვუყრიდით ფურცელს. ორ დღეში ერთხელ ვუცვლიდით ნაძობს. ფურცელს რომ დავუყრიდით, ზედ ავიღონენ და მეძრე ტოტებით გადავიტანდით მეორე, სუფთა ლახტზე. რომ ჭიანჭველა არ დაჰხვოდა, ძირს, მიწაზე ვუფენდით ნაცარს. უფრო ხშირად ქერში, ანუ მალა გვიდებდით წნელებით ლახტებს. თუ შევამჩნევდით ჭიანჭველა ზევიდან ჩამოდიოდა, წნელებზე წაუუსვამდით შავ ნავთს.

ჭია პარკზე წინ რომ წაყვითლდება, იმპა ჰქვია ლოყა. პარკის დროს თუ დასცხა, გაუჩნდება სიცხის ავადმყოფობა და გაფაღარათდება, ე. ი. წყალი ჩამოსდის. თუ შესცივდა, დანეშავდება, გვიან გავა პარკზე, მაგრამ კარგს გააკეთებს.

მანჯანაყი. მანჯანაყსა აქვს შემდეგი ნაწილები: ჩიხრახი, ანუ ჩარხი; ჩიხრიხი დგა ბოძებზე.

ჭურახე დგა ტაშტი. ტაშტში აღულებულ წყალში პარკია. წყალი არ უნდა დულდეს, უნდა შიშინებდეს. ტაშტის პირას დგა ორკაპი ხე, ზევით უკეთია ორკაპში გარდიგარდმოდ კოჭი ძაფის საგრეხად. კოჭის ქვევიდან იმავე ბოძზე არის გაკეთებული მასრა (ან რგოლი), რომელიც ტაშტიდან ამოსულ პარკის ძაფებს თავს უყრის, ჰკრებს, ჰკზავს ზევით კოჭისავენ ჭვარდინად და ივრთება. იქიდან გადადის ჩიხრახზე და ესხვევა. ჩიხრახსა აქვს სახელური, რითაც ატრიალებენ. ერთი ქალი ზის ჩიხრახთან დასატრიალვლად და მეორე — ტაშტთან. შავბალახს ტოტებს ურევენ ტაშტში, იმას თავისი ბუსუსით ამოაქვს პარკის წვერი და აძლევს მოსაყრებ მასრას. პარკი რომ სულ ამოიხვევა, ტაშტში დარჩება მოხარშული ჭია. ამ ჭიას ხოცვრით ამოკრეფენ. ხოცვრა ყელიანი გოვრისაა და ქაფჭირით არის დაჩვეტილი.

ზოგიერთი პარკი. თუ ცოტათი არის გაჭირილი შიგნიდან პეპელისაგან, გაჭირლამდე ამოიხვევა. დანარჩუნს გამოჰხარშვენ საბონში და გამოვა ყაჭი.

ჩიხრახზე გადახვეულ აბრეშუმს ჰქვიათ ხაათი, როდესაც ჩიხრახს გადმოვაცლით ხაათს, ჩამოვივლებთ კისერზე და გავახამებთ, ე. ი. გავაცლით კვირჩხლებს, ჭიის ცხვირებს და სხვა ნაწილებს. შემდეგ ამოვახვევთ ხაათს გორგლად, შემდეგ დავართამთ თითისტარზე. დართულს დავართვევრებთ, თუნდ ცალწვერად დავგრებთ, მეძრე ტარიდან დავკსელავთ მუხლებზე, მეგრე შევებამთ ხაათურებს, არ აგვეწეწოს. დავაყენებთ ნაცარწყალს, ძალიან დავაწმინდავებთ და ჯადაწურავთ სხვა ქურქულში, მეძრე გადაწმენდილს ავადულებთ. ადულებულის გარდა სხვა ცივი, ასევე გადაწმენდილი წყლის ნადულს დავასხამთ ნულად შუღლოებს, დავსაბნით, იმ ადულებულ ნაცარწყალში ჩავყრით და ავადულებთ. ერთი ორი გადადულების შემდეგ ამოვივლებთ, გავრეცხთ, კიდევ წაუუსვამთ საპონს და ისევ ჩავლებთ იმავე ნადულში. ასე ვჩადით მანამ, სანამ გამოიხარშება. ბოლოს გადმოვადულებთ უნცრო წმინდა წყალში. ნაცრის წყალში დუღილის დროს უნდა სიფრთხილდეს, არ დაიწოს. აბრეშუმს უნდა ღრავალრუჭი გაჰქონდეს.

გამობარშულს გამრობის მემრე ამოვხვევთ ფირფიტებზე ან კოჭზე. ვლებადით ყვლანარ ფრად: ნარინჯისფრად, ყვითლად, ენდროთი, ენდროს წითელფრად (ენდროს წითელს ვეძახდით), იასამანისფრად, შავადაც ვუბავლით შინ, სუედაში.

საინგოლო

„ჩონ (ჩვენს) ადგილში აპრილში, კუქურ განაშალ დროზე სახლს ააბუნევენ, თბილ ჰავაში ჰეაა თესლ თეთრდევის, კიდე (მერე) გამოდის წრულ, შავ კიაა — შორიზაა“. თუ ცოტა შეგვიანებულია, სამ დღეს ცოტა-ცოტა ხნით გამოაქვთ გარეთ და შიგ „(მ)ზი(ს) თოლს ავლევან“. ნუგან-ის (ჰეაობა) ამლები „შორიზაა“-ს ჩასადებათ „ნუნგინ(ს) სახლში ნუნუნე (ძუძუს სიპალ-ლებზე) ჩაფარს ჰკიდებს, მიწამ(ს) ნამ ნუ მოხტოსავ“. ზედ ყარა(თ) (ხმირათ სქლათ) ჰვენავს „შამჰენარ ზეჰი(ს) ანუ (თურქ.) ანდუზი(ს) ფოთლევს. კიდე ღრვს (სადებს), ჰვენავს შორიზას. შორიზაა ჩანადრვ. ჩაფარზე აწყოვდენე ხუთ-ექვს კარცხს და ამით კიაა(ს) ტოლა(თ) ჩანადრვ დაფენაში (დაფენისას) კარცხეულას (ერბო-კვერცხს) აკეთევდენენ, ფლავზე ადრვდენენ, ნუგანმა აიკ ფლავივით იმატასავ. კითს ჩაფარში ჩადებრსა და ტოლათ დაფენვისას მეზობელს (შანათხოვენ რაამს არ აზლევდენე — კიაა გზევეზე გელეფინეკასავ.“

ნუნგინს სახლში „თბილ ნაცარივით“ სითბო უნდა იყოს და სახლს „ჰაერ საშუშავნელ კრბლიც (ხვრელი) რუმ ექონა“ (ჰქონდეს). ნუნგინს სახლში სითბონ შესანახათ ცეცხლს ანთებენ, დიდ სახლში ორგან, პატარაში — ერთგან. ერთ ადგილას გაძლიერებული ცეცხლის დანთება არ შეიძლება.

„შორიზა დროზე კიაა კუქურს (ახლათ გაშლილი ფურცელი) ვუქუშენ (უქუშავენ) საყუწავზე“ და უყრიან დღეში სამეჭერ. „გომოხელის სამ დღის თავზე შორიზას თავ ვუთუთრდევთ, აი მამინ ამბოვენე: გათეთრეულჩიტი წკლინტაჰ ქნილავ. გომოხელის (გამოსვლის, ამოსვლის, გამარჩევის) რუა დღის თავზე კი ერთიბე (ერთისთვის) ომოდის“. მამინ დღით „ქალი კუქურს“ (ნამუყენი ფურცელი) უქუწავენ, შუადღისას და საღამოთი კი — გაპარი(ს) (უმუნობელი ფურცელი, თუთა) „კუქურს“ შორიზაა-ს ჩაფარში ჩადების ცამეტ დღის თავზე, „ორიბე ომოდის“. „ერთში და ორში ჰეა ზილს (ძილს) არ იცნევს, ერ(თი) პირი(თ) იწინევს, ერ(თი) პირი(თ) ომოდის“. ორისთვის ამოხვლის შემდეგ ერთ-ორ დღესაც „კუქურს“ აჰმევენ, რომ ცოტა დაიზარდოს კია და „ხუთმეტ დღის თავზე ჰითილას“ (ერთა-ორი მტკაველის სიგრბე ტოტის, ფურცლის „წრულ ხრალ“-ს) აძლევენ. „ქითილაა“-ს მიცემის დროს ჩაფარში კითს ყრბ-ს (ყველბს) აკეთებენ. „ქითილაა“-ს მიცემის მეექვსე დღეს „შიგ სამიბე ნაშინ ჩანს“. მეშვიდე დღეს „კაიორა იზინეჯს და მამინ „თუქ (თურქ.), ცალ) ფურცელს“ აძლევენ („დღეში თითოეჭერ, ეს ქითილაა. ქითილა ფურცლის პატარაფოთლებიანი ტოტია). „თითო ფურცელ მიცემის(ს) მგოთხე დღეს სინჯავენ: თუ წმინდათ ომოხულა და ნამზინ აღარ ურევი, ააქვთ აყარზე (სხვენში) და ტოლა(თ) ჰვენენ“ (ცლებივით აკეთებენ=დამოლტვას). „ტოლა“(თ) დაფენის შემდეგ ცოტა დიდრონ ქითილას უყრიან შვიდ დღეს დილა-საღამოთი. „მერუაე (მერვე) დღეს ოთხიბე ან სხვანაირად ხვთქიბე“ იწინებხ. ამ დროს, ოთხი დღის ძილის განმავლობაში, თითო ფურცელს აჰმევენ. მეხუთე დღეს, როდესაც „გამაილუხევს, ომოვ, აწყვლევენ“ — წყულ ფურცელს აჰმევენ — ორ დღეს, კბილ გამაილახავ.

ორი დღის შემდეგ კი დილით „უალის“, საღამოთი „გაპრის — ბახის თავფურცელს“ (=წინათ ამოხსნილ გაპრაზე დატოვებული ღიდრონი „ხრალი“) [აქმევე]. თუ „პთაუნოვს (პთაუნობს—თუ შეუძლიან, ძალა შესწევს), სამყერაც აქმევენ. „ხუთქიბე ომოსული“ მეორე დღეს თავფურცელს, საცახეს აქმევენ.

„ხუთქიბე ომოსულის“ მერვე დღეს „გზეჯის დღემს“ (დაცახვის გზაა, დაცახვის დროა). „წელ მოღვეითა“ (წელის მოღვეით, მოტანით არის): „ზოგ წელს გზეჯისგანი ურ(თი) დღე აღრ იცახევის, ზოგ წელს ერ(თი) დღე გჯან“, ზოგს კი სწორეთ — გზეჯის დღეს. კარგათ ნაქმევი ჭია აღრე იწვევა. გზეჯის დღეს „მოწვევაა“-ს ხარისხის შესამოწმებლათ იღებენ ერთ ხრალს, არყევენ, თუ „ჭია მოწვეულ, თუთასებრა ჩამააგრილდეველი ქრშ (ქვეშ), თუ მოწვეულ, არ ჩამააცვენელია მოწვევაში ვმელ წითელ ცახით (ანუ პიტნი ცახით) ან ბოლოკა შამბათი (ანუ ტინკოათი), ან კი ყარაშამბათი (ანუ ბარინეთი) ჰკახენ“.

დაცახვის შემდეგ სამ დღეს დილა-საღამოს — თუ არის, თუ არ არის, დღეში ერთხელ მიანც — „ცახი შუაქს“ (შუაქსს) ფურცლით „დაჯარულ ხრალით“ (=მოკლეთ დამტკრეული) ჰქედავენ. მეოთხე დღეს აღარ უყრიან ფურცელს, რომ „ჭია არ ვაბრკყდეს“ და საქმლის მოლოდინში ცახზე აუსვლეელი არ დარჩეს. მეხუთე დღეს ტოლში დარჩენილ ცახზე აუსვლეულ ჭიას კიდევ უყრიან — აქმევენ ფურცელს. დაცახვის მეცხრე დღეს „იმცრაჰ-ვენ“ (იმცრაჰვენი) და იმ ჭიით, რომელიც ჭერაც არ ასულა ცახზე და არ არის მოწვეფებული, ბახრუყ-ხ (ნაშცვრეფე ჭია, ნაშცვრეფე ჭიის ტოლი) ჰფენავენ. ბახრუყის ჭიის მოწვეფების შემდეგ მასაც სცახავენ და სამ-ოთხ დღესაც ტოლში ჭიის გამოლევაძლე — აქმევენ.

ნაშცვრეფე ჭიით „ყმაწულევიბე ფარაქალსაც“ (წილი, მათი სახელობის წილი) ჰფენავენ ხოლმე, ხშირათ. „ფარაქალს ყმაწულევიბე, წმინდა გიორგი სახელზე მორიზა დროითავე ჰფენენ“. გამოშცვრეფის სამი დღის თავზე მთავარ ტოლზეში პარქიან ცახხ იღებენ, „ნაზირას“ (ფურცლების შექმნის შემდეგ ნარჩენი ტოლები) ჰყრიან გარეთ. დიდრონ „ნაზირას“ არჩევენ, კონებათ შეკრულს ინახავენ ლობიოს და კიტრის „შაფიჩხელა (შესაფიჩხავად). „წრულ ნაზირას კონა-კონა“-თ) ჰკრევენ და, თუ წმინდაა (სუფთაა), ლობზე ან „უაბურზე“ (ყებირი, ვალავანი) აყრიან. „ტოლი(ს) ზირზე ჩანაცვენ წკლუნტს“ (ჭიის ენაჯალი), ხაჭეს, ლობიოს, კიტრს და სხვა აქეთებს უყრიან.

კი მუნაგნეა ჭიას მორიზა დროითავე ცეცხლს უწყობს, ავადმყოფობის დროს სხვადასხვა სამედიკამენტებით სწამლობს.

„მორიზა დროზე თუ ჭია დავოცა, იბიწი) თხელ ჭირიან ყოფილ(ა) ან ცეცხლს ოურტრეცი(ა) (ანუ აურტრეცია)“. ერთსთვის და ორისთვის „ნამზის და ანასულ (ამოსვლის) დროზე [ჭია] ჰალვლოვით არ ივოცევისყ“, თუ ცეცხლმა არ წაპტრა.

„წია(ს) დაზინევაა მართლა ზილ (ძილი) კი არა, აი მაშინ ტყავ ვუბოშდევს (მოღუნება, მოშვება), აჯღის ნაშინ დროზე ცხურათან, ტურ(ს) ზეითიან, პატარა ყუთოლ ყაშმა (თურქ., ნიკორა) ვუჩნდევს“. ძილის დროს ცოტას ჰჭამს და დაყრილი ფურცლის მეტი წილი ისევ მწვანეთ რჩება, ამიტომ ამბობენ ხოლმე: „ჭიას მოულურტიანნი“-ა). ყველაზე სახიფათო დრო ჭიასთვის სამისთვის ძილისა და ამოსვლის დროა. სამში ჭია თუ კარგათ არ არის, „ხუთქიბე ამოსვლის შემდეგ პარქს არ შააქნელი(ა) (შექმნა, პარქის გაკეთება).

ნუნის სახლში თამბაქო არ შეაქვთ, რადგან ეს ძალიან ცუდად მოქმედობს კიანზე.

განაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ცეცხლის შეწყობას. უცეცხლო კია „თალხდევს (თალხდება, წყალდება), კდღვ (კვდება), ცეცხლიან (ჭარბი ცეცხლიანი) კია ხუთქიბე ომოსულაში პოწითლო ფვრით ომოდის. ზოგ ცეცხლიან კიან ვხვდვს ტოლევი (ტოლებს) შუაში ხასხასოვს (ფართხალობს, ცოცავს), ტყავს ვერ იქდის“. ასეთ შემთხვევებში ამისთანა კიან ხელით ფთხილათ „აქწუნან“ ტყავს. კარგი კია ხუთქიბეათ (ხეიქისათვის) აზოსელის დროს „ფური(ს) ნალები(ს) ფერზეა ხოლმე.

თუ ცხელი, დახუთული პერიანი წელია, „კიან ყთაა (სენივით ჩაყვითლებულა და კუნტაა (უჭობ) კეპტევის (ხდება). ექნტაა იფხრუნწევის. მოკლავდევ, თუთნაც (თითონაც) პარკში ნაქნარ კიანებრა(თ) წითღევის (წითლებს), ყთაა კი ყთოლ კეპტევისყ (არის ხოლმე), ფუყევითაც (ფეხებითაც) სენ(ი) დაპდრ. კიამდე დიად კანს (კარგია) ნავე ნაქნარ წალ“ (ნიავიანი წელი). „პრავალ (ხომლი, ვარსკვლავთა გუნდია) დაბადევი (დაბადების) წინა დღეს ჰყურტენ (სწყევტენ): მაყლ(ს) ეკლი(ს) ზოლს (თურქ), ანუ ყლორტს, ნვარი(ს) ფოჩს და კაკო ფოთოლს და აყრი(ს) (სხვენის) კარ(ს) ზეითიან“ აძვრენენ, შიგ აყარში კიანთან კი ერთ წალდს სდებენ, რადგან „პრავალ დაბადევი(ს) ლამეა ზიმუ (მძიმე) ლამეა (ლამეა), ნუჯან(ის) მარტოკა დაგდევად არ იქნევის“.

როდესაც კიან ცეცხლში ბევრი მოსდის, ის „ჩაფარ დანაკიდევ სახელზე ესევის — გადის (ადის), აი შაშინ ცეცხლს უკლევენ“, ხოლო, როდესაც ცეცხლი აკლია, უცეცხლოა, მისთვის დაყრილ „უკურ(ი) ფურცელ(ი) ფორღევის“ (თურქ., ობდება). ასეთ შემთხვევებში ცეცხლს უმატებენ.

ხშირათ ხუთქისთვის ამოსვლის დროს კია ფურცელს არა სკვამს, ამის წინააღმდეგ მუშტავად (ბალახია სქელღერიანი, რომელსაც ფოთლები თანმიმდევრობით ძაბრივით აქვს შემოხვეული და შიგ გროვდება ხოლმე წვიმის წყალი) წყალს ასაამენ-აპურებენ და აქა-იქ წყლის „წუმბლევი, ანუ ნრთქე (წვეთები) ცევია. ;

თუ კიან თოლ (თვალი) მოპხტომი(ა) (მოხვედრია, სცემია), ჯამში ასხამენ წყალს, ცუდთვლიან ადამიანებს სთვლიან, თითოსთვის თითო „ნაღრ-ღალს“ (ნაღერღალი) ავღებენ წყალში და ნაღერღლის შიშხინის დროს ამბობენ: „იმათი თვალიც ჰეუმაგრ ვატყრტსავ (ვატყურესო ვასკედესო). შემდეგ ამ წყალს „აწყაპწყაებენ“ (ასხურებენ, აპურებენ) კიანს. ნუნის „თოლ მოპხტომიზენი“ დასაკავად ნუნგის სახლზე თავისთავად გაჭრტულ ქუქა, ზრზ (ძეძვი) ეკლი(ს) ბურთს ჰკიდევენ“. თითონ მუნუნენ კი „თოლი(ს) მზიუ და დაღღალანს“ (პაკაკით გაკეთებული, დაჭრელებული მძივია) იკიდებს.

„კიან ზილით—ზილში განავმოვ ბპპრი(ს), ანუ (თურქ.) ანღუზი(ს) ზურკს (ძირკვი) ფუკომლევენ, ტყავ ჰადულა გაივადასავ“. ამ ძირკვს სწყვავენ ნუნისთვის დანთებულ ცეცხლში და მისი სუნე იშლება სახლში. „სხო მენუგენე სხოთა ნუგანზე არ შავყ (არ შევა ხოლმე), ნუგარ დაილაკევა“ (გიალაგებია, დაიჩავრებია). სხვისგან კიან მოტანის დროს თუ იმ სხვის კია ბერია, ჯერ სახლის პატრონ მენუნენმ თავის ნუნგითგან ერთი ხონჩა კია გარეთ უნდა გამოიტანოს და შემდეგლა შეიტანოს სახლში სხვის კია, წინააღმდეგ შემთხვევაში სახლის პატრონის ნუგარი დაილაკება.

„არანადომ-ნაზულ (ნაძული, მოძულეებული) იმსანი(ს) (ადამიანი) ბახჩე-ში (ფურცლის ბალი) ჩექული(ს) (დაბლა თავგაკრული უმცრობელი თუთის

ხეა) ხრალს ჰგრეხენ მურდალ ინსნეე (მურტალი, ბოროტი ადამიანები), დანაგრებ ხრალს ზედ ჩეჭულზე ახევენ (ახვევენ), შიგაც ზალი(ს) სიხაფლუს (ჩაფალ თურქ. = უწმინდურს, უსუფთაოს) დრევენ (სდებენ), რუგარ დაილუპასავ. უწინ სჯეროდათ „ბაბაყულბე შაჩრნჩგვად (ჩვენება). ბაბაყულ თავბოლოო თეთრ, შუად იმსნი თოლივით ნაქნარ ზივი“ (მძივია). ამ ბაბაყულ მძივს აჩევენებდნენ იმას, რისი დალუპავაც უნდოდათ. ყველა ნაცოდნ სსშეპლუბებს ხნარობდნენ, რათა ჭიას მშვიდობით მიეჭნია პარკ(ის) შაქნაშდინ. ცული მოსავლის მიღებისას ამბობდნენ ხოლმე: „არ იქნა, არ იქნა, ერ ბაბათ იქნა, ერ ისტილ პარკით ერ ნაბათ იქნა“.

ცახის აღება — ნაზირ(ის) გადარეხის შემდეგ იწყებდნენ პარკ დარჩევას (ცახითვან ამოღება — ამორჩევა). დარჩევის დროს „შიგ ჭიად მანაკლომ ყრუე პარკს, დიად თხელ პარკს — ყაჭს“ ერთად აგრთვებენ, ზოგი ჭია პარკ შაქნას არ ამთავრეეს. ასეთ თხელ პარკს ცალაგრანგოს ცალკე აგროვებენ ხადომფლეთ. „ცალაგრანგოსთანვე ჰყრიან აგრეთვე ნაბადა პარკს „ორ ჭიად ერთვან ნაბუშვენ — შანაქენ პარკს“. ეს აბრეშუმის სახვევათ არ ვარგობს. ცალკე აგროვებენ ყველაზე უკეთეს ხარტყლიან პარკს — შუა წულში მანაჰყანტურეეს“ (შუა წელში მოჭერილს). პარკის აცლიან აგრეთვე პუჭას (ჭხელს, ბუდეხ, რითაც პარკი იყო მიმგრებული ცახზე) შემდეგში დსართავად. დარჩევის შემდეგ თესლისთვის გადარჩეულ კარგ სარტყლიან პარკს ჰვენავდნენ აყარზე. „გომოაბელახ უკან მადლოათი გინადრუ (გადებულ) ორ ზეზე აწყობდენ ცახს და ზედ აყრიდნენ „ამბელახ, ქრშ (ქვეშ) უშლიან ერთ) წმინდა სუფრას ან აღს (ნარბა) რამას“, რომელზედაც ცვიოდა დაყრილი თესლი. შემდეგ ამ თესლს წმინდა წყალში „ააღლაღევენ“ (ავლებდნენ) „არ ვარგისჭანაჭი ბეიტრთანას (შიგ ცარიელი) ზედაპირზე (ზედაპირზე) იგდევდა“. წყლისპირზე მოგდებულ თესლს ჰყრიდნენ, კარგს „ჩანანაზირეეს“ (ჩაძირულს) ზონჩებში შლიდნენ, ამრობდნენ გრილოში. გაშრობის შემდეგ ნარბის პარკში ჰყრიდნენ ხუთ-შვიდ მისხალ თესლს და „მის ზემოდგან ყბას უკერავდნენ“, მერე ისევე იმავე პარკში გაყერილს ზევით ჰყრიდნენ კიდევ ხუთ-შვიდ მისხალს და [ისევე] „ყბას უკერავდნენ“. ამ წესით რამდენიც იყო საჭირო, იმდენ თესლს ინახავდნენ ხოლმე. აბრეშუმის ჭიის თესლს წყალში დავლების გარდა, გაშრობის შემდეგ ტაბაკით, ლანგ-რითაც ბლერტავდნენ და „წინაყ შანასულ (წინ წასულ) ანაწყლუნტა თესლს“ აცალკეებდნენ. ანწყლუნტა თესლი მორიზაას გამოსვლის დროს უკან რჩება ხოლმე.

უწინ პარკის გაყიდვა არ ყოფილა მიღებული. სახმარადაც და გასასყიდადაც ახვევდნენ ხოლმე სახვევათ გამოსადეგ ხარტყლიან პარკს.

სახვევათ არჩევდნენ შიგ „ჭიად დანარყეე“ (რობელშიც ჭია ირყეოდა) სარტყელიან საღ პარკს და ჭეჭიზზე გაშლილს ჰვენავდნენ მზეში (ივნისში). ასე ახმობდნენ დღე გამოშვებით. მზეში დაფენის მეორე დღეს შინ ჰდებდნენ, რომ მზეს არ დაეწო და „ურზავგო“ (თურქ., უძმარდვო) არ გამხდარიყო). ამ წესით ათაორამეტ დღეში ხმებოდა, თუ პარკისათვის ხელის მოქერის დროს „შიგაათი წყალ არ ჩამოვდოდა“, მაშინ აყარზე ჰვენავდნენ. შემდეგ ან თითონ ახვევდნენ, ან შექელ შემანენიკეს ახვევინებდნენ ხოლმე ოთხით ერთზე (მეოთხეზე). ამიტომ შემანენიკეების მიმართ უნდობლობის გამო ამბობდნენ ხოლმე: „ღმერთს შეეცა (მოეცა, მოგვცა), მუშანენიკეე ააღავ“.

„აბრაშუნ სახვეელა (სახვევათ) აკეთევდნენყ ქულბას ხამანენიკოში, სამანენიკოდაც ალთი აჩულ ქრ (ალთი აჩულ თურქ. = ქვეშ, გარეშემო ფარ-

ლიათ) კვატროდაყ (იყო ხოლმე). ქულბაჲ ევხლანდელ ურუსევი(ს) პლიტას მიპგონდა“ (ზიავადა). ქულბაში სლებდნენ „თიანს“, შიგ ასხამდნენ წყალს, დაბლითგან უკეთებდნენ ცეცხლს (შეშას), თიანში ერთ დოლჩა დოსაც ასხამდნენ, რომ რბილათ ბვეულოყო აბრეშუმი.

ქულბას გვერდებზე ჰქონდა აღმართული ორი თავკაპიანი ხე, რომელზედაც იყო გადებული „ყოლაგანდ“-ი (ზრო = ღერძს). ყოლაგანდზე იყო აცმული ჩარხ-ი, რომელზედაც ნახვევი აბრეშუმში ეხვეოდა. ჩარხს დაბლა იყო დამაგრებული კურმშტავ-ი (კვირიშთაჲ). ყოლაგანდის მოხრილი თავი იყო ვადაბმული დაბლა, ფეხის დასატერთან, რომლის საშვალეებითაც ატრიალებდნენ ხოლმე მანენაჲ(ს) ჩარხს. წყლის ვაცხელების შემდეგ თიანში ჩაყრილ პარკს ყაშირითი (თურქ. =მათარახს, ლულივით მოხრილი წვერიანი ზე იყო) „პტპავედნენ“ (სეცმდნენ ბეგვავედნენ), ურევდნენ, კიდე (მერე) ყაშიზე „ჟანჟალ“ ეხეოდა (ეხვეოდა). „ჟანჟალს“ ათელილ თავს სწვევტავდნენ და ყაზან ბაშიზე (თურქ. სიტყვა-სიტყვით = ქვაბის თავზე = ზვევის დროს ყველა ვადაწყარი) ისროდნენ, კარგ აბრეშუმს „კურიშტავი ზედათი გადაქონდნენ (გადაქონდათ) ჩარხზე“, ფეხით ატრიალებდნენ და „ველით წრჩის ჰპოულოვდნენ ანუ თელ ჰპოულოვდნენ“ და ერთ წვერს ჩარხის ერთ თავზე, მეორეს — მეორე თავზე ახვევდნენ.

თიანში ხახვევი პარკის გამოლევისას მშველელი ახალს უმატებდა და შიგ დარჩენილ, გამოშვლებულ ჰიასაც ჭაფქირით ჰყრიდა თიანითგან.

ერთ „ნაბათზე“ (თურქ., ჭერი, რიგი) ნახვევ ორ ჯიფს ერთად ჰკრავდნენ, „ეკატეოდა (ხდებოდა) ერთი ნაბათ“-ი. დღეში ექვს-შვიდ ნაბათის ხვევას ასწრებდნენ ხოლმე. ერთი ნაბათი აბრეშუმში გამოდროდა ერთი „ყაჟილ“-ი პარკითგან (ორი მტკაველის სიძალდის და ერთნახვეარი მტკაველის სიგანის ზოკრით ერთი პარკი ერთი „ყაჟილი“-ა). ზვევის დროს ზოგი პარკი არ ეხვეოდა ხოლმე. ასეთთაგან უკეთესებს „თეთრ ყაჟებზე არჩევდნენ, შედარებით ცუდებს შავ ყაჟებზე“. აღგილზე ნარჩომ ვერ ნახვე (ისეთი, რომელიც ვერ ეხვევა) თხელ პარკს ღახახს ეძახოდნენ. ამითაც „ყაჟს ჰხარწავდნენ, დაწეწაშიც დიად ეუფადით (ჭაფით, ძნელათ) იწეწოდა“.

ხვევისას პირველათ წვერის ამოღების დროს ფანჯალს მოსდევს ხართავ-ი. სართავი სქელი, გრძელი აბრეშუმია, მას ხარშავენ საპნიან წყალში, რის „შემდეგათ მბილდება და ზაბ-ზაბ ცალკავდევის“. მოხარშვის შემდეგ მას ღებოლხს ეძახიან. ღებოლის ძაფით წინდისთვის, „ბალისთვის“, ნემსზე სახმართთ ძალიან კარგია.

ზევის დროს ჩარხს თავებზე შემონახვევ მოკლე-მოკლე აბრეშუმს „ყორინთო“-ს (თურქ., ნაწყვეტი, ნაჭერი) ეძახიან. „საკლა ნახვე (ნახვევი) აბრაშუნ(ი) ხაითი“-ა).

ხაითის ხვევას დროს ჩარხს ხელით ატრიალებენ, რომ მოხერხდეს ხეთი ექვსი თამი (წვერი აბრეშუმის) სისქემითი ხვეაჲ.

„ბელბაღ“-ი იგივე სქლათ ნახვევი აბრეშუმია, მხოლოდ მის ჯიფს სახმართ სკრიან „ზაბი“-ს (ერთი ნემსში გაყრა ძაფით) სიგძით, აბაგენ წურწუმის ყულზე, სველი თითების ჩამოსმის შემდეგ სამ წვერს ერთად, საშსაც ერთად ხელისგულით, ქვევიდგან ზევით ხახტავზე (გრეხვის მიმართულდება) ჰვრებავენ და ბოლოს ორივე შენავრებს ერთად ისევე ხელისგულით — ზევითგან ქვევით ხახტავზე (გრეხვის მიმართულდება). „ბელბაღს“ „დაგრებვა-მოხარშვის შემდეგ ხმარობდნენ ხოლმე, „თხელ წმინდა ფარჩაითი: მავით, ანუ (ალ.) მოფით რამით ტანსომოზ შააკერელა“-თ). „ხაათის

ვარდნიზე (თურქ. — საბანს, საბნისპირია) ორ წარს ერდგან — მარტო ზა-
ხედენ, საბალეს (საზორზე, საყაითნე) ცალ-ცალკე თითო წარს ტარზე ას-
ტავდენ და მასკნი (მას უკან) ეპარაზე ზახადენ. დასტაშაიც, დაზახაშაიც
ხაათი(ს) გორგალს წყალში ავდედენ, აიქათი ასტავდენ — ზახადენენ“.

ამის შემდეგ „ბელბალსაც და ხაათისაც“ ხარშედენ: ცუცხლზე ძღვამ-
დენ ქებას წმინდა წყლით, გაცხელების შემდეგ 4,5 „ისტრილ“ (სტილი) ბელ-
ბალს ან ხაათის მოსახარშათ აჭრიდენ ქებაში 2, 1/4 „ისტრილ საპონს“ (სა-
პონს). „საპონ გდნომას უკან ჰყრიდენ შიგ წმინდა წყალში საბნით გა-
რეცნილ, რე რომ ზედ პატა ქუქუციც არ ჰქონდეს, ბელბალი(ს) ნაგრეხევით
(ნაგრეხში ტანსაცმლის ურთელის შესაქერათ სამყოფი აბრეშუმის ძაფია)
დაწანა ნაწნავებს ან პაწარ დანახვე (შემოხვეული) ხაათი ჯიფეცა“. დაწენა
და ბაწარის შემოხვევა საჭირია ხარშის დროს ათელვის თავიდან ასაცი-
ლებლათ. დუღილში ხშირ-ხშირათ მორევა უნდა. როდესაც ბელბალი ან ხა-
ათი „ჩაინახივება“ (ჩაძირებოდა, ჩაიწევა ქვევით), იღებდენ ქვაბიდ-
გან, ცუცი წყლით რეცხავდენ-ალაღლაღებდენ და დაწურვის შემდეგ ჰქე-
ნავდენ გასაშრობათ.

ბელბალს და ხაათის ნახარშ საბნინ წყალში ქუქუციან ტანსაძონს
ალბობდენ, ჰხეხავდენ და შემდეგ სხვა წმინდა წყლით და საბნით რეცხავ-
დენ ხოლმე. სახვევით გამოუსადეგარი მაგრამ სალი: „ნაბადა, ცალბერანგო
გომოპეტლულ პარკს“, დილით წყალში ჩალობილს, შუადღისას მაგრამ
სველქავეს, რეცხავენ და წმინდა სარკესებრა წყალ გომოსულაში“, ცუცხლ-
ზე შედგმულ „ქრუვალ წყალში“ საპონს „აეუწებენ“, ისეთი რაოდენობით,
როგორც ბელბალს და ხაათისათვის“. საბნის გადნობის შეჭდეგ ჰყრიან შიგ
„ხადომფლე გომნაეტლ, გარეცხულ პარკს, ადულებენ და მალ-მალე ურევენ.
დიდი ხნის დუღილის შემდეგ იღებენ ქვაბითგან ერთ პარკს და, თუ ეს გა-
მოლუვამდე დაიწეწა, მაშინ „ჰყრიან“ (ამოყრა) დომფალს და წმინდა წყლით
რეცხავენ და აშრობენ.

დომფლის ნახარშ საბნინ წყალში კიდე „აეუწებენ“ (აჭრიან) ცოტა
საპონს, შემდეგ ყაჭი(ს) პარკს „წმინდა წყალში სველუტავენ, რეცხავენ „შიგ
ნაწნარ (ანუ ნამყოფ) კიამ(ს) წარს (წვერის) გათიევა (გათაევა, გამოლუვა)—
თეთრ წმინდა წყალ გამოსულამდინ“, ჰყრიან საბნინ მელღარე წყალში და
ისევე ჰხარშავენ და რეცხავენ — აშრობენ როგორც დომფალს. ერთი ბათანნი
ნელი პარკით გამოკებულა-გახმობის და მოხარშვა-გაშრობის შემდეგ ხუთი
„ისტრილ“-ი (სტილი) დომფალი დგება.

„დომფალს ცალკე, ყაჭს ცალკე. ჰეწენ და ჰკვლენ“ (აქელაჲ, ახელვა,
ხელზე გადახვევა, ჰელი უდრის სამ-ხუთ მარტოლ დომფალს დაწეწილს და
ხელზე გადახვეულს). ხშირათ „კვლებს“ ერთიმეორეზე აბავენ, ამას ახარ-ს
ეძახიან. აქლულ დომფალს ან ყაჭს აწყობენ „მორო ყბიან გუგურაში (ვიწ-
რო პირიან გოგრაში), აიქათი ტარზე ასტარს კედს (ართავენ) დომფალით
ცალკე, ყაჭით ცალკე. საბალს (საყაითნე, ხაწონარე) პატა სკლა ასტარს, სა-
ნეშტოს — პატა წილაყა (წერიალათ) — წმინდა. დასტას უკან (დაათვის
შემდეგ) ორ წარს (წვერს) ერთად(დ) გორგალ ახევენ (ახვევენ), კიდე (მერე)
ზახენ (დახავენ)“.

დაძახვის შეჭდეგ კედს ჩაღის ხახწწით (სახვეწით) ხეწავენ, რომ კედ-
ზე დარჩენილი ბეწვი მოსცილდეს და კედის ძისქე ყველგან გათანაბრდეს.
დასთვის. დაძახვის და დახვეწის დროს ქუქუციან ხელს არა ჰკიდებენ.

დაძახვა-დახვეწის შემდეგ კედს ჰჯიფენ (ჰჯიფავენ) და კიჭს უკეთებენ
დედანახაც (ხათაევე) დასაქიდებლათ. კიჭში ინახვენ საჭირო დრომდე. ნემს-

მი სახმარებლათ აკეთებენ შულოვებს (ეკრი თითის სისქეთ, ერთი აგებან სიგრძე კედლის შენაგრები). ერთ აგება კელს უძახიან ზაბს.

ფარადი კედის შულოვებს შეღებვის შემდეგ აკეთებენ.

ყაქის კედლით „ზრლ — მკლის“ (ძველმანის) დასაკერათ, ახალი ტანისამონის „აალარელა — დააათელა“ (ასალარათ — გადასამბელათ. დაათათა თურქ. = გადაბმას) და „ბაწრი შალიბე“ შიგ ხაყარადაც (ხაჭედათთ) ხმარობენ. დომფლის კელს კი დასაკერათ და ახლის შესაკერადაც ხმარობენ, რადგან კარგათ შემზადებული დომფლის კელი ხაათს ჰგავს.

ბელბალით კი ახალ წმინდა ფარჩის ტანისამონს ჰკერავენ. წინდის მოსაქარაგად ბელბალს და ხაათს ხმარობენ.

კელს, ბელბალს, ხაათს — სანეშაეთ, კელს და ხაათს საქსოვადაც ღებავენ სხვდასხვა ფერებში, ისე როგორც ბაწარს, მხოლოთ წითლათ შეღებვის [დროს] „შუნდს (ველ შუნდს, კერკს) და შაას“ არ აყრიან ქვანში. მარტო ბოლოს შაბში ჰტიტბავენ. დასატიტბათ სამ გირვანქა კელს (3/4 გირვანქა შაბი სჭირდება.

კედლით და ხაათით აბავდნენ და ჰქსოვდნენ ისევე, როგორც ბაწრით: „მორღანს (თურქ., ძაბანს, ხაზნისპირს), ტოლასს, ჰაბგას (უფრო კედლით). ხაათის შალებს“, კედის შალებს (საიზებეთ-საშარველთ). სწნაენდნენ ან ქსოვდნენ „ბალეუს (ყაითნებს, ზონრებს): გურგალს, ტყელს, კრელს, ფირფტოა ბაღევს, თონმანი (ანუ დაღარ ყიფს. თურქ., = გულდისბაღს; თონმანი თურქ. = ზვედა(ს) ბალეუს“.

უწინ დიდი ხირცხვილი ყოფილა ძაფის სყიდვა ყველა დიასახლისის თავისი ოჯახის სამყოფი ძაფი უნდა ჰქონოდა ხოლმე შემზადებულ-მომარაგებული. უწინ ბევრი პარკი მოჰყავდათ და პარკათ გაყიდვა არ იყო მიღებული. ოჯახისათვის საჭიროზე მეტი პარკით ახვევდნენ ხოლმე „აბრაშუნს“ და ჰყიდნენ. ბევრი ოჯახი ოთხ-ექვს ბათიან „აბრაშუნს“ ჰყიდიდა. აბრეშუმის სყიდვა-გაყიდვის დროს წინის ერთეულად იყო მიღებული „ბათიან“-ი. ბათიანი უღრის 32 გირვანქას, უღრის 4 „ჩირაქს“ (ჩარეკი); ჩარეკი უღრის 6 გირვანქას. თვით გირვანქა ხმარებაში არ ყოფილა. ბათიანი უღრის 45 „სტილს“ (სტილს), ჩარეკი — 12 სტილს, სტილი — 4 რუბს, რუბი — 13 მისხალს. „უწინ იტყოდნენ: ურუსი (რუსის) აბაზერი(თი) მისხალივ. ერ(თი) ქათმი(ს) კარცხი (კვერცხის) წონაა ერ(თი) რუბისრღორნაისავ“ (ოდენიათ). 1,5 სტილი უღრის ერთ გირვანქას. შეტანაბათ ჭიის თესლს სწონაენდნენ რუბით. „ხანაა“-ს (ქსელი, საქსოვი) გაბმა-მოჭსოვის ან ქსოვილების სყიდვა-გაყიდვის დროს ხმარობდნენ საზომათ ადლს, რომელსაც შემდეგში „ურუს არშენ (რუსის არშინის) გომოსულას უკან“ დაარქვეს „ხან არშენ“ (ხანის არშინი).

მითუღმითი

მთხრ. შაკა თანიაშვილი, 40 წ. (სოფ. ანანური).

პეპელას დავსხამთ ხუფთაფ, დაყრის თესლს, იმ თესლს შევიწახამთ; მერე გაზაფხულზე გამოვა ჭია, იმას უნდა სისუფთავე და სწყყნს სინესტე. თუ ჭიას რამე ავადყოფობა გაუჩნდება, იმისთანა ჭიას მოვაშორებთ ცალკე, არ მივაკარებთ ნამიან ფოთოლს, ჭიას სწყყნს. არ უნდა მივეკაროს ჭიანჭველა; თუ ჭიანჭველამ უკბინა, თავი უსივდება. თავი ემტერება და ფრანველიც.

მუდამ დღე, დღით უნდა ფოთლის გამოცვლა, ყოველ დღე გადარჩევა სჭირდება. ნესტიანი ადგილი მავნებელია. ჰია რამდენიც მერე დაძსვილდება, იმ სხვილებს ცალკე ფადავიყვანთ. ჰია განივრად უნდა იყოს. ქალაღლებიცი ისე გეჰქნდა დაჩვიტრილი — მსხვილებისათვის მსხვილათ და წვირღლებისათვის წვირღლად. მუდამ დღე გადარჩევა უნდა, რომ სუნი არ დეეცეს და არ გაფუჰქლეს.

რამდენიც ჰია გამსხვილდება, იმდენჯერ კანს იცვლეს — ორჯერ მაინც და ვინი ჰამეჯრავ. ცახვებს დროს კიდეც, რომ შევატყობთ, რომ დაძსვილდა, მერე ზუხის ტოტებს უკეთებთ და ცახვის დროს ვატყობთ, თავები სულ მაღლა აქვთ კიებმა და ვიცით, რომ ცახვისათვის ეშხადება. ზუხის ტოტებს ზღლ ლასტზე ვავაკეთებთ, — შუა და შუა ჩაურკობთ. კიდეც ერანაირი ბაღლახია (სახელი ვერ მოიგონა), იმასაც გაუკეთებთ. თუ ლასტზე არაფერი გაუკეთეთ, მაშინ ჰია წვაა-წამოვა. მერე შევატყობთ პარკს, დაშვარდნმა, ესე შვიდი-რვა დღე უნდა იყოს და თუ მაგარი, დასრულებული, დაჯკრეფამთ. მერე ერთ დღეს მაინც შხეზე გავშლით, რადგან უფრო კარგათ ამაქვეს წვირი, თეხლისათვის ცალკე ავარჩევთ. ხაუკეთესო პარკი წვირილია და შავარი, ყაქვის პარკი კიდეც ფუხუხა, მსხვილი პარკია.

[ძაფის] ამოღების დროს წყალს ვავაცხელებთ ჰეზში, უნდა დუდღეს, მერე ჩავყრით წყალში [პარკს] ერთ ჰამს (ცეცხლიდან უნდა გადმოღებული იყოს) და მერე კოვზით ურევთ. იმ კოვზზე დეეხვევა თავება და მერე კიდეც ფირფიტაზე ახვევს აბრეშუმის ძაფს. მერე იმას თითისტარზე დავართამთ და ორწვერაზე ამოვახვევთ. ორწვერათ დათოული კიდეც უნდა დაიგრიბოს ჰარანზე და იმ დაფრეხილს ამოვახვევთ, შუღლს ვავაკეთებთ, მერე გამოვხარშამთ.

გამოხარშვა: ჩავყრით ნაცარს წყალში, დავაწქნობთ. იმ სუფთა წყალს ავადუღებთ და შიგ ჩავდებთ შუღობით აბრეშუმსა და ცოტა ხანს ვადუღებთ. ბევრი ხანი რომ დავარჩინოთ ძაფი დაჩვევა. მერე ამოვიღებთ იმ ნაღღლს, ჩავდებთ ტაშტში და საპნით ვრეცხამთ და მემრე კიდეც მივბარუნებთ და საპნითა და სოღით გამოვრეცხამთ და იმაში ავადუღებთ. ამოვიღებთ და ახლა თბილი წყლითა და საპნით ვავრეცხამთ, მერე საპნის წყალში ვადუღებთ, მერე სუფთა წყალში ვავრეცხამთ და მერე ამოვიღებთ, მზეზე ვავამრობთ და დაფრეხამთ. მშენეირი პეწი მიეცემა.

ბახუხი კითხვებზე:

1. ლახტზე ფოთოლი ყრია, ფოთოლზე არიან კიები, კიებს ზემოთ დაჩვიტრილი ქალღღია და შემდეგ კვლავ — ფოთლები. კიები ლასტზე დაყრილი ფოთლებს რომ შესჰამენ და მოანავიანებენ, შემდეგ ქალღღში გაკეთებულ ნაჩვიტრების საშუალებით ზემოთ ამოღან. მონავიანებულ ლასტებს კი აღღებენ, ნაგავს ვადაჰყრიან და ისეც დაუგებენ.

2. ზამთარში თესლი ცივად ინახება, ზოლო ვახაფხულზე, თუთის ზის ფოთლის გამოხვლასთან დაკავშირებით თესლს სითბოში ვაუფენაქენ და ჰია ამოღის თესლიდან. თესლი, მთხრობლის სიტყვით, შხემ არ უნდა ნახოს, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ჰია კვდება.

3. თესლიდან ჰიის გამოხვლამდე წინაწარ ოთახს ვასუფთავებენ, გოგირდს შეუბოლებენ და შემდეგ, სანამ კარგად არ გაასუფთავებენ, არ ვასწმენდენ ოთახს გოგირდის თუ სხვა სუნისგან, მანამდე ჰიას არ გამოიყვანენ.

მთხრობელმა არ იციან ჰიის ავადმყოფობისა და მათი სახელების შესახებ არაფერი.

4. ქიების ზრდის დროს, მოზრდილო, მსხვილი ქიები ცალკე გადაყავთ. ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი პატარაებს სჩაგრავენ.
5. ცახვა — ქიის მზადება პარკის გასაყეთებლად, ცახზე გახვლა.
6. ყაჭი — კარგი ხარისხის აბრეშუმის ძაფის ამოღების შემდეგ დარჩენილი, ნაბოლარო ძაფი.
7. ლახტები დაწნულია თხილის ტოტებისაგან და ოთახში ჩამოკიდებულია თოკებზე სართულბად.
8. ბალახი (სახელი არ ახსოვდა მთხრობელს), რომელსაც ცახვის დროს აყეთებენ ლასტებში, ხშირტოტიანი და იმაში ჭია კარგად მუშაობს პარკის გაყეთების დროს.
9. ჭიას სხვადასხვანაირი ფოთლით სჭირდება კვება. პირველ ხანებში ჭიას უნდა მამალი, ან ფურცლის თუთის (ასეთი თუთა ნაყოფს არ ისხავს) ფოთოლი (სამი — ოთხი დღის განმავლობაში), მერე მგავე თუთისა (შავ ნაყოფს, რომელიც ისხავს). მთხრობელის სიტყვით, მგავე თუთის ფოთოლი იმისათვისაა საჭირო, რომ ჭიას ასეთი ფოთოლი კბილს მოსჭრის და ცახზე მალე ვაეაო, პარკს მალე გააცეთებსო.
10. ჭიას პარკში შესულამდე მერტნალები კვება სჭირდება; ზოგ ჭიას ორი თვე სჭირდება კვება, ზოგს შვიდი კვირა, არის ექვსკვირიანიც.
11. სათესლედ წვრილი პარკია კარგი.
12. აბრეშუმის ძაფისაგან ქსოვენ ჩულქებს, ხელთათმანებს, ხმარობენ შალის ქსოვის დროსაც.

პართლი მტკვრის ჩრდილოეთით

მთხრ. ნადია ძიძიშვილი, 29 წ. (სოფ. მუხრანი).

აპრილის რიცხვებში აიღებენ პატარა ნაჭერში გამოკრულ ჭიის თესლს და დასდებენ შიშის გულზე, რომ ის თესლი გათბეს და მატლი გამოვიდეს, დასდებენ იმავე ნაჭერზე, რა თქმა უნდა. როდესაც მატლი გამოვა, მოკრიფამურ პატარა მაკრატელა ბალახს, ჩვენ ცხავს ვეძახით, იმ ბალახით და შეინახამენ თბილ ადგილას, რომ აპრილში ხან სიცივე იცის და არ დაიხოცოსო. მერე დაუყრიან დღეში სამჯერ და მერე, როცა ის გამოიცივოს მურს (ჩვენ პირველ კანს მურს ვეძახით), შემდეგ ადგებიან და ნაძირს, ჩვენ ზუღნას ვეძახით (თესლი და კანი), მოაცილებენ და გადაიყვანენ ცოტა მოზრდილ ცხავეში, თუ ცხრილში, ჩვენ ასე ვეძახით, და ჰკვებამენ მანამდე, სანამ კოკორი გამოვა. ჰკვებამენ დაახლოებით ერთ კვირას მინც.

თი ახლა მეორე კანს რომ გამოიცივოს, იმას უკვე უნდა ძილი, ჭიამ ძილი იცის, საერთოდ. ძიძინებს მეორე კანში ერთი დღედაღამე. შემდეგ კიდევ ისევე განმეურებაა, მეორე კანს გამოუცივლიან. მეორე კანს შემდეგ ისევე რაე კვებამენ. მეოთხე კანამდე, დაძინებამდე, კვებამენ სამჯერ; მეოთხე კანს შემდეგ — ოთხჯერ დღეში იმიტომ. რომ ჭია იზრდება დიდი. მეოთხე ძილი იქამდის მიღის, რომ სძინამთ ოთხი დღედაღამე, ეს არის უკანასკნელი ძილი. მეოთხე ძილიდან რომ ამოვა, კანს გამოიცივოს და სჭამს თორმეტ დღედაღამე ფურცელს. მერე ერთ-ერთი იმათგანი, რომელიც სულ პირველად არის გამოსული, გააყეთებს პარკს ერთ კუთხეში. იმას ჩვენ ვეძახით შიკრიჯს. შემდეგ ჩვენ გვაქვს დამზადებული, ცახს ვეძახით, ბალახით, ავდგებით და იმ ბალახით ლასტებს შემოვყავამთ. ავა იმ ცახზე ის ჭია და დაიწყებს [პარკის] კეთებას. სან დღეში მოათაეებს პარკის გაყეთებას. საერთოდ პარკი

ქიის ასეღის დლიდან, ცახზე უნდა იყოს ცხრა დღე, მერე, ცხრა დღის შემდეგ, გამოვკრეფამთ იმ ცახებს, გამოვამზევებთ და დაუწყობთ გამოვკრეფის იმ პარკებს. იმას რომ გამოვკრეფამთ, იმას აქვს კიდეე ზემოთა კანი — ყაჭხ ეძახიან; იმას გააცლიან და გასუფთავდება სულ პარკი.

პარკს ერთ სამ დღეს გაფუნამენ მზეზე, შემდეგ დასდგამენ ქვაბით წყალსა და როდესაც ადუღდება, ვარაუდით აქვთ, ჩაპყრიან ადუღებულ წყალში და დახურამენ, რომ ცოტა წამოდუღდეს, შემდეგ მოურევენ ჭოხით; როდესაც ჭოხით მოურევენ, ზემოთა კანი კიდეე ჭუჭყიანი აქვს და ის ამოჰყევა. შემდეგ, ჩვენ ეძახით ფორფიტახ, პატრია ფიცარია და იმაზე დაიწყება წმინდა აბრეშუმის ამოხვევა. როდესაც ამოიღებენ, მორჩებიან იმას, მერე ეძახიან ჭარახ, იმაზე დაგრეხამენ, რო შულოთ იყოს. მერე იქიდან ჭარახზე დახვეული რომელიც არის, გამოხსნიან და იმას ეძახიან შულოს. მოქსოვენ წინღებს, ჩულქებს, ხელთათმანებს და სხვას.

ხათეხლე პარკებს როგორ ინახვენ? პარკებს გამოკრეფის შემდეგ ძაფზე აასხამენ. როცა უნდა გამოიკრიფოს, სამი დღის მერე იქიდან გამოვა პეპელა და მერე დედალამამალ პეპლებს აიღებენ და როცა განაყოფიერდება, თესლს დაპყრის დედალი პეპელა; იმ განაყოფიერებულ თესლს აიღებენ და იმავე ქალღლით შეინახამენ, რადგან ამის აფხეკა არ შეიძლება, ის ქალღლიზე დაკრულია. შეინახამენ ასე მეორე გაზაფხულამდე.

პახუხები კითხვებზე:

1. ქიის ავადმყოფობის შესახებ მთხრობელს ცნობები მიღებული აქვს კურსებზე, რომელიც მას გაუვლია. იცის ოთხნაირი ავადმყოფობა: პეტრიონი, ხიუფთილე, ხიმხიფენე, და ფლაშერი.

[ყაჭი] — პარკის ზედაპირის ჭუჭყიანი, დაბალხარისხოვანი ძაფი.

3. ცახი — ბალახები თუ ხის ტოტები, რომლებიც ვარგისია ქიისათვის პარკის გაკეთების დროს. პარკის გაკეთების დროს ლასტების ნაპირებში დაამკრებენ შემდეგ ცახს: ბირკა ცოცხს (ბალახია), მუხის ფოთოლს და სხვას.

4. ერთი ან ნახევარი არშინის სიგრძეზე დახვეულ ძაფს შულო ეწოდება.

5. პარკების ძაფზე ასხმის დროს ნეშს უყრიან პარკის კანში.

6. ძაფის ამოხვევა. ადუღებულ წყალში ჩაყრილი პარკი რო წამოდუღდება, ხუთი წუთის შემდეგ ქვაბს გადმოიღებენ და პარკებს ცივი წყლით დანამავენ და მერე გრძელი ჭოხით მოურევენ. იმ ჭოხს ჭერ უხვირო ძაფი შემოვხვევა და შემდეგ როცა დაწმინდავდება, ძაფს გადასპრიან და უკვე წმინდა, კარგი ხარისხის აბრეშუმის ძაფს ფორფიტებზე ამოახვევენ.

7. სანამდე თუთის ხე ფოთოლს გამოიღებდეს, მანამდე ქიას კვებავენ ე. წ. მაკრატელა ხალახით.

8. ცხრილი — ეწროოჭრედებიანი საცერი; ცხავი — შეღარებით მომსხო, განიეროჭრედებიანი საცერია.

9. სახელი შაკრეკა, რომელიც ეწოდება იმ ქიას, პარკს რომ პირველათ გააკეთებს, ხალხური სახელი არ არის, კურსების ტერმინია.

10. ლასტები ჩამოკიდებულია, ერთ ჭიანჭველასაც კი დიდი ზიანის მიყენება შეუძლია.

11. ავადმყოფობის დროს ავადმყოფ ქიებს გადაიყვანენ, შოაცალებენ ჭანმრთელებს.

ჯერ თეხლს უნდა კარგა შენახვა; ყინვა არ უნდა იყოს, მაგრამ როცა ცხელია, ცივად შევიინახათ. მერე, გამოყვანის დროს, მარტში თუ მარტის ნახევარში თუ კარგი გაზაფხულია, ადრე გამოვიყვანოთ, ისე რომ, თბილად შეინახავს და გამოვლენ თავისთავად. სამი დღე უნდა იყოს თბილად თესლი, სამი დღის იქით გამოვა. მე ვიცოდი თბილად უბეში შენახვა. მერე, როცა კარგად შეატყობთ, ფუთფუთს დაიწყებენ ათი-ოცი-ორმოცი, მერე გაშლა უნდა, თბილად შენახვა. დავაწყობთ ფოთლებსა და გაუშლოთ თხლათ. თუ ადრე გამოვიდა, მაშინ თუთის ტოტებს გავფხვავებთ და იმაზე ეოლას გავოვა და ფოთლებს დავაწყობთ სუფთათ, მერე იმაზე დააწყობენ ჭიას. მანამ თვისა გახდება, ურჩევნია, რომ ჭურჭელზე იყოს, თვისა რომ გახდება. მემრე ლახტებზე გადავიყვანოთ. ესლა უნდა მაგას ყოველ სამ დღეში ერთხელ ძირის გაშლა; გათხლეხა დასჭირდება სუყოველთვის. სამ დღეში ერთხელ. თვეში დილა-სალამოს უნდა კმევა, რაკი ლახტებზე გადავლენ, მემრე სამი ჭერი უნდა. როცა ღილ ძილს დაიძინებენ და ცახს რო შეეშალება, მაშინ ოთხხუთ ჭერსაც მაინდოვებს კმევას. მაშინვე უნდა მოუნდაღონ ცახი. ცახი გამხმარი უნდა, ნედლი არ უნდა იყოს. ჭამას რო მოუმატებს, ცახი მზათ უნდა იყოს. ექვს კვირას სჭამს და მეშვიდე კვირას, როცა ნიშანს ნახამენ, მაშინ იმდენი ჭამა აღარ უნდა.

რო გათხლეხება ჭია, მემრე იმას უნდა ამოუკრიფოს გული იმტომ, რომ პეპელა არ გამოვიდეს. რო ამოვკრებამთ გულს, სამი დღე იქნება ლახტები, მესამე საღამოს ამოვიღებთ და დავყრით ცახებს, რომ თუ რამე გასაკეთებელია, დეშურება და გააკეთებს. მემრე პარკი უნდა: გავახმობთ შუბზე, ან თორნზე, რო პეპელა ადრე არ გამოვიდეს.

ორ გირვანქა აბრეშუმის პარკზე უნდა ერთი კევრცხის წონა ძაფი. მემრე ამ აბრეშუმის ძაფსა რათაც გვინდა მოვიხმართ. ნოვქსოვთ წამოსასხამ შალებს, ჩულქებს, წინდებს და კიდევ ჩახსაკრავებს ვქსოვდით.

მახუბი კითხვებზე:

1. რკინეული, სპილენძის რამე არ ვარგა; პატარა საცრები, ცხავი, ხახალი გვაქვს და ჭიას იმაზე შევიინახათ, ზოგი ტაბაკია, ზოგი ცხრილი, ზოგი ხონჩა, ზოგი, როცა გამრავლდება, პატარ-პატარა ფიცრებია, იმაზე დავსხამთ.

2. პირველად ცხავებს ფეხთან დასდგამენ და შემდეგ ჭერში ფიცრებია ჩამოვიღებული და იმაზე დასდგამენ და ზემოდან რამეს გადააფარებენ სუფთად.

3. ჭიები როცა დაიზრდებიან, ადგილი აღარ ჰყოფენ და მაშინ გადაჰყავთ ნაწილი მეორე ადგილას, ათხლეხენ.

4. თუ ძალიან ავღრიანი ამინდია — ქუხილი, წვიმა, ქარი — სწყენთ ჭიებს. მე ვიცოდი გამხმარ ნეხვის წივას ვიმოვიდი და იმით გავათბობდი სახლს და ეს უყვარდათ. მთხრობელმა არაფერი იცის ჭიების ავადმყოფობის შესახებ.

5. ცახებთან ხმარობენ წიწმაცა ბალახს, ყვითელთავა ბალახს, წითელ ცახს და სხვას.

6. ხათხლე პარკს არ გავაშრობთ და იქიდან პეპელა გამოვა და თეხლს დაუყრის.

მთხრობლები: ელენე რაუდენის ახ. დეკანოზიშვილი, 50 წ.; მარიამ რაუდენის ახ. დეკანოზიშვილი, 55 წ. სოფ. რუისი, 1936 წ.).

ოსიაურის ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო მეტაბრეშუმეობა, მუხრანში და კასპის რაიონში. თესლხ, რასაკვირველია, ცივად ინახავდნენ, გამოკრავდნენ ჩვარში და ლობიოში შეინახავდნენ. [ჭიხ] გამოსვლის დრო რომ მოახლოვდებოდა, [თესლს] შეუღებდნენ კრუხს ან უბეში [ჩაიღებდნენ]. როცა გამა-ვილოდნენ] ჭიები, მაშინ იტყოდნენ, ნიშანი გააკეთა ჩემმა ჭიამ. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ჭია გამოცოცხლებას, გამოსვლას იწყებდა თესლიდან. ამ გამოსულ ჭიას მეორე ასაკამდი შურს ეტყოდნენ.

არიდებდნენ ჭიას საზოგადოთ, თვალ არ სცემოდა; თუ ვინცობაა ხოც-ვას იწყებდა ჭია, ამას ავთვალს აბრალებდნენ, იტყოდნენ: — ავი თვალთ დამიშვენდა (მომიკვდა) ჭიაო“, რადგან ჭია იყო შათი აზრით მადლიანი...

ავანტყოფობის [საწინააღმდეგო] საშვალეზად მიმართავდნენ ზიარებას. როცა ავადმყოფობა გაუჩნდებოდა ჭიას, ჩვეულებად ჰქონდა[თ] ზიარება. სოფელ შინდიქსში მითხრეს: „ჭია თვალნაცემია, უნდა ვაზიაროთო. ამიტომა შევინდება ეს ჭიაო, რომ თვალნაცემიყო. ღვინით დაენამეთ (დავასველეთ) ფოთოლი და ამით დაპურებული ჭია მობრუნდებაო“.

მურსა თფილ კეცზე ნაცარი უყრება, ნაცარზე ფოთოლს ყრიდენ და კვებამდენ. მურს იმიტომ ეძახდნენ, რომ შავი იყო. ახლად გამოჩევილ ჭიასა მართლაც შავი ფერი აქვს.

ჭიის მოზრდას და გაფართოებას [გამრავლებას] ბარტყობას ეძახდნენ. იტყოდნენ, ჭია ბარტყობხო როგორც ბარტყობს თევზი წყალში, ისევე ბარტყობს ჭიაო. მურიდან მეორე კანში გადავიდოდა; ასე იტყოდნენ — ჩემი ჭია მურიდან გადავიდაო. ჭია რუხ ფერს ღებულობს.

ჭიის მოკვლა ან დაზიანება ცოდვით ითვლებოდა, რადგან ჭია იყო მადლიანი. ამიტომ არიდებდნენ ავთვალსა. მეორე კანში რომ იყო თუთის ფოთოლს ვაქმევდით, უშვილო (უნაყოფო) თუთის ფოთოლს. მეორე კანში ხახალზე გადაიყვანდნენ. მესამე კანში რომ იყო ლახტზე გადაიყვანდნენ. ფერი უფრო ნათელი, გამჭრიმალე ჰქონდა. ისევ თუთას ვაქმევდით. მეოთხე კანში რომ გადავიდოდა, თეთრი კანი მიეცემოდა კიდევ და კარგი მეტაბრეშუმე ქალი ამჩნევდა, დედალი იყო, თუ მამალი. მესუთე კანში ვაქმევდით უფრო მეავესა და ნაყოფიან თუთის ფოთოლს, „რომ თუთამ კბილი მოჭრას და [ცახზე] მალე გავიდესო“. გაუღვამდით ცახსა. ცახი შესაღებოდა მუხის, კომშის ტოტი[ს], ცოცხობა ბალახის, თელის ფოთლისაგან. იტყოდნენ, მესუთე კანიდან ამოვიდნენო. პირველში პატარა ფოთლებს უყრიდით, მაგრამ შემდეგ, მეოთხე-მესუთე კანში ფოთლებს ყლორტისას უყრიდით.

როცა გამრავლებას იწყებდა ჭია და ვერ მოთავსდებოდა ხახალზე, მაშინ გამრავლებას იტყოდნენ. ჭიას ურთი ლასტიდან მეორეზე რომ გადაიყვანდნენ, იმას გადახხმას ეტყოდნენ. თუ იწყებდა ჭია გამოვლას, მაშინ ჭახანა (მხურვალე) მზეზე გაშლიდნენ და დაბოცავდნენ.

მთხრ. ტერცია ბიჭიძე, 81 წ. (სოფ. ცხრუკეთი).

ვერცხში რო გამოტყდებოდა შური, იმა ვაჟმედიო ბუფლის ფოთოლხ. ჯარ ცხრილზე დავაჯენდიო და შურე ჩელტებს მოვრავავადიო. შერე ნელ ტოტს შოვკრიდიო მუხისახ, კვიცხისახ, ცხმელიახს, ნეკარჩხლისახ ფოთლიანებს, შემოვავლუბდიო გარშემო და წავა შერე ზედ ჰია (ამა ქვია ცახი). გააკეთებს იმაზე პარკს. ერთი კვირა უნდა იყოს ზედ გაჩერებული. შერე გამოკრიფავ პარკს, ჩაყრი მდულარეში და ამოიღებ [ძაფს] ჭოხით, დაახვევ ხამუხველზე.

მთხრ. აგრაფინა ნებიერიძე გეწაძისა, 30 წ.!

პარკს ააკვამენ და დაკიდებენ. გამოვა ბეჰელი. დააჯენენ ქაღალდზე. ორი დღის შერე დაყრის კაკალხ. თესლს ინახავენ თბილ ადგილას. 23 აპრილამდის გამოტყდება ჰია, უბეში ან ბამბაში სვამენ, რომ გამოტყდეს. ჰიას აჰქევენ ბუფლის ფოთოლხ, ორ კვირამდის: უჭრიან წვრილათ, შერე კენწლესიანათ აძლევენ. ექვსი კვირის რომ გახდება, გეოკეთებს პარკს შტოებში. ჰიას სვამენ ჩელტებზე. მანამდის აკეთებენ ნაკელის კეცებს (გახზობდენ ჰადის კეცებიოთ) და დასვამენ ზედ შურსა. შერე დღის გაღმოიყვანენ ჩელტებზე.

ჰიას შეიძლება დემართოს ხევითლე სოხშირის ან სიცივისაგან. წყენს წვიმები, ვეღარ ამოდის კანში. ამიტომ თბილათ ინახავენ და შშრალ ფოთლებს აძლევენ. პარკების გასაკეთებლათ შედის ცახზე¹. ამ დროს გრილათ უნდა იყოს, ამიტომ ინახავენ გომურჩავ სახლში, რომ სიცხემ არ შეაწუნოს ჰია წასვლის დროს. პარკს გაშენდენ, გახისინიან ბეწვსაგან, გააფენენ მზეში, გახმება. შერე ხაწყაოთი ჩაყრიან ადულეზულ წყალში, დოურევენ ჭოხს, ამოყვება ძაფი. დაახვევენ ან ფირფიტაზე ან ხამუხველზე, ან შარქანცზე. შერე გადააძრობენ, გარეცხავენ ციე წყალში, ძაფი დაშორდება ერთმანეთს; გარეკავენ ჭოხებით; გაფენენ, გაშრება. დართულიც შეიძლება იხმარო და დოურთავიც. დართული სქელი მოდის ქსოვილი, ხოხოში სახე აქ; დოურთავი უფრო წმინდაა, რბილი და მტკიცე. თუ დართავენ და შერე დაძახავენ, უფრო წმინდა ქსოვილი გამოდის.

ყაჰი ჰქვია ამოსახვევათ რო არ ვარგა ძაფი და თესლას გამონაჭერს რო დაქენწყავენ, დაასველებენ და შედგებიან ფეხით; გააშრობენ. ჩაყრიან ნაკარს წყალში და მოადულებენ; ნაცარწმენდილხ გააკივებენ, გადაწურავენ, შერე ისევე აადულებენ სუფთა ქვაბში, ყაჰს ისევე დაასველებენ, ჩადებენ შიგ და ხარშავენ. შერე გარეცხავენ, გააშრობენ, დაბეგავენ ქვათ, ჭოხით ან ფეხით; იამოვა ბეწვი; დაართავენ თითხებარზე, შერე დაძახავენ; ცალ-

1 ჩაწერს გეოგრაფიული პუნქტი მითითებული არა აქვს.

2 კენწლესიანი — კორწებიანი.

3 შური — ახალი გამოტყვბილი ჰია.

4 ცახი — ხის ტოტი.

5 დაქენწყვა — დასველება.

წვერს ხმარობენ მოსაქსოვით, ორწვერს — ძაფით. ხანდახან ყაქს და მაშ-
ბას ქსოვინ ცრით, ხან — შაღ-ყაქს. ყაქ-ბამბით ქსოვენ ხოლმე ხალხებებს.

კვანთი იმეტი

მთხრ. თებრონე კოსტას ახ. შავანაძე, 57 წ. (სოფ. როხი, ხონის რაი-
ონი).

პარკიდან პეპლებს გამოვიყვანდით. მერე პეპლები დედალ-შამალი ინ-
ცხოვრებდა (იცხოვრებდა) და მერე დაყრიდა თესვს. მერე იმ თესვს ევი-
ლებდით და შეეინახავდით ზამთარში თბილად. ცივად რომ შეგვენახა, გარ-
დაცივდებოდა და თესლი აღარ იმუშავებდა, არღარ გამოტყდებოდა.

მარტი რომ მოაწევდა, სითბოში სილაში, ან სიმინდში შეეინახავდით
გრილად. თორემ გამოტყდებოდა და აღარ ივარგებდა. შუა აპრილს (ძველი
სტილით) იმ ცივ ალაგს მოვაშორებდით და დავეიდებდით კედელზე ქალა-
ლით და თავის ჰინჭებულ ჩამოიკიდებოდა. ყოველ დილით დავეხედავ-
დით კვატს თესლი გამოსული იყო, თუ არა. როდესაც თესლი გამოვიდოდა,
გადავიყვანდით იმას კელანტაზე. კელანტას ვაკეთებდით კეცივით, ქვის კე-
ციხელას საქონლის ფუნისაგან. ფუნას ნაცარს დავაყრიდით და შოვხელ-
დით ფეხებით, შემდეგ გამოვიყვანდით იმას კეცივით ფართედ, მერმედ კი
გავახმოვდით.

რომ გამოვდოდა პირველად კეკალი, იმას ვეძახდით მურს. ერთი სწო-
რის (ერთი კვირის) შემდეგ მოიცვლიდა პირველ კანს, პირველი მური —
რომელსაც ხედავს ვეძახდით. აბრეშუმში მაშინ წაწითლდება ელის ყვავი-
ლისფრად. ელის ყვავილი წითელი არ არის, ის ლიბერია — უფრო წაყვითა-
ლია და უფრო ყვითლად მოიქცევა. ერთი სწორის შემდეგ საელავი მოიც-
ვლიდა კანს და ტრედისფრად ამოუყუქუნდებოდა, რომელსაც ეკხის კანს უძა-
ხოდით. ერთი სწორის შემდეგ მოიხლიდა ეკხის კანს და წარბის კანში ამო-
ვიდოდა. წარბი კანს იპიტომ უძახით, რომ წარბები დაჩნდება, ამიტომ ვი-
ტყოდით, რომ აბრეშუმი წარბის კანშიაო. კიდევ ერთი სწორის შემდეგ აბ-
რეშუმი ჩაწვებოდა დიდ კანში და სამი დღის შემდეგ ამოვიდოდა და ვე-
ტყოდით — ნადიდკანებ აბრეშუმს. ნადიდკანები აბრეშუმი გაიკეთებდა
გვერდებზე ფოლაქებს და ამით ვიცნობდით, რომ აბრეშუმი ნადიდკანებში
რომ იყო.

ათ-თორმეტ დღეს ვაქმევდით საქმელს. მერმედ მიუტანდით რეხილის
ბოლებს, მაგრამ ჭერ პირს აუხვევდით გარშემო ჩელტებს, მერმედ შიგნით
ცაზს შევადგამდით.

ცაზი არის ამყროლებული ბალახი, შევადგამდით და იქნებოდა აბრე-
შუმის ჩელტში. ათი დღის შემდეგ პარკები მოთავსდებოდა შიგ, ათ დღეში
კი პარკებს გამოვბოკვდით.

აბრეშუმის პარკი სხვადასხვანაირი იყო. ერთ ვეძახდით კახურ აბრე-
შუმს. კახური აბრეშუმის პარკი მთავარი (დიდი) იყო, ფერად თეთრიც იყო
და ყვითელიც. ჩვენებური აბრეშუმის პარკი უფრო მორჩილი იყო. ისე
აბრეშუმის პარკი ორგვარი იყო: ერთი პარკი იყო ხახი პარკი — წელგაწაფ-
ტილი (წელში ჩაწული) პარკი იყო და პატარა; ხასი პარკს ჰქონდა მხოლოდ
ერთი ჭი და ძაფი კი კარგი ამოდიოდა. დომფალი პარკი — რამოდენიმე
ჭიისაგან არის შეერთებული; პრტყელი პარკია; დომფალი პარკის ძაფი ნაკ-
ლებია, ბევრი ჭია რომ იყრის თავს, ძაფის ამოღების დროს უფრო ნაკლ-

ბია (ცუდი ხარისხის. — კ კ). პარკი გამოხარჩვის დროს ძნელად ირღვება. კახური პარკი კარგია. ღომფალია. იმანაც კი იცის რამდენიმე ჭიის ერთად შექერობა. კახური აბრეშუმის ძაფი შედარებით ღომფალთან, უფრო კარგად ამოდის.

ავადმყოფობა აბრეშუმის ჭიის იგია, რომ კანში როცა ამოდის, კანის გამოცვლის დროს, შეარჩერებს კიამას. ავადმყოფობა სხვა ჩვენ არ ვიცით.

აბრეშუმის ჭიის მოვლა. რამდენ კანშიც ამოვიდოდა აბრეშუმის ჭია, დაუცვლიდით მას ბუდნას. ბუფლას რომ დაეაყრიდით თავზე, რასაც შექამდა, შექამდა და რაც დარჩებოდა შეუქამი, იმას გამოუცვლიდით, სწორედ ბუდნას ამას უძახდით. აბრეშუმის ჭიას ქარაველ დაეაყენდით. ჭარაფად დაჭედნა იმას ქვიან, რომ აბრეშუმის ზომილას (აბრეშუმის ჭიას) შორიშორად დაეაყენდით. აბრეშუმი ჭია არ უნდა შეჭარდეს. არ უნდა მოიყაროს თავი ერთად. აბრეშუმს ორ კანამდის სამჭერად დაჭრილს ეკმეველით, მესამე კანიდან კი დაუჭრელს დაუყრიდით ბუფლას (ფურცელს).

კანების დაცვლის დროს გუმბრას უფენდით ჩელტხედ, რომ ჩელტხეში არ გაეყვნილიყო აბრეშუმის ჭია ელვა და დაგვენვა, გრუხენი რომ იქნებოდა, კარებს დაეხურავდით, საინით წყალს დავდგავდით, წყალს წინ სარკეს დაუდებდით. ელვა თუ განათლებოდა, წყალსა და სარკეს დაანათებდა და აბრეშუმს მიზეზს არ მიცემდა. აბრეშუმი შერში რომ იქნებოდა, კლამტას ვახშობდით მაშინ.

კენი კანს იმერომ ვეძახოდით, კებთან პატარა კულს იკეთებდა კენის კანის დროს დაეაყენდით აბრეშუმს ჩაფარზე. ჩაფარას ჩვენ თითონ ვქსოვდით ტილივის ან ბელოს ხსასგან რგვალად. ჩაფარას თავს უკეთებდით, რომელსაც კარხას ვეძახოდით. ჩაფარა გამოდგებოდა წარბის კანში ამოსვლამდის, მემრედ კი ჩელტხედ დაეაყენდით და ზედ გუმბარას დავაყრიდით.

ჩელტს ჩვენ თვითონ ვქსოვდით (ქალები) ასე: ჭერ დავაობდით სარგებს, მერმედ გამოვქსოვდით ცოტახედ, მერე დავტოვებდით ცარიელ სარგებს; ცარიელ სარგებში ზონდლს ვადმოგვქსოვდით. ასეთი ბონდო ჩელტს შეიძლება ექვსამედ და მეტიც ჰქონდეს. ეს იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამხელას მოვქსოვდით. როდესაც გამოიბოჭებოდა და ხასასა და ღომფალს ვადავარჩევდით, მერმედ ადუღებულ წყალში ჩაყრიდით პარკებს. ერთი ჭალი ადუღებულ წყლიან ქვაბთან იდგა და ძაფებს ამოძეჟავდა, მეორე ჭალი კი სამუხველზე ახევიდა ძაფებს. სამუხველი არის ძაფის ამოსაღები, ქვაბში რომ პარკებია ჩაყრილი.

ძაფს რომ ამოვიღებდით, გავრეცხავდით და გავაფენდით. პარკიდან ძაფს საშნარად ვიღებდით. ქვაბში რომ პარკები ყრია და პარკულად რომ თავი ერთბევა, მაშინ ნაკლები ძაფი ამოდის, რომელსაც ნაკლებ ძაფს უძახათ. შემდეგ თანდათან კარგი ხდება და ბოლოს კი უფრო ნაკლები ძაფი ამოდის.

სამუხველიდან რომ ვადმოვიღებთ აბრეშუმის ძაფებს, ის მრგალად იქნება დახოული, მაშველ ვამბობთ რომ აბრეშუმის ძაფები ნოღებთ არი დაწყობილითქო. პირველ ამოღებულ ძაფს ნათაფარავს უძახით. მეორე ამოღებულს მეორეფარის უძახით და მეორე პირში რომ კარგი ძაფი ამოვიდოდა, იმას გულს უძახდით. მესამეს კი უძახდით ნაბოლარას.

პირველ ამოღებულ ძაფს უფრო მისაქხელად ხმარობდენ, მესამედაც ასე; მეორე პირის ძაფს კი საქსელავად ხმარობდენ და ძაფებად. ძაფი შეისტებოდა და მერე გამოიხარებოდა დასაქსელავად და მისაქსელავად. რომელიც არ ამოვიდოდა სამუხველზე, იმას ყაჭს ეძახოდნენ, ყაჭ კი მერე ხელიდან გაიწეწებოდა და დაისტებოდა.

აბრეშუმის ძაფებზე [შე]ღებვა. შავი საღებავი რომ გავკვეთებია, მუხის ან ბერწოლას კანში დამწერილი. დაწერას იმას უძახით, რომ დავასო-
ლებდით მუხის წვეწო. რომ დასოლებოდა, პერმელ ძმარს დავახსავდი,
ძმარს იმღენს დავახსავდით, რამდენიც ეყოფოდა, შემდეგ ჩავყრიდით და-
ქანგული რკინებს; ერთ ღამეს გაათევდა და მერე იმას ამოვიღებდით და ქე
იჭებოდა შავად შეღებილი. ამით შეღებილის გახუნება არ შეიძლებოდა.

წითელი ფერით რომ შეგვეღება, ვიქცეოდით ასე: მოვხარჩავდით ენ-
დროს ბალახის ძარს, მერე წყალი რომ გოუწითლდება, ჩავდებთ საღებავში
შოლოს აბრეშუმს ან შალს და შევღებავთ წითლად. შესაღები სამ დღეს
უნდა ჩავაცივოთ, რომ მოეკიდოს საღებავი კარგად. სამი დღის შემდეგ კი
ამოვიღებთ.

ყვითლად შეღებვა. ტყემლის ხეს მოვაცილებთ კანს და მოვხარჩავთ მის
კანს და ცხელში ჩავდებთ შესაღებს, სამ დღეს შემდეგ კი ამოვიღებთ. ყვე-
ლა ხის კანის მოხარჩავა არის საჭირო, რომ შესაღებად გამოდგეს; სამ დღეს
უნდა იდოს შესაღები ცხელში, შესაღებს მაშინ ჩავდებთ, ხის კანში რომ
წოიხარჩავა. ნივთით როცა ვღებავთ, ძველს ფერად იცის მოკიდება; ლა-
ფანია როცა ვღებავთ, შესაღებავი სხვადასხვანაირად ამოდის. კანით როცა
შევღებავთ, სხვაფერად აიოვა და ლაფნის ნეშოთი როცა შევღებავთ, კიდევ
სხვაფერად ამოვა, მაგრამ შესაღებს თუ შალე ამოვიღებთ, კიდევ სხვაფერად
ამოვა. საერთოდ დოწუნერავი თუ არ არის, მაშინ შესაღები შავად არ შეი-
ღებება.

პარკიდან პეპლა რომ გამოვა, მერმედ ისინი კეკალს დაყრის, შევიწა-
ხავთ, და გავარჩევთ დედამამალად. დედალი როცა კვერცხებით გვივსე-
ბა, მაშინ ვერღებთ და მამალ პეპელას გადაყვრით.

აბრეშუმის ძაფებიდან იქსოვება: დარცია და თითონ აბრეშუმი.

ნოტრ. შაია ივანეს ახ. კიკელიშვილი-ფანცულაიასი, (სოფ. გორდი,
ხონის რაიონი).

სათესლე პარკს ავაკვამ აბრეშუმის ან ხამხის ძაფზე, რომ გაიღზე გა-
მოიწიწილოს; პარკს რომ ქია აქვს, შიგ გარდიქცევა პეპლად. ეს პეპელი
დაყრის თქვლს. კეკალს გამოვხვოვ ქალაღში და შევიწახავ ამ კეკალს ხამ-
თარში ბამბაში. რომ განოზაფხულდება, ავიღებთ ქალაღს და დავვიღებთ
კედელზე. კეკალი ჯერ თეთრია, მაგრამ გამოვხვლას რომ დააპირებს, გაშავ-
დება. კეკალი რომ გაშავდება და გაშოვა, ამას ვეძახით მურს. მურს დაყერი
ფუნიასე. ფუნიას ვაკეთებთ ასე: ფუნას ხელით მოვხვლთ ტუტაში, მერე
კარბას გაუყვებთ და ამ ფუნიაზე დავახოხებთ მურის აბრეშუმს. მური ერ-
კანში იყო და ვიტყვოდით — მური ერკანში ამოვიღაო. მური რომ ერკანში
არის, იქიდან ვატყობთ, რომ თავებს წაითეთრებს. მეორე კანში რომ უნდა
გადავიდეს აბრეშუმი იქიდან შევატყობთ, რომ ჰამას შეწყვეტს, ჩვენ მაშინ
ასე ვიტყვით. აბრეშუმი კანში ჩამოწოლილიყო. მეორე კანში რომ გავადა
აბრეშუმი, მაშინ ვიტყვით რომ აბრეშუმი წაქვილილსფერშიაო. წისქვი-
ლასფერი უკვე ორ კანშია; წისქვილისფერს იმატომ უძახით რომ, მაშინ აბ-
რეშუმი იქნება ლობრისფერის და წისქვილისფერი ხომ ლობრისფერია. აბ-
რეშუმი რომ მუშამე კანში გადავა, მაშინ აბრეშუმი გათეთრდება და ვიტყ-
ვით, რომ აბრეშუმი სათეთრებელშიაო. სათეთრებლიდან რომ უნდა გა-
მოვიდეს აბრეშუმი, კანში ჩაწება, გადავა მეოთხე კანში, რომელსაც წარბი

კანს უძახით. წარბი კანს იმიტომ უძახით, რომ თავზე წარბს დაიყენს¹. წარბი კანში რომ ჩაწევა აბრეშუმო, შემდეგ გადავა დიდ კანში. აბრეშუმი დიდი კანის შემდეგ გეიკეთებს პარკს.

აბრეშუმს საჭმელს სამჭერ ვაჭმევდით დღეში.

საფუნიიდან ჩაფარაზე მაშინ ვაჭენთ, როცა სათეთრებელიდან ამოვა აბრეშუმი და ჩადგება წარბი კანში. ჩელტზე კი მაშინ ვაჭენთ აბრეშუმს, დიდი კანში რომ ამოვა.

ავანტყოფ[ობ]ას აბრეშუმის იმას უძახით, რომ ქარ-სიცხე დააკრულეხს და წაქსდენს აბრეშუმს, უღვა და გვინვა, აგენიცი დამკრულეხელია და ძაფს გამოუღდებს პირიდან.

აბრეშუმი რომ დიდ კანში გადავა, შემდეგ ცახს შევდგამ ჩელტში. ცახის შედგმას იმას უძახით, რომ ცხილას და აღის ხეის ფოთოლს თავის პატარე ტრატებით შეუდგამ ჩელტში და ოქ გეიკეთებს აბრეშუმი პარკს.

აბრეშუმის პეპელას დავახოხებ ქალალზე და პეპელი, რომ თესლს დაყროს, ე იმას შევინახავთ.

პარკები იყო: დომფალი — პარკი ცუდი იყო, იმას უფრო ვხმარობდით უბრალოზე, იმით მოვქსოვდით ნაჩლექარს. წვრილი პარკი კი იყო და კაი ძაფი ამოდიოდა.

პირველად რომ ამოვიდოდა ძაფი ხამუხველზე, უძახობდით ზარბიხთაფს. ზარბიხთაფი მსხვილი და უსარკებლო არის. ქსოვის დროს ზარბიხთაფს მოედობა და ხელს უშლის ქსოვას. მეორე ძაფი კარგი აბრეშუმის ძაფი იყო და იმას მეორე ძაფს ვეძახობდით. სამუხველიდან რომ ძაფებს გამოვიღებთ, იმას დამუხველი ძაფებს უძახით. დახოვდი ძაფს მორგვს უძახით და კიდეც — კვირკვს.

მთხრ. კესა დავითის ას. ქუთათელაძე—თათიშვილისა, 62 წ. (სოფ. პატარა გუბი, ხონის რაიონი).

ივანობისთვის (ძველი სტილით) დამლევემდე პეპელა მოათავებს თესლს, შემდეგ შევინახავ პატარა ტოპრაკაში. კვირიკობისთვის და ენკენისთვის თესლს ყუთში შევინახავ გრილად, რომ არ გამოვიდეს. ზამთარში შევინახავთ ტანსაცმელის და საცვლების ქვეშ თბილად, რომ არ მოყინოს თესლი.

მარტი რომ დელიოდა, ერთი კვირის [შემდეგ] აპრილში (ძველი სტილით) ამოვიღებ თესლს და თუთხმეტეი აპრილიდან დეიწყება გამოხვლა თესლის და სამ დღეში განითავლება. შემდეგ დავაჭენთ ფუნიაზე. ფუნია კეთდება ასე: ძან სუფთა გამხმარ ფუნას მოვავროვებთ, გავცროთ და მოვზელავთ, შემდეგ გავშლით მოზელილ ფუნას, დავატატუნებ ზელს და ბირს გუპარტყელზე. მერე შემოყობი ვაშლილ ფუნას და რგვალად კედეს შემოწეწვ, მერე გუვტან ცხვეწზე და ვახმებთ. ცხვენნი — სამზადის დიროებზე ვადებულ ჩელტია, ან სამზადის თავანია.

მური ახლად გამოსული პატარა აბრეშუმი. მურს პირველ კანამდე ეუძახით. მური იქნება ოთხ-ხუთ დღეს გამოსული თესლიდან. კანში რომ ჩაქდება აბრეშუმი, იმა პირველ კან უძახით. ის წიხვლიხსფერის არის. ამას ევიღებთ და ვადავსვავთ ჩაფარაზე. ჩაფარა წყნელით იღობება მრგვალად. ჩაფარაზე იმიტომ ვადავსვავთ, რომ აიერმა გაუქირჩქლოს, ამიტომ უფრო ვავთხელებთ და ვადიდებთ. მერე დოუცვლით ნაძილს. ნაძილს უძახით

¹ დედანშია: „დაიჭენა“.

ნაკში ფოთლებს რომ დატყუებს შეწოლამდის. მეორე კანს იქნება ერთი წორზე — ეჭვისი დღის შემდეგ, რომელსაც ხათეთრებელს უძახით. ხათეთრებელს იმიტომ უძახით რომ ჩაწოლიდან თუთრად ამოვა ქია. საკმეღს ვაჰმევე მეორე კანში, ოთხი-სამი ინჯრას, დაჩხოტავ ფოთოლს და უყერწოთ ვაჰმევეთ. შტოებზე დაჩხოტახ იმას უძახით, მარტო ფოთოლს რომ მოვაჯილებთ შტოს. მესამე კანში რომ გადავა აბრეშუმი, იმას წარბი კანს უძახით. ჰრელაოდ ამოვა აბრეშუმი და წარბი დააჩნდება თვალთან. უკვე აბრეშუმს გადაეპავეთ ჩაფარადან ჩაჩიაზე. ჩაჩია უფრო დიდი არის და კეთდება ჩაჩის დერებიდან. აბრეშუმს შტეტი აიერი უნდა და უფრო დიდი იზრდება. ვაჰმევეთ აბრეშუმს სამ ინჯრას, ოთხ ინჯრას დღეში. ნაჰაფლს გამოუტყელით შეწოლაამდის. აბრეშუმი რომ მერე კანში შეწობა და ამოვა, ამას დიდ კანს უძახით, კიდევ გადაეაჰენ ჩაჩიაზე, გაეანთხელებ ძალიანს. მოყუეები და ვაჰმევე და ვაჰმევე.

ნადიდკანებზე განთხელება უნდა აბრეშუმს, რადგან ჩაჩია პატარა არის და არ დაეტევა. ამიტომ მოქსოვენ ჩელტს სახლში კაცები და ზედ დაეაჰენთ აბრეშუმს. მერე ვაჰმევეთ სამჰერ-ოთხჯერ დღეში და რვა დღის შემდეგ დაიწყებს ჰია პარკის ხვევას. მერევე დღეს ჩავცახავთ გვიმრით, რცხილით, ანაგრულაით. ანაგრულია ყეთელი ცული სუნიანი ბალახია და ევა უყვარს აბრეშუმს. რომ ჩაუღებთ, აბრეშუმი მაშინვე ეგერ-აგერ შეესევა რგულას, სხვას კი ინე კარგად არ შეესევა. მერე დაიწყებს ჰია პარკის ხვევას, მაგრამ ზოგერთი დარჩება, რომ პარკის ხვევას არ დაიწყებს. ჩვენ ასეთ ტიებს გამოვობლათ. გამოვობლას იმას უძახით, რომ ამოვიყვანთ ჩელტიდან ჰიას და სხვაგან დავსავთ და ოუხვევთ პირს. ახოვა პირსახს იმას უძახით, რომ ხელმორავთ ჩავცახავთ, ჩაუღებთ გვიმრას, რცხილას ფოთოლს თავის შტოებთან და ანაგრულას. აიხვევს იგოც პარკს. ეს იმიტომ ხდება, რომ ზოგი გვიან ამოდის კანში, ზოგი კი რჩება უქმელი და აგვიანდება პარკის ამოხვევა.

გამობოლის შემდეგ მეცხრე დღისა, გამოვხიავთ პარკებს და სანი დღის შემდეგ დაიწყებს ამოდებას ძაფსახს — ჩაყერით პარკს აღუღებულ წყლიან ქვაში. პარკი სამგვარი გამოდის, — ერთი, როცა ორ-ოლი ჰია ერთად აკეთებს პარკს. ამოსაღებად ეს ჯობნია სხვებს, უფრო სხვილი ამოდის და კეირტიანია. კვირტახს იმას უძახით, ძაფს რომ სხვიანთ ექნება ჩაჰგდარი კაკალი. ასეთ პარკს დომფალი პარკს უძახით. დომფალს ძაფს ქსოვის დროს ქვეშ საქსულად დაქსელამენ მხოლოდ. მეორე არის ხახი პარკი, ან წმინდა პარკი. ამ პარკმა ძალიან კარგი წმინდა ძაფი იცის. ამას ეხმარობთ საქსოვით დვიმ-სამარცხალში. სთამენ და ქსოვენ აბრეშუმს. მესამე ძაფს არც კი ვიღებთ, ვინახთ ჰუჰქეს; ჰუჰქეი პარკი სუსტი და დასერილია. ამ პარკს გამოვხარჩავთ საპონში, ან რაცირი წყალში, გავრეცხავ, პარკს ძალიან გავწურავ, ჩაყერი მერე კიდევ ქვაში, მოიხარჩება პარკი, ამოვიღებ და გავრეცხავ ძალიანს და გავამრობ, მერე დავასთავ და ოჯახში მოვიხმარ. ზოგი ქე ქსოვს დვიმ-სამარცხელში და ზოგი ოჯახში ხმარობს რამეს საყერავად. მისაქსოველში როცა ხმარობენ, უფრო კარგად არის დაძახული, თუმცა დაუძახავს ხც ხმარობენ.

პირველად როცა ამოვიღებ ძაფს (დასაწყისში), ნახვილი, ნათაური ამოდის, რომელსაც ზარბანდს უძახით. მერმედ ძალიან კარგი ხახი აბრეშუმი ამოდის, მესამე უფრო ნაკლები ამოდის, რომელსაც ნახოლე ძაფს უძახით. ძაფი ამოგვაჰქსს სამუხეველით. ჰერ გავრეცხავთ. მერე დავკვავთ, უნდა დეიჩილოხ. დეიჩილოს იმას უძახით, რომ ძაფი ძაფს უნდა

დაცილდეს. გავფრთხავთ, გავკოდებთ და ვაშრობა. ვინც მჭნოველია, მოა-
ლოვს ფირფიტაზე. მერე დავახტავთ ჩერაიზე, ჩერაის გაუქუთებთ ბოლოში
კვირხეობას, ნერე ისთველე გადავხახავთ ძაფს ფირფიტაზე და დავქსელავთ.

ცუცურაკე. ანუ ცუცურა პარკს უძახით ორმოხხავლიან პარკს. ერთი მო-
დის როგორც ჩვეულებრივი აბრეშუმი, მაგრამ ის უფრო მესამე დღეს აშო-
დის კანში, მოვლა ისთვე ის უნდა; ჰია წვრილია, პარკიც წვრილია, ძაფები
კარგი გამოდის. მეორეველ კი მოკაწვე კვირკობის თვეში. ეს ჩვეულებრივ
აბრეშუმზე ნაკლებია.

აბრეშუმის ავათმყოფობა ეს არის რომ ზოგი აბრეშუმი ახლავს დროს
ჩაიერკება, ცოცხალი გონია აბრეშუმი და რომ მივალ და ხელს მოკვიდებ,
ქვაააეთ მაგარი არის და თეთრი. მიზეზი ამ ავათმყოფობის არ ვიცო. ალ-
ბათ გამოყოლილი აქვს ავათმყოფობა თესლიდან ზოგიერთ ჰიას. მერე ავათ-
ნყოფობა იცის აბრეშუმის ჰიამ ნადიდკანებს. მესამე დღეს რომ მივალთ, გა-
დაშხლართულ ჰიას ვნახულობთ ჩელტზე. ელვა წყენ აბრეშუმს, აცთენ ხე-
ვაზე, ამიტომ სანთელს ავანთებთ თუ ლამე იქნება და დაიწყებს ჰია ხვევას.
სიციხეც წყენს აბრეშუმს. ქვაბს ცივი წყალით დავდგამთ და მალ-მალე უცე-
ლით წყალს ანდა ცივი, სობული ტილოს გავფენთ და მალ-მალე უცვლით
ტილოს, რომ სივრილე იყოს სახლში. აბრეშუმს რომ სუნი გაუარდება, ეს
იქას ნიშნავს, რომ აბრეშუმს ავათმყოფობა გაჩენია, მაშინ ვეძებთ იმ ავათ-
მყოფ ჰიას და მართლაც ვნახავთ იქას ჩელტში, გადაქცეულ და დახოცილ
ჰიებს, ავილებ და გადაყერი.

ზემო სამეგრელო

მთხრ. ანა ხალაყაია, 75 წ. (სოფ. წითელწყალი).

აბრეშუმის ჰიის თესლს ძველად ჩვენ თვითონ ვაშხადებდით სახლში. ახ-
ლად დაშხადებულ პარკებიდან ჩვენ ამოვარჩევდით კაი მსხვილს პარკებს
პირველი დღისას. ავასხაშდით ძაფზე და კედელზე ჩამოკვიდებდით. ცოტა
ხნის შემდეგ პარკებიდან გამოფრინდებოდნენ პეპლები. შევარჩევდით ღეფ-
რობითი და შამრობითი სქების პეპლებს. შამრობითი სქების პეპლა მოუ-
სვენარია, სულ ფრიალებს და ტანდაც რამდენადმე უფრო პატარაა, ხოლო
დედრობითი სქების ტანდა უფრო მსხვილია და თან უფრო დინჯად გამოი-
ყურება. ასეთი შერჩევის შემდეგ ავიღებდით გადატეხილი დორის ან კოკის
ძირს, შიგ ჩაუვებდით ხეხაროშ (ისირი — ისლი) დახვარებებს (დეროს), იქ ჩავ-
სვამდით ორივე სქისის პეპლას, შამალი დაპეპლავდა დედალს. ასე რომ,
დილიდან თითქმის შუადღემდე იქნებოდნენ ისინი ერთმანეთთან გადანასკუ-
ლი. მერე ხელთ ავიღებდით გადანასქულ პეპლებს და გავკვლეფდით. მკვდარ
შამალს გადავავებდით, ხოლო დედალი ნაშუადღევს იწყობდა თესლის ყრას.
გილართაშა (ვილართა — სამხრობა) სამხრობამდი გაათავებდა თესლის ყრას,
რის შემდეგაც დედალიც მოკვდებოდა. თესლი ზოგი დორის ძირზე, ზოგ
ისლის ლახვრებზე იქნებოდა გოჩირიხელი (გოჩირიხუა — დაყრილი და გა-
პოხილი). ერთად მოვავგროვებდით თესლს. ამოკერილ რამე ჩახვიეში ჩავ-
ყრიდით და შევიწინახვდით. გაზაფხულზე, როდესაც ჰიის გამოყვანა დაგვ-
ჭირდებოდა, ჩახვეს მზისკენ კედელზე ჩამოკვიდებდით, ან კერასთან ახლო
თბილათაც შეიძლებოდა ჰქონოდათ. სითბოსაგან ჰია თესლიდან გამოსვლას

იწყებდა. თუ კი თესლი იყო, შეიძლება გამოსვლა პირველივე დღეს მოეთავებია, თუ არ — ორ-სამ დღეზე მაინც.

ჭიის გამოსაყვანად ჩვენ ქაშენიას ვხმარობდით. თუთის ფოთოლს ჯერ კიდევ არ ვაძლევდით. გამოსვლაზე ჩვენ წინასწარ ვუშვამდებდით ახლად გამოყვანილ ჭიის დასაქენად ფუნაიას (ფუნაი — ფუნა — მსხვილფეხა საქონლის განაველი). ამ მიზნით ძროხის განაველს და გაციროლ ნაცარს ერთად მოვხელავდით, მერე გავაბრტყელებდით, დობტატურაწილით (ტატურა — ხელის გულბით გაბრტყელება), მაშინვე მოუჩენდით ზერჩს (ზერჩი — ფუძე), მოუშრგვალბდით ძგოპებს (ძგოპი — ნაპირი ტურქოლის), მერე მოუფიცებდით მზეს ან საკვამლე ადგილზე დაეაწყობდით და გავაშრობდით.

ჭია როგორც კი გამოვადოდა, მაშინვე ფუნაზე დაევაძლით. ჭიას ფუნაზე რომ დაესვაძლით, დაუწყებდით თუთის ჭმევას, თუთის ხე, მე რომ მასთვის, ყველგან ტყეში იზრდებოდა. თავდაპირველად ფოთოლს დანთი, ან მჭკელი მაკრატლით დაუჭრიდით და ისე ვაჭმევდით დღეში სამჯერ. ფუნაზე ჭია ძალიან ცოტა ხანს გეყავდა გაჩერებული — სანამ ჭია კანს იცვლიდა. სანამ ჭია არ იცვლიდა კანს წისქვილის ფერადვე (სკიმუშ ფერში გირცულუნ, სკიბუ — წისქვილის ქვა), მერე მაშინათვე გადავიყვანდით ჩაჩაბიაზე (ჩაჩაბია).

ჩაფარაისაც ჩვენ წინასწარ ვაშვამდებდით. ვაზფხულზე, ადრე, როდესაც მამაკაცები საყანე ადგილზე წინა წლის მოსავლის ღებრავებს აყრიდნენ, ჩვენ მოვავაროვებდით დალუფონის შვერითი (შვერთისი კ ა ნ ი). ჩაფარებს შევკრავდით. ჯერ ვკრავდით ძირს, ხოლო მერე — ნაპირებს. ჩაჩაბიას ძირს ძროხის ფუნათი გამოვლესავდით, რომ იჭიდან ჭიები არ ჩამოვარდნილიყო ხოლმე. ჩაჩაბიაზე ჭია სამჯერ იცვლიდა კანს: საჭუპაუტო, ხაცირე და დიდო კანო.

სანამ საცირე კანს იცვლიდა, ფურცელს სათუთად მოკრეფილს ვუღებდით ხელით ჭიებს. დიდი კანიდან გამოსვლის შემდეგ კი ფურცელს პირდაპირ ვუყრიდით ჭიებს. დიდი კანიდან გამოსვლის შემდეგ ვიწყებდით ჭიის გამოძღოვას¹ (გუმორძღაფას).

ჭია მეთერთმეტე, თუ მეხუთმეტე დღეზე მიდიოდა პარკეს გასაკეთებლად. ჭამაზე იყო დამოკიდებული. დიდი კანიდან მეთუ დღეს ჭიას გადაეყენდით ჩერტებზე (ჩერტი — ჭელტი)². ჩერტებს ვალობინებდით მამაკაცებს თუთის ან თხილის წყნელებსაგან. ერთ ნაწილს პირდაპირ სხვენზე შევსვამდით. სამი დღის შემდეგ ცოცხებს დაუდგამდით, რამდენიმე დღის შემდეგ ჭია პარკის კეთებას იწყებდა ხოლმე. პარკის კეთებას ჭია ერთ კვირას მაინც უნდებოდა ხოლმე. პარკებიდან ჯერ კიდევ ცოცხებზე შევარჩევდით ხათხლეს. დანარჩენს კი მოვკრეფავდით და ძაფით ამოვიღებდით. ძველათ ჭიას იმდენს კი ვეველებოდათ თავზე, როგორც ეს ახლა იციან. ჭიის წახდენა მე იშვიათად მიწახავს. წამალს რამეთუ არაფერს უკეთებდით. ზოგჯერ ჭიას ნათვალავის წამალს დაუსხურებდით. ხოლო ჭიანჭველებსაგან დასაცვად დიდხუთშაბათს უჩუშრიე დილაადრიან ავდგებოდათ, ავიღებდით ნაცარს და ფუძეზე ძირს დაუყრიდით. სხვა რამე წამალი არაფერი ვიცოდით.

1 სიტყვა „გამოძღოვა“ დედანში ჩამატებული იყ. ჩავახიშვილის მიერ.

2 სიტყვა „ჩერტი“-ს ქართული განმარტება გუთენის იყ. ჩავახიშვილს.

ქვემო სსრკ-ის

მთხრ. დეხანიანი გიორგის ახ. დონდუა, 65 წ. (სოფ. მეროვი ილოარი, აბა-
შის რაიონი).

მარტიდან შეეუღლებოდით აბრეშუმის ჳიის გამოყვანას. 23 აპრილს
უნდა მოგვეთავებინა, ან თავნაქნარი უნდა ყოფილიყო. თესლი ინახებოდა
ორ ბალიშს შუა, სადაც ზომიერი და მისთვის საჭირო სითბო იყო. მეტი
სითბო თესლს ავნებდა. ჳია რომ გამოვიდოდა, ბოლის (თუთის) კვირტებს
დავეუღებდით და ისე გადაგვეყვავდა ქალაღღზე. ერთი დღის გადაყვანას ერთად
ვაჭმევდით, მეორე დღის გადანაყვანს ერთად და ასე სულ ვაჭმევდით დაჭ-
როლ ჩვილ თუთის ფოთოლს. ჳიებს ვსხავდით თხლად, რომ არ დავედმყო-
ფებუღიყვენენ და ერთმანერთი არ შეეწუხებიათ.

პირველ კანის მოცვლამდე დღეში სამჯერ ვაჭმევდით. ყოველ კანის კა-
მოცვლის შემდეგ ფურცლებით გადაგვეყვავდა ჩაფარეში (სიმინდის ღეროსაგან
ვაკეთებული ლასტები). ვსხავდით თხლად. ყოველ მესამე დღეს ნაძარს უც-
ვლიდით და გამოუყრდით განაეალს. დიდი კანის გამოცვლის შემდეგ კი-
დეც ცხრა დღეს ვაჭმევდით, მუათე დღეს გადაგვეყვავდა ჩელტებზე. ჩელტზე
გარშემო დავეუღებდით ძალიან ხმელ თხელს, წაბლის, აღვის ხის და ძია-
ძას ფოთლებს.

პარკის ვაკეთებას უნდოდა ექვსი დღე. მოწეულ პარკიდან ვაშხავდებდით
ძაფს, რისგანაც იქსოვებოდა სხვადასხვა ქსოვიღებში.

მთხრ. რებეკო იოსების ახ. ვაბუნია, 60 წ. (სოფ. ზანძა, მარტვილის რაი-
ონი).

აბრეშუმი ბულამ ჳე თვითონ მომყავდა. თესლს ლოგინში შევდებდი და
რე ვაშოყავდა ჳიებში. გამოყვანის შემდეგ ნორჩი ფოთლებით ვადამყავდა
დაშხადებულ ჩაფარებში.

ჳია ოთხჯერ იცვლიდა კანს: წიხვავილისფერი, სათერებელი, წარხის
კანი და დიდი კანი. დიდი კანის გამოცვლის შემდეგ იწყებდა პარკის ვეთე-
ბას. ექვსი დღის შემდეგ პარკს მოვკრეფდა და დავახარახებდით. შემდეგ
პარკიდან ვიღებდით ძაფს.

გურია

მთხრ. კვაჭლავ ოქროპირის ახ. ურუშაძე, 90 წ. (ლანჩხუთი).

როგორც ვიცი თე ვებრეშუმებოდა ჩვენში უხსოვარი დროდგან მოდის.

აბრეშუმის თესლი ვამოყავდა ნაგიორგობეც (24 აპრილიდგან), როცა
ჳარი ვათებოდა და ბოლოს ფოთოლი ვაუჩნდებოდა. მანემღის აბრეშუ-
მის თესლს ვინახავდით ჳინჭებში ვახვეულს, უხმარს ბანბაში ან სიმინდის,
ან ლომის კაკალში. როცა მისი გამოყვანის დრო მოვიდოდა, თესლ ვავეუ-
რავდით ქალაღღზე, მისით ვამოდიოდა მურა. იმ ოთახში, სადაც აბრეშუმის
თესლი ვეყარა, არ შეიძლებოდა თუთუნის მოწევა და არც თევზის ან სხვა ამ
გვარ რამეს არ დავებდით იმ ოთახში, რადგან აბრეშუმის ჳიას ასეთი სუნნი
სწყევნს და ავნებს. როდესაც თესლი ვამოვა, ამას ჳეგია მური. მაშინვე მურს
გადავიყვანთ კოკორებზე (ეს არის საქონლის პატივისაგან დამზადებული და

გამხმარი მრგვალი, კეციით ჯიქიანი კურკელი, საინის მსგავსი, ზომით შერე-რვა ვერშოკი) რომელზედაც დაუფენდით მცენარე კამანიას ფურც-ლებს (ეს უყვარს მურს). ვაპურებდით ახლადგამოყვანილ მურს ბულის წვრილად დაჭრილ ფოთლებით. მეგრე გადაგვყავდა მური ჩაფრებზე პირ-ველ, მეორე და მესამე კანის მოცვლამდე (წარბის კანის მოცვლამდე); ამის შემდეგ გადავსვამთ ჩელტაზე, რომელიც შეკრულია სიბინდის ჩალის ღეროვ-ბიდან ბულის კანით. წარბის კანში ჩაფარზე ქვეშ ვუვებდით გვებზრას.

დღის კანის მოცვლის შემდეგ ჩელტზე მიუდგამდით ცახს და ჩელტას პარს მოუცავდით კამანიეს და რძია-რძიეს (მცენარეა) და ცხემლას ფურც-ლებით. როცა ცახზე პარკს გააკეთებს, სამი ღლის შემდეგ გამოიხიკება პარკი და ათი ღლის შემდეგ, როცა პარკი კარგად დაშლილდება — ამოვან-ვევდით ჩვენს სახლში. თუ ათს ღლემი (გამოვანვევდით) ამოვანვევდით ძაფს ნაბაერკალი ბევრი ამოყვებოდა, ათი ღლის კი აბრეშუმის ძაფი მეტი ხალი ამოყვებოდა.

აბრეშუმის ძაფის ამოხვევა ასე იყო: კარდალში ერთს იოცა (სამ გირ-ვანქა) პარკს ჩაყვრიდით და მოვხარშავდით, ნათავა ძაფს თავზე ამოვაცილი-დით პატარა ცოცხის მისმით და როცა დადგებოდა ხახს ძაფზე, ვიწყებდით ოგვადოთ ამოხვევას და ლანდებად (შულოებად) ჯობზე ვაცმევდით. გული ძაფი კარგი ხარისხის ამოდიოდა თავში და ბოლოს ამოხვეული უფრო მღა-რე ამოდიოდა.

მეაბრეშუმეობის მოწყობილობა იყო: საკმარისი კოკრები, ჩაფრები და ჩელტები, ცახის და ჩელტას პირის ასახვევი კამანიეს და რძია-რძიეს შიშ-რაგება და წინწინ გახმობა. ცხემლას ფურცლები (გამხმარი). პარკის ამო-სახვევი კარდალი (მოსახარშავად). ოგვადო — პარკის ამოსახვევი. ხაფ-ტა — მოხარშული პარკის კარდილიდან ამოსაღები (მწარე ხაბისგან გაკეთე-ბული კურკელი). ჩერბე — მოხარშული პარკის თავის მისანახი.

აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობა. ხშირად აბრეშუმის ჭიები შურბოხზე იხიკება, ამის მიზეზი არის სიცივე (თუ მური თბილ ადვილზე არ არის, სიცივე დაკრავს და იხიკება). ხოლერა — როცა ჭია ყვითლდება და ერ-თად მოედება სიყვითლე მთელს ჩელტას და მეგრე გადადის მთელს საყაჭე-ში. ჭიას პირიდან და ტანიდან წყალი სდის. ეს ავადმყოფობა სწრაფი გა-დამდებია და საშიშია მეყაჭესათვის, ის ადვილად გადადის სხვა ჯანაღ საყა-ჭეში, თუ ვინმე ავადმყოფ საყაჭეში ნამყოფი კაცი ან ქალი შევიდა ჯან-საღ საყაჭეში. ამიტომ გარეშე კაცს ან ქალს საყაჭეში არ ვუშვებთ და ვა-რიდებთ. როგორც ეს ავადმყოფობა გაუჩნდება ჭიებს, მაშინვე უნდა გამოა-ცილოთ ჯანსაღი; თუ ეს დროზე მოუსწარი — შეიძლება ნაწილი ჭიის გა-დარჩეს. აბრეშუმის ჭიას ძალიან ვნებს ელვა-ჭეჭა; ამის საწინააღმდეგოდ საყაჭეში სანთელს ავანთებდით და საშიში აღარ იყო.

აბრეშუმის ჭიის პარკის გამოხვევა თუ ათ-თორმეტ დღეს (გამონქვის შემდეგ) დაგვიანეთ — პარკს ჭია გაშოსჭრის და პავლად გამოფრინდება. ესეთი პარკი ამოსახვევად აღარ ივარგებს. ამიტომ თუ რომ ამ ვაღაში პარ-კის ამოხვევას ემარ ვასწრებდით, პარკს ვახრჩობდით. პარკში ჭიის დახრჩობა ასე ხდებოდა: ცეცხლზე დავადგამდით წყლით სავსე ქვაბს და ავადულებ-დით. ქვაბზე დავადებდით ზევიდან მეჩხრად დალობის კალათს ან დიდს სა-ცურს ამაში ვყრიდით ნედლ პარკს და ზედ ტომარას გადავადფარებდით. ერთი საათის განმავლობაში პარკში ჭია გამოიხრჩობოდა ორთქლით. შემდეგ მოხრ-ჩობილი პარკი ქილობზე გაიყრება და შებზე ვაშრება და ვახმება. ასეთი პარკის შენახვა შეიძლება ერთ-ორ წელს. შეიძლება პარკში ჭიის გამოხრჩობა

ამგვარად: ნცხუნვარე მზებზე გაუყრით ნედლს პარკს და სამი დღის შემდეგ ის უკვე პარკში გამომხრჩვალა ოქნება; მაგრამ დიდი საიმედო ეს არ არის: შეიძლება ზოგ პარკში მზის სიცხემ საკმარისად ვერ გაატანოს, ჭია მხოლოდ დაზრუვდება და შემდეგ ხელახლა მოსულიერდება და შეიძლება პარკი გამოსკრას და გაათუქოს.

ერთს ფუთს ნედლს პარკისაგან ამოხვევა აბრეშუმის ძაფი ერთი ოყა— (სამი გირვანქა) თუ პარკი კარგი ღირსებისა არის.

თესლის შეგროვება ასე ხდებოდა: ავარჩევდით კარგს და საღს პარკს, ავაცმევდით ძაფზე და კედელზე მივაკიდებდით. აბრეშუმის ჭია პარკში დამდიდრდებოდა, ფრთებს მოისხამდა და გამოსჭირდა პარკს და პეპელა გამოფრინდებოდა; ასეთს პეპლებს ვაგროვებდით სუფთა ხის გობზე, რომელზედაც წინწინ სუფთა ნაცარს მოვაყაროდით. ამ გობზე პეპელები დაყრის კაკალს; შემდეგ კაკალს ვრეცხავდით და ნაცარს გამოვაცილებდით და დარჩებოდა სუფთა აბრეშუმის თესლი. ამ თესლს ვინახავდით ჭინჭში სიმინდის ან ლობიოს კაკალში მანემდის, სანამდის გაზაფხულზე პაერი არ გათბებოდეს და ბელოს (თუთის) ხე ფურცელს არ გამოიღებდა; თესლიც იმ დროისთვის გამოგვეყავდა იმ წესით, როგორც მოვახსენეთ.

ჩვენში იყო კიდევ ორმოსხავლა აბრეშუმის თესლი, რომელიც წელიწადში ორჯერ იძლეოდა პარკს, მაგრამ ეს უბრაო სალუქი (სუსტი) იყო და მისი ძაფიც ნაკლები ღირსების გამოდიოდა.

ყაჭის ძაფი მზადდება პარკის ამოხვევის შემდეგ რომ ნარჩენი რჩება (ყაჭი) და გაფუჭებული, ამოუხვეველი, მოხარშული პარკი და მასთან აბრეშუმის ამოხვევის დროს დარჩენილი ნათურა ძაფი ერთად ჩაიყრება ამოთხრილს მიწაში და ზედ მიწა მიეყრება. რამოდენიმე ხნის შემდეგ ამოიღება მიწიდან და ჯაირეცხება და გაშრება. შემდეგ დაიწეწება ხელით და დართება ჩერიით. მივიღებთ ყაჭის ძაფს შესაფერი ზომისას. ასეთი ძაფიდან ქსოვენ წინდებს, რუხ მატერიასაც და ოჯახშიაც ძაფადაც ხმარობენ.

აბრეშუმის ძაფს ვგრეხდით ჩერიანზე და ვძაბავდით (შევაროვებდით). ასეთი — ფერადი აბრეშუმის ძაფისაგან ვქსოვდით დარაიას, ყანაოზს, ყუთთანს, ხამყადის ხარტყელს (გურული ჩაქურა ტანისამოსზე სახმარს) და აგრეთვე — თავსაფრებს და სხვა წერილმან ნაწარმოებს.

მოქსოვამდი ასეთი აბრეშუმის ძაფი უნდა გამოიხარშოს საპონწყალში ორი საათის ნული დუღილით და შემდეგ იხმარება საქსოვად.

პმარა

მთხრ. რუხხეთ ბერძენი, 30 წ. (სოფ. ზენდილი, ქედის რაიონი).

აბრეშუმს ვაშენებთ, ყაჭ ვაშენებთ. წრეული მე ა მყავდა. შარშან მყავდა და წახთა, ჩამოზავდა ძირში. თესლი თავრობიდან გამევიტანეთ და იმანაც წახთა. ბჟოლი მინცდამაინც არ გვაქ.

თესლს შევიტანთ და გამუშევებთ, მეე დეიზდებიან, დააკეთებენ პარკებს. ავლენ და დუჟიდავთ ფერს. ძაფებს გავაბამთ და დუჟიდავთ იმფერ ძაფებს — თუთუნს არ ვაჭმევთ! — იმფერს.

ყაჭი კანს მეცილის სამჯერ. კანში ამოდის ბოზოლი. ჩვენთან კანები არ იციან. დეიზარდენ, „წარბი შეიღებესო“, „ტყავი შეიცვალესო“, იტყვიან; „ნიშანი ქნაო“, პარკს რომ გავაკეთებს. ვეერს რომ დუჟიდავთ, პარკს აკე-

თებს. თუთხმეტ დღეზე პარკს გააკეთებს. პარკს მოკერიფავთ და წყალს ავადულებთ და ჩაყვრით პარკ შით. ამევიღებთ ძაფს, გავაკეთებთ ხეს და დავახვევთ ხეზე. ამ ხეს ვერყვით მესურახს და ვაკეთებთ ლანდი. ერთხელ ერთი ლანდი გავეთთება. ლანდი გავაკეთებთ და მეე იმა ვიქთ — დავახოვთ, გავრეცხავთ, ჩულქს მოვქსოვთ, ეა პერანგს მოვქსოვთ. შალს რომ ვქსოვთ იმით — სამეტსლოზე ვქსოვთ.

მთხრ. ფადიმე ბერიძე, 60 წ. (სოფ. ზენდელი, ქედის რაიონი).

წინდაწინ იქნება თესლი. დღეფენთ ბოლოს ევერს, ჩიღტებ გავაკეთებთ. ვეყრით, ვუყრით ევერს და პარკს გააკეთებს. პარკს თუ ჩააბარეფ მთავრობას, მოგცემს ხახხ. ამ ხასიდან ფორკას შევიყერავთ — გრძელ კაბას.

ბობოლი შვოდველ ტყავ შეიკვლის. „პერანგს შეიძრობსო“, იტყვიან, „წარბს შეიღებავსო“, — ნიშანის გაკეთების დროს იტყვიან. გეფინი არ მყავს და ვერ წომყავს ყაჭი, მარტო ვარ.

მთხრ. ფატყვიმე ნაკაშიძე, 27 წ. (სოფ. ჭვანა, ხულოს რაიონი).

ყაჭის შენება. კაკალს შეინახავ თიბილათ, ცეცხლი პირას. გამოა ით დღეზე ყაჭი, ბობოლი, წვეტი ბობოლი. მეგრან შოლის ევერს, დაწვიტებ, დეუბრისავე; ხელით მუუფლიმავ და დეყრი. დღეში ქამს ხუთჯერ. გეფინება. პერანგს მეგელის ორჯერ. ბაგახ გუქეთებ ოღაში და იმაზეა, ევერზე, ვასუფთებთ ორ დღეში. თითო დღეში დეყრით ზეიდან ევერს. ევლენ ამ ევერზე, იმას აეწვეთ, გადაკიტანთ სხვა ბოგაზე და ქვეშას გადაყვრით. ბოგანაძვის ყავარია, ან ლაშფა. როიცხა ლოგინ დეოდებს, გამუვლით. ასლი ვახტზე ნიშანს იქს. დეყიდავთ ევერს — წაბლას ევერს და გავაკეთებს პარკს და მოკერიფავთ, გავბდღენით და გავახმობთ მზეზე, ჩაყვრით კარდაღში, მოცხე წყალში წამოგადულებთ და მუჰხოვთ ლანდებათ ოგვადოზე. ყაჭი თუ გეინდა, ყაჭ მოვხარშავთ იმფო მეტათ ხან ნაცარში, ხან საპონში. ხამათ მოვხარშავ. რომ არ ამეიხოვა და დარჩებ, იმას გამოვხარშავთ ყაჭით. მერე გააშროვ იმასაც მზეზე დაართავ ხერტალზე. მემრე ორწვერ გავხითი — მოვყათავ, დავახავ ტარით. ხერტალს შევბარუნეფ და ისე მოვძახავ და მოვახოვ ლანდათ და შეეღებავ ყირჩიხათ, თურუნჯათ ბოღაში. ზათი იყო ბალახებით ლეზავდენ, თურუნჯ ბალახში — კანაფურას ვეძახით.

ყაჭის ძაფით მოკერავთ ძველს. აბრეშუმის ლანდს დეიკავეფ ხელში და მოახოვ ფირფიტაზე, მურგვათ არ იქს და მოყათავ ორ წვერს და დაძახავ. მერე ლანდათ მოახოვ, გამოხარშავ, გააშრობ და მოქსოვ თორას; კიდო — აფერს არა.

სასოფლო-სამეურნეო იარაღი და ტრანსპორტი

ქიზიყი

მთხრობლები: ქარუმა შეედლიშვილი (სოფ. ქვემო მაჩხაანი);
ვახილა თომახ ძე ხუციშვილი, 75 წ. წიგნიერი (სოფ. ჭიბითი).

კვერთ. სხვადასხვა საშეურნეო იარაღის კეთებათა შორის ყველაზე ღირს-შესანიშნავია კვერის კეთება, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული ქი-ზიყს.

ტყეში დაჭრილი მორები ხარაჩოზე უნდა დაიხერხოს, შაგრამ, სხვათა შორის, საკვერე მორის დალარვასა და დახერხეაშიც ის განსხვავებაა მხო-ლოდ, რომ რადგან კვერს თავი ოდნავ საში გოჭით ზევით აქვს ამოხრილი. ამიტომ დალარვა (დახაზვა) და დახერხეაც ორ პირობაზეა საჭირო — თითო-ეული სიბრტყეზე ცალ-ცალკე მიმართულებით. რადგან საკვერე მორს ორი სიბრტყე აქვს. მოხრილობის ხაზთან ლარი ან მარჯვნივ გაუხვევს, ან მარცხ-ნივ იმასდა ნიხედით, თუ მორს საით აქვს ცხვირი გაბრუნებული. მორს საკვერისთაო ცხვირი ორსავე მხარეს (მოპირდაპირეთ და არა თავსა და ბოლოს) აქვს ხოლმე გაბრუნებული, ასე რომ, მორს შუიდან ნახევარს ცხვირი მარჯვნივ აქვს, ნახევარს — მარცხნივ. თავებს შუა, კვერების ცხვირ-თა შორის, რჩება სამკუთხედოვანი გამოწანებრი პრიზმა — კოჭური.

მორების დახერხვა სწარმოებს სხვანაირი ხერხით და გარდიგარდმო გა-დაჭერბვა — სხვანაირი ხერხით, რომელსაც ბარდაბისო ეწოდება. რადგან სა-კვერე მორი ორსიბრტყიანია — ორ პირობაზე დალარული, ამიტომ დახერხ-ვითაც ორ პირობაზე ხერხავენ. ასე დახერხილ კვერს გვერდებს ცულით შე-მოუსწორებენ და სიბრტყეებს ერთი გაუთლიან ხოლმე. მერე გამოჰყავთ გონიოში. ამ მოხრილობის ხაზიდან კვერ-ცხვირს, გვერდებს სისო ხერხით, რომელიც იგივეა რაც თბილისის შეშის დამჭრელებს დააქვთ, ჩამოახერხა-ვენ. რომ ცხვირმა ირიბი სახე მიიღოს.

კვერის ზურგს ისე სთლიან, რომ მისი ზედაპირი პირიზონტალური იყოს კვერის მუშაობის დროს ამაზე შეაკლოვ დგება. ქვეშითა პირს კი ე. ი. იმ ნაწილს, რომელიც უნდა მოიკობოს და რომელმაც უნდა ღვეწოს ყანა, რომ-ელსაც ამიტომ ხამუშაო ნაწილიც ეწოდება, ისე სთლიან, რომ გვერდის ნაპირებიდან და ბოლოდან აყოლებამაც და გაყოლ-გამოყოლებამაც უფრო მაღალი იყოს. მოსახერხებელ ხმარობენ ბურღს, რომელსაც ოსტატები „ბურა-ოს“ ან „ცენტრს“ ეძახიან; ნახევარი გოჭი დაამეტრი აქვს, ბურღი, ანუ ბულლი დაგებულა შალაფზე, რომელსაც „კალართოს“ უწოდებენ.

კევრის ბურღით რომ დახვრეტენ, მერე მოხვრეტლებს პირებს ასწვრივ ჩაუსწორებენ ჩასასწორებელი სატეხით. ამ სატეხს პირი ნახევარწრიული აქვს. სატეხს ზენოდან კვედას — ხის უროს — სცემენ; ხაკოზე ადგილებს, ბუდეებს, კევრის ასწვრივ ელიფსური სახე ეძლევა; ასე მომზადებულ ბუდეებში ჩაქუჩით კოხს აჭედვენ.

კოხს არის მავარი ჭიშის შავი ქვა. კარგი ხარისხის კოხი მაწმის ხეზე იცის. კოხი არის ძველ ანაგის ხეზეც — კოდიწყალთან, შაგრამ ის დაბალი ღიწმებისაა. კოხს ადგილობრივ ამტრევეენ უროთი, სახელწოდებაში მოტანილს — ეკურით, ხოლო სულ წვრილად, უკვე ბუდეში ჩასატეხს — ჩაქუჩით.

კოხის დასამტრევე უროსა და კევრის ერთი სქელი მხარე — ყუა — ისეთივე აქვს, როგორც მათერთოდ ყველა ურო-კევრ-ჩაქუჩს, ხოლო მეორე, ვიწრო მხარე, პირი „ქნარი“ ნარაგე, მარაგე, აღმაღალმა, ანუ ასწვრივ აუღის. ჩაქუჩს კი, რომლითაც კოხს ბუდეში აჭედვენ, ყუა ჩვეულებრივი აქვს, ხოლო ქნარი, დაპირული მხარე, რომლითაც კოხს ხელში აწმინდავენ, საჭირო ზომისად — გარდიგარდმო.

სახელოსნოში მოტანილ კოხს ჭერ პირდაპირ მიწაზე მდებარეს ამტრევენ, მერე ფეხებში იჭერენ და — ისე, ბოლოს რაიმე რკინაზე დასდებენ, თვით კოხს ხელში დაიჭერენ და ასე აწმინდავენ. კოხი ბუდეში უნდა ჩაქედონ, რაც შეიძლება მაგრად.

კევრის ნაწილებს ასე ამზადებენ: ჭერ კევრის საჭირო სიგრძის თავს გადღუნობენ და აქ კევრის სიგანეზე გარდიგარდმო დახაზავენ. ამ ადგილს მხრები ეწოდება. მხრებიდან დაახლოვებით ექვსი — რვა გოჯის დაშორებით ბოლოსაკენ, კევრის შუა ნაწილზე გარდიგარდმოთ, ადგილი ჭრით დაინიშნება. მერე აიღებენ და შიშვას (სახაზავს) დაადებენ მხართან ერთი ბოლოთი, ხოლო მეორე ბოლოს წამოიღებენ გეზათ ისე, რომ გაიაროს ჭვარზე და გავიდეს კევრის მეორე გვერდზე. ასევე გადმონახავენ კევრის მეორე მხარდანაც. ეს ორი ხაზი ერთმანეთს] გადააკვეთს ჭვართან. ამის შემდეგ მიაყოლებენ და კევრს ხაზავენ შიშვის სიბრტყით. შიშვას ნახევარი გოჯის სიბრტყე აქვს, ასე რომ, ხაზვისას ხაზთა შუა სიბრტყეც ნახევარი გოჯი იქნება ძე იხაზება კევრის სამუშაო ნაწილი და იფარება ოთხკუთხის (რომბული) მსგავსი უჯრედებით, რომლის გვერდი უდრის ნახევარ გოჯს.

დახაზვამდე კევრს ცეცხლის ალზე მოსტუსავენ ხოლმე.

ჭვარიდან მხრებამდე, შუაში, ირიბად რჩება დაუხაზავი ადგილი, რომელიც სამუდამოთ მოუკოხავადაც რჩება.

გვერდებისაკენ (ნაპირებისაკენ რომ სამკუთხედები რჩება, ორი, ცალპირობად, ცალჭრიობად დახაზული) ნაპირებს მეორე ჭერობადაც ხაზავენ, რათა ისიც ნახაზთა ოთხკუთხედით დაიფაროს.

დამხაზავად, ე. ი. იმ იარაღად, რამაც საკვერე ფიცარს კვალი უნდა დაანინოს, ყოველგვარ დაპირულ რამეს ხმარობენ, რკინას, რა თქმა უნდა. შიშვა კაკლისაა. ანუ აბანოზისა, რადგან მავარი და უხეშობა ხეა. სიგრძით ან ადლია, ან ერთი და ერთი მეოთხედი არიშნი. სიბრტყით ნახევარი გოჯია, სისქე სიბრტყეზე ცოტა ნაკლები აქვს.

დაუბრუნდეთ კვლავ კევრს. ჭვართან რომ ოთხკუთხია, მას არ მოხვრეტენ. თუ ვინიცაბა შეცდენ და მოხვრეტს, ამ ნახვრეტში ჩასობილი კოხს

1 მაწმის ხევი ეწოდება იმ ხეს, რომელიც ლეგოღების აღმოსავლეთით მდებარეობს, რომელსაც ისტორიულად მაქიმი ეწოდება.

ბზეს აიხვევს და ღეწვას ხელს შეუშლის. მოხერხებენ შემდეგ ოთხკუთხედს. მერე მისდევენ და ხერხებენ ერთ გამოშვებით, დაფერდილი დაქანებული იყო შუისაკენ. კევრს ზურგი არ უნდა ჰქონდეს, თორემ ჰუშაობისას ქანებას დაიწყებს. გაშლილ მნახ დაქექვას და ვერ გაუწვავს. მამსადაძე, კევრს, ასე ვთქვათ, გული გამოღებული აქვს მეტყვერე ქ. მუქლიშვილის ცნობით მხრებთან — ნახევარი გოჭით, შუაში — მეოთხედი გოჭით, ხოლო ღუბა. კალოხ ნიჩაბს პირი ბრტყელი უნდა ჰქონდეს, რომ კარგად აიღოს მზე, თანდათანობით იშლება, რომ თვალი ვერ ატყოს.

ასეთი კევრი მხრებიდან აფეთავს შიგნით იყრის და თანდათან მჭირსნედ ატარებს ქვეშ. „ასე კალო მალე გამოდისო“ (მალე ილექებო), აზრობენ.

ნიჩაბს და არნახს ხისა კუთდება, ქარაფისა (მოკეისა), ცაცხვისა, ვერხვისა, ლაფნისა. ვერხვი ყველასა სჯობიანო, რადგან სუბუქი ხეაო. ხე ჯერ გაყო-პიტდება, შემდეგ კულით თანდათანობით გაითლება და ხელეოთი გასუფთავდება. კალოხ ნიჩაბს პირი ბრტყელი რომ ჰქონდეს, რომ კარგად აიღოს მზე, ხორბალი. ნიჩაფი მთლიანი ხისაა. არნადი ნაწილებსაგან შედგება: ტარისა და პარისაგან. ტარიც ხეა და პირიც. პირი ლარივით არის, ოღონდ სწორ-კუთხედი.

ფიქალს აკეთებენ შინდისას. ტყეში დასჭრიან რამოდენამე ორკაპა შინდებს, დასხუბენ, მოიტანენ, ცეცხლზე მოსტუსავენ, თითებს ამოუსხიან. თითების ამოსახრლად ორ მოკლე ჯოხს ერთმანეთის პარალელურად წნელთ გდააბამენ, ამას თითებზე ჩამოაცვამენ. შემდეგ ჯოხს ბერკეტით დანუვლებენ ისე, რომ შუალაზე ეყრდნობა და გარეთას ეწევა ამოვად, თითები იხრება, ბერკეტს ფიქლის ტარზე დააბამენ და დასტოვებენ ეგრე. მერე რამოდენიმე ხნის შემდეგ, გამოაცლიან ჯოხებსა და გასთლიან. მოხრილად არის გამხმარი, სიგრძე აღუნახევრამდე ექნება, თითები — ორ მტკაველამდე.

მთხრობლები: ნიკო ვახილის ძე მებრისვილი, 82 წ., წიგნიერი (სოფ. ოზნანი); კოტე ხანდროს ძე ჯანაიაშვილი, 55 წ., წიგნიერი (სოფ. კელმეჩური); ივანე ილიას ძე შაიშვილი, 58 წ., წიგნიერი (სოფ. ნუკრიანი); თედო ოთარის ძე გველიაშვილი, 62 წ., წიგნიერი (სოფ. ვეჯინი); ვარდო ივანეს ძე ირომაშვილი, 67 წ., უწიგნური (სოფ. ზელანი); დათა ხოლომონის ძე ჯავარაშვილი, 85 წ. (სოფ. ფხოველი); ვახილა თომას ძე ხუციშვილი, 75 წ., წიგნიერი (სოფ. ჯიბითი); ხოსიკო კანაშვილი, 90 წ., წიგნიერი (სოფ. ურიათბანი).

გუთანს. ქიზიყში და კახეთის ჩემ მიერ მოვლილ ადგილებში ყველგან სანაე იარაღად რთული სახის სანაე იარაღი გავრცელებული, რომელსაც გუთანს ეძახიან. მხოლოდ ჯიბითლებმა მითხრეს, რომ სოფელ ჭერეწშიო, რომელიც ჩემი მოქმედების სარბიელს გარეშე იყო, უწინ, იშვითად აქცაო, იხმარებოდა აჩაჩიო. რომელიც წარმოადგენდა თურქე მოხრად ხეხა და კუნძს, რომელზეც გაკეთებული ჰქონია ბარულა ორფთხანი. ფერდა ადგილებსა ჰხნავდო.

ზოგი ჩემ მიერ დაკითხულთაგანი გუთნის გამკეთებელი ხური იყო, რა თქმა უნდა ძველად.

ტყეში ერთ მრუდე ხეც ვიპოვნით, რომელიც ჯერ დაბლა იყო დახრილი და შემდეგ ყელი მოღერებული ჰქონდა მარჯვნივ. რვილად გავაკეთებდით. რვილის ბოლო დახრილი იყო და ზედა დედნა, ანუ დედანი ჰქონდა

შემოცმული. რვილს ათიოდე მტკაველი სიგრძე ჰქონდა, ციდა — სისქე და ოთხი თითის დადება — სიმაღლე. დედნას სიგრძე ოთხი მტკაველი ჰქონდა, სიგანე — ციდა და სიმაღლე ოთხი თითი. ზოგის სიტყვით, რვილია მთავარი და მასზეა ასხმული სხვა დანარჩენი ნაწილები, ზოგის თქმით — დედნა.

გუთნის ყველა ნაწილი რვილის მარჯვნივაა ასხმული ეგრე, დედნის გასაშუალებზე ამოხერტილია დედნაც და მაღლა რვილიც, რომლებშიც გაყროლია სავარცხელი. ჩიმიტსა და ურიათუბანში სავარცხლის მაგიერ ჭმალი, ანუ ხმალი მითხრეს. სავარცხელი, ანუ ხმალი მეორე ადგილას აბამს რვილსა და დედნას და ამაგრებს, თორემ ისე ხენაში გაიშლებოდა. სავარცხლის სიგრძე ოთხი მტკაველი იყო, სიბრტყე ციდა, ხოლო სისქე — ორი თითი დადება. სავარცხლის დამოკლება-დაგრძელებზე იყო გუთნის დაღრმავება-დაწეწურება. ნუკრიანელ ივ. შაიშქელაშვილის სიტყვით, სავარცხელს წინ შყარდა ჰქონდა აკრულიყო, საცა რვილი იყო დედანში ჩაყრილი, იქვე. უკან კუდაი (ხელკუდაი — ურიათუბანში) ჩაყრილი, მაგის სისქე ხუთი მტკაველი, რომელსაც მაღლა საველური (ტარი — ურიათუბანში) აქვს. რვილსა, დედნასა და სავარცხელს მარჯვნივ, გვერდზე ფთა, ანუ ფთე, აქვს წაქრული ბეღტოს გადასაბრუნებლად. ფთა დედანზე კორით იყო მიბმული, ხოლო კუდასა და ფთას მანვა აერთებდა. მეორე სახელური ფთაზეა გაკეთებული.

დედნის ბარი, ანუ ხაჯნახი აქვს წამოცმული, რომელიც ხნავს. რვილში შეყრილია საკვეთი, რომელსაც წვერი ბარის წვერამდს ჩამოუდის. საკვეთი წინ მიუძღვნის და კვეთს მიწას. ბარის სიგრძე სამი მტკაველი იყო, სიგანე — ორი მტკაველი. საკვეთისა — ოთხი მტკაველი.

ბარ-საკვეთის გარდა, გუთნის დანარჩენი ნაწილები ხისაა, იფნასა ან ქაგისა და მუხისა.

საკვეთის რომ ამაგრებს, იმას დედალი ხოლი ჰქვიან. კუდასა და რვილ შუა ჩასაგებ სოლს მამალი ხოლი ჰქვიან. რვილს წინ ჩაუგდებ, დაღრმავებს, უკან — დააზეზურებს.

გუთნის წინ მიუძღვის ღირღიტები — ორი გორგოლა: ერთი ღიდი — კვალისა და მეორე პატარა — ველისა. ორივე გორგოლა, ანუ ღირღიტი შორგვითა და ფერხო-ხოლით ყოფილა გაწყობილი, ოღონდ ურკინოდ. ამ გორგოლების შემადგირებელ ღერძს ჰქვიან ფამფალაკი. რვილის თავი დადებული იყო ფამფალაკზე. წინ-წინ ფამფალაკს კუნძი არა ჰქონდა, რვილის თავს პატარა კორა ჰქონდა, ზედ კომის ჰქვანი ჰქონდა. თავს რომ ფამფალაკზე დაძღებდნენ, ჰქვანს ქვეშიდან ამოატარებდნენ ფამფალაკსა და კორაზე წამოაცვამდნენ.

ფამფალაკი გახერტილია და შიგ გაყრილი აქვს შოლტკავი (ზოვიერთის გამოთქმით შოლტკავი), რომელიც უკან დაუარებულია, რომ არ ვაძიერეს.

შოლტკავში ფამფალაკის ახლოს ჩაყრილია სამკაპა ხე, რომელსაც საცულე კარხის ჩხას უძახიან, ზედა ჰქვია ჩრიხვლები წნელისა, ტოპრაკა, რომელიც სოლები ყრია საჭიროებისამებრ გამოსაყენებლად და ტულია ჩამობმული. ტული ჩრიხვლებზეა ჩამობმული. რვილს თავი გახერტილია და ჩაყრილი აქვს ხე, რომელიც გახედვებულია შოლტკავში; შოლტკავს წნელის ჩრიხვლი აქვს შემოცმული, რომელიც რვილის კორას წამოეცმება ხოლმე და ამაგრებს ფამფალაკზე.

შოლტკავის ქვეშ ზინზილაკით, ანუ ქინჯიხაკით (წნელია დაგრეხილი) ჩამოკიდებულია დათუა ანდა დათვი (ქიზიყში), რომელსაც ჩემ მიერ მოვლილ კახეთში ნებიერს ეძახიან. დათვას ანუ ნებიერის ერთი მხარე მობმულია სამ-

კაბა საცულე კაჩონზე, ხოლო მეორე მხარე — შოლტკაერს თავზე საუღლესთან ზემოსხუნებული ზინზილაკით.

დათვაზება ნობმული ხაგლეჯი, ხოლო საგლეჯზე — ხაყვერები. საგლეჯი წინ ორკაბაა, რომელშიც თავთხე ჩაყრილი და უფელი აქვს გაგდებული, საყვეჯარი კი კავიანია. ამასაც უღელი თავთხით აქვს დამაგრებული. საყვეჯარი საგლეჯზე ან საყვეჯარზე უკანა ნაწილით ჯამბრით, ან ჰამნით, ან წნელის ჯამბრით არის მომბული. საგლეჯი სამგან არის გახვერებული. ბოლო ნახვერეტში წნელის ჯამბარა აქვს, რომელიც დათვაზება მომბული, შუა ნახვერეტში წნელია გაგდებული, რომელშიც ხაგლეჯის ხარების უფელია გაყრილი; წინა ნახვერეტში წნელს ჯამბარაა გაყრილი, რომელიც საყვეჯარზეა მომბული. წინა ხარებისათვის კვანტია — შუაზე გადამბული ხე.

როცა უნდა, რომ გუთანი ღრმად ჩაუშვან, მაშინ ქვევიდან მისცემენ სოლს რიჯის და კუღთან — ზევიდან, როცა უნდა, რომ დააწვეურდონ.

უკანა მხრივ გუთანი იგრე იყო მოწყობილი, რომ როცა წინამხარში ვხანდით იწით, ძალიან ღრმად ჩადიოდა მიწაში. წინამხარის მინდორი (მიწა) სუბუქია, უკანა მხრის — მძიმე.

ხარები უღლებშია შებმული, რომელიც დამაგრებულია შოლტკაესა; საგლეჯსა და საყვეჯარში. უღელში ორი ხარი ებმება; თითო ხარისათვის ხარის ქედის სიდანზე ჩაყრილია ტაბიკები — წყვილი. ტაბიკს თავი აქვს, რომ არ გასძვრეს, ბოლოს დაჭდეული აქვს აბეურის შესამბელად. აბეური შიგნითა ტაბიკს აბია. როცა ხარს უღელს დაადებენ ქედზე, აბეურს ყელ ქვეშ გამოუტარებენ და მეორე ტაბიკზე შეყვულფავენ რამოდენიმეჯერ. ერთხელ რომ გამოყულფონ, არ შეიძლება, ვთუ გაიხსნას; გაკვანძონ, მით უფრო არ შეიძლება, რადგან იქნება სწრაფად გამოშვება იყოს საჭირო ხარისა სხვადასხვა მიზეზისა გამო და ნაკვანძის გახსნა ძნელია. გამოყულფული რომ არის, წვერს წააგლებენ ხელს, გასწევენ და დაიხსნება.

ტაბიკები იმ საიკრება, რომ ყელს ჩამოცილებულია თითქმის, ყოველ შენთხელვაში მოკლე არ შეიძლება იყოს. აბეური იმდენად უნდა ჰქონდეს გაკრებული რომ, არც უჭირებდეს და არც ბოზად იყოს, თორემ თუ ბოზად არის შებმული ხარი, კისერი ულყალყაყებს, ეწვალება და ვერ ეწევა აღმართში, როცა ძალია საჭირო, დაუვლიან ხოლმე და აბეურებს მაგრად მოუჭერენ, რომ კარვად გაიწიონ; ისე მაგრად, რომ როგორც კი აივაკებენ, მაშინვე მოუწვებენ სოლმე. რომ არ დაიხრჩვენო, სუნთქვა უჭირთ.

უღელი თელისა კეთდება. სატაბიკეებს ბურლით იღებენ, შუაზე თავთხისათვის უნდა ერთი ნახვერეტი. თვითონ აკეთებენ. ტუქავენ. ტაბიკი შვინდრისა, რადგან სუფთა და მაგარი ხეა. თვითონ აკეთებენ.

თუ ვინიცობაა უღელში მეუღლეები ვერ შეჰხვდნენ ერთმანეთს, არა ხერხდება, რომ ბადალი ბადალს შეუფარდოს. ხანდახან ხდება ხოლმე, ასე რომ ერთი უღელი ასე დატოლმეტდება. მაშინ ტოლს მოუღებენ ხოლმე — ჯამბარას შუადან გადამწევენ, ნაკლები ხარისაკენ უღელს დააგრძელებენ, ხოლო მჭობნი ვარსაყენ დამოკლებდა. დატოლმეტება მჭობნიობაზე ჰკიდია.

1. შოლტკაერში შებმულ კარებს გუთნის თავის, ანუ ღორღიტის კარები ეწოდებათ. კარვი კვიანნი, გამოცილი, ბეღური კარებია, შანრები, რომ კვალს სწორედ გაატარონ. აქ უღვას კარგი, გამოცილილი ღამის მეჭრე, რომელსაც გუთნის თავის მჭერებს ეძახიან.

2. ხაგლეჯის კარები, ახალი გამოქნილი გიეი მოზურებია. ძალა ჰქონდა, იტუნებდნენ, მაგრამ სად წავიდოდნენ? უკანაც კვიანნი კარები იყვნენ და წინაც. მეჭრე არ უღვას, საგლეჯშია შებმული.

3. სადგომო კარები, შუალა მეკრისა, ზოგმა ხაძირის კარებიც უწოდა. კეკელიანი კარებიც. მეგრე უნდა ჩაიყენოს. აქ უღვას შუალა მეგრე, ღამის მეგრეა. შებმულია პირველ საყვარში. ამის შემდეგ სულ საყვერებაია.

4. წახაკრავი კარები მეორე საყვერშია შებმული. როგორც ვინდა ისეთი კარები იყოს. შუალა მეგრე ერეკება. სახრის წვერს წაქრავსო.

5. წინა სადგომის, ანუ მესამე სადგომის კარები. კეკელიანი კარები უნდა რომ მეგრე ჩაიყენოს, წიხლი არ იცოდეს. ღღის მეგრე, პატარა ბიჭი ჩაუღვება, რომ საქცევში მალე გაძვრეს-გამოძვრეს, მიიღალ-მოიღალოს კარები, თუ აირჩენენ, და კვალში ჩაიყენოს.

6. წინა კარები, მართლაც კარგი კარი რომელიც არის, კვალში რომ კარგა ჩაღვება და წავა. საქცევში რომ გავა, თითონ უნდა მობრუნდეს და კვალში ჩაღვდეს. ფიცხი კარები უნდა, რომ გარეკოს გუთანი. წინა კარია, რაც არის. მუქარით გამოჩნატქამიც არის — „წინა კარები არ ამიშვათ!“ წინა კარებს დღამით მეგრე ერეკება. წინა კარები კვანტად არის მობმული, რომელიც შუაზე გადაბმული ხეა, წნელით, რომ ნობრუნებაში კარებმა ფეხი არ ჩადგან.

იყო ხოლმე რომ ზოგჯერ ხუთუღელაც ებათ. ღღის მესრე მანც საჭირო იყო; და იყო რომ ექვს უღელზე მეტიც ებათ და მაშინ ერთი მესხრის მომტება კიდევ იყო საჭირო და ამიტომ არა შვიდუღელას, არამედ რვაუღელას აბამდნენ. ერთი მესრე რომ შეეფარ საქონელს ელალება, გუთანიღვდას გუთანზე უვლია ხელი და გუთანსა მართავს.

რაც ერთ გუთანში საქონელი შეიბმება (სამშულოდ ექვსუღელა), გუთნული იწოდება. სხედანსხვა ზომაში სწორედ ექვსუღელაა გუთნულად ნაგულისხმევი. მაგ. ერთი გუთნის აბურთი უდრის ექვსუღელა (ექვსი წყვილი) აბურის (იხ. მესაბურთა)². რაც ერთი გუთანი (გუთნისანშემული ხარებთანად სივრთი) ვაიშლება, ზომის ერთეულადაც აქვთ გამოყენებული და იტყვიან ხოლმე — „ერთი გუთნის გაშლა, ორი გუთნის გაშლა და მისთანა“.

გუთანში შებმული საქონლის გარდა კიდევ სხვა შენახული კამეჩები და ხარებიც ჰყოლიათ ფარცხნათვის, უფრო კი კამეჩებით. კამეჩი გუთანში ცოდოათ. ამას ვარდა ერთი ცხენიც არის საჭიროა წყლისა და პურის საზოდავად; ანდა გამოსაქნელი მოზვერი რომ გაიქცეოდ, ცხენით გამოუღვებოდოთ.

ფარცხს. ნაწილები: ისარხა (ლატანი) მოგრეხილი წნელი. ფარცხინიბმული კაბლოზე. კაბლო სქელი თელის ფიცხია, რომელიც წინა აქვს ფარცხს. ისარი ორია: ერთი — სქელი, რომელზეც წნელია დახვეული და მეორე — წვრილი, რომელიც ვადაგრეხილ წნელებ შუა ჩადებული. კაბლოს თავსა და ბოლოს ჯღონები აქვს მობმული, რომელიც წინ ერთიანდება, სადაც თავთხე აქვს დაქრული და ზედ — უღელი. ორი-სამი აული იქნება ფარცხს.

მთხრობლები: ნიყო ვახილის ძე მებრძვილი, 82 წ., წიგნიერი (სოფ. ოზანანი); ვარდო ივანეს ძე ირომაშვილი, 67 წ., უწიგნური (სოფ. მელანანი); ვახილა თომას ძე ხუციშვილი, 75 წ., წიგნიერი (სოფ. ჯიშითი); გიორგი ბავრატის ძე რუხიშვილი, 43 წ., წიგნიერი (სოფ. ურთაუბანი) და სხვანი.

მეურმეობა. ურმის მასალათ ჯილი ხე უნდა აირჩიოს. საუბვევე ხე უნდა გასქდეს. ხეს ცულსა ვცემთ, სოლს ვაშველებთ, ზევიდან უროსა ვცემთ.

2 „მასალები“, ტ. II, ნაწ. II, გვ. 28.

ზოგი ხე ხეუღლიანია და არ გასქდება, ზოგი მრუდეთა სქდება, მემრე თლა-ში გამოდის. ზოგი ხე პატარაობაში ქარისაგან ნარყუვია, რო ვხეთქავთ, ვხე-დავთ ფურჩი აქვს, არ ვარგა. შეშათ გამოდგება. საუბევუ ხე იგრე უნდა იყოს შარჩეული, რო ერთმანეთს მიუდგეს, უნდა ერჩეოდეს, რომელი მარ-ჩენია და რომელი მარცხენა.

უბე საბრუნის წინ თოთხმეტე მტკაველია თავთხმდი, საბრუნის უკან — შეიდი, ორი მტკაველიც თავთხს წინ ცხვირი უნდა, იმიტინა, რომ კაცმა კელი წააღლოს და წინ ჩაუძღვეს დაღმართში. ჭარის უბეს ნაკლები უნდა: საბრუნს უკან — ექვთი მტკაველი, საბრუნს წინ — ცამეტე. ვათლაში საბრუნს სქელს უგვებთ, რადგან ძალა აქვს იქ ურუმს, ხაანის ურემი სცემს და ტყდება. ჭაღებებს წინ რაც ურუმს ნაწილია, ურუმის თავი ჰქვიან.

თლის დროს ვამუშავებთ ცულს, იმით გავთლით და კელეჩით დავაწმინ-დავებთ. რო დავთლით, მემრე დავტყუსავთ, რო არ დსქედეს მზეზე. დაკობ-ტებულს დასაწმინდავებლად სულ ექვსი დღე უნდა. თუ უში ხეები მოიტა-ნეს, მაშინ ერთ უბეს ერთ დღეს უნდა. უბეთ მარტივ ხეს ვარჩევთ. ვახეთ-ქილი უბე დეით ხისა და მალე ტყდება გადაბრუნებაში. ფოლადივით არის, ამიტომ ვახეთქილი, დიდი ხის უბე არ ვარგა; მარტივი ხე, პატარა ხე თასმა-სავით არის, გადაბრუნებაში გადაიგრებიება. საქონელი და უღელი ხო არ უშეებს. იგეთ ხეს ვარჩევთ, რო მხრებში პატა მოფენილა იყოს. ეგრე რო წინა კალუმში ორი ძნა ჩავიდეს, ხაცალოც კარგა მივიდეს. მოდუყვილი ხე უნდა იყოს, რო ყელი კარგა მაიღეროს.

უბეებს დავკვრეტამთ — შეიღს გვერდიდან გავკვრეტამთ დაწდლებსა-თვის, შეიღს — ზევიდან კალუმბათვის. ნაკვრეტები ერთაშეორას შუაზეა. ჭერ გავდანდლავთ და მემრე მოვკადავთ. შეიდი დაწდლი აქვს და თოთხმე-ტი ჭაღი. უბეები დანდლებით არის გადაბმული ერთმანეთზე. უკან კოფოთ არის გადაბმული. კალუმზე ზეწრებია ჩამოცმული. ორი ზეწარი აქვს ურუმს: ერთი — ერთ მხარეს, მეორე — მეორე მხარეს. მემრე დანდლები გაიფიცრება.

უბეს საბრუნში (საბრუნის ის ადგილია უბისა, საცა ლერძია ვაგდებულა) ხაგალავები აქვს ჩაყრილი, რომელიც ლერძს იჭერს, რომ ან წინ არ წაეცურ-დეს. ან უკან. ხაგალავების სახელად ჭიმიტისა და ფხოველში კოტა მითხრეს, ურიათუბანში — ყევრებია. თვითონ საბრუნის სქელია, რომ სიმძიმეს გაუძ-ლოს. საბრუნის სახელად ურიათუბანში ხადათვე, დათვა მითხრეს. მუშაობა-ში ლერძი მოსჰამს ხოლმე საბრუნს და რომ არ გადატყუდეს უბე, ამიტომ ხის ნაქერს ჩააკრავენ ხოლმე, რომელსაც წრიაფხ, კვერნახ (კვერნა ქიზიყში ბევრმა უარყო) უწოდებენ. წრიაფის სახელად ჭიმითში საგალავი მითხრეს, ზოგმა — კოტა; კოტა, ანუ ყოტი მითხრეს ურიათუბანშიც. უბეს გარედან თელის მხარეს, საბრუნთან გათლაშივე გამოყვანილი აქვს ამობურცული ად-გილი, რომელსაც ლოყახ ეძახიან. მუშაობის დროს მორგვე ლოყახს ჰხედუ-ბა, მასა სჰამს. ლოყა უბეს იცავს მორგვეს მოსმისაგან, თორემ მორგვი უბეს მოსჰამდა სწორედ საბრუნში და გაადვილებდა მის გატხებას.

ლოყახა და წრიაფიც ახალ უბეს გათლაშივე ევარაუდება, დასტანდება. როცა გაცვდება, ახალს ჩააკრავენ.

ურუმს ლერძი აქვს ვაგდებულა. წინათ ლერძი ხისა იყო. ეხლა აღარავისა აქვს ხისლერძიანი ურუმი, სულ რკინის ლერძიანებია. ლერძი სწორეა, მარტი-ვი ხისა. საბრუნში ლერძი სქელია, შუაზე — ცოტა წვრილი, თავსა და ბო-ლოს, რომელიც მორგვეში უნდა გეყვაროს, ისიც წვრილია.

მორგვის მოგზაო და დარგვალებული ზრს მონატრია. წინათ სხვილი მორგვა ეცოდით. მორგვს გული, ჰაცა ღერძი უნდა ვეყაროს, გახურებულ შამფურით უნდა გაუჭვრიტოთ. ეხლა და ეხლა ბუღლს ატარებენ. მემრე სატეხით, ან სახორხით, ანუ ჩოლახით ამოჭვრიტ, ან ლოპჩი მოვატარით. სახორხი, ანუ ჩოლახი სატეხოვით არის. ლოპჩი პრტყელი ბუღლია.

მორგვი ჭერ გარეშამო ხახოღეთ დაიჭვრიტება სატეხით. სასოლე სატეხით დაიჭვრიტება, რადგან ზე სიგანზე იჭრება, საღერძედ კი — არა, რადგან სიგრძივ ვერ ამიღებ. სასოლეც ჭერ ბუღლით გაიჭვრიტება, ორგან, მემრე სატეხით ამოსუფთავდება.

მორგვს გარეშამო შამოზმანებული ბაწარი, ოთხი მტკაველი უნდა ყოფილიყო სისქისათვის, თორემ გაწვრილებული, გასუფთავებული საპანეს ვერ გაუძღვდება.

მორგვს რომ დაეკვერტამთ, დათლილი ხოლხი გვაქვს, ავიღებთ და დავკრამთ, ზევიდან დიდ კვერსა ვუცემთ. სოლს თავსაც (მორგვში რომ უნდა ჩავიღეს) და ბოლოსაც (ფერხოში რომ უნდა ჩავიღეს) ჭერ ხერხით ჩაუჭრით ზომაზე და მემრე დაეკვერტამთ (შემოსწორება, შემომორგვა). სოლი ეცოდით ცხრა ვერსოკი სწორეთ. ოთხი თითი დადება მორგვში ჩავიღოდა, ერთი ცოდა — ფერხოში. აგრე რა, სოლს გათლაში საიქ ერთ არშინს ვიჭვრდით. ჭერ მოქსოლაეთ, მემრე, ფერხო გვაქვს დამზადებული და ჩამოვავებთ სოლებზე.

ფერსოთ კვართ ხეს ვარჩეთ. ფერსოს და სოლსაც ჭერ ცალი მხრიდან გავთლით, ზემრე, ყალიბი გვაქვს, დავადებთ და შამოვხაზავთ ნაპირებსა და ვარეთა მვარს ცულით ვთლით, შუაზე — ეჩით. ფერსოს სისქით მტკაველს ვიჭვრთ. თითო ფერსოს ორ-ორი დედალი ხოლხი შუაზე ეძლევა, ხოლო ერთი სოლი თავსა და მეორე — ბოლოს, საცა ერთი ფერსო მეორეს უნდა მიებჯინოს, გადაეხას, რქ ეძლევა გადასამშელად; ამ სოლს შამოლ ხოლხ ეძახიან. მამალი სოლი სანახევროდ აქვს თითო ფერსოს, ნახევარი ერთ ფერსოშია, ნახევარი — მეორეში. ამ ადგილას ფერხოებს უხებია აქვს, რომლებშიც სოლია გაჩრილი. სოლს უჭვრავს ფერსო, რომ ერთმანეთს არ ასცდეს. ზოგი სოლს ფერსოს მხრიდან ბრმა ხოლხს სცემს, ახრამახოლავებს, რომ გამაგრდეს სოლი ფერსოში. ზოგმა კი ასე თქვა: ბრმა სოლს, ანუ ბრმა სოლს ის დაქვრამს, ვინც ჩოლფოთს გააქეთებს. სოლი ფერსოში იგრე უნდა გამაპყნოს, რა წყალიც ვერ შევიდესო. ერთი ვარაან მახა ყოფილაო, ურემი შაუკრამ, წყალში ჩაუგდია დღე-ღამე. ამოუღიათ, დაუშლიათ და, ჩარქმული საცა იყო — ჭალსა, დანდალსა, სოლსა და ფეროში, წყალს ვერ გაუტანებინაო.

ერთ თვალს თორმეტი სოლი უნდა და ოთხი ფერსო. თვლებს რა ავასხამთ, ღერძს გაუყრით. ცალ თვალს სახეშით მოვხეშამდით, წვრილი სოლენით ღერძს მორგვში გავჭვრდამდით. მეორე თვალი მოუხეშავი იყო, ღერძი მორგვში ტრიალებდა, რომ ურამს მოღრეჭა, მობრუნება შეგეძლებოდა. ის მორგვი რა მოქამოს, ახლა ის მოვხეშოთ და მეორე თვალი გავანათავისუფლოთ, რომ ძალიან არ დამაფრახდესო.

მორგვს გარეშამო უსურვანის წნელს ვავრებამდით, ნეხესაც წაუსვამდით ხოლხე, რომ მზეს არ დაეხეთქა. საერთოდ ურამს ყველა ნაწილს დაეტესამდით, წვიმა-წყალი ველარ მიუღება, ინახავს. ღერძის თავს მორგვის

გარეთ ჩრინვალს, ანუ ჩორჩალს, ანუ რჩოლს (წნელაა) შემოვაცვამთ და კინკლაქს ჩაუყრით, რო თვალი არ გამოსძვრეს.

თვლების წინ, მეორე და მესამე ჰალ შუა ურემს გარდიგარდმო უბე-
ებზე ვადებული აქვს და წნელით აქვს ამოჭრული ქვეშიდან ხარვეს. სარგეა
რკველი კეტი. თავდადმართში სარეკს ებჭინება გავით კამეჩი. სარგეი იცავს
საქონელს თვალის მოსმისაგან. ურემის თავთან შებნული აქვს ხაყენი, კონკი-
ლა (კახეთისაყენ), რომელსაც ენდობა ურემი და ფეხზე დვას.

უბეებს თავითავზე აქვს გადადებული და შიგ თავთზე აქვს ჩაყრილი.
ამავე ადგილას გაყრილი აქვს უღელციც, ისე რომ თავთზე უბეებსა და უღელ-
შია გატარებული. ურემის თავზევეა მოდებული წნელი, რომელზეც მოაბამენ
ხოლმე ჭამბარას (რკინისაა) ან ჰვანს (კობისა ან თასმისა) მყევრსათვის.
წინ-წინ როცა დაურკინავი იყო თვლები, ურემს რო წაერღებლით სადმე,
თან უხეირო ცული მიგვექონდა. თვალი რო დაგვიკოკლდებოდა, ზოგჯერ
ლაფში გავვიცურდებოდა, ფერსო გადაიჩინებოდა, ვიღვეით და ვაკვრცხებ-
დით.

ძველებური აჯაბი ურემი ერთ წელიწადს სძლებდა. მაშინ ერთი ურე-
მი ერთი კარის ფასი იყო. ეხლა რკინის ურემი უღელ ვარათაც პაი, პაი, რო
ძლივ მოვა. რკინას აფასებენ, კვლობას აფასებენ.

ღერძათ ჭაგრცხილა იყო, იმის მეტი ვერაფერი უძლებდა. ძრამდა ას
ფუტს, ხოლო ღერძა სტეხამდა ხანდისან. ჩვენც კვლაველ ვავთლიდით და
გათავდა. ასოც ფუტსაც (ორმოც კოდს) უღებდით. სამ უღელს ვაბამდით.
უღლივ ცარიელ ურემს არ გამოვიტანდი შინადამ კალოზე, იგეთი მძიმე
იყო.

უბეები თელაა, დანდალ-ჰალ-ზეწარი თელაც შეიძლება, მუხაც. მორგვი
თელა იყო; აკაკი და აკაცია ეხლა შამილეს, მაგარია, კარგია; ფერსო —
თელა, მუხა (ურკინობის დროს მარტო რცხილა გამოდგებოდა), სოლი —
მუხა, იფანი.

მასალა ივრისა ძვლივით მაგარია, ალაზნისა — ფატარი. თვალს რო
სოლი გაუტყდება, ალაყაფს ამოუყენებთ ხოლმე, ალაყაფი ორკაბა უბიანი
ხეა, ყბა ფერსოში აქვს მიცემული, ქვევით მორგვს ებჭინება. ზოლის მაგე-
რობას ეწევა.

ძველათ საიქ ერთ კვირას უნდებოდით ურემის შეცვრას.

პირველათ რო შამოვიდა ურემის დარკინვა, თვალს ნაქერ-ნაქერ რკინას
ვკარავდით ფერსოს ნახევრიდან მეორე ფერსოს ნახევრამდე.

ურემის გარდა მისატან-მოსატანად მცირედ აბლო მანძილზე ზოგან იბ-
მარება შემდეგი: ჭნა, გოდორია მარჯილზე შედგმული ნეჭვის გადასაყრე-
ლად; აქვთ ზემოთ; მარჯილი, ესეც მოკლედ საჭმარისია ზემოთ (კახეთის
უკანა მხარში). მარხილის ნაწილებია ხაცური, ჭალო, კოფა, კილი, ნემხა, კე-
ლნა, უღელი.

ხათარი — ის ხე, ან შეშა, რომელსაც უღელი ხარით მოათრევენ.

ნალო — დატვირთულ ურემს დადმართზე უკან მოუბამენ ხოლმე, რომ
ურემი დაიპიროს.

მთხრობლები: გოგია დათიას ძე ფარეშიშვილი, 112 წ. (სოფ. ვარდის-
უბანი); ზაქარა ნიკოლოზის ძე ნათელაური, 96 წ. (სოფ. ახმეტა, სათიანო);
ხანდრო ხსაკას ძე არუთინაშვილი, 87 წ. (სოფ. შალაური).

გუთნის კეთება. ფარცხს ყველა დასწავდა და გუთანს კი თუ ოსტატი
არ იყო, ვერ გააკეთებდა; გუთნის გაკეთებას ცოდნა უნდოდა, ოსტატობა
უნდოდა.

გუთნისდგდა აკეთებდა გუთანს და, ვისაც გუთანი ჰქონდა, გუთნისდ-
დაც ის იყო. ზოგმა ხელობა იცოდა, მაგრამ საქონელი არა ჰყვანდა ხოლმე
და არც გუთნისდგდა იყო. ის გამაჰრთავდა გუთნებსა და ალოებს ხსნავდა
ხოლმე თავისთვის.

უწინ ხის გუთნები გვექონდა, იმას იმდენი მახალაკები უნდოდა. რომ
თუ კარგი გონებიანი კაცი არ იყო, ვერ გააკეთებდა. რაც წერილ-წერელი
ნაწილები აქვს გუთანს, მახალაკებს იმას ვეძახოდით. ჭერ გავთლოდით ხესა
და რვილს გავაკეთებდით, ხოლო ყელი მოხრილი უნდა ჰქონოდა. სწორე ხე
ვერ მოჰხნავს, თუ თეო არა აქვს ნაკრავი. გუთნისთვის იგეთი ხე უნდა მოკ-
ძებნოთ, რომელსაც თეო ექნება. იარაღი თეოიანზე კარგა აისხმება და ნი-
წასაც კარგა მოჰხნავს.

თეოზე ასხმულია ჭერ კბილი, ხმალი ამოსულია გუთანში და კბილთან
არის მისული, უკანაიდან ხელკუდი აქვს, ხელკუდიც კბილში უნდა ჩავიდეს.
გუთნის ბოლო კიდე ხელკუდში უნდა გავიდეს, გუთნის ბოლო და კბილის
ბოლო ბარდაბარ უნდა უუჭრებდნენ ერთმანეთს. გუთნის კბილზე მიჯი არის
ამოსული და ბიჯზე კი მანჯა არის დასმული, მანჯის მეორე მხარე ხელკუდ-
შია გაყრილი და ფარეშით არის დაკოროლი. ხელკუდს მაღლა ხელის წახვ-
ლებში აქვს გაკეთებული, ტახიკის სისხო არის და იმით აქუშავებს გუთანს—
თუნდა ეგრე გაღმოსწვას და თუნდა იგრე. ხაკვეთიც რილს უკეთდება.
კბილზე ხახნისი იყო წამოგებული. მახალაკებს ზევიდან ფთა არის დამაგ-
რებული. ფთა ლამაზათ უნდა იყოს გათლილი ფიცრისაგან. რა წამს ხახნის-
ხაკვეთი გაივლის, ფთამ უნდა უშველოს და ბელტი მაშინვე უნდა გადააბრუ-
ნოს. საყვითი წინ უდგა და სახნისი უკან მისდევს. ჭერ საყვეთელმა უნდა
გაუჭრას და მჭრე სახნისი მიჰყვება, ერთმანეთს მალე უნდა ეშველებოდნენ.
კვლი რომ მიღის, იმ კვლის პირზე კბილიც მიდის და, თუ კბილს საქლეში
არ დაეაკრით, ორ კვირასაც ვერ გაძლებს. საქლეში კბილზე უნდა დამა-
გრდეს კორებიით.

ქართული გუთნის განავალისათვის რომ გეგებენდა, გესიამოვნებოდა.
ლარივით იყო, ბეწვის ტოლას გაბრუდებულს ვერ დაინახავდი. ქართულ ვუ-
თანს სახნის-საკვეთის მუტი, რკინისა სხვა არაფერი ჰქონია. უწინდელი
სახნისი სიმძიმით ცრთ ფუთს აღარას დაუკლებდა.

გუთნისდგდას, როგორც უნდა, იგრე გააჭრევიანებს მიწას, თუნდა მოუ-
მატებნ, თუნდა დაუკლებს; დაველებახა და დაკვალელებს ვეტყვით აჰა. როცა
წერილ კვალს მისცემს, დაკვალელებს ვეძახით თუ მოუმატებს, მაშინ დაველუ-
ბას ვეტყვით. რვილის წინ ფამფალაკი უნდა იყოს, აქეთ-იქით თვლები არის
და ფამფალაკი დგას ზედა ღირღიტახა აქვს გაყრილი ფამფალაკი. ფამფა-
ლაკში შოლტტყავი იყო ხოლმე გაყრილი და ქოლტტყავს კიდე ხაკვეთარს ჰონ-
და მობმული.

საყვევარს ჭამბარას სახელწოდებითაც იხსენიებენ და აღნიშნავენ, რომ ჭამბარა ძროხის ტყაიდან იყო დაწნული.

ზაქარა წათელაური ამ საკითხის შესახებ შემდეგს აღნიშნავს: „ქართული გუთნები აღარ არის, ეხლა კაკაბური და რუსული გუთნები აქვთ, მაგრამ რუსულ გუთანს ქართული გუთნისთანა მადლი არა აქვს. კაკაბური გუთანიც ხისა არის, მაგრამ ფთე, ხმალი და ემისთანა ასახმელები რაც არის, სურკინისა აქვს. ხეს ჩვენ მოუტანდით ხოლმე და დანარჩენებს მკვლელი აკეთებდა. ერთი კაცი იყო თელავში და ის აკეთებდა კაკაბურ გუთნებს. აქ კარგი ოსტატები იყვნენ, მაგრამ კაკაბურ გუთანს ვერ აკეთებდნენ. კაკაბურ გუთანს ბევრი საქონელი უნდა და რუსულ გუთანზე კარგა ჰხნამს, რუსულსა ჰკობია.“

უღელი თუ გატყდებოდა, გუთნისდვდას უნდა გეეკეთებინა სახნის-საკვეთი გაფუჭდებოდა და ისიც იმას უნდა გეეკეთებინა.

ჩენი იარაღი ნაჭახი და ცული იყო, რკინის ხატეხი და ფარეშის „ბურაო“.

ფარცხი. ფარცხი ფიჩხისა და კაბდოხა აქვს მობმული, კაბდო დახერტოლია და იმით ებმება ფიჩხი. კაბდოს სიგანე, ეგრე, ორი საყენი, საყენ-ნახევარი იქნებოდა. კაბდოს აქეთ-იქით ხელნები აქვს გაყრილი; ხელნის თავები ერთმანეთზე დაკრული, როგორც ხელნებს „ბურაო“ ჩაუყაროთ და ერთმანეთზე დავამაგროთ, იგრე არის ხელნის თავები ერთმანეთზე დამაგრებული და თავჩხირია შიგ ჩაყარი. ხელნების თავზე უღელია დაკრული, უღელს საყვევარი აქვს მობმული; საყვევარშიც შიგადაშიგ უღლები არის დაკრული; რამდენ უღელსაც შევამბთ, იმდენ უღელს დავაყრამთ.

კაბდო კორახს ამტრევს, ფიჩხი კიდე შარცვალს მიწაში ჰშალავს.

ესაც უხეირო დახაფარცხი აქვს, ხესა და ქეას დააყრის ხოლმე ფარცხს, დამხინდება და კორახებს კარგათ გამაჩრქვამს. კაბდოზე ხეს დავაყრამთ ხოლმე, იმას ხაფიჩხეს ეტყვი. მაგარი დასაფარცხი თუ არის, ის საფიჩხე კორახს დაამტრევს.

ფიწალი. ფიწალს, ვინც მაიწადინებდა, ყველა გააკეთებდა თუ სადმე იშოვნოდი თხილთა და შეინდის [ხეს], ორითის გააკეთებდი. ტყიდან მოვტანდით ხეს, მოვტყუავდით, მოვბრდით და ფიწალი გამოვიდოდა.

არც ნიჩაბხა და არნადხ უნდოდა ოსტატი, იქვებსაც ყველა აკეთებდა. თელა ძან კარგი იყო ნიჩაბთ.

ურშის კეთება. წინათ ქართული ურშები იყო და ჩვენ ვაკეთებდით. ეხლანდელ ურშებს ბევრი რკინა უნდა, წინათ რკინა არ უნდოდა. ურშებს თელისას ვაკეთებდ-თ: მოვკრიდით განიერ ხეს, მემრე ურშის სიგრძის ზომაზე დავმორავდით, მემრე ვავჩებამდით შუაზე, ლარს დავკრავდით და იგრე ვაუთლიდით. დავთლიდით ხელნებს და დავდანდლავდით. ხელნები ცოტათი არის მოხრალიო ყელში და შიგ უღელი აქვს ხოლმე გაყრილი. უღელს ტამე-კები უყრია, ორი ერთ მხარეს და ორი მეორე მხარეს. ტამეკებს ხაშადლეგებს აბია ზედ და საქონელს იმით ვაბამთ. ხელნებს დავხაზავდით დანდლებს ზომაზე, დავხვერტამდით სატეხით და დანდლებს დაუყრიდით; ამას ვეძახოდით დანდლევლას. რაკი დანდლები გეყარებოდა, ურემი გამაგრდებოდა იგრე, რომ ჩუჩუნა არ ექნებოდა. ახლა ლართხები უნდა გამყობილიყო დანდლებზე. ურემს რომ ფიცრები აქვს გალაგებული, იმას ვეძახით ლართხებს. ჭა-ლეგებსაც დავთლიდით და ხელნებში ვაუკეთებდით ხოლმე, როგორც ეხლა. ქალებზე ხომ ხეებია ჩამოცმული, შეწრებია. ბოლოში რომ ფიცარია ვადე-

ბული, იმას კოფოს ვერყევით. ერთი პატარა ფიცარიც წინ არის ჩამოცმული და ისიც კოფოა; ყელის კოფოზე უნდა დაჭდეს კაცი და გარკვეოს კამეჩები.

ღერძი მორგვენი არის გაყრილი; ღერძის ბოლოებს ჰინწილაქს ჩაუყრიან ხოლმე და თვალი აღარ სძვრება, უჭინჭილაქით კი ვერ იმუშავენ. ჭერ მორგვე უნდა გაგვეკეთებინა და დაგვეხვრიტნა, მემრე ხოლმე უნდა დეგვე-ქედნა მაგრათ. სოლების ვარაუდსე დავთლილით ფერხობებს და ჩაპოვერი-ლით სოლებზე. ღერსო ბრმა ხოლით უნდა დეგვემარგებინა; ბრმა სოლებს თუ არ დავაყრავდით, ამოვარდებოდა. ღერძი ხელნების ქვეშ არის გატარე-ბული და რა ალაგასაც ღერძის ბოლო არის, იქა აქვს ხელნას საყენებლები გაკეთებულა; ეგრე რომ, ღერძს აქეთაც საყენებელი აქვს, იქითაც და არ-სადაც არ წიღის.

უწინ თვლებს რკინა არა ჰქონდა, სუ ყველაფერს ხისას უკეთებდით. ძან მანარა ურმები იყო ხოლმე, რომელსაც კარგი საქონელი ჰყვანდა, ას ველსაც უღებდა ხოლმე და, მაგარი თუკი არ იქნებოდა, როგორ დაიჭერდა?

გარე პანთონი

მთხრობლები: შაქრო ხოლომონის ძე მჭედლიშვილი, 50 წ.; ლადო და-ჯარახ ძე მჭედლიშვილი, 40 წ. (სოც. კაცაბეთი).

ძველი გუთანა. გუთანის ნაწილები: რვილი, ყელიანი რვილი, ხაჯამბრე რვილი და ხაჯამბრე; კაცაბი არის უმთავრესი. ზედ ასხმულია ხმალი, ხახნი-სი, ღეღანი და ხელკუდი. გუთანის უკანა ნაწილი — დედანი, ფთა და ხელკუ-დი, უჭირავს მისებს. დედნის თავზე სახნისი და საკვეთთა რვილში ქვეშადან ანოყრილი (ხმალაც ქვეშიდან არის ამოყრილი). ძველ გუთანს ჰინწილაქები აქვს — ორი თვალი — ველისა და კვლისა (ველის თვალი პატარაა, კვლი-სა — დიდი). დედანი რომ ქვეშიდან გაეკვებოდა კვალში ცურვით, საჭვრე-ტლით დაშხვრეტდნენ და მიაყრავდნენ ხაჭლევს. რვილის ბოლოზე წამოკმე-ლია სოლებით ხელკუდი. თვლებს ღერძზე, ანუ ფამფალაქზე, დარკმულია რჩხა, რომელზედაც ჰკიდებდნენ ჩირჩვლით გუთანის გასაღებსა და ნაჯახს.

ღვედი არის კოპით დაწნული გრძელი თოკი, რომელსაც მანძილ-მან-ძილ საუღლეები აქვს, ან — საუღლე კორეები. საუღლეებში უღლეები არის გაყრილი. უღელს შუაზე ჰყოფს თავთხე, ანუ ხათავთხე (ნახვრეტი ტაბიკი-სათვის, ანუ თავთხისათვის). ხანდახან ჰხდება, თუ ერთი ხარი ღონიერია მეორეზე და ურევა, სჯაბნის, ტოლს დაუდებენ ხოლმე, ე. ი. საუღლეს თავ-თხეს იქით გადააცდენენ იმისკენ, რომელიც სჯაბნის, ანუ მხარს დაუგრძე-ლებენ იმას, რომელიც იჯაბნება.

უღლის ორივე ბოლოში არის წყვილ-წყვილი ტაბიკები. ტაბიკებს შუა უღელზე ზის კორა, რომელსაც ქედით აწევა საქონელი. ორივე მხრიდან შიგნითა ტაბიკს აბეურს აქვს მომბული ბოლოში. როცა უღელს დაადგამენ კისერზე, აბეურს გამოუჭერენ. თუ ძან მოკლედ გამოუჭირეს, ხარი გაიბე-რება, თუ გძლად გამოუჭირეს, ან მოშვებულა, უღელი კისერზე აუვა. თუ ცუდად შებმულია საქონელი და აწუხებს, მოიჭედურებს.

თორმეტუღელა გუთანს სამი მებრე უნდა. თითო მებრე ყვეარს ერეკე-ბა. ყვეარი ორ უღელს წიშნავს. პირველია გუთნისთავის მებრე, მეორე — შუალა მებრე და მესამე — წინა მებრე.

გუთნისთვისმებრუნ თვალი უქირავს რვილზე: თუ გუთანს კვალი სრულად არ მიჰქვს და კვალის თვალი ნახნავში გადადის, გუთნისდღა ეუბნება, „გამოიში“, ე. ი. დიდი თვალი კვალში ჩააყენებო. თუ კვალს თვალი ველზე ამოდის და გუთანი ეშვება, ეუბნება, „ზედა“, ე. ი. ველის ხარს დაჰკა და თვალი ასევე კვალში ჩააგდებო. გუთნისთვის საყვეარს ხაგლეჯი ჰქვიან. საგლეჯში ღონიერ კამეჩებს აბამენ. მებრუნები ხშირად უწმაწური ლეჭებებით, ანუ შორებით ამხნეებენ ერთმანეთს.

ჭამბარა ჰქვია მოკლე და უფრო წერილ ღვედს, რომელსაც საულლეებად ხმარობენ; ამითვე არის ჩამობმული ღვედი გუთნის თავზე. ამას ხამბატოც ჰქვიან.

ჭამანიც ღვედია, ოღონდ მოკლე.

იარაღები: კევერი, ნიჩაბი, ორთითი, არნაღი.

ქვერი თუ კარგა იყო მოკობილი, მალე ჰღეწავედა, თუ ცუდად — ჰგავდა და ჰხვეტავდა, გვაწვალებდა. ქვერს ბაღურად ჰქონდა ქვეშიდან თელუბი ამოჭრილი რიგზე. მეორე მხარეს არ იყო გახედებული, ამოჭრილებში იხსებოდა პირიანი კობები.

მთხრ. ტიტაკო ვიორჯის ძე ფეჰრიშვილი, 80 წ. (სოფ. მანავი).

ფარცხი. გავთლით ორ სწორე ჯოხს, რომლებსაც ისრები ჰქვიან. ორივეს თავსა და ბოლოს დაუქუდვით, რომ წნელი არ წაძვრეს. ეს ორი ჯოხი თავსა და ბოლოს გადაბმულია წნელებით და შუაში ორი მტკაველი აღგილი აქვს, რომ საფარცხავეა, მოგრებილია წნელმა გაიაროს.

დაწენის დროს წნელის ცერი ძირს ექცევა, ზევიდან კი ფიჩხი. ვარღიგარღში დევერება ფიჩხს საფიჩხზე, რომელიც თავსა და ბოლოს იკვრება წნელით.

დაწნულ ფარცხს წინა აქვს გარდიგარდმოღ ფიცარი, რომელსაც ეძახიან კაბდოს. კაბდოს წინა აქვს გახვრეტილები ხელნებისათვის, რომლებზედაც უღელი კეთდება. კაბადოს ფიცარს ზემოთა პირში გახვრეტილები აქვს (ოთხი). რომლებზედაც წნელებით დაიკვრება ფარცხი. ხელნებშუა არის გახვრეტილი ღვედისათვის.

ორთითი. თხილის ან შეინდის ორთითს, სამითის, თუ ოთხითის მოსკრიან. ნედლსვე გაჭტუსავენ ცაცხლზე. დარბილდება. ტარი გაუსწორდება, თითებში გაეყრება ხის ნანგანა, მანგანაში ჩაუყრიან მოკლე ჯოხს და ტარისკენ დასწევენ მეორე თავით, ორთითის თითები აიწევენ და ჯოხი ტარზე დაეკვრება წნელით. როცა ხე სულ გაბმება, გამოშრება, მანგანას გამოლყურიან და ორთითი მსად არის, მხოლოდ გასუფთავება და თითებს წამწვეტებულად უნდა.

ხამკელი იარაღი. სათითე და ხამკლაური. მკის დროს სათითეს იკეთებენ ნეჯზე და არათითზე. ეს სათითეები არწივის კლანჭებსა ჰგავს და იკეთებენ იმიტრამ, რომ ხელეური დიდი გამოვიდეს, მუშას მალ-მალ არ მოუხდეს მიტრიალება შეძნეურთან. ხამკლაურს იკეთებენ მარჯვენა მკლავზე, რადგანაც მკის დროს თავთავი ან, საერთოდ, ხელეური მარჯვენა მკლავსა სცემს, რას გამოც მალე ცუდება ტანისამოსი.

მთხრ. ტიტაკო ფეჰრიშვილი, 81 წ. (სოფ. მანავი).

არნაღი. ვერხვის შორს, რაც იღლიას ამოაყვებს, ერთი აღლის სიგრძისას დაემორავთ აქათ-იქიდან, გავთლით სამკუთხედად, მემრე ერთ კუთხეს

სიბტყიდან ცულით ამოწმებულად, ამოვასუფთავებთ ხელეწოთი, უკანდან გაუკეთებთ ირიბად ტარსა და მოვწეუთ ბზეს.

მთხრ. ხეიმონ ეკეთიმეს ძე ტახატაძე, 105 წ. (სოფ. ბურღიანი).

ჩვენ ხის ურმებს ვაკეთებდით. ურმის თვლებს უხალტოდ ვაკეთებდით. მორგვი თელსა იყო, ხოლო — იფნისა, ფერხო რცხილისა და წიფლისა ჰქონდა. მუხისას იმიტომ არ ვაკეთებდით ფერსოებსა, რომ ერთნაირად ცულებოდა რცხილა და მუხისას მემრე უკეთებდით, რაც რკინა შემოიტანეს. მუხა რკინაზე დიდხანსა სძლებდა და ურკინოდ კი არა.

ქიზიუში ხახნის-ხაკეთის ბარ-ხაკეთის ეძახდნენ.



სურ. 7 ცურის ხერხისა და ბირდაბრის კბილის ვადისაყარი იარაღი.



სურ. 8 ფარგალი.

მთხრობლები: შაქრო ხოლომონის ძე მკედლიშვილი, 50 წ.; ლალო დავითის ძე მკედლიშვილი, 40 წ. (სოფ. კაკაბეთი).

ლვედის დაწვანა. კაკაბეთში ლვედსა სწნავდა ალალო კუხანაშვილი. ორი ბულის ტყავი ჭერ გაიფხიკებოდა, მერმე დაილბობოდა, გარს შემოაჭრიდა უსწორ-მასწოროებს, შემომარგვალედა და მემრე დაძხედა ცურის სიბტყე კოპად. მემრე კოპს კიდევ დაალობდა. მთელ კოპს გაპყოფდა თორმეტ თანაბარ წვერად, დაავარგლებდა ცალ-ცალკე და გამოაბამდა მაღალ ხის ძირზე. თორმეტი წვერითა სწნავდა დილიდან საღამომდე. რამდენიც ლვედი გაგძელდებოდა, იმდენი შემოახვევდა ხეს. თან სწნავდა, თანა სჭიმავდა. საღამომდე რასაც დასწნავდა, იმას ხის ზეუითა ტოტზე მოაბამდა, ძირს ჩამოუშვებდა, დაბლა და ზედ ურმის თვალს დაპკიდებდა — ჩამოსძგიბავდა, რომ უფრო კარგა გაქიმულიყო, ურმის თვალზე ზედქვეებს დააწყობდა. ეგრე ეკიდა, სანამ გაშრებოდა; რა გაშრებოდა, აუშვებდა და განაგრძობდა წვნას. ასე დასწნავდა ბოლომდე. მემრე გადააზომავდა და რამდენ უღელსაც დასწნავდა, იმდენ ხაულმე კორხს ჩააწნავდა. როგორა სწნავდა, ეს აღარ ვიცით, აღარც არიან ამის დამწვენილები.

მარო-თიანეთი

მთხრ. ბუთლა ალბუთაშვილი, 81 წ. (სოფ. ჩობანი).

ძველი გუთანი. ძველი გუთნის ნაწილებია: რვილი, ხელკუდი, კბილი, ხმალი, კბილის თაუმი — ხახნისი, რვილში — ხაკეთი. წინა აქვს ყვავი (ქაშხარის მოხადვები). ღირდიტებში ცაყრილია ფამფალაკი, ფამფალაკზე — შოლტკავი. რჩხა ზის ფამფალაკზე, რჩხაზე ჰკილია ვახალები და ნაქახი.

ცელი. ცელი ყუნწით ჩარკმულია ტარში და ყუნწი ჩორჩით არის დამკრებელი. ჩორჩის სოლს უკეთებენ და ისე ამკრებენ. ცელი რომ მოჩლუნგდება. გამოწყეკავენ ხოლმე გრდემლზე. ცელის დროს რომ მოჩლუნგდება, ს-ჩით აელესავენ პირს. ხობი სალესავი ქვაა. ცელს ტარზე აქვს საბეღლი.

ცხავი და ცხრილი. ცაცხვს შოლტად აყრიან ქერქს, მოხხრიან და თავებს ერთმანეთზე გადაუდებენ, მოუჭერენ მანჯანას (ნუფრამდე გახეჩილი თხილას ნოკლე ჯონია), გაპყრავენ ყაპყადოთი, მემრე რკლას ძირებიდან დაჰქაელავენ ყაპყადოთივე. ამ ქსელში ყაპყადოთივე მოაქსოვენ ცხავს. ცხრილიც ასე იქნობება, მხოლოდ ის მტკიცეა. ცხავი კი ფხალა, უჭრები განიერა აქვს.

მაჩრ. ღვთისო გიორგის ძე ბურღული, 50 წ. (სოფ. ზემო არტანი).

ნიჩბის გათლა. თელას, ცაცხვს, ვერხვს ან წიფელს დავმორავდეთ. მკმ-ზე აქვს ღვთისო გიორგის ძე ბურღული. განოვაკომიტებდით ორ სანიჩხს. გამოცხი-ტე. შავიანაველით ჩრდილში განოსაწიზებად. როცა გამოშრებოდა, ჯერ ცელში შემდეგ კელტულით გამოვიყვანდით ნიჩახს. მემრე მალლითა პირს გამოეწმენდნადით ხელეჩოთი, კობოსანს გადაუტარებდით ტარზე და ეგ იყო.

მარხილი. აქ ურემს არა ხმარობენ, უფრო მარხილით ეზიდებიან ყველაფერს. მარხილს შემდეგი ნაწილები აქვს: კოჭა, რომელზედაც ჩამოცმულია დოთა. მარხილში წინ გაყრილია ნემსა; ნემსას უკეთია კელნა. მარხილის თავები დაიშენება წნელით. კელნაზე დეკერება წნელით უღელი. შეშის მარხილს იბრი გაუბლანდავი აქვს და გაუფიცრავი. თიფათვის და ძნითავის ძირში უკეთდება ფხანთი. ფხანთი კეთდება ასე: ორივე დოთაზე და ნემსაზე უნდა დაეკრას წნელით ლატანი, ზედ მოიჭსოვება თხლად ლახტი — ამას ჰქვიან ფხანთი.

მაჩრ. გიგონა გიორგის ძე აფციაური, 66 წ. (სოფ. ზარიძეები, ზემო თიანეთი).

ურმის კეთება. ურემს ვაკეთებთ ცელით, ხელეჩოთი, სატეხით, საკვრეტლით, ზედიით და ღორეჩოთი. ამაზე მუტი იარაღები არ დამკრებებიან ურმისთვის.

ჯერ გაითლება ხელნა. ხელნების ყელში საკვრეტლით დავხვრეტამდი და თავტაბიკებით დავაყარაბდი თავებს. თავებში ხაუღლეს გამოვიყვანდი. ხელნებს ერთმანეთი უკირავთ დანდლებით. დანდლები ხელნებს ჩასმული აქვს სატეხით ამოკვრეტელებში და შიგ გაკვედილია. ამოკვრეტელებს ჰქვიან ხადანდლები. ხელნებს დანდლების ზუპით ამოკვრეტელი აქვს ხაჯვლეები. კავლები რომ დაესმება, კავლებს ზევიდან ჩამეცემება ზეწარი. ზეწარიც სატეხითაა დახვრეტელი. ურმის თავსა და ბოლოში კლებზე ურმის გარდა-გარდნოდ, ჩამოცმულია კოფოები. ხელნებს ღერძზე დასადგომად აქვს ხაყენბ-ლები. როცა საყენებლებთან ღერძი გასცვეთს ხელნას, ამოაყარავენ ხოლმე წურბელას. ხელნას მოარგვთან აქვს ხაქლენი, რომელსაც დუშა ჰქვიან. დან-დლებზე დაკრულ ფიცრებს, ლართხები ჰქვიან.

დიგარდმო უბეებზე გაყრილია ხარკი. თავდაღმართზე სარეკი კამეჩების ბარკლებს აწეება და ურუი აღარ დაგორდება.

ურშის თვლის გაკეთება. დათლი ფერსოებს, მემრე — სოფებს. სო-
ლებს ორივე მხრიდან დაფუხავებ. მემრე მთლიანი ხისას გამოვთლი მორ-
გებს. ვაოულდით დაფუხერეტამ სასოლეებს, მორგეში ჩავასხამ სალოებს,
მერე ფერსოებს გავუკეთებ და, როცა თვალი დაირკინება, ე. ი. რკინის
ხალტე შემეერტყმება ფერსოებზე, მაშინ გაიხვრიტება მორგეში ხალტე.

მორგეს სასოლეების ამოსახვრეტად გავუკეთებ მორგეს დასავერ არტა-
ნაში და ისე ამოვთხრი სასოლეებს. მორგეში ღერძი რომ გაიხედავს, ბო-
ლოში ჭერ ფარს, ანუ ჩირჩოლს გავუკეთებთ და მემრე გახვრეტილი კინ-
ჭილაჟს ჩაუყურით, რომ თვალი ღერძს არ წასძვრება.


ღერძის ერთი წვერი მორგეში გახეშილია, მეორე ფონია, ე. ი. ერთი
გაქვლილია და არა ბრუნავს მორგეში, მეორე კი ბრუნავს.

ნიაშობენ გლანები, სოფ. სოფლონი, თიანეთის რაიონი.

სათარი. სათართ მთებიდან ჩამოგვაქვს თივა. სათარი არის ერთი ზე
მკლავს ზიმსხო, ცოტა ნაკლებიც, დაახლოებით ღიგვის სიგრძისა. თავში აქვს
დაქდეული მითლით. უკანაც, თუ სათარს კამი არა აქვს, დაუქდევენ ან
ზედ დადგამენ თივას, ან უკვე დადგებულ ბუფულს გაუყრიან ძირში ისე,
რომ სათარმა თივი გაჰყოს წინ, სათარი იმ სიგძისა უნდა იყოს, რომ უკ-
ნაც დაინდეს ბოლო. როცა თივას დასდებენ ზედ, უნდა ხელით დაიწყოს,
რადგან მთის ბალახი მოკლეა და თუ არ დაიწება და არ დაიტკეპნა, თივას
არ დაჰკრის. თან დაჰწევენ, თან ზედვე დგანან და ჰტყავენ. როცა თავამდე
აეა და მაიწვერება, მერე სხვა თივას დაწეწთ ცოტას, თავისავე აღერდს
დაეგრნთ, აღერდით იმ ცოტა დაწეწილ თივას შავკრამთ მაგრა, რასაც
ქუჩალა ჰქვიან და თავზე დაეადებთ მოწვერილ თივას. ქუჩალას დაეამაგ-
რებთ წვერზე სამხირავით. სამხირავი
უნდა იყოს გაღვერილი ღისა, ე. ი. გა-
ქერტილი თხილისა, დგნაღისა და სხვა.

სამხირავი არის თავში დაქდეული, ან
ცოტა კამერჩინილი აღნახერობი ჯო-
ხი, რომელსაც ბოლო გამწვეტებული აქვს.
თავში, სადაც დაქდეულია, მოხვეული
აქვს ალერი. სამხირავი ზევიდან ქვევით
ხანჭლით არის დაჩენილი (დაკეპილი),
რომ აღარ ამოსძვრეს. სამხირავის წვერი
მიწამდე არ დადის.

ასე დგა ეს თივა მთაში. მერე გუ-
ყრიან სათარს. წინ გაჰყოფს ნაკდევი თავს
და ბოლოც დაჩნდება. წინ ნაკდევი ჩა-
აბამენ თოკს მარტულელზე გამოსაბამელად,
ამ თოკის მემრე ჩააბამენ იმავე ნაკდევი
კავის ტოლქანწს. კვი გადავა თივაზე,
სათარს უკან თივის ძირში მომპული აქვს თოკი; ეს თოკი გამოვლებდა თავზე გადა-
სულ კავს და მგრა გაუქვრენ, მემრე შეჰკრავენ, შეაბამენ ხარსა და გაათრევენ
საუღლებელ გორზე. ზამთრის პირზე ჩამოიტანენ თივას დაბლა.



სურ. 9 მარტულელი.

[ჩაწერილი] სოფ. ჩაბანოში. თიანეთის რაიონში იციან ბოლოთრია, მარხილი, ჭინი, გელვანი, ყალი (ნეხვის საზიდავია). აქ ხანსე ურმეხიაცა აქეთ. ყალი და გელვანი — ფიცრების მარხილზე შესადგმელი გოდორია.

სინეზილო

უწინ ბევრმა იცოდა სასოფლო-სამეურნეო იარაღების კეთება, გარდა მათი რკინის ნაწილებისა.

მიწის მოსახევენლათ აკეთებენ ჰაჩიჩას (აჩაჩას). „ჰაჩა (კაბიან) თელაათი, კაკლით, იფნით, წაბლით და სხო ჰადვლა არანაყრომ ხეათი“ [კეთდება], (ისეთი ხით, რომლის კაბიც ადვილათ არ იყრება, არ იბობა). სჭირან კაბიან შტოს, შეჭკნობს შემდეგ ან მაშინვე ცულით აკობიბებენ და მერე ეჩოთი ასუფთაებენ. გათლის დროს ზედვე უნახავენ „წახს ჰაჩიჩი(ს) კინაჲ“-ს წამოსაცნელათ, უკან — ქუსლს დებტად(ს), ანუ (ალ.) კუდ-ის ჩააგდებათ. „ჰაჩიჩი(ს) ყელს ფართოათი (ფართედ) უთლიან (გაშოთლად), აღლნახევისი-წორა ვიაროლს ანუ (ალ.) რვლს (იგივე კლავს უნახენ)“. ჰაჩიჩი(ს) კლავი(ს) თავს ორი მტკეველის სოგრებზე „უკეზნიან“ ქვედა მხარეს და უთლიან შემდეგში ანევე გამოთლილი „წირწანის“ უკანა თავის მისაწყობათ. ამის შემდეგ „კლავი(ს) ნორს ორ-სამგნით და ჰაჩიჩი ქუსლს (ყუდის ჩააგდებათ) ერდგნი ჰკრტტენ სატეხით და თობმახით (ხედა) ხვედას „ჰირჰამათი, მაგარ ხეათი“ აკეთებენ. შემდეგ „თელად ან სხო სუბუქ. მაგარ ხეათი“ სთლიან, ამზადებენ „შუაათი ჩადრეკულ წინწარს“. ამის უკანა თავსაც ზემოთა მხრით ისევე „უკეზნიან, უთლიან“, როგორც ჰაჩიჩი(ს) კლავს. მისი კარგათ გატუსა — შოკალეუსა“ და სატეხით დაჩვრეტის შემდეგ აწყობენ (მიწყობა) კლავზე და უყრიან „ჰორავებს“. თვითეულ კორასთან აცმენ ვაზის ან წნელის კრკალს. წირწარის წინა თავსაც ოთხ-ხუთგნით სჩვრეტებენ სატეხით, უშკოათი (ბერაო“. შვედლები აკეთებდნენ და ცოტა მოიოვეებოდა).

ჩარფანადც იგივე ჰაჩიჩაა, მხოლოდ ეს აწყობილია ცალკე-ცალკე შემზადებული ნაწილებსაგან და ყელიც გაცილებით განიერი აქვს. მის უნას ცალკე სთლიან, სატეხით სჩვრეტავენ და ისე აცმენ კლავზედ შენახულ ყელზე. ზმირათ თვით ყელიც ცალკე ნაწილს წარმოადგენს ხოლმე, (მ)კლავში ანუ რულში შეურილს. ჩარფანის სახსრებს ამავრებენ „ყადახებით“ (ყადადა. ხის სქელი ლურსმანი). მასაც, როგორც ჰაჩიჩას, აქვს წინწარიც და „ღუნტადაც“, ანუ (ალ.) ყუდიც.

ჩარფანას მეტწილათ „აღივზლუზე რამზე (ველის სახელია, შირაქს ქვეეთ არის) სტმზევ (სომზევი), თათრეც „აქმარევედნენყ“ (ხმარობდნენ ხოლმე) ცოტა ბალახიან (რ)ბილ მიწაში. „ბევრ ბალახიან-ალაიან (თურქ. სარეველა) მიწაში ჰაჩიჩად კაის (ყარგია) ბორტოს (მიწის მშრალი ვუნდა), ჭიმხს (ბელტს) კავორა (ყარგათ) ჰშლის, ბალახს ყელში აგრევეს (აგროვებს). აცალკევეს“.

„ჰაჩიჩით და ჩარფანათი“ მოსახევენლათ საჭიროა „წინწანის ანუ (ალ.) ულამახს (თურქ.) წინა თავი ვახით, იშვითად ტყავით, გაკეთებული „ხაუღლეათი“ (ყამბარა. თურქ. — ჩამბარა) გადაებას უღელზე. რამდენათაც ღრმით ხენაა საჭირო, იმდენათ წირწანის წინა ხერეღში უნდა გაეყაროს საუღლის გამოსადები ტაბიკი ან სხვა ხე. გარდა ამისა, ფართოყელიანი (განიერი ზაღალყელიანი) ჰაჩიჩადც „ღრემა (ღრმათ) ჰენავს. ზეპირი(თ) მოყნაში საუღლეს წინწარის უკანა ჰრრღევეთან ეუგდევენ“. საჩალთუქე (ჩალთუქე—

პრეკუტელი ბრინჯი ადგილის მოხვნისას მიწროყელთან, პატრა პაჩიას ხმარობენ. პაჩიასაც და ჩარფანასაც ენაზე აკმენ და თავისივე სალტემით ამავრებენ მჭედლების გაკეთებულ „პაჩიჩი(ს) (რ)კინას“.

„საქნაის და კალო(ს) უღელ ბეერისთანად (უშეტესი) გვრგალ (რგვალი, რგვალი ხისგან) კეტეჯაუ“ (არის ხოლმე).

საქნაის და კალოს უღელს აკეთებენ „ცაცხით, წნორით, თელადით“. მას თავებზე უჩერებენ ორ-ორ სატაბიკე „კროლს“ და შუაში საუღლის ჩასადგმათ უყრიან „კორავს“ (ორს).

ურბის და გუთნის უღელს ერთნაირად აკეთებენ „თელადით“, მხოლოდ გუთნის უღელს შედარებით მოკლეა ხოლმე. ორიენარი უღელს ცულით „დაქოფუთევა — ეჩოთი გათლაში“ (ხან ეჩოთიც აკობიტებენ) კისერთან საყარბან (ანუ კორას, ბორცვს) უნახავენ. გათლის შემდეგ უშეკოთი უჭროტენ (უჩერებენ) შუაში სათავხეო კრტლს, ანუ (ალ.) სათავთხეს, ნაპირებზე კი — სატაბიკე კრტლეს (ტაბიკების ჩასაყრელს). ამ უღლებს „წემაზგნი, სისრელუზგნი“ (სიანველისაგან), დაფრუტევიზგნი“ (დაფრუტუროვება, ლპობა) დანაცავათ სტუსავენ ცეცხლზე იმე, რომ ზედპირი ნახშირით გაშავდეს. ამგვართ ზედპირზე ეკრება ნახშირის თხელი ფენა და ეს იცავს სისველის „გაუღომიზგნი“ (გაუღომისაგან).

პაჩიას უფრო მეტად ხმარობენ „ზირობის“ და ხეობის სოფლები—ხეობები, მთის კალთებზე და უბალახო ადგილების სახენელათ. ყარასაში მიწის მეტად „ალაიანობის“ (მიწაში ბეერი სარეველა მცენარის ამოსვლის) გამო მიწის სახენელათ, გარდა საჩალთუქისა, უმეტესად გუთან ხმარობენ.

უწინდელი გუთნები, გარდა ბარის და ხაჭაბისა, ანუ ქმალისა მთლიათ ხან ნაწილებსაგან იყო აწყობილი. მას აკეთებდნენ იმავე მასალისაგან — ხისგან, რომლითაც პაჩიას აკეთებდნენ. „ცალ-ცალკე გუთნი ატაქევე (მასალა, იარაღები, ნაწილები) გათლას უკან წრკლ კრტლეს პატარა სატეხით ჰკრტლავდნენ. დვარბანს (დიდროსს) — მოზრდილ სატეხით“. ცალკე ნაწილების შემზადების შემდეგ აწყობდნენ („მანყოფა, შაქერკეჯა“) გუთანს. რვლზე კინ(ს) სალტემით და სოლეით (ანუ თურქ. „ჩუთი“) ამავრებდნენ ვმალს ანუ საყრბანს (საყვითს). რულის ბოლო (უკანა ნაწილი). წამოცმული იყო საგარტელზე — ასაშვებ-ჩასაშვები. საგარტელის ბოლოზე აქმული იყო ენა ანუ დედა, დედაზე — ბარ-ი. ენას ანუ დედას ბოლოში (ქუსლში) ჩაყრილი იყო „დესტაქე ანუ (ალ.) კულები“ (ორი. იგივეა. რაც ხელკუდი). გვერდით ჰქონდა მიმაგრებული „უანად (თურქ.) ანუ (ალ.) ფთე (ფრთე) ჰიმ გადაბარუნველა(თ)“. მეორე გვერდზე ეიწრო ფიკარი „მიწაზე ნაცორ (მეორე) გუთანი არ გადაიქცევა (რომ არ წაიქცეს, არ მიწვეს). ფრთე და მეორე გვერდის ფიკარი დამავრებული იყვენ ერთმეორეზე გარდვი-ვარდვი ხეობით (მგონი მანჭა), რომ ხენის დროს მიწამ ფრთე „არ შაქე-ჩას“.

რულის გარეთა გვერდზე, უკან და ენას, ანუ დედას ქვეშ აყარავდნენ „ხაცხის (საცევის, საქლეს — ხის პატარა კორა), რომ ხენის დროს მიწას მალე არ გაეცვია. რულის თავს უღებდნენ ფამფალაქე „ნაქმარ (ნაყოფ) სასტელზე“ („ზროზე“) და ამავრებდნენ რულის თავში ჩასმულ სოლზე გამოღებულ ვახით, წნელით ან „ყაიშით“ (თურქ., სქელი თამბა), რომლან მეორე ბოლოს უღებდნენ „შოლტკაჯეში“ ჩასმულ სოლს (ანუ თურქ. „ჩუხს). ფამფალაქე მიმაგრებული იყო შოლტკაჯე. თვით ფამფალაქის ბოლოები შეყრილი იყო დირდტოვებში (თვლებში), რომელთაგან ერთი — კოლისად (პატარა და ფიცრისაგან იყო გაკეთებული), ხოლო მეორე ხამისად (ველი-

სა) — დიდი მეტწილათ ისე იყო ხოლმე შეკრულ-აწყობილი, როგორც ურძის თვალი.

შოლტკაეის ქვეშ ფაფალაზე გამობმული იყო საკინზ (საკინძი), ანუ „დათი ჩარგავ“, (ალ.) ვაზი“, ძირას გარდა წინა საქონლის მოსაბმელათ. ძირა საქონელას შოლტკავით უბადუნენ გუთანს, ხოლო წინებს — საკინძზე მობმული „ჩარგავით ანუ (ალ.) „საყევარით“. საყევარის კაპში უვლდებუნენ უღელს და უყრიდნენ ტაბიკს ან სხვა ხეს. საყევარსაც აკეთებდნენ იმავე მასალით (ბით). რომლითაც გუთანს აკეთებდნენ. გუთანს რკინის ნაწილობის გალვეისას „აწყკინებდნენ დემურჩიას“ (მჭედელს), ხოლო ძალიან ვაცვეთასას კი „ზოდ“-ს ადებინებდნენ ხოლმე.

კვერხს კაკლით, წაბლით. იფნით აკეთებდნენ, ჭერ ბაწრით გამოაქონდნენ, მასკნი აქოფუთებდნენ ცულით“ და ბოლოს ეჩოთი სთლიდნენ სუფთად. ვათლის დროს წინ აწეულ ტუჩს უკეთებდნენ, რომ ლეწვის დროს არ დაეგროვებინა გასალუწი. ბუერის სმარებით კვერის „კერდ-(ის), ანუ (თურქ.) „დოშ“-ის) გალვეისას სხვა ფიცრის კერდს ანუ დრშს უვლდებდნენ. კვერის თავთან ვაზის ან საბელის გამოსადებათ ინახავენ ვათლის დროს კორას (ტურქს) და მას ზერეტავდნენ ვაზის ან საბელის გამოსადები ხის შესაყრელათ. კვერის ქვედა მხარეს „ჟარა“ (ხშირათ) ჰკრტავდნენ“. პატარა სატხნით და შიგ უყრიდნენ საამისოთ „დაქუწულ კვერი ქუსს“ (ქვას), რომელაც ბლომათ მოიზოვება მუხახის ხეობაში.

ნიჩაფს, ბარის ტარს თითონვე აკეთებდნენ ახლო წარატულამდე, ვეღრე ამის მკეთებელი გონაუგელი, ლისხდელი, აღჩეული ხელოსნები გაჩნდებოდნენ.

„ჭბეტქავდნენ ცხილას. წიფელს. თელას, ლაფანს, კიდე (მერე) ცულლით დანაურენ (განაბობი) თახტას ანუ (ალ.) ფიცარს ვერ ცულლით აქოფუთებდნენ (აკობიტებდნენ), მასკნი (ქასუკან) ეჩოთი პთლიდნენ-ჰშენდავდნენ. ტარს წალდით, ეკლეჩოთი პთლიდნენ — გამოაქონდნენ“. ვათლის შემდეგ „ნიჩოფს და ბარის ტრო(ს)“ (ტარს) ასეველდებდნენ და წალდის) „რაიჩი ყბით“ უფხუკავდნენ, ამაჟურევდნენ“ (თურქ., გასუფთავება, ვაგლუება). ზოგს გასასუფთავებლად ჰქონდა „დემუნჩიას (მჭედელს) განაკეთევ პატარა (რ)კინის) ჩანდაჰ“-ც. შემდეგ ტარს რომ ზედ დარჩენილ „ხრწმა“ (ხეწვი. ხიწვი) ხელი არ გაშლუპა-სავ. თორფითი“ (ჭობოსანიოთ) ჰუბუკავდნენ.

ტაბიკს შვინდით, შვდანწლით (შვინდარწლით) აკეთებენ. „თავდუკვმიან (თავნუერიან, კონბალიოვით თავიან, ან თავკაპიან) მაჭის ნახევიარის სისაქე ხეს წალდით სთლიან. მუორე წერილ თავს „უჟაწრენ“ (უქდევებენ) აპუურის შესაბმელათ და „თორფითი“ ჰფხუკავენ — დარჩენილ ხრწმა აცლიან.

„ააბახს“ (თურქ.), ანუ (ალ.) ფიწალხ თელათი, შვინდით, შვდანწლით, ტყუურა თხილით — იშვიათად ვარგის ცხილაით“ და სხვა [ქიშის ხეებისაგან აკეთებენ].

„მაჩა“ (კაპიან) ბუთალხ, ანუ „შიტოს“ (შტოს) საფიწლით სჭრიან, სხუპავენ და მოაქვთ სახლში. მასთან ერთად მოჭრილ სატაბიკეს ორს ერთანუორეზე აბავენ წიფხით (წერილი, ნეკის სისქე წნელი, დაგრეხილი, წერილი წნელი), აკომენ ფიწლის ტოტევეზე ანუ თითვეზე“, ერთ ჭოხს უვდებენ (სდებენ) ტაბიკებში და ჭოხის მეორე თავს ფიწლის ტარზე აკრავენ. თუ საჭიროა, ტანსაც ასევე დრკავენ. თორნეჟ ჩანთევამი თორნეში ბოლავზე (ალზე) ავალუვენ, ჰტუსენ (სტუსავენ) და საფარში სადმე სდებენ გასანმო-

ბათ. გახმობის შემდეგ წალდით უსხეპევენ ზედ დარჩენილ „ხორკლევს“, „ტოტეუს საჭირო სიგზეთი ჰჭრიან და უჩხუტენ (დაჩხუტვა, ფამწვეტება. დაჩეკვა). ფიწალითან ერთად გატუსულ ტაბიკებსაც მაშინ აკეთებენ. ფიწლის ტარსაც, თუ იგი სქელი იყო და გათლით არის საჭირო დონეზე დაყენებულ-ლი, „თორფითი ჰვხეკენ“.

„შინაჲ“-ს გასაკეთებლად მასალას — ტარისთვის ნეტწილად თელას, იფანს, კილისთვის თელას, ცაცხს, თათებისთვის ცოტა მოხრილ თელას ტოტებს. „ჟალდას (ნამყენი თუთა), წიფელს სჭრიან, სთლიან, ახმოტენ. გახ-მობის შემდეგ კვლს ხუთ ადგილან სატეხით სჩვრეტავენ თითების და ტარზე შენახულს თითის შეაყრელათ, ტარს და თითებს ასუფთავებენ, თითებს წვეროებს უჩხუტავენ. მასალის შემზადების შემდეგ „ჟიდში არუგევენ თი-თებს ან ტოტეკს, უგდევენ ტარს და ჟალაღევს (სახსრებს) პატარა უშყოათი (ბურაოთი) ან კრუვალ შამფურით ჰჭრატენ“ (სჩვრეტავენ) და ყადახებს უყრიან.

„იიდანს“ (თურქ., არნადს) და ფარცხი თახტახ ანუ (ალ.) ფარცხის ფი-ცარს (კაბადოს) ცულით განახეთქ, განათალ ფიცრით აკეთებენ. „ორგნით კლიეც (მკლავები — ხელნები) შაყრელ (შესაყრელ) კრატლევს სატეხით ჰჭრატენ“. კაბდოსთუან გამოსამბელათ „ფარცხს“ (ლასტს სწნავენ ისე რომ წნელის თავები ქვევით იყოს მოცეკული. ეს საჭირო[ა] კომის (ბელტის) და-საშლილათ. სმირაუ ფარცხის ლასტის მავიერ კაბადოს უბავენ „ჯაგსაც“ (ჯაგსაც).

„ურემს, მარკილს, კევრას, ურმის თოფევს, ანუ (ალ.) ურმი თლრბას“ (თვლებს) თითონვე აკეთებდნენ შინაურობაში. შემდეგში-ლა გვიან დაუ-წყვიათ დენა „დალისტანელ — ქვრალელ“ ხელოსნებს, რომელთაც აკე-თებინებდნენ ურმის თვლებს მარტო იპინი, ვისაც არ შეეძლოთ ასეთის კე-თება.

„ურმი(ს) ჩარდახ“-ის) (ურმი უთვლებოთ, უულოთ და უღერძოთ) გა-საკეთებლად სჭრიან სწორე, გრძელ თელას „კლიეციბე“ (უბეებისათვის) და ცულით კოპიტად გათლის შემდეგ „ბაწრი გამაჟან ანუ ბაწრას ჰჭრან (და-ნაყულ ნახშირში ჩაახელებულ ბაწრით ხაზავენ — ამუშავებენ იმ ადგი-ლებს, რომლის გათლაც საჭიროა) და ერთი წმინდათ სთლიან და კარგათ სტუსავენ. ამის შემდეგ „ორ თავ-ბოლოჲ კოდ ჩააგდევულ (ჩასაგდებ, გასაყ-რელ) კრატლევს მაინც სატეხით უჩვრეტენ და წალდით ან ხელეწოთი გათ-ლილ მუხის „ჟიდევს“ ანუ (ალ.) დანდლებს უყრიან. ორ დანდალ გაყრილ „კლიევს (უბეებს) აგდევენ მანჯანაში (ბაწაში უბის შიგნით-გარეთ საჭირო ადგილებში ჰსომენ პალოებს, კეტით დრეკავენ უბეებს და ათავსებენ პა-ლოებს შორის), ლინგით (თურქ., კეტით) დრეკვენ და აგდევენ ჩანასომ ჩუე-ვი(ს) (პალო) შუაში და წინ ურმი ტურში უყრიან თავებს. აიქ „ყალობ კმას უკან“ (დაყალიბის შემდეგ) და გახმობის შემდეგ ჰალეების და „ჟიდევებს, ანუ დანდლებს“ ჩასაყრელათ სატეხით უჩვრეტავენ. მერე „კვალ ჟალოდჲ-თი, გაპრადჲ“ (ნამყენი და უმყნობელი თუთის ხე) ჰალეებს სთლიან, „მუხა-თი — დანდლებს და უყრიან-ამავრებენ „კლიევიში“. დანდლების გარეთ გამოხედვებულ თავებსაც პატარა უშყოთ ან სატეხით (წინათ უფრო სატეხით) უჩვრეტავენ და უყრიან პატარა-პატარა „ჰანჭიკივი(თ) ჩუეუს“ (ფარეში), რომ ჩარდახი არ გაიშალოს. ჰალეების დარიგება-დამავრების შემდეგ ზედ აკვამენ „თელათი განათალ, განატუს და დანატრატ ქუღევს“ (ზეწერებს).

„ზროჲ ანუ (ალ.) ღერჲ (ღერძი) სატრიალეველ ადგილში კლიეც ჰჭრ ჩამნაგზელუე ჰალეებზე აკმენ სასტულევს (ბალიშებს), რომელსაც შუა ღერ-

ძის ბუდე ჩაღრმავებული აქვს. სასტულის უკანა მხარეს და მის გასწვრივ კლავს სჩვრეტავენ და უგდებენ ჩაფგანს (საგალაუს), რომ ღერძი უკან არ დაეკრდეს. თვით სასტულს გათლის დროს გარეთა გვერდზე უნახავენ „ზუზუნებრა (ძუძუნებრა) საცრთს“ (საცეცთს), რომ ურპი(ს) ნჭრგმა, ანუ (აღ.) მჭრგმა (მორგვმა) სასტული და ურმის (მ)კლავი არ გაიცივთოს, სასტულესს აკეთებენ კაკლით, ფალააითი, თელააითი. მასაც ისევე სტუსავენ, როგორც (მ)კლავებს (უბეებს).

„ჩაფგანს“ აკეთებენ „შენლით, შუდანწლით, კნტლით (კუნელა), ტყიმალით, სიპარტლით, ხოლო „თაუხეს ანუ (აღ.) თაუთხეს“ მეტწლიათ — შუენლით, შუდანწლით“. „ქიდევ(ის) ზედააითი, ჩარდახზე ცუღლით განათალ ფიცრებ დაწყოფა-დაკრას უკან, უკანა ჰალეუზე ფიცრეც(ის) ზუდააითი აკმენ დანდალს ანუ (აღ.) ყარფმა დანდალს (უკანა კოფო). შემდეგ ჩარდახს აყენევენ (შაყენევაჲ) ზროს განაგდეუ ურპი თოლზუზე“.

„ზროს ანუ ღერძს სთლიან-აკეთებენ ხმელი წიფლით, ცხრილააითი, იფნით, ხურამაითი“, ზროს თაუებს ჭერ ცუღლით, შემდეგ ეწოთი სთლიან და თაუების „ჭრე (მჭრე) წალღით გაფხუკა, გაწმენდას უკან უგდევენ (უყარიან) ზროს, თაუების დასასუფთავებლად ბოლო ხანებში შემოსულა „სიძარდა (თურ., ასათლული, ასაკქენელი)“ „ზროს ერთიან თოფში ანუ თოლში (თვალი) მაგარ, შეორე თოლში ბოშ (მღუნე) ჰქედიან“ (შერედიან, სჩადიან), რომ ურმის მოტრიალება გაადვილდეს.

„ზროს გაგდევას (გაგდების, გაყრის) უკან თაუებს სატეხით (ახლა უშკოათიაც) უერტტენ და უყარიან ჰანჭიკებს“ თელეები გასამაგრებლად „ზროსზე“.

ზროს ტრიალში ანუ სხრაალში არ დაეწასავ, ურეშზე ჰკიდებენ კამბეჩი ჰებით (ჩქით) განაკეთავ ყანწს ანუ სასაანეს, რომელშიაც არის მოთავსებული წყალში გახსნილი საპონი. დროდადრო ურმის ხმარებისას ამ საპონს „თაუზე კარკატან დანახეუ ყიტით“ (ჩხირათ) ზროსზე. სასტულს ქვეშ უსვაჲენ ხოლმე.

მარკილს ზარობის მცხოვრებლები ხმარობდნენ ხოლმე — მთით საურმეზე შეშა ჩამოჰქონდათ, ხზორათ სახლამდეც მოჰქონდათ ზამთრობით, თუ ახლო იყო. მთით საურმეზე მახითაც (ფანჩხლიანი ჭავია) ჩამოჰქონდათ შეშა და ფიჩხი.

„მარკილი დათეუზე (დათეუბზე, ურმის უბის მაგიერი რამ) აკომლენენ კიდევს (დანდლის მაგიერი რამ)“ თვით დათეუებს აკეთებდნენ კაპიანი ხის-გან, რონდოს (ყაბის) ერთი ტოტიც ეწეოდა ჰალის მაგიერობას. დათეუების წანა თაუებს უბაუდნენ უღელზე წნელით ან ვახით და ხარებს ან კამბეჩებს ათრეკენებდნენ ხოლმე.

„ურში თოფეხაც, ანუ (აღ.) თოლზესაც უწინ შინაურობაში აკეთებდნენ. საჭირო მასალას ადრიან სჭრიდნენ და ახმობდნენ; „ნჭრეგზე, ანუ (აღ.) მჭრეგზე — თელას, კაკალს, ფერსობზე — კაკალს და წითელს; მუხაითი გაკეთეკია ეტბლა, ურპი თოლ(ს) კინაჲ გომოსულას უკან დოუწყეკა“. უწინ ფერსოს მუხით არ აკეთებდნენ, რადგან ის „ხჭწიან, ანუ წალღუმთან (ქვიდგან ავარდნილ პატარა ნატეხსაც წალღუმს ეძახიან), მალე ანაყრომ (სყდება, აჰვარდება) ხეას“ (ხეა). წიფელი და კაკალი კი ტყავივით იცივთებიან. „სოლევები მუმი(ს) მერქანს“ (გულს) სთლიდნენ, ინახავდნენ ხოლმე. უკეთესია შენახვა „კოპლ“ (ბოლი) ნაყეუ ადვილში.

მასალის გახმობის და კომლში გამოსვლის შემდეგ ადრე დაკოპიტებულ „მორგს“ ცუღლით და ეწოთი სთლიდნენ, თაუ-ბოლოს „უმგვრგლევენენ და

წილავ (წვრილ), „გზელ სატეხით შუაითი სიგზეზე ჰკრატავდნენ“ (შემდეგ შემოიღეს „უშუაითი გაკრატავი“) და ჰერე დიდი სატეხით აფართოვებდნენ ხერულს. უწინ მორგვის გამოჩარხვა არ იცოდნენ, შემდეგში კი შემოიღეს. ლერძის გასაყრელი ხერელის ამოყრის შემდეგ ზომადნენ და ნიშნადნენ სოლებს ჩასაყრელ ხერელების ადგილებს, მერე იწყებდნენ სატეხით ამოყრას. ჭერ განივრათ იღებდნენ და ერთი თითის სისქეზე ჩალრმავების შემდეგ „ჭრტლს ამიწრეუდნენ, პირში ერ საქუსებრა კაწს“ (ბაქანსავით ჰდეს) უნახუდნენ. ასე სჩერეტავდნენ „რუა (რვა) კრტლს“. შემდეგ ჰოლებს ჰელეჩოათი ან წალდით სთლიდნენ, სწმენდავდნენ (დასაწმენდათ გვიან დიწყეს „სიარლამს“ ხმარებდა) და მორგვეში ჩასაყრელ საქელ მხარეს „უქეპნავდნენ დანა ბიხხიითი (თურქ., დანახერხით) და უთლიდნენ“ (მისაბჭენს უქეთებდნენ). ფერსოებს თუ „ეგმა ფერსო“-ა (თურქ., მოხრილი თავისით), ცოტა „უქეპნავდნენ და უთლიდნენ“ (ამას რგვლათ უთლიდნენ, მოსაბჭენს უქეთებდნენ). ფერსოებს თუ „ეგმა ფერსო“-ა (თურქ., მოხრილი თავისით), ცოტა გათლა უნდოდა, ხოლო თუ „ჩაპპა ფერსო“-ა (თურქ. გამოთლილი, გამოთლის საშუალებით მოხრილი), მეტი გათლა სჭირდებოდა. ფერსოს გათლის დროს ჭერ „ფარგლით გამაქონდნენ (ანუ ჰფარგლავდნენ“ — შემოფარგვლას) და შემდეგ ფარგლის ხაზზე ეჩოთი სთლიდნენ. ფერსოს შუაში „სოლი წრტრ ჩავგდაველ კრტლს ჰკრატავდნენ“, თავბოლო ნაბირებში კი სატეხით უჭრიდნენ. ისე რომ ორი ფერსოს მოწყობის დროს შექმნილიყო სასოლე ხერელი. ორი ფერსოს ერთიმეორეზე გადაბმის ადგილს ბაგეახ ეძახოდნენ. ყველა ნაწილების შემზადების შემდეგ მორგვეში არიგებდნენ სოლებს და თობახით (ხედა) ან ცულის ყუთთ ამაგრებდნენ. ამის შემდეგ ფერსოებს აცომდნენ სოლების თავზე და მათაც ისევე ამაგრებდნენ. ერთ თვალს ჰქონდა რვა სოლი და ოთხი ფერსო. ბაგიებთან (ბაგეებთან) მოქცეულ სოლებს მამალ სოლს ეძახდნენ. სოლები თუ ვერ დამაგრდებოდნენ ვვერდში, „ობოლ სოლს“ მსომდნენ ხოლმე. ჟრმის თვლის შორგვეზე რკინის „სალტეა(ს) კოლა (მაგიერ) ვაზი(ს) კირკლეუს აცომდნენ.

ურებზე სათადარიგოთ ყოველთვის ჰქონდათ ხოლმე სოლები, ვაზი, ფერსოები. განსაკუთრებით „შორიალ გზაზე წასულაში“.

თუხეთი

მთბრ. გიორგი წვერაძე, 55 წ. (სოფ. შტროლა).

სასოფლო-სამეურნეო იარაღს, რკინის ნაწილის გარდა, ყველა შინ აკეთებს. ხაქნულმ, ე. ი. გუთანი არყის ხისა ერთი რკინის ნაწილით (ხახნისი) აქვს ნაწილები:

ქუხლმ — ა. ხაქნისხ; ბ. ხაქნისხის ხაშრუეა, ე. ი. ხის წვერი, რომელზედაც წამოცმულია სახნისი; გ. ორი ყურბ; ის ერთიანი ორკაპი ხეა.

მჭარბ. მას თავში აქვს უღლის ხაშრუეა, ე. ი. რაძ, გაყრილი ვაქვერტილ ადვილას. მასზე ახვევია „საულღეა“.

ერქვანაყმ იმას აქვს ხაქელეა.

ჭარჭაბ, ე. ი. დაგრეხილი წნელი, რომლითაც ერქვანა მიკრულია ჰვარზე.

კავმ იხმარება ბორტვიანმ (ბელტოიანი), ანუ მაგარი ადგილის გასატეხად. ასეთ ადგილას წინ კავმ მიდის, სერაჟს, ჰრის და ტეხს მიწას. უკან ხაჭ-

წუელი მიჰყვება და ხნავს. კავ არყის ხისაა, მისი ღრთი ნაწილი (საკვეთელი) კი რკინისა. მისი ნაწილებია: ა. საკვეთელი, ბ. შვარხი. მას თავში აქვს უღლის საწრუეა, ე. ი. რაკი, გაყრილი გაჭვრეტლი ადგილას. მასზე ახვევია საულლეა.

გ. ირქვანაუც — აქვს საჭელეა.

უღელს არის დიდი და პატარა. დიდს საერთო სახელი ჰქვია — უღელს, პატარას კი კალოხ უღელს. უღელს სიგრძით ერთი საუენია. ხმარობენ ხენაში, ძნისა, შეშისა და თივის ზიდვისას და სხვა სამუშაოში. გაკეთებულა არყის ხისაგან. ორივე მხარეს აქვს ორ-ორი ხვრეტა, რომლებშიაუ ჩაყრილია ხის ტაბიყეა გკდეებით თავსა და ბოლოში და ნაწიხს ახვერებით იქვე ბოლოში. შუაში აქვს კორაა საულლის ვადასადებად. კალოხ უღელს სიგრძით არის ორი არშინი. ხმარობენ კალოხ ლეწვის დროს. გაკეთებულა არყის ხისგან და აქვს იგივე ნაწილები, რაც დიდ უღელს, ოღონდ კორა არა აქვს.

ფარცხით ფარცხავენ დათესილ ყანას. მას წინ აქვს ფიცარხ (ყბილისავით გვერდზე დაყუნებულა), რომელსაც შუა ადგილას აქვს სამი ნახვრეტა. ამ ხვრეტებში გამოყრილია სამი წნელი, მოდებული ხვრეტებზე სტელი ანახლეჩებით სამივეს წვერები დაგრეხილი აქვს და ერთად წუწუტაჟან (ყულფი) აქვთ გაკეთებულა. ფიცარზე თავებით გამოწყობილია ფოცხიანი (ტოტინი) წნელები, რომელთაც მახეა ჰქვია (მასეა ხშირტოტიანი წნელია. ის ცვდება, ათ დღეში ერთხელ ცვლიან). მასეებს წინა ტოტებში დაამაგრებლად გაყრილი აქვს ხსარხ (გრძელი ჭოხი). ფიცარსავე მაღლა აქვს ოთხი ხვრეტა, რომლებშიაუ ანოყრილია ანჯაგები, ანუ ხაჭეკაგები (დაგრეხილი წნელებია). ანჯაგები გადახვეულია ზეწარზე (გრძელი ჭოხია), რომელიც ზევიდან ადევს მასეებს და იმაგრებს მათ.

ფარცხს ფარცხვის შეწესებუქებისათვის უკეთებენ „ლაჯხ“. მისი ნაწილებია: კედე, ორი ფეხხ, ორი კორაა. კორებზე გამოედება ფარცხის კაბდოა.

ჭაჭლარხ — ფოცხი, თივის სახვეტი არის. აქვს უღელს ნახვრეტებით, რომლებშიც ჩაყრილია თოთხმეტი ჩხირა, გამწვეტებულწვერიაანი. ჩხირებს უღლის მაღლა გაყრილი აქვს რაყეხი (რაქ — პატარა ჩხირი). უღელს აქვს ტარხ (ორკამპი, ანუ ორკამი ხეა).

თივას ფიწლით იღებენ, მის ნარჩენს კი ჭაჭლარით.

ცელი არის ნამგალი. ის რკინა-ფოლადისაა. აქვს პირხ და ყუჟან და ხის ტარხ.

წოდელს არის ცელი. ისიც რკინა-ფოლადისაა. აქვს პირხ და ყუჟა და გრძელი ხის ტარხ. ტარხ წოდელთან შეერთების ადგილას შემოკრული აქვს რკინის გროლხ (რგოლი), ანუ ხალტეა. უწინ რკინის გროლის მაგერ უკეთებით ვაცხს ან კარხს რქა, რომელსაც „რქის გროლხ“ ან რქახ ეძახიან. ტარხ შუა ნაწილში აქვს ხის საჭელეა.

ცელხა და წოდელხს მქედლები კვართ სწკებენ (პირავენ) — გამოწყავია გრდღმზე (გრდელმზე).

ჩაღის კავ არყის ხისაგან გაკეთებული კავი არის. წვერია და კავი გამწვეტებული აქვს. ხმარობენ ზვინიდან ჩაღის გამოსაღებად.

ფიწალხ — ორთითა. გაკეთებულია ორკამი (ორტოტი) ფოხვისაგან (დგნალი). ჭერქია სულ გაცილილი აქვს. ტოტები ამოხრილია, ისინი გამოკყავთ ფიწლის მოხადრეკაჟით, ან ღობეში გაყრით.

ფიწლის მონაღრეკეან ან ორტოლაჯ. ორი თანასწორი ხეა, თავსა და ბოლოს დაქედული (დაქდეული) და ამ ჰედებზე (ვლედებზე) დაგრებილი წნელით გადაბმული. იმაში ამოუყრიან ფიწლის ორკაპს, ზევიდან ჩაუყრიან სარს და ტარებს (ე. ი. ფიწლის ტარსა და სარს), ერთად დააბამენ, დაიჭრენ ცეცხლზე რომ გახმეს და ფიწალს გამოიყვანენ.

ღობეში გაყრიან ასე აკეთებენ: ფიწალს გააცხელებენ ცეცხლზე, ღობეში გაუყრიან და ისე მოხრიან.

ფიწალს ხმარობენ ჩაღის გახახწორებლად და კაღოს ასაბერტყად.

არის კიდევ რკინის ფიწალ, ის სამ-ოთხტოტიანია. აქვს ხის ტარი.

ნოჩაფხ ხისა არის. აქვს პირი და ტარი.

რეჟმ გაკეთებულია ან ერთიანი ხისაგან ან თხელი ფიცრებისაგან. ხმარობენ სულადის გასაჩივებლად, ანუ დახარებნავად. დარიგვნაჲ მიწის, ქვიისა და კენჭენისაგან სულადის გასუფთავებას ნიშნავს.

რძის ნაგიერ კასეთში ცხავსა ხმარობენ.

ცხრილმ გაკეთებულია ცაეტვის ქერქისაგან, ჰაკარე (არი) დაწნული ანუ მუშით (ლაფანი) — ნწყალაფით. ხმარობენ ქერის, იტქლის გასაცხრიანავად (გასაცხრილაფ: ნაბაჲლ კენეს, „ჩინიოლს“ აცლის და ასუფთავეცს).

მარჯილმ ორხარია: ერთი ძინისა, თივისა და შუშის მოსატანი, ჰეორე — ხეორის გასატანი.

ძინისა, თივისა და შუშის მარჯილმ გაკეთებულია არყის ხისაგან. აქვს ორი ფეკ, ანუ ტოტ, ე. ი. ძირითა ხეები, თავამოხრილები, რომელთაც ზევიდან აქვთ სამსამი ხერეტი. ამ ხერეტებში ჩადგმულია ბობოჩკეები, ანუ ქალები. ბობოჩკებზე გარდიგარდმო ჩანოცმულია ხაში კედნ (ხწორი გრძელი ხე). ფეკებს ამოხრილ ნაწილებში გვერდებდანაც აქვთ თითო ხერეტი, რომლებშიაც გაყრილია მეთხე კედი. კედებზე ლურსმნებით დაკრულია ლარტნებმ (გრძელი ჯობები), რომლებიც ნაწილობრივ ან მთლიანად წნელით არის გაწნული. ფეკებს წინა კედზე აქვს მკლაფ, ე. ი. დაგრებილი წნელი, მოხრით ორგან გამობმულ კედზე („მკლაფში“ გამოედება კავი, რომელიც მოებმება უღლის საულღეს).

ხეორის (საქონლის პატევის) მარჯილმ ისეთივეა, როგორიც ძინისა და თივისა, მხოლოდ მას ზევიდან ან ჭინი ადგას, ან ჭინის მაგიერ ფიცრის ოთხკუთხე ყუთი.

ხაზიღარმ არის კავიანი ვათილილი ხე. ის გამოებმის მარჯილმ ძინის ან ჭვის საზიდად. მას წინა და უკანა ნაწილებში აქვს ოთხკუთხად გაჭრილი ნახერეტები, რომელთაც ხანემხეჲ ჰქვია. შიგ გაყრილია ნემხებმ (ჯობები). ბოლოში აქვს შეტკადულმ (შეჭდეული).

ფუზაში

მთხრ. შიხა ოდეგარის ძე ბაიაშვილი (სოფ. ბუჟყინტა, არტნის თემი, თიანეთის რაიონი).

გუთნის კეთება. ხენა-თხვის იარაღებს ჩვენში ყველა თავისად აკეთებს. თუ ზოგიერთს თავად არ შეუძლია, მცოდნე მეზობელს მოიშველიებს და მაგიერად თითონ მიეშველება რაიმე საქმეში.

გუთნის მხარხა სთლიან უფრო იფნის ხისას. იფნი თუ არ იქნება, სხალი, კემერჩხალი და სხვა ხეებიც გამოდგება. გუთნის მხარი რომ გაუსთალოთ, ამის შესაფერი მოყვანილობის ხეს ვარჩევთ ისე, რომ თავისაკენ ამოხრილი უნდა იყოს, კუდისაკენ ხწორი შეიძლება, ან ცოტათი ზურგში

ამოხრეკილი, ანუ კუდისაკენ დახრილი. გათლილი გუთნის მხარი უნდა იყოს სიგანით შავი და სიმაღლით გაშლილი ხელი. ამოხრილ ნაწილს გუთნის თავი ჰქვია, დანარჩენს — გუთნის ბოლო. მთელი მხრის სიგრძე თორმეტი მტკაველი უნდა. ამაში ოთხი მტკაველი ამოხრილ თავს უნდა მოსდობდეს.

გუთნის ქუსლი სიგრძით ოთხი მტკაველია; ამაში ერთი მტკაველი ქუსლის ყურზედ მოდის. ორტოტი მაგრად გამბული ჭლანჭლიანი, ბანდიანი ხისა უნდა გაითალოს. მისი ბოლოთა ნაწილი ყურებთანად სიგანე ერთი მტკაველი და ორი გოჯი უნდა. გოჯები ყურებს მოხვდება, მტკაველი — ყურებშეუა. ყურებიდან დაწყებული ქუსლი თანდათან უნდა დავიწროვდეს და ბოლოს ერთი შავი ხელი უნდა დარჩეს წვერში. ყურებშეუა ქუსლი არაბგვარად გამოებაულია. ყხადას სამი თითის დაშორებით ამოიჭრება ოთხ-კუთხი ნაჭერეთი ხავჭაქნე, რომელშიც მაგრად უნდა ჩაჯდეს ხელკუდებს, ანუ ვერქვანის ძირი. ხელკუდი თითონაც მაგარი ხისა უნდა იყოს — მუხისა, იფნისა და სხვა. ხელკუდს ორი ტოლ-სწორად გამოშული ტოტები უნდა ჰქონდეს ბუნებრივად. ტოტების სისხოც თანაბარია. სიგრძე ტოტებისა, როგორც გუთნის დამქერს ხელში ემარჯვება, სამ მტკაველ-ნახევარამდე უნდა. ხელკუდზე, ქუსლში ჩაქდომის ადგილიდან, მტკაველის სიმაღლეზედ გამოიჭრება გუთნის მხარის ბოლო, ანუ კუდის გასაყარი ორი თითის სიგანე და შავი ხელი ხელის სიმაღლე ნაჭერეთი. ამ ნაჭერეთში გაეყრება გუთნის კუდი, რომელიც თითონაც გამოიჭრეთილია კუდში და ჩხარს გაეყრება ვერქვანის უკან, რომ არ იძროდეს და არ გამოქრეს გუთნის მხარი, ხელკუდის შესაყართან ერთი მტკაველის დაშორებით ამოიჭრება გოჯის სიგანე და შავი ხელი ხელზე ცოტა მეტი სიგრძის ნაჭერეთი, გუთნის ხმლის ჩასაყრელად. ხმალი შავი ხელი ხელის სიგრძე და გოჯის სისქე უნდა. ხმალი ქუსლში ამოიჭრეს ნაჭერეთში (ერთი შავი ხელი ხელის სიგრძისა) ამოეყრება ძირიდან და მაგრად მოემბოს, რადგან ნაჭერეთი ძირში უფრო განივად აქვს გაკეთებული. ქუსლში ძირიდან ამოყრილი ხმლის ზემოთა თავი გუთნის მხარში გაკეთებულ შესაფერ ნაჭერეთში ამოეყრება და პატარა ნაჭერეთში განზედ ჩხირი გაეყრება. ხმალი საჭიროებისდაგვარად თავის წინ და უკან ნაჭერეთში ჩაყრილი სოლებით გამაგრდება. ამ ხმლიდან კიდევ ერთი მტკაველის შემდეგ წინ ამოიჭრება ხაკეთლის შესამბელი ნაჭერეთი თავის შესაფერი ზოვისა. ხაკეთლის თავი სამი თითის სიგრძე და თითზე მეტი სისქისა; აქ ამოეყრება საკეთელი და სოლით გამაგრდება. ხოლო ქუსლის წვერზედ დაეშება ხანხის რენისა. ხანხის და საკეთელი დაშორებულნი უნდა იყვნენ ერთმანეთს სამი თითის მანძილით; ამავე დროს ხანხის წვერი ცოტა უკან უნდა იდგეს საკეთელ-საზე. ორივეს წვერები კი ერთმანეთს პირდაპირ და სწორად უნდა გახედავდნენ. გუთნის მხარი ამოხრის ადგილას დაეჭვი უნდა ბრგვლად ამოიჭრას — გაიხრითოს; აქ წნელი უნდა გამოიჭას.

გუთნის თავი და დაყვიც სწორად უნდა გაყურებდეს ხანხის-საკეთლის წვერებს. გუთნის თავშიაც ოთხკუთხე ნაჭერეთი ჩხირი უნდა გაეყაროს განზედ. ამ ჩხირის უკან წნელი ამოეჭას — გუთნის თავს წნელი და უღელზე შეებოს. დაევი გამოშული წნელი! ხაკეთარს მოემბოს ერთ თავზედ, საყვირის მეორე თავზედ გამოშული წნელი კი მეორე უღელს მოიბაძს.

საყვიარი გოჯის სისქე, თავკომბალი კვტია, რომელსაც თავსა და ბოლოში წნელის მოსამბელი თავები აქვს ან ბუნებრივად შერჩენილი, ან ხელით

¹ დღანა—წელი,

გაკეთებული. გუთნის მხარზე ამოხრილი დაყვის ახლოს, ზევით გაუკეთდება გათლას დროსავე შერჩენილი ნაკვდევნი, რომ მეხრემ დააბიჯოს გუთნის ამო-ზეზურების დროს.

უღელი გაითლება. უკეთესია იფნის ხისა; განოდგება კემერჩხალი და ბალიც. გრძელი, ცუთანში სახმარი უღელი უნდა გაითალოს თორმეტი მტკაველი სიგრძისა, მოკლე კი შეიძლება — ამის ნახევარიც. უღელი წელში ცოტა დადრევილა და წინიდან უფანისაყენ შებრევილი, ანუ გამოფერდილი წინიდან უნდა გაითალოს, საჭედურების, როგორც ხარის კისრისაყენ, ისე ქედის მხარეს გამოთლილ-გამოფერდილი უნდა. აქვე საჭედურებში „ბურათი“ ან ფარგლით (ფარგალი პირარგვალი სატებია) ამოიჭრება წყვილ-წყვილი სატაბაყემა, ცდაზე დაშორებული ერთმანეთზედ. შიგ ტაბაყემა ჩაყრება. სიგრძე მათი — ან ერთი მტკაველი, ანუ ერთი წყურთა. უღელი ქედის მოსაკედებელში მაღალი გამოიყვანება, დანარჩენი კი ერთნაირი სიგრძე-სიბრტყისა — შაყრილი ხელი. შუაწელში ამოიჭრება საჭერეთლით პატარა ნაკვრეტები, რომელშიაც ქორაყემა ჩაყრება (ანუ იტყვიან ჭინჭილა-ქეხსაც), რომლებს შუა წნელი შეეპმის. წნელის შესაბმელი უღელს წელში საკუთარი ნაკვდევსაგანაც უკეთდება, როცა სქელი ხისა გამოიყვანება. უღელს სთლიან ახალი ხისას და სტუსავენ ცუცხლზედ, პისველისა და სიცხის წინაღობდეგ, რომ არ დასქდეს და ლობა ადვილად არ მოვიდოს.

კალში სახმარი იარაღი: **ფიწალი**, **ნიჩაბი**, **ცოცხი** არყის ხის ტოტების სახედლები, წყვილი სახრე თავებწათლილა. განწვეტებული, ჭოჭო — პტკლად ტოტებგანოსხმული შეინდი, თხილი, ან თელა; **საპირეები** — წვრილი წყვალბა-საგან გაკეთებული, ხარის პირზე შემოსაცემელი სიგანის მქონე ჭაჭიბები ბაწარშებული, რომლითაც ხარის კისერზედ მოედება და [პირზე] ამოიყვრის. საპირეები იმისთვის იხმარება, რომ ხარებმა მნახ კამა არ დაიწყონ.

ფიწალი (ფიწალინი). აკეთებენ შეინდის, თხილის, შეინდანწლიას და სხვა, ორთით. სამთით და ოთხთითიც, თუ სმასალე ხე შეხვდათ. ფიწალს ტოტების ამოხრა იციან წვრილი წნელით ტოლად გადაბმული გოჯის სიმსხო ხის გადანაკვრებისაგან გაკეთებული ფიწლის სახრელით, რომელსაც ფიწლის ტოტებზედ შემოუდებენ, პატარა კეტხ გაუყრინ და კეტზე დაწოლის დროს ფიწლის სახრელი ფიწლის ტოტებს მოლუნავს, მოხრის და საპირო ზომაზედ დაყენების შემდეგ კეტს ფიწლის ტარზედ დააბარებენ წნელით. საფიწლე ხეს, ნედლს, ცუცხლზედ მოახურებენ და ისე მოხრიან.

ცოცხი. მთებში არყის ობოლი ტოტებისაგან, რომ ჭერ თესლი არ დასხმოდეს, შეკვრავენ წნელით ცოცხსა. რომელსაც წვერები ხშირი და წმინდა-ტოტებიანი უნდა ჰქონდეს ბუთქვად ასხმული (ხშირად ასხმული), სიხმოში არ იმტვრეოდეს, დედანს სძლებდეს.

ნიჩაფი. ნიჩაფს ცაცხვისას, თელისას და ამგვარი ხისას აკეთებენ. საპირო სისქისა და სიგრძის ხეს გადასჭრიან, გახეთქენ შუაზე სწორად და ამ ნახეურებისას თითო ნიჩაფს გამოიყვანენ. ნიჩაფის პირს ოდნავ ამოხრილს უკეთებენ; ხელეჩოთი და ცულით სთლიან.

მარტულელი. გაითლება კუთხად ნოხრილი ხისა სამი თითის სისქე-სიბრტყე. საჭედურში კი მაღალი გამოიყვანება; უღლის დახრილი თავები ორივე მხარეს სამ-სამი მტკაველი უნდა. უღელი ისე მოხრილი უნდა იყოს, რომ ხარის გვერდში არ მოხვდეს (ეს უღელი ცალი ხარისთვის კეთდება).

საჭედურში ჩვეულებრივი ტაბაყემა ჩაყრება, მარტულელის ორივე თავებიც გამოიჭრითება თითოჯერ — თოკის შესაბმელად ორსავე მხარეს. ეს


თოკები ხარის უკან მოემბის პატარა კეტს — ტოლკანტს. ტოლკანტს ნაქ-
დეები აქვს შუაწელზედ და ნაპირებზედ, ნაპირებზედ — თოკის მოსაპყე-
ლად, შუაზე კი ტვირთისათვის. მარტულლით ზიდავენ თივას და ზოჯჯერ ნა-
კელსაც ჭინით.

ჩინი თანაბრად წვრილი წნელით მოქსოვილი, ძირპრტყელი, პირგანიე-
რი და მოგრძო პატარა გოდორია, რომელიც დაიდგმის ყალზედ და ჩაემბის
წნელებით. ყალში (ყალი) ფიზრულად² დათლილი სამი თათის სისქე და
მტკაველის სიმაღლის ადუნახევიარი სიგრძის ხეებია, ტოლად გათლილი და
ტოლად ერთნაირად მოჭერითლი, რომელ ნაჭერეთებშიაც გაეყრება ზიდე-
ბი, ანუ დოთეები და წინ მრგვალად ამოთლილ თავებში ნემსა გაეკვდება.

ხვესურეთი

მთხრ. თორღვა გიგაური, 105 წ. (სოფ. კვირიწმინდა, არხვატის თემი).

აქენიელს სრუ მკერას ხისას აკეთებენ. საკვნიელის მკერას თავისთავად
მასრილ უნდა იყოს, ბოლო კი მოკაულ უნდა ჰქონდეს. საკვნიელს აკეთებენ
ცულით. მკერას³ ვერქვათ ჩასადგმელს ამპრილ-ას სატეხით, საბეწვის
გასადგებიც სატეხით აქვს ამპრილ-ს. საკვნიელის მკერას-დ⁴ ქუხლან უფრო
იფნისა-დ⁵ კირცხილასას აკეთებენ. ვერქვათ უნდა ჰქონდეს ორტოტ⁶ კე-
ლების მასაკიდებლად. ქუხლს ლულუტს აკეთებენ. წინისკე მწვეტი-დ⁷ წვრი-
ლს, ბოლო — განიერს. საკვნიელის მკერას ამპრილ-აქვ საკეთილს-დ⁸ ხა-
ბეწვის გახადებან, საკვნიელის მთლიან სიგძენ რვა-ცხრა მტკაველ უნდა
იყოს, ქუსლის სიგძეი — ოთხ-ხუთ მტკაველად, ვერქვათ სიმაღლე —
სამეტკაველ-ნახევარს. ქუსლს ბოლოსკევარად ამპრილ-აქვ სატეხით იმის
ზომანზე, რამდენიც სკირდების ვერქვათ-დ⁹ მკერას ბოლოებს ჩასადგმელად.
ქუსლის წვერს ისრ გათლიან, რომ ზედ საყნის შამეცვას. მკერას საკეთლის



სურ. 10 საკვნიელი.

გასადგებლად ამპრილ-აქვ სატეხით ისრ, რომ საკეთლის-დ⁸ საყნის[ის] შუაში გაშლილ კელ უნდა იმართებოდეს. მკერას თავში სატეხით ამპრილში
გადგებულ-აქვ საბეწვე სამითით სიმტყეი-დ⁷ ერთ მტკაველის სიგძე. საბე-

² ასე.

წვევებში მათგანვე წამოიღეს, ან დაწესდა თორმეტი ლოლით, ან მთელი კარის ტყავისა. მკარს ბოლოში უკენისკენით ქუსლში ჩადგმულ-აქვე ვერკვამ. ვერკვამსა-ღ' მკარს შუაში ძირშიით დაკრულ-აქვე ხის სოლებსა. ხოლმე ამგვარებს საკერძოს ასხმულობას. სოლს დიდ შუაძღავე; საკენიელს ათავამაღლებსაცა' ათავადალებსაც ძირში დაკრულ სოლ. საკენიელის სიმაღლე უნდა გადიოდეს საშუალო კაცის სარტყელზე.

მთხრ. შამურა ბაბოს ძე ზვიადური, 45 წ. (სოფ. არკილო, შატლის თემი).

ფარცხი. ფარცხნ-კეთლებს ფიცრიან, წოწყისან, ფიცარს კაბდო ხქვიან, წოწყს ფხრეან. უღელზე საუღლით მიამბენ ფარცხის კელთ. ფარცხს კელს ურძინან უნდა ხქონდან. ხაკაბადოედ გათლილ-ას სქელწ ფიცარს, ჰივრძით რვა-ცხრა მტკაველი-აქვე, სივანე — ერთ მტკაველი-ღ' სამ, თითნი. კაბდო ზეთს პარზე დაკერტილ-ას თითო მტკაველით შორ-შორად ერთმანეთსათნით შლაფათ. დაკერტილებში ამაყვანილ-ას არყისა დაკრებილ წნელებს. ის წნელებს იმაგრებს ფსრის დამკერ წვრილ ფილს. გალს მაგრად მახხვევენ არყის წნელებს, ნიამაგრებენ იქვე კაბდოზე. კაბდო ორკან გამაქვრტილ-ას შუაში შორ-შორად ერთუცსათნით კელთ გამასაყვანად. კელებს ძირებს სქელებს-აქვე. თავითავე მკერის დროსავე, ძირკვებს აყოლებენ იმაღ, რომ ნაკერტილებში ვ: წაღვასა-ღ' არ გამძვრას. კელთ სივრძე რვა-ცხრა მტკაველი იქნების: თავში ძაგირით გამბულებს ფსრე — არყის ხის წვერ — უფრო წოწყისან არჩეულს, ორკაბიან უნდა იყოს, რომ ჯობ გაუვდას შუაში. ფსრეს აასტანენ წვრილ ურძინს ჯობზე და ჯობს კაბდოზე მიამაგრებენ. ფარცხს მაწნულს ხაფარავად კმარობენ. მამებენ ვარებსა-ღ' ზედ კაცს დაუსმენ, ფარცხს თესლს. თუ კაც არ ხყავ, სასაგძლეს გაავსებენ ქვითა-ღ' ამას მიავკრენ კაბდოზე, ამით ფარცხს.

მთხრ. ბაყუი გუგუას ძე გიგაური, 77 წ. (სოფ. კიმილა, არხოტის თემი, პირაქითი ხევსურეთი).

ნიჩაფს აკეთებენ თელის ხისას, არყისას, ვერხვისას-ღ' დენალის ხისასაც. ნიჩფის ტარს სივრძე უნდა ხქონდეს ხუთი მტკაველი, სისქე ტარისა — რასაც კელ ჯანწვლებს; ნიჩფის სივანე მტკაველ-გამლილ კელს უნდა. ჯერ კულთ გააკობრტებენ, მემრ ჰორფართით, დანაით გაასუფთავენ-ღ' ცეცხლზე გასტუსვენ, კიდევ დანაის ფხით გაფხვენ. ტარს ქვა გასკობაშვრენ-ღ' ნიჩაფს იქნების, ნიჩაფს კმარობენ თოვლის სახვეტლად ბანებზეთ, ზევის შუსაგროვებლად კალოში, ნეხვის სახვეტლა ზამთრის, საძროხეში. ცოტაგვარ ნიჩფით ხევის ანიავებენ კალობაში.

ფიწალი. ფიწალი კეთლებს დენალისან, არყისან, თხილისან, ცირცილისან, წნორისან, მუხისან. მასკრიან ტყეში საფიწლეს ორკაპიან, ორტოტას; ნედლსავე ვახკავენ, მარტო ორ ტოტს გაუწირვენ; მემრ წვერებს მუხრისან ცოტავე, აღმისკე ამაუნენქან-ღ' ორთ ხეთ შუაში მაამწყვედვენ. ფიწლის დამკერ გალებს წინავე იმ ზომაზე მაამბენ წნელით ერთმანეთს, რომ ფიწალი კაი მყავანილობისა დღავას. მემრ შაკრულ ფიწალს ყორეში მაამწყვედვენ, წვერებით შამშობენ-ღ' ამ აღით გაავმობენ. თუ ეჩქარების, ცეცხლზე გაავლებენ, გაამწყავენ-ღ' აისრ მახრისან; გაავრილებენ-ღ' მემრ გასთლიან დანაით, ტარს კი ხანჯრით ჩაუთლიან. ფიწლის ტოტთ გაასუფთავენ-ღ'

წვერში თხის რქებს შამაღმენ. რქებსაც გაასუფთაებენ, რომ ჩალა არ გამოედვას ფიწვლაში. რქასა' ფიწვლის წვერს ერთად გამანთებული საწვეავით გასწვენ, დახვერენ უსმრებსა-დ' ფიწვალ იქნების. კმარობენ კალოობაში ჩალის ასაფიწლადად.

ხამთითან (ხამთითა). სამთითა კეთდების, ისრეე ფიწვალივითაჲ, ხოლოთ იმაში აჲე გარჩევა, რომ ფიწვალს ორ თითი'-აჲე-დ' სამთითას კი ხამცა-დ' ოთხ-ხუთამდე თითებნ-აჲე. ტარიც ფიწვალზე გძელ აჲე. თითებზე სამთითასაც რქებს აცმენ ისრ, როგორც ფიწვალს. სამთითას კმარობენ ნაჲედის, მაჲყის დასანიავებლად კალოობის დროს ან, თუ კალოში ბურღოდ რა დარჩ, იმასაც სამთითათ: განიავებენ ნიაზე.





სურ. 11 ხელვარცლი.

კელვარცლი. კელვარცლს აკეთებენ ფიჭვისას, ვერხვისას, მურყნისას-დ', იფნისასაც, რამდენიმე ხისას. სოგრძე კელვარცლს უნდა ზქონდას ორ მტკაველშ, სიგანე — მტკაველი-დ' სამ თითთ სიგძე. ჯერ დააკოპიტებენ ცულოთ, მემრ გასთლიან პირფართოთ, გახფხევენ დანით, გასტუსვენ ცეცხლზედა-დ' კიდევ გახფხევენ დანაის ფხით. ერთ გვერდს ბალიან თხელს გააკეთებენ, სამ გვერდს კი მალალს ბაგად გასწირვენ, რომ საფქავი არ დავშალას ყველყნით. სოგძებე პირებს გააჲარებენ ისრ, რომ კვლებ ეკიდებოდას, კელვარცლით ანიავებენ წმინდა ხვავს, აკეთებენ საფქავს, არჩვენ ჴვასა-დ' ცურცუმელასაც.

ცხავი. ცხავს ყველა ვერ დასწნავს. მცოდნე უნდა-დ' კელოსანი. ცხავს ცაცხვის კანისას უკეთებენ გვერდთ, ყაჲყატოს კი ურბნისა, თხილისა-დ' შოთხისას აკეთებენ. ნაბერალ ცხავს კანს ახყრიან. იჲას ჴერქს ასთლიან დანით. მახრიან ვ-რველად. ცირცელს მასჲრიან კასა-დ' ამას ერთ პირში ორად გახევენ. ერთს პირს ასრ გასწირვენ უჲირველად. გახეულ ცირცლის ჴობის პირში მამწყედევენ ცხავის პირთ ერთად შყყრილოთ. შიგ მამწყედევენ. ასრ გაკმობენ. ყაჲყატოს ნერგას მიიტანენ ერთ-ორის წლისას. რაისაც უნდა, იჲის ტოტებს დასჲრიან მყართ სოგძ-სიგძოდ, გახჲერქვენ დანათა-დ' მემრ დანაის პირით დაუჲედევენ წყრილ-წერილად. მაიღებენ მუჲვზე და თაოდ აღვარდების თხელ-თხელ ყაჲყატონ. ორას-სამასამღი ცალს აავღებენ, ამას კონად შახკრენა-დ' საყამღეში. ასაყართაზე ან ყურეს დახკიდებენ; როსაც ვაჲმებრისა-დ' ცხავს დაუწყებენ წენას. წყალში დააღობობენ ყაჲყატოს იჲე. ცხავის კანსაც წყალში ჩააღობობენ. დაღობობდგს დანაის წვერით კანს გახჲერტენა-დ' პირებს ერთსხვანე ყაჲყატოთაჲ მიაკერებენ. ცხავს ყაჲყატოთ ისრ მახჲსოვენ. როგორც საყერს, მარტო იმაში აჲე გარჩევა საყერ-

სად ცხავს, რომ ცხავს მარტო ჭერ უნდა გაუვიდას ცხავეების დროს, ჭვაი-დ სხვა ჭეუშ ჭვე უნდა დაიჭირას, რომ ჭერი გარჩეული უნდა იყოს.

ცხრილიც ცხავს ხვავ, მაგრამ ქსოვაში კი დიდ გარჩევან-ას ცხა-ცხრილთა ერთუცსთან: ცხრილზე ორშაინს ქაელსავე ხვავ, სხვანაირად იხლარ-თების ყაპყატო ერთუცში. გარდა ამისა, ცხავს ჭერ გასდის, იმთენად თხელ-



სურ. 12 ცხრილი.


ბ-ას; ცხრილს მარტო ცურცუმელაი-დ ნალო მარცვალ უნდა გაუვიდას, იმ-დენად მტკიცე-ას, თორე კანი-დ ყაპყატო ერთნაირი-აქე ორსავე, მაყვანილო-ბაც ერთუცს უგავ. მარტო ცხავე დიდგვარ-ას ცხრილზე ცოტას.

არნავ. არნავს თოელის სახვეტლად კმარობენ, ზევისაც კალოში არნა-ვით შაგროვებენ. არნავს თლიან სქელას ხისაგან; გააკეთებენ განიერ ფიცი-რისასაც. ხაარნავებს გაასთლიან ცულოთ. მეზრ გააკლუტებენ პირფართოთა-დ გაუკეთებენ ერთს გვერდზე ბაგას, ორ ალაგზე შალაფათ ჩაჭკვრეტენ, შიგ

ხის ჩხირებს გაუყრიან ისრ, რომ ტარს არნაგზე მიამაგრებენ, რომ თოვლის ხვეულის დროს არც ტარ წასძვრასა-ღ' არც ბან დათხარას, ან არნაგს ქვე ამასპირიან ღრუად, გააკეთებენ დღუქად ისრ, რომ ტარს შიგ გასწრთან ამასპირილში. არნაგის სიგძე სამ მტკაველ უნდა იყოს, სიმტყე — მტკაველ-გაშლილ-ველი. ტარის სიგძე — ხუთ-ექვს მტკაველ. არნაგით ხვეტენ თოვლს ბანებზეთ, კარებშიაც, სადაც გლუვ კარბ, თუ არადა ნიჩგით გადახყრიან სანაფთღულეში (თოვლის გროვას კარ-მდამოში ნაფთულს ეძახიან).

მთხრ. დავით მამუკას ძე დაიაური, 58 წ. (სოფ. მუცუ, შატილის თემი).

უღღი. უღღელ ორგვარბ-ას: ერთბ ხახანაო, მეორე — ხამარჭილო. სასანაო უღღელბ-ას გძელბ, ათმტკაველიანბ-ღ' სამარჭილო უღღელბ კი ექვსი მტკაველბ. უღღელს აკეთებენ უფრო იფნის ხისას, ხან კი სხვა ხისასაც აკეთებენ, არყის ხისასაც. უღღელს თლიან ცულით, უფრო გამაცდილი-ღ' გაოს-



სურ. 13. უღღი.


ტატებულბ კაცებბ. ოსტატობას აქ სკოლაში კი არ სწავლობენ, განსაკუთრებულბ ოსტატობა არ ას, მარტო თავისით დაისწავლიანა-ღ' აკეთებენ მემბ, რაც უნდ. მემბ უღღელს გააგლუებენ დანაით, მემბ დაავზებენ ცეცხლსა-ღ' აიმაზუ გასტუსვენ, მემბ ამასპირიან ხატბიკეებსა-ღ' გაუყრიან ურძნის ტბბიკეებბ, შაბბმენ ძაგირის ხამაღღებბს. უღღელს გაზომვენ გულით შუბ აღგლიში. ჩახვკრეტენ შალაფით, ბერაითის სისქე გალახ ჩაასკობენ საუღღლის სწორბ დამშერბა-ღ' შამბმენ ღვედის საუღღლეს; სუყველას იპით მიმარტებენ უღღელზე: ხაჭვრბიელ, ფარცხბ, მარჭილბ, ჭინიც, ჭანჭალბაც. გძელ უღღელს კმარობენ კენაში იმაად, რომ გვერდალში ვარბ კვალში არ ჩამავარდას. მოკლე უღღელს კი მარტო მარკილიში იპით, რომ იწრო გზაში გაუტობს კარ-მარკილბ. მარკილიც უღღლის ზომისა კეთღების.

ხაუღღი. საუღღლეს აკეთებენ კარის ტყავისას. კარს რომ დახკლენ, მანბ ტყავის გავდას დაიწყებენ, მანაზღიავ კარს მუციღულბ ააყრევენ ერთ გაშლილ კელის სიმტყე ტყავს, გადაავლევენ მავკრილის კისრის მირგვილი-ეაც, ტყავს გახტღიან; მემბ დაავზებენ ცეცხლსა-ღ' აიმაზუ გასტუსვენ, მემბ ამასპირიან ხატბიკეებსა-ღ' გაუყრიან ურძნის ტბბიკეებბ, შამბმენ აპატინბ ტყავსავ გაუსმენ ფორის ფქვილისაგან გაკეთებულ ცომბთღულს; ჩასღებენ ტბბტის თავითი ჩალაში გახვეულს. სიზბოსაგან დაქურღების იქა-ღ' მემბ ბეწუნ გაელღერების. გაღვერღლს ჩასღებენ მარბილ-წყალში, სამ ღღე-ღამეს ძეს მარბილ-წყალში. ამბიტანენ, გააშრობენა-ღ' მემბ კვედით გაზელენ (კვედა ჩაქურის მსგავსბ, ხისაგან გაკეთებული), გახზობენ ღღმბით, კიდევ ზელენ, სციმენ კვედას. გაზელიღღეს შამბმენ უღღელზედა' კმარობენ: ყველას იპით

შუმბენ კარებს, რასაც კარებით გაათრევენ, ან მათრევენ: მარკილს, სავენ-ელს, ჭინსა-დ' სხვას, რაიც კი ას მასტანან. საულლეს აქვ ერთ პირზე დავერეტილნ ჩხირის გახადგებზ, მეორე პირზე — კისერზე გადავილ შატრ, შამბა-ში ბოლოს გაიყვანენ შატში დავერეტილ პირსა' გაუჯღებენ ჩხირს, ჩხირ საულლეზე შამბულენ ღვედით.

მთხრ. ბეწინა აპარეკას ძე 71 წ. (სოფ. ზეისტეჩო, ბაცალიგოს თეპა).

მარკილი (მარკილინი). მარკილის ფეკებს უფრო მაგრის ხისაგან აკეთებენ. უფრო უნდა იყოს იფნის, კირციხლის, თელაისაი-დ', ქორაფისაწ. მარკილის ფეკებს წინას წელს მასკრიან თაღაშახრილებზ, გასთლიან ცულით კუთხგეარად, თავებს სატეხით ამასკრიან ერთმანეთის ზომაზე. ამაკრილებზ გაამირგვლებენ, ცეცხლზე გასტუსვენ, გახფეყენა-დ' ფეკებზე უკენისკე სატეხითავ ამასკრიან სამ თითთოდნად კოჭებზს ჩასაყრელს. კოჭებზ ნახევრამღი ჩაუყრიან კარგა გათლილებზს. კოჭებზს სიმაღლე ორ მტკაველ უნდა იყოს, სიბტყე — სამ თითთოდენ. კოჭებზე დაადებენ ორსავე პირზე სატეხით ამასკრილს ფიცარს. კოჭებზ აქვ სათავისკე გადაკედეულზ. ამაკვერტილნ ფიცარზ ჩამაედებზს გადაკედეულებზს¹ დაიჭერს ფიცარს, დაბლა აღარ ჩა-



სურ. 14 მარკილი.

ვარდებისა' მარკილის ფეკებსაც განზე აღარ გაუშობს. მარკილის თავთ გაუჯღებენ გავერეტილებში თავთ-კედზ — გამირგვლებულს მკლავის სისქეს ხეს. თავთ-კედის გასაყრელ გავერეტილებში გაუყრიან თავთ-წნელეზს. თავთ-კედზედა' ბოლოს ფიცარზე დააწყობენ ჰერებზსა' ჩააკვრენ თავთ-წნელით. თავშია' ბოლოში ფიცარზე საბალავის წნელებით (საბალავი — დასახლართი ჰერებზე). ორს მახრილს ჰერს ამასკრიან სატეხით ძირებშია' იმაში გაიყვანენ წნელებზსა' შამბენ ჰერებზე. თავში კელთ გამბენ, ძაგირით გამბენ.

¹ ძაგირი — ძროხის კედისაგან დაწნული თოკი.

კერებზე გააწვენ ოროლს წერილს წნელს, რასაც ხქვიან საბალავი. მარჯილს
ქპარობენ შეშის, ინისა, სხვადასხვა მასალის მასტანად.

ჭინი. ჭინი-ას ორნარი მარტულღისაი, უღლის კარისაჲ. ჭინის წნელს
მაიტანენ ტყეშიით, დაბფოცხვენ დანაითა² დასწვენ დაბალს, გძელს, გო-
დორივით. უღლის კარის ჭინი იქნების უფრო დიდი, მარტულღისა—ცოტა
ჭინი ორივ დაკრულ-ას მარკილივით გაკეთებულთ ფეჭთაზე. მარტულღის
ჭინს წვრილებ ფეჭები³-აქვ, უღლის კარის ჭინს — უფრო სქელეები ფეჭებ.

უღლის კარის ჭინში ამბენ მარჯილში შამბასავით უღლით. იმით შშრალ-
ზედაც ათრევენ, მარტულღის ჭინს კი თოვლში გაუჭრიან ნიჩბით იწრის
გზას, შამბენ ერთს კარსა³ იმით ათრევენ.

ჭინით გაქვ მამულშო საუჭი. მარტულღის ჭინი დაწნულ-ას უფრო
წვრილის წნელისა, დაკრულ დაბალთ. წვრილთ ფეჭთაზე, კელისც წვრილ-
ნა-ხქონ შამბულნა; თითო კელს შამბულ-აქვ ძაგირის ორკეც საბელნ
შატად გაკეთებულ, სიძობით თითო მტკაველნ მარტულღელაზე შამამულად.

ჭინს წვენენ: ან არყისა, ან ცირკლისა, ან ურძნის წნელისას. უღლის
კარის ჭინი წყალშიაც გადის, მარტულღისა კი წყალში [არ] გადის.

მარტულღელნ გაკეთებულ მახრილის ხისაგან, ამაჭრილ-აქვ ორნ სატა-
ბიკელ, შიგ ჩაყრილებრ-აქვ ტაბიკებ. მარტულღელს გადაკედულებრ-აქვ ნა-
პირებ. იმაზე გადაედების შატად გაკეთებულნ კელის ძაგირა; მარტულღელა
ერთს კარს აქეს კისერზედა³ სამალდით აქვ შაკრულ. კარი კელთ შუაში ას
შამბული. უღლის კარის ჭინს კი ხაუღლით მაამბენ უღელზე. კვესურეთ
მარტულღის ჭინს ვმარობენ იმით, რო ყანებნ გვერდალში ას.

ცოცხი. ცოცხებს ყველა კონავს ჰვესურეთ, დიდნ, ცოტაჲ. ცოცხებს
მარტო არყისას კონენ: მაიტანენ ტყეშიით არყის წოწკს, კაპიან ტოტებს,
გაღასთლიან, ხატარებბ ჰვე გააყრევენ, წოწკს მარტო წვერში გაუჭირვენ
თითო-თითოს ერთმანეთ-ს სწორად. მეგრ აარჩევენ წვრილს წკეპლას, ნიკო-
რა თითის სისქობეს. გახვრებენ სამს თითო ცოცხისად სანაკრაულეს. დაწყო-
ბენ სწორ-სწორად, შამაყვრენ ტარში სამ-სამ ნაკრაულს. ზოგს დიდიდ ცო-
ცხებს შახკონენ. ხახან ცოცხნ, ხქვიან, ზოგებს ბეწწიყუაებს შახკორვენ,
იმეებს საქანდრე კელცოცხა ხქვიან. კელცოცხას ორ ნაკრაულს ახვევენ,
სახანე ცოცხებს სამ-სამს ნაკრაულს მაკვრენ.

ხე30

ნთხრ. გახუტა ხეთაგური, 87 წ. (დაბა ყაზბეგი).


სათარი. არყის ტოტებისაგან განსაკუთრებით დაწნული მაღალ მთებო-
დან თივის ჩამოხატანია. სათარზე დადებულ თივას გადაუჭირენ ვაღდახს
(„დაგრეხილია მწონე ბალახისაგან“).

² მარტულღი — ცალი ხარის შესაბმელი.

³ ლფოცხვა — ტოტების ღკრა.

ხორაში — ერთად შეგროვებული თივა.

ხაფანდარი — ერთად შეგროვებული (გრძლათ) რამდენიმე ხორაში.



სურ. 15. სთარი.

მთხრ. გიორგი შადური, 31 წ. (დაბა ყაზბეგი).

ულამნი — საქონლით დახმარება. მუშანი — მუშახელის დახმარება.

მთხრ. გიორგი ხუციშვილი, 55 წ. (დაბა ყაზბეგი).


ულამნი — საქონლით დახმარება.

მუშანი — უსაქონლოთ მუშების დახმარება.

მთიულეთი

მთხრ. ივანე აფციაური, 62 წ. (სოფ. ღუმაცხო).

მიწას ხნავენ ფშური გუთნით. ფშური გუთნის ნაწილები: ქუხლი, (რობელიც მიწაზე მიცოცავს და რომელშიაც ხახნისია გაკეთებული), მჯარი,




სურ. 16 ფშური გუთანი.

ზედა ნაწილია; შუაში მკარს ხაკვეთელი აქვს დამაგრებული, თავში გაზერტილია და შიგ ხაკვერის წნელია გაყრილი). ჯელი (ჯელნა) — ქუსლში სიმაღლეზე ჩამჭდარი ხეა, რომელსაც ტარი აქვს. ხენის დროს ჯელნას აწებებან. ჯმალა — ხის ნაწილი, რომელიც აკავშირებს მხარხა და ქუსლს. გუთანს აქვს, ცხადია, ხანხისი და ხაკვეთელი.

სთეხავენ ჯოვს (ჯვავს)¹, ქერს და ცოტაოდენ პურს.

დაზპარებას თიბვის, თუ მკას დროს ეწოდება მუშა ან მუშანი. წესია ასეთია: ვისაც უზპარებია, ის შემდეგ მათ გაუმაპინძლდება.

ხანჯელი — ბანზე დაყრალი მიწის დახატეპნი ხის ხელსაწყო.




სურ. 17 საგელი.

ხაჩაღე გოდორი. გამოწნული აქვს ძირი და ზემოთ, პირთან არის კიდევ ნაწილობრივ დაწნული, ხოლო ძირიდან პირამდე გატარებულია წნელები აღმაცერად. ასეთი გოდორი ჩვეულებრივ ძირიდან ბოლომდე არ არის დაწნული, რადგან ეს საჭირო არ არის; ამით საქონლისათვის მხოლოდ ჩალას ეზიდებიან და ჩალა ამ გოდორიდან არ იპნევა.

მთხრ. გოდორგი ნარიჰანძე. 60 წ. (სოფ. შონჩა).

გუთან (ფშაური). ნაწილები: ქუსლი, მკარი, ორჯელა (ორჯელაშია ჩამჭდარი მკარის ბოლო), წერწყნაჲ (ორი ფარეშით დამაგრებულია მკარზე



სურ. 18 ძველებური გუთანი აბეჩა.

¹ სიტყვა „ჯვავი“ დღესინ ჩამატებული იე. ჯავიშვილის მიერ.

წერწერა), კმალია (აკვეშირებს ერთმანეთთან ქუსლსა და მხარს), ხანხისი (ქუსლზე) და საკვეთელი (მხარში).

ძველებური გუთანი (ქართველები აჩეჩახ ეძახდნენ). ნაწილები: მკარი (მოხრილი იყო და მოხრალი ბოლოთი ქუსლში იჭდა), ქუსლი, ორჯელა (ორტოტი ჯოხი ჩაჭდარი მკართან ქუსლში), წერწენა (გამოხვრებილი იყო, რომელშიც წნელს გაუყრიდნენ), ხანხისა (ქუსლზე) და საკვეთელი (მხარში).

გუთანს აკეთებდნენ ყოველნაირი ხისაგან: წიფლის, ქორაფის, თელისა და იფნისაგან: მუხისა იყო ორჯელა.

ფარცხი. ნაწილები: ფიცარი, ხელნები (ორია, გაყრილია ფიცარში მარჯნავ და მარცხნავ), კობლები (ხელნების საწინააღმდეგო მხრივ გაყრილია ფიცარს ნახვრეტებში). კობლებს კომბალივით სხვილი თავები აქვს და სწორედ ამის გამო ფიცარის ნახვრეტებიდან ვერ გამოვარდებიან, ლახტი (დაწნულია კობლებზე), ისარი (შუაში აქვს ლასტს), ჭარჯი (ფიჩხი, რომელიც ისარზეა).

ნთხრ. ილო ახალკაციშვილი, 60 წ. (სოფ. ციხისძირი).

ქართული ხის გუთანი. რვილი იყო იფნისა. კბილს ვეძახოდით, რანვედაც ხანხისს ვაკეთებდით ზედა; ისიც ან იფნისა უნდა ყოფილიყო, ან თელისა. მერე იმასთან ახლა ხმალი, ისიც იფნისა [იყო]. ხელკავს ვეძახოდით, იფნისა იყო. ეს არის გუთანი შაკრული. ამას ზედ დავაკრამთ წიფლის ფთებს, იმასთან მერე კიდევვა, როგორც მარხილი არ არის, იმას კოჭებს გაუყეთებთ, მერე კოჭა და მერე ზედ ფთე იყო დაკრული. კბილი უნდა გაგვეხვრატა და კბილი და ფთე უნდა დაგვეჭერიდნენ კაკაბით. ცალგნით კიდევ „ბურაოთი“ გავხვრეტამდით და ჭაჭვს ეჭირა. გორგოლებთან ეჭირა და მიჰქონდა გუთანი ხაჯაშბრებს. რანვედაც გორგლები იყო ასხმული, იმას ლიწიტას ვეძახოდით. შიგ გვექონდა შინდის ჩაკრული, ჩხახს ვეძახოდით იმასა. ამ ჩხაში ცული გვექონდა ჩაყრილი და იმითი დაგვექონდა ცული, იმისთვის თუ სოლები ამოძერებოდა, რო დაგვეკრა. კიდევ, ეხლა რო „ღიშლას“ ვეძახით, რანვედაც უღული გვექონდა დაკრული, იმას ვეძახოდით შოლტყავს. იმ შოლტყავს ქონდა მოსაბმელი და იმას ხალვედეს ვეძახოდით.

პახუხები კითხვებზე:

1. რვილი რომ ცოტა მიბერტყილი (გაბერტყელებული) ქონდა, ის გუთანსი კარგად ხნავდა და იმას თეციან გუთანს ვეძახდით.

2. ხანხის და საკვეთელსაც აკეთებდნენ ადგილობრივ სამშენლოებში.

3. კბილი (გუთნის) და რვილი შეერთებული იყო ხმალით.

4. ხელკავი ცოტა მოხრალი იყო და იმას კიდევ ჯოხი ჰქონდა ხელის მოსაღლები.

5. კოჭები გუთანს უკან ჰქონდა — ერთი კბილში და ერთიც ხელკავში, „იმეღში იყო ჩარევილი“.

6. კოჭა ჩამოყვანილი იყო კოჭებზე.

7. ფთე წინა ნაწილით დამაგრებული იყო რვილზე და უფრო მეტად — კბილზე და უკან კიდევ კოჭაზე. იმიტომ იყო დახრილი, რომ ნახნავი გადაებრუნებინა.

8. კაკაბი გაყრილი იყო ფთეში და კბილში და ქვეიდან კაკაბს გაყრილი ქონდა ფარცხი, რომ ზემოთ არ ამეგლიჯნა.

9. რვილზე დამაგრებული იყო მოკაუქებული ხე და იმაზე ჭამბარი, რომ ჭამბარი არ ამომხტარიყო.

10. დიდ გორგალს ეწოდებოდა კვლის გორგალი და პატარას — ველის გორგალი.

კვერი კეთდება თელის, ვერხვის ან ცაცხვის ხისაგან. სთლიან ცულით ან ხელეჩოთი. ძირზე კეთდება კოხები საკონეხებში.

მთხრ. მათე ებრალიძე, 27 წ. (სოფ. ციხისძირი).

ნიჩაბი. ნიჩაბი გაკეთდება ვერხვის ან ცაცხვის ხისაგან. იმას სჭირდება ცული ან ხელეჩო. რომ მოვევრით იმ ხესა, აუღებთ ზომასა, სიგრძე ექნება ორ-ნახევარი არშინი, იმისი რაც რომ ბრტყელი პირი აქვს — რვა ვერშოკი სიგრძე და ხუთი ვერშოკი სივანე. ის ხე, ორ-ნახევარ არშინზე რომ გაიჭრება. შუაზე უნდა გასკდეს და მერე თუნდა ერთ ნიჩაბს გასთლის და თუნდა ორასა.

პახუხები კითხვებზე:

1. შუაზე იმიტომ ხეთქავენ სანიჩზე ხეს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, მუშაობის დროს ნიჩაბი გასკდება შუაზე.

2. პირველათ ცულით სთლიან სანიჩზე ხეს, ხოლო შემდეგ ხელეჩოთი ასუფთავებენ. გათლის დროს ტარსაც და პირსაც სთლიან ერთდროულად. „ხან თუ ტარი გვეთლება, მერე დაჰხედავს და პირს გასთლის“. ერთ დღეში ერთ კაცს სამი ნიჩბის გათლა შეუძლიან. ხის ნიჩაბი შესდგება ნიჩბის ტარი-ხვან და ნიჩბის პირიხვანგან. ხის ნიჩაბს უმთავრესად ხმარობენ პურის განავების და აღების დროს.

ბარი. ტარი სხვადასხვა ხის შეიძლება გაკეთდეს. ტარში გაკეთებულ ფეხის დასადგმელ ჩხირს სატარფულს უწოდებენ.

ფიწალი. ფიწალს ვაკეთებთ შვინდისას ან კიდე თხილისას. იმის გაკეთების დროს მოჭრილი ხე უნდა გავაბოთო ცეცხლზე, მერე იმას გაუკეთებთ ორკაბ ჭოხს და იმას კიდევ მეორე ჭოხით დავეწვით და დავაბამთ. ესე დარჩება ერთი თვე.

ფიწალს მთხრობელი ეძახის ხამთითას ან ოთხთითას.

პახუხი კითხვებზე:

1. ფიწლის სიგრძე დამოკიდებულია იმაზედაც, როგორს იპოვიან თვით ბუნებაში. არის ერთ-ნახევარი, ორი და მეტი არშინის სიგრძის ფიწლები.

2. გაბზობის შემდეგ ქერქს გააცლიან ერთი ან მეტი თვის შემდეგ.

3. ნაწილები: თითები და ტარი. ასეთივე წესით კეთდება ორთითა.


არნადი. არნადი უნდა გაკეთდეს ან ცაცხვის, ან ვერხვის, უნდა გაითათლოს პირველში ცულით, მერე კიდე შეიძლება ხელეჩოთიც გაითათლოს ისა, სიგრძე — ერთ-ნახევარი არშინი, სიბრტყე კი რვიდან — ათ ვერშოკამდე შეიძლება. გათლაში იმას ურჩება კიდევ სატარე, რომელიც უნდა ამიხვრიტოს სატეხით და უკან შუა ადგილზე ტარი გაუკეთდეს. ტარი რა ხეც უნდა იყოს სულერთია.

პახუხები კითხვებზე:

1. არნადი იხპარება პურისა და ბზის მოხახვეტად.

2. არნადს პირის უკანა ნაწილთან აქვს რამდენიმე სანტიმეტრის სიმაღლის წინ დაქანებული ნაწილი, რომელიც პურისა თუ ბზის მოხვეტის დროს არ აძლევს საშუალებას უკან გადმოიპნეს.

ცაცხვის და ვერხვის ხისაგან იმიტომ კეთდება არხადი, რომ აღნიშნული ხეები რბილი ხეებია და არ იმტყრევა მუშაობის დროს.



სურ. 19 არხადი.

კაბლო კეთდება წიფლის ხისა, სიგრძე [აქვს] ორ-ნახევარი არშინი, სიბრტყე — ექვსი ვერშოკი. ის კიდევე შუაზე ორ ადგილას უნდა გაიხვრიტოს, სადაც გაუკეთდება ხელნები. ხელნები იქნება სამ-ნახევარი არშინი. ის ხელნები კაბლოს დახვერტილებში რომ ჩავა, ბოლოებში დახვერტილია, სადაც ჩხირებს ჩაუყრიან, რომ არ გამოსძვრეს. ბოლოში კაბლოს გამეუმბემა ჭიჭული. ჭიჭული დაწულია ორ ჭოხზე. ისაც კაბლოს სიგძე უნდა იყოს, რომ გასწვდეს ის ჭიჭული იმას. როდესაც ვწნამთ, ისეა დაწული, რომ წნელების ცერები ქვემოთ ექცევა და ბოლოები ზემოდან ექცევა და იმას ზემოდან დავაკრამთ ხეს, რომელსაც ხაჭაჭულეს ვეძახით. ეს საჭიჭულე იმიანთვინაა, რომ ფიჩხები ნახნავს დააწვეს და მალა არ ამოიწიოს. ფიჩხი ან თხილისაა ან შეინდის. როდესაც მაგარი ნახნავია, მაშინ ორი-სამი კაციც შეიძლება დაუჭდეს, როცა კარგი ნახნავია, მაშინ ერთი კაციც ეყოფა. უღელში ორ-სამ უღელ ხარს შეაბამენ ხოლმე.

წნელობს ან ფიჩხის ცელი — წნელობს ძირი, წნელობს ირიბად გადაჭრის ადგილი.

ურემი (ცხენის). ურემი გაკეთდება ცაცხვის. ხელნები უნდა იყოს ფიჭვი ან კიდევე მუხა. ჭერ უნდა გავთალოთ ცულით, მერე უნდა გავასწოროთ ხუშტარით; მერე უნდა გავთალოთ კიდე „შეშეპკით“, მერე უნდა გაუსოთ „რუბანკა“ და გავწმინდოთ ზეითა. მერე ის დაწყობილი ხელნები დავხვრიტოთ სატეხით, იმას უნდა გაუკეთოთ მუხის დაწდლები, მერე დავხვერტამთ კიდევე იმ ხელნებს, რომელსაც გაუკეთებთ მუხის ჰავლებს. იმ ჰავლების ზემო თავზე გაუკეთებთ ზეწრებს, ბოლოს ფიცარი უნდა დავაკრათ ძირსა და გვერდებზე.

ხელნებსა და თვალის ღერძს შორის (აქეთ და იქით) არსებულ ხის ნაწილს ეწოდება დათვი ან ლეკვები.

ხუშტარა, „შეშეპკა“, და „რუბანკა“ — სარანდავებია.

მთხრ. შაქრო ბადაგაძე, 33 წ. (სოფ. ბიჩინიკურთკარი).

ურემო. აკეთებენ მუხისაგან, თელისაგან და იფნისაგან. ხმარობენ ცულს, ხელეჩოს და საჭვრეთელს (სატეხს).

ნაწილები: ურემის ნივთი შესდგება შორგვისაგან (ცენტრში); შორგვში ჩასმულია ხოლბები, რომელთაც ზემოდან არტყავენ ფერხობები. თვალის შორგვში გაყრილია ღებო (წიფლის ან რცხილის), ღებოზე დადგმულია ურემის უბე (ურემის მთელი ზედა ნაწილი). უბე შესდგება: ხელნებისაგან (ორია, ურემის მარჯვნივ და მარცხნივ გადებული ორი გათლილი ხე, რომლებიც ურემის თავისაყენ ერთდებიან); დანდლები (რამდენიმე, აკავშირებენ შიგნიდან ხელნებს); ჰვალბები (თორმეტი წამწყვეტილი სარის, რომლებიც ჩარჭობილია ხელნებში ზემოდან); ზეწრები (ორი ჩამოცმულია ხელნების პარალელურად ჰვალბებზე).

უკანა კოფა — სულ უკანა ფიცარი, გაყრილი ხელნებში ამაგრებს ხელნებს.

წინა კოფა — ურემის წინა ნაწილში ჰვალბებზე ჩამოცმული მოკლე ფიცარი.

ტაბიკები — ოთხია, ორი გაყრილია უღლის მარჯვენა მხარეს და ორი — მარცხენა მხარეს. ხარი ტაბიკებს შორის გაუყრის კისერს.

ღმაცები — ღერძა და ხელნებს შორის მოთავსებული ხის ორი სქელი ფიცარი.

საყენებლები — ოთხია, ორი ღერძის მარჯვენა მხარეს და ორი მარცხენა მხარეს. წინიდან და უკანა მხრიდან ეკვრიან ღერძს.

კონკილა — ურემის შესაყენებელი ჯობი.

ხარკვაფი — ხარების უკანა ფეხებთან დამაგრებული მთლიანი ჯობი, რომლის თავბოლო გამოწეულია ურემის წინა ნაწილთან — მარჯვნივ და მარცხნივ.

კორაქი — უღლის ამოწეული ნაწილი ხარის კისერთან.

ღახტი — დაწნული ნაწილი, დაგებულია ურემის ძირზე, დანდლებზე.

ხანა რქა — ურემის თვალის ვახაპოხი საპონი ინახება.

თავტაბიკი — ხელნების გადაჭკარედიწების ადგილას (ურემის წინ) ხელნებში ჩაყრილი ტაბიკი.

თავწნელი — რომლითაც შეკრულია, დამაგრებულია წინა ხელნები.

მთხრ. გიგუა ბიქიაშვილი, 98 წ. (სოფ. ციხისძირი).

მარხილი. აკეთებენ ცულისა და ხელეჩოს საშუალებით. მარხილები — ორი გრძელი ხეა, თავისაყენ ამოხრილი, რომლებიც მიწაზე მიტოკავენ. **ხართაულები** — ორია, გაყრილი სივანეზე მარხილებში თავში და ბოლოში. **ნემხა** — გაყრილია წინ მარხილებში. **მარხილბელნეები** — ხარების შებვის დროს მარხილბელნეებს ნემხაზე დაამაგრებენ. **კოჭები** — ოთხია, ორი წინ და ორი უკან, ჩასმულია მარხილებში და ურემის ჰვალბებით მწვეტიანი თავი აქვს. **საფანდები** — მარხილის უკანა, კუდივით. ამოხრილია მალა და დანიშნულება აქვს, რომ რაც შეიძლება მეტი თივა დაეტიოს.

ბერა — გრძელი სწორი ჯობია, რომელიც თივას ზემოდან დაედება და შემდეგ თოკებით შეიკვრება. ბერა თივას იცავს გადაწევისაგან.

მთხრ. შიო ნარიმანიძე, 40 წ. (სოფ. შონჩა).

ერთად დადგმულ ხუთ იწას კოჭეულა ეწოდება, ხოლო ოც-ოცდაათამდე კოჭეულა შეადგენს ხუთულას.

მარხილი. ნაწილები: ღოებები (ორი, რითაც მარხილი მიცოცავს) ხაბუხები (ორი, ღოების გაყოლებათე), კოჭები (აკაეშირებს კუთხეებში ღოებს და ხაბუხებს), ღერძი (ორი, გადებული ხაბუხებზე სიგანეზე თავში და ბოლოში) და ჯახები (გადებულია ღერძებზე).

შემინდვრობა


რიგრიგას. ეწოდება აგრეთვე ნაცვალგარდა და დანაცვლება (ცნობა მომწოდა სოფ. ბიჩნიგაურთკარის მცხოვრებმა 29 წ. ილო ქადაგიშვილმა).

ალო. ხენის დროს საქონლით დახმარება (80 წ. თედო ებრალიძის ცნობა, სოფ. ციხისძირი).

გუღამაშარი

მთხრ. ფილიპა ჩოხელი, 70 წ. (სოფ. ჩოხი).

ლაჩქიმო მარხილის მაგვარია, ნხოლოდ უფრო პატარა ზომისაა. ნაწილები: ფეხები (ორი), მკლავები (გაყრილია ფეხებში); თავში და ბოლოში ფეხები დაკაეშირებულია წნელით, ხოლო შუაში სამი მკლავია. წნელები მკლავებს ამაგრებენ ფეხებში, კონტი — ბოლო კაუჭიანი ჯახია. მეორე ბოლოში ამ ჯახს გაკეთებული აქვს წნელი, ეს წნელი გაუკეთდება ლაჩქიმის წნელს,



სურ. 20 მარხილი.

კაუჭი კი უღელს მოედება და ამგვარად შეიძლება მთებიდან თივის ჩამოწოდვა.

იციან ჭინი. ჭინით ბზისა თუ სხვა რაიმის ზიდვის დროს ჭინს დასდებენ ლაჩქიშზე ან მარხილზე.

მთბრ. გიორგი ბეჟურაი, 48 წ. (სოფ. გამსი).

მარხილი. ნაწილები: უღელი, ხელნები (აკეშირებს უღელთან მარხილის დანარჩენ ნაწილს), მარგვი (წინ აკეშირებს მარხილის ლოებს, ანუ ფეხებს, ხელნები მარგვეთა გამოდებული), კოფაა (წინ გარდიგარდმო ვადებული გათლილი ფიცარი მარგვის შემდეგ), ლოები (ფეხები, ლოებით მიცოცავს მარხილი მიწაზე), კოჭები (აკეშირებს ოთხივე კუთხივ მარხილის ლოებს გვერდის ფაცრებთან) და ტაბიკები (უღელში).

პართლი მტკვრის ჩრდილოეთით

მთბრ. ხანდრა ლალიაშვილი, 55 წ. (სოფ. ბაზალეთი).

ხის ნიჩაბი. კეთდება წიფლისაგან, ვერხვისაგან და ცაცხვისაგან. ხანიჩბე ხეს სისქე ექვსი-შვიდი ვერშოკი აქვს. ასეთ ხეს გახეთქამენ ცულით შუაზე და შემდეგ სთლიან ცულით და ხელჩრთი. შუაზე გამოიღო ხეს ეძახიან ნაოთხაღს. შუაზე იმისათვის ხეთქამენ სანიჩბე ხეს, რომ შემდეგ გახეთქილი ხე არ მოიღუნება.

ორთითი. მოჭკრით ერთი ვერშოკის სისქის ორთითა ხეს, თხილის იქნება თუ შვინდის. გუტუსამთ ცეცხლზე. ის ხე რო მორბილდება, მოუხრით თითებს და შევინახათ. თითებს ასე უხრიან: თითებთან სიგანეზე ერთ მოკლე ჯოხს ზემოდან დასდებენ და მეორეს — ქვეოდან და წნელებით დააბამენ, შემდეგ ამ გადებულ წინა ჯოხს ქვეოდან სიგანეზე გრძელ ჯოხს შეუყრიან და დასწევენ, თითები ზეითკენ აიწევენ, მოიხრებიან. ამ გრძელ ჯოხის ბოლოს ორთითას ტარზე დაამაგრებენ, დააბამენ და ასე დასტოვებენ ერთ ან ორ თვეს. შემდეგ, ამ ჯოხებს რომ მოხსნიან, თითები მაინც მოხრილ მდგომარეობაში რჩებიან. ასევე კეთდება სამი და ოთხთითებიც.

არნადი. აკეთებენ სიმსუბუქის გულისათვის ვერხვისაგან. სთლიან ცულით და ხელჩრთი. იხმარება ბზისა თუ სხვა რაიმის მოსახვედრათ, მოსაგროვებლათ. არნადს აქვს რამდენიმე სანტიმეტრის სიმაღლის უკან გადაქანებული ფიცარი, რომელიც საშუალებას იძლევა ერთ მოხვეტაზე ბევრი ბზე თუ სხვა რამ მოხვეტოს.

მთბრ. მიშა ტატუნაშვილი, 20 წ. (სოფ. ყანჩაეთი).

ბოლოთრია. კეთდება წიფლის, მუხის და სხვა [ჩიშის ხისაგან]. ითლება ცულით, შესდგება: ორი პატარა თვლისაგან, ღერძისაგან, ორი ხელნებისაგან, ნეშხასაგან (გაყრილია წინ ხელნებში), კოფასგან (სამია, ორი შუაში და ერთი ბოლოში), ფეხასაგან ექვსი ფეხაა, მარჯვნივ და მარცხნივ დამაგრებულია სიმძლევზე, როგორც ურმის ჰველები, ყვერნებისგან (თვლის სატარები, რაც ჩამოღლია ღერძის წინ და უკან და ამოვარდნსაგან იცავს). ლატნებისგან (ბოლოთრიაზე აწყვია ზემოდან, დამაგრებულია წნელებით), ხელნებისაგან (ორია უღელთან), უღლისაგან.

უღლს აქვს: ტაბიკები (ოთხი), ანუურები (საბლები), ქორაქი (უღლის ამოწეული ნაწილი ხარის კისრის ზეეთ), თავტაბიკი (წინ, უღელსა და ხელნებში გადის).

თვლის ნაწილები: მორგვი, ხოლები (ჩამოღლია მორგეში), ფერსოები (სოლებზეა. ოთხი ფერსოა. თვალი ხომ წრეს წარმოადგენს და ფერსო ამ

თვალისწირის მეოთხედი ნაწილია), ფეხები (თავში და ბოლოში ფეხები ძნებს იმაგრებს). არის კავიანი ბოლოთრია. კავი იცავს ძნებს უკან დაკვერისაგან. სოლების ჩასასველად მორგავს სატეხით ამოსტეხენ. სატეხს ზემოდან ურტყამენ ხის ჩაქუჩს, ანუ ხვედას. ბოლოთრიას ყველა ვერ აკეთებს.

ჭინი — გოდრის მაგვარად დაწნული ერთი არშინი სიმაღლის და ორი-სამი არშინის სიგრძის ჭურჭელია. იხმარება ზღვის და სხვა რამის გადახატანათ (გაბო ინაშვილის ცნობა, 56 წ. სოფ. ვეძათხევი).

კირკალი — რკალივით მოხრილი ჭობია, რომლის ორი ბოლო ერთმანეთთან წინელითა დაკავშირებული. იხმარება ხარების დასამშლათ; კისერზე გაუკეთებენ და შემდეგ კირკალის წნელს თოკს მიაბამენ, თოკის მეორე ბოლოთი კი განსაზღვრულ ადგილას დააბამენ ხარი იქნება თუ ძროხა. (სოფ. ზორტიანი).

ჯიშო ქართლი

მთხრ. ბუბარონ ავთანდილის ძე ხრეხელი, 69 წ. (სოფ. ქარიაშენი, 1935 წ. დეკემბერი).

ხის გუთნის გაკეთება, გუთანს ვთლით ფენის, აელის, მუხის ხისაგან. ჭერ გაითლება გუთანი თითონ, ბრუნდით, მოკაეულათ უნდა გათლილიყო. გუთანი მაინც საფენი უნდა ყოფილიყო სიგრძით, სისრულე ოთხი ვერშოკი მაინც უნდა. უნდა ყოფილიყო შუპ მუცელი; მერე უნდა გათლილიყო კბილა, ერთი შეტრი უნდა ყოფილიყო უსათურდ. კბილქაზე იყო სახნისი გაკეთებული და ხნავდა. მერე უნდა გაკეთებულიყო ხმალა. ხმალა კბილქაშიაც ასული იყო და გუთანშიაც. გუთანს ბოლოდან გაუკეთებდით მანჭოებს, გუთანიც გაიხვრიტებოდა, კბილქაც გაიხვრიტებოდა და შიგ კბილქაშიც იყო მანჭო; კბილას ბოლო დაჭერილი ჭონდა და გუთნისაც მანჭოს, რომელსაც ვეძახოდით ველის მანჭოს. კვალის მანჭოზე იყო ფრთები დაკრული, რომელსაც უნდა [გა]დაეყარა მოხნული მიწა. ფრთა შლიდა დახულ მიწას. გუთანს ჰქონდა კიდევ კაკაბი, ფრთა იყო იმითა გამაგრებული, დაკრული. ფრთა ეჭირა კაკაბსა და ფრთას არ უშვებდა. უსათურდ გუთანი იდო ფამფალაკზე. ფამფალაკი დერძი იყო, რომელსაც შოლტას ვეძახოდით. შოლტაზე გამობმული დეედი და გუთნეული ეწეოდა. ფამფალაკს ორი გოგორა ჰქონდა — კვალის გოგორა დღი იყო და ველისა კი პატარა. გუთანი და შოლტა ერთმანეთზედა შეეთიხებელი იყო ჭამბარათი.

შემოდგომის ან ნაოშ გუთანს უფრო პატარას ვაკეთებდით, სიგრძითა პატარა იყო და სუსტად ევლიდით.

ანუელის გუთანი — გაზაბხულის — უფრო სრული იყო, მძიმე ხე იყო, მაგარი ხე უნდოდა, რადგან ჰავარი იყო დედამიწა. არის კიდევ ორხელა-გუთანი. გაზაფხულზედა ამუშავებენ ოსები და არა ჩვენ. ქვეშა კბილა აქვს და მას აქვს ჩარჭობილი კავი. უკნიდან კი ორი მკლავი აქვს, რომელსაც ვეძახით სახელურსაც. საკეთილი რკინისა არის, ხმალაზე წინ არის და გაუჭრის სახნის[ს]ა მიწას.

აჩაჩა გრძელს ვაკეთებდით, საუნინი მაინც უნდა ყოფილიყო; იმას ესხა მხოლოდ ხის კბილები, როდესაც ბალახიანი იყო მიწა, იმას უნდა აეჩეჩა. აჩაჩა სხვადასხვანაირი იყო — ზოგი ორკბილიანი იყო, ზოგი ათკბილიანი იყო. რომელიც დედამიწაზე რომ დაგეშვა, სულ გლეჯავდა ბალახებს. ათ, თორმეტ კბილს უკეთებდით, რომ კარგად ეოშა. იხმარებოდა —

შემოდგომიანი მოხსნული რომ გაბალანდებოდა — გაზაფხულითაც, როცა ძრალი იყო (შემოდგომის ნახნავი გაზაფხულზე ძრალია) და [როცა] გაბალანდებოდა, იმასაც აეჩივადით ხოლმე.

გუთანს გაუკეთებთ ტანსა (ხუჭა), გადმოვაწვენი და გაუკეთებთ ფეხებსა კბილაში. გაუხვრეტავთ კვალის მანჭოსა, გაუკეთებთ ველის მანჭოზე და გაუკეთებთ შიგ ჭვარედინათა სახელურებ მანჭოსა და ხმალას დაჟაყრავთ ფრთებს კვალის გასაშლელათ, მოვარგობთ სახნის კბილზე ამოუჭრით ხახაკვთლებს და გაუკეთებთ საყვეთელს, ყელში ამოუჭრით პატარა ხაკორავებს ან ხაჭაშბრებს და გაუკეთებთ კორახს გუთანს.

მთხრ. შიხიელ გიორგის ძე ედილაშვილი, 56 წ. (სოფ. ბრეთი, 1935 წ. XI).

ღამისხენა — არის ღერჩოტის ნაწილი, რომელზედაც ...იდება გუთნის მანჭოები.

ჩუი — ჭოხი — გუთნის საფხეკი, პირი აქვს ხოლივით; აპით ვაცლით გუთანს რომ მოუღება რაიმე, ან ჭანგი (ბალახის ძირია).

ცანდი — რითაც ლეკვი ჩამობმულია უღელზე, სამხელოა.

მთხრობლები: მალხაზ ანდრეას ძე ფეშენაშვილი; 80 წ. იახებ ხანდროს ძე გულიტაშვილი, 35 წ. სოფ. შინდიაი, 25 I 1936 წ.).

გუთნის ღვედების გაკეთება. ტყავს ჭერ შემოვჭრით ირგვლივ, შემოვჭრით ღეროებებს (ფეხის ტყავი უნდა შემოვჭრათ და ისე შემორგვალდება). მერე რომ შემორგვალდება, გავათფობთ წყალს, დაკეცავთ იმ ტყავსა; ჩავდებთ გორდაში და დაეასხავთ თფილ წყალსა, რომ დალბეს. მერე ამოვიღებთ და გავაშრობთ. რომ შეშრება ცოტათი, იმას ირგვლივ შემოვჭრით, გარეშემო — ერთი ვერშოკი სიფართით. ამას ხალვედ კანს ვეჭახით. ირგვლივ რომ მოვჭრით, რჩება რგვალი, რომლის ამოჭრა აღარ შეიძლება და იმას ვეტყვით არაგულს, რომელსაც ვხმარობდით ჭალაშნათ. საღვედე კანს გავასუფთავებთ, საცა სქელია, გავთლით და საცა ბალნიანია, იქ გავფხეკავთ. შემდეგ კანს გადავზომავთ ათ მხარამდისინა; ერთი მხარი რომ გადავა, იმას გადავასკვნით, მერე კიდე ათ მხარს გადავალთ, სულ არის ოცი მხარი, შუაგულზე გაუკეთებთ ყურთმაჯს, რომ გუთანს გამოვებათ. ათ მხარში არის ჩვიდმეტი წვერი (ე. ი. ჩვიდმეტი კანი). იმ კანსა ავხვევთ, შევამოკლებთ და დავწნათ — ჭერ ერთბაშად მოვეკუპავთ ხელითა კანს, ჩვიდმეტი რომ არის, რვა აქეთა და რვა იქით, ერთი წვერი კი გადავდის და გადმოვდის, ასე რომ, ტოლმეტად არ მოვიდეს, შუაში მუშაობს ისა, და შემდეგ დავწნავთ და გავათავებთ. გაუკეთებთ ბოლოს ყურთმაჯსა; მერე იმ დაწნულ ღვედს გავკვიმავთ — ჭერ მოვიტანთ თავლაში — ბოხელში, გაუკეთებთ კეტს ყურთმაჯაში, მიუღებთ. მერე მოვდებთ იმ კეტსა ხანათურში, იმას მორეწვერიდან მოვებათ თოკს და მივებათ ბოძს, მერე იმ თოკს გაუკეთებთ პატარა კეტს კიდევ, მერე დავაჭახრაკვებთ იმასა და შემოვატრიალებთ, ბოძზე შემოვაპროწიალებთ და დაიკვიმება. იქნება ერთ კვირესა, მერე იმასა შევხსნით, გადავზომავთ და გაუკეთებთ რიკებს (რომ უღელმა არ გაცვითოს ღვედი), რომელსაც საქლემს ვეტყვით (საქლემი — რიკში ამოიღება და ინახავს ღვედს). კულაშხაც (შეგრებილი ტყავი) ამოვდებთ საქლემთან, რომ უღელი წინ არ წაი-

ღეს, დაიჭიროს და წინ გასწიოს ხარმა. მერე ღვედს გაუკეთებთ გუთნის კორძხა, შევაბავთ ხარებს შიგ ულულში.

იარაღებს ვხმარობთ დანახა და ხის ჩხირსა.

მთხრ. ილა იორდანეს ძე ნოზაძე, 59 წ. (სოფ. მოხისი, 1936 წ. .იანვარი).

ხახნისხის ჩივილი

სახნისმა თქვა: ქვეშევნეტ დავალ
შისი შუქი მენატრება.

ეს ხაკვეთელმა გაიგონა, —

ჩემუდ მტრი შენ რა გვხვდება,
მეტისმეტი წინ ძლოლითა
წინ კბილი არა მრჩებათ

ეს ქაშხარამ გაიგონა, —

ჩემუდ მტრი თქვენ რა გვხვდებათ,
ავღარიამ, მე დავლბებთ,
ღარი ცეცხლათ მომედება.

გუთანო. გუთნისდგედა დაიწყებდა სიმღერას —

მოხან და მოხან გუთანო,
ქვემო ქართლელო თელავო.
ანგრეთი ბედლი გოდადე,
დიდი კამზენის ტელავო.
კარგი პური მოიყვანე,
რომ გამოვძლოთ ყველავო.
ცოცხალი შენით დღის[არებათ —
კვლარი შენით დამარებათ.

• • •

გუთანო, შენი პირიმე,
მაგ შენი ბრუნდე ყელისა,
გადაბრუნე ყიშირი,
მოყვანი იცი ქერისა.

მთხრ. გაბო ხვიშონის ძე ხარაული, 62 წ. (სოფ. ქოლოთი, XII, 1935).


კვტრის გაკეთება. მოკვრით დიდ ხეს; თუ დიდია ძალიან, დავმორავთ ცხრა ტყაველზე სივრძეზე. თუ სხვილია, შუაზედ ჭავაპობთ და გამოვა წყვილი; მერმე გავთლით პრტყლათ, ყელი უნდა გამოუყვანო; ყელს წინა წვერის მალლა უნდა ამოუყვანოთ, რომ ამოებას წნელო, ძირი ხაჭურთლით უნდა დავხვრიტოთ და შიგ ჩაუსხათ კოხებში ერთი გოჭის დაცილებით, გინდ — კუთხიანად, გინდ — ირიბად.

მთხრ. ნაყო ხვიშონის ძე ნინიკური, 90 წ. (სოფ. თიღვა, 1936 წ. იანვარი).

ნინისხის გათლა. ცულს დავარტყავთ, შევახეთქავთ ხესა, დასტოვე[ბე]ნ ორ ჩარეჭს ან სამ ჩარეჭს პირად, დავხვეტავთ ბოხელს, გადავყრით პატფხს. ფიწლის გათლა. გავთლით წიფლის ხისაგან ცულით, როგორც ნინისხს, მერე ჩავკვრით ოთხ თითს და დაუყენებთ თითებს; ვხმარობთ პურის ნიაობაზე, ბხის გადაწევაზე.

მთხრ. ილა იორდანის ძე ნოზაძე, 59 წ. (სოფ. მოხისი, 1936 წ. იანვარი).

საფორცხელის გავითება. გავთლით ვინდ იფნის, ვინდ თხილის ხეხ. ჭერ გავაკობიტებთ წალღით, შერე დავხვრიტავთ „ბურაოთ“ საფორცხელსა და გაუკეთებთ თითებს დახვრეტილებში; ტარი ორკაპი ხე არის. დედაშიწაზე



სურ. 21 კერის ტაბეზი,

რომ დარჩება თივა ან პური, ამით უნდა მოიფორცხოს, გაიტანს სულა და ერთ ღერსაც არ დააგდებს.

მთხრ. დიმიტრი ტეტიახ ძე კაპანაძე, 65 წ. (სოფ. წაღვლი, ხაშურის რაიონი, 1936 წ. იანვარი).

ფოჩხი. იყო ერთნაირი გრძელი ხე, იმას ვეძახით. ფოჩხის დედანში გაუყრიდით ოთხ[ი] ვერშოყ[ის] დაცილებით თითებს, მხოლოდ უნდა ყოფილიყო წყვილ-წყვილი, რადგან კენტად არ შეიძლებოდა — არ უნდა ყოფილიყო თხუთმეტი წყვილი, თექვსმეტი, ოცი წყვილი. ვისაც საქონლის გამწევი ძალა მეტი ჰქონდა, მეტ წყვილს უკეთებდა და ვისაც ნაკლები ძალა ჰქონდა საქონლის, ნაკლებ თითებს უზამდა.

დედანში გაყრილი იყო შოლტა, იმაში გამბული იყო შოლტა საბართით, უღელი ხარით. ღვედი იყო კიდევ დაბული დედანზე და იმაში კიდევ — ერთა გუთნეული.

მთხრ. ბეხარიონ ავთანდილის ძე ხრეხელი, 69 წ. (სოფ. ჯარიაშენი, 1935 წ. დეკემბერი).

კაბდოს გაცეთება. თეხვის დროსა კაბდოთი ვფარცხავდით. კაბდოს გაუკეთებდით ორ ხსარხს, ზედ დავბაწრავდით ფიხხსა, ბოლოები გრძლათა ჰქონდა გაშვერილი: წინიდან გაუკეთებით ფიცარხსა, რომლის სიგრძე ოთხი არშინი უნდა ყოფილიყო, სიგანე მანც უნდა ჰქონოდა ერთი რვა-შვიდი ვერშოკი. ამ კაბდოს ფიცარს მივაკრავდით ისრებთან და — ფიხხსა წნელეხითა; — ფიცარი დახვრეტილი იყო „ბურაოთი“. კაბდოს ორი ხელნა უნდოდა, რომ ზედა უღელე დაჰკროდა და რომ იმით ეწია საქონელსა. ამას ჩვენ კიდევ ფაცხსა ვეძახოდით. ფარცხის ეტყვიან, რომელიც ფიხხით არის დაწნული. საერთო სახელი კი კაბდოა, რომ შეთვისებულია ყველაფერი ნაწილით. კაბდოს[ს] განაფხულზედაც ვხმარობდით და შემოდგომაზედაც თესვის დროს, განაფხულზე — სიმინდზე, შემოდგომაზე პურზე და ქერზე.

მთხრ. ზაქარია გიორგის ძე კახანაძე, 80 წ. ურმის მოხელე (სოფ. წაღვლა, ხაშურის რაიონი, 1936 წ. იანვარი).

ქერ უნდა გავთალოთ ხუნდი; ხახუნდით ვკრიდით თელახ და კაკლის ხეს. ქერ შემოვხაზავთ ფარგლით, მერე ხატეხით თავებს გაუკეთებთ, მერე დავხვრეტავთ ზომიზედა და ხოლგებს დავასხავთ მუხხსახს. მუხის სოლი უნდა იყოს ერთი წლისა მანც, სხვა ხე არ ივარგებს, რადგან სხვა ხე რბილია ურმის გოგორას უნდა თორმეტი სოლი. მერე ფეხო უნდა გაუკეთოთ, წიფლიხსა, მუხისა, თელისა — სუყველა ივარგებს. შემდეგში ფარგალში შემოვთლით და დავარგვალებთ. თორმეტ ფესოს ორი სოლი უნდა. ესე რომა, ექვსი ფესო უნდა. მერე ხუნდი უნდა ჩავასორხოთ ხაღერძით და მერე ღერძს გაუკეთებთ და დავამაგრებთ ჭინჭილაქით. ღერძი წიფელის უნდა იყოს. ხელნა უნდა გავაკეთოთ ან თელისა, ან წიფელისა, ან მუხის ხისაგან. შევკრავთ ორ ხეს ერთად, თავი თავს გადაუდებთ, მერე დანდღეხი უნდა გაუყაროთ შიგ და შევკრავთ დანდღეხით მაგრად, რომ აღარ დაიშალოს. მერე ჰალეხი უნდა დავსხათ ზედ, თორმეტი ჰალი უნდა. კვერნები უნდა დავასხათ ოთხი; მერე დანდღეხზე დავავოთ ფიცრები, რომელსაც ლართხას ვეძახით. ჰალეხს გაუკეთებთ ორ წყვილ ზეწარს, მერე უკან [და] წინ ზეწარებს ზეიდანა გაუკეთებთ კოფოს და ზეწარს შევკრავთ წელხყოფოთი, ხარეკს უკეთებთ ურემს მესამე ჰალზე წინიდან, იმიტომ რომ გოგორა აღარ მოეწევა ხარს, შუოკებს, აღარ წახიდენს ხარსა. შემდეგ გაუკეთებთ უღელს წინ; საცა ერთად არის შეყრილი ხელნა, თათებში გაუკეთებთ. ჩაუყრით თათებში თავტაპიკს გავაშუალედებთ, უღელს გავხვრიტავთ, საცა მოდის ზომა, ბურაოთი. გაუყრით შიგ ტაპიკებს. ტაპიკებს შუა ვაკეთებთ ხაქედურს, რომ კისერი არ წახუნდეს ხარს ტაპიკებს მოვამავთ აბურს. ხელნას მოვაკრავთ დუშახ, რომ სოლს არ მოხვდეს დანდალი. გოგორას ჩვენ ურმის თვალს ვეტყვიით.

ურემი ორგვარია — ხაძნე და ხაბარო. საძნეს უნდა ჰქონდეს გრძელი ჰალეხი, რომ ბულუღი განიერად დაეწყოს.

მთხრ. ვაგო ანტონის ძე ხახუტაშვილი, 65 წ. (სოფ. მეგვრისხევი, 1935 წ. იანვარი).

ურმის ნაწილები. ურემ[ს] აქვს ორი ხელნა, რომლებიც თავში ერთმანეთზე გაეწყობიან, ბოლოში განზე დგანან. ხელნეების თავს ქვიან თათები. თათები გაბერტილია, შიგ ჩაყურება ტაბაკი. ნახერტის ალაგას უღლის გახაუარია. ტაბიკი ეყრება ზემო თათს, უღელს და ქვემო თათს. ხელნები იხვრიტება ორ მხრივად — ზევიდან და გარდიგარდმო. გარდიგარდმო ეყრება დანდღები, ზემოდან ჰალები¹. ხელნები ბოლოში დაკეტილია კოფთით. კოფთაში აქეთ-იქით ისმება ქალები, რომლებიც ხელნებში გადადიან. ქალებს ჩამოეცმება წერხები, რომლებსაც თავსა და ბოლოში უკეთია კოფ[ო]ები. ხელნებს ქვეშიდან, შუაგულში აქვს ოთხი ნახერტი, რომლებშიც იქედება კვერნები. ასეთ გამზადებულს, უთვლებოდ, ჰქვიან უბე. უბეზე გაპყრიან თხელ ფიცრებს, რომ წვრილი ხაბაღნი არ ჩაცვიდეს ძირს. ამ ფიცრებს ჰქვიან ლარ-თხები. ხელნებს თვლებს ალაგას, გარედან, დატანებული აქვს დუშები, რომლებიც თვლებს განზედ აყენებენ ხელნიდან, რომ ხელნები არ წახდენ. თუ დუშები არ დაყვა ხელნას, მათ მაგივრად მიაკარვენ ხის მაგარ ნაქრებს, რომელთაც ჰქვიან ლიკვები. კვერნებში გაიდება ღერძი, ღერძზე შედგება უბე, ღერძს აქეთ-იქით შეყრილი აქვს თვლები. თვლებს შედგება შორგვებისხაგან, რომლებიც ირგვლივ დახერტილია და შიგ არის ჩამსული სოლები. სოლებზე ჩამოეცმის ფერხობები. ფერხობებს გადაკრული აქვს ერთნაირი რკინა — ხალტი. ღერძების თავები დახერტილია და შიგ უყრია ჭინჭილაქები, რომლებიც დამაგრებულია მავთულთით. თუ ჭინჭილაქი გამოქვრა, ღერძს თვალი გამოსძვრება და ურემი დაეცემა და გატყდება. უღელი ნაპირებშიაც დახერტილია. შიგ ჩაყურება ოთხი ტაბიკი. ტაბიკებს შუა უღელს ამობურთული აქვს ხაჭე-დურები, რომ საქონელს კისერი არ წაუხდეს.

ურემები არის ხაბარო და ხაძნე. საბარო სასუბუქო საზიდავია და ჰქვიან ხაბარო ურემი; საბარო მომცროა და მოკლე ქალებიანი; საძნე დიდია და მალაქუალებიანი და ხახააღნო ხაზიდავია. ურემის წინა ნაწილს ჰქვიან ურემის თავი და საქონელსაც — ურემის თავის ხარები. სასაპალნო საზიდავის დროს ურემის თავს მოების ხაყევარი, რომელშიაც შეეშობს ხაყევარის ხარები. საყევარის ხარებს ურემის თავში არ ამბავენ. საყევარში ჰაჭვი ან დაწნული ტყავია და ჰქვიან ხამატი. ურემი კეთდება უმეტესად მუხხისა, იფნისა, თელისა და სხვა [ჭრისის ხისა].

მთხრ. ხოლო დავითის ძე ტიტვინძე, 84 წ. (სოფ. არადეთი, 1935 წ. XII).

ერთ მორბალ ურემისას გავხეშავთ (ხოლებს გაუყრთ), მეორე ბორბალს კი ვეძახით ხაბარუნისას. ჭინჭილაქს და შორგვს შუა გაუკეთებთ რჩოლს. ის აძლევს საშუალებას, ჭინჭილაქი არ წახდენს ხუნდსა, აღარ მოღრნას, მეორე ღერძისთავს ველარ გაიტანს ხუნდი გარედ.

დაყანდება — როგორც ობს ისე მოიკიდებს და გაკოჭდება.

მთხრ. ილა იორდანის ძე ზოზაძე, 59 წ. (სოფ. მოხისი, 1936 წ. იანვარი).

ურემის თვალს რომ [რკინას] შემოაჭდებენ, იმას შემოკრინებას ეტყოდნენ.

¹ აქაც და ქვეითაც დედანშია ქალები.

მთხრ. ზაქარია ფარხადანის ძე ქარაზაშვილი, 57 წ. (გორი).

ურმის შოლტების გაკეთება. საქონლის ტყავიდან ვკრით რვა წვერს, ჩაიკრანთ გულს — მეცხრე წვერს, თითის სისხოს, შუაგულში ჩასატანებელს. დაეხამთ თახმებს (სულ ცხრას) დაზგაზე. შუაგულს დაეხამეთ ქამარზე, წელზე, მაშინ დაეწნათ ისე, თანაბრივ სულ ერთიანად. რომ გათავდება, ბოლოზე გაუკეთებთ: ხაწყანს. თასმას დაეხამეთ არშინიანს, მიეხამეთ დაწნულ შოლტს და წაეჭანავ ნახევრამდინაა (გაუკრით თასმას და ერთ-ერთმანეთში გეყრება და იმას ნაჭაქვანს ვერცხვით), მერე ორ-სამ ადგილას გაუკეთებთ ფუნჯებს, რვეალთ გაუკეთებთ იგივე თასმას და გაუკერ-გამოუკერავთ, მერე თავიდან გაუკეთებთ ხის ტარს.

იარაღი: ზედა — ხის ჩაქუჩი...

ილიცი — კოპის ხაგრებისა, ხის არის, თითისტარისფითა, მხოლოდ მალა აქვს ლურხმნის კაუცი. თითისტარი ქვეშიდან გრეხავს, მხოლოდ ილიკზე ჩამოკიდულია კოპი. ხელ გაეკრავთ, შეეგრიხათ.

კალაპოტი — ხისა არის, შორდილია, შორია გადაქრილი და სამი ფეხი აქვს.

ერთი ქუქყიანი დანიშნა და საცოლეს უთხრა, დანიშნულს, — „შენ გენაცვალოს ჩემი იარაღი — დაზგა; ზედა, კალაპოტი, ხადგისი და ხახვრეტლა. სადგისმა უთხრა — შენ გენაცვალოს ჩემი თვალბიო“.

მთხრ. ნიკა გიორგის ძე ნოზაძე, 52 წ. (სოფ. ალი).

მარხილის გაკეთება. მარხილის გასაკეთებლად მოეთხრით ტყეში წიფლის თავმოყვანილ ხესა, შემდეგში მოვიტანთ, გაუკეთებთ. გაუკეთებთ პირველად ფეხებს, შემდეგში გაუკეთებთ კოფეებს, კოფეებზე დაეღებთ ზემოდან ფიცარს, ფიცარს ზემოდან კი დაუღებთ ყველაფერ ხაალნეს. წინ, ყელში მარხილს გაუკეთებთ ნემსას, ნემსაზე დაეხამეთ [ზელნებს]. ხელნაში გაუკეთებთ უღელს, ხუთ ცალ ტაპიკს, რომელშიც შევაბავთ ხარებს და ვხმარობთ ამ მარხილს ზამთარში, თოვლიან ამინდში.

შუაში მარხილს წელყოფებს გაუკეთებთ ზედმეტათ რომ დაუღებთ [ტირის].

მთხრ. ვანო ყარამანის ძე ბაიაძე, 64 წ. (სოფ. მერეთი გორის რაიონი, 1936 წ., 26 1).

თუში. ტყეში წაელენ, იქვე, არც ურემი უნდოდა, მარტო [თუშს] წაიღებდნენ. რომ მოჰკრიდნენ ხეებს, ვადაქავედნენ იმ თუშზე წნელებითა, ხარებს შემაბედნენ და წამოიღებდნენ.

მთხრ. ზაქარია გიორგის ძე კაპანაძე 85 წ. (სოფ. წალკი, 1936 წ. იანვარი).

იარაღი. ფარგალი — არგვალებს ხუნდსა, ხელჩო — წმენდავს ხოლს, ქალას, ხატხით — ხუნდსა ვტეხავთ; პატარა ხაჭრეთელით — ხელნახ ვტეხავთ, ზეწარს; საჭრეთელს უნდა ზედა; ზედა უნდა დავკრათ საჭრეთელს, რომ ამოვკრათ ხე. „ბურაოთი“ — ვხერეტავთ ხუნდსა, ხელნასაც და


უღელხაც; ხელის ნაჭახით — გამოვლით სულყველაფერ მასალას; ცალხელი ხერხი — სოლს მოვხზაზეთ და ზომაზე გადავკრით. ბირდაბირი ხერხი — ხუნდს გადავკრით, ხელნას გადავკრით თავებს.

პართლი შტაპრის ხამხრეთით

მთხრ. შაქრო გოგინაშვილი, 70 წ. (ქარელი).

გუთანა და კავი, კაბლო³. ჭერ პირველათ გათლი ყელხა, მერე გუთანა უკეთდება რასაც ვეძახით კბილხა. მერე გაუკეთებთ ხმალხა, მერე მანჭეებს, მერე მანჭეებზე — ფრთებხა და მერე — ხანხის-ხაკეთხ.

კავი კიდევ არის ახაოში, მიწის ახაკავებელი: როცა გუთნით მოხნამდნენ, მერე შემოდგომით ბალახი რო შეერევიდა, იმ ნაგუთნარსა კავით მოხნამდნენ.



სურ. 22. კავი

როდესაც კავით არ მოვხნამდით, იმას ვეძახდით ფოჩხა, დავფოჩხამდით. ფოჩხი დიდი იყო, ხე რო მძიმე ყოფილიყო. მიწაზე დაწოლოდა, მუხისა უნდა ყოფილიყო კოჭი. მერე გავხვრეტამდით, შუაში ხელწეები და კბილები ჰქონდა გაყრილი, თითქმის ერთი გუთნის ტოლა ძალა უნდოდა.

კაბლო. შინდის წყნელისას დაწნამდით ხეებზე, ხატვინეებს ვეძახდით, მერე გაუკეთებდით ფიცარსა. ფიცარსა ჰქვიან კაბლო. კაბლოს გავკრეტდით საჭრეთლითა, რომ იმით აგვება წყნელები. უკან ფიჩხია დაწნული.


მთხრ. შაქრო ჩინჩაღაძე, 35 წ (სოფ. ბრეთი).

თელს გუთანა

შეაბა თელამ გუთანა
 გათლი თელის ხისაო,
 გოგორებს იფნის ხუნდი აქეს
 და ჯერძი წიფლნარისაო,
 ფრთებს ფიცარი — მუხისა,
 მანჭეები — ურთხმელისაო,
 შიგ ხახელური უყრია,

³ „...და კავი, კაბლო“ ხელნაწერში ჩამატებულია ივ. ჭავჭავაძის მიერ.

ისიც გათლილი ხისაო.
 ხახნის-ხაკვეთი კარგი აქს
 ნაქედი შვედელისაო,
 გადის-გამოდის თავ-ბოლოს,
 ისმის ღიღინი ხმისაო.
 ზედ მებრეები უსხედან,
 ვით ძმები ერთ მაძისაო.
 რვა უღელხარი გაუბამს,
 როგორც ლომები მთისაო,
 უკვირამს თედოს გუთანი,
 ფიქრამს, რაღაცას სჯისაო,
 გულს განიზრახავს, თუ დადგა
 კარგი ამინდი, დარია,
 შარშანდელზედა მეტსა ხნამს,
 სხვა რაღა მაქვსო ელაო.



სურ. 23 კაბლო,

კაკაბა. გუთნისა კბილზე არის გაკეთებული კაკაბა. კაკაბაზე დამაგრებულია მეორე მანკვი. კაკაბა [კვალს] აგანიერებს.

წაფრთევი — ბელტი, რომელსაც გუთანი მოგლიჯამს და გადააგდებს შორს.

მთხრ. ტატო ქერდიუოშვილი, 50 წ. (სოფ. ბობნევი).

ხის გუთანი. გაითალოს ორკაბი ხე, პირველი არი გუთანი, მეორე ხელნეები — ხელის მოსაყიდი, მესამე — ორკაბი ხაჭუსლე, მხარი, ხმალა. საჭუს-

ლზე უკეთდება ხანხის, მერე ებმება ხარები და ხნამს, მეტი არაფერი. ჩერ უნდა გაითალოს ხელეჩოთი ორკაპი ხე, მერე დაიხვრიტება ორგან: ერთ შუა ადგილას — შმალა უნდა გაუკეთდეს, მეორეც ბოლოში — ხელწეება, ხელის მოსაკიდებელი. მერე შხარც უნდა გაითალოს ცულით. მხარი ეხვრიტება საკრეთლით ორგან — ერთი ხარების მოსამელათ, მეორეში უკეთდება ხმალა. უკეთდება მერე ქუსლზე სახნისი, წვერზე.

აჩაჩა. ჩერ უნდა გაითალოს ხელეჩოთი ორი მორკვი ხე, უნდა სიმსხო შეიდვერშოკიანი — სწორე, მერე ამოიხვრიტოს, გაუკეთდეს ხოლგეხი. სოლები უნდა იყოს მუხა. მერე უნდა გაუთალოთ ფერხო. ფერსო ყველა ხისაც კეთდება — შავრცხილა ვთქვათ. გაუთლით და გაეაწყობთ ზედა, გამოვიყვანთ რგვლათ; ფერასო უნდა იყოს ოთხი. მერე ფერსოები ერთიერთმანეთზე მივა, სოლებით გამავრდებმა. მერე გაუკეთებთ თვლებსა ლერჩხს და დაედგამთ უბეს. უბე უნდა გაკეთდეს: მოვჭირთ ორ ხეს, გავთლით და გადავაჯვარედინებთ ერთმანეთს, მერე გაუთლით სოლებს, ერთიერთმანეთს დააყენებენ ის სოლები. მერე დაედგამთ. რომ გაკეთდება, იმას ჰქვიან უბე.

მთხრ. გიორგი მეზურნეშვილი, 65 წ. (წითელქალაქი).

კევრი. ჩვენ ვაკეთებდით ბერძნულ კევრს, ისე გათლით. ოსები ხელეჩოთი სთლიდნენ. ბერძნულ კევრს უნდოდა ნაკლები მასალა. ხერხით ეხერხამდით იჩიბათა... გათლით ერთი კევრის მეტი არ გამოვა; ის სულ ნაფოტათ უნდა იქცეოდ. კევრი რო დაიხვრიტება, ამოვჭირდით და ჩავსხამდით ტალხა და კოხხა; ალმასია უფერული, აქ რიყეზე ბევრია. ამერიკაში ამას კარგი ფასი აქვს; რატომ იცი? საწარმოებს რო თხრიან, თუ ფოლადმა არ გავრა, მერე ტალითა თხრიან. ფოლადზე მაგარია.

კევრს ვაკეთებდით ფიჭვისაგან. დავხაზამდით უჯრა-უჯრა, და შიგ ჩავსვამდით. კოხი სიგრძეზე ისმებოდა, ტალი — ოთხკუთხათ. ქართული კევრი ითლებდა ხელეჩოთი, ბერძნული იხერხებოდა თავშემოდგმით, ბოლოდანაც ეკრებოდა, თავიდანაც. ორიანიც იყო — ერთიანი ცხენისთვის, ხარისთვის — ორიანი. თუ ღლი ფიცარი იყო, ერთიანი იყო ხოლმე. ერთიანსა ცულით გავთლიდით. შიგვე ჰქონდა ამოჭირილი, ბერძნულსა ვაკრამთ ლურსმებით. ხოლოთ ქართული კევრი ტყეშივე ითლებოდა ბერძნულს ეხერხამდით. ქართულ კევრსა ერთი მორიდან ერთ წყვილს, მეტ ვერ ამოიღებ. ბერძნულ კევრს ბევრს ამოვიღებდით. თუ ბრუნდე იყო, ეგრევე ეხერხამდით ბრუნდეთვე.

ფიწალი. ფიწალი ორნარია. ფიწალი შეიძლება ნიჩხიდანაც ამოსკრა, ხოლოთ ვაკეთებული უფრო მაგარია. შიგ ჩაისმება ხიდი და ქალები სატეხით ამოითხრება. ტარზე კიდევ ხიდი გაუკეთდება, შიგ ჩაისმება ფრთები, რასაც ქალებს ეტყვიან.

არნადი. კეთდებოდა ერთიანი გათლითა, აქ ვაკეთებდით ლურსმით, თუ ტყეში ვაკეთდებოდა, ერთიანი იქნებოდა. მასალა ბევრი უნდა.

იარალი: ხერხი, შალაშინი, სატეხი, პირთხელი.

მთხრ. ტატო ქერდიუშვილი, 50 წ. (სოფ. ბობნევი).

ფიწალი კეთდება ვერხვისა, თელასი. უნდა გაითალოს ცულით, მემრე, რო გასუფთავდება, გასუმბუქდება, უნდა გაითალოს ხელეჩოთი, მერე ხერხით უნდა ჩაუტკრა კბილები, თითები, ხელის ხერხით. ფიწალი მორჩა.

ერთიანი ხეა ნიჩაბი; უნდა გაითალოს ცულითა, მერე ხელეჩოთი, ტარიც ზედაა და პირიც.

ფოცხი. უნდა გაითალოს ცულითა, არშინიანი, არშინნახევრიანი. მერე უნდა დაიხვრიტოს წვრილი „ბურაოთი“, მერე გაუკეთდება კაბღებში; ნედლი როცა არი, მაშინ უნდა გათალო. შიგნიდან გაერტყმის კბილი. ის კბილი ხმელი უნდა იყვეს, რო ჩაქდება, ის ფიწალი გახმება, მოიწვეს და აღარ გაუშვებს გარეთ.

არნადი. ხეს მოვიტანთ ტყიდან, არშინნახევარზე ცულით გავთლით, გამოვიყვანთ სამკუთხეთს, გულს გამოვიღებთ, კუთხეში ჩაეხვრეტამთ საპრეთლით და გაუკეთებთ ტარხს. იქნება არნადი.

ორთითი გამოგვეყე — ჭერ სწორეა, მერე ვტუსამთ, ვათბომთ ცეცხლზე, მერე უნდა მოიკაოს ორ ლატანშუა. მერე, რო გახმება, უნდა დარჩეს შვიდი დღე, გახმება და დარჩება ისე მოკაკული. მერე შეინახება და უკვე სამუშაო იარაღია.

ნიჩაბი. სწორე ხე უნდა გაიბოს შუაზე, მერე უნდა ცულში გამოიყვანო, ჭერ პირი უნდა გამოვიყვანოთ ხელეჩოთი, რომ მოკაკული გამოვიდეს, მერე ტარი ცულით უნდა გაკეთდეს. **ფიწალიც** მაგნართ კეთდება, **კაბღოც**.

კაბღოს ფიცარი — მთავარი ის არი, მერე — **კაბღოს ხელნეები**, ორი ცალი, დაიხვრიტება საპრეთლით, მოვაბამთ **ფიჩხვხვ**, მერე **ხელნაზე** მოვაბამთ, მერე უღელს.

მთბრ. ვანკა ყანადაშვილი, 78 წ. (სოფ. დილომი).

ურმის გაკეთება. ხაძნე და ხაბარგო ურემში. ურემს ვაკეთებ — ჭერ ხელნეებს, იმას უნდა გაუკეთონ დანდლები. დანდლები უნდა გაუკეთონ ზოგს შვიდი, ზოგს რვა. მეშრე დანდლების ბოლოს, უნდა კოფო გაუკეთოთ, მეშრე ზეწრები, ორ ხელნაზე ორი ზეწარი. ზეწრებზე უნდა გაუკეთოთ ჭაღები, თითო ზეწარს — შვიდ-შვიდი. თითო ურემს თოთხმეტი ჭალა უნდა. კვარნები უნდა გაკეთდეს ოთხი. ხელნეებს კიდევ უნდა დაეკრას ჭვეშიდან **მაკვები**, მეშრე, ურმის შაბმის დროს, **უღელი** უნდა, **თავთუღელი** ვეძაბით. როცა რომ უნდა შეაყენოთ, **ღერძი** უნდა გავთალოთ, **თვლებზე** უნდა გავაწყვიოთ, ურემი უნდა შეაყენოთ თვლებზედა და ღერძზედა.

ურემი კეთდება ყველა ხისა: იფნისა, თელისა, მუხისა, მავრა სარჩევანში იფნისა ყველას სჯობიან.

მაკვები არის **დაფარეშებული ხელნაზე**, რომ არ დასცვივდეს: ლეკვზე აქვს **დუშა**, რო თვალის ტრიალის დროს თვალს უნდა ეღებოდეს, თორე გააფუჭებს ურემს. როგორ ვწავლობდით: რაკი ერთი ნასწავლი იყო და აკეთებდა, მივიდოდა უნცროსი, დაუწყებდა ცქერას, ან მამა ასწავლიდა, ან ძმა. ამ ხელნეებისა მუხაც გამოდგებაო, მაგრამ ყველაზე თავნჯარი იფნი არისო. **ხარკეტი** — ჭალაზე აბია, ხელნის თავიდან მერე ჭალაზე. ეს თუ არა აქვს, კამეჩს ფეხებს და ბარკლებს გაუფუჭებს.

უღელი აქვს **ხაჭადურო**, რომ კამეჩს კისერი არ გაუფუჭდეს და — ხუთი ტაბიკი: ერთი ტაბიკი — შუა ტაბიკი თავთუღელშია; აქვს კიდევ **მორგვი** თავის **ხალტეებით**, იფნისა, თელისა. აქვს ერთ თვალსა თორმეტი ხოლი, ოთხი **ფერხო** თავის მასალით.

ღერძი. ღერძზეა **ვინჭილაქი** გაკეთებული, თვალი რომ არ გამოვარდეს. **მარხილი** კეთდება **მოქანდული ხისა** — მოქანდული მარხილის ხელნეები. მარხილი უნდა გაკეთებულიყო ურმის ყაიდაზე, მხოლოთ ხელნეები ჰქონდა

მოქანდული. დედამიწაზე უნდა იცუროს იმანა. ორი კოფო ჰქონდა: ერთი წინა, ერთი ბოლოზედა. დანდლებიც აქვს, სამი დანდალი, ჰალებიცა აქვს, ოთხი.

ბოლოთრია — დაბალი ხეები, ნერწყალობაც ეძახიან. ტივის ხეების გასატანია. წიფელს ხმარობდნენ შხირათა, — წიფელს ხმარობდნენ არნადათა; ორთთებო შეინდისა იყო კარგი, ყველა ხისა კეთდება; ნაჩაბო — წიფლისა; ფიწალი წიფლისა[ა] ყველაზე კარგი.

ჯინა უნდა დაწნულიყო ლასტივითა, რგულათა. იმას გაუკეთდება ტარე-ბი ხისა, ორი ტარი, ორ კაცს უნდა აეწია, როგორც ეხლა „ნასილიკას“ ვერყვით; ვხმარობთ მიწითინა, ნაგვისთინა, გაღასაზიდავით.

მთხრ. ტატო ქერდიოშვილი, 50 წ. (სოფ. ბოზნევი).


მარხილი. უნდა მოიჭრას ორი მოკაყული ცალი, თითონ ზე უნდა იყოს მოკაყული ერთი მხრივ. მერე ის მოკაყულები ორი ცალი უნდა გაიხვიტოს სამგან — ყურში იხვიტება საღერძეთ, ყურში გაუკეთდება ღერძო. მერე ორგან იხვიტება ფეხებთან: ერთი ბოლოში და ერთიც — ყურთან ახლო. მერე ამაში ფეხები გაუკეთდება; ფეხებზე უკეთდება კოფო, ერთი ბოლოში და მეორე ყურთან ახლო. მერე უკეთდება კოფოებზე ზეწარგბო. ზეწარიც იხვიტება ორგან საჭრეთლით. ზეწარი კიდეც უნდა გაიხვიტოს სამგან, ოთხ-ფენ. გაბას წნელები, რო არაფერი არ ჩაცვივდეს ძირს. მერე, ყურთან ახლო, ფეხზე უნდა მოვაბა ხელნება წნელით. არაფერი გათლა არ უნდა ხელნას. ეს თითონ ზე არის ისეთი, რომ უნდა მოიტანო და მოაბა წნელი. ხელნა უნდა გაიხვიტოს, წნელით უნდა შაიკრას ორთავ ხელნები და ხელნებს და უღელს-შუა გაუკეთდეს ტაბაჯო. გაიმართა მარხილი.

უღელი უნდა გაითალოს ხელეჩოთი. ყველაფრისა შეიძლება: არყი, იფნი. უნდა გაუკეთდეს კორაჯი, ორი ცალი, საცა ხარს დაადგამ კისერზე. დაიხვიტება საჭრეთლით და გაუკეთდება ტაბაჯო. ტაბიცი უნდა გაითალოს წალღურათი. ერთ ხარეზე უნდა იყო[ს] სხვილი და ერთ ხარეზე — წვრილი, რო ჩაუაროს უღელსა. ბოლოში აპურის მოსაბმელი წალღურათი უნდა ამოუჭრათ, ყურები უნდა შეიკრას წნელით ღერძთან, რო განზე არ გაიწიოს.

ბოლოთრია არის ორთვლიანნი, ბოლოს ადგილზე ათრევს. ჯერ არი პირველი თვლები; ის თვლები გაუკეთდება ღერძში, ღერძზე გაუკეთდება ხელნებები. მერე — ფეხები, კოფო. მოვიტანთ ხესა კაკლისა, თელასი, ლეკის ხეს, სულ ერთია, ის ითლება ცულით და ხელეჩოთი. ჯერ შორგვეც უნდა გამოვიყვანოთ, მერე დაიხვიტოს საჭრეთლით შუა ალვას. იმ ნახვიტებში გაუკეთდება ხოლები. სოლები კეთდება ცულით, მერე ხელეჩოთი უნდა გაითალოს ფერხო, და გაიხვიტოს საჭრეთლით, მერე გაუკეთდეს სოლი. თორმეტი სოლი უნდა გაუკეთდეს. — რვეც უკეთდება. ეს თვლები დამთავრდა. თვლებს უნდა ღერძი. უნდა გაითალოს ცულით. უნდა სწორე გაითალოს შორგვეც, საცა ბრუნამს, უნდა გაითალოს წვრილი. მერე ხელნა უნდა გაითალოს, შუა ადგილას გაუკეთდება ღუშა. გვერდი უნდა შემოთალო და იპდენი უნდა გაითალოს, რომ ღუშა ზედვე უნდა მოვიყვანოთ თავისივე. გაუკეთდება მერე ფეხები იმ ხელნას. ხელნა უნდა გაითალოს სწორე მოკლეთ. ფეხებს მერე უნდა გაუკეთდეს კოფო კოფო გაითლება სწორე და დაიხვიტება ორგან საჭრეთლით, სხვა არაფერი. გამართულია უკვე ბოლოთრია.

ჭაურა. გაეკეთებთ კეტხ. კეტზე შემოვახვევთ ყანახ, ბოლოში გავხვიტებთ, გაუკეთებთ რაყს. ადგილში დავსვამთ იმ კეტს, შემოვახვევთ მერე ყა-

ნას, დაუდევ ყანას ესე ორთითს, კაცი ზედა დგას და ტყეპნის, აიყვანს სულ წვეკრამდინა. მერე წვეკრში აქვს იმ კეტზე შემოჭრილი ცელით, იქ შეკრამს ბალახით, რო ქარმა არ დააპნიოს ყანა. წამოღების დროს შეკვრამთ თოკით ამ ჩაურას, წაეპყვეთ, დავდებთ მარხილზე.



სურ. 24 ხის დასამუშავებელი იარაღი.

ჯინი. ოთხი კეტი უნდა შეკვრათ წნელით — თავი და ბოლო. მერე დაიწნას ისევე წნელით. წვრილი წნელით: ჯერ ძირი უნდა დაიწნას ცალკე იმ ოთხ კეტზე, მერე — გვერდები, ასე რომ [დაიწვენება] ერთ არშინზე; რომელიც მთავარი წნელეა, ზედ რომლითაც უნდა შემოიხვას, იმას მანუღს ვეწახით. ვზიდავთ ამითი პატევს მამულში დასაყრელათ.

მეხხეთი

მთხრ. პეტრე გოგალოვი, 30 წ. (სოფ. ვალე).


ჩენი საგლეხო აქათები სულ ადგილობრივი ოსტატებისაგან კეთდება, ადგილობრივი ტყის მასალისაგან, რომელიც ახლო წყალთბილიდან და ზოგიც ბეშუმის (აჭარის საზღვარი) ტყიდან მოგვაქვს.

[მიწის სახნაველ გვაქვს] არონა (ყავი). არონას გრძელი, ხუთი არშინის სიგრძე რვილი ხმალახა ან მანჭუვა დაკავშირებული კბილზე — კავზე, რომელსაც ბოლოში გვერდებზე აქვს ორი მტკაველი სიგრძის ზევით აყრილი ეშვებივით, ხენის დროს მიწის გასაშალად. რვილი ბოლოში ცოტა მოხრილია და ბოლოში მანჭუხა გაყრილი. მანჭის წინ ხრმალაა გაყრილი რვილში, რომელიც გამაგრებულა ხაჭედურით. მანჭს ზევით უკან გაშვებული აქვს ხელის სიფართო-სიგრძის თოვი ხელის მოსაყიდათ და, ჰქვიან ხახელური. რვილს შუა

წელზე გახვრეტლში შეცმული აქვს ჭლი, რაშიაც უღელხარ უბმენ. კაეში რკინის სახნისა შეცმული და ხნავს ორი-სამი ვერშოკი სიღრმით.

ჭილდას რეილი მოკლეა (სამი არშინი სიგრძის). შოწყობილობა ჭილისა და არონისა ერთნაირია, ოღონდ რეილი მოკლე აქვს და რეილი თავის შოწყობილობით გოგრებთან ღერძზეა დადებული, რომელიც აღწერილი გვაქვს ზევით. ჭილდას კაეზე რკინის სახნისი აქვს და არონაზე უფრო ღრმად ხნავს. შებმულია ჭილდაში ორი-სამი წყვილი ხარი.

კვერთ. იხმარება ბჯის გასალეწათ. ის შესდგება ორი კრძელი — ხუთი არშინის სიგრძის სქელი, უკან ფართე და წინ შეეწროვებულ და ზევით თავახრილ ფიცრებისაგან, რომლებიც ქვევიდან კოხის ქვემის ნატეხებითაა დაქვილი ბზის სალევწავად. ზეიდან ეს ფიცრები ერთმანეთთან ნიწებებულია და ორი ქაშრით არის დამაგრებული. წინა ქაშარს ხარის უღელთან მისაბმელათ აქვს



სურ. 25 კვერი თრიალეთური, სურ. 25ა განათხარი კვერი.

გახვრეტილი არაკრავის თავის გასაყარათ, ხარის სათრეჯათ კალოს ლეწვის დროს.

ბჯის საზიდავთ გვაქვს ბჯის ურემი; სხვა ტვირთისათვის — არაბა (ურემი) და მარხილი; სახნავათ კი არონა, ჭილა და გუთანა; ბჯის გასალეწათ — კვერთ. აჯათებო: ორთითი, ფიწალი, ფოცხი, არნაღი, ბჯის ახაწევი კეტები.

ბჯის ურემს აქვს ნაწილები: ორი დედანი რეა არშინი სიგრძით. დედნის წინათავები მოკაეული, მაღლა ამვერილია ორ-ნახევარ არშინზე, რომლის ზედა თავები კოფოთთა დამაგრებული და ქვეშ, ძირზე, გვერდებიდან გახვრეტილებში შეცმულია ნემსათი, რომლის თავებში სამსაპი არშინის სიგრძის ხელწებია გაყრილი, რომლის წინა თავები ერთიმეორეზეა დაკავშირებული შიგვარული ნემსათი, რასაც უღელთან ახაკრავათ ამაგრებენ, როცა ხარებს აბმენ უღელში ურემის წასაღებად.

დღენებს ქვეშ, წინ, სადაც ნემსა გაყრილია, იმას ქვეშ საცურავები აქვს გახვრეტილებში ამოცმული, რომლის ზედა გახვრეტილ თავებში ქალებია გაყრილი.

დღენები სიგრძეზე ხუთ ადგილას არის გახვრეტილი — ერთი წინ, სადაც ნემსა გაყრილი, როგორც წინ-წინ ვთქვით, მეორე ერთი არშინით უკან, რაშიაც გარჯია გაყრილი, ერთიც კიდევ უკან დათფთან და — დათვს უკან, ისიც გარჯითაა დამაგრებული და ბოლოს — უკან ურმის კოფოსთან; ესენი დღენებს ამაგრებენ ერთიმეორეზე, ორს კი ჰვართის დადებაზე ხმარობენ თოკის გადასაპერათ. წინ და უკან გარჯებია, რომელიც დღენებს ამაგრებს გვერდებიდან, სამ-სამ ადგილას გახვრეტილია, სადაც ბჯის დასადებელი გრძელი კეტებია გაყრილი და უკან ურმის ბოლომდე წასული. დათვი დღენებზე აკრულია და ზევიდან დღენებში გავლით გახვრეტილია ორგან, რაშიაც ჩაქმულია ორი გრძელი ქალი, ერთი — წინ, სწორე, ხაყენებელი ჰქვია და მეორე — წელში მოღუნული. ყვერი ჰქვია, რომლის შუა გოგჯოქებთან ღერძზე დაედება ურკვი. ღერძი გოგჯოქების ხუნდშია თავებით გაყვანილი და გოგორას გარეთ გახვრეტილ თავებში ქალებია დაცმული, რო გოგრები გარეთ არ გავადეს; გოგჯოქის ხუნდების გარშემო თორმეტი ხოლოა ნახვრეტებში ჩარკობილი და ზევიდან სოლებზე, გარშემო, ოთხი ფერხთა ჩამოცმული, რაზედაც, გარედან, რკინის ხალტა აქვს გადაპერალი, რო არ გავცდეს გოგჯოქების ფერხთები.

არაბას (ურემი) ნაწილები: ორი დედანი (ხუთი არშინის სიგძის), დღენები უკან ერთ-ნახევარი არშინის განზე დაცოფებულია თავებში და წინა თავებში წინ ერთიმეორესთან დაკავშირებულია ნემსათი, სადაც უღელთან ასაკრავით აუბმენ არაბასა. უკანა კოფოდან წინ დღენებზე ერთ-ნახევარ არშინის სიფართოზე ფიცრებია დაქედილი კვირთის დასადებად, ხოლო ფიცრების ქვეშ დღენები გარჯებით არის გამაგრებული. დღენებზე, დაფიცრულის წინ, უფრო გრძელი ფიცარია გახილული და გახვრეტილებში ქალებით დამაგრებული, რომლის თავები ზეით, ნახევარ არშინი, ასულია და ზედ ორივე გვერდებზე ჩამოცმულია არაბას კლაფები, რომლის მეორე გახვრეტილი თავებით ჩამოცმულია უკან კოფოს ფეხზე; ასეთ კლაფებს კიდევ ჩარდახს ეძახიან. წინა ფიცარს ხატრაჟე ჰქვია. უღელში შებმულ ხარებს კუდები ამ ფიცართან აქვს. გვერდებზე გადებულ კლაფებ ქვეშ (კლაფებს თარებხაც ეძახიან). არაბას საკლაფების, ანუ თარების ქვეშ ერთ არშინზე დაცრულია ხე, რო სატვირთე ფიცრებმა არ ითამაშონ. საგოგრე ადგილას დღენებზე ქვემიდან ამოკრული აქვს დათვები; ზევიდან დღენები ორგან გახვრეტილია დათვებში გავლით და შიგ ჩარკობილია წინ საყენებელი, უკან — მოღუნული ხე — ყვერი, რომელთა შუა გოგჯოქებთან ღერძზე დაიდება.

...არაბა იხმარება როგორც ტვირთსაზიდავთ, ისე ხალხის გადასაყვანად.

მარხილი ორი დღენიდან შესდგება, რომლებიც წინ, დღენის თავმოღუნულ თავთან ახლოს, უკანა ბოლოთავებითურთ დამაგრებულია კოფოებით, რომლის ფეხები ჩარკობილია დღენების ამოკრულებში და წინ მოღუნულ თავების გვერდებში. გახვრეტალებში ნემსია გაკეთებული, რომლის ბოლოებში ხელნებია დაცმული თავებით, მეორე თავები, სამი არშინის სიგრძის, ერთმანეთთან დაკავშირებულია ნემსათი ხარების მოსაკიდათ, რომელსაც უღელს ასაკრავით აკრავენ, როდესაც ხარებს უბავენ.

მარხილს ხმარობენ თივა-ბჯისა და შეშის გადასაზიდავად და [აგრეთვე] ნეხვის გადასაზიდათ ყანებში; გახილულ კეტებზე უღებენ სანეხვე ძარს...

მოხრ. პავლე პეტრეს ძე კოშორათი, 72 წ. (სოფ. ხიზაპურა).

არონა, კავი. არონას წინ აქვს გამწვანებული ხუთი არშინის სიგრძის, რომელსაც ჰქვია ჩველი. რველი ბოლოში მოყრილია და მისი ერთი წვერი გაყრილია მანჯუში; წინ გაყრილია ხმალი. ხმალი მაგრდება რველში საქედურით. მანჯუში გამწვანებული აქვს ხელის მოსაკიდებლად თიკი, რასაც ჰქვია ხახელური. რველს შუა წელზე აქვს გახვრეტილი, რაშია ცხელია გაყრილი სარის მოსაკიდებლად. რველს წინა თავში აქვს ხახვრეტილი, რომელსაც ასაკრავით მიაკრავენ უღელს, რაშია ხარები აბია. რველი თავის მოწყობილობით დაცმულია ჯილდოვით (კავზე), რაზედაც რველს ხახვრეტილია. ჯილდოს უკან სხვილი ბოლო აქვთ-იქით ერთი მტკაველის სიმაღლეზე აყრილია რქებსავით... ხენის დროს გვერდებზე მიწის გადასაშლელად. ჯილდოზე რველის სახნისა წამოცმული რვა ვერშოკი სიგრძისა; ეს სახნისი შესდგება წვერისაგან და უკან ბუღისაგან ჯილდოს დასაცმელად; გასამაგრებლად სახნისისა; წინ წვერ-სახნელად. არონა ადგილობრივი ტყის მასალისაგან კეთდება, აკეთებენ ადგილობრივი ხელოსნები ხელნაწილი და ხატებით.

არონა ორი-სამი ვერშოკის სიგრძით ხნავს და ერთი უღელი ხარი აბია. ჯილდა. ჯილდის რველი არონისაზე ბევრად მოკლეა (სამი არშინი სიგრძისა. ჯილდა ისეთივეა როგორც არონა, განსხვავება ის არის, რომ ჯილდა გოგრებთანაა (ე. ი. არონა გოგრებიან ღერძზე რო დაედვით).

ღერძს ორი არშინი სიგრძე აქვს; გოგორის სიმაღლე ერთი არშინი რვა ვერშოკი. ღერძი შუახევა გახვრეტილი, შიგ შეცმულია პატარა ხეჭაღი ხარის მოსაკიდებლად უღელთან — ასაკრავი (ტყაყისგან დაგრეხილი). ღერძის ორივე თავები დახვრეტილია. ამ ღერძს თავებზე გოგრები: დაცმულია და გოგრის გარედ ღერძის თავების ნახვრეტებში ჭალუბია ჩარჭობილი, რო გოგრები არ გადმოვარდეს; გოგრების შიგნით კი ღერძზე დანით დაჭობილია, შიგნით არ შეიწიოს გოგრამ ჯილდის მოძრაობისას.

გოგრების სიმაღლეა ერთი არშინი და რვა ვერშოკი. ხუნდის გარშემო თორმეტი ხოლია ჩარჭობილი. სოლებზე ზევიდან ოთხ-ოთხი ფერხოა ზევით დაცმული და ფერხოებზე რველად გარედან რველს ხალტები აქვს გადაჭერილი, რო გოგრაობის დროს არ გაცედეს გოგრები.

რველი გაკეთებულია არყის ხისაგან; ხმალი და მანჯუ მუხიდან. ჯილდა უფრო ღრმად და ფართოდ ხნავს არონაზე. აბია ორი-სამი უღელი ხარი.

გუთანი. გუთნის რველი უფრო ბრუდია ჯილდა-არონაზე და ცალგვერდზე დაფენილია. ერთ თავზე, რომელსაც აქვს ოთხი-რვა ვერშოკის სიფართო-სიგრძე-განის ფართო მოხნული მიწის გადასაბრუნებლად ფართო რველზე დამაგრებულია ხმლისა და მანჯის სამწვანებელი. რველი ბოლოში გახვრეტილია და ჩარჭობილია კორა. კორა ასაკრავით დაიკვრება ღერძზე. ღერძში გაყრილია ხელნაწილი ხარის შესაბმელად. ხელნაწილს აქვს მოსაკიდი ღერძზე. ხელნაწილის ბოლო გახვრეტილია, შიგ ჩარჭობილია ხახვრეტილი უღელი ხარის შესაბმელად; ღერძიდან წინ ხელნაწილზე, რომელიც ღერძზევეა დამაგრებული, ნახევარი არშინიდან შეებმევა ხარები, გუთნის გოგორები დიდი და პატარა. დიდს კვალის გოგორა ჰქვია, პატარას — ყარაბუღა (ველის გოგორა).

ხაბარო [ურემი]. ხაბაროს აქვს ორი ხუთ არშინიანი სიგრძის დედნები. ერთი ბოლოდან ერთ არშინზე აქვს დათვები აკრული ქვევიდან. დათვებს გახვრეტილი აქვს შუაში რაშია ხეები აქვს ჩარჭობილი. ღერძზე დასაცმე-

ლად. წინა ხეს ჰქვია საყენებელი, უკანას — ყვერი. დედნებს დასამაგრებლად გაყრილი აქვს გარჯები ორივე თავებით. დედნების თავები წინიდან ერთმანერთან დამაგრებულია, დაკავშირებულია ხაზეწვით, უკან დაირიბებულია. კოფოების ქალები ჩაყრილია დედნების თავში. დედნებზე კოფოების წინ ფიცრებია დაწყობილი. ეს ფიცრები ტვირთის დასადებია. წინ, დედნებზე, სადაც ხატვართე ფიცრები თავდება, ამა უგმესი ფიცარია დედნებზე დაგებული ხარების უკან, რასაც ხატრაცე ჰქვია. საბაროს ხმარობენ ტვირთის დასადებად და მგზავრების გადასაყვანად.

ურემი. (ბჯის საზიდი). ურმის დედნების სიგრძე რვა-ცხრა არშინია, დედნის წინა თავები — ერთ-ნახევარი არშინი სიგრძის ზევით რქებსავით აშვერილია და ორივე დედანი... კოფოს ხით დამაგრებულია. რქებსავით აშვერილს ქალები¹ ჰქვია... დედანი სამ ადგილას დახვრეტილია. ორივე დედნის წინა ნახვრეტში გაყვრება ნემსა, მეორე და მესამე ნახვრეტებში — გარჯები. ნემსა და გარჯები ამაგრებენ დედნებს. წინ ნემსაზე ხელნებია შეტეული. ხელნები ხარის შესაბმელათ არის. თუ რამდენიმე უღელი ხარის [შებშაა საჭირო], ნემსაზე ჯაჭვის ერთ თავს მიბამენ, მეორე თავს წაიღებენ წინ და რავდენი უღელიც დასჭირდებათ, ჯაჭვით შეაბამენ. დედნებზე დაკრულია ოთხი ვერშოკი სიგრძის ხე — დათვა, რომელშიც გატარებულია ხელნები და ჩამოცეულია ხაუენებელი და ყვერა. ქალებ შუა ლერძზე დაადებენ დედნებს. ლერძებში გოგორებია გაყრილი — გოგრები უკვე აწერილი გვაქვს ზევით. დედნებს ფერსოების ქვეშ საცურავეები აქვს.

დედნების დასამაგრებელი გარჯები გვერდებზე სამ ადგილას გახვრეტილია, რაშიაც კვირთის დასადებად ურმის გამწვდენი წმიდა ქერებია გაყრილი, რომლის უკანა თავები კოფოსთან დამაგრებულია.

ბჯის ურემი ბჯისა და თივის საზიდავათა განსაკუთრებით, მასალა [მოგვაქვს] ადგილობრივი ტყიდან.

ღრიჭინა. ღრიჭინას ორი ექვს-ექვს არშინიანი ხელნა აქვს, რომლის გახვრეტილი თავებუ ლერძშია გაყრილი. ხელნებზე და კოფოზე კიდევ სხვა კოფოებია გამართული ზეიდან ძარბის დასადგმელად, რაც გოგრაან ლერძზეა დადებული. გოგრებიანი ლერძი ზევით გვაქვს აწერილი.

ძარით ეზიდებიან სასუქს ყანების გასაპატიებლად.

კაბლო. კაბლოზე ორი ხელნაა გამართული, ისე როგორც ღრიჭინაზე და კაბლოს უკან ფარჩხებს უკეთებენ ყანის დასაფარებათ წყნელებით.

კეფრა [შესდგება] ორი სქელი ფიცრისაგან, წინ და უკან სარტყელები აქვს დაქედებული. სიგრძე კვერისა ორი არშინია, განი ხუთა ვერშოკი. წინ სარტყელი შუა ადგილას ხარების ასაბმელად უღელთან გახვრეტილი აქ ხე. კვერის ზურგი მოქედლია კოხის ქვებით.

ზამო იმარეთი

მთხრ. აპოლონ ბიწამე (სოფ. ცხრუკევი).

ხამუშაო იარაღებია თოხი, ბარი, ნიჩაბი (ნიჩაბს შეუშვერენ ხოლმე ხარს კალოობაზე — ხარის განაყრას და გადაყრას; ხმარობენ კიდევ ჰაჭვის მოსაგროვებლათ, ყუღინის წურვაზე; ფიწალი სამთითია, პურის გასანიავებელი), ორთითიც პურის გასანიავებელია; ნიჩბითაც ანიავებენ; არნაღი — პურის მო-

¹ დედნშია ფერსოები.


საგროვებელია: გასალეწი — კეფრი. სამკელი — ნამგალი; ბალახის სათიბად ცვლს ხმარობენ. თესვის დროს ხმარობენ კირკახ და ხახვანელს (ზენის დროს თესენ).

მთხრ. ლადეკო ბიწამე, 42 წ. (სოფ. ცხრუკვეთი).

ურემის გაკეთება. პირველათ გათლით კობიტის ხუნდებს. მოვამზადებთ ფერხობებს, ხოლგებს. სოლი უნდა თორმეტი ან ცხრა. ცხრა სოლიანს უნდა სამი ფერხო, თორმეტ სოლიანს და რვა სოლიანს — ოთხი ფერხო. შეიძლება ხუთი ფერხოიანიც გაკეთდეს ურეში. ურემს აქ კიდევ ზეხადგარი, ჭაღეობი, ფრჩხილეობი, ავლახი. მერე შევდგამთ ზედ პატარა ძარხს. საჩხურეში ძარხს ზვირხს უძახიან კიდევ. ჰეჭილაქი ქვია, ღერძახ რო რიკს გოუყრით და კავობს გოგორახს. ქვეშ ურემ აქ ამოხაკრავი (სინა ან წკნელი), რომ ურეში არ გადაბრუნდეს. ზესადგრები რაზედაც არი, ღერძახე რომ არი მოდებული, იმა ქვია კანდოულა ან კანდაულა. კანდოულა და კვერნი ურეთია.

მთხრ. ვახილ შალამგერიძე, 55 წ. (სოფ. ცხრაწყარო, ზესტაფონის რაიონი).

ჩვენში ქართულ ურემს ვაკეთებთ ხოლმე. ქართულ ურემს ფრჩხილეობი არა აქ. ზემოთში ამ დიდ ხეებს ზეხადგრებს უძახიან და ჩვენში ხელნახ. ხონისკენაც ზესადგრებს უძახიან, ასე გამიგონია მე თვითონ. ხელნა თავში ვიწროვდება და თავტახიით უერთდება პირდაპირ უღელს უფრჩხილეობით. ხელნას მერე გძელ ფიცრებს გამოვადებთ დაბალზე და ამ ფიცრებს ურემის კედელს ვუძახით. ურემის კედელს რო ზეიდან სარტყელი აქ დაცმული, იმას



სურ. 26 ქართული ურემი.

ზეწარხს ვუძახით. ურემის ღერძხ რო მსხვილი დათლილი რგული მორგვები აქვს წამოკმული ორივე მხარეს, იმაში ჩაეყენთ ხოლგებს. სოლებს შემოვარტყამთ მერე ფეხვს.

მთხრ. აპოლონ ბიწაძე, (სოფ. ცხრუკვეთი).

ზამთარში ვხმარობთ ლეკიას და მარხილხ. ლეკია — უბორბლო ურემია, თავში აღუნულია ციგასავით; ფრჩხილები აქ.

მარხილიც ლეკიას გავს, უბორბლოა, მხოლოდ სწორია, თავი არა აქ აღუნული. ზეხადგრები უკან უმფრო შორ-შორ არიან ერთმანეთთან და თავსკენ უმფრო ახლოვდებიან. სადანაც ღერძხ ედგმის, იმ ადგილებში ზესად-გარი უმფრო მსხვილი უნდა იყვეს, რომ კარგათ გოუძლოს. ქვევიდან აკრული აქვთ (ზეხადგრებს—ბ. წ.) ორ-ორი ყვერნა. ყვერნა ამოღრმავებულათ არი შვაში გაკეთებული, რომ კარგათ დეიდვას ღერძზე. ზუნდში რომ პატარა რიკია ჩარ-ჭონილი ზეიდან — ქვილაქი ქვია. ქვილაქი ამავრებს ხუნდს. ღერძთან, ქვეშ. ურემს აწვს ჩაპარავი (ტორმუზი). ზესადგრების ჰალები ავლახითა ხოლმე ერთმანეთზე გადაბმული გასამავრებლათ. ავლახი შეიძლება ბაწრისაც იყოს და სინისაც.

მთხრ. ვანო პერიშვილი 50 წ. (სოფ. გორისა).

ოუში არი ჭურხის გადმოსატანი ურემი. ძალიან დაბალია; ღერძზე ორივე მხარეს წამოცმული აქ მსხვილი ხაგორიალო. ჰალები არა აქ, ფრჩხილები კი პირდაპირ მიაგორებენ მიწაზე.

კვეციო იმერეთი

მთხრ. ტარახი ვახილხის ძე იამანძე, 54 წ. ურმის მოხელე (სოფ. კურსები, ტყიბულის რაიონი).

კავის გაკეთება. წავალ ჭერ ტყეში, მოვძებნი მოყვანილ (კავისათვის — კ. კ.) ხეს, ძირეულ მოვიტან და გავთლი. კავად ყოველნარი ხე გამოდგება. ჭერ გავთლი ნაჭახით, მერე გავასუფთავებ შალაშინით. თავში მოუჭრი ორ კბილს ღელეკის მოსაღებად, შემდეგ გამოვთლი ქუსლხ. ქუსლად გამოდგება კოპიტი, ნიგოზი, თებულა, ბეოლა. შემდეგ ამას (ქუსლს — კ. კ.) გავთლით, გამოვყვან, როგორც საჭირია და განვტოხავ კავის ჩასადებად. ქუსლს გამოვ-თლი ხადვხით, შალაშინით, ეჩოთი; უკან უნდა ფართე ნაწილი, წინ კი ექნება წამოწერილებული. განვტოხავთ პირთხელით. ერქვანს გამოვთლი შტოიანი ხიდან, გავთლი იმას და კავის ჩადგმის დროს ერქვანსაც დაავატანებთ. ხახნახითა მთავრით წერილ წვერს ქუსლისას და წამოვავებ ზედ სახნისს.


ფარცხი. წავალ ტყეში, მოვჭრი წნელს და სარს ოთხი ღერს. დავასობ ამ ოთხი სარს მიწაზე ოთხი არშინის სიფართეზე, შემდეგ ავიღებ და მოტანილი წნელით დავიწყებ და მოვწინ ფარცხს, მაგრამ, როცა ფარცხ[ს] ეწნი, წნის დროს დოუტრავებ უკან მხარეზე ჩანგლებს წვეტთან. ჩანგლებს ჩვენ ექმანით წვეტიანი წნელის თავებს. სწორედ ამ ჩანგლებს დოუტრავებ ფარჩხებს კორო-ხეხის (ბელტების) სამტრეველად.

მთხრ. ბეხარიონ ნაყოლოზის ძე კობჭერიძე, 59 წ. (სოფ. ნოლა, ხონის რაიონი).

ფეწალი — ორითაა ჯობი არის. ვხმარობთ ბზეს გასანიავებლათ, ძიგვის ასაღებად და როცა მოვთიბავთ, — ბალახის ასაღებად.

ნახაბი — ხეს ბარია. ეხმარობთ პურის ასაღებად, თოვლის სათოლავედ და სილის ასაღებად.

სარეჯველე — სარეჯველას ეხმარობთ ყანაში დათვის შეშაშინებლად. როგორც წყლის ხაცხველს, ისე ვაკეთებთ. წყლის პირში, სადაც ღელე მოდის, იქეთ აქვს ყუთი, მე[ო]რე კედრით მსხვილი თავი აქვს; სხვილი თავის ქვეშ დადგმული აქვს ფიცრის ფირფიტა ან „წეშტი“. როდესაც ყუთში ღელიდაწნე მოსული წყალი ჩაესხმება, სარეჯველას მეორე თავი მისით დაკოჩაეს და გადავა წყალი გადალმა, აიშოვს და დაკრამს ფირფიტაან სკამზე, სა-



სურ. 27 სარეჯველე.

რეჯველა სკამზე ბრეგვას მოადენს და დიდი ხმას გაუშვებს; დათვი თუ იქ დგას, ეგონება, აქ აღამიანი არისო და გაიქცევა. სარეჯველას ყუთი მიღმად არის დაფარებული, როცა ჩაესხმება წყალი, მერე დიწვეს და გადისხმება წყალი. სარეჯველას ეხმარობთ სწორედ დათვის შეშაშინებლად.

მთხრ. ივანე რომანოზის ძე გიორგაძე, 70 წ. (სოფ. ხანი, ბალდაღის რაიონი).

აქ ჩვენ გვაქვს ორგვარი თოხი: ბარულა თოხი — აყალო მიწას, პირმაგარი მიწა რომ იქნება, სწორეთ იმას თოხნის. [მეორე] მთის თოხია, მთის მჩატე მიწას თოხნის. რომ მოვხნავთ, შემდეგ დავფარცხავთ.

მთხრ. ხამხონ ოტაის ძე ჭულაყიძე, 91 წ. (სოფ. საპაიჭაო, ვანის რაიონი).

პწყალა — კიბეს ვეტყვით. სოფელ კუშუბაურში კი ხმაღკიბეს ეტყვიან.

მთხრ. ტარახი ვახილის ძე იაშანიძე, 54 წ. ურმის მოხელე (სოფ. კურსები, ტყიბულის რაიონი).

შეწყობას რომ დავიწყებ ურმისხას, პირველად გავაკეთებ მორგვს. მორგვად გამოდგება ბეოლის ხე, კოპიტის [ხე] და ძელქვას თუ იშონის კაცი, ხომ საუკეთესოა. მორგვის სიგრძე იქნება ექვსი ვერშოკიდან რვა ვერშოკამდის, თუმცა გააჩნია ურმის სიდიდეს. სისხო ექნება ოთხი ვერშოკიდან

ხუთი, ხუთ-ნახევარ ვერშოკამდის. მორგვისათვის ჩვენ უბრალო ხეებიდან გამოხერხავდით ზომაზე, სიმრგვალეს ევიღებთ ფარგალში, შემდეგ გამოჩაღებთ ჩაღებზე მორგვის შიგნითა ნაწილს, რომელსაც ძუძუს ვეძახით, რომელიც მორგვზე უფრო უგრძესია სიფართით. მორგვს ჯერ ამოებურღავთ ათი-თორმეტი სოლისათვის და მერმედ ამოეტეხავ, სატეხით. ჩავსხავთ მერე სოლებს ფეხში, რომ შემოვხალეთ უკვე მორგვი. შემდეგ შემოვფარგლავ სიმაღლის გულისათვის. სიმაღლე უნდა ურმის თვალს, ურმის ბორბალს ერთი არშინიდან არშინნახევარამდის. სოლებს ვაკეთებ მუხის, ბეოლის და ეკლის ხისაგან. ხახოლდე ზე უნდა იქნეს ძალიანი ხმელი, რომ არ მოიკლოს. დავთლი ჯერ ნაჯახით, დავუფთავებ სალაშინით, ძირა ნაწილს გავუტეხავ, ძალიან დოუქტობ სოლს ძირა ნაწილს და მივეცემ მორგვში ისეთ. სოლზე ჩამულ მორგვს რომ შემოვფარგლავ, დოუქტობ (დაუქრი) სოლებს თავებს და შემოვავინი (შემოვარგებ) ზედ ფესოებს. ფესოდ ვარგისია წაბლის, ეკლის ხე, მუხაც, ბეოლაც, მწარე ბალიც. დავხერხავ თავის ზომაზე, დავთლი ყალიბზე (სოლის საზომია — ქ. კ.), დავტოხავ და შემოვავაქნი ურემს. გაუკეთებ ერთ ურმის თვალს ოთხიდან ხუთ ფესომდე, შემდეგ შემოვფარგლავ და თანაც შემოვკვერცხავ (შემოვარგვალე) ფარგლით. როცა ოთხ ფესოს უკეთებ ათ-სოლიანს ურმის თვალს, მაშინ ორ ფესოს მოუხთება სამ სოლზე გადაყვანა, ორ ფესოს კი ოთხ სოლზე, რადგან ათი სოლიანი ურმის ფესოები თითოეულ ფესოს სიგრძე სხვადასხვა არის. ორი სოლიანი ფესო, რომელიც ორი ფესო აქვს, ასეთი ერთ თვალს თითო ფესო გამოდის თერთმეტი ვერშოკი, სამსოლიანი ფესო კი რომელიც ორი ჰირიან აგრეთვე თვალს, თითო ცალი ფესო გამოდის თხუთმეტი ვერშოკი გარშემო შემოზომით. შემდეგ შემოვკვედავ. მორგვს გავებურღავ თავის ბურღით და გაუკეთებ ღერძს. ღერძს აქვს სიგრძე ერთ-ნახევარიდაქ[5] — ორ არშინამდის. შემდეგ გავაკეთებ ზეხადგარს, ორ ცალს. სიგრძე ექნება სამი არშინიდან სამ-ნახევარი არშინამდე; შემდეგ დავტოხავთ ზესადგარის ზომაზე; დავთლით ფალანგებს, დავასუფთავებთ შალაშინით, გოუყრი ზესადგარში, შევაწყობ და ავაწყობთ ზესადგარს. ზესადგარს დავტოხავთ თითო ცალს სამ ალაგას და დავსობ ზედ მანჭოებს ძალიან. მერე ზესადგარს გაუკეთებ უწყვეტებს. უწყვეტების მოვალეობა არის ზესადგარი არ გოუშვას იქით-აქით, რომ არ დეირღვას ზესადგარი. ზესადგარს წინა თავში გოუბულღავ ორ ალაგას (ორ ადგილს. — ქ. კ.) და იქ დავაგებ ფრჩხილებს. ფრჩხილები შეკრულია ღელეკით. ზესადგარის სისხო ოთხკუთხით იქნება ორი ვერშოკ-ნახევარი. ზესადგარს აქვს ქვეშიდან პეშვი. ამ პეშვებს აქვს დაცმული კვერნაება, რომელიც ღერძს არ გაუშვებს იქით-აქით და იბრუნებს ერთ ალაგზე. მანჭოებს დავანცობთ წინ და უკან კვატუშებს, რომ ხაპანემ (ტვირთმა. — ქ. კ.) არ დააზიანოს ფალანგები. ზესადგარის ბოლო ნაწილი უფრო ფართოა წინა ნაწილზე.

მთხრ. ლუკა ლევანის ძე გოგუციძე, 69 წ. ურმის მოხელე (სოფ. ვანი, ვანის რაიონი).

ურმისათვის მასალათ ეხმარობ ძელქვას, ეკლის ხეს, თვალს. ეს ხეები გვაქვს სოფლად, ეზობაში გამოიბილი. მოკვრით და გავაკობიტებთ (გავთლით). პირველად გვეიდგავ ხაშურგე ხეს და დავხტოქავ, დავაგებ ზედ ხოლს, მერმედ სოლს ფეხს დავაგებ ზედ. ფესოს გავთლი მოხრილათ. წყვილი მურგვისათვის საპირუა რვა ფესო. ერთ ურემს უნდა ოცდაოთხი სოლი.

სოლს გავაკობებთ ორივე თავებში და შეუდღავ, მერმედ ორივე თავებს შეუტრი, მოუსობ ფესოს ფარგალს და დაეპობ, მურჯს ჭერ რკინით გავთლი, ძელქვის ხეს. ექვისი ვერშოკი სისქეს დაუტოვებ, რვა ვერშოკ — სიგრძეს. სიმადლეს უზამ ურმის თვალს. ოცდაოთხი ვერშოკს, ამფერ გავაკეთებ ურმის თვალს. ერთ ურემს წყვილი მურგი უნდა. ურმის თვალს რომ გავაკეთებ, მერე მიუტან გაკეთებულ თვლებს მჭედლებს და ისინი შემოპყედავენ. მერე თვლებში გადუყრით ღერძას. ღერძას ხელისათვის (ხელისათვის. — კ. კ.) მოკჭრი თელის ხეს, რადგან თელის ხემ მოყოლა იცის ადვილად. ჭერ გავაკობრებ. სქელი ხე რომ იქნება მთავარ ნაფოთებს ჩამოვათლით. მერემ ამ გაკობრებულ მოღებრხავ შუაზე და მერე იპას გავწვე. თელას რომ გავხერხავ, ჭერ იმას ჩავაგდებ ცეცხლში და გავრუჭავ, მერმედ გამოვტოხავ ხელეს შვიდ ალაგას და გაუყრი შიგნით უწყვეტებს. შევკრამთ მერე ხელას უწყვეტებით და ამოეტოხავ ხაფრჩხილებს და დაეაგებთ ზედ ფრჩხილებს. ამ ფრჩხილებზე დაეაგებ მერე ხამკლარებს. მერე უწყვეტებზე ლაფათინებს დაეაგებ. ხელა დაეაგება დათვაზე, დათვა კი ადგია ღერძაზე. ხელეს ამოსაკრავს დათვას ვეძახით. დათვას გვერდზე აქვს ძუძუ, რომ ხელა არ მოედოს ურემს და არ გაფუტდეს. დათვას ქვევით უკეთებ ყვერას, რო ღერძი დაიჭიროს. ხელას მერმედ უკეთებ დიდ უწყვეტებს. ხელას რომ გავთლი, ყმაში ჩავასობ სოლს და მოუჭერ რკინას ხელას თავში. ქვეშიდან ამოვაკრავ ყაპს და დაეამაგრებ ლურხნით. ყმას შუა და ხელას შუა გაუყრი უდღებს. უღელი რომ გაითლება, მერე გავრუჭავ; გარუჭის შემდეგ წაუტებ ფუნას, რომ არ გასქდეს. უღელს ტაფეებისათვის ერთ შუაში ამოვებურღავთ, ოთხს კი კიდებზე. ურმის ვასაკეთებლად ეხმარობთ შემდეგ იარაღებს: ხატოხს, ეჩოხს, ბულღს, ფარგალს, ნაჭახს, ხალაშინს, ერთი ცალხედა ხერხს და მეორე გამბული ხერხს.

მთხრ. ლუჯა კალამე, 68 წ. ურმის მოხელე (სოფ. ეწერძველი, სამტრედიის რაიონი).

ურმის ბორბლებს ურმის თვლებს უწოდებთ. ურმის თვალს უკეთებთ თორმეტი სოლს. ერთ ურმის თვალს უნდა გაუკეთოთ ოთხი ფესო. თვლებს ურმისას შეუერთებთ ღერძას. თვლებს შუაში აქვს მორგვი ჩაღბაში ამოჩალხული. ფესოზე შემორგებულა რკინის მორგვი, რგოლები. ურემს აქვს თორმეტი ჩხილა. ურემს ხელეს ზევით რომ ამოკრული აქვს ჩხილებთან ფიცარი, იმას ვეძახით გვერდითი ფიცარი, ანუ ლამფას.

მთხრ. გიორგი ვახილხს ძე ჩიხლაძე, 85 წ. (სოფ. გორდი, ხონის რაიონი).

დაბალი ან ჩხილიანი ურემი. პირველად გამოვთლი ურმის თვლებს; ურმის თვალი შესდგება თორმეტი სოლხსა და ოთხი ფოსხსაგან. სოლები დამაგრებულია დედოში და ფოსში. ურმის თვლებში გაუყრი ღერძას. მერე გამოვთლი ხელას, ზედადგარს. ზედადგარს გაუკეთებ წინა ტაფას და უკანა ტაფას. ზედადგარს გაუკეთებ აგრეთვე ოთხ-ხუთ ფარანგებს. ზედადგარს თავზე ჩამოვარჭობ ოთხიდა[წ] ექვს კოჭამდე, ხელეების თავში გაუყრი ჩხილებს. ჩხილებს კი თავში გავკრავ წყნელით. სოფ. კინჩხაში (ხონის რაიონი) ჩხილეს უწოდებენ ლოშინას (ცნობა მომწოდა 45 წ. ვლადიმერ კოსტას ძე ჩარკვიანმა). როცა გვინდა ურემი წაეიყვანოთ, ჩხილების თავში წყნელით რომ არის შეკრული, ამოვებ ღელეკს და მეორე მხარეზე მივებ უდღეზე და

წაყვებან. უღელს ვაგებურღაჲ და შიგ გაუყრი ჭაფყკებს, ტაფიქებს კი მივაბავ ბაწარს. რომელსაც ამაჟურხ უძახით. სადაც გზა უშხრობს, გზა მოსახერხებელია ურმის ვასასვლელად, ვხმარობთ ყველაფრის საზიდავათ. როცა ურმის თვალი მთლიანად ხის არის, მაშინ ვეძახით ფიცრულ ურემს.

მარხილი ანუ ხათრიელე. მარხილს უმეტესად ვხმარობთ თოვლში საზიდავათ. ჩვენ[ი] ადგილი მთა ადგილია და ურემი არ გამოდგება და თანაც თვლტში თოვლი იცის დახოვა. მარხილს ვაკეთებ ასე: ჭერ ვავთლი ორ ხათრევს გაუტოხავ ორივე სათრევს წინ და უკან თავს. ამ სათრევს მიწაზე უღვეს თავი და ხარი მიაჩოჩიალებს; მარხილს დაუსობ წინ ორ კოჭობს, კოჭობზე ჩამოვანცობთ უკანა ტაფას, უკანა ტაფეს წინა ტაფეზე გრძელს გავაკეთებ. მარხილს გამოუყრი წინ ორ ჩხილეს, ტაფეების ზეეთ ჩამოვაცობ წინა ტაფაზე სამი ლაჩხს, ერთი შვაში იქნება. ჩართს გავკრავ სამ ადგილას ღელეკით. უკან კი ჩართს მივკრავ მხოლოდ ღელეკს, ჩამოცობა არ უნდა. ჩართს სოფ. კინჩხაში ზეზანგურახ ეძახიან (ცნობა მოგვაწოდა სოფ. კინჩხაში მცხოვრებმა 45 წ. ვლადიმერ კოსტას ძე ჩარკვიანმა).

ჩხილეები. ორ ჩხილეებში ჩავლობთ უკან ერთ ტაფას. ჩხილეებს ვხმარობთ მარტო ხისა და შეშის სათრევად. ერთ ხეს ჩავლებთ თითებში და მივაკონაეთ ზედ ღელეკს, მაშინ ტაფა არ უნდა. თითონ ჩხილა შესვლება ზეზანგურახ და თითებხეზანგურახ.


თავკავი. თავკავს იმგვარად ვაკეთებთ, როგორც მარხილს, მხოლოდ წინა თავი მოღაღღლი (მოკუკუკული) აქვს. ტაფეში გამოვავთ ბაწარს, ღელეკს ან ჭაჭეს და კაცს მოაქვს თითონ. თავკავი მარხილზე პატარაა, იმას მხოლოდ დიდი თოვლზე ვხმარობთ. თავკავს ქვეშ ორი ხაჩოჩავს გაუკეთებთ. სიგრძე არშინ-ნახევრიდან ორი არშინაში ექნება. უკან ორი კოჭობს დაუდგამ, კოჭობზე კი ტაფას ჩამოვანცობ. წინა ტაფასაც ასევე გოუყეთებ, კოჭობზე ჩამოვანცობ ტაფას. წინ პატარა ფარანგს გოუყეთებ და შემდეგ ღელეკს ან ბაწარს, ან ჭაჭეს მოვამბავ. თავკავს ფარანგს გოუყეთებ ორს ან სამს. ფარანგებზე დაეაწყობთ შეშის და ისე მოვათრევთ. მხოლოდ დიდი თოვლის დროს ველშობთ თავკავით, ფეხზე ამოკრული მაქვს თხილამური, თორე ასე ვერ ვიმუშაებთ. თავკავს მხოლოდ ვაკემი ვამუშაებთ, თავდაღმართზე მალლიდან რომ ჭურთს ჩამოვითან, დაბლიდან თავკავით ჭვირთს ვერ ავიტან. ცარიელი უნდა ავიღეთ თავკავით.

მთხრ. პილატე ნიკოლოზის ძე მხხვილიძე, 75 წ. (სოფ. ხანი, პალდადის რაიონი).

მარხილი. მარხილისათვის გამოდგება რცხილის ხე. მოვკრი რცხილის ხეს, მერე ვავთლი ოთხკუთხეთ, მერე ვავთეგამ რკინის თევით, მერე გაუყეთებ ფრჩხილს და დაეაკვავ იმ მარხილს ზედ ფრჩხილაზე, მერე გოუყეთებ ფრჩხილას ხართოულას. ხართოულას უკან ორ არშინზე დაეაჭენ კოჭებს, უკანა კოჭზე დევანცევა კიდევ ხართოულას. კოჭების თავს გავკრავ ღელეკით. მერე ჩავაწყობთ ვენახის ხარდანს. მარხილი იხმარება ვენახის ხარდანის მოსაზიდავათ. შეშისაც მოვზიდავთ.


ლეკმარხილი. ლეკმარხილს ვაკეთებთ ნაძვის ხისაგან თავში მოვხრით. მოხრილს თავს უკან დაეაგებთ ოთხი ხის კოჭას, მხოლოდ ოთხი ვერშოკი ექნება სიმაღლე. სწორედ ამ კოჭებზე იქნება დაჭენილი ხართოული. ხართოულაზე დაეადგამთ წყნელით შორავულ ძარხს. ამ ძარში ჩავყრით ნაყელს და გავიტანთ მამულში, უანში, სასუქად. ლეკმარხილს წინ დაეუბამთ ხარებს.

ფრჩხილე. ფრჩხილის იმერეთში, ბაღდაღში ღაშკინს ეძახიან. ფრჩხილიზე უკან მოვამბავთ სართოულას დელეკით. ფრჩხილიზე დაეკრავთ შუაში ხეს (სართოულაზე) და წამოახოხებს ხარი.



სურ. 28 ლეკარხილი.

ხაყეტს მაშინ გაუდებთ ურემს, როცა თავდაღმართზე ჩამოგვეყავს. ხაყაჩავი ბაწარი — ურემი რომ არ გამოგვექცეს, სწორედ ამ ბაწარით ვიჭერთ. ჩოჩიალა[ხ] ან დაბალ ურემს ვხმარობთ სიმინდის, ხის, ხარდნის საწიკავად.



სურ. 29 ფრჩხილე.


ეს არის ჩვენი ურემი. ხაძლეფარე — ამით ავწევთ ჩალას და ყოველგვარ ანაწევს ქვევიდან ზევით.

მთხრ. აქვხენტი იაკობის ძე გელხვეიძე, 57 წ. (სოფ. ხანი, ბაღდადის რაიონი).

თხილამურები. მოკჭრი ლეკის ხეს და გავაობ ოთხად, მერე გავთლი და ჩოუთლი გვერდებს; ჭერ მოვახობ, მერე გავწვავ რკინის შაფურით, მერემოდ გამწვარში გაუყრი ღვლეკს, რომელიც არის წყავის (ხეა) წნელი და რომელსაც ხარცხლხს ვეძახით. მერე დაეაბავ თოკს თხილამურს და შემოვიბავ ფეხზე, როცა თოვლია. ფეხზე კი გვაკვია, როცა თხილამურს შემოვიბავთ, ქალაზანი. არშინ ზევით როცა თოვლი იქნება, მხოლოდ მაშინ ვხმარობთ თხილამურს.

ოჭივარა. ბავშვ ახლად ადგმული ფეხი რომ აქვს, გავაკეთებთ გოგორებიან ოჭივარს. ქვეშ ძრო ექნება. ოჭივარს ზევით გოუკეთებთ თავს. ბავშვს ჩავსავთ ოჭივარაში და ის თამაშობს შიგ.

ოჭივარას ვეძახით აგრეთვე ხარის გახახედნს ხელხაწყოს. ჩავასობთ ბოძს შიწაში, ბოძზე ჩამოვაცობთ უღელხს, რომლის თავს ფართედ ამოვებურღავთ.



სურ. 30 ოჭივარა.

შევებავთ უღელში ხარს, მეორე თავს უღლისას ბოძზე ჩამოვაცობთ. ხარს რომ შევებავთ, ხარი იბრუნებს უღლიანათ ორ-სამ დღეს და ასე გაიხედნება. ურა (ვაუხედნავ. — კ. კ.) ხარს გამშავენ (ხედნიან). ასეთ ოჭივარს ვაკეთებთ უფრო დაბალს და უფრო პატარას თუ გვინდა, ბავშვა სიარული ისწავლოს.

განრეკი — შეშა მოგვაქვს ტყიდან. ასეთს ცხენს დავკიდებთ რვა ცალს და შიგ შეშას შევწყობთ.

მთხრ. მელიტონ იოსების ძე ჩიხლაძე, 75 წ. (სოფ. ნოლა, ხონის რაიონი).

კანტო. კანტოთი ვასწორებთ დაგროვილ მიწას, კანტოთი გადაგვაქვს დაგროვილი მიწა. ვაკეთებ ჩხილისაგან. ჩხილის ბოლო თავში შემოვაცობთ კანტოს, კანტოს ორ ადგილას ამოუჭრი და იქ ჩხილის თავს გავყოფ. კანტოს შუაში გაუკეთებ ერჭვან, ერჭვან კი კანტოს თავს გადაუჭირებს მუშაობის დროს.

მთბრ. ანბერკე ესეზის ძე ბერეკაშვილი, 68 წ. (სოფ. კურსები, ტყიბულის რაიონი).

არწაბი — ვხმარობთ როდესაც ალბი (არხი. — კ. კ.) [ა]მოივსება „შებილით“: „შებილ[ს]“ ქვის პატარა ნატეხებს უძახით.

კვანო რაბა

მთბრ. ფარხადან დვალაძე, 85 წ. (სოფ. ქვედა შავრა, 18 VII, 1935 წ.).

კვან ვაკეთებთ ფიჭვისა და ნაძვისაგან; სისქით — ორი ვერშოკი, სიფართო — უკან არშინ-ნახევარი და წინ — ათი ვერშოკი. დავბრეტავთ პირთხელით და შოღკაფავთ (კაუებს გაუქვებთ); მოკაუული იქნება უკან სიფართოში შარაშარა¹. წინ, თავზე ამოჭრილი აქვს სისქეში და გაყრილი აქვს მაგარი ჯოხი. ჯოხზე დღეუკს ვაბამთ და უღელს მივაბამთ ამ დღეუკს.

სახვწელათ ყველა ხეს ვაკეთებთ, რომელიც კი სიმარჯვით მოუხდება. უქეთესია ყველაზე ცაცხვი და კოპიტი. სახვწელის ნაწილებია: კაფი, ქუხლი, ერქუანა.

კაფი მუხლიანია და ჩადის ქუხლში. წინ კავს ჭდეუხი აქვს უღლის დღეუკის ან ჭამბარას მოსაყიდებლათ. ქუსლი გამოდის წინ ვიწროთ — სამ ვერშოკამდე ვიწროვდება. უკან რვა ვერშოკი აქვს სიფართო. ქვეშ ამოჭრილი აქვს ლარივით, მიწას რო არ შეედევს. წინ ვუქვებთ მჭიდლის ფოლადს. ეს სახწიხა. ერქუანი ჩაეგება თავის ხოლით ქუხლის კრილიში უკან, სადაც კავი და ქუსლი ერთდება. თუ სახვწელი ღრმად არ მიდის მიწაში, უღლის ჭამბარას გადავსწევთ კავის წინა ჭდეუხე. თუ ამან არ უშველა, დავაიჩოჩებთ — ზეიდან მივცემთ სოლს ქუსლში ერქუანთან და დავსწევთ. თუ ძალიან ღრმად მიდის, მაშინ დავაიწვევებთ — ქვეიდან მივცემთ სოლს და ავწევთ. ამისთანა სახვწელს ხწორი სახვწელი ჰქვია. მეორნარიია მოკლე წეწენა სახვწელი. კავის თავის ძირს არის დანობილი და მიწას ეთრევა.

ნაწაბხ ვაკეთებთ წიფლისას: გამოვაკობიტებთ (გამოვკრით), გავთლით პატარა ნაჯახით და მეგრე პატარა სალაშინით გავწმენდავთ. ბარს მჭედლიდან მოგვაქვს, ტარს ვუთლით და ვაგებთ ნაჯახით.

ფიწალი ვყიდულობთ და ნაჯახით ვაგებთ. ფიწლისნარიად ორთთხვ ვამოვსებლავთ (გავსხეპავთ, არა საჭირო ტოტებს წაეპკრით) ხის შტოლსაგან; საორითიუ ხე კუომალი (ორტოტა) უნდა იყოს. თითებს სამი ჩარექის სიგრძეზე წაუჭრით, მეგრე ჭობოწით (დიდკბილებიანი ქლიბი) გავალამაზებთ.

არწაბს ვხმარობთ კალოზე მიწისა და მტერის მოსაგროვებლად და მისაწევ-მოსაწევად. არწაბი პურის (გალეწილი პურის) მოსაგროვებლად არის კიდევ საჭირო. არწაბის გასაკეთებლად ფიცარს გამოვკრით ორი არწინის სიგრძეზე, სიფართო ჩარექი იქნება, სისქე ვერშოკი. ტარს ვაუქვებთ შუაში და იქით-აქით ჩავფახავთ (სისქეში ირიბათ ჩავაჭრით). ორივე გვერდზე იხმარება.

ბეერი მიწის გადასატანათ ერთიდან მეორე ადგილზე, ან კალოს მოსასწორებლათ ვხმარობთ კაპტოს (კაბლო უნდა იყოს.— ა. კ.). კაპტოს გასაკეთებლათ ავიღებთ არწინახევარი სიგრძის და შეიდი ვერშოკი სიფართის ფიცარს.

¹ პარალელურად.

სისქე ვერშოვნახებვარი უნდა ექნეს. ერთ გვერდს ჩაუფხავავთ და ორივე თავებში გავუკეთებთ ხაფინხილებს. საფხინხილებში ამოვუყრით ფხინხილებს (ურმის ფხინხილებივით). ეს ფხინხილები სწორა გადის საფხინხილებში და ენა კი არა აქვს, შეერთებულია ღვლეკით თავში და აქ ამოედება უღლის ღვლეკი და ჯამბარა, დაეუბამ ხარებს. წინ, შვაზე ამოხვრეტილი აქვს ბურღვი და ამ ამობურღვილში ამონცობულია ღვლეკი და ღვლეკით მიკრულია კაპტოზე ცერზე ჯოხი. კაცი ფეხებით დგას კაპტოზე და ზურგიით მიზჯენილია ამ ჯოხზე. ხარება წვეენ კაპტოს და მიწა მიაქვს (კაპტოს). კაპტოსაც და არნაღსაც წიფლიდან (წიფლის ფიცრისგან) ვაკეთებთ.

სახენწლს და ურემს შინაური კაცი აკეთებს.

ურემის ასე კეთდება: ჯერ ზესადგრებებს გავაკეთებთ (გავთლით), დავხვრეტავთ ზესადგრებებს ბურღვით და გავუკეთებთ რხმალებს ექვს ან შვიდს. რხმალები შეკრავს, შეაერთებს ზესადგრებს. წინ ურემს რვა ვერშოკი ექნება სიფაროე. უკან სამი ჩარეჭი. ზესადგრებს სიგრძე ორი არშინი და ერთი ჩარეჭი უნდა დაურჩეს. ზესადგრებს წინ ამოუჭრით ხაფინხილებს და ამოვბურღვავთ ხაფინხაფებს. ზესადგრებს წინ თითო კოჭს გავუკეთებთ და უკან ორს. ცალკე გავთლით დათუვებს. დათუვებს დაედგმება ზესადგრება. ზესადგრები დათუვებზე კოჭებით დამაგრდება. დათუვებს ამოღრუტნული (ამოჭრილი) აქვს რველათ. ამ პრილით დათუვები ედგმის ურემს ღერძს ისე, რომ ღერძი ტრილომს დათუვებში.

თულებს გავთლით რაღით და შემოვსაზავთ ფარგლით, გავხვრეტავთ პირხიფლით და გავუყრით ღერძს. ღერძის თავები თვლებზე დამაგრებულია გაყრილი პატარა რაფებით. თუმცა ღერძი ისე მაგრათ შუღის თვლებში, რომ დაძრობა არც ადვილია.


თვლებს შინაშე ვიცით. რკინით შემოვკვდავთ. წინათ არ ვკვდავდით. თვლების ზომაზე გადავაჭრევიებთ მჭედელს რკინას. სამი ჩარეჭი თუ ექნება ჩვენებური ურემის თვლების სიფაროე. ჩვენც შეგვიძლია შემოვკვდეთ, მარა ეს უფრო მჭედლის საქმეა.

როცა გვიანდა სიმინდის ან სხვა მოსავლის მოზიღვა ძარით. ან [როცა] ეზიდავთ, მაშინ კოჭებს შუა კიდევ მაღალ არშინხახევიან კოჭებს ვუკეთებთ. საამისო ნაბურღვი წინდაწინ გვაქვს გავეთებული. სულ ოთხ კოჭს ვუკეთებთ ამისთანას — ორს წინ და ორს უკან. კოჭებს ვაერთებთ ზეით ლაჭათი. ლაჭა კეთდება წერილი წყნელისაგან. ზესადგრების საფხინხილებში ამოვუყრით ფხინხილებს. ფხინხილა კეთდება ტოტიანი ხისაგან. ფხინხილები ერთდება თავში წერილი თასმასავით დაღვლეკილი ღვლეკით. ღვლეკი თასმასავით ეხოვა ფხინხილის თავებს. აქ ამოედება უღლის ღვლეკი იქნება თუ ჯამბარა.


უღელსაც შინაური კაცი აკეთებს. სიკვით არშინ-ნახევიარი ვიცით, შვაზე დაქდობილი, თავები უნდა ექნეს მოხრილი. თავებში გაყრილი აქვს ტაპიკები — ორ-ორი იქით-აქეთ. ტაპიკებს აქვს ჭდეები და ამ კვდებში დასკენილია ახეურება. ტაპიკებში გადის ხარის ქელი და ამოვჭირება ახეურები. უღელი ცაცხვისაა და კობიტის. უღელი გაიხვრეტიება ბურღვით, გათლებმა ნაჯახით, სიგრძეს გადაჭრით ხელის ხერხით და გავასალაშინებთ სალაშინით. მერე დავაკობომწნებთ.

მარხილს ვაკეთებთ რცხემლისა და კობიტისაგან. გავთლით ნაჯახით მარხილს ფეხებს, სიკვით ორ არშინს, სისქე ორი ვერშოკი ექნება. წინ ხაფინხილებს ამოვუბურღვავთ. ამოუჭრით ხაფინხაფებს პირთხლით და დავაგებთ კოჭებს. კოჭებს შევაერთებთ ლაჭათი წინ და უკან. სანამ ლაჭებს დავამცობ-


დეთ, უნდა გავუყუეთოთ სართაულეები. სართაულეები ვეწრო, გამწვდენი გათლილი ფიცარია. ამოჭრილი აქვს საკოჭეები და კოჭებში ჩაეგება. სართაულეები მარხილს უკეთდება წინ და უკან. სართაულეებზე დაედება ტირთვი. კოჭები თავზე ლაჭათია შეერთებული. ლაჭა ყოველთვის უნდა ჰქონდეს გადაცმული მარხილის კოჭებს, რომ სისწორეში იყოს მარხილი. მარხილს ვხმარობთ ზამთარში ქალებში ნეხვის ჩასატანათ და ჭირკის (ხის ნაჭერი) ამოსატანათ.




სურ. 31 აჩა.




სურ. 32^ა კაპტი.



სურ. 32^ბ დარცი.



სურ. 33 სახრის მოწული ლასტი.



სურ. 34 ჩელტი და ურო.

შენიშვნა: ჩინაბატები სურათებისათვის 31-იდან — 48-მდე, შესრულებულია მასალების შემკრების — ნ. რეხვიავილის მიერ ლეჩხუმსა და ზემო რაკაში 1935 წ.




სურ. 35 ხელწელბა.




სურ. 36 ყოფობნა.




სურ. 37 კვბაკვეშო, ურო.




სურ. 38 გორგილი ურეზი.




სურ. 39 გორგოლა ურეში.




სურ. 40 ხეიმარხილა.



სურ. 41 ციხელი შახელი.




სურ. 42 შახელი, ა. კანდიჯი.



სურ. 43 ღვეშა.




სურ. 44 ხელკერი (ხაუნო).



სურ. 45 სასრევი.



სურ. 46. ღელა.



სურ. 47 საბეჯა.



სურ. 48 საშინობლა.

ლაზგანლ ლაშქარი — საოჯახო იარაღი; **ლაკნია ლაშქარი** — სახენელი იარაღი; **ლენწუმ** (კავი), **ბერგ** (თოხი), **ლაქანდარ** (ფარცხი), **ჭღვა** (ულელი), **ლაღშ** (სათესლე გოდორი), **ლამი** — თესლი, რომელიც საზომადაც¹ ითვლება და უდრის ერთ ფუტს.

ლენწუმის (კავის) ნაწილები: **ლაცუვ** — ზედა ნაწილი, ქვედა ნაწილს კი ეძახიან **ბერ-ხ**, ხელის მოსაკიდებელს — **ქვაჯ**, (სახნისი) **მგრა** ლენწუმ უნდა იყოს წიფელა, ან რცხილა, რადგან უფრო მაგარია. მგრას (სახნისს) აზბადებდა ადგილობრივი მგშეიდ (მჭედელი, „ლენწუმ“-ს კი უფრო ხშირად ყოველი მეურნე სვანი — **მგენი-მგლანე** (მხენელ-მთესველი) აკეთებდა ნაჯახის და სატეხის საშუალებით.

ლაქანდარ-ს (ფარცხი) წინ **ჭღვა** (ულელი) აქვს. ამ უღელზე წირხ-ით (ღვლეკით) მიმაგრებულია კვედლარ (თხილის წყნელები), რომლებსაც ეძახიან **ხაბარ-ს**.

ულელი თავებში აქეთ-იქით გახვრეტილია და ნახვრეტებში გაყრილია ორი კომბალი, რომლებსაც ეძახიან **ლაკანდარალ-ს** (ხელნები); მათი საშუალებით ფარცხს მიათრევენ ხარები. ლაკანდარალები მიბმულია ღვლეკით ან ბაწრით უღელზე.

ბერგ-ს (თოხს) უსათუოდ თხილის ან ტირიფის ტარს გაუკეთებენ (ტარი — ლანდრა). დახენის შემდეგ თოხით ბელტებს დაამტრევენ, დაფშენიან; ხშირად ერთ მხენელს უკან მისდევს ორი მთოხნელი; ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი მიწაა და როგორ ამინდში იხვნება. ქიშურადი გარდაფხადეს ახსოვეს ხის თოხი, რომელსაც ორი პირი ჰქონდა — ზემო და ქვემო; ხენის დროს ხმა-რობდნენ ორივე პირსო, ჰიმიდის თოხნის დროს კი უფრო ვთუმბავლებდნენ ნაჯახით პირს და ისე თოხნიდნო, ასეთ თოხს ბერგ-ს კი არ ეძახდნენ, არამედ **თოჯ-ს**.

ულელი სამნარია: ერთია, რომელსაც ხმარობენ ხენის დროს — **ლაკნია ჭღვა**, მისი სიგრძე უდრის სამ ალაბს, მეორე — **ლაკლაფია ჭღვა** (საკალოო უღელი), მესამე — **ლანკეშღია ჭღვა** (მოკლე უღელი), რომელსაც ჩვეულებრივად ხმარობენ რაიმეს საზიდავად. ლაკნია და ლაკლაფია უღელი ცაცხვისაგან კეთდება, რადგანაც უფრო მზატეა, ლანკეშღია უღელი კი რცხილისაა. უღელს ორივე თავში აქვს ორ-ორი **ლახმანდარი ლახვამ** (ნახვრეტი), რომლებშიაც ჩასმულია ოთხი **ლახმანდარი** (ტაბიკი) — ორი აქეთ და ორი იქით; იქვეა **თხჯ** (ავეური). ლაღშ (სათესლე² გოდორი) დაწნულია ტყეც-ებით (გაობილი წყნელებით) როგორც კალათა, შიგნით კი ქვავის ცომით მიკრული აქვს ტომარა, რომ კაკალი არ გასცვიდეს; ამ ლაღშ-ით იზომება მარცვლი, გააქეთ სახნავში თესლი და იქიდან სთესენ ხოლმე.

კალ-ის (კალოს) იარაღები: **კეურ**, **კეკრი ფარწალ**, **ხამითთა**, **ორთით**, **ლახჭპარ** — (არნაღი, ლეჩხუმში — არნაგი), **ლაყვილ**, **ლანდარ** (ნიჩაბი), **ცხარლ**. სამითთა და ორთითთა თხილის ხისაა — შდიხენდრა, ნიჩაბი — წიფელა. **ლახჭპარ-ის** (არნაღის) საშუალებით გაღეწილს აგროვებენ ერთ ადგილას (ლიხჭუპე — შეგროვება). **ლაყვილ** — არყის გრძელი ტოტი, რომელსაც განიაგების დროს სდებენ გასანიაგებელსა და განიაგებულს შორის — შუამი: ლიყვილე, გაყოფა.

¹ დედანი ყოფილა „საზომად“, „საზომადაც“ ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ.

² სიტყვა — „სათესლე“ დედანი ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ.


ხვე (მარხილი) სენათში არის ჰირნახლის შემოსახიდი საშუალება: სიმინდი, ქერი, პური, თევ — სულ მარხილით მოაქვთ ხოლმე, როგორც ახლო ყანებიდან, ისე მთიდანაც.

საე-ის ნაწილები: ჰიშხარ, — ხვე ჰიშხ — მარხილის ფეხი. ჰიშხ-ს აქვს თითოზე რვა-რვა ლანჭთხა (ნახვრეტი). სავა ჰიშხარ-ს აქვს ლაკდარალ, რომლებიც წირბ-ით (ღვლეჭით) ან ბაწრით ებმის უღელს. მარხილის ფეხის რვა ნახვრეტიდან სამში ჩადებულია ფეკვნარ თითოზე სამი, რომლებზედაც ზემოდ გადებულია ოხპერ (ფიცრის ნაჭერი). მარხილის ფეხის ნახვრეტი ერთიმეორესთან შეკავშირებულია ნაწრისუნ (ღვლეჭით). როდესაც ეზიდებიან პურეულს, ან თივას, მარხილზე დასდებენ ფარცხ-ს, რომელიც შესდგება ეჭესი თანბარი ჯოხებისაგან; ეჭესი ჯოხი შეკრულია ნაწრისუნ-ით (ღვლეჭით), — ოთხ ადგილას. ფირწალ-ის (სამთითის) ტარს ეტყვიან — კელ-ს, ქი-ვანდარ-ს (თიჯებს).

ჯემო სამეგრელო

მთხრ. გეაძი ვეკუა, 105 წ. (სოფ. საეეკუო).

აგაფა¹. აგაფისათვის გამოდგება ბალი, თელა ან ლანჭი, სხვა ხე არ გამოდგება. მოქებნი და ამოვთხრილით ძირში მოღუნულ ხეს. გავასუფთავებლით და გავაშრობლით. ბალი ყველა ხეს სჯობდა. როდესაც ხე ცოტა გაშრებოდა, ლარით გავასწორებლით და გავთლილით. დავტოვებლით გასაშრობად. მერე კიდევ გავთლილით და ვამოგეყავდა აგაფა. მერე ჭურხ (ჭუსლს) გამოვთლილით. ჭუსლისათვის საჭირო იყო ან ნიგოზი, ან თხმელა. სხვა ხე არ ვარგოდა. ჭუსლს სიგრძეზე გავთლილით და აგაფას მივაზომებლით. ჭუსლს, იმ ადგილს, სადაც აგაფა უნდა ჩამაგრდეს, ამოვტოხავლით. ამ ბუდეში აგაფას ხოლდებით ჩავამაგრებლით.



სურ. 49 აგაფა.

ბერგის (თოხი). ბერგს შვედელი ამზადებდა. ძველად ხელობა არ იყო გავითარებული. როდესაც ბერგისათვის რკინახ იშოვნინდენ, ჩააგდებდენ ცეცხლ-

¹ ღელანი დაარგულია. ტექსტი მომზადებულია ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაცული პირის მიხედვით.

ში და კარგად გაახურებდნენ, შემდეგ ამოიღებდნენ, დასდებდნენ ქვაზე და ნაჭახის შუბლით სქედევდნენ და პირს გაუთხელებდნენ. პირს კაცით გაუსწორებდნენ. მერე ვანიითარდა მჭედლობა. მაგრამ თავდაპირველად ფოლადის კარგად ხმარება არ იცოდნენ. მე მახსოვს, ლაპარაკობდნენ, რომ ერთ კაცს ფოლადიანი ბერჯი გაუკეთებინებია. ფოლადისა პირი ჰქონდა. სახლში როდესაც ბრუნდებოდა, თოხს პირი წასძვრა და მიწაზე დაეცა. დაბრუნდა მჭედელთან და უთხრა: „აი, შენი ჭირივე, გადავახტი თხრილს და თოხს პირი წასძვრა. იქნებ როგორმე გამიკეთო“.

ბარი. ძველად ხის ბარს აკეთებდნენ. ტოტიან ხეს მოსძებნიდნენ და ტოტის ქვევით მოსჭრიდნენ, ფართოდ გასთლიდნენ, გაასუფთავებდნენ და ეს იყო ბარი. რკინის ბარი შემდეგ შემოვიდა.


ფიარი. ფიარიც ხისაგან კეთდებოდა. ყველა ხე ვარგოდა, მაგრამ უფრო თხმელა სჯობდა. პირს უფრო ფართოდ სთლიდნენ. ტარიც გათლილი ჰქონდა.

მთხრ. ხაყვა ფიფია, 94 წ. (სოფ. წყაყა).

ძველად რკინის თოხი არ სცოდნიათ. მე მახსოვს, ჩემი ბაბუა იტყობდა: „ორი წელიწადი ხის თოხით ვთოხნიდით“. ვხმარობდით რკინის თოხს, რომელიც ადვილად ფუჭდებოდა. ფოლადის თოხი არა გვქონდა.

მთხრ. კაყურა შანავა, 100 წ. (სოფ. წალენჯიხა).

ოჩამურე. ოჩამურე ღომის საცეხავად გვქონდა. ვაკეთებდით მუხისაგან, წაბლისაგან ან ნიგვზისაგან; სხვა ხე არ გამოდგებოდა. ხე მსხვილი უნდა ყოფილიყო. მოვჭრიდით ხეს, მოვხერხავდით ტანის შუა ნაწილს, თავებსაც შეუსწორებდით; შემდეგ ერთ თავში წყეპარით გულს ამოვუღებდით ჩხვერის ჩასაყრელად. ოჩამურეს ჩვეულებრივი ზომა იყო: ტანის სიშსხო — ორი მეტრი, სიმაღლე 70—80 სმ, ამოღებული პირის სიღრმე — 28—30 სმ.



სურ. 50 ოჩამურე, 50ა. კაყურე.


კაკუტოფი. კაკუტს ვხმარობდით ღომის საცეხავად და სიმინდის დასაფშენებლად. თავი ან მოკაუტებული აქეს, ან კოროიანი (გამსხვილებული); კაკუტი ყველა ხისა კეთდებოდა, მაგრამ თხილისა ყველას ჯობდა.

ოლე. ოლეს ხმარობდენ ღომის გასახმობად. თხილის წყნელისაგან იყო დაწნული. ჩვეულებრივი ზომა: ძირი — 100 სმ, სიმაღლე — 40 სმ. ჩამოსაკიდებლად გაკეთებული აქვს ვაზის [ტოტის] სახელური.

ოჩაჩუე. ოჩაჩუეს სიმინდის დასაფშვენტად ხმარობდენ. მიწაში ჩაარკობდენ ოთხ ჰარს, სარებზე გასდებდენ დანებხს, კადეებს თხილის წყნელით შემოლობადენ, შიგ ჩაყრიდენ სიმინდს და კაკუტებით ფშენიდენ.

მთხრ. ფილა აბშილავა, 96 წ. (სოფ. ოცინდალე).

ოხარკალაია, ოტკვრენაია. ოხარკალაიათი იცადენ სიმინდის და ღომის ყანას ფრინველებისაგან. ოხარკალაიას გრძელი ტარი ჰქონდა — 2,5 მტკაველი.



სურ. 51 ოჩაჩუე, 51ა. კაკუტეფი.

ოკვაკვეში. მსხვილთავიან კეტს თავი ამოთლილი აქვს. კეტი მოკლე ბოძზე დგას. მეორე მხარეზე კაკუტი აქვს ჩამოცმული. ეს ყველაფერი დამარგებულია ფიცარზე. ამოტოხილ თავს მიუყენებენ ღელეს, ამოტოხილი გაივსება წყლით და დაიწვევა ძირს. კეტი ზალა აიწვევა. ამოტოხილ თავიდან წყალი გადმოსხმევა, დიცილება. ახლა კაკუტი დასძლევს და დაეცემა ფიცარს. ოკვაკვეშით ამინებდენ დათეს. ასეთნაირივე ეიკოლით წყლის ოჩამურიც, მაგრამ იქ კაკუტი ფიცარს კი არ ეცემოდა, არამედ ოჩამურს.

მთხრ. თემრაზია ეხართია, 95 წ. (სოფ. ლერწუმე).

ურემის გაკეთება. ძველად ურემს სხვაგვარად აკეთებდნენ. ძველებური ურემი ახლანდელთან შედარებით, დაბალიც იყო. მას ბორბლები მთლიანი ხისაგან ჰქონდა გამოჭრილი. შეარჩევდნენ ისეთ ხეს, რომელიც არ იხეჩებოდა. უმთავრესად წიფელის ხეს ხმარობდნენ. შუა ადგილას გამოუჭრიდნენ ღერძის გასაყრელს. მის ირგვლივ დაუტოვებდნენ მრგვალს ათილ ნაწილს ახლანდელი მორგვის (მორგვი) მაგიერ. ამ ნაწილს ძველად გუახს (გუა) ეძახდნენ. ბორბლების დამზადების შემდეგ გაუყრიდნენ ღერძს. ღერძს უფრო მეტათ თუთის ან აკაციის ხისას აკეთებდნენ. ღერძს ორივე ბოლოზე გამოვარდნის თავიდან ასაცდენად ხალფხს (სალი — სოლი) დაარტყამდნენ. ზედ ბორბლებზე დაადებდნენ ბოქკა ხეს (ბოქკა ჯა — ორკაა ხე) და ზედ ჩართის დაადებდნენ. ჩართის (ჩართი) ხაცხირებს (საცხირე) დააყენებდნენ. ამის შემდეგ გათლიდნენ უღლეს (უღელ). უღელს მოაწყობდნენ თავისი ტაბუკებით და ამპურებით. ამისთანა ურემს ძველად ჭვიდის (ჭადის) ურემს ეძახდნენ. ზოგი გოგორებსაც (გოგორე) უწოდებდა. მერე და მერე ურემის კეთება გაუმჯობესდა. ურემის თვალს ახლა უკვე მთლიანი ხისაგან არავენ თლის, მას ცალკე აკეთებენ. ამ მიზნით ურემის ისტატი დაამზადებს მორგვს (მორგვი). მორგვი ის ნაწილია ურემისა, რომელზედაც თანაბარი სიდიდის და ფორმის სოლებია გაწყობილი. სოლების ბოლოები გადახურულია, ან მათზე წამოცმულია ბორბლის ფოსვები. ერთ ბორბალს

აქვს თორმეტი სოლი. ურმის ბორბლის სამივე ძირითადი ნაწილს მაგარი ჭიმის ხისაგან აკეთებენ, უმეტესად კი თუთის ხეს, აკაციას და მუხას ხმარობენ ხოლმე. გარდა ამისა ხმარების დროს ბორბლების სწრაფი გაფუჭებისაგან დაცვის მიზნით ფოსფატზე გარედან, ირგვლივ გადააქარავენ ხოლმე ურმის რკინას. ღერძზე ზედ დაწყობილია ურმის გ.ა. გა „მოპოლილია“. გას ფიცრების ცასაჩერებლად აქვს ხოლმე დანდაღები. ზედ გაზე დააყენებენ ხოლმე თითო მხარეზე ხუთთუთ ხაცხირებს. დანარჩენი ახლანდელ ურემსაც ძველებურად აქვს.

კვიციანი სამეგრელო

მთხრ. დიმიტრი გოტას ძე ჭანტურია, 115 წ. (ქ. სენაკი, სენაკის რაიონი).

ჩვენ ვამზადდებით ხეს სამეურნეო იარაღებს: ფიარს (ნიჩაბი), ხარს, რომელსაც პირი მოჭედილი ჰქონდა რკინით, ფეწაღს, აგაფას (კავს), თოხის ტარს. ვამზადდებით აგრეთვე საწოდებებს. მუშაობაში ეხმარობდით კვალას (პატარა ნაჭახი), დიდ ნაჭახს, ხორხს (ხერხი), შალაშინს და ხატეხს. მასალა იყო თელის და მუხის.

საზიდაეებში ვამზადდებით ურემს. ურემი მზადდებოდა მუხისაგან. ამას სჭირდებოდა ოცდაოთხი სალი (ექვსი ვერშოკი სისქისა და ორი მტკაველი სურბისა), შორგვო (ან თელის, ან ბალას იყო), ფეწვო (იყო აკაციის, თელისა ან ლანჭისა), თითო ბორბალს სჭირდებოდა ოთხი რკალი. ურმის ნაწილები ცალ-ცალკე მზადდებოდა და შერე იკვრებოდა. ბორბლები შეერთებული იყო ღერძით. ღერძზე დამაგრებული იყო ორი გ.ა. გაებზე უკან გადებული იყო კოფო. კოფოში ჩარჭობილი იყო ორი ხაცხირი, გაებში კი—ოთხი. საცხირეებში ურმის ორივე მხრიდან გაყრილი იყო ზეწრები. გაები წინ შეერთებული იყო ტაბაყით. გაებზე გადებული იყო ექვსი დანდალი. ბორბლისათვის გათლიდნენ მორგვს და გახერტავდნენ მორგვის ირგვლივ თორმეტ ადგილას ამოტოხავდნენ. ამ ამოტოხილებში ჩაარჭობდნენ თითო არშინიან სალებს. სალები დამაგრებული იყო ოთხი ფესვითი. გამოდიოდა წრე, ფესვებს გაიყვამო შემოარტყავდნენ რკინას. ასე მზადდებოდა ორი ბორბალი, რომლებიც შეერთებული იყო ღერძით. ღერძზე იდო გაები ამოჭრილი ნაწილებით, რომლებსაც ძმუძებს ვუწოდებდით. ტაბაყები გაყრილი იყო უღელში.

მთხრ. თედორე მოხეს ძე ცანავა, 60 წ. (სოფ. ახალსოფელი, სენაკის რაიონი).

ქვიციანი (მკადისათვის) ურემი და გაფილო. წინათ ჩვენ პატარა ურემს ვაკეთებდით. რომელსაც ჭკიდიში (მკადის) ურემს ვეძახდით. ქვიციანი ურემს სხვანაირი ბორბალი ჰქონდა. ბორბლის მაგიერ იყო ხისაგან გამოჭრილი ორი წრე, რომლებშიაც გაყრილი იყო ღერძი. ამ ღერძზე გადებული იყო ნაჭახით გათლილი ორი ფიცარი. ეს ორი ფიცარი წინ ჩაჭედილი იყო ერთიმეორეში.

მერე დავიწყეთ გაუმჯობესებული ურმის მზადება. ეს უფრო მაღალბორბლიანი ურემი იყო, ვეძახდით გაფილს. დავამზადდებით მორგვს, ხაღებს და ფოსფელს. მორგვს შემოვარგვავდებით და ამოჭრიდით სალების ჩასარჭობს. დამზადებულ სალებს ჩაეარჭობდით ამ ამოჭრილებში. შევეერთებდით დედალ-

მამლ ფოსველებს და ამით სალებს (?)¹ შევკრავდით. ორ ბორბალს შევეერთებდით ლერძით, შემდეგ გავთლიდით ორ ხეს, სიგრძეზე ამოვკრიდით ღანღაღებებს თავის დასამაგრებულს. ამ ორ ხის თავებს შევეერთებდით, გაუყურიდით და დაწვავდით. გავთლიდით ხაცხირებს და გაების ამოკრილებში ჩავარტობდით. საცხირეებს დაეცობდით გარბადს. ურემს წინ გაუყურებდით უღელს და უღელში გაუყურიდით ტახეებს. გაეაწყობდით ფიცრებს და მზად იყო.

გურიბა

მთხრ. ივანე ცქვიტიშვილი, 65 წ. (სოფ. ძიმიით).

სამეურნეო იარაღებს ეკეთებდით და ეხლაც აკეთებენ ნიჩაბს, ბარს, ფიწალს, ბიგას (ორთითა), არნადს, ურემს, ჯინს, კავ-ხახნისს, ფოცხს, ფარცხს, თოხს, შავანახს (ნამგალა), წალდს, ცულს, ნაჯახს და სხვა წვრილმან იარაღებს.

ნიჩაბის ნაწილები — ტარი და ტაფა; ხმარობენ მიწის გადასაყრელად; ხამთარში სახურავითავე თივლის გადმოსაყრელად; უმეტესაოდ აკეთებენ თხემლას მისალისაგან. ბარი — ტარი, მასზე წამოგებულია სამკუთხი, ბოლო-წალესილი, სახნისისებური რკინა; დანიშნულებაა მიწის საჭრელად, დაბარჯაა. ფიწალი, ბიგა (ორთითა) მოჩეხილი ბალახის გასანიავებლად და შემდეგ თავ-მოსაყარად (ბაღჩეებში და ღომის ყანაში). არნადი — ტარი, — ტარზე ბრტყელი ფიცარი თოკით მიმაგრებული, მოთხრილი მიწის ერთი ალაგიდან მეორეზე გადასატანად.

ურემი — ტვირთის გადასახიდი. ნაწილები: გოგრები (თვლები), ლიღვი (გოგრებში გაცმული), ჩაღდაყი (ორი, მოგრძო, ურმის საძირკველი, ლიღვზე დადებული), კამარა (ჩაღდაყზე დამაგრებული სარები), კავგბი (ლიღვზე დასადები, ჩაღდაყზე მიკვდილია). უღელი — ჩაღდაყზე წინ მიკრული, ხარკამერის შესაბამი. ლიგოდა — უღელში ჩარტობილი მრგვალი ბალო, უღელს ამარებს ჩაღდაყზე. ტახეებს ბაწრით, უღელში შებმულ ხარკამერის კისერზე დასამაგრებელი ორი წყვილი ჯოხები ნახევარი არშინის სიგრძის). ურემს აკეთებენ თულას, წყავის და წითლის ხის მისალისაგან.

ჯინს — წვრილი წენლისაგან დაღობილი, ლასტივით, ერთი, ერთ-ნახევარი არშინი სიგრძით, განით — ერთი არშინი, თავ-ბოლოში ორი მოგრძო სახელურებით. ჯინით ორ კაცს გადააქვს მოთხრილი მიწა, ან — ნაკელი ბაღჩაში.

კავ-სახნისი: ფარცხი, ფოცხი ტარით და თორმეტი თითები ჩარჩოთი და თოხი. ამ იარაღებს აკეთებენ უმეტეს ნაწილად ცალკე ბელოსნები, სწავლულობდენ უმეტესად შავირლობით.

აბბარა

მთხრ. იანუ შიქელაძე, (სოფ. ხიხაძირი, ხულოს რაიონი).

ჭილდაა. ჭილდათ ხნენ ყანებს. ჭილდაში უბამენ ხარებს ერთ, სამ, ხუთ უღელადი, ადგილს გააჩნია. თუ ერთ უღელზე მეტ ხარ შედამენ, მაშინ იტყვიან:

¹ კითხვის ნიშანი ღელანში დასმულია ივ. ჭავჭავაძის მიერ.


„ყვერულათ ხენო“. უღელზე მჭდომელს ქვია წაფელი. ჭილას რომ მიყვება, ჭილას დაშვირველი ქვია იმას. ჭილას ჩვენი სოფლის უხტოები აკეთებენ.

ჩვენში არის მიწა ალიზა, შავი — შიძიე მიწა და სილიანი მიწა. ვთესავთ აპრილის ოციდან მაისის თუთხმეტამდე. ჩვენში ითესება წვიტაახი ჭიში, ჭორიელაა და ბროლაა. წვიტას აქ წვიტი კაკლები და ჭადი ყვითელი იცის. ჭორიელას მოსხვილო კაკალი აქ, ყვითელია; ბროლაა თეთრია, მსხვილი კაკალი აქ.

ხიმინდში გამორევით ვთესავთ ლობიას, ხაპხ, ურუშხ ჩვენში მოდის ელიფაა ლობიაა, ხანუშაა (წითელია), ხოშტაა (მოთეთრო კრელია). ხანუშა ლობიას სიმინდის თესლში შერევით ვთესავთ, ერთ ფუთ სიმინდში — სამ გირვანქას. ელიფაა და ხოშტაა გამოირგვება, რომ გეაზღება, მეხვევა სიმინდს. მას ჰამენ ჰყინტ ლობიობას.

ყანას გავფხიკავთ ორჯერ. ყანაში იხმარება: მერული (მერულით ეღებენ თავს, უღგამენ მარხილს, გადააბრუნებენ ერთი მხრიდან მიორეზე), ფოცხი (ფოცხით თივას მოფიცხვენ). ფიწალი (ფიწალით ანიავებენ ბუეს), თოხი (თოხით გაფხიკენ ყანას, თუთუნს).

ბოტანში ქალები ხმარობენ თოხს, ყაშაას, ყაზმაით მოთხრიან ხამ მიწას, ხმარობენ გზების გასაკეთებლათ და ხარლისა გასაყვანად. ფარცხით დაფარცხავენ გორობიან ყანას. კვერით ლეწენ პურს, ჰეავს და სხვას. ჰალას აზვიანავენ და იქნება ზვინი, თივის—იქნება ილინი.



სურ. 52 დარცხი და თოხები.

- 1 წვიტა, ჭორიელა, ბროლა — სიმინდის ჭიშები.
- 2 ურუში — საცოცხე.
- 3 ხამი — ყამარი, უყი.
- 4 ხარლი — არხი.

მთბრ. ღისა ხალვაში, 24 წ. (სოფ. ხიხაძირი, ხულოს რაიონი).

კერი. მეეტან დიდ მარმანჩას⁵, გავთლი ციგი ყვლივით. უნდა იყოს ამოკაკული, რუმე გაკურდეს და არ წაათრიოს პურის თავები. მემრე გავთლი ქენერებს, წინა ბუჯ⁶ გავთლი, ლერსივით მუკაკვე ქენერებს, რუმე ზალმა⁷ არ გაკრას ხარის ფეხი. ვუკეთფ ნაცხვარს, გადავებრუნეფ, დავზაზავ ზედან ვერშოკის სიფართუზე და მოვხრეტ სატეხით, შიან ჩავაწყობთ კაყის ქუას. მერე გულზე დავასობთ ნალეზს, რუმ ვაჭრას პურის ქენჭო. ნაცხვირში გამტყარი ზენჭირს⁸, გუბამ ხარებს და გავასრიალეფ კალოზე. შიან უბამ ვრ ჩიეთ⁹ ხარებს. ზედან უდებამ მეკვერე, ხარებს გუდენის დორდიანი¹⁰ და პურს ლეწავს. პური ვაფენილია კალოზე. როცხა გაციცხავს¹¹ პურს, შევავყენებთ კევრს.

მთბრ. ხემდულ დუშბამე, (სოფ. კალათი, ქედის რაიონი).

ცაღლეღელა ხიზგეი. მოეტანთ წიფლის ხეს, გავთლით, ამოვტოხნავთ ოთხ ადგილას, ჩავასოფ შით ტოტოქებს, მეე გავთლი კოფოხს. წინასაც კოფო ქეია და უკანასაც. აგი სულერთია ორეე. ამოვტოხნავ და წამუაკვამ ტოტოქებს. მეე გავთლი კლაგებს, ვავხრიტავ ბურლით და გუუყარი წირებს. მეე გავთლი უღელს, ვავტოხნი სატეხით, ტახეებს ადგილ ვავხრიტავ ბურლით, ჩავასობ შით ტახეებს, წავაბამ ტახეებზე ბაწა(რ)ს და შუბამ შით ხარს და მუატანიეფ შიშნს, ქეას, წყავს (წყავის ყვეერი ზამთარში საქონლის საქმელია), ნაკელს გევტანთ ყანაში. მაი მშრალშიც მუშაობს საქირო დროზე და თოვლშიც. ზამთარში, როდესაც თოვლი გათოვდება, უმეტესათ მაშინ ვხმაროფთ შიშის მოსატანათ, წყავის ყვერის მოსატანათ.

მთბრ. ყახუფ შაინძე (სოფ. რაქეთთა, ხულოს რაიონი).

მარხილი ძარით. შეშას ციგაათ ვზიდაფთ. სიმინდს, ქოფიტს და ამფერს ყველაფერს ძარით ვზიდაფთ. ძარს თხრილის წწნელიდან მოვქსოვთ და დავაკოქავთ მარხილზე.

სოფ. ხიხაძირი, ხულოს რაიონი¹².

ხელი. სელი იხმარება თივის საზიდათ, როგორც აღმართში, ისე დაღმართში. სამი მარხილი თივა დადის ზეთ. სელი ძველათაც იყო, მაგრამ ახლა უფრო გამოყენებულა. სელს ლევი ხიდან ვაკეთებთ, თელიდანაც.

5 არმანჩა — დიდი მორი, ხე.

6 ბუჯი — პირი.

7 ზალი — წიბო.

8 ზენჭირი — ჩაჭვი.

9 ჩიეთი — წყვილი.

10 დორდიანი — ოთხივე მხრივ, ყოველმხრივ.

11 გაციცხავს — მზე რომ დიდხანს ახმობს.

12 დედანში მთბრობლის გვარი არ არის მითითებულა.

მთხრ. ხუხიე თურმანიძე, (სოფ. ნამონასტრევი, ქედის რაიონი).

აგი მარხილი თხუთმეტ ფუთ ჰვირთს ვიღეფს. აგი ზამთარში იხმარება. ზარიანი კი ზამთარშიც ვარგა და ზაფხულშიც. აგი ამ ზამთარში გავაკეთე. ლეკი ხითაა გაკეთებული. სხეი ხეი ცაჲ ვა(რ)გა, გატყდება. ხეს გათლი ცულით, ნაჯახით და ამოტონი სატეხით. სატეხს კორკოტოს დაარტყამ და ისე ამოტონი. მემრე ჩასვამ ტოტოჭებხ. მეე ამა ზედას, ყოლეფს ამოტონი, ჩასვამ და პახალხ ჩასოფ და გათავდება.

მეინდერკობა

ძიზიუი

მთხრობლები: ნაკო ვახილის ძე მებრიშვილი, 82 წ., წიგნიერი (სოფ. ოზანი); კოტე ხანდროს ძე ჭანიაშვილი, 55 წ., წიგნიერი (სოფ. კელმეჩური); ივანე ილიას ძე შაიშველაშვილი, 58 წ., წიგნიერი (სოფ. ნუკრიანი); თედო ოთარის ძე გველიკოშვილი, 62 წ., წიგნიერი (სოფ. ვეჭინი); ვარდო ივანეს ძე ირომაშვილი, 67 წ., უწიგნური (სოფ. მელანი); დათა ხოლოშონის ძე ჯავარაშვილი, 85 წ. (სოფ. ფხოველი); ვახილა თომას ძე ხუციშვილი, 75 წ., წიგნიერი (სოფ. ჭიმიტი); სოხაკო კანაშვილი, 90 წ., წიგნიერი (სოფ. ურიათუბანი).

ხვწა. უწინ ისეც ყოფილა, რომ ზოგ ოჯახიშვილს არამც თუ გრთო გუთნისა, არამედ ორი და სამი გუთნის საქონელიცა ჰყოლია; შუადღემდინ რომ ერთი გუთნეულითა ხნავდა, მერმე — სხვით, მაგრამ უმრავლესობას სრული გუთნეულიც არა ჰყოლია და ზოგს — არც ერთი ხარი. ასეთ შემთხვევაში გაამხანაგდებოდნენ, გადააბამდნენ ხოლმე საქონელს. გადამბმელებს შოდგამეზი ჰრქმევიათ. შემოდგამეზას ეძახიან. კელმეჩურზე მოდგამის გვერდით მონდაფეც სკოდნიათ. სხვაგან არაეინ დამიმოწმა მონდავე მოდგამის პარალელურად. მოდგამებში შეიძლება ზოგს მეტი საქონელი ჰყოლოდა, ზოგს — ნაკლები. მეტი საქონლის პატრონის სიტყვა ყოფილა წინ. უპირატესობაც მასა ჰქონია. ჭერ იმისი იხვნებოდა თურმე და მერმე — ცოტას პატრონისა. ბარ-საკვეთი (ძველად აფლო ბარ-საკვეთსა ჰქონია, ხე-ხუუს — არაფერი) შეიძლება ცალკე სხვა კაცისა ყოფილიყო.

გუთნიდელად გამოცდილი და ბევრი საქონლის პატრონი იქნებოდა, აგრეთვე გუთნის მართვა უნდა სკოდნოდა, გუთნის ხე-ხუ იმისი უნდა ყოფილიყო. გუთნის დედის გარდა გუთანზე ორი ღამის მებრე იყო საჭირო და ერთი დღის მებრე — პატარა ბიჭი.

კაცის თავს დღეში სამი პური იანგარიშება, ოთხი კაცისათვის — თორმეტი შოთი პური, რომელსაც ჭერი ჰქვიან. ვისი მიწაც იხვნებოდა, ჭერიც იმისი იყო. ჭერში მართო პური ივარაუდებოდა, სხვა სატანი რამე სავალდებულო არ იყო, მაგრამ თუ ერთი წაიღებდა რამე სატანს (ხაბეს, ნიორს, ყველს და მისთანას), მეორეც წაიღებდა, სირცხვილიაო. ფარცხვაში კი დღიურზე ერთი-სამი ჯელადა ღვინო მოიკრიფვება, რადგან გამველე-გამომველია და უღვეინობა არ შეიძლება.

ქიზიუში სახნავ-სათესი მიწები შორს არის და ოჯახიდან ხელი არ უწვდებათ. კვირაობით მიაქვთ მთელი კვირის ჭერები. თვითონ კერძის სახარშავლად სად მოიცლიან?

პირველი ჭერი გუთნისდელისაა, ისა ხნავს თავისთვის საჭიროს, მემრე — ბევრის პატრონი, სულ ბოლოს — დღისი მეხრე. მაგრამ თუ მიწა მიწის გვერდზეა, ერთმანეთს უთმობენ.

გუთანი ერთ გავლაზე რასაც გაიტანს, მოჰხნავს, კვალი ეწოდება (ანდაზა: თუ ქრისტე ღმერთი შენი გუთნისდედაა, კვალი არ დაგიბრუნდებაო. ვარ: ქრისტე ღმერთი თუ გუთნისდელათ გყავს, კვალი უხეიროდ არ გადაგიბრუნდებაო. გადაბრუნებული მიწის ერთ ნაგლეჯს ზელტო ჰქვია. კვალსა და კვალს შუა უხეირო გუთნისდელა რომ მოუხნავს დააგდებს პატ-პატას, იქას ხარვეზს, წიწილას ეძახიან.

თუ ხარი კვალისაყენ დაიწვედა და გუთანი პატარა კვალს გაიტანდა, გუთნისდელა დაიძახებდა: „გაიშო! ან მოიშე!“ მეხრეც კვალის ხარს გაირეკს, დაავალღებს და კვალს გადიდებს. თუ ხარვეზი რჩება, იტყვის: „ზედა“ მეხრე ველის ხარს დაილაღავს, დააკვალღებს და კვალს მოაბამს. ხარები იგრე ეჩვევიან, რომ ზოგჯერ უმეხრეოდაც, გუთნისდელის შეძახილზე, თითონ მიდგებ-მიდგებიან ხოლმე. გუთნიდელა იტყვის: „ნისლავე, მოიშე!“ ან „შეინდავე, ზედა!“ და ხარები თავის რიგზე წავლენ. თუ რომელიმე მეხრე ტყუოდა, ვერ იქცეოდა ყოჩაღად, დაუძახებდა: ღირღიტის მეხრეც, ეგრე. ეგრეო. ხარვეზი რომ დარჩებოდა, კი გუთნიდელა თავს მოიკლავდა და მეოლე შემოვლაზე მეხრეებს გააფრთხილებდა: „ზედა დაილაღე, ზედაო“ და ამოიღებდა ხარვეზს.

რადგან გუთანი მირჩენივ აბრუნებს კვალს და მიწას ვარემემო უვლიან, ამიტომ მიწა ორ ნაწილად იხენება და მემრე ვაერთდება :ოლმე. თითოეულ ნაწილს ნაფთევი ჰქვია.

ერთი კვალი მტკაველ-ნახეჯარი გამოდიოდა ძველი გუთნით, მტკაველი სიღრმე ჰქონდა. ოთხი კვალი ერთი ფარცხი პირი გამოდიოდა.

გუთნის გატანის პირველ დღეს ღმერთს ახსენებდნენ. ზოგი გუთნისდელა უღელზე სანთელსაც უნთებდა; ყოველი შებვის დროს მეჭოლებს დაჰკვივლებდა, რომ ღმერთი ეხსენებინათ. ხარს რქაზე კერას გადაატეხდნენო, ზოგის თქმით.

შუადღემდინ რომ ხარები ერთყაიდაზე ეხენენ, შუადღესა შემდეგ შესცულიდნენ — ავალიხას ველისაყენ შეაბამდნენ და ვალიხას კვალისაყენ. ავალიხ ხარის ძალა აქვს. გუთანს. დილაადრიაანად აბამდნენ. რაბდენსამე შემოუვლიდნენ. შებმულ გუთანს დააყენებდნენ და იგრე შესკამუნენ ნაწილს, თუ ექნებოდათ რამე, თუ არადა, პურს ხელში დაიქერამდნენ, გუთნისდელა ქამარში გაიკრკვამდა პურსა და იგრე კამდნენ, თან ხნავდნენ. გინდა თითონ დამადა-რიყენენ და ისე ეკამათ, ხარი გამოუშვებელი იყო და იღვა. სახარობისას გამოუშვებდნენ. ხარები დაწვებოდნენ, თითონ ისამხრებდნენ. აქსობაში ხარები შესიყენებდნენ, აშლიდნენ, მოაძუებდნენ, კარგა რომ დააძლობდნენ, შეაბამდნენ; ყოველ სამ შემოვლაზე შეასვენებენ. გრძელი მიწები იციან ქიზიცი, ორას-სამას საყნიანი. გრძელ მიწას ამჟობინებენ, იპიტომ რომ ბევრი იხენენაო. მოკლე მიწაში სულ ტრიალშია საქონელი და ყოველ ხაჭვავში სცდება. კ. ჭანიკაშვილს ერთი მიწა ჰქვია, რომლის სიგრძე სამას სამოცა საყენი ყოფილა, სიგანე — ათი საყენი, ორ დღესა ეხნავდიო. მოკლე მიწა რომ ყოფილიყო, ორ დღეს ვერ გაუათავებდიო.

რამდენი გუთნიდელა აუკეტებდა, იმთენი იტყოდა: „ჰე ჯოდება ღმერთსა, ბიკებოო“.

დილაბნელზე შეაბამდნენ და მზე რომ გადაეშვებოდა. მამინ გამოუშვებდნენ. ამ დროს კარის გამოშვების ხანი ან კარგამოშვები ხანი ერქვა.

თუ ვინცობაა წინა დღით დღითი მეუთავებელი დარჩა ავღრის, ან სხვა რამ მიზეზის გამო, მეორე დღეს ღამით შეაბამდნენ და დღითურს გადა-

თავებდნენ, რომ გულნაკლულად არავინ დარჩენილიყო. გუთანს არმობა არ გამოადგებოდაო.

თუ ეინიკობაა უბანში ეინზე მოკვდებოდა, მიცვალებულის დამარხვის დღეს გუთანს გამოუშვებდნენ პატივისცემის გულისათვის.

ღირღიტის მებრე დაიძახებდა ოროველას:

„გამარჯვებულმა გუთანმა სამოცი კვალი მოქნაო,
ან გუთნიდელამ როგორ შაძლო,
ან იმის მეკრემ რა ქნაო“.

პირველი სადღეგრძელო ხენასა და თესვაში ელიისა იყო — „ცა-ღრუ-ბელი დაუშვიდეთო“. ამას გარდა ელიას ელიაობისათვის ზეჯვის თავი წაუღიან და მამალი შეუფრინიან — ციკანს უკლავდნენ, რადგან ელიასაც კლდე უყვარს და თხასაცაო.

ხარგამოშვების ხანს გუთნიდელს რომ გამოუშვებენ, სკამენ. დღისი მებრე და გუთნიდელა მიწვებიან და დაიძინებენ, ღამის მებრეები კი დაილაღვენ საქონელს საძოვარზე. ალბათ ამ გარემოებაზე უნდა იყოს ნათქვამი ერთი ან-დაზა — გიყვარდა მამავ გუთანი, დაწე და დაიძინეთო“. მამა, რა თქმა უნდა, გუთნიდელა იქნება, შვილი — მებრე. ცხადია, ერთგვარად შექმურდება ადამიანს ის ბედი, რომ დაღლის შემდეგ თვითონ უნდა განაგრძოს მოსაპებრებელი ღამისთევა, ხოლო გუთნისდელამ (ღღისი მებრე ბაღლა ათი-თორმეტი წლისა) უნდა ტკბილად დაიძინოს (ს. მ.).

ხარი დაღლილი რაა, პირველად არა სძოვს, წვება, ყურება, კარგი მებრე არ აწვენს, შლის. რომ ბალახი ძოვოს, თორემ მეორე დღეს მშვიერი აღარ გამოდგება, ველარ იმუშავებს. კარგა რომ დააძლოს, მემრე ხარი დეყურება. კაი მებრე სანამ ხარი არ დეყურება, არ დაწეება. როცა დაწეება, ხარზე მისდებს თავს და ისე დაიძინებს. ხარი რომ აღგება, გამოელვიძება. გათენების ხანს ხარმა გაპარვა იცის, შეებრებულია მუშაობისაგან და რა ქნას? მებრეს დიდი სიფხიზლე სჭირდება, რომ არ გაეპაროს.

ხარი საძოვარზე შორს მიდის. მებრემ უნდა იცოდეს ვადა, როდის დაილალოს შესაბამელად, რომ თავის დროზე მოვიდეს ადგილზე და გუთანი თავის დროზე შეაბან. ერთი ღამის მებრე მეორეს ეჯიბრება, ერთი გუთანი მეორეს — მოწამგლეხ (მეზობელი), ვინ წინ შეაბამს, ვინ უკანაო. გათენება ვარსკვლავებზე აქვთ დანიშნული. მრავალი რომ გასწორდებოდა, მაშინ დაილაღვდნენ. მემრე და მემრე მრავალი გადაიწვერებოდა და იმასაც ვარაუდობდნენ. მრავლის მემრე სასწერები ამოდის, სულ ბოლოს — ჭყიტა, ანუ ცისკარი. ცისკარზე ადრე კარიპარია ამოდის. მებრეს შეუხედნიდა, კარიპარია დაუნახავს, უთქვამს: „პატას კიდევ დაიძინებო“. ჩასძინებია, ხარი გაპარულა და დაჰკარგვია (გათენების ხანს იცის ხარმა გაპარვა). ამაზე დაძახნია ამ ვარსკვლავს (ჭიხიურად მასკვლავი) კარიპარიაო. ამას გარდა გაზაფხულზე ტოროლაც იცის, გალობს. მებრე იმაზეც ატყობს გათენებას (ტოროლას ტოროლასაც ეძახიან).

გუთნის გაქმნა — საკრის მომზადება, დღისი მებრეს ევალება. კვირა საღამოს ტყეში წაევა, ერთ კონა სახრეს დასჭრიდა, რომ ერთ კვირას ჰყოფნოდათ.

გუთანზე სახურავად აქვთ: ნაბდები — კაცის თავს თითო, რა თქმა უნდა, ყველას არა აქვს ნაბადი, ტყავი, ძველი ჩოხა, შინელი. თუ ცივა და კარგი სახურავი არა აქვს, მაგალითად, დღისი მებრეს, რომელიც ხშირად ობოლ-ობხერი

არის ხოლმე, საცალოში წაძვრება, ან ხურჯანში. საჯერო ხურჯანი, ანუ ცხენის ხურჯანი დიდი.

საკუთრივ ქიზიუში ალო შემდეგნაირად ნაწილდება: დღისი მეხრეს,

საჯრის მეხრეს 1 დღიური ალო
ლაშის მეხრეს 2 დღიური ალო
ლაშის მეხრეს 2 დღიური ალო
გუთნიდელას 2 დღიური ალო
ხარის სულზე დღიური 12 დღიური ალო
ბარ-საკვეთს 2 დღიური ალო
ხე-ხუს (გათრეველა) 1 დღიური ალო
ცხენს 1 დღიური ალო
23 დღიური ალო

მთელ ოცდასამ დღიურს, ანუ რაც ერთ შემორიგებაზე კუთვნილი დღიურები იზამს, ალო ეწოდება.

ალო ეწოდება აგრეთვე თითოეულის კუთვნილ გასამრჯელო დღიურსაც. მაგალითად, იტყვიან: „დღისი მეხრეს ერთი დღის ალო აქვსო, ლაშის მეხრეს — ორიო, ხარის — ერთიო“ და მისთანა.

ნუკრიანელი ივ. შაიშველაშვილის სიტყვით, ერთი ალო მკვდელსა აქვსო, რადგან ბარ-საკვეთს გამოწყება სჭირდებაო. ასე იყო წინ-წინაო.

რაც შეეხება გათრეველას, გათრეულას, ის პირველი დღის ხნული იყო. ეს დღე გუთნის გამართვას უნდებოდა ან ხარი ხართან ვერ გაიწევდა, ან გუთანი ვერ დადგებოდა თავის ნირზე, საწვალებელი დღე იყო. გუთნიდელა მოიხნავდა, რადგან გუთნის ხე-ხუ და მოწყობილობა (ბარ-საკვეთს გარდა, რომელიც შეიძლება სხვისი ყოფილიყო და რომელსაც ორი ალო ჰქონდა) მისი იყო, არავინ უკითხავდა. ჯამბრისასაც ეძახოდნენ.

ერთიუ შათრეულა ვიცოდითო; სულ რომ გავათავებდით მოხენას, უკანასკნელ დღიურს ერქვაო, რომელიც აგრეთვე გუთნიდელას ეკუთვნოდაო.

ჩემ მიერ შემოვლილ კახეთში ალო შემდეგნაირად ნაწილდება (მელაანსა და ფხოველში): დღისი მეხრეს 2 ან 3 დღის ალო

ლაშის მეხრეს 4×2 (ორი [მეხრეა]) 8 დღის ალო
გუთნიდელას თავისი ჯამბრით 5 დღის ალო
გუთანს, ე. ი. ბარ-საკვეთს 4 დღის ალო
ხარს $1(\times 12)$ 12 დღის ალო

31—32 დღიური ალო

ცხენი გუთნიდელის ვალი იყო, თუ თითონ არ ეყოლებოდა, თავისი ალო უნდა მიეცა და მოეყვანა.

ჯამთელების სიტყვით, ალო ოცდაშვიდი-ოცდაათი დღიურია (ერთმა მი-თხრა ოცდაათი დღიურიო, მაგრამ ვერ გამოუვიდა), რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება:

დღისი მეხრეს 2 დღიური ალო
ლაშის მეხრეს $3-4 \times 2$ (ორი ლაშის მეხრეა) 6—8 დღიური ალო
გუთნიდელას 3—4 დღიური ალო
გუთანს 3—4 დღიური ალო
ჯამბარას 1 დღიური ალო
ხარს $1(\times 12)$ 12 დღიური ალო

27—30 დღიური ალო.

ვერ გამოდის, განმარტებას ვერ იძლევიან, ხან ამბობენ, წინათ მეტი საქონელი გვებაო, ხან — რას, ხან — რას.

ურიათუბნელების სიტყვით, ალო შემდეგნაირად ნაწილდება:

დღისი მეხრეს 1—2 დღიური ალო

ღამის მეხრეს 3, 4×2 (ორი [მეხრე] იყო) 6—8 დღიური ალო

გუთნიდეს 3—4 დღიური ალო

ხარს 1(×12) 12 დღიური ალო

სახნის 2 დღიური ალო

საკვეთს 1 დღიური ალო

25—29 დღიური ალო

აღნიშნულ ალოზე მეტიც იყო და ნაკლებიცაო. ცხენი გუთნიდელის ვალო იყო და ალო არა ჰქონდაო.

ურიათუბნელებისავე სიტყვით, ალოვნობა იყო, ე. ი. გუთანს გადაემაძღით, გაემაზნაგდუბოდით და ალოს გაეყოფდითო. ამათივე სიტყვით, იყო ქართული გუთანა და კაკაბურთა; კაკაბურს რკინის ფრთა ჰქონდაო, ეს იყო განმასხვავებელი ნიშანიო.

ალოს შესახებ ყველა შემომოყვანილი ცნობების გასაჯერადებლად საინტერესოა ვეჭინური ცნობა, თ. გველიკოშვილის მიერ მოწოდებული. ორი ჭურა ცნობა მომცა — ერთი უწინდელი და მეორე ამჟამად მოქმედი წესი:

დღის მეხრეს 1 დღიური წინათ, 2 დღიური ეხლა

ღამის მეხრეს 2 დღიური წინათ, 4 დღიური ეხლა

გუთნისდეს 2 დღიური წინათ, 4 დღიური ეხლა

ხარს 1 დღიური წინათ (12), 2×(24) დღიური ეხლა

საკვეთს 1 დღიური წინათ, 2 დღიური ეხლა

სახნის 2 დღიური ექნებოდაო, 4 დღიური ეხლა

ხე-ხუს (გუთანს) 1 დღიური, 2 დღიური ეხლა

ჭამბარას 1 დღიური, 2 დღიური ეხლა

24 დღიური წინათ, 48 დღიური ეხლა

მოხრობელმა თ. გველიკოშვილმა განაცხადა, ძველი დიდროანებისაგანა მაქვს გაკონილო (თვითონ 62 წლისა).

რამდენადაც ჩვენ შევძელით გამორკვევა, რამდენიმე შეცდომა აქვს: ერთი, სახნის-საკვეთს ორივეს ერთად აქვს ორი დღის ალო, ე. ი. თითოს თითო; მეორე ჭამბარასა და გუთნის ხე-ხუს ერთი დღის ალო აქვს და მესამე, ერთი ცხენია საჭირო, რომელსაც ალოვნობის ასეთ წესრიგში ერთი ალო აქვს. საბოლოოდ გამოდის: ერთი დღე სახნის უნდა მოვაკლოთ, ჭამბარასა და ხე-ხუს ერთი ალო მივცეთ, ხოლო სამაგიეროდ ცხენი უნდა შემოვიყვანოთ. საბოლოოდ დაგვრჩება ალო 23 დღიური, რაც მშვენივრად უდგება ჭიზიურ ქვისრიგს.

საინტერესოა, რომ ვეჭინი, ჭიზიყის საზღვარზე მყოფი სოფელი, იძლევა ასეთ ორ ჭურა ცნობას, რომელიც ცალი მხრივ უდგება ჭიზიურს, მეორე მხრივ — კახურს.

მარიამობისთვე რომ განახევრდის, მაშინ გაიტანიან გუთანი. ავდარსაც უყურებდნენ, თუ არ გაავდრდებოდა, ვერ გავიდოდნენ, მიწა გუთანს არ მიიყენებდა. ღვინობისთვის გასვლამდის, გიორგობისთვემდე რჩებოდნენ. გაზაფხულზე თებერვლის ნახევრიდან გაიტანდნენ. წინათ ხომ ახალთესლა არ იყო. მაშინ მარტო ფეტვს ვხნავდით, აპრილის ნახევრამდე ვხნითო. მაგ-

რამ ერთი ლექსის მიხედვით ისე გამოდის, რომ აპრილიდან გაქვანებათ
გაზაფხულის გუთანა:

„თებერვალი ჰგერავდა,
მარტი ტყავსა ჰკერავდა,
აპრილი აჩქარებულა
ბარსაკვეთსა სწყვეავდა“.

მართლაც ფეტვის გუთანა აპრილში მოდიოდა, სულ რაღაც ორიოდ კვირას ხნადნენ ფეტვი გუთანა. ფეტვის გუთანს ვეძახოდითო. როცა ახალთესლი შემოვიდა, იმისათვის თებერვლის ნახევრიდან მარტის გასვლამდე ვხნადითო. შემოდგომისა და გაზაფხულის ნახნავს მოსაველი ტოლი აქვსო.

გუთანა ან ორშაბათს უნდა გავიდეს, ან ხუთშაბათს, ეს ორი დღეა მთელი დღე. თესლი ახალ მთვარეზე უნდა გავიდესო.

თესვა. მთესავს გულზე აფარებული აქვს სათესი — ფეშტამალი, შიგ უყრია პური, მარჯვენა ხელით იღებს, თავის ზომაზე შლის. უკანა მხარში უფრო ხშირად ითესება, ვიდრე წინამხარში. დღიურზე უკანა მხარში დაითესება თხუთმეტ ნიტრამდი (ხუთ ფუთამდი), წინამხარში — კოდი ან ცოტა მეტი (სამი ფუთი, ცოტა მეტი). დღიური ათას ორასს კვადრატულ საყენს უდრის. მოვა თხუთმეტ-ოც კოდამდი.

თესლის პურად გადარჩეული აქვთ და შენახული თავანკარად ის ხორბალი, რომელიც კარგ ჭიშად ითვლება. დათესის წინ გააკეთებენ. ზოგან მიღებულია თესლის ზიარება. საცალოს რომ აავსებენ, მემრე შიგ ცოტა ხახვს, ნიორს, კაკალს, როგორც წლის მუსაველს, ჩაჰყრიან. თესლში ნაკვერჩხალს ჩაძღებენ. გუთნიდელა გამოიტანს კელადა ღვინოს, ქულს მოიხდის, ცოტას ნაკვერჩხალს დაასხამს, დანარჩენს თითონ დაძღევს. კაკალი იმიტომ იცოდნენ, თურმე, რომ ვითომც კაკალივით პური მოვაო. თესლის გატანის დღეს სახლიდან არაფერს გასცემენ, არ ვარგაო, შემოტანა კი კარგია, კარგი მოსაველი მოვაო.

თუ ბევრი ნახნავი ჰქონდათ, ავდარი მოასწრობდა და არ ეცალათ, მთესავს დარჩირავებდნენ. დათესვას, ანუ როგორც ამბობენ დაფარცხვას, წვიმას ურჩევენ, თუ არ გაავდრდა, არ დასთესენ. წვიმა რომ მოვა, დიწყება ფარცხვა. ფარცხვი კამეჩებს აბამენ; კამეჩი გუთანში ცოდნაო. ერთ ფარცხვი მყევარი კამეჩა უბამთ. რა თქმა უნდა, ვისაცა ჰყვანდა იმდენი, რომ ასე დაეხარისხებინა, თორემ, ვისაც არა ჰყვანდა, ის გუთანს გამოუშვებდა და ისე დაძფარცხავდა.

თესვას სულ რომ მორჩებოდნენ, მემრე მთესავი უკანასკნელ მუქას ამოიღებდა და იტყოდა: „ეს ფრინველსაო“, კიდევ ამოიღებდა და იტყოდა: „ეს თავგსაო“, კიდევ — „ეს მკალიასაო“, ეს მიმსველსაო, ეს მომსველსაო“. ზოგი ოჯახიშვილი, რომელსაც საკუთარი გუთანა ება, ერთ დღიურს დასთესდა ზემოხსენებულათვის. მაგალითად, კ. ჭანიკაშვილის სიტყვით, — თესლების განაკეთებს ერთად მოვაროვებდი, აურევდიო და ერთი დღისას დაეთესდი, ხშირად ის უფრო კარგი მოდიოდაო. პურათ რომ დამეფქვა, უფრო არ ივარგებდაო.

სულ რომ დასთესდნენ, შიშის ბოლოში სახრეს დაურქვამდნენ ხოლმე; თურმე, წვერს გადაუტეხამდნენ, ვითომც ამ სიმაღლე უანა მოვიდეს და იგეთი დახრილი თავთავი ჰქონდესო.

ფარცხვაში ღვინო და საკლავი უნდა. ქეიფევით არის.

ერთ დღეს, თუ ნახნავები ახლო-ახლოა, რვა დღისას დაძფარცხვამს. თუ ცხელა და გაავდრებულზე დაიფარცხა, სამ დღეზე გადავდება და სამ დღეზე

ამოვა. ორი დღე აქვს, ერთი ქვეით მიაქვს, მეორე — ზევით. ქვეითა ფესვა ზევითა ჩეჭილათ ამოვა. თუ თბილია და წვიმები აქვს, შემოდგომობითაც გაოდგამს ბორჯს, თუ არადა, გაზაფხულზე გაიდგამს; შეიძლება სულაც არ გაიდგას ბორჯი.

მთას გადმოვლილი თესლისა კაი ყანა მოდისო, იტყვიან და მართალიც არისო.

პურეულის ჭიშები. წითელი დოლი, თეთრი დოლი. ორივე ფხიანია, სხვილთავთაიანი. წითელ დოლს წითელი მარცვალი აქვს, თეთრს — თეთრი. წითელი დოლისთანა პური არ არისო.

წითელი უფხო, წითელი პარშოლა! წითელი პოშოლა. პოშოლა მემრე განნდაო. თეთრი უფხო, ახალთეხლი ახალი შემოსულია. ერთი ჭურა თეთრი უფხო კიდევ სხვა არისო, ჭიმითში მითხრეს.

თავთუხი რამდენიმენაირია: შავი თავთუხი, მურა თავთუხი, თეთრი თავთუხი, წითელი თავთუხი, თაფლა თავთუხი (მელანსა და ჭიმითისაყენ არის ასეთი სიმრავლით).

კაყური ყანა გატენილი, რგვალი მარცვალი იყო. ეხლა იშვიათად არისო. ნუკრიანელ ივ. შაიშველაშვილის სიტყვით, ძალიან გაფარჩხულფხიანი თეთრი დოლი იგივე კაყური ყანააო. ხოლო კელმეჩურელ (ქვემო მაღალო) კ. ჭანიკაშვილის სიტყვით, კაყური ყანა და დეკა ორივე ერთია, თეთრი დოლივით იყო.

იგივე ივ. შაიშველაშვილი დიკას ცალკე ჭიშად ასახელებს და ამბობს, ძველად იყო. ჭიმითელების სიტყვით კი „დიკა წითელი უფხო რაა, იმას ვეტყვიით“. ერთი სიტყვით, დიკა და კაყური ყანა ყველამ იცის ქიზიყში, ზოგი ერთმანეთში ურევს, ზოგი ცალ-ცალკე ჭიშად ასახელებს და ამბობენ, ძველად იყო და გადაეარდაო.

ხოტორო, ანუ ხოტორა (ჭიმითი, ფხოველი, კარდენახი და სხვა, საკუთრივ ქიზიყში არ იცინან) თეთრი, უფხო, სქელთავთავე პურია, სხვილმარცვალია. თავთავიც თეთრია და პურიც. კილიდან მარცვალი იტყვი უნდა გადმოცივდესო, იგრეა გაბრინჭული, ქარი აყრევენებს, ძალიან მოსავლიანია. ცალკე პურად არ ვარგა, ძალიან ფატარია, მალე შრება. გაღმა მხრიდან, იმერლებიდან არის გამოსულიო.

არის „მანატკა“ პური, კარგი თეთრი პური გამოდის.

ჭიმითში მითხრეს არის ხვილა პურიო, ფხიანი იყო, თეთრიო, ქარში მარცვალი სცივოდაო.

ჩოხი — გრძელი, ფხიანი, გასლურტული თავთავი აქვს, ყანაში ზევ-ზევით მოდის, შორიდანვე ეტყობა. მარცვალიც გრძელი და გასლურტული აქვს. ყანაში ერევა როგორც ხამარველი. ცდილობენ მოაცილონ. ჩოხსა ჰავესო მომხოზებლა, ანუ მათროზებლა პური. ნამჭა ყანახ უგავს, თავთავივით ღრჯილები ასწედს, მწვანე, გრძელი, წერილი მარცვალი აქვს. ათრობს კაცს თუ პურში შეჰყვა.

ახლის შესახებ ყველა მხოლოდ ერთ ანდაზას მეტუნებოდა — „ასლი პურო, ჭერ არ მიჰამიხარ, მუცელსა მგვრემავე. რო გჰამო, მაშინ კიდევ მამკლამ სუო“; var: „ასლი კორკოტო, ჭერ არ მიჰამიხარ და მუცელსა მგვრემავე, რო გჰამო, რაღას მიზამო“; მაგრამ ასლი პური მე არ მახსოვს, რომ გვეთესოსო“, ასე მითხრა კ. ჭანიკაშვილმა.

პურში ურევია გრძელ-გრძელი მარცვალი, წითელი, რომელსაც პურის დედახ ეძახიან. ვის პურშიც ურევია, ბარაქიანიაო.

ქერი. ქერი არის ძველთეხლი და ახალთეხლიც. არის შავი ქერი, ცხენისთვის კარგი იყო, მუკლს აძლედა. თეთრი ქერი, ექვსეუთხა ქერი. ამას გარდა

ყოფილა „პოლხა“¹, რომელიც მალაქებმა მოიტანესო. გარედან ქერსა ჰგვანდა, მარცვლი კი პურივით ჰქონდაო. ორი ფხა ჰქონდა, როგორც კილს გამოიტანდა, ზედ აყოლებდაო. იმის დასაფქვავად ცალკე წისქვილი იყო, ჭერ ქერქს აკლიდა, მემრე როშავდა; როშს კვიცებს ვაჰმევედით, გრილი იყოო. ქერი კვიცებს გულსა სწვავდაო.

ფეტვი. ერთნაირი ფეტვი ფოჩიანია, ბრინჯივით თავთავი აქვს, გაშლილი; მეორენაირი ძურწასა ჰგავს, რვეალი, მოგრძო თავთავია. ამ უქანსკენს ძურწა ფეტვს ეძახიან, ზოგი ქერიშა ფეტვს ეძახის. ზოგი ქერიშას უფთხელ ფეტვს ეძახის. ძურწა ფეტვი ყვითელია; ყვითელია აგრეთვე ზოგი გაშლილთავთავიანი ფეტვიც. გაშლილთავთავიანი ფეტვი მომეტებულად შავია. შავს აქებენ, უფრო ტბილი მჟადი იცოდლაო.

ზემოჩამოთვლილი პურეული მცენარეების ღეროს ნაშჯახ ეძახიან; აქათიქიდან რომ ამოსდის, ფოთლხა და ფოჩს ეძახიან. ფოთოლი საცა ამოსდის, მუკლი ჰქვიან. მთელ ზემოთა ნაწილს თავთავი ეწოდება; თავთავს ნემსებოვით რომ გაჰკიდავს, ფხა არის, რაშიც მარცვლი სხედს, კოლი, ბუდე ჰქვიან. თერთონ იმას, რისთვისაც შრომა მიდის, მარცვალი ეწოდება.

განაივების ღროს ფეტვს პტკველი გაუეა, ნიაფი წაიღებს. იმას ხომ ნზე არა აქვს, მისი ნაშჯა არ იღეწება, იბურდნება. პტკველი ფეტვის კილია. განაივების ღროს ხვავებს წინ რომ შშიფრი ფეტვი წამოეა, ბუტხ, ანუ ბურხს ეძახიან. პურეულის ჭკაილი რომ ხათავთავედ შოვა, გაიბერება, ორხულად არისო, იტყვიან.

თავთავს რომ ამოიღებს, მემრე აყევედება, ყვავილშაო, იტყვიან. ყვავილის შემდეგ უნდა აიღოს ნაწილი. თუ ყვავილში წვიმა არ მოუვიდა, ამშვიდება. ნაწილს რომ აიღებს და გაშრეშდება, იტყვიან: ხაოდოშედ მოვიდაო. მოსპირიან ხროლმე კიდევ ერთ-ორ ხელეუტხს ოდოშედ, ცეცხლზე მოსტუსავენ და მიირთმევენ მოხალულ მარცვალს.

მინდორი ორად განიყოფებოდა — ხაფონდოდ, რომლითაც ხალხი სარგებლობდა იმ შემთხვევაში, თუ ფულს გადაიხდიდა (თითო-ოროლა სოფელს ჰქონდა ასეთი მიწა) და ხათაბუნოდ, ანუ ხათემოდ, ანუ ხახოფლოდ — სოფლისათვის იყო დაგებულიო და ხალხი სარგებლობდა უფასოდ. ხახოფლო მწვები ზოგ სოფელში დაიყოფოდა რამდენიმე წლის ვადით (მაგალითად 10 წლის); სარგებლობდნენ ამ ხნის განმავლობაში, მემრე ხელახლა აპრევენენ და გაჰყოფდნენ, ასე იმიტომ იქეოდნენ, თურმე, რომ მეკომურთა რაოდენობა იცვლებოდა, აგრეთვე ზოგი დიდი ოჯახი პატარავდებოდა და წინაუქმო. იმ სოფელში კი სადაც სახნავ-სათვის მიწა ბევრი იყო, მხოლოდ კალოების ახლომანსლო მიწებს იყოფდნენ სამი-ოთხი წლით, რომელსაც ხახლხს მწვახს ეძახოდნენ. დანარჩენს ვინცა ხნავდა, იმისი იყო. თუ თავს დაანებებდა, ერთ-ორ წელიწადს არავინ შევიდოდა შიგ, იქნება ვინც წინათა ხნავდა, ისევ იმანვე მოხანსო, მემრე ვისაც უნდოდა, ის შევიდოდა და მოჰხნავდა.

ხათიბი ყორულად იყო დაგებული სასოფლოდ. როცა თივაში გასვლის დრო მოვიდოდა, სოფელი შეიყრებოდა, მინდორში გავიოდნენ და, ვინ ვის მოასწრობდა, ვინც რამდენს დაიკვალავდა, იმისი იყო, ცხენებს მიჰკენებდნენ და ისე იჭერდნენ სათიბს. მემრე და მემრე შემოულიათ წილისყრა. მიჰყეებოდნენ ცალი მხრიდან, წინდაწინვე დაწერილი ბარათები ჰქონდათ და ჭულში ეყარათ. ჩაჰყოფდნენ ხელსა და ამოიღებდნენ, ვისი სახელიც ამოვიდოდა, მიუზო-

¹ დედანში ივ. ჭავჭავიძის ხელთ მიწერილია — „ასლია“. დედანშია: კილო.

მედუნენ, უარის თქმის ნება არა ჰქონდა, თუ ვინმე სურვილით გაუცვლიდა, ეგ შეიძლებოდა.

საქნავე მიწაც ცალკე იყო გამოყოფილი. გუთნაზეც ერთად გავიდოდნენ, არ შეიძლებოდა წინ და უკან გასვლა. სოფელი შეიყრებოდა, გამართავდა ბჭობას, თუ დარი ხელს უწყობდა (წვიმას ალოდებდნენ ხოლმე, რომ მიწა დაეღობო), დასთქვამდნენ რომელსამე დღეს, ორშაბათს, რა თქმა უნდა, კვირას წავიდოდნენ კალოებზე და ორშაბათს დაერეოდნენ მინდორს: ვისაც კარგი ხარი ჰყვანდა, საცა ხელდაუდებელი მიწა იყო, დაიკვალავდა რამდენიც მოეპრიანებოდა, საერთოდ გლეხიკაცის სიხარბე იქამდე მიდიოდა, ნამეტნავად ისეთი სოფლების გლეხიკაცებისა, რომელთაც ბევრი მიწა ჰქონდათ, რომ ზოგი თი დლიურს დაიკვალავდა — გარეშემო ერთ-ორ კვალს შემოატარებდა იმის ნიშნად, რომ მიწა ხელდადებულა, დაჩემებული იყო და სხვა არ შესულიყო. გაიჭეცოდა და ახლასხვაგან დაიკვალავდა (სახნავე მიწები დიდ მანძილზეა გაჰიშული, ყოველი გლეხი ცდილობს ყანა სხვადასხვა ადგილას დათესოს, რადგან კლომატის ბედზეა მიგდებული და ამიტომ ზოგ წელიწადს ალაზნის პირას მოდის კარგი, ზოგ წელიწადს — მოშორებით და სხვ.). ისე ხდებოდა, რომ ერთ-ორ დღეს ხნავდა, აქათ-იქით ნაფთვე-ნაფთვეად თითო დღისა ექნებოდა, შუაზე კი ვეებერთელა ნაღარო, ზოგჯერ მოხნულზე გაცილებით მეტი მოუხ-

ნავე რჩებოდა. **ზოგჯერ** ნაფთვეში ქვითა ჭურა პურეულს დასთევდა, ნაფთვეში — მეორე ჭურას.

სამკალში, ვისი ყანაც როდის შემოვიდოდა, მაშინ გავიდოდა.


მინდვრის მესამე ნაწილი საქონლის საძოვრად არის დაგდებული. საძოვრად ისეთი ნაწილია დატოვებული, რომელიც არც სახნავად გამოდგება და არც ბალახს მოიყვანს რიგაანს, რომ სათიბად დაავდონ. მინდვრის ამ ნაწილს შოროქანს, შოროქიანს ეძახიან. შოროქიანი ერთგვარი ზოლია, მარლიანი, მლაშე ადგილი, რომელიც ალაზნის თუ ივრის ნაპირიდან ორი-სამი კილომეტრის მოშორებით იწყობა და მისდევს სოგრძივ.

ამ სასოფლო საქონლის საძოვარი მინდვრის ნაწილის სახელოდ მულოანში ორანაც მითხრეს.

სათიბი და სახნავე დროვამომგებით იცვლება ხოლმე, სოფელზე ჰკიდია, როცა იტყვიან, რომ ხახნავე მიწა გაცვდა, დასვენება სჭირიაო.

მიწა რომ რამდენსამე წელიწადს მიყოლებით მოუხნავე იქნება, ყამირს ეძახიან (ყამირში უროა მოსული). თუ ძალიან არის გაყამირებული და შამბი და კაქაბი მოჰყავს, კაქაბუნს უწოდებენ.

ყამირს რომ გასტეხენ და ყანას მოიყვანენ, მომყის შემდეგ ნაჭოხი ჰქვიათ. ახალი ყამირის ნაჭოხი მეორე წელიწადს კარგ პურს მოიყვანს. ნაჭოხი რომ



ს.რ. 53 მკელი სამკველით.

გაცვდება (დაახლოებით ორ-სამ წელიწადს. ადგილზე ჰკიდია, ზოგან ხუთ წელიწადსაც ივარგებს) და ერთი ერთიორი წლით დაავლებს პატრონი დასაცვენებლად, ნაჩხატი ეწოდება. თუ დიდხანს დაავდო, გაყამირდება. რაც ახალია მწა, მათ ზეზუერ იხენება, რაც უფრო ნაცვეთი, იმდენი უღრმავებენ.

ზაფხულში, თიბათვე-მკათათვეში მოიხენებოდა მიწა, მთელ ზაფხულს ღაიწებოდა, შემოდგომაზე აშლიდნენ დაველებული გუთნით და დასთესდნენ. ასეთ მოხულ მიწას ანუელს ეძახიან. ანუელი უფრო უკანა მხარშია გავრცელებული, რადგან მათი მიწა ნაკლებ დალიანია, ვიდრე წინამხრელებისა. წინამხრელები თითქმის სულ არა ჰხნავენ ანუელს, ისინი ამისთვის სხვა ხერხს მიჰმართავენ. ყამირს ანუელი უკეთესი ყოფილა. თიბათვეში მოჰხნავენენ ყამირს, შემოდგომაზე აშლიდნენ. ყამირის ანუელში სხვა კაცს შესვლა დიდ დანაშაულად და ცოდვად ითვლებოდაო. წინამხრელების სიტყვით, ანუელის მოხენა საქმის დაწინაურება იყო. „ჩვენ არ ვიცოდით, რომ ზაფხულში მოხნული მიწა ხარშულა, შწვარა, კეთებულა“. უკანა მხარში კი შეგნებულად მიჰმართავენ ამ ხერხს მიწის გასაკეთებლად, გახამოხიერებლად. უკანამხრელებს მინდორიც ნაკლები აქვთ, ვიდრე წინამხრელებს.

წინამხრელები გაზაფხულზე ფეტვსა და ახალთესლს რომ ხნავენ, უმთაერესი მიზანი ისა აქვთ, რომ შიწა გაკეთდეს, დაიწვას. მეორე წელიწადს ნაფეტვარი კარგ მოსავალს იძლევა. გასუქებულია. ანუელი ხუთ-შვიდ წელიწადს ივარგებს, მემრე ან გაანუელება უნდა, ან დასვენება. წლევეანდელი ანუელი გაისად ნაანუელარი იქნება.

ჭავიანსა და ტყიანს რომ გაჰკაფავენ და მოჰხნავენ, ახო ჰქვიან. კარგია, უხვი მოსავალი მოჰყავს. ქიზიყში ახო ადგილები აღარ არის. მთლად მოტიტვლებულია მინდორი. კახეთისაკენ არის უფრო ჭავიან-ტყიანიცა და ახოებიც.

ჯიბითელების სიტყვით, შანეზულო, ე. ი. ნეხვეყარილი მიწაც ვიცითო.

ქიზიყში ნეხეს მიწაში თავის დღეში არ დაჰყრიან, რადგან მიწაც ფიცხია, ნეხვიც, უწელო ადგილებია, წვიმაც არ იცის, გაახმობს ყველაფერს. ქიზიყელებს ისეთი რწმენა აქვთ რომ ნეხვი ახმობს ყველაფერსო, დიდი წვიმები უნდა მოვიდეს, რომ გაავრილოსო, მაშინ კიდევ აყვირებდნაო.

წინ-წინ იყო ურთიერთ დახმარება. მაგალითად, თუ ერთი გლეხის მოსავალი ადრე მოვიდოდა, ჭერ იმის მოსავალს ჩაიკლებდნენ, მემრე მეორისაში წავიდოდნენ. ასე ერთმანეთისადმი დახმარებას ნაცვალგარდა მუშაობას ეძახიან. ვის საქმესაც აკეთებენ, ხარჯიც იმისია. რამდენ დღესაც ერთი უშველის, იმდენსაც დღეს მეორე წაეხმარება.

იცოდნენ თურმე ქეიფზე შველა. თუ ვისმე სამუშაო ექნებოდა, იშველებდა ხალხს, ხალხიც უშველიდა იმ იმედით, რომ მემრე აქეიფებდა პატრონი. სასყიდელი არა ყოფილა. ასეთ დახმარებას შუჟა ერქვაო, გადმომცეს ჯიბითში.

ქერიე-ოხერსა და დავარდნილ კაცს ორშაბათ დღეს დაეხმარებოდნენ. კერას გამოაცხადებდნენ, რომ ესა და ეს ოჯახი გაჭირვებულია და აბა დაეხმაროთო. მეკომურე უკან არ ჩამოგვრჩესო; ვინც პატიოსანი კაცი იყო მიდიოდა და ეხმარებოდაო. დახმარებას ვეძახოდითო.

მამითადი, რიკრიკი და მისთანები არ იციან. ოლონდ მე თვითონ ქიზიყში სიტყვა-ხმარებაში გამიგონია: ბლომა საქმელ-სასმელი რომ მოუშზადებიათ ჩვეულებრივ პირობებში, უთქვამთ, მაგალითად, ბებიაჩემსა და სხვებს — „რა ამბავია, რეერთი მოგიშზადებიათ, მამითადი (მამითაჯი) გყავთ, რა არისო“.

მთხრობლები: გოგია დათიას ძე ფარეშიშვილი, 112 წ. (სოფ. ვარდისუბანი); ზაქარია ნაყოლოზის ძე ნათელაური, 96 წ. (სოფ. ახმეტა, სათიანო); ხანდრო ისაკის ძე არუთინაშვილი, 87 წ. (სოფ. შალაური).

ჩვენ დიდი ხვნა და თეხვა გვქონდა უწინ. შამადგომა რომ მოვიდოდა. მასწინ ვთესამდით წლის მოხავალს. პური და ქერი შამადგომის მოხავალია. გაზაფხულის პირზე კი აპრილში და მაისში — გავიტანდით გუთანასა და გაზაფხულის მოხავლისასა ვხნამდით. ხიმინდი და ფეტვი გაზაფხულის მოხავალია. აპრილიდან გავიტანდით გუთანასა და თიბათეშმისსაუ ხვნა იყო; აპრილ-მაისში სიმინდი დაითესებოდა და თიბათის ნახნავი კი ანეულისა იყო. ვისაც ადრეულა უნდოდა, სიმინდს მარტშიც დაჰთესამდა.

რამწაუ კალოზა გათავდებოდა, მაშინვე დაეწყებოდა შამადგომის ხვნასა და ქრისტიშობისთვემდის სუ ხვნა იყო და ფარცხვა. შამადგომის ნახნავსაც და იმ ანეულსაც ერთად დაეფარცხამდით ხოლმე. ანეული, თუ კარგათ არ დაიწყებოდა და არ დაიფუფქებოდა ან კიდევ თუ ბალახი შეერეოდა, მაშინ აოშამდით ხოლმე შამადგომაზე და იგრე დაეფარცხამდით. აოშებას სუბმუქათ მოხენას ვეტყვოდით; რაკი აოშამდით, დასაფარცხიც კარგი იყო და მოსავალიც გულუხვი იყო. „ნაოშს, — ამბობს ზაქარია ნათელაური, — მარიამობის-თვეში და ენკენისთვეში ჰხნამდენენ; ლეინობისთვის პირველიდან დაიწყებდნენ ფარცხვასა და მანამ თოვლი მოვიდოდა, მანამ ჭეჭილი ვადამჭდარი იყო“.

მოხნული კარგათ უნდა დეგვეფარცხნა, რომ მაღლიდანაც ბოში ყოფილიყო და შიგნიდანაც. ბოშ მიწაში მარცვალი მალე ამოვა და კორახში კი ვერ იხარებს.

ქერს ორ კოლსა ვთესამდით დლიურზე, პურს კი ხუთმეტ-თექვსმეტ ლიტრას. სიმინდს უფრო ცოტა თეხლი უნდოდა, დლიურზე ოთხი ლიტრა სიმინდი ითესებოდა. სიმინდიც ზღვა მოდიოდა და პურიც.

მიწა ორჯელ რომ ყანათ მეგვეხნა, მესამეთ სიმინდი უნდა დაგვეთესნა; ეგრე კეთდებოდა ადგილი, თორემ მარტო პური რომ გვეთესნა, ან მარტო სიმინდი, ადგილი ვერ ატანდა. უფრო და უფრო სიმინდი აყეთებდა მამულს, იმისათვის რომ, სიმინდი იხენება კდეც და ორჯელაც ითოხნება.

რვაულელას შევაბამდით ხოლმე და იგრე ეხნავდით. ქართული დიდი ხის გუთნები გვქონდა და იმაში ექვსულელაზე ნაკლებს არავინ შაბამდა, უფრო კორვულელას ვაბამდით. ქართული გუთანი კარგა ხნავდა მიწას, სუ ერთმანეთში ურევედა მიწას და მარცვლი კარგა ზეირობდა იმაში. ეს რუსული გუთანი კი აშაბარუნეს მიწას და იგრე დაჰდებს, როგორც ფიცარს, მიწას ერთმანეთში ვერ ურევეს. ეჭლა იტყვიან ხოლმე, რომ, რვა უღელი საქონელი სამ გუთანს ატარებსო, უფრო ბევრს მოჰხნავსო, მაგრამ ის კი არ იციან, რომ კარგა არ მოჰხნავს.

გუთანს სამი ღამის მეხრე უნდოდა, ერთი — დღის მეხრე და ერთიც თითონ უგუთნისდდა იყო, ესლაც ეგრე არის ხოლმე, ვისაც რვაულელა უბია.

გუთნისდდასა სამი ალო ჰქონდა თავისი გუთნით, ორი ალო — თავისი და ერთი გუთნისა, ღამის მეგრეს ორი ჰქონდა და დღისი მეგრეს — ერთი.

ჯამბარ-ხამალდე ვისიც იყო, ერთ დღეს იმას უხნამდით; დღესაც დაუკარგავია იმისი ალო და დღესაც ერთი ალო აქვს ჯამბარ-სამალდეს. ხამალდე რომ არა გვქონოდა, საქონელს ვერ შევაბამდით; ჩვენში სამალდეს ეძახიან და ქვეით სოფლებში კიდევ, აკურისაკენ, აგუფი უძახნიათ. აქ რომ ავეური სთქვა, ვერც კი გაიგებენ. აკურისკენ ტომრისთვის ნაკრალა უძახნიათ და ვერც იმას

გაიგებენ აქ. სანდრო არუთინაშვილი ეთანხმება ზემოთქმულს და თავის მხრივ უმატებს შემდეგს: „უწინდელ დროს სახნისსა ჰქონდა ორი ალო და ხაყვეთხ კი ერთი ჰქონდა“.

მოდგამოხა. სამი-ოთხი კომლი მიუღებოდით ერთმანეთსა: ჭერ შენსას მოხნავდით, ახლა ჩემსას და ეგრე ვმუშაობდით; მაშ ერთ კაცს სადა ჰყვანდა იმდენი საქონელი, რომ ცალკე შეება გუთანა? მართალია, ზოგს ორი გუთნას საქონელიც ჰყვანდა, მაგრამ, რაკი მეხრე არა ჰყვანდა ხოლმე, იმის გულნათვის ერთ უღელს შაიბამდა სხვისას და მემრე იმასაც უხნავდა. თითო-ოროლანი აუენენ, რომლებიც ცალკეც აბამდნენ. ამას მოდგამოხას ვეძახოდით, ჩემთან რომ ვისმე შეება, სხვები იტყონდნენ, რომ ეგა იმისი მოდგამოხი არისო. მოდგამები ვინც იყვნენ, ზოგს უღელი ება, ზოგს სამუღელა ება, ვისაც რამდენი ეყოლებოდა, იმდენს შაიბავდა. უწინ, — ამბობს ზაქარა ნათელაური, — მოდგამები იყვნენ. ერთ კაცს ჩემთან ხუთმეტრი წელიწადი ება და იმას ჩემ მოდგამს ეძახოდნენ. მოდგამსა აშხაზხაც ვეტყვოდით. გაზფხულზედაც ვიცოდით მოდგამობა და შამადგამაზედაც“.

შამადგამაზე პურსა და ქერსა ვთესამდით, მაგრამ მარტო ერთი ჭურის პური კი არ იყო; პურეულიც სამ-ოთხნაირი ყოფილა: **დოღის პური** იყო, **დეკა პური** იყო, **ხულუნჯოს** ვეძახოდით დიკა პურს. ერთი რეგის პური იყო კიდევ, **თავთუხს** ვეძახოდით იმას. იმისი მარცვალი შეინდის კურკასავით იყო. წითელი თავთუხიც იყო ხოლმე და თეთრიც. თავთუხს დაკუთხული, ოთხკუთხიანი თავთავი ჰქონდა. თავთუხს ძან დიდი გამოსავალი აქვს, ზოგ-ზოგი სიმინდის ტაროსავით იკეთებს ხოლმე თავთავს. იმისი ხვავი რომ დაინახოს ადამიანმა **კალოზე**, ესიამოვნება. დიდი გამოსავალი აქვს, თვალმხარაა, მაგრამ გემრიელი პური არ იცის, უძარღვოა და მკაღვივით ცხვება, ფატარია. თავთუხი წინათაც იტყონდნენ, მაგრამ არა ჰქონდა გასავალი და ყურს არავინ უღებდნენ.

ხულუნჯოც სამ-ოთხნაირია: წითელი **ხულუნჯო** სხვა არის, თეთრი **ხულუნჯო** სხვა არის; სუ ძალიან წმინდა თეთრა **ხულუნჯო** კიდევ სხვა არის. ერთი რიგი **ხულუნჯო** კიდევ იგეთია, რომ შაჰხედო, გეგონება წითლათ შაულეზბნათო. თეთრმა **ხულუნჯომაც** დიდი თავთავის გაკეთება იცის, ხვავიც დიდი აქვს. გულო აქვს იგეთი თეთრი, როგორც უმტვერო თოვლი, ხოლო ფქვაში ფუქსავატდება და ბუქად მიდის. გულიანმა პურმა იცის გაუპარაქოვება.

დოლი პურისთანა კი არც ერთი არ არის, ის არის თავიდათავი პური. ძან გემრიელი პური იცის და მოსავალიც კარგი აქვს. დოლის პური ფოლადივით არის. უფრო დამეტებულათ დოლს ეტანებოდა ხალხი, ეხლაც უფრო იმასა ჰთესამენ.

ხვილა პურიც არის, მაგრამ იმას არც კი უღებდნენ ყურს. გძელი თავთავი იცის სვილამ, ბარაქიანია, მაგრამ გემრიელი პური არ გამოდის. გარეთა ცილა შავი აქვს და იმისთვის გამოდის უფერული პური. სვილა უფრო იტანს გოღვას და ბეგრეც მოდის. ახოვტი როცა გავტეხეთ, შიგ ჰვილანარევი პური დაეთესეთ, იგეთი ყანა ამოიდა, რომ ზოგს სიმინდივით ღერო ჰქონდა. ერთ დესტეტინას ორმოცდარვა კოდი გამოდიოდა, ემ საქამრეზე ვჭირდით ყანას.

სანდრო არუთინაშვილი ზემოთხსენებულ პურეულის ჯიშებთან ერთად, პურის ერთ სხვა ჯიშსაც იხსენიებს; ის ამბობს: „ერთი ჭურა უფხო, თეთრი პური იყო, ცხრათავთავას ვეძახოდით. როგორც ყურძენის მტევანმა გუფხხალი გაიკეთოს, იმ ცხრათავთავასაც ოთხმარცვლიანი და ხუთმარცვლიანი კუფხლები ჰქონდა წვეგრამდის, მსხვილი თავთავი ჰქონდა ხოლმე. წინათ კი ჰთესამდნენ აქ, მაგრამ კარგა ხანია, რაც არ მინახავს. ცხრათავთავას მთის პირებისაკენა ჰთე-

სამდნენ ხოლმე. მარკაანისკენ“. ზოგი იგეთი უფხო პურია, რომ ლურჯი (!) უნდა მაიმოს, თორემ სუ შიგ ჩაცვივა მარცვალი. უწინ პირველ კათათვეში იჭრებოდა ხოლმე ყანები, ესლა რაკი თიბათვე განახევრდება, მაშინვე ჰმყიან, აღრე თუ არ მომყეს, სუ მთელი მარცვალი გასცივია.

ალანანს გამოლმა უფრო გემრიელი პური იყო ხოლმე, გაღმა კი ვერ იყო ეგეთი კარგი. ქალის პურსაც კი არა აქვს იგეთი გემო, როგორც მთის პირების პურს: მთების მხარეს გემრიელი პური იცის ქისტატურამდის.

ქერიც სხვადასხვა ჭურა იყო, შამადგომის ქერიც იყო და გაზაფხულისა. გაზაფხულზე ახალთახალი ქერი ითვისებოდა; მარტი რომ დადგებოდა, მოგზნამდით და დაუთვისამდით. ახალთესლსა ფშავ-ხევსურები პთესამენ. იქიდან ჩამაბლანეს ეს ახალთესლი და მემრე ჩვენცა ვთესამდით. აღრე ითვისებოდა და აღრეც იჭრებოდა. თიბათვეში გაიჭრებოდა ხოლმე. შამადგომის ქერი აკობია დასათესათ; გაზაფხულზე რომელი ქერიც ითვისება, იმას გოლვა უსწრობს ხოლმე და ბარაქიანი მოსავალი არა აქვს.

ქერს ცხენებს ვაჭმევდით ხოლმე, მაგრამ როცა გავეციკრდებოდა, ჩვენც კარგათა ვჭამდით. ქერს ფინთი სუნი და გემო აქვს.

ჯაქარა ნათელაური შემოდგომის ქერს ძველთესლის სახელწოდებით იხსენიებს, ის აზობს: „ძველთესლი ქერი შამადგომით ითვისება, ოთხკუთხიანი. ძველთესლი ქერი საჭმელათ არ ვარგა, რს ღორსა და ცხენს უნდა ვაჭამოთ. ახალთესლი ქერი ორკუთხიანი და როგორც პური იგეთია“.

სანდრო არუთინაშვილის აზრითაც „ახალთესლი — ქერ-დეკა ქერი უფრო კარგი გამოდის, ვიდრე შამადგომისა. ქერს თუ გაამისხილებ, საჭმელათ არა უშავსრა. პირველათ რომ დაუფქვავთ, გავცრით და იგრე ჩავყრით, ორი კვირის შემდეგ კიდევ გავცრით და კარგი გამოდის, ამას ვეძახით გამისხილებას.“

შამადგომის ქერისა და ახალთესლი ქერის გარდა, შავი ქერიც იყო ხოლმე. ერთი რიგის ქერი ცხრაკუთხთავთაიანი იყო, ასე გგონია სიმინდის ტარაოა“.

ფეტვაც კარგი მოსავალი იყო ქათმისთვის, ღორისთვის, საქონლისთვის, ჩვენ კი თუ ძან არ გავციკრდებოდა, არა ვჭამდით, ახლოც არ მიუღებოდით საჭმელათ. ფეტვის ბურღო საუკეთესოა საქონლისათვის; საქონელს თამაშობას დაწყებინებდა ხოლმე ბურღო.

ერთი რიგი ფაჩხა ფეტვი იყო, შალაფასავით ბორჯღიან თავთავს გაიკეთებდა ხოლმე და მალეც შემოდლიოდა. ფაჩხა ფეტვი ყვითელიც იყო და კრელიც. თუ აღამიანმა ფაჩხა ფეტვს შამწე და ყინჩი მამული შაურჩივა, ძან გაიბარჯლება და გამოსავალიც კარგი ექნება. ფაჩხას თავზე ერთი თავთავი აქვს, მაგრამ მუხლებშიც თავთავებიან ტოტებს გაუშვებს ხოლმე.

ხვრიმა ფეტვიც იყო. ხვრიმა სწორეთავთაიანი და წმინდა აბრაშუმივით იზღება, როგორც თითები, ეგეთი გაწმენდილი თავთავი ჰქონდა ხოლმე, უფხო იყო. ფაჩხა ფეტვის მარცვალი მსხვილია, ხვრიმასი კი წვრილი იყო და ერთობ ყვითელი. ხვრიმა ფეტვის ბურღო ძან კარგია საქონლისთვის. როგორც წმინდა პურსა და მკადში არის განსხვავება, ეგრე იყო საქონლისთვის ხვრიმა ფეტვის ბურღო და ფაჩხასი.

სანდრო არუთინაშვილი ხვრიმა ფეტვს გვრიმა ფეტვის სახელწოდებით იხსენიებს.

ჯაქარა ნათელაური ფეტვის ჭიშთა შესახებ შემდეგ გადმოგვცემს: „ფეტვი ორჯურაა, ერთი ძურწა ფეტვი და ერთი კიდევ ფაჩხა. ძურწა ფეტვი, როგორც

! ძახილის ნიშანი ხელნაწერში დასმულია ივ. ჯავახიშვილის მიერ.

ბურჩა ბალახი იგეთია და ფაჩხა კი შავი ფეტვია. ფაჩხა ფეტვიზორჯლიანია და მსხვილმარცვალა“.

უწინ ქართულ ხიმინდხა ვეთსამდით, მემრე რუსული სიმინდის დათესვაც დაიწყეს, მაგრამ რუსული არ ვარგა. რუსული სიმინდი მაღალი იზღებოდა. თუ ნორტი პაერი შაჰხედებოდა, ტაროს გაიკეთებდა, მაგრამ თუ გოლვა მასწრობდა, ცარიელი დარჩებოდა. რუსული სიმინდი თეთრიც არის და ყვითელიც. ქართული კი სუ ყვითელია. დღესაც ეჯავრებათ რუსული სიმინდი. ქართული სიმინდი დაბალიც რომ იყოს, ტაროს გაიკეთებს, რუსული კი თუ არ აიყაყლა, ტაროს არ გამოიტანს. ქართული ადრეულათ შამოდინ, რუსული კი ერთი თვის უკან ძლიერ შამოვა ხოლმე, ან გემოთი როგორ შედრება ქართულ სინაინს? ქართულმა ძაან ტბილი მჭადი იცის, ჩვენ ქართულს კაცს ქართული სიმინდი ხელს აძლევს. ქართული ხიმინდი დოლის ხიმინდია.

სიმინდი როცა შამოვა, მაშინ წავალთ დასამტკრავათ, როცა ვტახამთ, თან გოდრებში ვყრით და მემრე გამოიტანთ ხოლმე გოდრებით და საცა დაქუჩიება გვინდა, იქ დაყვრით. მემრე ურემს შამოაკრამთ გარშამო ლასტებს, ჩაყვრით შიგ სიმინდს, რამდენი გოდორიც ჩავა და შინ წამოვიღებთ.

სიმინდის ჩიჩქს გავჯაფამთ, კონებათ შავკრამთ და საქონლისთვის შავინახამთ. შეიძლება ეგრეც, რომ სიმინდი თავის ტაროიანათ მოვკრათ, ივრე მოვიტანოთ და შინ მოვტეხოთ.

ფეტვის გაღწევას ბევრი არაფერი უნდა; კევრით გაზურდოვდება, მემრე ზეიდან ბურღო მეხედება და ქვეშ მარცვალი დარჩება.

ყანა როცა შამოვიდოდა, ვინც შამლებული იყო, მუშას ივალბდა. იშველიებდა, ვინც ხელოვალე იყო, თითონ მოჰქიდა. ყანას, როგორც ეხლა ჰქვან, მაშინაც ეგრე ჰქიდა. რომელმაც უფრო კარგათ იცოდა მჭა, მთელ მუშას ის ამუშავებდა. ყველა მუშამ არ იცის რამდენი უნდა მოსჭრას. მეთაური კი დაჰხედავდა ყანას და მაშინვე შაატყობდა რამდენსაც მოსჭირდნენ. რამდენი მომკლებნიც იყვნენ, იმისდა კვალათ მოსჭირდა მეთაური ხევს და მემრე დაიწყებდენ მომკას. მომკიდნენ ხელიურებათ, მემრეური კიდე ულოზე დაწყობდა ხელიურებას და მნახ შაქრავდა. ორ კაცს ერთი მემრეური მისდევდა. მემრე ათეულმათ დავდნახდა და ივრე გაუშვებდით ხოლმე მინდორში, ზოგი კი ფეხზე დაყუდებდა მნასა და ათეულებათ არ დასდებდა. მნას ამოვიტანდით ურმით და, თუ ხაფარი გვექონდა, შიგ შევდგამდით, თუ საფარი არა გვექონდა, ერთ ალაგას დავდგამდით ფთაქეულს. შეიძლებოდა, რომ ხუთმეტ-თექვსმეტი ურემი დავგედგა და ფთაქეული იქნებოდა. კარგი ლახათი კი ჰქონდა იმ ფთაქეული! ნახევრადის ივრე უნდა დავგედგა, რომ თავთავი შიგნით მოქცეულიყო, ნახევარს მაღლა კი გარედან მოუქცევდით თავთავსა და წყალი აღარ ჩავიდოდა, თავთავი წყალს არ უშვებს.

გავმართადით კალოხა და დაუწყებდით ღწევას. რამდენსაც საქონელი შეერეოდა და რამდენი მუშაკაციც იქნებოდა, იმისდა კვალობაზე ჩაუშლიდით მნახ. დიდ კალოში ხან ჩვიდმეტ-თერამეტ-ოცდაერთ ათეულს ჩაუშლიდით ხოლმე. ლეწვის დროს კევრი დაჰხვებოდა ხოლმე და ჩვენ კიდევ უქცავდით ფიწლით. ფიწლით სამჭერ მინც უნდა გვექცივნა. როცა გაზხედებოდა, მაშინ ნიჩბით უნდა გვექცივნა; ნიჩბით ორჯელ უნდა გვექცივნა, რომ კილი არ შაჰყოლოდა პურსა.

როცა გაილეწებოდა, გადაუშვებდით საქონელს, შავხვებამდით არანდით, შავგვიდით და გავანაფებდით. განიაკების დროს თან ცოცხით უნდა შეესურავებინათ, რომ ჭელლი არ შეჰყოლოდა. ჭელში პურიც გადასდევდა, მაგრამ იმასაც გავაცხავებდით ხოლმე, პური ქვეშ გაუვიდოდა და ჭელს კი ცალ მხა-

რეს მიყრდით. მემრე, **ზუგ ხაბძელში** შავიტანდით და პურს კი გავახავებ-
დით ხოლმე. გახავების დროს პური ერჩევა: სხილი მარცვალი წინ მიდის და
წერილი კი უკანა რჩება. წინ რომელიც გადადიოდა, იმას წვერისპურს ვეძახო-
დით და ხათესლეთ შავინახადით ხოლმე; თესლი იკეთი უნდა ყოფილიყო,
რომ არ ეღალატა.

სათესლე პური ცხრილში უნდა გეგვეტარებინა, გეგვეტებინა და იგრე
შავინახადით; ხაყენჯს კი ქათმებისთვის შავინახავდით. ქერიც პურივით გა-
ლეწებოდა.

ზაქარა ნათელაური საყენჯს ნაყმანის სახელწოდებით იხსენიებს.

სიძინდისათვისაც კარგ ტაროს გადავარჩევთ და იმას დავეცხვავთ ხოლმე
სათესლე. დიდი ბეჭითობა უნდა სიძინდსაც და პურსაც; თუ გინდა რომ კარგი
მოსაღალი გქონდეს, ყანა უნდა გახმარგლო, სიძინდი კი ორჯერ უნდა გახ-
თოხნო. ზაქარა ნათელაურის სიტყვით, ძველათ ერთხელ უთოხნიათ მხოლოდა
და ორჯერ გათოხანა შემდეგ შემოულიათ.

ახოვება ვრეხამდით და ძან კარგი მოსავალიც მოგვდიოდა ხოლმე. ჭერ
გაკვამდით და მემრე სამჯერ მაინც გავთოხნდით ხოლმე, რომ კუნძი ამო-
ვარდნილიყო, ცხრა-ათ წლამდის კუნძი არ გაქრებოდა.

სიძინდის დათესვა პირველათ არ შეიძლებოდა. ჭერ ყანა უნდა დავეთეს-
ნა, რომ მიწა მობოშავებულიყო და კუნძები მალე ამოვარდნილიყო. ყანას რომ
მოვმკიდოთ, ნაჭას გავტუსამდით, მიწა მობოშავდებოდა და კუნძებსაც ამოვაგ-
დებდით.

ბარე კახეთი

მთხრობლები: შაქრო ხოლომონის ძე შვედლიშვილი, 50 წ.; ლადო დავი-
თის ძე შვედლიშვილი, 40 წ. (სოფ. კაკაბეთი).

ხვან-თესვა. გაზაფხულზე მოხნულს ჰქვიან გაზაფხულის ნახნავი. თუ გა-
ზაფხულის ნახნავს დაუგვიანდა, იტყვიან ნელახ. თიბათვეში იხენება ანუელი.
ანუელ უმოდგომანზე უნდა აიშშოს თუ აბალახებულია. შემოდგომის ნახნავს
შემოდგომის ნახნავი ჰქვიან — იხენება და მაშინვე ითესება. არის შემოდგომის
ნათესი და გაზაფხულის ნათესი.

გაუტეხავ ადგილს ჰქვიან ყამირა. ნაჭას რომ დაასვენებენ, გაზაფხულზე
იმასა ჰქვიან ნახნავი. უხვირო, ქვიან ადგილს ჰქვიან ხირხავი, შავს და კარგ
მიწას ჰქვიან ღონიერი ადგილი ან ნაშსუწნი, ან ნაფუწარი.

გაზაფხულზე ითესება ხიშინდი, ფტევი, პოშოლა, ხამარხო, მუხუდო, ცუ-
ლისხირა, ცერცვი, ხარდა, ლობიო და სხვა.

გაუმარგლავდით აპრილში ან მაისში (პირველ რიცხვებში). სარეველა
ბალახები: პოლოკა, შეღვა, ქინძარა, კანაფა, ნარი, შალაფა, ფშვარია და სხვა.

ყანის მკა. პირველად რომ ნაწილს ჩაიდებს თავთავი და დაიხრობება —
ოღოში ჰქვიან. ამ დროს კონად შეჰკრავენ თავთავებს, ცეცხლზე მოჰტუსავენ,
დაჰფუნტრავენ, გაარკვევენ, ნაშს დაჰკრავენ, მარილს მოაყრიან და სააჰური
საქმელია.

მკათათვეში გახმება ყანა, გაყვითლდება. როცა ბევრი ჰმკიდნენ, ჰყვან-
დათ მესვეურე, რომელსაც სვე მიაქვს მარჯვნივ და ყველაზე წინ მიდის. მე-
სვეური ძალიან კარგი მომკალი უნდა ყოფილიყო. მგუჯდური ის იყო, რომე-
ლიც სულ ნაპირას იყო მოქცეული. მემწეური ის იყო, რომელიც ძნახა ჰკრავ-
და. მემწეური უღოხა ჰგლეჯდა და ძნასა ჰკრავდა. ულოს ასე აკეთებდა: დაგ-

ლექილი ულოს ერთ კარგ მუქს ორად გაპყოფდა, გადააჯვარედინებდა ერთმანეთზე, ჭერ მარცხენას გამოსწვევრავდა, მემრე — მარჯვენას და თავთაეების ყუნწებთან გადაპგრებდა ჭერ მარჯვენას, მემრე — მარცხენას და ცერებით ჩაბრუნებდა ნაგრეს ისე, რომ თავთაეები წინ მოჰქცეოდა. მემრე გაშლიდა მიწაზე, მარჯვენა ხელით ეჭირა მარცხენა მხრის ულო და შიგ უწყობდნენ ხელურებს. როცა აიესებოდა, მარჯვენა ხელით მარცხენა ხელის ულოს წაველებდა. ორივეს ერთმანეთთან მისწვედა, მუხლს (მარცხენას) დაჰქერდა და მარცხენა ხელის ულოზე მარჯვენა ხელის ულოს შემოახვევდა ორჯერ და ამოუყრიდა ისევე იმავე ულოში. მემრე დაჰსვამდა შეკრულ ძნას. ბოლოში რომ გავიღოდნენ და სვეს გაიტანდნენ, მესვეური დაიძახებდა — „ჯაი ამაზევი“ ისევე უჯან დაბრუნდებოდნენ, დაათულებდნენ და ისევე თავიდან მოექცეოდნენ უანას.

დაათულება ასე ხდება: ორი ძნა — მარჯვნივ ტყუპად, ორი — მარცხნივ, თავთაეები — შიგნით, რვა ძნა დაიდება ასე. მემრე და მეთე მარცხნივ და მარჯვნივ შუაში ჩაიდება, თავთაეები შიგნით, მეთერთმეტე ზევიდან დეულება გარდიგარდმოდ თავთაეებ დაშვებით, რომ წყალი შიგ არ დაღვგეს. ისეი ათეული დადგმული, რომ თავთაეი არ უჩანს ზემოთა ძნის მეტს. გვერდებზე თუმცა ჩანს თავთაეი, მაგრამ — ოდნავ.

ურმით მივიტანდით ძნას კალოზე და თუ მაშინვე არ ჩავუშლიდით კალოში, ცირად დაედგამდით.

ლექვა. კალოს თხლად გადაეთონხილდით; ისე გადაეთონხილდით, რომ თარაზოში გაწორებულს ჰგვანებოდა, ანუ თონხის პირით გადაუხუხკდით. მემრე გადავაკაბლოვებდით, მემრე აუალო მიწახ დაეყარდით, მემრე კარგა მოვრწყავდით, მოვაბზვებდით და დილით ჩავუშლიდით. კალო გაეკვრებოდა და სუფთა პურის ავლებდით.

კალოში ძნას ასე ჩავუშლიდით: ნახევარ ადლის მანძილზე დაყვრდით ძნებს ერთმანეთთან, მემრე ულოს შემოგხსნიდით; ულოს თავთაეებს კალოში ჩავჭრდით ნამგლით, ძირებს კი გადაყვრდით ნაპირზე. მემრე ორთითებით თანაარად ჩავუშლიდით ულოშემოხსნილ ძნებს.

კვერს ცხვირში აქვს ჩაბზული თოკი და ხარება ან ცხენები დაარბევენებენ. ზელ უზის კაცი. პირველად რომ მოჰთეთქვამს კვერი, უჭტევენ ორთითით, შეორედაც ორთითით ვუქცევდით, მესამედ ნიჩბით საქცევი განდებოდა. თუ კვერი ჰხვეტავდა — მიუყრ-მოუყრდნენ, თუ კალოს გული კერ ილენებოდა, რადგან იქ კვერი კარგა ვერ ჰხვდება, გულს გამოუყრდნენ, თუ ნაპირები იფურთხებოდა, ნაპირებს შემოუყრდნენ.

როცა გაილენებოდა, არნადით მიგზვეტავდით, შუაზე დაეყენებდით გორებს ან გორას, — შეჰგვიდნენ. საითაც ჰქროდა ნიავე და ზზე უნდა წასულიყო, იმ მსრილან ნიშნებს მიუწყობდით გორებს ძირში და გავანიავებდით.

ბზე ცალ მხარეს მიდიოდა, პური ჩვენ წინა რჩებოდა.

ნიავეობის დროს პურს უნდა გადახურავება, რომ ჭელლი და ხორბალი ერთმანეთში არ აირიოს. გადასურავებული ცალკე გროვდება. მას ცხაილში გაატარებენ, პური გაუვა და ჭელლს ცალკე შეინახავენ, რადგან შიგ მოუფშენეტავი თავთაეები ურევია. გორის ყელს რომ სულ გამოანიავებენ და ნიშნები გამოჩნდება, მემრე ყელში დარჩენილ ნაბოლაავარას გამოანიავებენ (ეს ქვეეთა ზურავდებოდა).

ნიავეობას რომ მოვრჩებოდით, კალოზე გაშლილ ხორბალს შემოჰგვიდნენ დედაყავები და ჩვენ ვახვავებდით. ახვავების დროს ნიავეს მტვერი მიჰქვს.

ახვევებულს გავაცხავებდით და მემრე კიდე გავაზახვევებდით, რომ სულ გასუფთავებულყო პური.

ხათესლე. საუკეთესო პურს სათესლედ შევინახავდით, დანარჩენს — ზოგს იმ წლის სარჩოდ, ზოგსაც მარაგად გადავდებდით. თუ ვინცობაა შემდეგ წელს მოსავალი არ იქნებოდა, მარაგი ხელუხლებელი გვექონდა ცალკე.

პურის გაკეთება. მიამბობენ დედაკაცები: საწისქვილედ, ან სათესლედ პურს ასე ვაკეთებდით: გავატარებდით ცხრილში: ხან მარჯვნივ და მარცხნივ ვცხრილავდით, ხან ნოვუქციევდით. მარჯვნივ და მარცხნივ გაქნევის დროს ქვეშ გასდობოდა ხარჯი, მოქცივის დროს ზევიდან ექცეოდა ფშვრია და გულაფშუტა ან გაუჩენჩაი მარცვალი. მოქცივის დროს ერთად მოგროვდებოდა და მუქით ამოვიღებდით. ცხრილს ქვეშ გასდის ბალახის თესლები და ნაბოლავარი. ამას ვეძახით **ცხრილს ქვეითხ**; იმას კი, რასაც მოქცივის დროს ზევიდან იქციეს, **ქვეიან ცხრილს ზეითი**, ანუ **მონახადი**.

თუ მიწა და ქვა ურევია, **ტაბაკით** გავარკვევთ. ტაბაკის წინ დაქნევს დროს, წინ გადადის ხორბალი და უკან რჩება მიწა და ქვა.

სიმიინდი. სოფ. ცხვარიკშიაში ერთ გლეხსა ვკითხე — რათ გიდგათ მხოლოდ **ჩოქელა ხიშინდი**, რატომ **დოლის ხიშინდი** არ მოგყავთმეტქი; აქათ-იქიდან მიბასუხეს: აქ დაეთესდო დოლის სიმიინდი და გადაგვარდაო. დოლისა რომ დაეთესეთ, ჩოქელა ამოვიდაო. თანაც დაუმატეს: აქ კურდღლების ფერმაა, ამ ორი წლის წინად რალაც ნადირი გაჩნდა — კინდოლი და შინაური კურდღლების ფერმა გაანადგურა, მაგრამ მალე მოკლესო.

ფეტვი. აქ მარიამობისთვის გასულს იმეება. ვმკით ფთხილად, რომ მარცვალი არ გასცივდეს. ფეტვის ძნებს არ ვათეულებთ, ერთმანეთზე მივყუდებთ მწკრეზე და ამას **ქვეიან მკლდეურა**.

ფეტვის ლწვა. ფეტვის ორითით არ ვუშლით, ხელით ჩავაწყობთ ისე, რომ თათავი ზეითა აქვს მოქციული და ნაშჯა — ქვეშ. პირველი კვერი რომ მოპთეთქვამს, ისევე ხელით ვუქციევთ, გადავბარუნებთ, თათავის ქვეშითა მხარეს ზეით მოვაქციევთ, ასე გავიმეორებთ მანამდე, სანამ სულ არ გაიფშვინტება თათავი. მემრე გადავბურღოვებთ. ზურდოს ზამთრისთვის შეუუნახავთ საქონელს და ფეტვის გავინაივებთ. ამას **ჭელდი** არა აქვს.

პრწო-თიანეთი

მთხრ. **ბუთლა გიორგის ძე აღბუთაშვილი**, 80 წ. (სოფ. ჩაბანო, თიანეთის რაიონი).

სხვადასხვა მარცვლეული და **ტრუპკა (sic)**¹. აქ იციან მამითადი, ნადი, ნაცვალგარდა მუშაობა (დღეს ესა კშველის, ხვალ ის).

აქა პთესავენ **დოლის პურს**, **გაზაფხულის დეიახ**, **ქერს**, **ახლს**. ასლი ყველაზე კარგი მოდის. სათესლედ საუკეთესო მარცვალს არჩევენ. **ფეტვი** და **ხიშინდი** აქ კარგი არ მოდის. ფეტვი სულ არ მოდის. „ტრუპკასა“ სთესენ არტანში. აქ კი ლექსი გამოუთქვამთ ტრუპკაზე.

აკი ვითხარი პეტრეო,
გზანი ნუ პთესავ ტრუპკასა,
შავიქამს ჩემი ხბოუბი,
გაგზლიან ეშმათ მუშასა.

¹ (sic!) — მიწერილია ივ. ჭავჭავიშვილის მიერ.

მე კი არ დამენახება,
მაგრამ ღვდაშენს უყვარსა,
მანამ თბილია — კარგია,
რო გაცივდება -- ღუშმანსა!“.

ტრუპკა თავკომბალა მცენარეა, ნახევარ ადღზე იზრდება. თავში გაიყუთებს ოთხკუთხა მარცვალს ხახვის თესლივით. თავთავი კართოფილის ყვავილს ვიუგავს.

ასლი წისქვილში იყრება ჩენჩო-შემოუცლელი. ასლს ასე ვლუწთ: შავყრით კალოში ოთხ-ხუთ ცენს და ფეხით მაპთეთქამენ.

„ასლო, სამკლად ლამაზო,
კალოში ბარაქინო,
წისქვილის ამომგდებულო,
საქმელად თავლაფიანო“.

პურის გაკეთებას მიაბობს თიანეთელი ახალგაზრდა ქალი — მთხრობელი რუხუდან გედონის ახ. გელოვანი [რომელსაც] მოხუცებიც უმოწმებენ:

„ზორბალს გავცხრილავთ. გაცხრილვის დროს ზეუდან იგდებს ჩენჩოგაუცლელ ხორბალს და გულდაფშუტას, რასაც ჰქვიან ცხრილზევითი, ხოლო რაც ცხრილს გასდის, იმასა ჰქვიან ცხრილქვეითი, ორივეს ერთად კი — ნაყმაში.“

გაცხრილვის შემდეგ ტაბაკით გავარკვევთ: წინ გადადის სუფთა ხორბალი, გარკვეული, უკანა რჩება მიწა და ქვა-ენჭი, ამასა ჰქვიან ნარკვევი. ყოველივე ამის შემდეგ ჩავყრით ღარძლაში (პატარა ტომარაში) და გავგზავნით წისქვილში.

ჩაწერილია სოფ. ჩაბანოში. რიგის პურს თიანეთში ეძახიან, წლის ბოლოში რომ ხარჯს გადაუხდიან მიცვალებულს.

ხილინდარი. ეს არის ტყავის აბგა გვერდზე ჩამოსაკადი. ამაში იწყობდნენ ტალკვებს, აბედს, ნეპწკალს, დანას და სხვა ამისთანებს. ნეპწკალი წვერის საკმაზი რკინის პატარა მამაა გამომტყიცული პირით. ზეინკლები აკეთებენ.

ქიტო. ოთხკუთხიანი ხის კოვზია. მწყეშები ხმარობენ.

სინინლო

მოჯნა-დათებაჲ (ხენა-თეხვა). უწინ „ზირობის“ სოფლელები გუთანს იშვითად „ამბავდნენ“ ისიც ყარასაეში (აბინეზზე) ხენის დროს. დანარჩენ ადგილებს ხნავდნენ ჰაჩიჩით. გუთნის შებმის, ანუ „გუთან გავლვაში (გატანაში) ოთხხუთ წყულ ულაყს (მუშა საქონელი — ხარი, კამეჩი) ამბავდნენ“. ხშირათ ერთ ოჯახს ერთი გუთნის სამყოფი (გუთნეული) საქონელი და მეხრეები არა ჰყავდა, ამიტომ რამოდენიმე ოჯახი „ორთად კეპტეოლა“ (თურქ., მოზიარეთ ხდებოდა). ხშირათ არა მარტო ხენაში, არამედ თვით მოსავალშიც „ორთად კეპტეოდნენ“, თუ მიწა „მაღუაათით“ (ღალა) ჰქონდათ აღებული. ალიაბათელებმა და მახლობელ სოფლელებმა იცოდნენ მოდგამი, შეერთდებოდნენ რამოდენიმე ოჯახი ერთად, საერთო ძალით ჰყინავდნენ გუთანს (აკინზაჲ) და ხნავდნენ.

ამხანაგობაში სახენელის მეტ-ნაკლებს არ ეძებდნენ. ვისაც რამდენი ჰქონდა, იმდენს უხნავდნენ, მაგრამ თუ ერთსა ძალიან ბევრი ჰქონდა, იმასაც სხვებთან თანაბრათ უხნავდნენ. სოფ. ალიბეგლოში მუშა საქონლისთვის თანაბრათ უხნავთ, ხოლო მეხრეებისთვის კი ზიარა მეკრებაჲ — სამი დღე (ეს გამოცდილი მეხრეა), შუა მეკრებაჲ — ორი დღე, წინა მეკრებაჲ — ერთი დღე (ეს

ყველაზე პატარა და გამოუცდელიც). აქაც ხშირათ სახენელის მეტ-ნაკლებს არ უყურებდნენ ხოლმე, თუ ძალიან დიდი განსხვავება არ იყო.

გუთანის გაქმნადათ „ლაქველა“ (ადრიან, დამიანათ) და „შამბა-მოკნაში გუთანს იქერდა გუთნა-დედა, ზირი ულაც ზირა მეკრე მძალავედა (მიერე-კებოდა), შუას — შუა მეკრე და წინა, ანუ გელპოვი (თურქ., მოსკლა, მობრუნება, მოსაბრუნის, მოსასვლელის) ულაც — წინა მეკრეა“. ხენის დროს ყოველი ათი კოლის შემოტარებაზე (ქილაზე) ისვენებდნენ.

„გუთან გომომში ულაცზე მიახდენელა დანაქვრ (დაქირავებულ) ყმაწვილს ან დიდს (უფროსს, მოზრდილებს) მესაქრებ ეზახოდნენ. იგარე ულუაყო (უხარო) გუთანზე მანასულსაც მესაქრეს ეზახოდნენ“. მესაქრესაც (მასახყო) თუ დიდ ხანს უხნავდნენ, ოთხი-ხუთი დღისას უხნავდნენ ხოლმე. ნათესში ბევრი ალაჲს (სარეველა მეცნარის) ასაცილებლათ იცოდნენ (ეხლაც იციან), ჯაზფხულზე ჰირაჲს ავეთებდნენ (ანუ ულს), ანუ (ალ.) „ანაფტრებდნენ“, ფეტვიც რომ არ დათესონ, ჯაზფხულის ნახნავს ჰინც ალიბათელები ნაფტრის ეძახიან. ბევრნი „ზირობის“ სოფლებში ჯაზფხულზე მიწას „ჰაჩიჩით ჰპირდნენ“ (გაქვრად) და სტოვებდნენ საშემოდგომით. „გაქვრად-ც ჰირაჲს ანუ (ალ.) განაფტრების მაგიერობას ეწევა. „ჰირაჲ ქნაში ალაჲს (სარეველა) ზვრს“ მზე სწევას და თვით მიწა კი „ფუნტარდვის“ (ფხვიერდება). „განაქვრს“ ანუ „ჰირაჲს“ შემოდგომაზე „ჰაჩიჩადთ ვუქცევდნენ“, სთესავდნენ და „ზედამით რევდნენ“ („არეველა“) ისევ ჰაჩიჩით. ან არევიც მაგიერ ჰვარცხავდნენ. ღაფარცხვა იმით სჯობია, რომ ის ჰყარავს „ღელუქას“ (თურქ., მთარობელა). ყარასაში შემოდგომაზე დასათესად ჰირაჲს მეტწილათ ისევ გუთნით ვუქცევდნენ და დათესვის შემდეგ ჰვარცხავდნენ ხოლმე. ვისაც გუთნით ქცევა არ შეეძლო, ჰაჩიჩით ვუქცევდა. ჰირაჲ-ქნაჲ ანუ (ალ.) განაფტრება მეორე წელს საჭირო აღარ იყო, ნაპურალში უქირაჲთ სთესავდნენ. „ზირობის“ სოფლებში, ვისაც ჯაზფხულზე მიწის გაქვრა არ შეეძლო, შემოდგომაზე უბალახო („ულაო“) ადგილს „ეზულამა“ (თურქ., უხნავ პირზე თესვა) სთესავდა. მოუხნავ მიწას „მხრელავედა“ (ზოლებათ ანაწილებდა „ჰაჩიჩას კოლით“), სრელებში აყრიდა თესის და ზევიდგან „ჰაჩიჩადით ჰრევედა“, ან დათესვის წინ „ერთ ან ორი კინადით გამააქვრდა“ (ერთხელ ან ორჯერ ჰაჩიჩით; — მისი რკინით ხნავდა) და დასრულავდათესვის შემდეგ ჰვარცხავდა ან რევედა ჰაჩიჩითვე. ხშირათ ბალახიან ადგილს ან ისე, ან „დაკაჲს უყან (გათიბვის შემდეგ ჰტუსავდა და ევზულამა ჰთესავდა“. თესვის დროს ერთ ნაბიჯზე „ცალ ქელ“ (ცალი მჭილი) თესლს აყრიდნენ.

გუთნით ხენისას პირველ წელს „ხამს“ (ყამირს) ან დასვენებულ მიწას „მნარავდნენ“ (გომონარაჲ), მეორე წელს კი ანაპურგლევენ, ანუ ნაპურგალ ჰყარვენ. თუ მოსახენელი ადგილის თავ-ბოლოში საჭიროის ფეხისგან რამიძე დასზარალებელი იყო, ჭერ თავ-პოლს გარდიგარდმო მოუხნავდნენ და მერვედა დანარჩენ ადგილს თავისი წესით — სიგარძზე. სახნავი მიწის „თავით-ბოლოში კოლ (ყვალი) გატანა — გასულას მჩგაჲ“ (ხ) ეძახიან. „დილ ზალიან (ძალიანი) ადგილში, ჰირაჲში“ პირველათ პურს (ხორბალს) ვერ ჰთესავდნენ. „პურ გაზლიანდევად“ (გაძალიანდებო). პირველ წელს ჰირაჲში ფრტს (ფეტვს) და, თუ მიწა კიდევ მეტად ძალიანი იყო. ფეტვის შემდეგ — შემოდგომაზე ჰერს თესავდნენ, ხოლო მეორე წლის შემოდგომაზე — პურს.

სათესლე პურს დედაკაევი „აკეთებდნენ, ჰცხრილავდნენ, ჰტაკავდნენ (სტაბკავდნენ), შიგამთი გააქონდნენ (გაქმნადათ, აცალკეებდნენ): ჰაჩაყურიულს (ყულკაიანი სარეველა, კულბეწელას ჰვავს), გულბას (გორველა, კიო-

ტა), ლორი ბირკას“ (შვინდის კურკის მოყვანილობისა, ზედ ეკლები აქვს) და სხვას.

სთესავენ: უწინ გურგანახ (პურია), რომელიც „დიად ყუეათიანი პური(ა), კმაში (კამაში) გვან აშიებს (ამშიებს); შემდეგში შემოიღეს: „ხარუბულდაა“ (ბ) (თავთუხი) და ყარაბულდაა“-ხ (შაფხიანი თავთუხი, მჭადივით პურა გამოდის) თესვა. თვით „სარუბულდაა“ ორგვარია: აღ ყოლილ (თეთრფხიანი) და ხარუ ყოლილ (ყვითელფხიანი თავთუხი). „სარუბულდაა რზაგიან (ძარღვიანი) პური“- (ა.)

„ფრტს (ფეტვს) გაზაფხულზე, მაისში სთესავენ და შემოდგომაზე ფეტვის ფშკის შემდეგ „ნაფრტარში“ პურს აყრიდნენ. ფეტვი იყო „წითელი და თეთრ ფრტო“. ზოგი ფეტვი „ბუთხევიან“ (თურქ., ტოტებიანი — ფიჩხა ფეტვი) იყო, ზოგი კი კატა კულდა (ცალთავთუხიანი, კატის კუდის მზგავის თავთავით). შავ ფრტს ილისუელეები, ყაშხაჩელები, ღალისტნელები სთესავენ.

პურის თესვის დროს სთესავენ: შავ ქერს, თეთრ ქერს და ყუთოლ ქერს; რაპოდენიმე წელს ერთი და იგივე თესლის თესვით თესლი „ბრუნდევის“ (გვარდება, გადაგვარდება), ანუ (თურქ.) „ალავკლ კეპტევის (ნარევი ზდება), ამიტომ თესლის გასაახლებლათ დროდადრო „კაი მაზღარ თავთავს არჩევენ, ცალკ ზტჰმენ (ბეგვავენ, სეხევავენ) და მიღებულ ახალ თესლს სთესენ „კაი ხალიან“ ადგილში, ხაშში (ყამირი). პირველ წელს ამ წესით ცოტა ითვისება, მეორე წელს ის მრავლდება და სამყოფი ოდენობის თესლის მიღების შემდეგ მთელ ნათესებს ახალი თესლი იკავენს. „ჩალთუქის(ს) ზრლ (ძველ) ქერდაშაიაც“ (ნაჩალთუქარში) კარგი გამოდის. ზოგნი ჩალთუქის მომკისთანავე, შემოდგომაზე ნაჩალთუქარში მოუხნავათ აყრის გამოსასწორებელ თესლის პურს, ზროხა ფეხით სთელავს და ამოდის თხელი ჭეჭილი. ამითაც კარგი მამლარი თესლი განიღდის. ასეთ ნათესს ავგანს ეძახიან. პურს, ქერს, ფეტვს თუ სარწყავშია, დათესვისთანავე პრწყავენ (მორწყვა), რომ რაც შეიძლება „მაღე გალურედეს“ (ამწვანდეს). რწყვის დროს თუ ადგილი სწორია — ვაკეა, წყალს პირდაპირ უგდებენ — აფანევენ (შლიან წყალს), თუ უსწორმასწოროა — „ალურჩულურა“- (ა). ბართი დადიან შიგ და „წყალს ააღვიხევენ“ (აღებინება, წყლის მოჩვევდება).

ნათესის ცოტა წამოზრდის შემდეგ ყანას (ალაბაბელნი ნათესს ყველა პასკაში „ყანას“ ეძახიან) მარგლენ (მარგლავენ).

ნათესებში აღმოცენდებიან ხოლმე შემდეგი „ალაა“-ები (თურქ., სარევე-ლა მცენარე): ტანა ყირან (ფართე ფოთლები აქვს, ზროხა არა სკამს), ანწლ, ყუთოლ ჩიჩაქ (ყვითელი ყვავილი; „ზურკ პირპილივი(თ) წოვეა“ მწვავე აქვს, მალე ამება), გულხაა (გორველა), ბოლოყა შამხაა (ცახია), ყარაშამხაა (მტევანივით დაჭვდებულ ფოთლებს ისხამს), ბარინე (მძიმე სუნი აქვს. ესეც ცახია), წიოელ ცახ, მოღლაბაშია (ხესავით ტოტებიანია, ზედ თბილივით კვანძებს ისხამს). ყალაღან, ანუ ყანღალ (დიდრონფოთლიანი, ეკლიანი, მოთეთრო ბალახია), ათ ყაბთარან („ესიცი ყანღალი(ა), ცხენ ვერ დადრავა“ — ვერ ივლის), მუშტავაა (ყანღალია, ფოთლები ღეროზე ძაბრივით აქვს შემოკრული, შიგ წვიმარ წყალი დგება ხოლმე), ლურე ყალაღან (ზროხა სკამს), ვირი ზიანაა, ზიანაა, ანუ ხაჟიფი ზიანაა (რძიანა, კეცს აკეთებენ ბავშვები და ახალგაზრდები), ჩად (ჩადუნა), კარაზანაა, ხამწონეა, ანუ (ალ.) შამხა წონეა (ამით მწვანე ფერათ ლებავენ ბაწარს), ხვხ (ყვითლის საღებავია), თავშავაა (ანწლის თავივით შავი მტევანი იცის, შავის საღებავია), მახრალ (წითხის მაგიერ ცოცხზე შემოსაბეველ — შესაკრავათ ხმარობენ), ზორთქლაა (ხვართქლა), ლორი ბირკაა (შვინდის კურკის მოყვანილობისა, ეკლიანია მისი ნაყოფი), ბიან (ძირ-

ტებილა), კოჭობა (ნაყოფი გორველას მიუგავს), ილან დილ გულბაა (თურქ., გველის ენა „გულბაა“), ფინდორავ გულბაა (ამისი ნაყოფი—გორველა ლეწვის დროს კვერის ქვეშ ფქვილდება), ქინზა ბირკ (წვრილი ნაყოფი იცის, ხელში ერქმის ადამიანს), ქონიან ბირკაა (ხელზე ეკვრის, ქონივით ეგლისება), თეთრ ეკალ (დაბალ ბუჩქათ იზრდება, თეთრი ფერის ნემსივით გრძელი ეკალი აქვს), „არდ“-(-ი) და სხვა. დანარჩენი ბალახები მოხსენებულია „მესაქონლეობაში“.

ხმინდს (სიძინდს) და ჩავდარს (მეონი სვილაა, წვრილი გრძელი მარცვალა აქვს) არ სთესავდნენ. ჩავდარს დალისტნელები სთესავენ.

ჩალთუქ დათესაა (ჩალთუქის თესვა, ბრე გაუტლელი ბრინჯია). ჩალთუქს მთელი სოფელი ან უბანი ერთ მხარეზე — ერთი-მეორეზე მიყოლებით სთესავს მასში. ან წესით დათესილ მინდორს ჰენდს, ანუ აენდს ეძახიან. სთესავენ ან „ზოლ ქირდაში“ (ნაჩალთუქარში), ან კი „ხამს ჰკარონ“ („ხამ შაკრაა“ ყამჩრის შეკერა. ყამჩრის გატეხვა დადათესვა). ძველ ქირდაში ან „ზოლლაშა“ (თურქ., ზოლათ, სრელათ სოგრძეზე) ჰენონ, ან კი „ჰარამა“ (ანუ იმგვარად, გარშემო) გუბში, ანუ „კოპში“. ხამის მოხენა საჩალთუქეთ მუშა საქონლისთვის ადვილია, ხოლო თვით მომუშაებისთვის — ძნელი, მას ბევრი სამუშაო აქვს. ძველი ქირდას მოხენა კი პირიქით.

ჩალთუქში გასულიზენი წინ ჰენდს, ანუ აენდს ჰყოფადნენ“ (ანაწილებდნენ მეკომურთა შორის), — თუ ძველი ქირდა იყო, თვითეულს აძლევდნენ ცალკე „თახტახ“ (ის ზოლი, რომელშიც ერთ მეკომურს უთესია ჩალთუქი), თუ ხამი — მაშინ გუთნით „ჰკოლავდნენ“ („შომოკოლაა“ — შემოკვალა) თახტებთ და ისე ანაწილებდნენ ხოლმე. თახტებთ დანაწილება საჭიროა აგრეთვე მიწის დასაეკებლად, რომ წყალი თანაბრათ მიუღვას ყველა ადგილს. ამის შემდეგ, თუ არის ძველი „ყაჟ“-(-ი (დიდი რუ წყლის მოსაყვანის), იმას სწმენდავდნენ შეერთებული ძალით, თუ არ არის, ე. ი. თუ ხამში სთესავენ, ახალი ყაჟი გაყავთ. ხენის დაწყებამდე ერთი დღით ადრე „გუგევენდნენ“ (უგებდნენ, უგდებდნენ) წყალს, თუ ადგილი შშრალი იყო და არა ნაჰყანტი (ჰყანტი). მეორე დღეს ჰაჩიჩით (გუთნით [ხენა] არ შეიძლება, გაძლიანდება ჩალთუქი) წყალში ხნავენ და „ბორტოს, ანუ (თურქ.) ყარას ჰუწუნ, ჰწლიან“. მოხენის შემდეგ გვერდებზე თირვეს სწევენ ანუ ჰთირენ (დათირაა) და დაფარცხვის შემდეგ „ჰკოპენ“ (კოპენს უკეთებენ, გუბეებს აკეთებენ) ბაზუენს (ეს პატარა თირია, მხოლოდ ორი გვერდის თირს შორის გარდიგარდმოთაა გავლებული). თუ ადგილი შედარებით სწორია, ვაკეა, დიდორნი გუბეებს აკეთებენ, ხოლო თუ „აღლურ-ჩულური“ (ოღრო-ჩოლო), პატარეებს, წყლის თანასწორათ მოსაფენათ. თუ ადგილი მთლათ ვაკეა, მაშინ მას, ორი გვერდის თირის გარდა, სხვა არაფერი არ უნდა. ასეთ თახტაში დანათესს შუარახს [შუარაჟ] ეძახიან. ძველ ქირდას მარტო თირბაზუჟა-ს დაკერვა სჭირდება, ხოლო ახალს — ასეთების ახლათ ვაკეთება.

მოხენა — ბორტოების დაშლის („დაკუწას უკან“) შემდეგ წყალში ჰფარცხავენ — „აღ მალას ჰკარონ“ ერთ დღეს, მეორე დღეს წყალს, სწყვეტავენ და „ყარა შალას ჰკარონ ანუ სჩედიან“ (დაკვრა, სჩედიან=სჩადიან). „ყარა მალაას“ შემდეგ ჰკოპავენ. ადგილის დასათესად მოსწრების ექვის დღის წინ დაბლერტილ-გასუფთავებულ ჩალთუქს ტომრით წყლის გუბეში ალბობენ სამი დღის განმავლობაში. შემდეგ სამ დღესაც ანწლში ახვევენ თბილათ. „დაყიევის“ უკან (დაყიების შემდეგ) სთესავენ „წრლასებრა“ ტალახში და უსვამენ ბარით (გადასმა ბარით) თესლის ჩასამალათ. ასე ტალახში რჩება თესლის ამოსვლა

„ზვრე მოკიდევინება“ (ძირკვის, ფესვის მოკიდებამდე) სამოთხ დღეს. სამოთხი დღის შემდეგ უღებენ წყალს, რომელიც გამოდებით მიდის, რწყავს, მაგრამ ხანდახან უნდა წყლის დაწყვეტა და გახმობა ადგილს, თორემ ჩალთუქში „ხულუფ“-ი (ფეტეს ჰგავს მისი ნაყოფი) შეერევა.

ხშირათ თესლს აყრიან წყლის დაუწყვეტავად. ამ შემთხვევაში თესლის გადაყრის შემდეგ (მაშინვე) ჭავით „ამღვკეენ წყალს“ (ამღვრევენ), რომ თესლ ჩინაზირას“ (ჩაიძიროს). ზოგჯერ მარტოხელანი დაუყვებელ თესლსაც სთესვენ და დათესილის თესლის დაყვიების შემდეგ ადგილს ახმობენ ერთხელათ, რომ ჩალთუქი არ დალპეს. დათესვის შემდეგ ფარცხისგან დაშლილ კოპების დეგოლებს ჰკერავენ.

ჩალთუქის თესვაში „უჟულაყო“ (უხარო) მიდიოდა სამუშაოთ იმასთან, ვისაც მუშა საქონელი ჰყავდა. მას ეძახოდნენ „ბელჩის“ (მებარეს). თვის, თვე-ნახევრის მუშაობაში მასაც ხუთ-ექვს ბაქნიან (ლიტრა) „ფარაქალს“ (წილს, მის სახელზე) უთესავდნენ ხოლმე. ჩალთუქშიც, ისევე როგორც პურში (პურის ყანაში), ერევა „ალეზი“ (სარეველა ბალახები). ყველაზე ცუდია „სულუფი“ და „უგანი“ (ახლათ ამოსულ ჩალს ჰგავს), ამიტომ ჩალთუქსაც ესაჭიროება „გამარგლაჲ“.

სთესავდნენ ჩალთუქის სხვადასხვა ჯიშებს: „ყარა ყილჩილს“ (შავფხიანი ძალიან კარგი ჩალთუქია), „სარუ ყილჩილს“ (ყვითელფხიანი), შარალახ და ქონახ (ადრეულა ჩალთუქებია).

თესლის გასაახლებლათ დილით ადრე მიდიოდნენ ხოლმე ჩალთუქის „მენღში“ და თავის „თახტაში“ არჩევდნენ იმ თავთავებს, რომელთაც დილით „მწონე“ ფერი დაჰკრავდა. გადარჩეულ ჩალთუქის თავთავს „ჰმშნატავდნენ“ სათესლეთ ისევე, როგორც პურისას.

პურს, ქერს, ფრტს და ჩალთუქსაც ჰთიბენ (მომკას იშვიათად აშობენ) ლუღით (ზერხივით მოკბილული ნამგალი). ვისაც ნათესი ბევრი ჰქონდა, იქირავებდა მომკლევს და ათიბინებდა.

პურსა და ქერს გათიბაში თუ პატარა ოდოშივით (თურქ. — „სვოკლ“) იყო, ჩანგას) ჰყრიდნენ შესაჭუნობათ, ხოლო თუ „მოწეულ“ იყო (მომწიფებული იყო), „ბენდამს ანუ (აღ.) უღოხ აკეთევდნენ (პგრეხავდნენ) და შიგ აწყობდნენ „ჩანგალს“ (ჩანგა თურქ., ხელეულს) და ჰკრავდნენ კელეულს, (ძნას). ფეტეს და ჩალთუქს გათიბაში რამოდენიმე დღეს შესაჭუნობათ ჩანგაში სტოვებდნენ და მერეა ჰკრავდნენ კელეულს. პურის და ქერის კელეულებს (ძნებს) აწყობენ ათეულევეში „ყალიბ შეკმევენეველა“ (ყალიბის საკმევეათ, დასაყალიბებლათ), რომ ურემზე „ადრეაში“ (დადების, დატვირთვის დროს) კარგათ დაეწყოს. ძნის რაოდენობის გამოსახატავათ ფენჯახ ხმარობენ. ფენჯა ხუთი ათეულია ანუ ორმოცდაათი ძნა. ძნას, თუ ეზიდებიან ურებით და თუ ცოტაა, „ყარზე აყრიან“, ხოლო თუ ბევრია, „კალოა-(ს) პირში აწყოვებ ზნახ“ (ზეინი, ფრთე მოქცეული, ურმეული). ამის შემდეგ „კალოხ ჰკალენ“ (აკალოა — აფხვეკა ზედპირის, ბალახის), შიგ ძველ ნაკელ ჰყრიან და უგებენ წყალს. დაღობობის შემდეგ ლასტით ჰფარცხავენ ისე, რომ მუშა საქონლის ფეხი ნაფარცხს არ მოხვდეს. „კალოა გამრომას უკან უგდევენ კალოს (კალოა ჩავდებვაჲ) — შიგ ჰაშანს (თურქ. -ის, რაც გასალეწია) ჰშლიან „მაბაჲთი“, ანუ (აღ.) ფიწალით“. უღელ ხარზე ან კამეჩზე უგდებენ ერთ „ფენჯახს, ექვს-შვიდ ათეულს, იმის მიხედვით ძნა გრძლათ არის მომკეული, თუ მოკლე, ან ბალახნარევი თუ სუფთა. გრძელსა და ბალახნარევე ძნას გასალეწათ უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე მოკლეს და სუფთას. გარდა ამისა, ყარასავის ძნა კაფი-(ა) (იმტრევეა, იფშენიტება ადვილათ) და ზირობისა — არა. ყარასავის ძნას მზე

მზხედება თუ არა კალოში, მაშინვე იმტერევა — ადვილათ ილენება. „კალო ჩადღევას უკან კევრს აყენევენ (შაყენევა — შეყენება) და მიპლაღენ ერ(თ) წყულს აგრ, ერ(თ) წყულს იგრ. პატა ხანს უკან ფიწლით ვუქცევენ (ჰფიწლენ, გაფიწლად, ალ.) ორ-სამჭერ ქცევის-გაფიწვლის შემდეგ „შინ ნაქნარ ნამჟად ილენევის“ და ხდება ნიწფი(თ) საქცეველ“. ნიწფით ქცევით საქორო მანამდე, სანამ თავთავი არ დიწშლებოდეს და ხორბალს არ გაეცლებოდეს „ჩოჯამ, ანუ (ალ.) კილი“.

„კალოს მალ-მალე ვუთაგვენ“ (შემოუაგვეა = შემოჩაგება ცახის, ან „ფიწოჩხის“ ჟავით“ დიდი ცოცხით). რომ ნაშა ან თავთავი კალოს გარეთ გაულენწელი არ დარჩეს. ნიწფით ქცევამდინ ფიწლით შომოყრაადც ვუნდ-(ა) გარეთ გასული „ქვეშანის“ (თურქ. იგივეა, რაც ნამჟად).

კალოა ომოსულას უკან ძიღანით (თურ., არნადით), ნიწფით აგროვებენ ხოვს ერთგან ან ორგან. (ხოვი-გორას) და „ქარ“ (ანუ თურქ. ქულა) მოსულაში ნიწფით ანიივენ (ანიივებენ). ერთი ან ორი კაცი ანიივებს და ერთი ან ორი კი ცახის „უაგით ეუსომს (გადასამად), ზედაით ჩერხს (ჯელი) გადააქს“. „ანიივას ანუ განიივას კულს ჰყურტენ (ხევეთან ახლოს მყოფ ბზეს მეორეთ ანიივებენ, გაყოლილი მარცვლის გასაცალკეებლათ) და აგრევენ პური ხოვს (ხევი). ბზეგს ბზი(ს) მუზრუზე (გროვანზე) გახტრევა (გახვეტება) — ჩაგუსს უკან პური ხოვს აცხიევენ ნიწფით და ბარინეთ (ბალახია ცახისებური, ნეღლი ბარინეთის) გადასამელით ეუსმენ („გადასამად“) — გადააქრ (გადააქვთ) ნარჩომ ჩერხს, ჩოჯახ, ანუ ჩოყახ (კილი) საქათმეზე“. ჩადღება — ჩაშლა „ჰაშანის“ (ერთი ჩაშლა ძნა) შეიძლება კალოს შუაგულით, გარეთეანაც, ამის შემდეგ უბავენ ხარებს ან კამეჩებს უღელზე წენელებით და საბლით „ჩალოთუქი ქოლოთქს“ და აგორებენ ჰაშანზე. ცოტა ხნის შემდეგ თუ ქცევა არ ესაჭიროება, „ზედაით ბურდოს ჰყრიან და მეორე ჰაშანს ვუგდვენ“. დღე-ღამეში ოთხ-ხუთ ჰაშანის გადაყრა შეიძლება. ფეტვის ბურდოს ხშირათ აშრობენ და საზამთროთ საქონლის საკვებათ ინახვენ. ბოლო ჰაშანის გადაყრის შემდეგ ფეტვის „ხოვს ანიივენ და აცხიევენ“, ხოლო ჩალოთუქზე კი ჟერ „კევრს მიპლაღენ ყილილ (ფხა) მააკეჩლა“ (ფხის მოსატებათ) და მერე-ლა „ხოვს ანიივენ, აცხიევენ, გრზამაევს ავსრვენ (გრზამა თურქ. ყბამდინ ავსებული ტომარა), ყბასაც ბურდოით უხლართენ“ და მიაქვთ სახლში. სათესლე ჩალოთუქს და ფეტვსაც იღებენ ხოლო „სალრიდით“ (ხოვის თავით). ჩალოთუქს ჰყრიან აყარზე მოშლილათ, რომ არ ჩახურდეს და ხშირ-ხშირადაც აყარზე აცხიევის დროს ხევის თავში ცვივა მძივე, მამლარი მარცვალი, რომელსაც თურქულად „სალრის“ ეძახიან. თუ პური სხვა თესლებთან არ არის შერეული, „სალრის“ სათესლე იღებენ, „პტუმრენ“. ხევის ბოლო, „კულ-(ი) ბეიტ“-(ი) (არამამლარი) პურია და მას საპმელათ იღებენ. —ღატუმრას უკან ტუმრი ყბევს ყიფილით (თურქ. ტომრის პირის მოსაკრავი მაქარი) აყარვენ, ურმით მიაქვთ სახლში და სცილიან კასრებში, უწინ — გაგლეხილ გოდრებშიც. საკანში (კიღობანს ჰვავს, მხოლოთ ბეგრათ დიღია) ან აყარზე (სხვენში).

ფეტვს და ჩალოთუქს ერთნაირად ლენევენ. ამათ კალოსთან დიდი ხნით არ აგროვებენ. რომ არ ჩაქურდეს. ძნას კალოსთან მოტანისთანავე კალოში „იმ-გვრგლივ ერ რიგს თავთავ შიგნით, მოშლილათ, „ჩანგა-ჩანგათ“) აწყობენ, მეორე რიგს კი თავთავ გარეთ, ისე რომ მეორე რიგის თავთავი პირველზე გადაეხუროს. დანარჩენ რიგებსაც ყველას თავთავ გარეთ აწყობენ, ვიდრე კალო იივსებოდეს. გაშლილ ჩალოთუქს ნიწფით უქცევენ გამოსაშრობათ; ისე მისი დანაყვა (ბრის გაცლა) არ შეიძლება, დაიწვეება, გაფქვილდება.

ბერი სალენის პატრონი იქირავებდა ხოლმე შვებულებას დღეში ერთი, ერთ-ნახევარ ბაქნათ (ერთი, ერთ-ნახევარი ლიტრა). დასავენებლათ და საჩრდილოთ კალოს ნაპირში აკეთებენ ხოლმე „თარვალს“ (ფანჩატურს).

პურის და ქერის გალენის შემდეგ აკრავენ ურემზე „ჩათანას“ (თურქ.— გადამბულს, ლერწმისათვის) ან სამისოთ დაწულ ლასტს, აყრიან ბზეს ურემზე „შანათი და ნიფთი“, მიაქვთ და სკლიან ან ზროხის სახლის აყარზე, ან იშვითად „საბზელი“ ანუ საბზელი.

თუშეთი

მთხრ. გიორგი წვერძე, 55 წ. (სოფ. შტროლითა).

[თუშეთში] კენათესვას საკმაოდ მისდევენ. ხნავენ სოფლის გარეშემო მდებარე ვაკე და გვარდალს ადგილებს, სადაც კი მოხვან შესაძლებელია. ვაკე ალაგი ერთ-ორ სოფელს (ომალისა და შენაქოს) აქვს, დანარჩენებს კი უმეტეს ნაწილად — დაქანებული. ნიადაგი თიხიან-ქვიშიანია, ბუნებით მწირი. განაყოფიერებლად ზოგნი ხეობებს (საქონლის პატვის) აყრიან. თესვენ სხვადასხვა კეთილს. კეთილი სულადსა ჰქვია. კეთილი არის იფქლ, იგივე იფქლ. ხეილ, ქერა, ქერაფილ, ქუმელ, შარა, ოსპ, ცვერცხ. ყველა ადგილობრივი ჯიშია.

შენიშვნა: აქვე მოყვანენ ტრანინებს, რომლებიც აღნიშნავენ მიწის ზედაპირის სხვადასხვა მოყვანილობას.

წვერ — მთის მწვერვალი. წვერ-წვერ რომა — წვერ-წვერ სიარული.

კუპ — მრგვალი ალაგი მთის მაღლობ ადგილზე. არის, მაგალითად, ავანტის კუპ. კუპ ეწოდება აგრეთვე ხოფლის ხანაგებს, სადაც სოფლიდან გატანილი ნაგავი — ქვა-ქვიშა ყრია და აგრეთვე — ხეობის ანუ საქონლის პატვის გროვას. კუპალაქ ბალური, ანუ ბავშური ნიით იგივე კუპა და აღნიშნავს ფეხისადგილს, რომელიც ჩვეულებრივ სანაგვეზედვე არის გამართული. კუპარა — პატარა კუპი. მწვერაქ კუპიტაქ — მირმარგალი და თავმწვერტი პატარა კუპი.

ცაცაცელაქ — ცის ტატნათ გადმოსაჩენი ადგილ. იტყვიან: ცაცაცელაქ გადმორინდ-აო; ციცაცელაქ ამქდარ, ე. ი. ასულა.

ცერ — მაღალი მთის ან ნაფხერის (მოზევებული ფერდობის), ან კლდის მაღლითა ნაპირი. იტყვიან: მაღალ ცერს გადავად-ო.

ცერ-ცერ რომა — მაღლითა ნაპირ-ნაპირ სიარული.

სალ კდე — დაუღებულო, აღმართული სუფთა კლდე, ასეთია, მაგალითად, ქომისტოს წვერებ, სპეროზის კლდე და სხვა.

ბიუხ, იგივე კრიუხ, ანუ ჭრიხ — ცოტა მაღლობი ქვებ-ამოშვებით ადგილი, შიგადაშიგ ბალახიანი.

ქარაპ — მაღალი, მიუვალი კლდე, რომელსაც შუშებივით წატეხილი ადგილები აქვს და აღმნიანი ან ნადირი ვერ მიეკარება. იტყვიან: ფანთ კდეებია (უღლი კლდეებია), ქარაპ, კაც ვერ ჩავაო.

ქანჩაპ — მაღალი, გადმოშვებით ადგილი აქაო, ანუ მაგარი თხამი-წიანი (კლდეზე არ ითქმება). ამ სიტყვას ხმარობენ თუშები ბარში, იმიტომ რომ აქ კლდე არ არის. ქარაპ კლდეა, ქანჩაპ — მიწა.

უღელტეხილ — მაღლობზე კლდეში პატარა გასავალი, გადატეხილი.

ღელეა — მიწიან, ანუ მიწდგრიან, ანუ ტყიან ადგილას აქეთ-იქით მაღალი ცერებზე და შუაში გადახაული, მეტი სივანისფერ რომ აქვს.

კორკე — ფართო კეობა მთის კენწერის ახლოს, გამლილი, პატარა ვაკეებით, დაქანებით, კვევების სათავეებით არის, მაგალითად, აჭაეტის კორკე, რომელზედაც გადმოდის ახალი გზა აბანოზედ. აქვეა ხაცხვრე კორკიც, ე. ი. ცხვრის საქოებელი ადგილი და სხვა.

გორე — მოპტრო, ანუ პატარა მთა, ან მისი ვიწრო ზოლად დაშვებული ადგილი; მაგალითად, სოფ. დოკუტს აღმოსავლეთი უბანი გაშენებულია გორაზე. სოფ. ნაიბრის ახლოს არის დაღალნესთ გორე და სხვა.

გორ-გორ ჩახვლა ან ახვლა — გორის ვიწრო დაქანებულ ზოლზე დაშვება ზვიდან ქვევით, ან ასეა ქვევიდან ზევით.

რუჯე — ღელე, მშრალი დარუება მთის ფერდობზე. ხშირად მთის ერთ ან რამდენიმე მხარეს გორები პარალელურად სწორ ხაზად ეშვებიან ძირს და მათ შუა აქეთ რუჯები, ე. ი. ღელეები, ანუ დარუებანია. იტყვიან: რუჯ-რუჯ წავედი-ო. რუჯანე ცუტუნაჲ, ანუ პატარა რუჯია. თუ რუჯზე წყალი ჩამოდის, მაშინ ის არის კეჯე; იტყვიან: კეჯე-კეჯე ვიარე-ო. **ჭურჭლაჯ** — რუჯში გამომდინარე პატარა წყალი, რომელიც იქვე მახლობლად იყარება მიწაში. **დარანაჲ** — პატარა გაღარული ადგილი წყლის გასასვლელად. მას ბალებიც აკეთებენ სათამაშო ბორბლის დასატრიალებლად ან ისე, გასართობად.

კაჟა — მაღალი მთის, ანუ ქვიშაობის დაბლითა ყელდებ, საბატკნე ადგილი, დაქანებული, ქვიშიანი, წყლიანი და ქოსა (ე. ი. დაბალ ქარცხვიანი ბალახიანი (ქარცხვან გემრელი რძიანი ბალახი). ასეთ მთას თავში აქვს ყინული, იმის ქვევით — ცული, ქარაბი კლდეები, და ბოლოს, — კაჟა. კაჟა რამდენიმეა, სახელობრ: **დაკლოს კაჟა** — წუმბერას მთის (დიდოეთის საზღვარზე) დასავლეთით; **ხუშეთის** (დიდოეთის სოფელია თუშეთის საზღვართან) კაჟა წუმბერას მთის აღმოსავლეთით. **ჩიღოს კაჟა** — სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ფიცაროს მთის დასავლეთით. **კვავლოს კაჟა** — სოფლის ჩრდილოეთით. **ჭემოს კაჟა** — სოფლის ჩრდილოეთით.

ზურგიან ადგილ — ზურგივით გამოწეული ადგილი (კლდინი, ტყიანი და სხვა); თქვენ: „თორღვასე ციხე ზურგიან ადგილს დვას“-ო.

მთის ცხვირ — მთის მაღლითა, ან შუა ნაწილში გამოშვერილი ადგილი.

დალაოჯ — მთის ფერდობზე, საქოერებში, პატარა გამოწეული, დაბლობი ადგილი — „რომ იწვიოს, მასზე არ დაგუბდება, თუ დაგუბდება, მაშინ ტაფიაო“. ტერმინები კაჟა და დალაოჯი ეგების თუშური წარმოშობისა არ იყოს და თუშების მეზობელ რომელიმე ტომის — ქისტების, ან დიდოების ენას ეკუთნოდეს.

აკვანანე — მთიდან გამოყოფილი პატარა კლდეები ჩატაფულებით (ე. ი. ჩადებულული, ჩაგრდნილი ადგილებით).

მთის ან კლდის კუდე — მთას ან კლდეს გძლად რომ აბნ კუდე, ე. ი. გრძელი კული (გამოშვერილი-გამოწვდილი ადგილი) რომ აბია, რომელიც თავდება ხევის ან ვაკის პირად.

ჩხატე — კლდე, სადაც „წყალი წვეტწვეტით გადადის“, ე. ი. ჩანჩქერს აკეთებს. მაგალითად, კვავლოს წყალს სოფ. დართლოს გვერდით აქვს რამდენიმე ჩხატე.

გვერდალაჲ — დიდი თანაბრად დაქანებული ალაგი. იტყვიან: „ერთ მონა (ცული), გვერდელაჲ ყანა მაქვის“.

გვერდე — მხარე. მთის იქითა გვერდი — მთის იქითა მხარე; მთის აქეთა გვერდი — მთის აქეთა მხარე.

ბექი — ხაჯნაურში (სახნავ ალაგში) პატარა დაქანებული, მიუღვამელი ადგილი (თავში, შუაში ან ბოლოში).

ქვიშაინი — ქვიშაინი ადგილი კლდის, ან მთის ძირას.

ნაძვლიანი — ჩამოშლილი, ჩამოფხვნილი კლდე, უბლახო.

ნაწლობი — მიწა — ქვიშა-ქვის ზევი.

ნაფხვარაძე — ნაწლობის შემდეგ დარჩენილი ადგილი, ე. ი. ჩამოფხვნილ ჩამოკლებილი, ანუ ჩამოხვეებული ფერდობი.

წილფერადი — „მთის წილ ფერდიანი, მანძილიანი“, სოფ. ფარსმანი თქვია: „ნაყაირის (მთა) გზა წილფერადზე მიდის“.

ღუქანი (თუ ღუქანები?) — გაჩეხილი კლდე, ქოხისებური, სადაც შეფარება უნდა იქნებოდეს. იტყვიან: „ნადირ ღუქანებში იღვავა“.

გამოქვებული არის დიდი და პატარა; მათ სხვადასხვა სახელები ჰქვია, პანჯლობი:

გამოქვებული — გამოფურული კლდე, სადაც ერთი ადამიანი შეეფარება;

ეხი — გამოფურული კლდე, სადაც ერთი-ხუთი ადამიანი შეეფარება;

რუხი — გამოფურული კლდე, სადაც ათი-თორმეტი ადამიანი შეეფარება.

ხურა — ხორა.

კანკაბაძე ანუ **კანკარუხაძე**, იგივე **კუნკარუხაძე**, ანუ **კუნკარუხაძე** — წვირის პირი, ადგილ-ადგილ ქვაამოშვირილი, ან ამომწვეტიებული.

კლდის წარაფი — კლდე პატარა ბუჩქებით.

კამორაძე — ძნელად შეხატვადი (შესაყდომი, ასასვლელი), ცუდი შეხატვით კლდის ადგილი გზაზე ან სხვაგან.

მწვეტაძე კლდე — მწვეტად ამოშვირილი კლდე. იტყვიან: „მივდიოდი-დ (მივდიოდი და) ფეხს მწვეტაძე ხოხ (ხოხი — ფოლადი, მაგარი) კლეს (კლდეს) შევაჯალა“.

კურკვეაძე — ფართო გასავალი გზა კლდეში (კლდე კედლებით დგას აქვით-იქით). კურკვეაძე არის მაგალითად სოფ. კველოს წისქვილებთან.

აკრუქაძე — წვრილი გასასვლელი გზა კლდიდან ადგილას.

აკრუქანაძე — უსწორ-მასწორო, მალაღ-დაბალი ადგილი.

საფხავ-ფხუაძე — საფხოველი, ცუდი სავალი ადგილი.

ბუნტაძე — ქაობი; **ბუნტაძე** — ქაობიანი.

შანტაძე — ქაობი; **შანტაძე** — ქაობიანი.

კოტორაძე — ტყეში, ან მთაზე პატარა მოხნული, ან ცარიელი ადგილი (კოტორივით, ე. ი. გადასავით, გამოყოფილია და იმიტომ იტყვიან ამას).

აპლა — გაყოფილი და მოხნული ადგილი ტყეში.

ფილი — ცარიელი მწვენიანი ადგილი ტყეში, სადაც ხეები არა მდგარა.

თეფა — ზურგიან ალაგზე ვაკეში.

ქვიანი ადგილებს სხვადასხვა სახელი ჰქვიათ, სახელობი: **ლორღანი** — წვრილი ნატეხ-ქვიანი ადგილი ვაკეში. **ლორღი** ეწოდება წვრილი ქვის გროვას, ბუნებრივად დაყრილია ის თუ ადამიანის ხელით არის მიქურჩებული (მაგალითად, ყანაში). სადაც ასეთი ქვა ყრია მთის ძირას თუ ფერდობზე, იტყვიან: „ღიღ ღორღი“.

გოხანი — მსხვილ ნატეხ-ქვიანი ადგილი ვაკეში; **კეციანი ტაფი** — ლოდინა, ანუ დიდქვიანი დაბალი, ანუ ჩაფარდნილი ადგილი. **კეციანი** ქვის სროლას ნიშნავს. ბაღი (ბავშვი) რომ ქვას ისროდეს, ეტყვიან: რაღს იქეკებ. ე. ი. რა ქვას ისერიო და სხვა.

ხაფხინი — ახლად ამოსული ბალახიანი ადგილი მაღალი მთის წვერებზე, თოვლში, ქვეშის პირად. **ხაფხ** ახლად ამოსული წმინდა, დაბალი, თხელი (შორიშორი) ბალახია, მაგალითად, **ქარცხვ** და **სხვა**.

ნაპრალ — მალღობზე ქარის მოგროვილი თოვლი, გამაგრებული, გარკი-ნებული.

ჭოდ — შეყინული თოვლი: ვაკეში რომ თოვლი არის, გამოუდარებს და შეიყინება და კაცი აღარ ეფლობა. **გაჭოდილ** — გაყინული. **ყინულ** — თხელი ყინული. **ნაოხ**¹ — ნატეხი.

ღრატეა — ხრამი, ანუ მიწაში დიდ მანძილზე გაღრმავებული ვიწრო და გრძელი (10—20 საუ. და მეტი) ადგილი.

ტაფ, **იგავე ტაფეა** — პატარა ჩაკვაფულ, ე. ი. ჩადალებული ადგილი.

ჩაჩუნტულ ადგილ — ჩაეარდნილი ადგილი.

ჭალაჟ — წყლის სანაპიროები და მასთან მდებარე მოვაკო ადგილები, რომელიც კაცის მისადგომი (ე. ი. მისასვლელი) არის. **ჭალაჟ აქვს**, მაგალითად, **სოფ. ნაციხარს**, **სოფ. ხისოს** და **სხვას**. **ჭალაჟ-ჭალაჟ რომაა**—წყლის სანაპიროზე, ნაშლიანებზე სიარული.

კეობაა — წყლის სანაპიროები და მასთან მდებარე ადგილები, რომელიც მიუდგომელია (ე. ი. მიუვალა) კაცისათვის, აგრეთვე ხეობა, ე. ი. წყლის მიდამო.

ტატან — შორი ცისკიდური. იტყვიან: **ტატანთ გამოჩინდავ**, ე. ი. გამოჩნდაო.

ყამირ — მოუხნავად დარჩენილი ადგილი.

ჭარ — თხელი ზედაპირი მიწისა, ქვეშ რომ ქვიშა აქვს. მიმსგავსებული მნიშვნელობით იტყვიან: **ფეჭე ჭარ წამიფიდავ**, ე. ი. ტყავი გადამძვრაო.

კრახ — ხმელი, ქვიშრობი, უნაყოფო ადგილი. ეს სიტყვა კახურია. მას კახეთში [მცხოვრები] თუშებიც ხმარობენ. თათრულად ყაში ჰქვიანო.

ხახა — სოფლის პირი, სოფლის მახლობელი სახატე ადგილი, სადაც არის ხატის ნიში. ხატი არის: **სოფ. ხისოს**, **ნაციხარს**, **ვესტმოს**, **დიკლოს**.

არის რამდენიმე სიტყვა, რომელიც გვხვდება სხვადასხვა ადგილებში და რომელთა შინაარსის გარკვევაც ვერ მოხერხდა, ადგილის დამახასიათებელი ტერმინებია ისინი, თუ საკუთარი სახელები (იქნებ ისინიც თუშური წარმოშობისა არ იყოს); ასეთებია **სახელდობრ: ლაჟა** — მწვენიანი ადგილი **სოფ. შტროლთის** თავს (ერტვან) და **სოფ. ხისოს** ზევით (ორგან): „ზეთ-ლაჟა და ჭვეთ-ლაჟა“.

ჯაგირ — სოფლის მახლობელი ვაკე სახნავი ადგილი **სოფ. შტროლთისა** და **სოფ. ხისოსი**.

წახნეა — ტყიანი გორაკი **სოფ. ომალოსი** და **გორაკი სოფ. შენაქოსი** და **სხვა**.

ხნავენ მარტო ვახუტეულობით, სახელდობრ: **ფეჭლ** იხენება აპრილში, იმკება ენკენისთვის პირველიდან. **ხეილ** იხენება თიბათვე-მკათათვეში მეორე წლის მარიაშობის თხუთმეტიდან ცამეტი თვე უნდა. სვილზე იტყვიან: „წინა წლის ნაწნავიო. საკუთარი სახელი ასეთ ნახნავს არა აქვს.

ჭერ იხენება მაისში, იმკება მარიაშობის პირველიდან.

ჭერშველ იხენება მაისში, იმკება მარიაშობის პირველიდან.

¹ უფრო იხმარება ნაოხ:ჟ — ნატეხი (მაგ., ყინულის, ქვიშარის და სხვა) განმარტება კუთვნიან თ. უფურცაიძეს (რედ.).

ჭუმეღ იხენება აპრილში, იმკება მარიამობის პირველიდან.

შრუა იხენება მაისში, იმკება მარიამობის პირველიდან.

ოხპა იხენება მაისში, იმკება მარიამობის პირველიდან.

ცვერც იხენება მაისში, იმკება მარიამობის პირველიდან.

იფქლ, ანუ **იფქლ** მოჰყავთ მთელ თუშეთში, გარდა პირიქითისა და ზემო ვომეწრისა. თავთავი ფხიანია, **მარცვალი** — წერილი და წითელი. ითესება აპრილში, ზოგ ადვილს მწიფდება, ზოგან — ვერა (ყინვა მოასწრობს და ველარ შემოდის). გამოსავალი ნაკლები აქვს. თესავენ ცოტას. კარგი მხვენელ-მთესველი წელწადში სამ კოდზე მეტს ვერ დათესავს (კოდი ათი ლიტრა, ანუ სპი ფუთია). აქედან მოლეუ ათ-თორმეტ კოდამდე. თუ პური გაიფხო, ე. ი. თუ შესაფერი ამინდი (ზომიერი წვიმა და ზომიერი სითბო) დაუდგა, მაშინ კარგი პური გამოდის გემოთი და ფერითაც. **ფქვილის ფერი** მოწითანია. თუ წვიმები დაუდგა, მაშინ ალაო გამოდის.

ხვილ გრძელი **მოლურჯო მარცვალი** აქვს. ითესება თიბათევიში, შემოდის მარიამობისთვეში (ნახევრიდან). თუ კარგი ადგილია, ერთ კოდზე რვა კოდი მოვა. თითო კომლი დათესავს ორ კოდს. ცხება ან ცალკე, ან კიდეე შეიძლება აერიოს ან იფქლს, ან ქერს. ერევა მარცვლადაც და ფქვილადაც. ცალკე თუ გამოცხება, პური მოშავოა, გემოც ნაკლები აქვს სხვა პურთან შედარებით.

ქერ გაზაფხულისა არის. თავთავი ექვსკუთხა (ექვს კუთხეზე ისხამს). მარცვალი ფერად თეთრია. ითესება მაისში, შემოდის მარიამობისთვის ნახევრიდან. ერთი კოდლიდან გამოდის ექვსი-შვიდი კოდი. კომლი თესავს ხუთ კოდს. გალუწის შემდეგ **ატყროზენ** (ახლიან) და ისე ფქვევად. **კალი** ზელავენ და ისე ქაენ. **კალი** შეიძლება ან **იფქლის ფქვილში**, ან კიდეე **ხვილის ფქვილში** აურიონ და ისე პურად გამოაცხონ.

ქერშეღ ქერის მსგავსია, ოღონდ **ფორფლ** ანუ **ქერქ** არა აქვს თავთავი ოთხკუთხა (ისხამს ოთხკუთხეზე). ითესება ქერის დროსვე. ერთი კოდი იძლევა ოთხ კოდს. იმასაც ისევე ხმარობენ, როგორც ქერს. კალადაც ხმარობენ და ფქვილშიაც ურევენ.

ჭუმეღ სელი არის. მოჰყავთ ყანის ნაპირებში, ყუნჭულებში, ისე რომ ერთი ლიტრა გამოვიდეს. მთელ ყანას მისთვის არ მოაყენენ. მარცვალი წერილია და ფერად წითელი. თესავენ აპრილში, მკიან მარიამობისთვის პირველში. ერთი ლიტრიდან მოდის ერთი კოდი. კომლი თესავს ნახევარ ლიტრას. მას **ატყროზენ** (ახლიან). დანაყავენ **ჭუმლის ხანაყავაში** (ფილი) **გურჩით** (ფილთაქეთ). დანაყვის დროს ცოტა მარილს უზამენ, ნორჩი აურევენ, ჯამზე ამოიღებენ და **ხატნად** (შესატანებლად) ხმარობენ, რადგანაც ზეთიანია.

შრუა შერია არის. **მარცვალი გრძელია**, **შავქერქიანია**. ითესება აპრილში, შემოდის მარიამობისთვის პირველში. ერთი ლიტრიდან მოდის თხუთმეტი ლიტრა. კომლი თესავს ერთ კოდს. მისგან ხლიან არაყს, აკეთებენ **ხახშელს ნიხს**. საქონელსაც აჰმევენ, თუ ჭანდაგია. საქმელად არ იხმარება.

ოხპა წერილი და **მარცვალი მარცვალი** აქვს. თესავენ აპრილში, შემოდის მარიამობისთვის პირველში. ერთი ლიტრიდან თორმეტ ლიტრამდე მოდის. კომლი თესავს ნახევარ ლიტრას. იხმარება საქმელად ლობიოსავით.

ცვერც მრგვალი მარცვალი აქვს. თესავენ მაისის პირველში. შემოდის მარიამობისთვის პირველში. ორი ლიტრიდან ერთი კოდი მოდის. კომლი თესავს სამიდან ხუთ ლიტრამდე. ხარშავენ საქმელად ლობიოსავით.

ხათხლე ხულად ცალკე არ არჩევენ, მხოლოდ სათესლად მას კარგად გააკეთებენ, გადაანიაებენ, რომ ბალახის თესლი არ შეჰყვეს.

სარეველა ბალახებია: ქვა-ცვერცაფნ. წვრილი და გრძელი „პემუა“ აქვს მრგვალთესლიანი „ქეკუა“, საერთოდ, ნიშნავს თესლიან გრძელ ბუდეზე. ქეკუა აქვს კიდევ ცვერცხ, ოსპხაც, მაგრამ უკანასკნელის ქეკუა მრგვალია). აკვანტა-ჩის მავვარია, თესლი წვრილი და მრგვალი აქვს. თივის თესლაფნ იონჩის მავვარია, თესლი წვრილი და მრგვალი აქვს. ხათრობაფნ პურის ნავვარია, მწარე თესლი აქვს.

ყანები მეტწილად ღია, უღობო არის. ზოგ ყანას კი გზის მხარე ღობე ან ყორე აქვს გავლებული.

ღობეა არის ან მარგილ-ყავრისა ან წწელიხა.

მარგილ ტოტიანი ხე, ყავრეგრძელი. ღობისათვის მარგილს ჩადგამენ მანსილ-მანსილ და მათზე ყავრეებს გადებენ და ტოტებთან წწელით დააბამენ. მარგილის მავიერ ზოგი ნავულაფხ ხმარობს. ნავულაფ არის ხე, რომელსაც ცილა შევოცილილი აქვს და მარტო გულზეა დაყენებული. ის გვიან ღებება.

წწელიხის ღობეხ სარეხი უღვას. ხარი უტოტო ხეა. ღობისათვის მათ (სარებს) პატარ-პატარა მანძილზე ჩადგამენ და მერმე წწელით გახწვენენ.

ყორეა ქვისა არის. ზოგან ყანას ყორეს უკეთებენ ადგილის დაქერისა, ანუ დამავრებისათვის. ძლიერ იშვიათად გარეშემოც შემოაულებენ ხოლმე. მას გალავანს უწოდებენ.

მოსავლის აღება. ფქვლის ყანას მკიან მიწის პირად ცელით (ნანგლით). ყანა თუ ძალიან დაბალია, მაშინ ხელითაც ვლუჭენ. ერთი ცელის მოხმა არის ძნაა. ძნას უღოთი კრავენ. უღოა ისეთივეა, როგორც ქართული. მომკილ ძნას აქა-იქ უაავროვებენ ნაწილ-ნაწილ, შემდეგ ჩადღებდა აავებენ სარებზე. რაც უნდა ცუდი ამინდი იყოს, ჩადღას არ ჩაუვა. როცა მკა ვათავდება, ძნას მარხილებით კალოზე მიიტანენ. მარხილზე ედება ორი ჩადღალი. თუ ვაკე ადგილია, სამი-ოთხიც დაედება. ძნას კალოზე ზვიწებად ღვამენ.

ჩადღის ჩადგმაა ასე იციან: ჭერ სარს ჩაარკობენ, მერმე ხარზე ოთხ მხარეს ოთხ მხას მიაყულებენ, შემდეგ გარეშემო შემოუორიგებენ იმდენ ძნას, რამდენიც მოთავსდება და დაეტევა. მერმე მიჰყევიან და ოთხივე მხარეს (ერთმანეთის პირდაპირ) სარზე ჩამოავებენ ორ-ორ ძნას ერთად და ამგვარად ჩადგამენ ჩადღას. ჩადღაში სულ არის ოცდათხუთმეტი ძნა.

სოფ. ოპალოში ჩადღას უსაროდ ღვამენ: ძირს ათ ძნას დააყულებენ და ოთხ-ხუთს ზევიდან დაადებენ; ეძახიან მას სერკვხ.

ზვიწაღ ძნას ღვამენ კალოს ნაპირას. დადგმისას თავთავხ შიგნით უქცევენ, ბოლოხ — გარეთ. ზვიწაში არის ოციდან ოცდაათ ჩადღამდე.

ძნის გაღეწვახ შეუღებებიან ღვიწობისთვის ნახევრიდან. თუ ამინდმა შეაფერხა — გიორგობისთვის პირველიდან. კალო იღეწება ხარის ფეხით. კალოში ძნას ხელით ჩაშლიან. შეაბამენ ხარებს მოკლე უღლით, შერეკავენ კალოში. ხარებს შუაზე უღვას კაცი ან ქალი, უფრო კი ბავშვები და ატრიალებენ ხარებს მრგვლად. თავთავი იფხვენება და ჩაღა ისეე იხე რჩება. ხანგამოშვებით კალოს ფეწლით „ღებრტყვენ“ ძნა ჩაღად (ბურღოდ) იღეწება და არ ზწევდებია. ეს საერთო წესია მთელ თუშეთში. ხარის ფეხი მარტო თავთავს ქყლტავს და ზურღო რჩება. უღელი ხარი და სამი კაცი თუ ამინდი კარგია და ძნაც კარგია, ერთ დღეს გაღეწვას ექვს-ათ კოღამდე. მერმე, როცა ჩაღას თავთავი აღარ ექნება, კალოდან ჩაღას ვადამერტყავენ, მიიტანენ და თავის ადგილას აავებენ ზვიწაღ. ახლა ისეე კალოს უბრუნდებიან და ზვავს წმენდავენ, მსხვილ ბზეხ ცალკე ააცლიან. ეს მსხვილი ბზე არის ხიბრაა; მას თითო-ოროლა მარცვალიც ურეკია. იმას ცალკე ავროვებენ. გაწმენდილ ზვავხ ხახვავში მიიტანენ და იქ ინახავენ.

ჩალას ზეინად „დაყრით დგამენ“ („დაყრით ჩადგამა“). აიღებენ აყრის მარგილს. თავსა და ბოლო გამწვეტებულს, ჩაგდამენ და მერე იმაზე აყრის ჩალას. ზეინი დიდცი არის და პატარაც. იმას ან ვრძლად დგამენ (რამდენიმე მარგილზე) ან — მრგვლად (ერთ მარგილზე).

როცა კალოობა მთლად გათავდება, მაშინ განიავებას შეუღლებიან. აიღებენ რიჟით ხეავს, ასწევენ რიჟს მალა და ცოტა-ცოტას ჩამოშვებენ ნიავზე. განიავებულ შარცვალს ცხრილით გახცხრინვენ და კიდევ მეორედ გაანაავებენ რიჟით. ამას ეძახიან ხეავის გადწურვას. ხეავი ერთად დაგროვილი მარცვალია. ხეავს აიღებენ „ხაკებით“ (საცალოებით), მიიტანენ სახლში და კიდობნებში შეინახავენ.

შენიშვნა: უწინ სულადს ორმოებში ინახავდნენ მტრის შიშით. ორმო სიღრმით იყო 1 1/2 საენი, სიგანით — 1 1/2 არშინი. ჭრიდენ მრგვლად თიხიან და შშრალ ადგილებში. ძირს უგებდნენ ჩხლავს (ხის ქერქი), გვერდებზედაც ჩხლავსავე მიაკრავდნენ ჩხირბით. ჩაპყრიდენ შიგ ქერს, იფქლს და სხვას. ზევიდან დაფარებდნენ სიპებს და მიაყრიდნენ მიწას. როცა დასჭირდებოდათ, ამოიღებდნენ და წისქვილში წასაღებად გაამზადებდნენ.

ქერს გალენისა და ვაცხრინვის (გაცხრილის) შემდეგ გამოეყოჟა „ჭორღა“, ე. ი. ქვა, მიწა, კაჭახი, ბზე, რომელსაც ან საყენად ხმარობენ ქაბჭებისათვის ან გადაყრისათვის.

მრუაღ ისევე იღეწება, როგორც იფქლი და ქერი.

ხვილი არ იღეწება, იბერტყება. მომკიან, შეკრავენ ძნად. თითო ძნა თითო კარგი მჭილია. ზოგან ძნას ტყუხად კრავენ, იმას ტყუხი ძნაჰ ჰქვიან. უღო ერთი აქვს. ძნებიდან დგამენ ჩადალს, რომელშიც არის სამოცი-ოთხმოცი ძნა. ჩადლებს მიიტანენ სახლში და დგამენ ზეინად. ზეინში იქნება ათი-ოცი ჩადალი. შერე კალოში ფიცარს ააუღებენ, აიღებენ ინას და თავთავს ამ ფიცარზე უქლიან და ბერტყავენ. ტყუხ ძნას ორი ხელით იჭერენ (ერთ ზღას ერთ ძნას ჩაველებენ, მეორეს — მეორეს) და ასე ბერტყავენ. თანაც პატარა რიჟანს (ჭოხს) დაიჭერენ და იმითაც ბერტყავენ, რომ შარცვალი არ შეჰყვეს. გაბერტყვის შემდეგ დარჩება „ხეავი“ (ე. ი. შარცვლის გროცა) და შაკატაჟი ან ნათავთაჟი, ე. ი. ნათავთობა — ერთად და „ყარტა“, ანუ თავთავგაცლილი ჩალა ცალკე. შაკატაჟი ძნადან მოტეხილი თავთავია. გაბერტყვის დროს ტყდება (ყახეთში შაკატას ხიშინდგაცილი ტაროს, ანუ ქეჩეჩხ ეძახიან). მას ხეავიდან ცოცხით მოახუფთავებენ, დაყრის კალოში და ცოტა ხანი ხარებს ნოტირალბებენ და გალენავენ. მერმე გაანაავებენ. ხეავს აიღებენ და შაკატა დარჩება ძირს. ხეავს ვაცხრინვენ და დადგება ხვილა. ყარტის თორმეტ ძნას შეკრავენ ერთად, მას ჰქვია ნაბარი (ნაბარი უწინ აბაზი ღირდა). ნაბარს შეიტანენ და ხაფარში დაყრისათვის შეიძლება ზეინადაც დადგან.

შენიშვნა: სოფ. ვერხოვის მცხოვრებ იობ ანწუხელიძეს ამ წელს გაუთავონია ხვილის საბერტყე. ის ნახუვარკალისებური ბუნებრივად მოხრილი ხეა, რომელსაც გულში ფიცრები უზის. მალა აქვს ხევრლი, რომელშიაც შეყვრება სწორი, თავში ოთხკუთხად გათლილი ჭოხი. ამ ჭოხით ხე აღმაცერად დაწვენით დგება. დააუღებენ მას კალოზე, წინ, აქეთ-იქით (მარჯვნივ და მარცხნივ) დაუღებენ ორი კაცი და შებერტყავენ ზედ სვილას.

ოსხს გლეჯენ ხელით. შეკრავენ კონებად, მიიტანენ და დადგამენ ჩადლებად. მას რიჟით (რიჟანჯ — ჭოხი) ეყავენ კალოში და მერმე რიჟით ანიავებენ. ოსხიდან რჩება „ჩალა“.

ქუმელი ოსპივით მოყარაფება.

ცვარცხ გათიხვენ, მოიტანენ და დადგამენ ჩაღლად. ლუწავენ კაღოზე ბარებით. ანიავენ, ის სულ გაბზევდება.

იფქლისი, ქერისი, ქერშველისი და სხვათა ჩაღს და აგრეთვე **ყარტს** საქონელს აქმევენ, მაკატაჲს ზოგი აქმევეს, ზოგი — არა.

ყარტბ და **შაკატაჲ** დაბალი ხარისხის საქმელია.

როცა პურის საფქვევის გამზადება უნდათ, იფქლს ამოიღებენ კიდობნიდან და ხალიჩებით (ხალიჩაჲ — სადა ფარდაგია) გაფენენ მზეზე გასახმობად. გაფენილ ხულადს სრავალს ჰქვია. იფქლი როცა გახმება, კიდევ უკანასკნელად დარბინავენ (რიკით გაასუფთაებენ ხარჯისაგან), ჩაყრიან ხაყებში და წისქვილში წაიღებენ ვიერებით ან ცხენებით. ფქვავენ წმინდად, დაფქული იფქლი არის ფქვილი.

ქერს ჯერ დაატურობენ (დაახლიან) დომელში, დამტუვრალ ბიჭონს (დახლოლ მარცვალს) დარბინავენ (გასუფთაებენ) და მერე მარცვლივით წაიღებენ და დაფქევენ. დაფქული ქერი კალი არის. ქერი ძალიან წმინდად იფქება.

დანარჩენი მარცვლეულის — ქერშველისა და სვილის გამოყენების წესიც ისეთივეა, როგორც იფქლისა ან ქერისა. მაგალითად, თუ უნდათ, მათ იფქლივით გაახმობენ და დაფქევენ, თუ არადა დაატურობენ და კალად დაფქევენ.

თივას თიბავენ ცულოთ (ნამგლით) ან წოდგლით (ცულოთ). გათიბულს დგამენ ჩაღლად ან ზეინად.

ჩაღლად დგამენ კონებით ან ნაცაფებით: კონა ნაკრაულა არის. ჩაღლისათვის „ჩაზღმენ სარს“ და ოთხ მხარეს ოთხ კონას მიაყუდებენ. მერე იმავე ოთხ მხარეზე კონებს წვერით ჩამოაგებენ სარზე ამრიგად: ჯერ ერთ მხარეს, მერე მის მოპირდაპირე მესამე მხარეს, შემდეგ მეორე მხარეს და უკანასკნელ მის მოპირდაპირე მეოთხე მხარეს. უკანასკნელ კონას წულოთ ჩამოაგებენ ზევიდან. ერთ ჩაღლში არის თერამეტი ან ოცი კონა.

ნაცაფს ოთხკუთხად დაწყობილი თივაა. მას ასე აწყობენ: აიღებენ ორი კონის ტოლა თივას, ჯერ ერთ მხარეს გადაჴეცავენ პირს, მერე მეორე, მესამე და მეოთხე მხარეს. გამოვა ოთხკუთხი. ჩაღლად დაღმისას ჯერ ერთ ნაცაფს გააკეთებენ, მერე მეორეს; ორივეს გადაკეცილ პირებით ერთმანეთზე დააწყობენ და ისე ჩამოაგებენ სარზე, ერთ სარზე ჩამოკეება ცხრა ნაცაფი, პირველი ოთხი წყვილ-წყვილი და მეცხრე ცალი ზევიდან დაედება.

თივას ზეინად დგამენ კაღოსთან ან ბოსელთან. ზეინში არის ოც-ოცდაათ ჩაღლამდე.

თალამშ ერთი ფიწლით ასაღებ თივას ან ძეძესა ჰქვია.

მონდავობა. მონდავები ამხანაგები არიან. ცალი ხარის პატრონები ერთმანეთს შეუამხანაგდებიან, ხარებს ერთმანეთს შეაუღლებენ და ისე ხნავენ ჯერჯერით. თუ ერთს, ვთქვათ, ოთხი დღის მიწა აქვს, მეორეს — ექვსი დღისა, ბირველი მალე მორჩება, მეორეს კი მოსახნავი დარჩება. ამ უკანასკნელს უფლება აქვს ამის შემდეგ კიდევ სამი დღე უფასოდ ჰყავდეს ხარები და ხნას, სამი დღის შემდეგ კი, თუ კიდევ დასჭირდა, ქირა უნდა გადაიხადოს.

შენიშვნა: მონდავბ. მაზლის ცოლზე ან ქმრის ბიძაშვილის ცოლზე კალი იტყვის: ჩემი მონდავაოა.

ხელ-გაცვლა. ერთ დღეს თუ ერთი შველის, მეორე დღეს მეორე უშველის პირველს. ხელ-გაცვლა ყველა სამუშაოში არის: მკაში, თიბვაში, ხენაში, შეშის მოჭრაში და სხვა.

ჯარდღე. ერთი კაცი, როდესაც მას ჯარები არა ჰყავს, მეორეს ეხმარება. მეორეს ჰყავს ორი ხარი. ხარი და კაცი ერთნაირად ღირს. ორი დღე ხარის პატრონს უხნავს, მესამე დღე თავისათვის მოხნავს.

კარ-მოკნავძე. ქვრივი-ობოლს, უპატრონოს ან დაზარალებულ პირებს სოფელი და მახლობელი სოფელიც მიეშველება ხარ-გუთნით და უხანავენ.

ოჩხარაჯი მიშველება მკაში, მსკორაჯაჯ — სკორის გატანაში. მექვეე (პყავსო) — ქვის მოტანაში, მეტიდეა, მეფიცრეა — ხის მასალის მოტანაში.

ოჩხი. დაზარალებული კაცი ჩამოივლის სოფლებს და ვისაც რით შეუძლია, შემწვობას ამოუჩენს: ზოგი სულადს აძლევს, ზოგი — ცხეარს, ზოგი — ტანისამოსს და სხვა.

შლახვაჯეხი. როცა ვინმე ახალ სახლს ააშენებს, მივლენ იმ სოფლისა და მესობელი სოფლის ქალები და გაულესავენ მიწით.

ლხინში ან კირში სოფელი ეხმარება ერთ კაცს შეშის, წყლის მოტანაში, ლუდის მოხარშვაში, პურის გამოცხობაში და სხვა.

ლხინში ან კირში სოფელი მიიტანს თითო კახრ რძეს და შეეწევა ერთ კაცს რძის ფაფისათვის ან ზრინჯის ფლავისათვის (რადგანაც ის ამ დღეს საჭირო რძეს ვერ იშოვნინდა).

ნართაომა. ქვრივი ან უპატრონო დიაცი მიითარში შეეკედლება ვისმე თავის მონათესავეს. ისინი ერთად ცხოვრობენ, სასმელ-საჭმელი ერთად აქვთ. — აწყავენ და აწონავენ და ძუ ერთად ჰკავენ. ასე არიან ხუთი-ექვსი თვე. ეს დროებით შეერთებული დიაციები ნართავეხი არიან. ერთი იტყვის: ნართავე ხარო, სოლო თვით საქმე ნართაომა არის.

ფშაში

მთხრ. პავლე ნადირის ძე ბოძაშვილი, 75 წ. (სოფ. შარახევი, მალაროსკარის თემი, ღუშეთის რაიონი).

ჩემს ხსოვნას მამა-პაპიდანვე ჩვენში მუდამ სთესავდნენ დეკახ. დეკა სამნარი: დეკა წმინდა — თეთრფხიანი, თეთრჩუჩიანი, დეკა შავფხიანი და შავჭუჩიანი. ამათ ძველიდანვე სთესავდნენ. შემდეგში მესამე ჯურა წითელი დეკახ თესვაც შემოიღეს. ასევე გვიან შემოიღეს უფხო პურხა და აღესის თესლი. უფხო-კარგი პური იცოდა, მაგრამ ჩვენში, როგორც ველტყიან ადგილებში, ფრინველი და ნადირი აფუჭებდა (დათვი, მაჩვი და სხვა), აგრეთვე სუსტი ჩუჩა აქვს და მარცვლი გასდის მკაში, ზიდვაში. უფხოს და აღესას ცოტ-ცოტას ახლაც სთესავენ.

საპაროებში ითესებოდა აგრეთვე ერთი ჯურა ხვლა, ბაცაროვა¹. ეს სვილა ყველაზე ბოლოს ითესებოდა, ასე უგვარობდა.

სთესდნენ და ახლაც სთესავენ ფეტხა და ტრუჰკახ. ესენიც ყველაზედ გვიან ითესება. ხამთოებში ითესებოდა ნეულხი ხვლა შემოდგომობით (ამ სვილის ბარში თესვაც შეიძლებოდა, მაგრამ პურს ვერ ითავებდა, ვერ იღებდა, ოდავდა — აოდავა).

მთაში ქერი ითესებოდა სამნარი: ორკუთხა ქერი და ჩართხი. ორგვარი ორკუთხა — თეთრი და შავი. ამათში ამჯობინებდნენ და დღესაც უკეთესად ითესება ორკუთხა ქერი, რადგან მოუწყდარია, არ მოსცილება, ყოველთვის მოდის. ჩართხი კი უფრო ადვილად სცილება, დაბალი ყანა რჩება და თავთავიც უწერილდება, არ უსრულდება, კვრინწა თავთავი რჩება და, თუმცა მრ-

¹ დღემდე ყოფილა „ბაცაროვა“, ასო „ო“ ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ.

ვალი უტხეები აქვს, მარცვლიც ბევრი, მაინც ორკუთხა ქერის ხვაფხ ვერ ავღებხ. ხაბაროში სთესავდენ (ახლაც) ახლხაც.

ჩვენში შემოდგომით ხენა არ იციან. მარტო ხახვილეს მოხნავენ ეზოში, სადაც ანეულ სვილას სთესენ. ხენა ჩვენში თებერვლიდან იწყება, ქვეშო ფშავში — თებერვლის ნახევრებიდან და დასრულდება საბაროში მარტის გასულს. ზემო ფშავში კი გუთანს გავა აპრილის ერთ კვირაში. ქერის ხენა იწყება ქვეშო ფშავში აპრილის ნახევრიდან მაისის გასვლამდე. ზემო ფშავშიაც ასევე, ან ცოტა მოგვიანებით.

ნიადაგის არჩევა იციან ჩვენში ასე: დიკა სამივე სახისა გვარობს ყველანიარ ნიადაგზე, მხოლოდ ასლს უყვარს ჩრდილის მხარე, ნოტიო ნიადაგი. სვილას უნდა ფხვიერი, ქვიშნარი და მზისპირი ადგილი.

სასნავ იარაღად ფშავში ყველგან ხმარობენ აჩაჩახ, ანუ ხელკლეს (აჩაჩახს გუთანს ეძახიან). ხარებს შეამბენ გუთანში ყვერად, ან ხამულლად. ზემო ფშავში სამულლად შეშა არ იციან. ხნავენ ყვეართ ან უღელი ხარით. ქვეშო ფშავში კი ხშირად სამულელს აბამენ. გუთანი წინად ყველას საკუთრად ება, საკუთარი ხარ-გუთნით ხნავდა. ძვირად იყო ისეთი ხელმოკლე კაცი, რომ თავის ხარ-გუთანი არ ჰქონოდა. მწვაც ყველას ჰქონდა თავის საკმარი, რააც საკუთარი ძალიო მოხნავდა. ვისაც არ ჰყავდა საკმარისი ხარი ან კაცი, ხაჯიაროდ აბნეინებდა სხვას. სხვას უნდა ზოგხნა, დაეთეხა, ხოლო შკაში და ზიდვამი მიეშველებოდა, ავრეთვე — გაღეწვაში. გაღეწვის შემდეგ ჩაღახ და ლახს სწორად გაიყოფდენ, ხოლო თესლი კი, ვისიცი დათესილი იყო, იმას უნდა აეღო. ამას ეცქახით ხენახ ხანახვეროდ.

მონღაობა. ხენაში ორი ხარის და ერთი კაცის შრომა თანაბრად ითვლება და ამ ანგარიშით მონღავებს (შეთანხმებულებს) ხარის თუ კაცის რაოდენობის მიხედვით, რამდენი დღეც შეხედებოდა, მოხნავდენ ჭერჭერით, ამავე დროს თითო წყუბაზე, ვისაც რამდენი ერგებოდა ხენა, მაშინვე უხნავდენ ერთმანეთს, რომ ან ერთს ან მეორეს არ დაგვიანებოდა. მოხნულს თავის წილს თითონ დასთესავდა და მოჰკიდა.

სახინაო პირველი. ხარის მუშაობა ხენის განწავლობაში (სამი თვე) ფასობდა სამი მანეთი. ვისაც ჰირდებოდა, ხარს გამოართმევდა ამ პირობით (ერთს ან ორს), სამ მანეთს მისცემდა ხარზე და გუთნის შემბამდე გაცეზავდა კიდევცხოლო ხენის გათავების შემდეგ, პატრონს მიუყვანდა დაუშავებლად, უწენებლად. თუ წამყვანის მიზეზით ხარი დაშავებოდა, სასამართლო მიუსჯიდა ზარალის გადახდას, ავადმყოფობისა და მოულოდნელი ფათერაკის შემთხვევაში კი პატრონს ეკუთვნოდა მხოლოდ ხარის ტყავი და ლეში.

სახინაო მეორე. ერთი ხარის პატრონი შეუთანხმდებოდა ხენაზე მეტი ხარების პატრონს, წამოიყვანდა მისგან ხარს და თავის ხარებთან გაცეზავდა ზამთარში; ხარზე სამ მანათსაც მისცემდა (სახინოს). თავის ალოში თითონ უნდა ყოფილიყვნენ გუთნიხედავად.

მიწას ხნავდენ სიღრმით ერთი ციდა და სიბრტყით — ერთ მტკაველს. გუთანსაც ამის შეხაფერად დაუყენებდენ, რომ ასეთი სიღრმე-სიგანე მიეცა კვალიხათვის. თუ ამ ზომაზე მოიკლებს, გუთანი ნათეზხ, ანუ ხავრეზხ ავღებს — გადაუბრუნებელ კვალხ; თუ ღრმად მიდის და ხარბობს, მაშინაც გუთანი შესაფერ ზომაზედ უნდა დადგეს, ხმლის აწვე-დაწვევით ან სახნის-საკვეთის დაშორება-დაახლოებით, ან ქუსლის წვერი (ხაშურე) თუ დახრი-

² დედანშია — „ხოლო“ („მასალების“ ეს დარგი შემკრების ხელით არ არის გადაწერილი).

ლია, იმის გამოთლით და გასწორებით, ან გუთნის სათავეს წნელოს უღელზედ ამოკლება-ლაგრძელვით.

ფშაში სთესავენ კრუპახავჲ („გრეჩხა“). როცა ყველა სახნავეები მოთავ-
დება, კრუპას მეგრე ხნავენ ჰალებში, ლამიან დაქვიშიან ადგილებში. კრუ-
პას ფეჭავენ და ჰურად აცხობენ, ყველაზედ მდარე შავი პური იცის, მაგრამ,
რადგან გვიან დათესილიც მოდის და ხენა კი სახარბო არის, სხვა კი იმ დროს
აღარ დაითესება, ამიტომ კრუპას სთესენ. ფეტვხაც ასე გვიან და ამავე ანგა-
რიშით სთესენ. ასეთივე მდარე პური იცის ფეტვმა.

ფარცხა. ფარცხას ფშაში ფარვახაც ეძახიან (ხაფარცხი, ხაფარავი).
ფარცხის ვაკეთება ასე იციან: სამი თითის სიმსხო, თორმეტი მტკაველის სი-
გრძის ორი ლატანი ოაბ-ბოლოებში ერთმანეთს გაემბის წნელით ერთი მტკა-
ველის სიმორგზედ. ფარცხის ხეები — ლატნები — აგრეთვე შუაზედაც გაემ-
ბის წნელით. ამ ხეებზე აესხმის სიმსხოთი და სიგრძით ტოლ-სწორი შინდის,
ან თბილის ფიჩხი. გაჴი. ფიჩხებს მტკაველ-ნახვეარი სიგრძის ცერები უნდა
გადაეგრძნოს (მოვეგრძნოს). თითვეული ფიჩხი გაშის ერთ ხეს მოგრებილი
თავით უნდა მოეხვიოს და მეორე ხის შუა გატარდეს ისე, რომ ფიჩხის ბოლო-
ებს ფიჩხის ცერების მწკრივი სწორად გახედავდეს ძირისა მხარეს. ამგვარად
ასამული ფიჩხი მქიდრო მწკრივად უნდა შიკრას. გაშის სიგრძევე უნდა გაი-
თალოს კახლო. ფიკარი — სიბრტყით მტკაველი, ან ცოტა მეტი, სისქით კი —
ორ თითზედ არა ნაკლები. კახლოში უნდა გამოიჭრას ხახვლენება, ისე რომ
კახლოს მესამედს ზეღნებს შუა მოჰყუკეს. ხელნები — მცოაზე მსხვილი და
ხარის ვაშწველი წყვილი ხე — შეეყრება ფარცხის კახლოს სახელზე ნაჭერე-
ტებში და უკან პატარა ნახერეტებში ჩხირები ჩაეყრება, რომ კახლოდან არ
გამოჰვარეს. ხელნები თავში ერთად შეიკვრის, სადაც უღელზედ უნდა გამოე-
ბას. ფარცხის გამზე ზემოდან მსხვილი და გამწვდომი ხე უნდა დაეკრას წნე-
ლით, რომელსაც ევძახიან ხაფიჩხებს.

თესვა. მთესველი ჩამოიკიდებს სამ-ოთხოტრიან ხათხელე გულახ (შოლ-
ტახ), თესლით საესეს. მოუღდება ნახნავს ერთი ნაპირიდან, ბოლოდგან, ამოი-
ლებს მუწით გუდიდან თესლს და ხელის მარჯვნიდან მარცხნით მოქნევით
თესლსა ჰვანტავს სამრივად. ან ოთხად, ერთურთის ფენებად მიყოლებით.
ერთი ხახვანის ღათხევის შემდეგ მეორე ნაპირიდან მოუბრუნდება, წინ კაცო
მიუტლებს — წინ გამძლოლი — ნათესის ნაპირს უჩვენებს. ამნაირათ დათესავს
მთელ ნახნავს, შემდეგ ფარცხს გამაუბამენ ყეუარს, ან საჰულელა ხარს. მებრე
თახახალით გაუძღვება ხარებს წინ, მფარცხველი კი ფარცხზე დაუქდება და
ხარებს მიაყოლებს. ფარცხის კახლო და გაშის ცერები მიწას უსვამს, შლის,
აფხვიერებს და თესლსა ფარავს მიწით. ქეჩილის გამოზრდის შემდეგ ყანას
მარჯლიან. ზოგან და ზოგ წელიწადს ძალიან იცის ხაშარველი, განსაკუთრებით
მთაში ხაქერეტებში: ნარი, ვვირილა, პიტნა, ლოლო, კენკეშა, შუჰუა, ხაქოლი;
ბარში — დათვის ბუერა, ფათალა, ანწლი, ძაღლისფხვლა, ძირხენა და სხვა.

მკა. მკაში ხმარობენ ნაშგალხა და ხათითეებს, აგრეთვე მარცხენა ხელზე —
ხახელეურებს. სახელეურე იმისთვის სჭირდება, რომ ხელეურის ხედრების
(მოხედრების) დროს, ფხამ სახელო არ შეჰკამოს. მკა ზოგმა უსათითოდ იცის;
ამას დულით მკახ ეძახიან. სათითებით მკას მარავით მკახ ეძახიან. ცხრა-ათი
მარავი, ერთი სათითიანი ზღუჯი ხელეურია, ორი ხელეური ულოგადაკრული
არის ძნა. ორი ძნა არის ნაწყობი. ძნა გასაშრობად და გამოსასეღელად ბევრ-

ნაირად აიგება და გადაიცლება. ჭერ წვრილად აგებენ, შემდეგ თანდათან გადაამსხვილებენ. ყველაზე პატარა ნაგებ ძნას ხადურა ჰქვია; ხუთი ძნისაგან იგება. შემდეგ ამაზე მომსხო წერა — ოცდახუთი ნაწყობისაგან, ორფეხა წერა — ორმოცდაათი ნაწყობისაგან. გადახუთულებული, გადამსხვილებული ორი წერა — ხუთულაა, ასი ნაწყობი. ათი ხუთულა მსხვილად გადაგებული — მუხლის ძნა არის. წვრილად გაშრობის მიზნით აგებენ. გამშრალ ძნას გადაამსხვილებენ შემდეგში, რომ არ დაღბეს — ჭერ ხუთულად და შემდეგ მუხლის ძნად. მუხლის ძნა აიგება ორი, სამი, ოთხი და ხუთკალოიანი. კალოში ორასამდე ნაწყობი ჩადის.

კალოს გაკეთება. კალო მთაში ველზედა კეთდება. უბრალოდ მოითონება, მოიტყეპება. ბარში კი მაგარი ქვებით შემოხვეული კალოს გაკეთება იციან. კალოს ცოტა დაქანებულს აკეთებენ, რომ ხარმა სიარული ძნა თავქვე დაძრას, ჩახეტოს. კალოს მომზადებას რომ შეუდგებიან, ჭერ გასთონიან, ბალახები-საგან გასწმენდენ, წყლით მორწყავენ, საქონლის ფეხით მოსკობნიან, ტაბო-ციტ გაასწორებენ და შემდეგ წყლით გათხლებულ ნეხეს დაასხამენ, წაუსვამენ ცოცხით, რასაც ჩამოქნას ეძახიან. კალოს ჩამოქნა იმისთვის სჭირდება, რომ მიწა არ აჩეროს და პურს არ მოჰყვეს. ასე გაკეთებულ კალოში, გაშრობის შემდეგ, ძნას ჩააყრიან. ძნები უღლოში დაიჭრება დანით, ხანჭლით, ან სხვა იარაღით ას ორმოცი ან ორასი ნაწყობი. **დახაპირული ექვსი სული ხარი** შაიყრება კალოში, თუ ერთი ან ორი ცხენი დამატება, კალოსთვის უკეთესია. ხარებს და ცხენებს ავლევენ კალოს გარშემო ძნახედ, ხან ერთი მხრით და ხან მხოლოდ ერთი. ხარები ზოგჯერ საერთო უღლით გადამბული ჰყავთ, ამას **კალოს უღელს** ეძახიან. პირველად კალოს უნდა ფიწლით ნაპირების შებრუნება, განზე გაწეული ძნის შუაგულში გადაყრა, შემდეგ ისევ გაწეული კალოს გულში შეყრა, შემდეგ გვერდის ჰქცევა, ძირს გაულეწავი ძნის გადმობრუნება, ზევით მოქცევა, საჭიროების მიხედვით ორჭერ-სამჭერ შეფხვლა და შემდეგ თანდათანობით ჩაღობს გადახდა. ჩაღობს მოხდა სჭირდება, როგორც ფიწლით, ისე ჰოჭყით (ფიჩხი პტელად ტოტიანი), ხახურავებელით. სასურავებელს მოლეწილი კალოს ზედაპირზედ უსვამენ, ჩაღობს მოკრეფს, ცალი მხრისკენ წაიღობს. მსხვილი ჩალა ფიწლითა და ჰოჭყით მოიხდება, წვრილი, გაბზევებული — ხახდელით (წყვილი, მორჩილი, თავწანწვეტებული ჯობებია). ჩაღობს გადახდის შემდეგ ხარებს გადააყენებენ, საბოლოოდ გასწმენდენ ჩაღობსაგან კალოს და, თუ კიდევ თავთავი უტანავ (ურეგია), ცოტა ხანს კიდევ მოატარებენ ხარებს, კალოს მოჰკილავენ. მოკილვის შემდეგ ხარებს გადააყენებენ, ხაპირებს მოხსნიან, კალოში ზოფს ააგრობენ შუაგულში და ნიჩბის პირით მალა შესროლით დაინაეებენ. დანიეებულს განიჩხობს ხარებს, დააცხვებენ, ტახკით დაინაურავენ, წმინდად დაინაეებენ. შემდეგ აიღებენ ტომრებში თავანკარს, წმინდა პურს ცალკე. თუ სათესლეთ უნდათ, კიდევ უნდა დაიცხრილოს და ცალკე ჩაიყაროს. ხაჭერო, დასაფქავი კი კალოდან დაუცხრილავი აიღება და ჩაიყრება ცალკე გოდორში, კოდში, თუ სხვა ბუნაგში: შემდეგში დაფქვის წინ კიდევ დააკეთებენ და გახაზობენ.

ჩალაზე ღეწვა: კალო თუ სხვამ გალენა თავის ხარით და კაცით, ჩალა იმისი უნდა იყოს. ყველა ძნას ხარით ღეწავენ, მხოლოდ სვილი კი ასე არ იღეწება. სვილის გაბერტყა იციან. კალოს შუაზედ აყუდებენ ერთ მთლიანს გამწვდო, ან ორი-სამი ერთურთზე გადამბული ფიცრების კედელს, ბოძებით დაამაგრებენ კალოს გარდი-გაღმე, შემდეგ აიღებენ თითო სვილის ძნას და თავთავით ფიცარზე სცემენ, რაეებს ურტყავენ. ძნას ულოში ხსნიან, აბრუნებენ

და კვლავ ბერტყავენ. გაბერტყილ ძნას, უარტს, ისევ შეკრულს ინახავენ. შემდეგში ამას ხაზძღოს ან სხვა რაიმე ფარდულის შესაკრავად ხმარობენ.

სეილს ხმარობენ გაურეველადაც, უფრო კი ქერში ურევენ. ქერ-ხვილის პური კარგადა ცხვება და გემრიელიც არის. პურის ასაწყავად ძველად ნახამალი იხმარებოდა — მოხვეწილი ხის ბაკანი. ექესი თავშემბული ნასამალი კოდად ითვლებოდა. შემდეგში შემოიღეს ლიტრა. ათი ლიტრა კოდად ითვლება, ლიტრა კი თორმეტი გირვანქა უნდა იყოს.

მთხრ. ტატო ხთისოს ძე ხელაშვილი, 41 წ. (სოფ. მადარო, მადაროსკარის თემი, დუშეთის რაიონი).

თბა. თბა უწინ ქართული ცელით ვიციოდით, როგორითაც ქართლში სთიბენ და კახეთში. ცელის ტარს გავსთლიდით ცაცხვის ხისაგან, კაცის ქარბი სიგრძისას, რასაც ხელები მარჯვედ მოევლება. ცელის ტარს ხაყუნწურთან ორი მტკაველის ზემოდ განწყილს ვაკეთებდით ცელის მხრისაკენ, რომ ცელის გაშლა და ჩამოყრა ადვილი ყოფილიყო. გაშლით დაყენებული ცელი ხათიხა თელავს, ჩამოყრით თუ დაყენებთ და ნაღობს დააგდებს (მოუქრელ ბალახის ზოლს). ცელს ადგილობრივ მკედლებს ვაკეთებდით. ცელის ტარს ხელები მოსავლებ მხარეს უფრო წვრილს დავიჭერდით, ცელის შესამბელი თავისაკენ კი უფრო სქელსა. ამ სქელ ბოლოში ცელის საყუნწურს გამოუწყავდით, რომელშიაც ცელის ყუნწს ჩაუყრიდით, ე. ი. ცელს დავაგვბდით. ცელის ტარს, საყუნწურთან ჩამოუაცვამთ ჩონჩხს, ეაცის რქის გადახერხილ და გამოსუფთავებულ ოთხი გოჭის სიგრძე სალტეს, რომ ცელის ყუნწი დაიმაროს ტარში. ქართულ ცელს ორსვე მხარეზე შარავი ქონდა და ორი მხრით ხთიხდა. ნაფთევს ორი მხრით აწყობდა. ამგვარად ორი მხრით დაცერებით ნაწყობ ნაფთევებს, ერთ გზობას გატანილს, ნამხრევს ვეძახით, (ცხლაც ისევ ასე ვეძახით). დღეში ორს. ან სამ ნამხრევს გაეიტანდით, გაეთიბდით. მთელი დღის ნათიხს ისევ ისე ნამხრევი, ანუ ნამხრეწი) ეწოდება. ცელს ჭერ ჩალზე ვჩალხავდით, გავლესავდით, პირს ელოუყვანდით, შემდეგ კი თიხის დროს, როცა ქვები ხედებოდა და ისევ პირი ელოლდა, ქასურით გლესავდით და სალესავით პირს მოუწყობდით, ვაფხავებდით. თიხის დროს ცელის მოსმას და ბალახის კელფის კელფზე მიწვენით გამოწვეულ განუწყვეტელ გამოწვევას⁴, შრიალს, თან აყოლით სიმღერასაც ვიტყოდით გრძელსა და ხმაგაგრძელებულს, მთიბლურს — „თივა მთიბლების ნათიხი ირმების ნაგელარია“. მთიბელი ამ სიმღერას ცელმომარჯვებულ მხრებს აყოლებდა და დაღალვას არ იმჩნევდა. კარგი სათიხი ფშავში მხოლოდ მაღლა მთის მწვერვალებთან ახლოა. მთიბლებსაც თიხა იქ უხარია. ბალახი ხშირი იცის, წმინდა და თვალის საამური. კარგმა მთიბელმა ასეთ სათიხში ათი-თორმეტი თივისა (თივა — ექესი-შვიდი ფუთი) უნდა გათიხოს. საბაროში კი ასეთ ბალახს ვერავენ ნახავს. სათიხი საერთოდ ცოტა არის და ისიც მარტო უამირები, უანის-პირები და ნაჩატები, ნაჭაგები.

ხვეტა. ხახვეტი ნათიხის გამოსვლა, გაშრობა ამინდზე ჰკილია და იმაზედ, ბალახი დაპურებული გათიხა თუ ჰყინტლა. დამქარება, რომ ცულ ამინდებს მალე შევასწროთ და მწვანე თივა ავიღოთ, ავხვეტოთ, ამისათვის ორ-სამ დღის ნათიხს გვერდს უქცევთ და იმვე დღეს ავხვეტთ. ზოგჯერ კი, კარგი ამინდის წყალობით, ნათიხი გვერდუქცევლადაც აიხვეტება და არც დიდხანს შრობა

⁴ ასეა.

⁵ დღედნია „ნათიხ“.

უნდა. ხვეტის დროს მიყვებით ნამხრევს საფოცხვლებით. აქეთ-იქიდან მიყურით შუადულისაკენ, შერე ნამხრევს თავიდან მოუვლით და საფოცხვლები-სავე ძალით გროვებოდ დაეაქურებთ, მიყურით, როგორც ჩვენ ვეძახით — ხაწირებოდ, აფხაწირებოდ (ხაწირა). ზოგჯერ ხვეტას ვაშურებთ, რომ არ გავეფიციბდეს და საგებს უკან ვადგებთ; როცა სახვეტს მოგრჩებით, ან გაფიციბდება და ხვეტას თავს დავანებებთ, შეუდგებით თივის აგებას: ჭერ საფოცხველს დავასკობთ მიწაში იქით მხარეს, სადაც თივას პირი უნდა შეუბრუნოთ, ანუ სათარს შეუგდოთ. მთაში თივა მუდამ გვერდალში აიგება. დასკობილ საფოცხვლის ტართან თავს დაუდებს თივის სათარს, რომელზედაც თივას ლოკინს დაუდებთ, ე. ი. ძირს გაუშვარებთ. თივას კარგად ვავჩქით, გავსწენთ ხელით და გავასწორებთ, ფეხით დავსტენთ. ესე ავიღებთ ხაწირიდან თითო შოშ (ერთი ხელის შემოხვევა) თევას, დავყრით ახლად დავებულ თევას ძირზე, ეკონიზე, გავჩქით, გავასწორებთ და დავსტენით. ამავე დროს ვცდილობთ თივა უასკობილ საფოცხვლის ტარს ისე ამოვყოლოთ, რომ თივა წინასიაც არ დააყლდეს, ზურგი მაგარი ექნას, წყალი არ ჩაიწყოს. ასე ყველგანაც სწორად უნდა ჩავაყაროთ და გაუსწოროთ, რომ არც გულში და არც გვერდებში თივა არსად დააყლდეს. უფრო კი გულში უნდა თივას სიმამრე. თუ გულში მაგრად არის თივა, გვერდებისაკენ არის თივა დახრილი და წყალს შიგნით არ გაუშვებს. ასე თვითუფროსი მოში თივის ფენად დაყრა და ჩეჩა-გასწორების გზით, თივა თანდათან აიგება იმ სიმამრეზე, სადაც თავისთავად უნდა მოიწვეროს, რადგან განზე დაყრით თივას აღარ დაიმამრებს. იმ დროს ამოვადრობთ წინ დასკობილ საფოცხველს, შევდგებით აგებულ და ჭერ მოხაწვერავ თევასზე, საფოცხველით გავჭეკავთ, გავბერტყავთ გარეშემოდ და ზევიდან ქვევით მაგრა ჩამოვხვეტავთ ძირისაკენ. ჩამონახვეტ, ჩამონაწმენდ თივას მოვწმენდთ თივის გარეშემოდ და ისევე ზედ შევყურით. აგრეთვე ამ გაწმენდილ თივას გამოვგვერდავთ ძირს, ძირს გარეშემოდ თივას გამოვვლეჯთ, ვიდრე ხელს მოჰყვება, სადამდისაც თივა თავისუფლად იწვდება თივიდან, რომ თივა თრევის დროს ტყუილად გზაზე არ გამოველიჯოს. ამ თივის ნაგვერდხაც ისევე ზედ შევყურით გაბერტყილ თივას. თივას ჭერ დაბლა ვწეწავთ, პატარა კელფხვად ვტყვანით და ისე ვადებთ თავზე, ბოლოს ისევე შევდგებით თივას წვერზე და ზემოთა გამოუბერტყელს, ახლად დამატებულ ნაწილს დაუხეწეთ. ამას კიდევ წმინდა ბალახისაგან (უფოთლო, ქუჩიანი) ქუჩილას დავადებთ წვერზე. შემდეგ თივას ალერდს გადავკრავთ. ამნაირად მწვანე და წმინდა, საგანგებოდ ხელით დავლეჩილი ბალახისაგან დავგრეხილი გვაქვს ალერდები (თივის ბაწრები). თივას შუაგვერდში ძირისაკენ შეუყოფთ ორივე ხელს ერთიმეორის ზევით-ქვევით და ისე სიღრმეში თითებით ვავხვრეტთ, ხელების შუა მომწყვედულ თივის ფენას ამ ნახვრეტში გამოუყრით და გამოვამბთ ალერდის ერთ ნაპირს და ჩავაკრავთ მაგრა. მეორე ნაპირს წავიღებთ, თივის წვერზე გადავტარებთ და მეორე გვერდში ახლავაკეთებულ ნახვრეტში გამოუყრით და დროებით ნასკვს გაუკეთებთ, შემდეგ ისევე თივის წვერზე შევდგებით ფეხით, ალერდს გაუსაშუალებთ, მაგრა მოვკვიმავთ და გადავაკრავთ თივას, საბოლოოდ დროებით ნასკვსაც ვკვიდრი, ახალი ნასკვით გამოუცვლით. ამნაირად აგებული თივა კვერცხის მოყვანილობისა არის და კვერცხით თანაბარი, სწორი და მკვრივი გარსი უნდა ქონდეს. კარგმა ამაგებმა მოხვეტილი თივის მზა ხაწირებიდან დღეში ათი თორმეტი თივა უნდა აგოს და გაბერტყოს, კიდევ დაალერდოს. თითო თივა აღვი-

ლობრივ ათი შაური, ორი აბაზი ღირდა ძველად, შინ მოტანილი კი მანათი. თითო ოჯახს წელიწადში სამოცი თივა მიიღებენ უნდა აეგო, მდიდარი ოჯახები კი ასობით და ორასობით აგებდა.

შემოდგომაზე თივის სათარს ჭროთი კაცს გამოაბამდენ თავზე და კულზე კი თივის უკან, საბელს მოაბამდენ ისევე ჭროს საშუალებით. ამ საბელს გამოსდებულენ კაცსა, მოსწევდენ თივის საშუალებზე და მაგრა შაკონადენ. ძირს სათარი ამოუღებდა, შეკრავს ზევით შვინდის კავი და მუშის საბელი და ასე შეკონილ თივას შეადებენ ყალზე, მოუბამენ უღელ ხარს, ერთ კაცს ხარები მიყავს თავსაბლით, მეორეს თივას ხაყუდზე უჭირავს, რომ არ გადაბრუნდეს თივა, რადგან ძლიერ ფერდობებზე მოაქვთ და აგროვებენ საფულეებელში, საიდანაც უფრო ადვილი იქნება თოვლიდან ამოთხრა თივებისა და სოფლისაკენ, ჰალისაკენ დათრა თოვლებზე. საფულეებელში თივებს მოაგროვებენ და სწორ მწყარაებზედ ერთმანეთის უკან დასდამენ. ზამთარში მოვლენ, ამოთხრიან, ისევე კაცსაბლით დაკონადენ და ან თითო-თითო, ან წყვილ-წყვილ და სამ-სამი ერთთურთის უკან გადაბმული მიაქვთ, მიათრევენ გაყინულ თოვლებზე. თითო კაცს ორი-სამი თივა მოაქვს გადაბმული. დაქანებულ მთის ფერდობებზე წინ გაძლოდა არ შეუძლიან, წინა თივას წვერზე ხელს მოავლებს და გვერდში მიაჯდება, თან ფეხით მიმართულებას აძლევს თოვლებზე გაქანებულ თივას და, რაზედაც შეუძლიან, თავს უჭერს, იმაგრებს ფეხების დახირებით თავბრუტრუტად სიჩქარეს. ასე გაქანებული თივები ზოგჯერ საყენზე მერტი სინალე კლდის ნაპარაკზე უნდა გადააფრინოს ისეთი მოზომითა და ვარაუდით, რომ თივები დაცემის დროს არ აირიოს, ერთმანეთში არ აეხვიოს, არ ამოტრიალდეს და არ დაიშალოს და თვითონ მეთივაც ქვეშ არ მოიტანოს, თოვლში არ ჩაფლას. თივის თხრაში ხშირად ილუპებიან კიდევ ან ასეთი გაფრენის ადგილას, ან ზოვები უსწრებს და დაიტანს, ან თივებს რო თავს ვეღარ დაუჭერენ. გაიტაცებს თივები კაცს და შეახლის სადმე ხეებს ან კლდეს. ამგვარი თრეკით თივები ძირს ხეობებში ჩამოაქვთ, იქ შეადებენ მარხილზე ორ-ოლ თივას და ხარებით მიიტანენ კარზედ. აქედან თივა ცალი ხარით — მარტულ-ლითაც მიაქვთ.

საბაროებში თივას კირჩხებზე აგებენ. კირჩხა ფიწლის ასაწვდომი სიმაღლის, კაბიანი, ძირ და წვერწამწვეტებული ხეებია. ამ კირჩხებებს მიწაში დაასკობენ, დაუცვენ და ზედ მოხვეტილ თივას აგებენ ჩიჩქად, ე. ი. დაკიდებით, დაუტენავად, რომ ნიავემა გაუაროს. ალაგ-ალაგ ტრეტებზედ მოდებული თივა დაბლისაკე დაკიდებულს მიმართულებას აძლევს თივის კელფებს, რომ წყალი შიგით არ გაუარდეს. კირჩხაზე აგებული, თუგინდაც გამოუხველელი თივა, არა ფუტდება; ნელ-ნელა შრება და კარგად ინახება შემოდგომაზედ აღებამდე, როცა სათივში მიზიდავენ მარხილითა და ხარებზედ აგებენ.

ხეხსურეთი

მთხრ. ახალა მინდის ძე ქიხტაური, 77 წ. (სოფ. ღული, ბაკალიგის თემი, პირაქეთი ხევსურეთი).

ქეხსურეთ ხაჯნაოდ გადიან აპრილის ორ კვირიადგეს. წინ-წინ უნდა გავიდნან ჭვარის-ყანაზე, უღავნ მთელის სოფლის კარ-კაცნ უკლებლად. შაბათს დღეს ყველა გააზადებს ხაჯნაილს, უღელს, კარებს, სუყელას დღეთ წმენდენ-დ' ამ დღესაც კარგად აქმევენა' კარგადაც გასწმენდენ. ორშაბათს გავლენ ჭვარის-ყანაზე, გაამბენ კარებს. მანამდე ნება არ აქვ ცალ-ცალკე გასვლისა

საქნავად. სამშაბათს, ვისაც უნდ, გავლენ თავ-თავის საქნავზე. შამბენ უღელ კარსად¹ დაიწყებენ კენას, საქნავად როსაც გავლენ საქნავზე, წაიტანენ ფარცხს, თებლხად¹ ქარჩხ ყანის პირებისა¹ ლორლის პირების სათხრელად, ქადას ხაი-წიანს უღელზე გასაჰრელს. სამხრობამდინ კენენ. სამხრობამდე დასთესვენ თებლხს. კარებს მაუშბენ ფარცხს; ერთ კაცნ ფარცხზე დაუჭდების, მეორე კართ დასწაფაეს (ხარებს წინ გაუძღვება), დახფარვენ. თესლნ უნდა იყოს ცხრილით გარჩეული. თესლს ერთის წლისას სთესავენ; არ ვარჯ ძველ თესლმ, ჯევილ არ გამადის. თუ კარები შინით არ ხყავ, მაშინ სხვას დაამონდღეებნად¹ ყანას რიგ-რიგობით მახვენენ. ვისაც კარბ სრუ არ ხყავ, ის მაქნავთ შახყრის: გამასწურავს არასყად¹ სთხოვს ყველას თავის სოფელელებსად¹ თემში მაკეთეს ერთ დღეს შევლას; ხალხიც, როგორც უფროს, ყველა მიეშველების. კვესურეთში ითესე-ბის სთველთა¹ ზაფხულის ხვილმ (ქვევი), გაზაფხულზე — ქერბ, ჯიშქენი (შერი), კრუშა (კრუშა). ხათხლედ ინახვენ გარჩეულ კარგს ქერს, სვილსად¹ ჯიშქენს. კრუშას შუას ზაფხულში კენენ: მალედ ითავებს, საჭირო არ ის გა-ზაფხულზე მაკენა¹.

მთხრ. დია ჯურჯახ ძე, 72 წ. (სოფ. კიძლა, არხოტის თემი, პირიქითი ხე-სურეთი).

თიბვა. ხეესურეთ თივას ვითბთ ცელით-დ¹ ნამგლით. ცელით ნათიბს ნა-ცელით თივა ხქვიანა¹ ნამგლით ნათიბს — ნაქენცლავენ. ცელით მთაში სოფლის შორად უქო (უქეო) ადგილებს ვითბთ, ნამგლით კი ბარში ყანის პირებს, ქვა-ლორიდან ალაგებს თიბს ქალ-დედროვან. წინავ, ჩემს დროს, ქართული ცელი-ბით ვითბდით. ცელებს მქედლებბ აკეთებდეს ფოლადის რკინისავან. ქართულ ცელს სიგძე ხქონდ თობ-ხუთ მტკაელამდე, სიგანე — კაცის კელის სიმტყე (ხელის მტევნის სიპრტყე), მახრილიც ცოტაად იყვ. ცელს ხქონდ უუნწი. ცელის ტარბ იყვ გახრილი, ან არყის ხისა, ან დგნალბ, ან ცირცელბ. იმას ხქონდ თავში ჩამადგმულბ კარის რქის გადანაჰრეებ, რასაც ხარჩილმ ექვიენ. იმ ყუნწით ცელბ იყვ ჩარჩილბ ცელის ტარშიად¹ სარჩილი ქვე იმაგრებდ იმას.

ცელს ლესევედეს ჯახურით (ხოხი ქვა). ქასურს ალაფებდეს (ასველებდენ) წყალშია¹ უსვემდეს მავრა ცელს. წყლის ჩასახმელად ხქონდა ამოთხრილბ ორი მტკაელის სიგძე ხის გეჯაბ, იმას ექვიენ ხაღეხეღლბ. ქასურით გალესულს ცელს მემრ გალესევედეს სალესით. სალესრ-ას მბილ ქვან. ის ფხას კარგად უწყობს, ქასურისგან არეულს ფხას.

ქართული ცელით თიბებოდ ორსავ გვერდზე — მარცხნივაცა, მარჯვნი-ვაც. ცელბ ისრ გალესულ უნდა ყოფილიყვ, როგორც სამართებელბ.

თივას აკრეფა. თივას გაშრობიდგეს ახერეფდეს; ააგებენ თითო ბარგის თივას; ზოგს ძირში დაუდებენ არგნის სისქე გალხ, ზოკან უხალოდ აგებენ (ხალი ხქვიან, ან ხათარო ძირში დადებულ ჯოხს). უხალოდ აგებულს თივას ზიდვენ ორხლით. ორხალი¹-ას ორი ჯოხნ წვერებით ერთუცზე გახვეულ-გა-დამბული. ორხალბ მახრილბ გადამბულშითა¹ ძირებზე ერთ გამლილ კელის სიგანეზე საბლით ას გამბულბ.

თივას ასწევენ დასხეპიდგე (გამავრების შემდეგ), შაუყრიან ორხალთ ძირში, გადაახვევენ ზედ მამბულთ საბელთ, გამახლებენ ორხლის წვერებში გადამბულშიად¹ გადასჰყივენ თივას, საბლის პირს საბელზედ გადაჰყიულზე

¹ ორხალი ან სათარი — მთიდან ჩამოსათრელი ჯოხი.

დამავრებენ, თივა შაიკონების; აიკიდებენ ზურგზედა' გაიტანენ ნახათარში², წინას თივას რო დაზღებენ, შაუღლებენ ძირში არგანსა' იმით გაამავრებენ. მემრ სხვას ზედ მაამბენ სამჩხირათა-ლ³ გადაამბენ ისრ ათამდე თივასა' ჩამასთხრან კალაში. კალაში მიუღდების მარჯილ⁴, მარჯილზე აწყობენ სამს ან ოთხს თივას-ლ⁵ მიათრევენ კარებით შინ.

თივას ააგებენ ზვინად ან ბანზედა' ან სახლის-გვერდ.

მთხრ. დეა ოეთრაული, 55 წ. (სოფ. კიმალა, პირიქითი ხეესურეთი).

მომკის და ძნის მოტანის წესი. ქერს კელით მკიან, უნამგლოდ, სვილს კი ნამგლით მკიან. ძნას ქერისას დიდიდს კონვენა' სვილისას — ცოცოტას. ქერის ძნას თელიან შვიდ სამეულს (7X3); იმას ხქვიან წერილა. სამს წერილას წერბ-ხქვიან. სვილს ნამგლით მკიანა-ლ⁶ აგებენ ოცდაათ კელს ერთად. კელბ-ხქვიან სამს ძნას. ძნა იკონების ერთის კელეულისაჲ, სრუ ოთხმოცდაათ⁷ ძნა; იმასაც ერთ წერბ-ხქვიან.

მემრ ძნას დააყენებენ ნასათრის პირებზე (ძნა თუ მთაში ას). იქ ააგებენ ხერკვად⁸. ბოლოს მიიტანენ ხათრულას, დააწყობენ სათრულაზედ ორთვა-ლად — ერთს წინ დააწყობენა' შახკონვენსაბლით, მეორეს კიდეც — უკენ. ჩასთრინ კალაში, მიუყენებენ მარჯილსა-ლ⁹ წაიღებენ შინ. იქ ააგებენ ხაჩადლ-ში¹⁰ ხერკეებს, ან მარჯილის უბეებს¹¹.

გუდამაშარი

მთხრ. გიორგი ბეჭაური, 48 წ. (სოფ. გამსი).

მომკილი პური შეიკვრება ძნებად, შემდეგ ძნებისაგან მინდორში დასდგამენ წერაჲს (ათი ძნა). ძნებს რომ სახლში წამოიღებენ, დასდგამენ ხუთულას (ასი ძნა).

ფეხებზე დაუღებულ ხუთ ძნას კადულა ეწოდება.

სთესავენ დეკას (წმინდა ხორბალია საგაზაფხულო), ქერ-დეკას (ქერგადარეული დეკა), ქერ-ხვილს (ქერში გარეული ხვილი) და ქერს.

ქართლი მტკვრის ჩრდილოეთით

მთხრ. შიო ტატუნაწვილი, 90 წ. (სოფ. ყანჩაეთი).

რიგრიგა — ექვსი, შვიდი, ცხრა ბიჭი შეიყრებოდნენ და დღეს შენტან იყვნენ, ხვალ იმასთან, ერთმანეთთან დადიოდნენ და ეხმარებოდნენ. დახმარება შეიძლებოდა მკაშაიც, ბარვაშაიც, ძნის მოტანაშაიც. დახმარებისათვის „პირის პატივი“ იყო საჭირო.

ალო — ხენაში დახმარება.

მამითადი — დახმარება მკაში, ვენახის ბარვაში და სხვა [რამეში].

² ნასათარი — რაზედაც ჩამოათრევენ მთიდან თივას.

³ სამჩხირა — თივების გადასამბელი ჩხირი.

⁴ სურკვი — დიდი ძნა.

⁵ ხაჩადლი — ერთად აგებული ბევრი ძნის ძირი.

⁶ მარჯილის უბე — გრძლად აგებული ძნა.

მთბრ. დათა პაპიაშვილი, 110 წ. (სოფ. ბაზალეთი).

მამათადი (ასე უწოდებს მთბრობელი). ხალხი უნდა წავიდეს და უშველიან, განა ერთი და ორი კაცი უნდა წავიდეს, — მთელი სოფელი უნდა წავიდეს ზოგჯერ. საკმელი და სასმელი დამძახებლისა იყო და ისინი იმუშაებდნენ. მამათადის დაძახება ყველას შეეძლო, ჩამოუვლიდნენ და შეატყობინებდნენ.

რიგრიგა — რამდენიმე კაცის ერთმანეთისადმი რიგრიგობით დახმარება. თუ დღეს პირველი, მეორეს ეხმარებოდა, ხვალ მეორე ეხმარებოდა პირველს და ა. შ. რიგრიგა მთბრობელის სიტყვით, იცოდნენ თევზამიც. მთბრობელს არ გაუგონია მოდგამობა, ნადი, რიგისპური.

ზეზო ტართლი

მთბრ. ხოლო დავითის ძე ტიტვინძე, 84 წ. (სოფ. არაღეთი, 1935 წ. დეკემბერი).

აღქატი მიწა — მსუბუქი მიწაა, არ არის ღონიერი მამული, ფერად თეთრია, სიმინდსა ვეთსავთ. თუ შეხვდა ავდრიანი წელიწადი, მოვა სიმინდი, და თუ არ შეხვდა, მაშინ არც ტაროს ვაიკეთებს, ჩალოთ მოვა.

მძიმე მამული — შავი მიწაა და ნოყიერი.

რეყიანი მამული — ქვიანი, თეთრი და უღონოა, ვაესავთ, მაგრამ თუ შეხვდა აზინდი, მოვა, და თუ არადა არა.

წითელი მიწა — მართალი წითელია, წითელი ალი დაუცემს, მსუბუქია ისიცა, მოხავალში ნაკლებია.

თეთრი მიწა — მართალი თეთრია სუყველაფერში, [ამით] ლესავენ კედლებს, კირნახულისათვის კი არ ვარგა. თორ მიწას ვიტყვით.

ერთ წელიწადს რომ დარჩება დაუნხავი მიწა, იმას ვეძახით ნარჩხატს. მეორე წელიწადს რომ დარჩება, იმას ვეტყვით რცხალს, ვიტყვი — დარცხალბულა და ამას რა ჯობიანო. დიდხანს რომ დარჩება მიწა, იმაზე ვიტყვით, გაკორდ[და], კორდი ვახდა მიწაო. სულ მუდამ ნახნავ მიწას ნარბილი მიწას ვეძახით.

დოლი პური სამგვარია: ერთი თეთრია, სოკო იცის ავდრიან წელიწადში, ღრუბლიანი დღე რომ დაუდგება, როცა რომ მარცვალს ეშხადება. ზოგი თავსუხ ეძახით, იმერლები. დოლი პური არის აგრეთვე მეორეგვარის — წითელი პური; კარგი მოსავალი იცის, მაგრამ როცა ეშხადება მარცვალისათვის, მაშინ თუ ავდრიანი დაუდგა [დღეები] და მზე — ცხოველი, მაშინ სუსტად კრაქავს, ოდავს, მაშინ ველარ მოდის მარცვალი, ასუსტებს და წვრილდება; მოსავალიც ნაკლები გამოდის მაშინ. მესამე [გვარის] პურსა ჭვავი ურევი, თუ ძლიერ არ მოერიო კვავი, მაშინ კარგია, მაგრამ თუ მოერიო, მაშინ გამოვცდლავთ! და ვაფლოვებთ. როცა კვავი დაძალავს, მაშინ გავაკეთებთ ტრიალში (გარავოტეზახაც ეძახიან) და გავხდით ისევ დოლს. ჩვენ ვეთსავდით ეკენისთვის ნახევრიდან ღვინობისთვის გასვლამდე. მაგრამ თუ ავდარს დაავვიანდებოდა და გიორგობისთევი დაეთსავდით, იმისთანა არ მოდიოდა. ერთი მარცვალი თავანკარო ამოვა, მაგრამ თუ თავის დროზე დაითესა, მაშინ ბარტყც კარგი მოდიოდა და თავანკარიც. შემოდგომას რომ დაეთსავდით თავის

1 დედანშია: გამოვცდით.

2 დედანშია: თავანკარი.

ღროზე, მაშინ ერთ მარცვალზე რამოდენიმე ბარტყებს იკეთებდა და ვიტყო-
ლით, რომ — „ჩეჩილი გადაჯდა და ეხლა იმედია, რომ კარგი მოსავალი მოვა“.
ჩეჩილი გადაჯდა (ასე ამბობდნენ) და ყანაა ეხლა კარგიაო.

მშრალობას თუ დაითესებოდა მარცვალი, მაშინ თავგი ჩდებოდა და ანა-
დგურებდა ყანას. მაგრამ იმ მშრალზე ჭინჭველაც ძლიერ მუშაობს, აგროვებს
მარცვალს ბუჩქივით თავისთვის, ჩიტანს და ბურთივით მიაჭვს.

სარწყავის მხარეს — ლიახვის მხარეს, თესავენ ახლსა, პურისნაირია,
პურის მარცვალსა ჰგავს, წინად ხალხი იტყოდა ხოლმე — „კოროტი ცკამე
ასლისაო, დრო არის ჩვენი წასვლისაო“. წვრილფეხითვინა ხმარობენ.

ხელო როგორც პურს, ისე ვთესავთ. რომ გაიზრდება ლამაზად, მერე გაი-
კეთებს თა[ვ]თავსა და მერე მოთიბამენ, მერე კალონე გაღვლეწამდით, გვანა-
ვბდით, დადგებოდა ქალი ლამაზად; მერე შევხვეტავდით არნადითა, გეა-
ნაივებდით ფიწლებით გაღვწილსა, მერე დადგებოდა ხვავი ლამაზად, გაღვწვის
შემდეგ ნიხბით გამოვნიხბავდით, მერე ამბრებში ჩაყვრიდით და ჩავიტანდით
გორში და სანახევროდ ვყიდდით³.

ფეტვის მოყვანა — მიწას მოვხნავდით გაზაფხულზე — მარტში, აპრილ-
ში, მერე დღესეუ დაფარცხავდით ძლიერათ და მაშინვე დაეთესავდით. იმას
აჯავბა არ უნდოდა. მერეაჩერ კიდევ დაფარცხავდით, როდესაც დაეთესავ-
დით. პირველად იმიტომ ვფარცხავდით, რომ ფარცხე გაასწორებდა მიწას,
რომ ფეტვი უსწორ-მასწორად არ ამოსულიყო, თორემ ფეტვი რომ ღრმად
ხავა მიწაში, გვიან ამოვა და არ ივარგებდა, წვრილია, ძირს წავა და გვიან
ამოვა და აღარ დაძვინფდება. ფეტვს ნამგლით მოჭეა უნდა და გაღვწვა — რ-
გორც პურს. მძიმე კი ყველა ჭირნახულზე მეთია. ვხმარობდით არაყზე და
წვრილფეხზე.

უგრებელის მოვლა. ვთესავთ მარტში. მიწას მოვხნავთ თუ არა, დაეთე-
სავთ უგრებელს და მერე დაფარცხავთ. მალე შემოვა, როგორც ქერი, ისე
შემოდის. ვხმარობთ ბლომად საქონლისათვის. ერთი ფუთი ჯანს აძლევს, რ-
გორც ორი ფუთი სიმინდი ისე. კერით ვღვწავთ. ღორმა თუ ჭამა, მაშინვე
გაბერავს და მოკლავს, არც წვრილფეხს ეკმება.

მთხრ. ხტუნანე პავლეს ძე ჯოჯიშვილი, 96 წ. (სოფ. ღირბი, 1935 წ.
დეკემბერი).

ულამი — შეწევა იყო ნამგლითა; ერთ დღეს თიბ[ვ]ახუ უნდა შეეწეო-
დით თითო კომლი — რომ გაზაფხულდებოდა, ერთი ურეში შეშა უნდა დაგვე-
ლო და მოგვეტანა. ტყის ხარათს ის მოგვეტმდა. ბატონის მიწას რომ მოვხნავ-
დით, სამი წილი ჩვენი იყო და მეოთხედი მისი იყო, ოთხ ბულულში სამი ჩვენი
იყო და მეოთხე მისი იყო.

„ოროველი ბევრი მითქვამს,
სახე მიკრავს ხარისთვინა,
კი არა დამიშავებია,
მიოცნია ქალისთვინა“.

ასე დავმღეროდით.

ფეტვი. ძველ თხლს ვეძახდით, ქერია, ოთხკუთხედი მარცვალი [აქვს],
ლიახვის მხარეს ეტყვიან [იფქვს]. ეს უნდა დაითესოს ღვინობისთვის, თ-
რემ გაზაფხულზე ვერ მოვა, ხორბალსავეთ თვისება აქვს.

³ დღემოა — ვხდით.

მელიდან რომ წახმება ნიადაგი, იმას წაქერანგებს ვეტყვი, ზედაპირის განმობას.

ბატონყმობა რომ გადავარდა, ასე [ვ]მღეროდით:

„ბატონყმობა გადავარდა,
გლუხოკინო გაიხარეთ,
თავადო და აზნაურო
თევში ქვა ისაღუო,
ჩან გულო, ჩან გულო.“

მეხრე იტყოდა სიმღერას:

„ორშაფათობით აშენდა ცხე-ქალაქი ქვაზედა,
აღამიანის დარჩენა არავინ იღო თავზედა.
მოვიდა ხარი რქიანი, — მე დამაწერე რქაზედა;
ორი სანთელი დაანთეს, შიაკრეს ორთავე რქაზედა,
წადი ხარო, იმუშავე ცასა და ქვეყანაზედა,
ხუთი დღე გუთანში ვმბი, შექქესე მიღი კარზედა,
ვინც კურა-უქში შეგაბას, რისხვა შიადგეს კარზედა.“

გუთნისდღეა იტყოდა:

„გუთნისდღეა მეხრე შემშული
დადიან უბან-უბანა,
მოდი შევაბათ გუთანი,
საყვარელია მუღამი.“

მეხრე იტყოდა:

ჩაქშბარა, გრძელი გუთანი
ველსა და ველსა ედგებო.

ერთი დღის მიწა იყო სუქანი, გაპატივებული. ყანა დათესა კაცმა, მოვიდა ის ყანა, გაძლიერდა. შევიდა ერთი ხარი, მოძოვა ის ყანასულ; დაწვა ის ხარი იმავე მიწაში და არ დეცტი[ა] (ერთი დღის მიწაში). შემდეგ დაინახა ერთმა ბორამ (სვიას ვეტყოდით), დაიტაცა ეს ხარი, დაიტაცა და წაიღო. მეცხვარესა ყავს ეს ცხვარი ერთ მშვენიერ ველზე დაყრილი, მივიდა ეს ბორა⁴, ხარი ერკემლის ტანზე დადო, თითო თავზე დაჭდა, ჭამდა, წიწყნიდა, გამოიბურთა და თან იცოხნება. შემდეგ აიშალა ეს ცხვარი და ამ ფრთებმა რომ დაიფრთიალა (ბორას ფრთებმა), ამ ქარმა ბეჭი აიტაცა ხარის და მეცხვარეს თვალში ჩაუ- [ვ]არდა. დაღამდა. მოვიდა სახლში მეცხვარე და ცოლს ეუბნევა, — თვალში რალაცა [მ]ტვერი ჩამივარდა და მიგორავსო. ქალმა ჩაყო თვალში ხელი, ამოი- ლო ხარის ბეჭი და გადაადგო, მერე ამოვარდა ქარშითი (ღრუბელი და წვიმა წამოვიდა) წამოვიდა ავდარი და ღვარანაშმა. ავდარმა ჩაიტანა ერთ ხევში ეს ბეჭი, მიღამა ეს ხევი და გადასწორდა. მოვიდნ ახლა მეკომურები და დადგენ ზედა: ადგა მერე და მელამა თხარა, თხარა და გააკეთა სორო, შევიდა შიგა და დაუწყო წიწყნა ამ ბეჭსა. სოფელი მამინ ინძრეოდა, მელა რომ ხრავდა. მერე უთხრეს ერთმანერთსა ხალხმა, რომ ეს სახლები დაგვევგრევა ან რაიმე მოგვი- ვაო, რომ წონწლებდენ სახლები წასაქცევად რალა. შემდეგ წავიდნ, წაიდგეს ბარი, ფიწალი, „კირკა“, თხარეს, თხარეს და მივიდნ მოთხრილთან, საცა ბუ- ლობდა მელა; ამოიყვანეს და მოკლეს მელა და გაატყავეს და გაჰყვეს სულზე, თითომ თითო ქათიბი შეიკერა (ქათიბი — ბეწვიანი იყო-რალა, სულ მელის

⁴ დღეაში აქაც და ქვევითაც არის — „ბორა“.

ტყავი იყო, შიგნიდან სარჩული ტყავის იყო და ზედ კიდევ ბამბა ჰქონდა დადებული, კოჭებამდის მოდიოდა). ერთსა ცოლი უწვა ლოგინზე და ეყოლა ვაჟი. შეუყვარეს ამ ახალდაბადებულ ვაჟს ქათიბი და იმას სახელი დაუქდა-რა⁵. ეხლა ასახსნელი რომელია, დიდი (ბავშვია, მელა, მეცხვარე, შორა, ერკემალი, სოფელი). თვალია დიდი — ეს პატარა ტვერი ჩავივარდეს, ველარ გაარჩებ რამეს.

მთხრ. მიხეილ გიორგის ძე ედილაშვილი, 56 წ. (სოფ. ბრეთი, 1935 წ. დეკემბერი).

ერთ გუთნულში სამუშაო დღეების ამოთავებას უღელას ამოყვანას ვეტყვით.

გვალული გადავიდა ზედტო, ვიტყვით — გამომშრალი, გამომხმარი, გამოფიტული არის გვალ[ვი]დანი.

ზედაბუნა გადავქიმოთ, ვიტყვით, ე. ი. ხვედაბუნა გადავხნათო, მთლიანი ფარდის გადახენა.

მაიში — გუთნისდედეს მიმართვა მებრეებისათვის, რომ ხარები ხნული-ხაკენ მიმართოს ან — ზედა ხნული-ხაკენ-რა. გაიში — გუთნისდედის მიმართვა მებრეებისადმი ხარების მისამართაოდ ველეებისაკენ.

ყაშა-ყაშა არის დახეთქილი [მიწის] ნაწილ-ნაწილად დახეთქვა ან ყავარ-ყავარ დახეთქვა გვალ[ვის]იანად.

თეხლისპირი — როცა დიდ ფარდას თესავს მთებავი, მთებველს მიზღვეს ნათესის გვერდზე და უჩვენებს, თუ სადამდის არის ნათესი, რომ არ აეროს მთესავს. ოდოში — შემოსული ყანა, მარცვალი დასრულებულია, მაგრამ ვახ-მობა აკლია. დედალა-მაშალი გაწყავო (გაწყდა) — მეტისმეტად რომ მოცდი, ცუდად ამოსულა და რაც ამოვიდა ისიც უევარკისია.

ალალი — ჭვუფი, რომელიც რიგრიგს ამოიყვანს (მოათავებს მუშაობას).

დვარეულს ვეტყვით, ერთ გადავლაზე ერთი ცელით მოჭრილ ყანას; ერთ გატანაზე რომ მოჭრი ყანას, იმას ვეტყვით. ხეე — ყანის თებვის დროს [შე]-თებავები რომ ნაწილს ავიღებთ სათიბავით, იმას ვეტყვით. კანში — დაბულულებული ყანა; თავთა[ვის]ები ისე დაეწყობა, რომ ორთითთ აღების დროსა არ დაიშლება. სახელო — ურემს რომ გადავკერთ თოვს ძნით სამსეს. მოჭალვა — ხელნის ქვეშ გაყოფილ ჭავლის ძირზე საბელის შემოხვევა, და ბოლოს ჩააბავენ ჭავლს. ჭოლდი ან კრუნხი — გულეწავად დარჩენილი თავთავები კალო-ზე. ნახუდარი, ნაყუდარი — პურს რომ დავაცხავებთ კალოზე, ცოცხს გადაუსვებთ და რასაც ცოცხი გადაიტანს, რომელიც კარგი არ არის — ბუდიდან გადმოვარდნილი, იმას ვეტყვით. ნაკმაში — ცხრილში გაკეთების დროს პურსა გა[ს]დის წვრილი მარცვლები და სხვადასხვა ბალახების წვრილი თესვები (ცხრილის განავალი). ნაცვალგარდა — რიგრიგა-რა. ოჩხარი — შევეწევი, როცა კაცი ვერა მუშაობს რაიმე სამუშაოზე, უსასყიდლოდ, ხეფა-რა, ჩვენში უფრო ოჩხარს ეტყვიან. „მუშა უფასო მინახავს, უპურ-უქმელი კი არაო“. ვისთანაც იყო მუშა, ის პურს აჭმევდა. კილძე — არის თავთავს მოცილებული მარცვალი, თავის ბუდეში რომ ზის. გამომჩნხვა — კარგად რომ გადაუქცევი ყანას. დავკარკვალბუღი — სუფთად გამოყვანილი ხევეს. ნაკარი — განიავების დროსა წმინდად გალეწილ ბზესა ქარი გადაიტანს კალოს გარეთ. ბზის ბოლოსა.

⁵ ასეა.

⁶ იგულისხმება — კილი (რედ.).

მთხრობლები: ხვიმონ ვახილის ძე ხიზანიშვილი, 90 წ.; პავლე ანდრიახ ძე ხიზანიშვილი, 80 წ. (სოფ. ურბნისი).

მუნე მიწა — ქვაცხელა მიწა, ურწყაევი; თუ გვალვა დადგა, აღარ მოიყვანს ჰირნახულს, ასე უღონოა; წითელი მიწა ცხელი, გვალვა ეჭაერება ძალიან: თუ წვიმა მოვა, კარგი მოხავალი იცის და თუ არ მოვა, დავყრის — ერთბაშად. ამ მიწაზე ვეთსავთ პურსა, ქერსა და შვრიახა.

ლაშა მიწა — როგორც წყალში იყო და ტუტე ამოდის, გვალვა რომ მოუწევს, ვაი, იმ უბედურებას, დაშრება, დასქდება მიწა და მერე არღარა ხარობს. პური და უგრებელი ითესება. თუ წელიწადი დაუდგებოდა, მოვიდოდა, თუ არადა, მაშინ მოცდებოდა, თეხლიც დაკარგებოდა, ალოც. ზოგან წითელი, ზოგან შავიც ურევი, თვალრათეალი მიწა ამოდის.

ქვყარილები მიწა — ფიცხი მიწა; უდაროთ არც ის გვარობს, შერეული, რიყიანი მიწაა. ჰირნახულს ვეთსავთ — ქერს, პურს, უგრებელა. უნდა დასვენებით მოვხნათ: ტრედა მიწახ ვეტყვი. ხაყირიხხევს მიწა — არ ვარგა, ჩვენს ფარგლებში არ ვარგს-რა, თეთრი მიწაა და მლაშე; იმის გაყოლება სულ არ ვარგა, ხაძოვარი მიწაა. მოიწვის და დაყილობს საქონელი, სწორედ რომ უვარგისი მიწაა. ხიხო მიწა — რიყიანი-რა, წითელი, ხარწყაევი მიწაა, წითელია, აყალონარევი. ვეთსავთ პურსა და ხიხინდხ. ჰალა — მიდინარის ნაპირასაა და სილიანია. ძველი თეხლი ექვსი მწკრივი აქვს თუ კარგი ღონიერი მოვიდა, თუ ცუდი მოსავალია, მაშინ ორ წკრივიანია. ახალი თეხლი — ორ წკრივიანია. ზვადახუნს — დიდ ფარდი მიწას ვეტყვოდით.

მთხრ. ყარამან იოხების ძე მირზაშვილი, 35 წ. (სოფ. შინდისი, 24. 1. 1936 წ.).

პურის დათესისას მარცვალი ჰარბი რომ მოვა და თავს მოიყრის ისე, როგორც ჰოჩი, ეწოდება თომი.

მთხრ. გიორგის ძე პატარაძე, 53 წ. (სოფ. შინდისი).

ოდი რომ გამოვა მარცვლის ალაგას, მოუსვავ ხელს და ხედავ რომ მჟურია — იმას ეძახით გულაფშუტახ⁷, უანის მოზარაღია.

შეის ალო — მოთიბულ უანას რომ უყურებს დიდხანს, გაალოვდება და თონეში რომ დააკრამ, აღარ გაჩერდება. დაოდა პურის⁸ — რომ გაავდარდება და დანამავს [უანას], ქარმა თუ არ მოასწრო და [არ] გაარხია და შხემ გამოაქიტა, მაშინ დარდავს პურს.

მთხრ. გრიგოლ ნიკას ძე ნადირაძე, 40 წ. (სოფ. თიღვა, 10. 1. 1936 წ.).

აშუშვა. ძლიერ სიცხეში ხიხინდი გაქვენება და ამას ვეტყვი თაშუშვას. სივრილე კი სიმიდის გააღანძღანძლებს, დაუბრუნდება ნამდვილი ფერი, როგორც დაკარგავს, ისე იპოვის. კვებტე ხიხინდი — პატარა და ნაკლებ სიმიდის[ს] ვეძახით, ზოგი კი კოფიო ხიხინდხ.

⁷ დედანია — გადაფშუტა.

⁸ იგულისხმება — დარღვილი პური.

მთბრ. ნიკო ხვიციანიძის ძე ნინიკური, 90 წ. (სოფ. თიღვა, 1936 წ. იანვარი).

თიღო მიწა — წითელი მიწა-რაღა, სახლებს ლესავენ ამით. აყაღო მიწა — შავი მიწა უვარგისია, ჭირნახულს დაეთესავთ, ხამინდხ დაეთესავთ არ მოდის. ხილა მიწა — გამოუსადეგარია. ჭაღის მიწა — ნოყიერია. თირი მიწა — არაფრად გამოსადეგი არ არის, კლდესავით არის, მოთბრთან, ბუხრებხა ლესავენ. ალო — ერთი დღის ნახნავს ვეტყვით.

მთბრ. ბესო ხვიციანიძის ძე ჭახველაძე, 106 წ. (სოფ. ავლევი, 1936 წ. იანვარი).

ნადელი — მეოთხედი მოქონდათ ჭირნახული.

ნაფუზარი შავი მიწა, კარგი, ღონიერი, ნოყიერი სოფელზე, რომელიც ახლო არის, ვთესავთ პურს, ერთ წელიწადს სიმინდს.

ბატინანებო — თეთრი მიწა, შინშილა (უღონოა და არა მოდის-რა), დააყარი პატეხ და მოვა, თუ არა არა; თირი მიწაა, ღადარა მიწაა.

აყაღო მიწა — უვარგისია, ხველი მიწაა, ლურჯი მიწა არის; ქურთან არის კარგი, დაგლისავ და ქარი არ შეეპარება.

წითელი მიწა — უღონო მამულია, უვარგისია.

შავი მიწა — ხელმომცემია, პურხაც ვთესამთ და სიმინდსაც.

ჭრე შევიტანდით გუთანს, ნაფუზარი იყო ახლო და დავხნავდით, თუ ხაჟურათა — მისშია და თიბათვეში, შემოდგომაზე პურს დაეთესავდით. ჩვენ დავხნავდით შემოდგომაზე და აპრილში დაეთესავდით. ანთული ვიციოდით, ჩვენ უწინ. მოეხნავდით და დავადგებდით, ის დაიწოდა (მიწა. — კ. კ.), გაუდებდით კახსა და და[ვ]ოშავდით და შევატანდით თეხლხა შიგნით. შემოდგომაზე მოეხნავდით გუთნით სასიმინდეთა და აპრილში დაეთესავდით, ისე ჭერხა, ისე უგრებელხა ვთესავდით გაზაფხულზე.

პირველ მარიობისთვის დაეიწყებდით მკახ, თეხვას. ყვეარი ხარი მყავდა, შეუბავდი კვებს, დღე ვლენავდით და ღამე ვზიდავდით; კაღო ხაზელხს ახლო გადაეთოხნიდით, გადაეთხილდით კაჟლოთ, მერე მოერწყავდით წყლით, მზეს მოეყრიდით, მოვიტანდით ბურულს, გაუშლიდით და შეუყენებდით კვერებსა, თუ თხლათ გაუშლიდით, გავლენავდით იმ დღესა, და ფიწლებით გავანიავებდით, ნიჩბებით გამოენიჩბავდით ნაფიწლსა ორთითთ უქცევი უწინ, მერე კი ფიწლითაც უქცევდით, სანამ გავანიავებდით.

მკახ დროს დამწყვიტებდით სამი ერთად და ვინც მოთავე იყო იმას თაბაგახ ვეძახოდით; ღორს რომ დავკლავდით თავი იმისი იყო, მაგრამ ხარა თუ დავკლავდით — თავი და ტყავი. რამდენიც გავიმართებდით, იმდენი სამი ვიტიანდით ხერხის¹⁰, სხვები ვერ მოგვლევდნენ და თაბაგ[კ]ებში ჩვენ ვიყავით. თაბაგარი ქრიდა და ავდებდა, მებელაურე (პატარა ბიჭები იყვნენ) მიზღვედა, პოიტანდა ულოზე და შეკრავდა მენურე. მარცხენა ხელზედა სამ ხათითებს გავიკეთებდით, რომ ნამგალი არ მო[გ]ვხვედროდა. სათითები ხისა იყო და ამას ხვდებოდა ნამგალი და ხელურხაც ბლომად იღებდა.

„გუთანო, შენი კირიმი,
მაგ შენი ბარნდე ყელისა,
წამოუწვიები გვარზედა

⁹ იგულისხმება — თაბაგარი (რედ.).

¹⁰ იგულისხმება — სვე (რედ.).

მოყვანა იყო ქერისა".
„სამართალი კახელთა იყის
მალა-დაბლა გასწორებს“.

კახლო ასწორებს, იმას აზბია ფარცხი. გატყდებოდა, გუთნისდუდეს საქმე იყო, მოვალე იყო, მოცდებოდა, მოვალე იყო, გუთნანზე ეკიდა ხელი და უმარჯვებდა გუთნს. შემდეგ იყო გუთნისთავი — მებხრე; ის ღამის მებხრეც იყო, მას ტოლიც ყავდა, შუ მებხრე, ღამეც ერთად დადიოდნენ. ორ-ოლი ალო ჰქონდათ. დღე მებხრეობდნენ; ღამესაც [უნდა] ეკმიათ, დღით უნდა ემუშავათ. შემდეგ იყო ხაშვიდულელი მებხრე და წინა მებხრე, იმათ ჰქონდათ თითო ალო; შუადლისას [ხარ-კამეჩი] უნდა გამოეშვათ, ექ[მი]ათ და მოერეკათ; საღამოზე უნდა დაეყარათ ღვედები, ჭამბარა-ავეურსო, დილაზედაც უნდა წველოთ და გვემართათ ისევე ისევა. ღამის მებხრეს (ორს) უნდა მოერეკა ხარ-კამეჩი და შემბავდნენ ადრიან.

დაგველაგდით კავით, გაუვლიდით და დაეთესავდით. მერე იმას რომ დავხნავდით, მერე კიდევ დაგველაგდით, რომ გავათავებდით, მერე იმას დაგვეარცხავდით.

გუთანს რვა უღელი აზბია. რვა უღელში ორი ღვედია, ოთხი უღელაჲ. ღვედებს ხაუღლეები აქვს კამეჩის ტყავისა, ჭამბარა — დაწნული, დავრებილიც არის სამატი.

თითო ალო აქვს თითო უღელს ხარს. ოთხი ალო — ღამის მებხრეს (ორ კაცს) ორი ალო აქვს დღის მებხრეს (თითოს თითო ალო). ჭამბარა-ავეურსო — ერთი ალო, თითო ღვედსა — თითო ალო. გუთნისდედას ერთი ალო ჰქონდა: ერთი ალო გათრეულიანა (პირველში რომ გაიტანენ, ნახევარი დღე ზედმეტი მიდიოდა), ნახევარი ხაყ[ვითელს] ეთვლებოდა და უმთელდებოდა საქვეთელს მთელი ალო და ეს გუთნისდედის[ა] იყო, რაილაჲ ერთი ალო ჰქონდა.

წითელი პური დოლი პურია, წითელი ფხა აქვს, გამოსავალი კარგი აქვს, რომ გამოცხებება. მარცვალი იყო წითელი, მაგრამ პური თეთრი იყო, მატება იცოდა.

თეთრი პური, ფხაც თეთრი ჰქონდა, თეთრი იყო სულ. ადვილი სალუწი იყო. მატება წითელი პურისთანა არ შეეძლო.

დოკა პური — ნოყიერი პური იყო. ეს გაზაფხულზე ითესებოდა, თეთრი¹¹ იყო სუყველაზე და მალეც მოდიოდა, გამოსავალი კარგი ჰქონდა, მატება არ შეეძლო, არც იმატებდა, არც იკლებდა.

მახოზელი — ცოტა ლურჯია, მაგრამ რბილი.

მთხრობლები: ნინო ეჭვთამეს ახ. თედორაშვილი, 60 წ.; ეპატარიონე გაზის ახ. ბაგაშვილი, 85 წ. (სოფ. თამარაშენი, ქარელის რაიონი, 1936 წ. იანვარი).




სიმინდს რომ მოვიტანდით, დაეყრით ადგილზე; რომ გავარჩევთ და შევაქუჩებთ, ვეტყვით ზვავს. მერე ავარჩევთ საითთაოთ, რომელსაც კარგი ტარო ექნება, პირველად იმას ავარჩევთ. მერემ დარჩება კვფიწი (ეუდი, პატარა ტარო), იმას ცალკე ჩაეყრით, კარგ ტაროსა — ცალკე. ხახიმინდემში რომ გახმება, გამოვიღებთ და გავცეხავთ. როცა უღებთ¹² ურემზე ტაროვან სიმინდს, ეტყვით — „ხელოური მოგვაწოდეთ“.

¹¹ ღედანშია — თიერი.

¹² ღედანშია — „საცა უღებთ“.

მთხრ. ილა იორდანეს ძე ნოზაძე, 59 წ. (სოფ. მოხისი, 1936 წ. იანვარი).

ქირიანი მიწა — თეთრი ზოლები აქვს დაბლიდან, ზევიდან მოწითალო ფერი აქვს. ასეთი მიწა ვარგა უფრო ქერისათვის, პურისათვის და უგრეხელი-
ათვის. ანეულზე უნდა მოიხნას.



სურ. 54 საცეხველი.

შავი მიწა — მალლიდან პირი შავია, კარგი მოსავალი იცის, პურისა და სიმინდის. სიმინდი უფრო ღონიერ მიწას თხოულობს. დაბლაპირი უფრო წაბლა არის, უფრო მეტი მოსავალი შეუძლიან.

ქვიანი მიწა — ეგ მიწა არის ქვიშიდან, რიყე აქვს, ამას უფრო ნაკლები მოსავალი აქვს. ამ მიწაზე ხიშინდი არ მოდის, მოდის უფრო ქერი და უგრებელი.

ლაში მიწა. უფრო ლაში მიწაა, ამას უნდა უფრო მაღალა ავდარი. დაბლიდან უფრო შორს აქვს გლახა, რიდე და უკარგობი ადგილი; უფრო თეთრი მიწაა, რაც მეტი ავდარია, მით უფრო კარგია, მიწა არ ატალანდება. თეთრი ლაში არის მოსავლისა.

ლაში მიწა. კიდეც არის ლაში მიწა, ზევით გადაკრული აქვს კანივით ცოტა მოშავო ლაში, ქვეშ კი რიყა და ქვიანი. ამიტომ მოსავალს არ იძლევა; ამაზე არაფერს არ ვთესავთ, მარტოკა ქერს, რადგან მინამ ავდრები [დაიწყობა], ასწრებს ქერი შემოსვლას. ისიც ორ წელიწადში მოიხვენის, უნდა დაიხვენოს.

ტრედი მიწა. პერის ფერია. მოსავალს ვერ იძლევა¹³ ზომიერს, როგორც შავი და ლაში მიწა. წინანდელ დროში მარტო თეთრ ლამ მიწაში ვთესავდით სიმინდს, რადგან ნესტიანი ალაგი უნდოდა.

ნაფუნარი — გაპატებულ მიწა. იძლევა ერთი-ორად მოსავალს.

ხვედაბუნი — ერთიანი მიწაა.

ყაშიშინი ან ღელიანი მიწა. ძალიან კარგი მოსავალი აქვს. ფერად ეგეც შავი მიწა არის. უფრო ღრმად აქვს კარგი ნიადაგი ეს უფრო მეტი წილი მდინარეების ახლოს არის.

თირი მიწა. დაბლიდან უფრო ახლო აქვს კლდე და მოსავალს უფრო კარგს იძლევა (მოხისში ეს მიწა არის გულგულის ქედზე).

მაისში მოცხნავდით ხაპურე მიწას ხის გუთნით. ამას ანუელს ვეძახოდით — დაძლავრებულს საპურე მიწას (იმ ხის გუთანში ვაბავდით რვა უღელ ხარს — თქვესმეტ ხარს) [გუთნული] — ერთი გუთნიადედა, ოთხი მეზრე, გუთანი იყო გამართული გუთნისდღეისა ხანხის-ხაკვეთლით, ორი ღვედით, ერთი ჯამბარა თავის აბურებით; გუთანს ჰქონდა კიდეც შოლტა, რომელსაც თავი ზედ ედო თავის ორი გოგორებით. კვალი იყო იქით, დიდი გოგორა ჰქონდა და აქეთ კი — პატარა. ზედმეტს მოუხნავდით გუთნისდღედან; რაც ერთ მეზრეს ჰქონდა ჯამბარა, გუთნისდღედანაც ის ჰქონდა. მხოლოდ იმ იარაღს ქირა აკეთებდა დღეში სამ მუშა-ნახევარს, მარტო გუთნის იარაღი. გუთნისდღედან ეწერებოდა ერთი დღეური, ერთი დღეური ეწერებოდა მარტო ხანხის, ნახევარი დღეური ეწერებოდა მარტო ხაკვეთელს, ნახევარი დღეური ეწერებოდა კიდეც გუთანს (მორკალურ ხეს), ჯამბარა და აბურებს — კიდეც ნახევარი დღე, თითოეულ დღედს — ნახევარი დღე, ორჯე დღედებს კი ერთი დღე ეკუთვნოდა; მეზრეს ეწერებოდა ერთი დღე, მეღამმეზრეს დღე და ლამეში ორი დღე ეწერებოდა. ამ მუშაობით ვისაც რა მოუწყევდა, ისე მოხნავდა მიწას. შეიძლება ასეც მომხდარიყო, გუთნისდღედა იხნავდა ერთ უღელზე (უღელა არის თვრამეტი დღე-ნახევარი, თვრამეტ დღე-ნახევარში ერთი დღე შეხვდებოდა ხენიან მეზრეს, მეღამმეზრეს ორი დღე შეხვდებოდა, გუთნისდღედან კი შეხვდებოდა ოთხი დღე-ნახევარი თავის იარაღებიანად, ხარებს თითო დღე შეხვდებოდა (თითო უღელა ხარს).

¹³ დედანი აქაც და ქვეითაც არის — იძლევა.

იმ ანეულში პურს ვეთესავდით, მხოლოდ ავაკავებდით კავებით. იმ ერთი დღის ნამუშევარს მოუნდებოდით ორი კავით (ორი კაცი და ორი უღელს ხარი) და დავიმუშავებდით მიწას. სიმინდს რომ ავიღებდით, მერე პურს დავეთესავდით, ისიც ორი კავით, ერთი დღითურთ, ორუღელს ხარით; ორი მუშა დაფარცხავდა, ორი კაცი, იმ დღითურთ (რომელიც აკავებს). პურის აღებაჰდის აღარაფერი უნდა იქნასა. მომწიფების დროს გავითიბავდით ცელით, ნამგლით კი მოქმედი. დღითურთ გათიბავდა კარგი მუშა დღეში, ერთი კაცი დაფარცხავდა და აბულულებდა, ნამგლით [მკის დროს] კი ერთ დღითურთ უნდა ექსპი კაცი. ერთ დღითურთ მოიტანს ორი კაცი თუ ახლა — ერთ დღითურთ ხარს შეაბავს დიდ ხაშენ ურემში (დიდი ქალეზიანია). თუ ამინდი არ იქნება, შევეძლიან დავდგათ კალის პირზე და თუ ამინდი იქნება, გავლწავთ. გავლწავს მხოლოდ ორი უღელი ხარი და სამი მუშახელი. საშუალო მოსავალს მივიღებთ იმ დღითურთ — ოცდაათ ფუტსა; მხოლოდ გადავდებთ მაშინვე კარგ პურსა, სრული მარცვლიანი რომელიც არის, გადავდებთ რვა ფუტს იმ დღითურთ.

კალოში გვიბნია კევრები გასალეწად. პირველად [მნას] გავშლით კალოში, ცოტას შევახმობთ, მერე ხარებს კევრებს აუბავთ და შევაყენებთ. რომ მოვლწავთ ცოტას, გადავაყენებთ ხარებს გვერდზე, გავლწავთ ხეს ორთითგებით, მერე ისევ შევაშრობთ, რომ გაუხმეს მეორე გვერდი. ისევ გავატარებთ ხარებს და გავლწავთ კიდევ, კიდევ გადავბრუნებთ ხეს ფიწლით და კიდევ მოუტარებთ ხარებს და გახმობა აღარ უნდა. მერე კიდევ უქცევთ ნიჩხურით, ფიწლით, რომ თავები აიღოს კარგათ და თავთავები არ დარჩეს გასალეწი; კიდევ მოვატარებთ ხარებს კევრებით, მერე კიდევ უქცევთ ნიჩხურით, რომ არ შეუყვას კიდე (კილი — სუსტი პატარა მარცვალი და იმ მარცვალს მიღვეს თავის პატარა ბუდე). კიდევ მოვატარებთ ხარებს, გაცივდება ეგ მარცვალი, გალამაზდება და მერე შევხვეტავთ არხადებითა და შევკვით. ძირს მარცვალი ეყრება სუფთად. მერე გავანიავენთ ხის ფიწლებით და გამოვნიჩხავთ ნიჩხურით. ხევს კიდევ გავატარებთ ქარში რომ არ შეყვას ზრელო, მერე გავაცხადებთ ცხავეში, ავიღებთ ტომარაში, დაუწყობთ ურეშზე და მოვტანთ სადაც ხაროვბია. თუ კარგი შემნახავი კაცია, დაბლა ზხვს დაუყრის ქვიტკარზე, რომ არ გავიფიქრებ პური ქვეშიდან, ნაპირებიდან ნათიბ თავას მიუყუდებთ, რომ პური კედელზე არ მივიდეს, ნესტოანი არ გახდეს, მერე იმაზე რომ პურს ჩაყვრიოთ და გაიყვება პურით, კიდევ ბზეს დაყავრიოთ.

მოდგამობა ის არის რომ გუთნეულში მარტო ერთ კაცს მომართვა არ შეეძლო, რამდენიმე კაცი შეერთდებოდა და ერთ გუთანს ვავაბავდით.

ნადი — დახმარება უფასოთ, ერთიმეორის შეწყევა.

რავრავა — რომ მუშაობ ერთად; დღეს ჩემი რავრა შენთან წამოვალთ, მეორე დღეს ჩემთან წამოვალთ სამუშაოდ, სამაგურთა.

რავიხპური — პურის ქამა, პურში შეხვედრა, შენი რავია პურის ქამათ, ვისასაც თონხიან, იმას ერგება პურის ქამა. როცა რავრავა ჩნდება, პურის ქამაც იმის რიგი უნდა იყოს. ჩვენ ასედაც მოგვევლია — სალამოს რომ დავგიმთავრებია მუშაობა, იქვე ამხანაგის ყანა იყო, გადავუტლვართ იქ სამუშაოთ და გვითქვამს — სალამოზე შენი რავია პურის ქამათ.

ქრავი. ხვედლზე რომ დაცხრებოდა ძლიერ, როცა მარცვალს იკეთებდა ახლად, მაშინ სუსტი გამოდიოდა მარცვალი და ვიტყოდით, ქრავი გაუჩნდა პურსათ. ერთი კიდევ — [პურის ღერო] სისქით რომ წაიქცეოდა და პური მარცვალს ვერ აიტანდა, მაშინ ვიტყოდით, რომ პური ვერ აიტანა, რადგან ოდი გაუჩნდა პურსათ. ჩახურდება ერთიმეორეზე, მარცვალს ველარ ვაზდის, სისქით მოუვიდოა, ვიტყვით.

თოვლი და წყალი რომ ერთმანერთში აერევა და ერთი-ორი-სამი დღე რომ ქონდეს წყალი [პურს] ქვეშ უსათუოთ მოლპება; ამას პურის მოლპობას ვუძახით. მეტი გვალვისაგან ხანდახან პურს მარცვალი არ ექნება, იმიტომ რომ ძალა არა აქვს, მიწა გამოშრალია, პურს ველარ ვახდის და არ მოყვება.

პურის ჭიშები: თეთრი დოღი გამოსავალი მეტი აქვს, მხოლოდ გვალვაში უფრო ნაკლები მოსავალი იცის. კარგი მარცვალი აქვს და კარგად ცხვება.

წითელი პური — გვალვაში მავარია, მოსავალი საშუალო აქვს, მარცვალი უფრო უსწორ-მასწორო აქვს, თეთრი პურივით არა აქვს ტრალტოლა მარცვალი; პურიც გამომცხვარი წითელი გამოდის. რო გამოცხვება დაფშრება (ვახშობა) იცის.

წითელი ფარნა — ძველი ჭიშია... თეთრი გამოჩანს მარცვალი. მავის პური ძალიან კარგი გამოდის. პური თეთრი, მოსავალში გამძლეა და კარგი იცის.

გვავე პური — რბილი პურია, თეთრი არ არის, ფეხათ უფრო მალაი იზრდება და გვალვას უძლებს და ადრე მოდის სხვა პურზე.

თავთუხი პური — უფრო ფაქიზია მოსავალში, თუ კარგი ამინდი არ შეხვდა ნაკლები მოსავალი იცის; თუ კარგი ამინდი შეხვდა, სხვაზე მეტი მოსავალი იცის პურებში. პური თეთრი გამოდის გამომცხვარი.

შავფხა — მარცვალი თეთრი აქვს და საუკეთესო, მხოლოდ წყენს დიდი ზამთარი და უძლებს უფრო გვალვას, პურიც კარგი გამოდის. შავფხა ითესება შემოდგომაზე და გაზაფხულზე. გაზაფხულზე შეიძლება ადრე დაიფხოს, შემოდგომის მარცვლი უფრო სრული არის, ვიდრე გაზაფხულსა.

დეკა — ითესება გაზფხულზე.

კუდა პური ან **უფხო პურიც** გაზაფხულზე ითესება; დაეთესავთ უფრო მთა აღვილზე. პურიც კარგი იცის, გამოსავალიც კარგი აქვს, მაგრამ თუ პატრა ვახშა, ჩაიბნევა მიწაში.

ჭერი — დამზადდება შემოდგომაზე, მარიობისთვეში მოვხნავთ მიწას, გაზაფხულზე დაეთესავთ ჭერს. ჭერის თესვაც ისე უნდა, როგორც პურის. ორ უღელ ხარზე ორი კაცი უნდა, ერთ დლიურს კიდევ აკავებს (აოშას) და კიდევ დაფარცხავს. თესლი უნდება ამას ექვსი ფუთი. მუშაობის წესები ისეთივეა, როგორც პურის, მაგრამ გასალეწად უფრო ადვილია. შეგიძლიან არაყისათვის და წვრილფეხისათვის გადახარჯო. მარტში ითესება.

შვარია. ეგრევეა მუშაობა, როგორც ჭერის, მხოლოდ დაუფქვევად დაიხარცება, მარცვალად.

სიმინდი. პირველად გუთნით მოვხნავთ მარიობისთვეში. აპრილის პირველიდან დაეთესავთ სიმინდს (ძველი სტილით). სიმინდის საუკეთესო ტაროს გადავარჩევთ, დლიურზე დაეთესავთ ოცდაათ გირვანქამდე, ხელით მოეთესავთ. გაზაფხულზე აკაკივებთ ორუღელა ხარით და ორი კაცით. სიმინდი რომ თავს ამოკრავს, იმას წვერნაკრავს ვეტყვით. ხუთი ფოჩი რომ გაუხლებდა, პირველი გათონა მაშინ იქნება და ამას ვეტყვით პირადხ. ამ დლიურს ექვსი კაცი უნდა და შევამხანაგდებოდით ექვსი კაცი და ვიქნებოდით ალალი (ალალი რიკრიგა). ამხანაგობა არის — „ვის ალალი ხარ ბიკოვი“, მეორედ გაეთონნით მაშინ მუხლზე რომ შემოგეაწვლება. შემდეგ მოგვკრით. ერთ დლიურს ერთი კაცი მოკრის, ორი კაცი მოიტანს უღელი ხარით, ერთ მკლავსა იღებს კაცი და გააწყობს ურემზე. მერმე გაარჩევენ ქალები. ერთ დლიურს სამი კაცი გაარჩევენ, ერთი კაცი ჩაღახ დაკონის და სიმინდს გადაზიდავს (ჩალას ცკონით წნელით). სიმინდს გადავზიდავთ ქიხურში. დავასობთ ხეს — ზეინის

სარს, ჯერ დავდევნო ჩალის ზენის ძირს, მერმე მოუყლებთ, მოუყლებთ და პატარა დადგება და მოგვონავთ (ჩალის წვერს ზენის თავზე).

ერთ ულელს რომ ამოვიყვანდით, ე. ი. თვრამეტ-ნახევარს, კიდევ მეორე თვრამეტ-ნახევარს ამოვიყვანდით და შეიქმნებოდა თაობა. დამუშავებულ მამულს დაკორდებულს ვერტყვით.

პურს ერევა შემდეგი ბალახები: ღვარძლა ბალახი — მათრობელა, პურის ღეროსხედა იზრდება; მარცვალი შვრიის თესლივით აქვს, როგორც პურის თესლსა აქვს.

ჭაჭვა ბალახი — როგორც დარგული ხე ისეთია; იცის ტოტების გაკეთება; ტოტებში თავში პარკს იყენებს. იმ პარკში არის მრავალი ქინძისთავისოდენა მარცვალი.

მასობელა-ბალახი — ქვივერახ¹⁴ გავს ძირეულად, თესლი კი პურის მარცვლის სისხო აქვს; ამას ცხრილით¹⁵ გავარჩევთ პურისაგან.

ძაღლაურა — გავს პურის მარცვალს, მაგრამ ისე მწარეა და ახდენს პურს; როგორც წინა ბალახებს, ეგეთი ტანი აქვს, ამასაც ვარჩევთ ცხრილით.

მამულს რომ ყოფდა ნიშანი, იმას ძეგლს ვერტყვით ან საძმღვარს ვერტყვით.

როცა ჭირნახულს ორმოში ჩასაყრელად გავამზადებთ, იმას მიუწყობდით ბევრ თევზს გვერდზე, რომ არ წამხდარიყო მარცვალი (გარეშად ნაპირზე მოუწყობდით), ზევდანი შუგს დავაყრიდით და ფიცარს დავაფარებდით. თავ-შემალლებით, რომ ავდარი არ ჩასულიყო, მერე კი მიწას დავაყრიდით, ამოვიღებდით ჭილოფებზე პურის მარცვალს და გავაკეთებდით იქვე ცხრილზე (თუ კარგი ამინდი¹⁶ იქნებოდა) და გავგზავნიდით წესქვილში. მერე ისევ თავს დავუბრავდით, რომ არაფერი ჩაცვენილიყო შიგა და მეორე წლამდე თავდახურული იყო, სანამ ახალი მოსავალი არ მოვიდოდა. ორმოში შეიძლება ორ წელიწადს, სან წელიწადს შენახვა პურისა, ხაროშიც — ეგრე, ბედელში კი შვიდ წლამდე შეიძლება შენახვა. ანუელს რომ მოგხნავდით და ღვინობის-თვეში რომ დავთუქავდით, ხის ფოჩხით ავოშავდით ხაპურე დათესილ ანუელს.

მთხრ. აღუქსანდრე ირაკლის ძე ბიბილაშვილი, 99 წ. (სოფ. მეჯვრისხევი, 1935 წ. დეკემბერი).

ნაფუტრები — კარგი მოვლილი, ღონიერი, ნოყიერი, ნაპატივარი მიწა. შავი მიწა. ამ მიწაზე უნახ ვთესავთ, ხმინდხ ვთესავთ — ხორბალსა და სიმინდსა.

მინდორი მიწა — საშალი მიწა [ვთესავთ] პურს, სიმინდს.

ღარიბი მიწა — არც პური მოდის, არც სიმინდი, გოხაა რა. რიყია სულა ძირსა (ქვიშა-ქვა). ზაფხულში ცოტახან აყვავდება და ხელად ვახშება.

ღების მიწა — ხახნავი, ხათეხი, პურისა და სიმინდის მიწაა, არ არის ნაპატივარი, ღარიბი: ნიწა, საშუალო მოსავალი იცის. შავგვრემანი მიწა, არც ძირელ შავი, წითელი შეფერებული მიწა.

ხახახო მიწა. უფრო უღონო მიწაა, ცოტა უფერული მიწა; სიმინდი და პური არ მოდის: [ზოდის] ბალახი გასათიბი, მხოლოდ ძლიერ ძაღობით, თოხნით, თესვით მოყავთ მოხავალი.

¹⁴ იგულისხმება ერთწლიანი წითელყვავილა მცენარე. ჭართ. ენის განმარტებითი ლექსიკონი.

¹⁵ დედანშია — რქილით (რედ.).

¹⁶ დედანშია — არნადი.

კვარხების მიწა — ხააშილხვრო მიწები; ესეც ჩვენი სამეჯვისხეა, არა უშუას რა იმას, შეხედულებით სხვებს ჯობიან.

გრძელახ მიწები. ცოტა უღონო და ჩამორჩენილი მიწა ევა და სახასოი. ფერად ცოტა ყვითელია. თუ დაასვენებ ერთ-ორ წელს, მერე შეიძლება [მონაავალი] გამოიღოს.

ურწყავის მიწები. არც ძრიელ უღონოა და არც ღონიერია.

წყალიც რომ იყვეს, მანც მამულია. თიფი მოდის და ჭირნახული, ისიც, თივას ნაში თუ ექნება, მაშინ მოვა, თორემ საქონლის საძოვრად დარჩება ხოლმე. ჩვენ მთიულეთში ვთასავთ პურს და სიმინდს, სხვა აქ ჭერი და დიკა (პურივით არის, კარგი პური) მთებში მოდის. ფიცხელ ალაგას არ ხარობს, გრილ ალაგში მოდის.

ჩვენ უნდა შევბათო მაისიდან გუთანი და უნდა დავწყუთ ხვნა. გუთანს ყაჭ ოთხი მესხე და ერთი გუთნისდღეა. გუთნისდღეს აქვს ორი ალო, ღამის მესხეს აქვს ორი ალო, დღის მესხეს აქვს ერთი ალო. უღელ ხარხაც ერთი ალო აქვს; მაისიდან ხვნას რომ დაიწყებთ, თიბათვის ნაწევრიდან უნდა მოეხნათ ანეული (ანეული — ზაფხულში რომ იხვნის და დაიწყის, დედამიწას გადააბრუნებენ). რომ დაიწყის მიწა, მაშინ კარგი მოსავალი მოდის. ანეულის შემდეგ არის შემოდგომის ნახნავები, რომელსაც ნაოთი ჰქვიათ. ნახნატი მიწა — დასვენებულ, არმოხნულ მიწას ჰქვიათ.

ჩვენ უნდა დავიწყუთ ენკენისთვიდან ანეულისა და ნაოთის დათესვა. ავიღებთ პურსა, ჩაეყრით წინსაფარში და დაეთესავთ ჰობნეულათ, მერე კვალს დაეკრით ხარწყავებში, ურწყავებში კი კვალ არ დაიკრება; ხარწყავ კვლებს უნდა გუთნით დაუაროთ და დაეკვალათ. ჭერ დაფარცხავთ და მერე კვლებს ჩაუვლით. ენკენისთვიდან თითქმის გიორგობრაუემდი უნდა იხვნას და ითესოს. მაისის ნახნავებ ძველთაგან ნათქვამია — „მაისის შეიღმია ბარი რომ წაგართვას წყალშაო, მანც წყალი არ გადუფგლო ყანიდანაო“. მიუღგებთ წყალის კვალსა და კვალდაკვალ მოვრწყავთ. კათაუეში [ყანასა] მოკვამით, მოცელავთ ცელით; წინად ნამგლით ექმკიდით, ესლა კი უფრო ვცედავთ. მომეილხ ძნად შეკვრავთ, მოცელილხ კი ბულულებათ ავაგორებთ, მერე ურმით წავიდებთ კალოზე. გავშლით ბულულებასა და ძანას კალოზე. ჩაყრით კალოში, გავშლით და გავლენავთ, ახლა კევოკებს მოვიტანთ, შევაბავთ ხარცეს [და] გავლენავთ. კევრებში აბია ხარები და კაცები ერეებიან და გარეშემო უვლიან. [პურია] რომ გაილენება, შევაგროვებუ. შავგვით, გავანიავებთ ქარზედა ფიწლებით, შემდეგ გავნახნავთ ხორხალს, შევაგროვებთ პურსა, დავცხავებთ ცხავში და აკვრეფავთ ტომრებში. ლენჯის¹⁷ დროს [პურს] გადმოვებრუნებთ, გადავებრუნებთ ორთითა, ფიწალით და ნიჩბით უქცევთ, ჩამოვიტანთ [ხორბალს] ბედლებში, ბზეხა აკვრავთ, ჩამოვიტანთ ხაბძლებში. საბძლებსა დახურული აქვს კაფები და ზოგზე წაღამია და ზოგზე ჩაღა.

ქართული პურის ჭიშები: დოლი — საშუალო მარცვალი აქვს, პური იცის გემრიელი და რბილი, საშუალო სითეთრე აქვს. ცომი მატულობს, საშუალო სიგრძის ფეხები აქვს.

თავთუხი — ახალი შემოსულია, თეთრი პურია, გემრიელია, ფაშარია (მაღე ხმება) პურია. ცომი ცოტა მატულობს, უფრო გრძელი ფხა აქვს.

შავფხა — მარცვალი სხვილი და თეთრი აქვს, თავთავი გაუშავდება ხოლმე სიძწიფეში რომ შევა; გრძელი ფხა აქვს.

¹⁷ დედანია — წიწის.

უფხო პური — ნაადრევი პური იყო ზოლმე, მაგრამ გაანებეს თავი, რადგან სიმწიფეში რომ შევა, მარცვალი [ს]ც[ვ]ევა, გამოსავალი ისე კარგი ჰქონდა. რომ მომკიდენ. [მარცვალი] მაშინაც [ს]ც[ვ]ეოდა.

დაჯა — გაზაფხულზე ითესება, ურწყავში მოდის. თავთავი, ფხა გრძელი აქვს, მარცვალი — რგვალი, ჭვავილი თეთრი აქვს, ცომი არ მატულობს. ნა-უქ-ქადისხათვის საგანგებო არის.

ქერი — გაზაფხულზე ვთესავთ, ისიც მკათათვეში მოდის.

მთხრ. ივანე ზეპარიას ძე ხახუტაშვილი, 43 წ. (სოფ. მეჭერისხევი, 1935 წ. დეკემბერი).

წითელი პური (ოხური) შამადგომით უნდა დაითესოს, ქართული პურისნაირია, მხოლოდ ადრე უნდა მოიმკას — ოდოღურია¹⁸ (ახლად რომ შეთქვირდება) რომ შეიმღვრევა (რომ მოზნად[დ]ება, რომ მოიკაკება თავედება). რომ მარცვალი არ გაცივდეს მკაში, ხელეულ[ს] გამოვიღებ (სათითებებს რომ გავიკოებ).

შეწეული მუშები — დაძახილი გახლავს, შეატყობინებდენ რამოდენიმე მოშეკლხს, ერთი თხუთმეტს. თითო სახლიდან ექვსი კაცი, ხუთი კაცი წამოვიდოდა. რომ ჩამორჩებოდა მუშა [მაგალითად], რომ წავიდოდა სომხეთში, სათათრეთში, რუსი ხელმწიფის ქარში, ჩამორჩებოდა, ხამეკლხს, წავიდოდნენ შეწეული მუშები და მოუმიკიდენ ყანას.

მამითადი დაძახილი მუშებია. წინა დღით უნდა წავიდეს და უფლო გაიგლიჯოს მამითადისხათვის. ჩავიდოდით, დავაყენებდით ურშებხს, ოცი, ორმოცი, სამოცი ნამგალი. მდლოს გულისათვის ჩვენ თითონ წავიღებდით პურხა და ჩვენს საგზალსა; სიმღერით უნდა მიხვიდე დამე. ოთხი ურმით, სამი ურმით უნდა წავეყოლოდით, ორი ყვერით, სამი ყვერით. უნდა წასულიყო [ის, ვინც] გამართული კაცია (გუთანი ყავს, ხარი ყავს, ყვეარი ყავს). ზოდაბუნხს ოცი დღის. ოცდაათლის [მიწას] ხნავდნენ ერისთავიანთ[სას] დაძახილი გუთნეულებითა. ყმები დავებმარებოდით და მერე ისინი დაგვეხმარებოდნენ, იმათი მამულიდან მოვიტანდით შეშას, ხელნებს ურმის[სათვის], ან გვაღო დაგვიკირდებოდა, დაგვეხმარებოდნენ.

თახაგარი — თავი მამეკელი, მეთაური, რომელიც მაგრად მკიდა. საკლავი რომ დაიკვლებოდა, ცხერის თავი იქნებოდა, იმას მისცემენ, ფულიც მეტი ჰქონდა. ყოველ საქმეში, ხარფა იქნებოდა თუ მკა, მეთაური იყო, გამორჩეული. კარგი მუშაც იყო, კარგი მომყოლი. ის აქეზებდა ხოლმე [შრომეულებს].

ურმეული. ურმეული ოცი ძნა არის. გაშლილად რომ ყრია ძნა კვლემშია, უნდა გადაებას თავთავი თავთავზე და [ისე] უნდა დაიდოს, რომ წვეთი არ ჩაუვიდეს; (გამოვა ალოსავით). თუ გაატანა, უნდა გაიშალოს ის ძნა, როგორც მოკვრით ყანახს, ისე უნდა დაიხსას ნაბჭაზე, რომ ქარმა გაკრას და მზეს დახედოს. მომეკლის ბადალი არა არის რა. ყანას რომ მო[ვ]ეკიდით, დღი მუშა რომ არის, მამითადი, მეორე დღეს სამი კაცი წავიდოდით და დავაურმულდებდით. ურმის ძნას ვინც მომკიდა და შეჰკრავდა, აი თავი მომკელი ის იყო.

ხამეული სამი ძნა ყანა არის, თავში რომ გავიტანთ ყანას, ხევს რომ გავიტანდით გამშული მუშა (ათი, შეიდი, ექვსი ნამგალი რომ [ვ]ეკიდით ის არის). მეორე ძნას დავდგავდით; კარგი ყანა რომ გვექონდა — ათ დღითარამდი

¹⁸ იგულისხმება — ოდოღურობა, ანუ ოდოზობა (რედ.).

მიწა, მამულს შეშენდობარადა მუშას გავგზავნიდით წინა დღეს, გავლუ-
ჩავდა ულახ (მცენარეა ძნის შესაკრავი).

საქციევი¹⁹ — წინა ხარი რომ გადის წინა, მებრე მოატრალეებს, ის არის.
ტრაქტორი ეხლა ამთელებს იმ საქციევს და აბა რა გაავოს კაცმა ძველად
მადლიანი გუთნისდებდა არ გადავიდოდა საქციევში და შეზობლოს ყანას არ გა-
აფუჭებდა; თუ უმადლო გუთნისდებდა გააფუჭებდა ყანას, გაუაინხდიდა ხოლ-
მე ორ კოდეხ, სამ კოდს.

ვთქვათ, თუ მკიდნენ გზის ახლო და იქ მუშები მუშაობდნენ, მეთაური
მოჭრიდა ხელეფურს, გადავიდოდა გზაზე და მგზავრს მიართმევდა — თუ სუ-
პატოო კაცს შენიშნავდა, თანაც ჯამით ღვინო ეჭირა და ხელეფურს მიართმევ-
და, — მიირთვი, ეტყოდა მგზავრსა, — დოვლათი გავიძლიერდესო, საქონე-
ლი, ოჯახი. მერე მგზავრი ჩამოართმევდა და ისიც თავის მხრივ დალოცავდა
ხოლმე და აყოცებდა. წინათ ეს სასიამოვნო ჩვეულება იყო. შემდეგ კი ხე-
ლობად გადააქციეს, რომ ეჩუქებინათ რაიმე; მერე ღვინოსაც აღარ მოუტან-
დენ ხოლმე, მართო ხელეფურს გადაუტანდნენ (ცნობა მომაწოდა სოფ. მე-
ჯერისხევის მცხოვრებმა 62 წ. გიგო ხახუტაშვილმა).

მთხრ. ბეხარიონ ავთანდილის ძე ხრეხელი, 69 წ. (სოფ. ჯარიაშენი,
გორის რაიონი, 1935 წ. დეკემბერი).

მამთადა — დაძახილი, უფახო მუშა. დაუძახებდნენ ათ-თორმეტ ოჯახს.
ხარჯი დიდი უნდა, ჟსაკლოდ არ შეიძლებოდა, ასი კაცი წამოყვებოდა, იმას
ხარი უნდა.

შეწევნა-მუშაობა — შეეწეოდნენ ხოლმე [როცა] დაქვრივდებოდნენ,
ან მოკვდებოდა ხოლმე [ცინმე]. მიცვალებულის დროს ეტყოდნენ — აი მე
ამდენ მუშას შენოგწირაქო, ქორწილზედაც შეეწევნებოდნენ მუშით, ფულით.

მთხრ. გიორგი არჩილის ძე კვალიაშვილი, 44 წ. (სოფ. შინდისი, 1936 წ.
იანვარი).

ყანის დახარყვა — ბზობა დღეს ახქილეებს (ეკლიანი ჯობია) დავჭრიდით,
ჯობს გავხეთქავდით და გავაკეთებდით ჩხორების ჯვარხა, გავატანდით ვანებ-
ში და დაუასობდით შუაგულ ყანაში, რომ უშმაკმა ღალა არ აილოს. ამას ეე-
ძახდით ყანის დასარყვას.

მარქათა — საერთოდ ზედმეტია, უღელ ხარებზედაც იტყვიან. უღელი
ხარი იმიტომ დაზღვეს, რომ გუთნეულში იქნება დაეარღეს ხარი, მარქათას
ავილებთ და შევაბავთ.

მთხრ. ოქრო ალექსანდრეს ძე გარხიაშვილი, 47 წ. (სოფ. შინდისა,
1936 წ. იანვარი).

ორხელზე მკა — ორი-სამი კაცი ერთმანეთთან იდგა ფეხგალაჭული,
მარცხენა ხელში ყანას ინგროებდა და მარჯვენა ხელში ნამგალი ეჭირა, ხე-
ლის აწყობილი მკა იყო, სულ მიკობილი ხარ კაცთან.

წიო-წიო მკა — შორი-შორის მკა, ერთი აქ არის, მეორე — იქა და ასე.

¹⁹ გუთნეულს მოაპრუნებელი ადგილი (რედ.).

მთხრ. ვანო ვახოს ძე ხეფესკვერაძე, 33 წ. (სოფ. აბანო).

კარების ნაფუნარი — კარების გვერდზე გაპატიებული მიწა.

ნაფუნარი — კარგი გაპატიებული მიწა.

თუთის მიწა — სარწყავი ადგილი, [იქ] თუთები იყო ხოლმე.

ჭვარცმის მიწა — კარგი მიწაა, „ჩემს ჭვარცმაში კარგი სიმინდი მოდი-
სო“.

ვაკეები, — კარგი მიწა არის, კარგი მოპყეში.

ძიგვეთის მიწა — ძველად იყო ძიგვეთის ტყე, ახლა ეს გაჩეხილია და
ეეძახით ძიგვეთის მიწას.

ბოჯირის მიწა — კარგი შავი მიწაა, ხიმინდი და პური კარგი იცის.

შავფხა — წელიწადის მომცემია; გამოსავალი კარგი აქვს, ყვითელი
მარცვალი აქვს დიდი. მეტი ზამთარიც წყენს. თითონ პური თფორი აქვს,
დიხანს არ ძლებს, პური გამომცხვარი მალე ფაშრდება²⁰ (რომ გადატენამ,
ჰადივით დფხენება²¹, დაფაშ[რ]ებულა²² საპი-ოთხი დღის შემდეგ).

ხუ — პურში მურიაა შიგა, ხელი რომ მოუჭირო მურიაა შიგ.

გუდაფშუტა²³ ასე ეძახიან, თავხოა, მურიანა პურია.

მთხრ. ილიკო აღდექის ძე ცხვედაძე, 45 წ. (სოფ. კეხისკვარი, 1936 წ.
იანვარი).

პატრი რომ მოცდება, პაერის გამო სქელი იქნება და ნოინჩობა პური,
ანდა დაწეება. მზე რომ მოეკიდება, აოტავს, ვერ ახწრაფავს პურს; ბარტყი
რომ აქვს ვერ ასწრაფავს, ის ველარ გაიკეთებს მარცვალს, სოკოს გაიკეთებს.

მთხრ. გორა ხეფესკვერაძე, 70 წ. (სოფ. აბანო, 1936 წ. იანვარი).

მზიგული — ცხოველი ადგილი მზისა. მზუშის — ეძახიან ფერდობ ად-
გელს, სალამომდინა მზე არ გამოიღევა.

მთხრ. ტატო თედოს ძე გოგოლაშვილი, 33 წ. (სოფ. ატოცი, 1936 წ.
იანვარი).

ჩაღას მოვჩენავთ, დაეაწყობთ ხურდუმებათ (კონა-კონალ რომ დაეა-
წყობთ, ხელეური არის პურში, შემდეგ ურემს მოვიყვანთ და ხურდუმებათ
ჩაეაწყობთ — ერთ პირს უქნიდან რომ გამოუვლით, წინ იქნება ქუჩური და
წინიდან რომ გამოუვლით, ბოლოში ექნება ქუჩური; მერე მოვიტანთ და დაე-
ღებთ ზეინებათა.

კაქაქი — ხიმინდის [ღეროს] ძირი, რომელიც აღარ მოსდევს მოფო-
ცხვის დროს.

მური — გარედან ტარო გეგონება, შიგნიდან მური, ცული სიმინდია.

²⁰ დედანშია — ფაშქდება.

²¹ დედანშია — ჰადივით ცხვია.

²² დედანშია — დაფაშებულია.

²³ დედანშია — გუდაფშუტა.

თუ ურწყავი მამულია და სქელი მოგვივდა, მაშინ სიმინდს აჩაღთავს²⁴, ზეზე იქნება, მხოლოდ ტარო არ აქნება. ნაშქათ კარგი (თვალად კარგი), ისე უსარგებლოა.

თუ წვიმა მოვიდა, წამოვა დიდი ლეშტერი (რომ დაღარავს ნიწას, რომ წაძირლებს და დაღარავს სერიან მიწებს). სეტყვა რომ მოვა და თუ პატარა სიმინდია, მაშინ ფოთოლს დაუხევეს, მაგრამ საშიში არ არის, ფოთოლს წაუხდენს. სულ წახდენილი გეგონება, მაგრამ ისევე დაარყნის.

სიმინდი როცა ტაროშია შემდგარი და მარცვალში, თუ მაშინ დიდი სეტყვა მოვიდა, ბეგავს ტაროს. გარჩევისას სიმინდს ჩაყვრით ჭახურში, კვეშექს ცალკე გადავარჩევთ (პატარა უსარგებლო სიმინდია).

ქაჩალი ტარო — აქა-იქ რომ ექნება მარცვალი. წერი — ჭაურა — ერთბაშად რომ დაეღვავთ თვე იქნება თუ ჩაღა, უმარგილოთ. ხურდღუმი — ჩალას რომ მოვკრით და ვრთი დღე რომ იქნება; დახურდღუმება — მოჭირლ ჩალას თავს რომ მოუყრით..

ბჭა, დადგმული ბჭა — პურის ძნებს ერთად რომ მოვაგროვებთ და დავდევთ კალოზე.

მთხრ. შიო ზურაბის ძე თოდაძე, 60 წ. (სოფ. ქვენატკოცა, 1936 წ. იანვარი).

თვანკარი — პირველი მოხაელის ადგილი.

ნაწვერალის აოშ[ვა] — პურს რომ მოთიბამენ, ძირები დარჩება, იმას — პურის მონათობის ნარჩენს აოშ[ავ]ენ. ჩალას რომ ფოთელი გასცივია, იმას კლერტოს ვეძახით.

მთხრ. ტახო ბაირაშას ახ. ჯოჭიშვილი, 50 წ. (სოფ. მერეთი, 1936 წ. თებერვალი).

დრამა — ვლუბს კოდ-ნახევარი ხმინდი უნდა მიეცა ღვდლისათვისა, საწირავისათვის (ასეთივე ცნობა მომაწოდა სოფ. მერეთის მცხოვრებმა 64 წ. ვანო ყარაშანის ძე ბაიძემ. 1936 წ. იანვარი).

მთხრ. ვახო ქარსიძე, 70 წ. (სოფ. ზერტი, 1935 წ. დეკემბერი).

დოლი პურს წიადი (გაწილვის მეტი უნარი აქვს), მაწივრობა (სიმაძღრე, სინოყიერე) მეტი აქვს.

მთხრ. რაუდენ დიმიტრის ძე ვახიტაშვილი, 75 წ. (სოფ. თედოწმინდა, 1936 წ. იანვარი).

საქმლის ზეთის გამოხდა. მოვიტანდით ხელს, გავახმობდით სატრიალო მანქანაში, მერე ცეცხლზე ავხლიდით ძლიერ მაგრად. მერე დავეჭვავდით მაგრად, თითქოს წისქვილია დაფქვას, მერე გავცრიდით; ანაცერს კიდევ დავფქვავდით ხოლმე. აურევდით თფილ წყალში, როგორც ცომი დახილო არა, ისე, აფშრუკავდით (აირევა ისე, რომ ძრიელ სველი არ არის და არც მშრალი). მერე ჩავდებდით საჭაჭავში და დავაბრუნებდით ოთხი კაცი. მზეთი გამოაწუ-

²⁴ იგულისხმება — აჩაღა (რედ.).

რებოდა, დარჩებოდა ხალხსა, კოპტონი — კამჩსა. საქაჯავს თეფშები აქვს დასახური, სულ ქვეშა რკინა ჰქონდა ალაგობრივით; შემდეგ დაფქვილ სელს ჩაყვრილით და თეფშივით რკინას ჩაყვრილებდით; ასე ხუთამდე იყო თეფში. ეს თეფშები საქაჯავში იყო ჩაყვრილი.

ქართლი შტაპრის სამხრეთით

მთხრ. ზაქარა ხორბალაძე, 90 წ. (სოფ. ბებნისი).

ითესებოდა ფეტვი, ფშვრია, უგრეხელი, ხიმინდი, პური, ქერი, ღობი. ფეტვი ითესებოდა არაყათა, საქონლისთვისა, კაციც სჯამდა, ვკამლით ჩვენც. პურტყბილობა გახდებოდა, — მოსავალი ნაკლები იქნებოდა, გამოვაცხოზდით ფეტვის ჰალსა, ისეთი იქნებოდა, როგორც თაფლი. ტყბილია ფეტვი. მოსავალი რო ნაკლებათ მოვიღოდა, პური გატყებოდა მაშინ!

ფშვრიას საქონელს ვაჭმევდით, ქათამსა, ღორიც შესჯამდა, ცხენიც. უგრეხელს საქონელს ვაჭმევდით, ხალხი არ შეჯამს იმას.

ხიმინდი. სიმინდს ხო ჩვენა ვკამლით, არაყსა ვხდიდით, კიდევაც ვკამლით, ღორებს ვასუქებთ.

პური. პურსა ჩვენ ვკამთ. ყველა სჯამს პურსა, ყველა სულდგმული.

თავთუხი, ღობის პური, თეთრი იყო. შავუხა იყო, ღვია იყო. დცა იყო თეთრი კიდევაც. ეგ იყო ჰინახული.

ღობიო, წითელი ღობიო, იყო გურული, კორინთული, სამი ჭურა იყო ღობიო, კორინთული წითელია ისიც.

პურს ჩაყვრიდით ორმოში, ბელელში. მიწას გავთბრიდით. [გავლესავდით] ქვიტკარს შიგა. ძირში ბზეს ჩაყვრიდით და გარშემო ულგო შემოუვლებდით რო კედლის „სირისტს“ არ ვაფუქებინა, ზეიდანაც ბზეს დაეყვრიდით თავზე.

ღობიოს [ვინახავდით] გოდორში. გოდორს დავენამდით, გავლესამდით ნეხვით, ამოვიტანდით, გავაშრობდით, გავახმობდით, ჩაყვრიდით ღობიოსა. ოცი წელიწადი ერთი გოდორი ვარგოდა.

სიმინდსა ვყრიდით ჰინში. ფშვრიასაც ვყრიდით ორმოში, გოდორში. ვინსაც ბელელი ჰქონდა, ბელელში ჩაყვრიდა. ქერს გოდორშიაც, ბელელშიაც, ორმოშიაც ყრიდნენ. ხათხლე ორმოში გვქონდა. თესვის დროსა ამოვიღებდით, ტომრებსა წავიღებდით, დაეთესავდით. ცალკე არა გვქონდა სათესლუ, ერთნაირი გვქონდა პური. ორმოში ვინახავდით სამი წელიწადი. ორმოში სუქდებოდა პური, კი არ ხდებოდა. ბელელში კი ხდებოდა პური და ორმოში არა. ბელელში წელიწადზე მეტ ვერ ვინახავდით. „სირისტი“ რო ჰქონდა ორმოსა მიწისა, სუქდებოდა, გრილათ იყო. ვაშლი [რომ] დააწყო ცოც ალაგზე, [საცა] არც სიცივთა, არც ხაცხე, ძრთელ სუქდებდა. როგორც მოკრფვამ, იმაზე უფრო კარგია, იზრდება. პურიც ისეა. ბელლის პურს სკობიან ორმოს პური. ბელელი გამოფიტამს, შტვრათ იქცევა. როგორც აი, ახალი გამოძცხვარი პური ჰკამო და ორმოსამი დღის დარჩენილი, ისე აქ გემო, ისეა ორმოს პური ბელლი პურთან.

რიგრიგა. რიგრიგა ვიცოდით: ვმკიდით, დღეს შენ მოვიმკიდი, ხვალ იმასა, ზეგ მე. მეძნეურიც გყავდა, მეხელეურიც. მეხელეური მეძნეურს უზიდავდა ხელეურსა. მეძნეური ულგო გააკეთებდა და ვაშლიდა, მეძნეური შეკრამდა. ხვებს რო გავიტანდით, ჰამით ღვინო იყო, მოურბენდით ახლა ქვეიდანა, რო გადაყვრამდით. თითებზე გვქონდა ხათთეფები, რო ხელი არ გავიჭრათ

ნამგლითაო. ღვინო მოჰქონდა, რო გათბებოდა, „წადი ცივი მოიტანე, ეს გათბაო“. უკან, სახლში გამოგზავნიდით, „ახალი ღვინო მოგვითანე, ქვევრიდან ახალი ამოღებულიო“.

მოდგამობა ხენაში. ახალი წელიწადი რო მოვიდოდა, გუთნისდგმა დაუძახებდა მოდგამებს, სამი კაცი, ოთხი კაცი დასჭირდებოდა, ასმევდა, კიდევ აჰმევდა, დაჰპატრონებდა, გურიგდებოდა; ღვედს რა ჰქონდა, ალოი, დღის მეზრეს რა ჰქონდა, იმას რამდენს უხნამდა. ორმოცი დღე ებათ. ვაზაფხული მოვიდოდა, გაიტანდნენ გუთანს, იმას ველარ უღალატებდნენ. იმასთან უნდა ემუშავა ხენაზე. თუ უნდოდა, მეორე წელიწადსაც იმასთან იყო, თუ არა, სხვას შეუბამდა. გამართავდნენ რვა უღღს: დღეს შენ გიხანი, სამხარიც და საღლიც უნდა მამამო; ძოვება — მებრეხა; შუადღისა — დღის მებრეხა ხოლმე, საღამოთი — დამის მებრეხა. გუთნისდგმა სახლში უნდა წამოსულიყო. ღვედი უნდა წამელო, ჯამბარა, ანეურა. ხანინს-ხაკეთს მიწაში ჩაუფლამდით. ორშაბათს წავიდოდნენ, ხუთი დღე ხნამდნენ, პარასკევი და კვირა უქმე ჰქონდათ. პარასკევი იყო უქმედ¹ დაწესებული: სოფელში მოკვდებოდა ვინმე და მუშაობას ჩამოდიდნენ, გუთნეულს არ შეაბამდნენ.

გუთნისდგმასა — გათრეულასა ეძახდნენ. პირველ დღესა დასვამდა გუთნისდგმასა, ისე აჰმევდა, ასმევდა, ისე უღალათ უხნამდნენ. უფასოთ. ზოგი დაითრობოდა; ხან ვხნამდით, ხან გამოუშვებდით; ეს ზომ გავპართეთო გუთანიო!... მეორე დღეს შევაბამდით და ვხნამდით.

პირველათ რო ვავითანდით, თეთრ ძაფსა და წითელ ძაფსა შეგრეხამდნენ, დასჭირდნენ მოკლე-მოკლეთა და შეაბამდნენ კუღზე ყველა რვა უღელსა, რომელიც გუთანში ება, — თექვსმეტ ხარსა, რო ავთვალმა არ შემოგზებდოს, თვალი აღარ გეცემარო.

მამითადი. მამითადს იმას ვეძახდით, ხალხი რო შეეწეოდა. შენ შემოკეწია სოფელი, შენ მოემზადებოდი პურითა, ღვინითა, საკლავითა. წაყვებოდნენ ხალხი, გააკეთებდნენ სამუშაოს, მერე კიდევ ვკამდით.

სეფეს ვეძახდით კიდევ: წაყვებოდით ბატონსა. მოიტანდნენ „ბოჭკით“ ღვინოს, თევზსა, ვეხნამდით მიწას; სახელი იყო იმისი. ესახელებოდა რო ამთელი მრეველი მყაფსო, ამთენი შემომეწეო. საღამოზე წავიდოდნენ, დაითრობოდნენ... ვიძახდით: „სეფეზე გვეძახიანო“ და წაყვებოდით მთელი სოფელი. მამასახლისი დაივიღო: „აბა, სეფეზე გვეძახიან ციციანიო, უნდა წახვიდეთ ხვალაო“. თავადიშვილი ქალაღს გამოუგზავნიდა და მამასახლისი დაივიღოდა ხალხში. იმ სეფეს გადავიხდიდით და ტყეში უფასოთ წავიდოდით. ის იყო ფასი რალა, სეფეთ გადაუხდიდით. მეორე წლამდინ ისე იყო. კიდევ მეორე წელიწადს დაუძახებდნენ.

ალო. ალოს ვეძახდით რო ხნამდნენ გუთნისდგმა მებრეებითა. იყიდაში ალოსა, პური შენ უნდა გექმია. გაჰყიდა გუთნისდგმა: ერთ ალოი მე, მეზრეს ჰქონდა სამი ალო. გაყიდე შენც ერთი ალო, მიყვიდე მეზობელს, მომკა თორმეტი აბაზი და უხანი ერთი დღე. ერთი ალო მიყვიდე, ერთი დღე უხანი. ერთ დღეს ერთ ალოს ვეძახდით.. გქონდა შენ ოხთი ალო. გაყიდე ერთი, აიღე თორმეტი აბაზი. მოუხანი ერთი დღე, სამი შენთვის იხანი.

1 ქვესათარი მოცემულია ივ. ჯავახიშვილის მიერ.

2 სიტყვა „უქმედ“ ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ.

მთხრ. ტატო ჭერდიოშვილი, 50 წ. (სოფ. ბობნევი).

ვითსამდით ჭერს, დეკას, ჭვავს. აქ რო კარგი პური დათესო, პური ამო-
ვა. მაგრამ მოერევა ჭვავი. მეორე წელნიადს რო დათესამ, სუ ჭვავით. გადი-
ქცევა.

ქვავი პურათ ცხვებოდა. ან დღეობა იყო, ან ქორწილი, ხარჯი — გარ-
დაცვლება ვინმე, იქ უნდა გამოუცხონ ჭვავისა.

დიკაც ეგრე როგორც ქვავი, ხოლოთ დეკა აქ იმდენათ არ მოდის. დიკა
როესება გაზაფხულითა. უნდა ნესტიანი ადგილი, გრილი, ფიცხ ადგილში არ
წოდოს.

ჭერს [ცხმარობდით] საქმელათ ოჯახში, შენახვა არ ვიცოდათ. სათესლე—
რო გაღეწამ და შეხედამ კარგი და გაფუჭებული არ არი, იმას ცალკე შეი-
ნახამ და დათესამ. თუ არ მოგეწონა და გაფუჭებულია, სხვაგან უნდა იყიდო
და გააკეთო.

მოდგამომა: ორი-სამი ერთათ შეაბამენ, ერთ დღეს — ერთი, მეორე
დღეს — მეორე და ესენი მოდგამებს ეძახიან ერთმანეთს: ორი კაცი, ორი
კომლი რო ერთათ შეაბამენ.

მამითადი, ნადი, რიგრიგა, რიგის პური, არ ვაცი. ალოს ეძახიან, რამდენ
დღეს გერგება ხვნა. ორ სარზე ერთი ალო ეკუთვნის, კაცზე ალო ეკუთვნის,
ორ კაცზე და უღელ ხარზე თითო ალო არის დაწესებული.

მთხრ. პელაგა ლახურაშვილი, 100 წ. (სოფ. დილომი).

გვალვის ლოცვა. გვალვის დროს გუთანს შეაბამდნენ დედაკაცები; ლა-
ხარზე დაივილიდნენ. წყალში ვხნამდით გუთანსა, რადგანაც ღმერთს ვადი-
დებდით. დედაკაცები სულ სველდებოდნენ. შერ გამოეშვებოდი უღლიდან,
ახლა ის შეებმებოდა. მამაკაცებს, თუ ვინმე შახვდებოდა და ან იქ იყო,
წყლის პირზე, ზედ ასხამდნენ. ვაჟკაცები შიგ იჭიდავებდნენ წყალში —
„მოგვხედე, ღმერთო, გვადირსე ნამიო“. მერე წამოვიდოდით შინ, საღმთოს
ვიზამდით, საკლავს დავკლამდით, ვაწირვინებდით! ისეთი სიმღერა გვედგა
დედაკაცებსა და ღვთის ევდრება რო!... აი ამასა მღეროდნენ სუფრაზება:

[ახ] ლახარე, ლახარე,
ლახარ მოდგა კარსა
მიდგა-მოდგა თაროსა,
დეიმგზაესა მთვარესა,
აქა და წმინდა ელოა,
რასა მოგიწყუნია?
თეთრი ფური, ფურბერწი
შენთვის მოგვირთმევია,
ჩვენ დავიკლამთ ციკანსა,
შენ მოიყვიან წვიმასა.
ცხავი იცხავებულა,
წვიმა გაჩქარებულა,
ორლობ-ორლობ ტალახი,
მინდორს კი ბალახი.

ამას ვიმღერებდით და პურს ვჭამდით დედაკაცები.

3 სიტყვა „ცხვებოდა“ ჩამატებულია ივ. ჭავჭავაძის მიერ.

4 „ერთ დღეს ერთი“ ჩამატებულია ივ. ჭავჭავაძის ბელით.

5 ქვესათაური „გვალვი ლოცვა“ ჩამატებულია ივ. ჭავჭავაძის მიერ.

6 შორისდებული ჩამატებულია ივ. ჭავჭავაძის მიერ.

მთხრ. აჰოლონ ბიწაძე (სოფ. ცხრუკვეთი).

მიწის გაპატოვება: ნებზე დააყრიან უეარგის ადგილზე (ნებზე უნდა იყოს წლიმოთუელი); გეიტან შექოდგომით და გააქაქებთ თოხით. მარა ეს ყველაფერი უნდა გააკეთო ძველ მთვარეზე (ახალ მთვარეზე წახდებამ). გაზაფხულზე რო მოიხენება, ნაკელი ეირეუ-ღეირევა და გაპატოვებს მიწას.

დათესვის მერე ყანას უნდა გათოხვნა. ორჯერ — მისიდან ივანობისთვის შუამდის, მეორადი — კვირიკობისთვის ათამდის. პურს რომ შეკრავენ, ქვია ძნა; ძნის შესაკრებლს (ისევე პურას არის დაკრებელი) ქვია ულო, პურს რო დადგენ, ქვია ურმოული ან ჩერგოლა; ხიმინდის ჩაღას ან თივას რო დადგამენ — ზეინა; ზეინს შუაში დიდი ჭოგრის უსვია.

ალო ქვია თესვის დროს ან თოხენის დროს, ან მკის დროს (ყველას თავთავისი ალო აქ). ხელღვას ალო ქვია სიმინდის ტეხის დროს.

მთხრ. ამირან ფხალაძე, 75 წ. (სოფ. ცხრუკვეთი).

მიწის სახელები: უყე მიწა არი გოუტეხელი, საბალახოთ გაშვებული მიწა; თუ არ აოშე, ისე არ ღეითესება.

ახო არი გატეხილი ტყე; ახო რო დაათავებს ახალპირობას, მერე ნაშხილარი ქვია. ახალპირო არი ხამ მიწას [რო] გატეხავ. ასე, სამ წელიწდამდის. ნაშხილარი ქვია, მარტო მიწა [რო] იქნება, ჭირკები და ფესუები რო მოისპობა და ხარი რო დახნავს.

ნადაგვის სახელები: თირი მიწა — უნაყოფო მიწა არი, თეთრი, ფხვიერი, ხალა ურეკია. ხაჭურჭლეთ ხმარობენ; შავი მიწა არი მძლავრი მიწა; მჩატე მიწა არი სილა მიწა, აჟალო — თიხა მიწა; სილა გამოსადეგია ქვეტკარი-სთვის. კირში ოურევენ. ალიწიც — სილა არი თეთრი ალიწი, როგო კირი, იმფურია, მხოლოთ ძალა არა აქ. წარნაქე არი ხალებავე მიწა, კვნიტა — კვნიტა თუ შეგხვდება ყანებში. თრითინა მიწა — საცა არაფერი მოდის; შეიძლება ჩალა მოვიდეს მარტო.

შემოდგომაზე თუ დააყრი მიწას ნაკელს, უკეთესია. მერე უნდა დათოხნო მარტში. ეს არი პირადი გათოხნა ნაპურვალე თუ იქნა, ან ნახიმინდარი, აოშავ. რო ამოვა ხიმინდი, ჭერ ერთხელ გათოხნიან, მერე — მეორეთ. სიმინდის უკუი რო ნაყოფს წამოიღებს და წამოვა, მაშინ ვიტყვით ხიმინდი გვიღოქაო, სიმინდმა წვერი კრა და ამოვიდაო, დაორყურდა ხიმინდიო — ორი ყურა ამოიღოო.

ხიმინდის ჭიშები არი: თეთრი გრანცა, წითელი გრანცა, პატარა თეთრი, პატარა წითელი (წვრილი).

პურის ჭიშები: თავთუხი — თეთრი პურია; ხოტრა — უფრო თაველი აქ და მიტო ქვია; დიკა.

ქერი: კუფერი ქერი და ისე ქერი, ჩვეულებრივი ქერი.

ლობიოს ჭიშები: ჩიტეკერცხა — რვეალია და შავი ხაზი აქ; ზღურულის ლობიო — წითელი ხაზები აქ; გურული ლობიო; თეთრი ლობიო და კიდეე წითელი ხაადრო ლობიო.

მთხრ. ჩიხუა, 70 წ. (ქ. სამტრედია).

დებანო მიწა შავი მიწა არის, კარგი მომცემია. ეწერი მიწა ნაკლები მიწა არის. ჩქონი — გრულიაშემო წყალი უელის, ერთ ადგილს აქვს მისავალი, ფონი აქვს ზაფხულობით, როცა ცხენისწყალი დაიკლებს და ცოტათი დაშრება. ფშანი — ტალახიანი, ნაღლევიარია, წყალი როცა მოიმატებს, იმ მიწაზე გადაიარს, ისე წყალი ყოველთვის არის. ფშანისთავს უწოდებენ აგრეთვე ადგილს, ეწერის მახლობლად (სამტრედის რაიონში), ფშანისთავი სადაც მდებარეობს გლეხები დახალ ადვილს უწოდებენ. ოჯლობურა — ლელეიანი, ლაქაშებანი, და ბალახ-ბულახიანი, ძალიან დაქობებული ადგილია, ისე, რომ ჭირს გასვლა. იქ ხეირობს და ამოდის ლეკურა ბალახი და ცხენკვილა ბალახი. ლეკურა ბალახია, რომელიც ღუს იტანს (გამოაქვს, იზრდება). ცხენკვილა ბავი ბალახია, თეთრი ბალახიც არის, ჭინჭილებიანი, ჩამოკიდებული ბალახი იცის. ჭენჭყო ან ჭონჭყო — ადგილობრივად გამოიყრევა წყალს ნესტი და წყალი. ტუპო ან ტლაპო ტალახიანი ადგილია.

სიმინდის დახათხავით დავიწყებთ მოჩალას, ჭერ — ჩაჩიებ[ი]ხ[ახ], ჩაჩი[ახ] — ჩალის გადნავერ ღერს უძახით. შემოდგომაზე რომ მოვჭრით, სწორეთ ძირს ღერო დარჩება. ჩაჩიებს მოვჭრით, მოუყრი თავს და დაეწვამ. შუა მარტიდან შუა აპრილამდის დაფხავ, შემდეგ დაეჭოლამ კოლბოხებს. კოლბოხს დიდი ბელტს უძახით; დაჭოლას კი უძახით, როდესაც თონის ყვავით და უროთი კოლბოხებს დაეანტროვთ. შემდეგ კარგი ამინდი რომ დადგება, დაეფარცხავთ. მაგრამ თუ მაგარი მიწა არის, ნაოჩარი რომ არის, მაშინ იმას დაქეოშავთ დაფარცხაბდი. დაოშას უძახით, დამორე (დანულში საწინააღმდეგო კვლებს რომ გაავლებენ. — კ. კ.) რომ დაეხნავთ. შემდეგ კი დაეთესავთ შუა აპრილიდან, შუა აპრილამდის — უფრო ეზო-ადგილებში, გადამა კი ვეთესავთ პირველ მაისიდან (ძველი სტილით). ახლად დათესილი სიმინდი, როგორც ნემსი, ისე ამოვა. ამას ვეძახით წვერნაკრავ სიმინდს. წვერს რომ კრავს სიმინდი, იქნება ორყური და შემდეგ რამდენიც გაიზრდება, იპლენი ყური მოემატება. დათესიდან დაახლოებით ოცი დღის შემდეგ, როცა სიმინდი იქნება ერთი მტკაველები ცოტა მეტი გაზრდული, დაეკაპტოვებთ.

კაბტო[ს] ან კაბატო[ს] ვხმარობდით მუშაობის გასაადვილებლად, როცა სქელი იყო ს-ჰინდი და როცა მიწა გამზარი იყო. კაბტოს მაღალი კბილები აქვს, დაახლოებით ნახევარი არშინი ექნება კბილებს სიმაღლე. რომ დაეკაპტოვებთ, მერმედ მარგვლას დავიწყებ და დავჭრიდი ჩალას გამოთონის დროს ერთ არშინზე ან — სამ ჩარეჭზე. არშინზე თუ გაიჭრება ჩალა, მეტი მოსავალი იცის. ოცი დღის შემდეგ ყანას უზამთ მემორე თონს, რომელსაც მარგვლას უანის გამარგვლას უძახით. მოროდის შემდეგ, სანაბდი ხტველას ნოვიცილებდით, დავიწყებდი ლობიოს კრეფას.

სიმინდის თესვის დროს ჩვენ ვეთესავდით აგრეთვე ჭაქურა ცოცხს, ჭაქურა ცოცხი რომ დამწიფდება, თავს გადუტებთ, რომ გასწორდეს და სიმინდის მოტეხას რომ მოვითავებთ, შემდეგ მოვჭრით ცოცხს.

სიმინდის მოტეხას რომ დავიწყებთ, ვიტყვი რომ ხტველობა დაიწყო-თქო. სიმინდს მოვტეხავთ წიფობისთვეში. შემდეგ კი ჩალას მოვჭრით ჭუჭუჩოდან ნახევარი არშინის ქვეშ. შემდეგ ჩალას შევკრავ კონებათ ქღვერით, ბელოს კანით ან ჟინელით, ანდა ჭაქურე ცოცხით. შევდეგ რამოდენიმე კონას ერთად მოუყრი თავს, ავაყენებ ფეხზე და დავაჩერავლებ. დაჩერვალებას ჩვენ უძა-

ხით, როდესაც რამოდენიმე ჩალის კონას ერთად ავაყენებთ ფეხზე და შევკრავთ ჩალას. ვკონავთ აგრეთვე ღოშის ჩაღით, შეიძლება აგრეთვე შეკვრა მისივე ჩაღით. ჩვენ ვკონავთ აგრეთვე კვერთხის ჩაღით. კვერთხი ჩალა სუსტა, წვრილღერიაანი, ადვილი მოხაუფელა ჩაღა არის.

ქცევა ყანაში მოვა საშუალოდ ორი ფარდიანი ურემი სიმიინდი. თითო ფარდიან ურემში ორმოცი გოდორი სიმიინდი ჩავა, გოდორში კი ორბათმან-ნახევარი სიმიინდი ჩადის.

სიმიინდს რომ მიწის ზევით წითელი ფეხვები ამოუა, იმას ოქროს ფეხვს, ოქროს ფეხს უძახით. სიმიინდი დაყოფილია მუხლებად. მუხლებში ამოსული აქვს ჩაღის ფოთლოა. სიმიინდს რომ ღერზე თავი ამოუა, იმას თავნაყარს უძახით. თავზედ რომ წითელი თავები აქვს სიმიინდს, იმას პომპორს უძახით. მუხლებში სიმიინდს ამოდის ტარო. ტაროს შემოხვეული აქ ფუჩეჩი. ტაროს აქვს ხიშიანდის კაკლები. კაკლები სიმიინდის გულზეა ამოსული. სიმიინდს ფუ-ჩეჩი ამოსული აქვს ფოჩი თეთრი, წითელი თუ ყვითელი.

ხიშიანდი ორგვარია ყვითელი და თეთრი. ჩვენებური სიმიინდი ყვითელი სიმიინდია. შეკრული კაკლები იცის და გამოსავალი ნაკლები აქვს. მეორე არის თეთრი სიმიინდი; მსხვილი სიმიინდია და გამოსავალი მეტი აქვს, მაგრამ უხვეურია. მგჩხერი ხიშიანდი, თხლად დათესილი სიმიინდია.

ქცევა ყანაში გამოვა ორასი კონა ჩალა, კონაში კი ორმოცი ღერი სიმიინდი იქნება. ერთ ღერ სიმიინდს ერთ ჩალას უძახით.

სიმიინდს რომ გავფშენით და თეთრი გული დარჩება, იმას ნაკორტალას უძახით.

ჩალას რომ ერთად დაეწყობთ სარზე, იმას ზეინს, ან ანწალას უძახით. ანწალა რომ გავკეთოთ, ავიღებ და დაეწყობ ბარჯგს, რომ ზეინი არ გაფუჭდეს, მერმედ ხეს ვადავადებთ ან ჩაჩაანს, მერმედ მოვეყვები გარშემო სარს და თითო-თითო კონას მომაწოდებს კაცი ჩალას და დაეწყობ დაწყობას. ჩალის კონას, სადაც თავნაყარი აქვს, დავადგამ ფეხს და გარშემო უვლით და ვაწყობთ ზევიდან კონობით ჩალას. თითო ზეინზე ან ანწალაზე დავადობთ თანდათანობით ჩალას, სამას — ხუთას კონამდე.

ჩალას რომ ახლად ამოუა ტარო, იმას ლუტუ ხიშიანდს უძახით — ჯერ კიდევ რომ კაკალი სიმიინდი არ დაზრდია, მაგრამ ტარო რომ მწიფობაშია შესული, იმას კულიანტი ხიშიანდს უძახით, ყვითიანი იქნება (ბარაქიანი).

ბაზე სიმიინდი — ვიტყვი, შემაზებულიაო, უკვე ვხმარობთ რომ მოვტეხავთ იქვე.

ლობო ქცევაზე ხუთი ბათმანი მოგყავს, მაგრამ ლობიო სხვადასხვანაირია.

წითელი ლობიო — გამოსავალი ნაკლები აქვს, გემრიელია, ამოღებისას ეხმარობთ, ხევისანია, რომ გადატეხამ ძაფი გამოყვება. თეთრი ლობიო — ხანდახან ვხმარობთ კეკლათ. თეთრი ლობიოც ხევისანია. გურული ლობიო უხევისია, ამიტომ მეტი წილად ჰყლინტად იხმარება. შიწა ლობიო სიმიინდის ღერს არ ეხვევა, მიწაზედ იცის გაპურტყენა.

კვახებს (გოგრებს) სიმიინდთან ერთად ვეთსავთ. ხოჭორა კვახი — შავკვახა არის, კარგი გემრიელი საჭმელია. ჩვენებური თეთრი კვახი რბილკანიანია. ფიროზი კვახი მრგვალი კვახია. ხახირკავე კვახი — ვხმარობთ სარწყულად, წყლის ამოსაღებად და ღვინის ამოსაღებად. ამ კვახიდან ხირკანს ან ხირკას ვაკეთებთ; ეს კვახი ისე მწარია. კვატულა — პეტერე-პეტერე რგვალი კვახია, ვხმარობთ საზუთხეტ.

პური ითეება წიფობისთვიდან შუა გიორგობისთვემდე. პური ნაპურალში თუ დაითესა კიდეც, მაშინ კარგად უნდა დამუშავება მიწას. მარიობისთვეში უნდა მოეხნათ, მაგრამ პურს ნაპურალში არ ვეთესავთ მაშინ. მოეხნავთ და დაეთესავთ პირდაპირ. ნაპურალში რა დაეთესავთ, სადაც დაბალი ადგილი იქნება, ეს ქე გაეყუან კვლებს, პური ითეება ფილანგარში, ნაყვავილარში და ეწოდება მწვადლი (დაწურტალი) მიწა, ქცევანზე მოგვეყავდა ორმოცდაათ-ოცდაათ ფუთამდე.

პურის ხათხლზე სხვადასხვანაირი გვაქვს. ხოზო პური თეთრია და უქაქავი. გამოსავალი კარგი აქვს. ჩვენებური პური ქაცვიანია, ნაკლები გამოსავალი აქვს, მაგრამ უფრო მოშაოა და გემრიელი.

ლომის, ლომი — ვეთესავდით შუა მისში. ახლა თითქმის გადავარდნილია ამის მოყვანა. ვთოხნით ორჯელ რომ დაეთესავდით, თხუთმეტრიდან სამარგელი შეიქნებოდა; ერთი თხუთმეტის შემდეგ მორილი დაჭირებოდა. ლომისლომს კარგად უნდა დამუშავება, რომ თესლი არ დაიკარგოს. ჭადის ჭადზე იგივე დამუშავება გვინდა, როგორც ლომის ლომზე, ლომის ლომს გავცუხვავთ და მოვხარჩავთ და გავაყეთებთ ლომად.

ჭადის ჭადს ვერ გავცუხვავთ, მერე დეიფქვება. ჭადის ჭადს აქვს მოყვითალო ფერი. ჭადის ჭადი რომ გავაყეთოთ, მისი ცომის ამოსასვლელად საფუარი არის საჭირო.

ღაბახო — ზოგი ჩირბულს უძახით. შევკაყვებთ ღელის პირს, რომ ღელადან არ შევიდეს კვატა, ბატი და ქათამი, ნათესები რომ არ გააფუქოს.

მთხრ. ივანე რომანოზის ძე გიორგამე, 70 წ. (სოფ. ხანი, ბაღდადის რაიონი).

აქ სამუშაოდ მიწა ვარგა საპი-ოთხი წელს, მერე კი აუცილებლად უნდა დავასვენოთ. სამუშაოდ აქ არას წითელი მიწა. ამ მიწაზე ხარობს ვენახი, რადგან სუქანი და წითელი მიწა არის და აგრეთვე ხიმინდიც.

შავი დეხაშო მიწა — ეს მიწა სიმინდისათვის გამოადგება, ასეთ მიწაზედ თუთუნიც მოდის.

ჩვენ პირველი შეხნას დავიწყებთ თებერვალში, ან მარტში. მაგრამ რომელსაც სახნისი ან კაცი არ უდგება, იმას მოვთხოვნით ცალთად — უფრო სუსტად მოიყვანს სიმინდს ეს ადგილი. ამიტომ ოთხი [წელი] რომ ვამუშავებთ ამ მიწას, მერე დავასვენებთ.

პირილის თვეში დავიწყებთ მიწის თხვას და შუა მისამდის მოვთავებთ. აღრე თუ დავიწყებ თესვას, ისიც წყენს სიმინდს და თუ გვიან დავიწყებ ხიმინდის თხვას, ესეც მავნებელია და ვერც მაშინ ასწრებს დამწიფებას. სიმინდს რომ დაეთესავთ, თხუთმეტი დღის შემდეგ კარგი ხამარგელი იქნება თუ კარგი აიერი ექნა. როდესაც პირველი პირს (თოხის) დავამთავრებთ, თხუთმეტი დღის შემდეგ მეორე თოხს უზამთ, რომელსაც მოროდს უძახით. თუ ამინდი შეხვდა, ყანისათვის საკმარისია, მაგრამ თუ ცუდი ამინდი დარჩა, წვიმიანი და ღრუბლიანი, მაშინ შეხამე თოხს უზამთ.

წიფობისთვეში დავიწყებთ ყანის მოტეხას და დამლევაშის დავამთავრებთ თუ ამინდი შეხვდა. ხახიმინდეები ჩვენ ყანაში გვაქვს, რადგან აქ ურემი არ უდგება. ითა ადგილია. შემდეგ მოვჭირთ ჩაღას. თუ შშრალია ჩალა, სახლში მოვიტანთ და დავზვინავთ. მაგრამ ჩალა თუ არ არის შშრალი, მაშინ ძნებად ხეზე ჩამოვკიდებთ.

სიმინდს რომ მიწის ზევით ფეხვები გამოუჩნდება, იმას ჭანჭლის უძახით.

ლობიოს მამინ ვთესავთ, როცა სიმინდს. ჩვენ სხვადასხვა ჯიშის ლობიოს[ს] ვიციტ მოყვანა. ნაკო ლობიო — თეთრი-ჭრელი ლობიოა. დაბალი ლობიო — დაბალია. ლობიო არის ჩალას არ აყობა, ფერად წითელია. მესამე არის — ბორჯომული ლობიო — ეს ლობიო სულ თეთრია. მეოთხე ლობიო არის ბარდა ლობიო, სიმინდზე იცის მოხვევა. თუ ადგილი იშოვა, ორ საყენზე იცის მოხვევა, კეკლები წითელი აქვს. არის აგრეთვე გურული ლობიო, შავი და შრგვალი კაკალი აქვს, ვთესავთ აგრეთვე ჩიტე კვარცხე ლობიოს. ამ სახელს ზემო იმერეთში უძახიან, ხანში კი ამას ბრინჯა ლობიას უძახით.

ლომი. ღომს ვთესავთ დამწო ადგილში (მომწვარ ადგილში). მთავრად რომ ხეებს მოეჩხავთ და იქ ყანას მოეყვანთ, აქას ახალი პირს უძახით, გაღმა (ხანის დასავლეთით) კი უძახიან ახოს. მომწვარ ადგილს ჩვენ სოხანეს უძახით. ავიღებთ, მოვავროვებთ ჩალის ღერებს და დაეწვავთ. ავიღებ მერე და მოვყარი ღომის კეკალს სოხანეზე და მერე მოვთონხნი. ღომი რომ ამოვა, მერე გავთონხნი. ღომს ჩვენ ვთესავთ აპრილში და მაისში. როცა დამწვრდება — ენკენისთვეში და წიფობისთვეში, მოვკრეფავთ, როგორც ადგილი მოსავალს მოიყვანს, მერე ღოუშენთ კეტს და გამოვშენთ, მერე გავაბრელებთ, როცა ქარი იქნება, ფეტვი ცალკე წავა და კეკალი ცალკე. (გაბრელებას სამტრედიის რაიონში დაბერტყვას ეტყვიან. — კ. კ.). რომ მოვხნავთ, შემდეგ დავფარცხავთ.

პური. მოსატრებ ყანაში ვთესავთ პურს მარიობისთვიდან შუა ენკენისთვემდე. პურის კაკალს ჭერ დავყრით და მერე მოვთონხით. კვირიკობისთვეში მოვკრით და მოვყავლებთ კვრით თუ ამინდი იქნა.

ფეტვი. აგრეთვე ფეტვსაც ვთესავთ. ითესება მარიობისთვეში. ჭერ დავხნავთ, მერე დავეთესავთ, რომ ამოვა, შემდეგ გავქმარგლით. ფეტვს მოვკრევთ ეკენისთვეში. ფეტვს ვხმარობთ წვრილფეხისათვის, საჭმელად.

მთხრ. ბიკინტი ანდრიას ძე გედენიძე 60 წ. (სოფ. გორდი).

პურის ჯიშები. კატხილი პური — წითელი კაკალი აქვს და ქიცვიანია. ზანდური პური — ქუცურე თავი აქვს. ნადური პური — წითელი პურია და კარგი საჭმელია და ყველაზე უკეთესია. ქუცურეთავიანი პურს ვკრეფავთ შინკვით! ორი ჯონს გამოვამბთ ბაწარს და, როცა პურს ქუცურე თავი აქვს, მამინ თავთავის ქვეშ რამოდენიმე ღერს ერთათ შევებრავთ, ჩამოვადებთ შანკეს და მოუწყვითავთ თაველს.

მთხრ. იახონ ხაბას ძე მოხელიძე, 63 წ. (სოფ. ვანი, ვანის რაიონი).

ღებაში მიწა ფერად დაშაოა. სიმინდისათვის ეს მიწა კარგია, მაგრამ ეს მიწა ჭალეზშია. ჭალეზს ჩვენ უძახით, მდინარის პირად რომ არის, უფრო მოღაბლო ადგილებია. ნახილარი მიწა — მდინარე სულორი და მდინარე რიონი სილავეს, თავის მარჯვენაპირით შავი მიწას ჭობიან ყანის დასამუშავებლად. ქინჯაურა მიწა — წითელი მიწა არის, ვხმარობთ ყანისათვის და ვენახისათვის, ოღონდ დასამუშავებლად ცუდია, თორემ, ისე კი კარგი მიწა არის.

სიმინდს ჩვენ ვთესავთ ნასილარ მიწაზე და შავ ღებაში მიწაზე. მარტის თვეში მოვჩალავთ და თებერვლის თვეში გავწმინდავთ მოჩალულს. შუა მარტის შემდეგ დავხნავთ გუთნით, მერე კავთ დაუაქვით. სიმინდს ჩვენ ვთესავთ შუა აპრილიდან. სიმინდი თავს რომ ამოყოფს და ორი ან სამი ყური ექნება,

! იგულისხმება შნაკი.

იმა უძახით წიწილა ხიშინდს. სამი კვირის შემდეგ პირველად უზამთ თობს, რომელსაც მარგვლას უძახით. ერთი თვის შემდეგ მეორე თობის პირს უზამთ, რომელსაც მოროდს უძახით. სტველი იწყება ოთხი თვე-ნახევარი რომ დამთავრდება დათესვიდან, მერმედ დავერყებთ ყანების მოტეხას. ჯერ სიმინდს მოვტეხავ და მერე ჩალას მოვჭრი, ჩალას მოვეკონავ. წამოვიღებ სახლში და დავდგამ ზვინებად. ზეინს ვდგამ ასე: დავასობ სარს, ქვეშ დავყრი ჩენჩს (სიმინდის მონაჰერა). ზეინს მეორენაირად უძახით ჩენგელას. სარი დასობილი რომ არის, მე იქ დავდებდი, მეორე კაცი ჩალის კონას მომაწოდებს, მე კი [ქმუშაობ, კონას რომ მოჰყემს, თავს დავადებ (ჩალისას) ფეხს და ასე შემოვყვები და ვაწყობ. ერთ ჩენგელაზე შეიძლება დავეყვას სამაისიდან — ხუთას კონამდე.

ხიშინდი მოგვყავს ყვითელი და თეთრი. ახლად ამოსულ სიმინდის ძირს ფესოებს ვეძახით, მაგრამ შემდეგ, როდესაც მომძლავრდება ფესო და მიწის ზევით ამოვა და თანაც შეწითლდება, იმას ოქროს ფესვებს უძახით. ყურები სიმინდს მუხლებში აქვს გაკეთებული. ხიშინდის თავებს აქვს პატარა შეწითლებული, რომელსაც კუნეულს უძახით. ერთ კეკლებიან სიმინდს ტაროს უძახით. კეკლები დამაგრებულია კოტაზე ან ნაკორტალაზე. კეკლებიან სიმინდს შემოხოვილი აქვს, რომელსაც კურტალას უძახით. სიმინდს წვერში წვრილი ბეწვები აქვს, რომელსაც ფოჩვს უძახით.

ლობიო სხვადასხვანაირია. წითელი ლობიო — ამოღესილ ლობიოს ეკეთებთ, კეკლათ შეკვანამეთ, ჰყლინტათ კი იშვითად იხმარება, რადგან ხიქვიანია მისი კანი, ქონა ლობიო ჰყლინტად იხმარება, კაკალიც იხმარება. ამოქნა ამ ლობიოსი მაინცდამაინც არ ვარგა. მიწა ლობიო პატარა ლობიო არის. ამისი თეთრი და შავი ლობიოც არის. ჩეჩვს გრძელი აქვს, იხმარება კეკლად შეკაზული. დაბალი ლობიო ყვითელია, ტანად დაბალი, ვხმარობთ ამოღესილად და მოჩეჩქელიათ. ამ ლობიებს შოვლა ისე უნდათ და მუშაობა, როგორც სიმინდს, მხოლოდ რომ დამწიფდება, ლობიო, მაშინვე მოვკრიფავთ, თორე გამხმარმა ლობიომ მიწაში იცის ჩაყრა.

მთხრ. იავორ კაცობ ძე ახზანძე, 68 წ. (სოფ. პატარა გუბი, ხონის რაიონი).

ნოლა მიწა — შავი მიწა არის. დიხაშო მიწა — რუხი მიწა არის და ბევრნაირი ფერზე იბზირება. წითელი მიწა — ხავენახე მიწა არის.

კატო დედამიწის გასაფხვიერებლად იხმარებოდა ძველად. პირველი და მეორე თობის დროს როგორც დედამიწას გაუმაგრებოდა პირი, მაშინვე ვიხმარდით. ის მორწყვის დროსაც ძალიან კარგია.

ხიშინდს რომ დაეთესავთ და მისი თავი გამოჩნდება მიწიდან ისარივით; ვიტყვით — სიმინდი აპოწვერილაო, სიმინდს თავი აპოწვერილი აქვსო, შექდეგ კი ვამბობთ — ორყურა და ხაყურა ხიშინდს. პომპორს ან თავს ჩალის თავს უწოდებთ. პომპორმა იცის ყვავილი. ხიშინდის კაკალიც ამ პომპორიდან ჩნდება. ჩალას რომ პომპორი გადაეტეხოთ, ჩალა ტაროს ვერ გამოიღებს. პომპორიდან ჩნდება დაპეველა (განაყოფიერება. — კ. კ.). სიმინდს რომ მიწაში აქვს, იმას ფესოს ვეტყვით, მაგრამ სიმინდის ფესო რომ მიწიდან ამოვა და თავი გაუწითლდება, იმას კი ჯეგბს ვეტყვით. სიმინდს ყურებში აქვს კოჭები, ანუ მუხლები, ტარო — კეკლებიანს ვეტყვით; კაკლებს რომ შოვაცილებ ტაროს, ნაკურჩალა, ანუ გუგულა დარჩება. ტაროს რომ შემოხვეული

აქვს, იმას ჭურჩანას, ანუ ტაროს პერანგს ვეტყვი. ტაროს რომ პერანგს მოვაცილებთ ხელით, იმას გაჩიღვას, ან ტაროს გამოღვებას ვეტყვი. ტაროს რომ თავში ზოწვები აქვს, იმას ვეტყვი ბოწვებს, ანუ ხიმინდის უღვაშებს.

პურის გიშები. პურისათვის მიწას ჯერ დავხნავთ, მერმედ დავთხავთ და მერე დავფარცხავთ, მერმედ პურს ამოვფარავთ. ამოვფარვას ჩვენ ექვსაბით, კვალს რომ გავავლებთ პურში, იმას ამოვწმენდავ, ანუ ამოვფარავთ.

თეთრი ხოზო პური — რგვალი, მოფსხო და ღარიანი კაკალი (მარცვალი) იცის, ფქვილი თეთრი გამოდის, ზელის დროს შემატება იცის. წითელი ხოზო პური, ფერით ვარჩევთ მარტო თეთრი პურისაგან. გრძელუღვაშიანი პური — ტყელი და ოთხკუთხედიანი თაველი იცის, უღვაშები აქვ გძელი. პური ქარგი იცის, მაგრამ წითელი ხოზოსფერი აქვს, სატეხადაც მაჯარია კალთაში. **გაზაფხულის პური** — ითესება მარტში და შემოდის ივანობისთვის დამლევში. პატარა და მოკლე თაველი და შავწითელი ფურცელი იცის, პურე პატარა აქვს. სიმადლითაც პატარა იზრდება. საშუალოდ ქვევაზე ოცდაათ — ორმოც ბათვამდე მოდის.

პურს ვჭრით ნაშგლით, შემდეგ დღეეკით ან წენელით შევკრანეთ კონას. მოვქნით კალოს პურის გატეხის დროზე და გავყრიდით ზედე (კალოზე). პურს ვტეხავთ კვლით. მისი ქვეშე მხარე კყით არის მოჭედლი. პურს გატეხის დროს ფიწლით გადავებრუნებ პურის თაველს, მერე მზუსა და პურს დავაშორებ. პურის კვალს ნიჩბით ავანიაებთ.

გორა — მიწას რომ ყოფს მესაყურთერეშისაგან; გორა თითონ აღგილია. **ხანგალი** — გორაზედ, თხრილის თავზედ ამოსულ ბალახს ვეტყვი. **აგარა** — იგივე ხაქარია (ასედაც უწოდებენ), თითონ რომ ამოვა ხხთედ (ეკლიანი ბუჩქი. — კ. კ.).

მთხრ. ბეხარიონ ნაყოლოზის ძე კობზერიძე, 59 წ. (სოფ. ნოლა, ხონის რაიონი).

ჩვენ აპრილის თვეში დავიწყებთ თევზას. ჯერ დავხნავ და დავთხავ; არც დაოშა და არც დავფარცხვა აქაურ მიწას არ უნდა, რადგან რბილი მიწა არის. დათესვის დროს ალაგას წალკატს ვხმარობთ, რადგან ქვიანია, ალაგას კი — კავხა და უღელი. სამი კვირის შემდეგ ხიმინდი რომ ამოვა, პირველ თოხს უზამ; ამას ვეტყვი შარგვლას. სიმინდი რომ სამყურაზე ამოვა, უნდა გავიშარგო. გამარგვლიდან სამი კვირის შემდეგ შორადი უნდა. შორიდის შემდეგ, როცა გახმება, მოვტეხავთ, მერე გავარჩევთ და შევყრი სასიმინდში.

მიწის ზევით რომ ფხვებში ამოვა, იმას ლოფებს უძახით. ხიმინდის დერო დაყოფილია მუხლებით. მუხლებში ხიმინდის ყური ამოდის. სიმინდის წვეროში არის თავნაყარი. სიმინდი რომ ნაყოფს გამოიღებს, იმას ტაროს უძახით. ტაროში არის ნაჭუჩალა, ნაჭუჩალაზე არის კაკლები. ტაროს რომ შემოხვეული აქვს, იმას ქენჩულას უძახით. ულაშ კი უძახით ტაროსა და ქენჩულას შუა რომ არის წვერში ამოსული. სიმინდს რომ წყალი შეუდგება და გაყვითლდება, ამას სიმინდის მოწაყვას უძახით. მაგრამ სიმინდი რომ სიხმელეს მიიღებს, სიტყეში გახმება და ღამის სიგრილეში ისევ განედლდება, ამას სიმინდის გაყოფებას უძახით.

სოკო — სიმინდის ავადმყოფობა არის. დოხოკონი სიმინდს ჩვენ უძახით, გვიან რომ დავთხავთ. კამეტე მიწას კი ჩვენ უძახით, ტყეს რომ გავჩეხავთ და შიგ ხიმინდს დავთესავთ. ყამირს — ჩვენ ექვსაბით, ათი-თხუთმეტი წლის დაუბეღავ ტყეს. კორღანი — საზღვარია, პატრონი რომ საზღვრას გავ-

ყვანდა თავის მიწისას. კორდანში ჩაეყრებოდა ნახშირი და ეს იყო ნიშანი გაყოფილობის მიწასა. ხურგი — კორდნის შემდეგ რომ განაწილდებოდა მიწები. იმას უძახოდით. თარჯიანი ხე — გაყოფილობის დროს ჩადგმული ხე, ნიშნის აღმნიშვნელია.

ლომის დათხვა. დაეხნავთ, დაეთესავეთ პირველში. სპი კვირის შემდეგ გაუთხნით, შემდეგ დავამოროდებთ. ენკენისთვეში დამწიფდება და მოვიტანთ სახლში, დაეყრით და დაეახზობთ. ვისაც დრო აქვს, წიფობისთვეში გაცეხავს ლომს. მოკრეფა თაველის — ლომის თაველს რომ მოვკრით, იმას უძახით.

მთხრ. სპირიდონ ეგნატეს ძე მახარაშვილი, 83 წ. (სოფ. წყნორი, ტყიბულის რაიონი).

ჩვენში არის თავის თვისებების მიხედვით შემდეგი მიწები: ქსორო მიწა — გლახა მიწა, თხნარაიანია და ხილნარაიანია. ამ მიწაზე ამოდის გუმბარა ეკალი, იელი და შქერი. აუალო მიწა — ისიც უნაყოფო მიწაა. გამოდგება ჭურის საგლესად. პარტახი მიწა — ვარგისი და ნაყოფიერი მიწაა. მანე ვთესავთ ხიმინდს, ლომს, ლობიოს. ძვირად, საერთოდ, ოკრიბაში ასეთი მიწა. თებერვალში ჩალს გადანაქვრს მოეჩხავთ, დარი თუ იქნება, დაწვეათ. მარტი რომ დადგება, თხუთმეტიდან (ძველი სტილით) კეკალს მოვებნევთ კობინჯრობამდე (ე. ი. შეიდ მისამდე). სიპინდის კაკალს კარგათ მოვებნევთ მიწაზე და



სურ. 55 ტუპი.

დაეხნავთ კავით. შუა ნაისი რომ მოვა, შეიქნება საზარველი. მერე მეორე თობი ექნება, რომელსა გამოროდებას ვეძახით. მერემდ დამწიფდება და დაეიწყებთ მწიფობას (რთელს. — კ. კ.). მოვტეხავ სიმინდს თავის ქურჩიანათ და დაეარჩევ სახლში მაშინვე, თუ მცალიან და ჩაეყრი ნალიაში. ნალიაში იქნება იანვრის ელენეაძლის. შემდეგ დაეეფშენი ძარში ტუკით და ჩაეყრი ხაროში და შემდეგ ვიხარჯებ. ჩალას მოვკრი, რაეაც ტარი მოტყდება და აეკონავ, ღლიაზე რომ დეეტევა, ღომის ჩალით აეკონავ. თუ ნედლია, დაეაჩერგალეხ, სანაძის არ გახმება. დაჩერგალეხას იმას ვეძახით, რამოდენიმე კონას ერთად რომ აეაწყობ. შემდეგ (როცა გახმება — კ. კ.) ვიცით ავადება ხეზე. მე ავალ ხეზე და ქვეშიდან ამოდება კაცი ერთ კონა ჩალას ჩანგალით და მომკემა მე. მე ავიღებ ჩალის კონას, კულს გაუხსნი შვაზე, გავტოვ მეორე ჩალის კონის კულზე და გავადაბამ ერთმანეთზე და ჩამოვიკიდებ შტოზე. ამას გადაყვანტიღებას ვეძახით ჩალისას. თუ არა და, დაეწვინავ — დაეასობ ერთ დიდ სარს და დაეიწყებ ჩალის წყობას კულით, შემოვადობ სარზე თავს და დაეწვინავ. როცა დამთავრებას მივადებდი, ჩალას მოუკვაპინებთ კულს (მოუკრავთ კულს) და ჩამოვანცობთ სარს თავზე ოც კონამდე.

ხიმინდი ორგვარია — თეთრი და ყვითელი. მესამენიარი სიმინდი არის ხადრეო სიმინდი; გვიან ვთესავთ, მისის ბოლოს და მოდის მწიფობისთვეში ან ენკენისთვეში. სიმინდი რომ ამოყოფს თავს მიწიდან, იმას ვეტყვით ამოწვერვას, ანოწვერვის შემდეგ ვეტყვით ორ ყურს. მარგვლას რომ ვიწ-

ყვებთ, ოთხი-ხუთი ყური ექნება და ვიტყვი, „შეიქნა ჩვენი სიმინდი სამარ-გულური“, ან ასედაც ვიტყვი: „მუხლის თავზე ამოსულა სიმინდი და მარგვლის დრო არისო“.

მოროდის დრო რომ მოვა, სიმინდს ექვსი ყური (ყურს სიმინდის ერთ ფურცელს ეტყვიან. — კ. კ.) ექნება. მოროდებას ვიტყვი, **მუხლის ყრის დროს.** მუხლს ვეძახით, როცა ჩალა ღერს გაიკეთებს, მუხლს ნაოპი აქვს შემოყოლებული. სიმინდის ღერს ზევით თავნაყარი ექნება, რომელიც ტაროს ამოიღებ. ულაშს ჩვენ ვეტყვი. ბევრი რომ აქვს ტაროში ამოსული. ქუჩას კი ვეტყვი, ტაროს რომ აქვს შემოყოლებული. ტაროს კეკალი აქვს. ტაროს რომ აქვს კეკალი მოკრული, იმას შიგნით ქურჩას, ან ნაფშვენს ვეძახით. კარგ სიმინდს ვეძახით კარგს ნაგარებს, ან კარგი სიმინდს. მაგრამ სიმინდი როცა ცუდია და პატარა არის, იმას ვეტყვი **კვაჟი ხიმინდს.**

ღოშო. სიმინდის უმაღლესი ღომი ითესება. მარტი რომ დადგება, დევიწყებთ ღომის თესვას თხილით. ღომისათვის [ს] ღრმად მოხნა არ უნდა, მერე დევიფორცხება. ფორჩხი წამოიღებს ჩენჩებს და დატოვებს გორას, რომელსაც ნაგორს ვეძახით. ასეთ ნაგორს რამოდენიმეს გავაკეთებთ. მარგვლის დროს თითო კაცი თითო ნაგორში (კვალში) ჩავვდებით და [ვ]მარგვლავთ ჩაუჭებული, მუხლმოკეცილი ვართ და გვაქვს ჩამოცმული სამარგელა. ღომის სამარგელას პატარა ტარი აქვს და ხელში გვიკავია და [ვ]მარგვლით იმით, ცალი ხელით ვჭრით ბალახს სამარგვლათი. ამას ვეძახით ღომისთვის ხელით სამარგვლას. მერე გავამოროდებდით. მერმედ სამარგვლაც შეიძლება თხილით დაეგოს. სანამ-ღი მარგვლა დაჰირდებოდა ღომს, მანა გავშამბავდით (გამოვშენდით ბალახებს). შეიძლება ღომი გამოვარჩიოთ. მოროდის შემდეგ თავი რომ გამოუჩნდება ღომს, ვიტყვი, „ღომი ითავლებო, თავი ოუყრია და დათავლულო“. რომ გეინუნს ღომი შვიფე კაჯალს, ვიტყვი — „შეხოშოა ღომი ცოტაო“, მაგრამ როცა დამწიფდება — დამწიფებულა ღომიო. შემდეგ მოვკრავთ და-ნით ღომს. ღომს კენწში მოვჭრით თაველს, გავხმობთ მერე და შევიწახავთ ბეღელში. მერე ამოვიღებ, როცა გახმება კარგად და გავეცხვავთ საცეხველში ხელკავით. მაგრამ არის წყლის საცეხველი. წყალი გამოდის ღრმში, წყალი ღარიდან როფში ეცემა. როფის გაგრძელება არის ხელკავი, ხელკავი ცეხვავს ღომს საცეხველში. ღომი რომ გაიციხება საცეხველში, იმას ჩენჩი გაცილდება. სწორედ იმას ნაგორს ვეძახით. რომელიც გაციხვის შემდეგ რჩება, იმას კი კაჯალ ღოშს ვეძახით. ღომს აქვს ძირი, შემდეგ არის ღომის ჩალა. ღომის ჩალასა და თაველს შორის არის კანი. ნამკელს კი ვეძახით, როცა ჩალა ღომის მოიჭრება და მიწაზე დარჩება.

წვრილი ჭადი — ზოგი ფტაცს ეძახის ან კიდევ ჭადის-ჭადს. ისე უნდა მოვლა, როგორც ღომს, მხოლოდ წყლის საცეხველი არ არის საჭირო, რად-გან წისქვილში ვჭქავთ ფქვილად. გვიან ვთესავთ, მანისიდან შუა ივანობის-თვემდე და მოდის კი ჩვეულებრივ. თუ ადრე დავთესავთ, მარტი რომ გვიღე-ვა, მანც იმ დროს მოვა, ეკენისთვეში. ჩალას რომ ავიღებთ, წვრილი ჭადის ჩალას ვეტყვი.

ღობიო. ბადი ღობიო — კუნტია, პატარია, წითელი, ყვითელი და ჭრე-ლიქა. **ბაწარი ღობიო** — ზოგი ჭრელია, წითელია, თეთრია. შავია; ზოგი კი ამ ღობიოს ჩიტყვევრცხას ეძახის. ჩიტყვევრცხა ღობიო — **ბაწარა ღობიო**, ჭრელია, რვეალია, უფრო შრალად გასაკეთებელია. **წითელი ღობიო** — ისიც ბაწარიანია და ამოსულია ბაწარზე. **ხეგაღია ღობიო** — ბაწარიანია ღო-

ბოა. ხეზე გაღის, ფერად ქრულია, მოგრძო კეკალი აქვს. პურტუვი ლობიო — მუხუღოა.

ჩენში კავი იხმარება და ფარცხიც.

ძვენი რაზა

მთბრ. ფარხადან დვალაძე, 85 წ. (სოფ. ქვედა შავრა, 18, VII, 1935 წ.)

ქვემო რაჭაში მარტას უკანასკნელ რიცხვებში იწყება საგანაფხულო თეგვა. ამ დროს თესენ სიმინდს, ქერს, ზოგიერთ შემთხვევაში — პურხაც. სახენელს შეამზადებენ — თუ ხანისი ძველია, მკვდეულს გამოაირიებენ (ახალ ფოლადს მოადებს წვერისაკენ და გაქლიბავს), უღელს გაწმენდენ (სახენელის უღელი სხვაა, გრძელია) და ახალ ღვლეკს ჩაბამენ. თესას შეამზადებენ: შეურევენ სიმინდში კვახის კაკალს, კანაფის კაკალს და ჩაყრიან გულაში ან ტომარაში. ყანას დახვნამდი გაწმენდენ ქვიასა და ჩალის ნალერალებიანად.

ხენის დროს ყანის დახვნა იციან სიგანეზე. ჯერ მონახევენ ცვლებს გაავლებენ ერთიმეორის დაცილებით). ამ ნიბებში მოთესენ თესლს და შემდეგ დაიწყებენ ხენას. თუ ერთ უღელ ხარზე მეტია გაბული ნახნავში, ერთიმეორეზე მიყოლებით აქვთ გამართული სახენელი და ერთი მეორეს მისდევენ. თუ ხარები კარგად ჰყავს შეჩვეული მხენელს და იცის მათი ზნე, წინ გამძლოლი ჰაპირო არ არის. მაგრამ ხარები თუ ფშუქობენ (არ ემორჩილებიან მხენელს), ხართავისაზელი თოკით მოუძღვით მათ დედაკაცი ან ბავში.

დახენის შემდეგ ზოგიერთ შემთხვევაში იციან დაფარცხვა, განსაკუთრებით პურის და ქერის თესვის დროს. ფარცხს აკეთებენ ფარჩხისაკენ (გაუწმენდავი, გაუსხეპავი წნელი). თავს შეუკრავენ ფარჩხს ორი ვიწრო მოსქელო ფიცრით; ფიცრებს შუა მოქცეულია ფარჩხის თავები და ფიცრებს ამოკრილი აქვს ფარჩხილის ორი ამოსაყრელი. ფარჩხილებით ფარცხი შეერთებულია უღელზე. ფარცხის ბოლო წნელით არის სიგანეზე ორფად გადაღობილი. კაცი დადგება ფარცხზე და ისე ურეკება ხარებს. წინათ სცოდნიათ ჯერ დახვნა, შემდეგ მოთესვა და დაფარცხვა. ესლა ეს წესი გადაგდებულია.

როცა ყანა მთლიანად დახნულია და სიმინდი დათესილია, ხელს მიყოფენ ლობიოს დარგვას. ლობიოს რგავენ ქალები — ხელში უკავიათ კორვა, ლობიოს იღებენ კორვიდან ოთხ-ხუთ მარცვლად, ბელტს ფეხით აბრუნებენ და ჩაყრიან ლობიოს მარცვლებს, მერე ისევ გადმოშლიან ბელტს. თუ ახალ ნახნავზე არ ირგებდა ლობიო და ბელტები გამხმარია, თოხით თხრიან მიწას და ისე რგავენ.

სიმინდი ამ რაიონში გვხვდება ორი ჯიშის: ერთია ადგილობრივი, ჩვენებურ სიმინდს ეძახიან. წერილი ალისფერ კაკლიანია. ტაროს უდიდესი სიგრძე 15 სმ, ადრე შემოდის, შუა აგვისტოში უკვე მწიფეა. ამ სიმინდმა ღეროც დაბალი იცის. რასაკვირველია, ადგილობრივ ჯიშად ცნობილი სიმინდი იგივე ამერიკულია, მაგრამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში სახეცვლილი და ადგილობრივ პირობებს შეგუებული. მეორე — ფართეკაკლებიანი სიმინდი, რომელსაც აქ ამერიკულ და ამათანავე ჰგრიანის სიმინდს უწოდებენ. ეს ჯიში უფრო ქვემო იმერეთიდან და სამეგრელოდან არის შემოსული, რადგან ამ კუთხეებში უმეტესად ასეთი სიმინდი გვხვდება. ფართეკაკლიანი, თეთრი სიმინდიც გვხვდება.

კვახის (გორის) ორი ჯიში გვხვდება: ხალორე კვახი, სქელქვიჩიანი და წვრილკაკლიანი. ქერქვე კორხლები (წამონაზარდები) აქვს ხშირად. იზრდება

კაცის თავის სისხლს და უფრო მეტიც. ზოგი გრძელია და ზოგი მრგვალი. თათრული კვახი — თხელქერქიანია, ფართეკალებიანი, თეთრი ზურისაა, მორუხოც, საზამთროსოდენა და უფრო დიდიც იზრდება.

სიმიინდს აქა-იქ გაურევენ და სიმიინდთან ერთად თესვენ კანაფხს. აქ ჭფრო ნეტად რუხი კანაფი იცის, თქორი კანაფიც მოყავთ.

როგორც აღნიშნულია, გაზაფხულზე თესვენ ქვემო რაჭაში: პურს, მაგრამ უმთავრესად პური შემოდგომის ნათესი იცინან. წინათ უფრო გავრცელებული ყოფილა პური თესვა. თუმცა ეხლა უფრო ნაკლებათ თესვენ პურს. მაგრამ ძველი ჭიშები პურისა მაინც დავიწყებული არ არის.

პურის ჭიშებიდან აღსანიშნავია ექვსი სხვადასხვა ჭიში: პური (ან როგორც უწოდებენ აგრეთვე — წმინდა პური) — დაბალი მომსხო ღერო, თაველი მოკლე და პტყელი, ფხა გრძელი. წვრილი ყვითელი მარცვალი იცის. პური ყვითელი ცხვება ამ ჭიშისაგან. თავთუხი — მაღალი. მსხვილლერიიანი, თაველი გრძელი და პტყელი, ფხა საშუალო, მარცვალი მსხვილი და მოთეთრო. პური თეთრი ცხვება. თეთრი ხულუგო — თავთუხით მაღალი და მსხვილლერიიანი, თაველი გრძელი, რგვალი და ტიტკელი (ფხა არა აქვს). წითელი ხულუგო — თეთრი ხულუგოს ტანის, კაკალი უფრო წვრილი, პური გემოთი ჩამოუვარდება თეთრი ხულუგოს პურს. ზანდური — საშუალო იზრდება ტანად. თაველი მსხვილი პტყელი და მოკლე. ფხა — გრძელი, მარცვალი მომსხო და მოთეთრო. პური თეთრი ცხვება (რაჭაში თითქმის აღარ გვხვდება. ლეჩხუმის სოფლებში — თაბორში და სურამუს ვნახე).

დეკა — დაბალი იზრდება და ღერო წვრილი აქვს, თაველი მოკლე, ფხა გრძელი. მარცვალი წვრილი და მოალისფრო. დიკას სქელი კანი აქვს. პური მოშუგო ცხვება. სქელ საცერში (სამტკიცში) ცრიან სითეთრისა და გემოსათვის. დამახასიათებელია ქვემო რაჭაში გავრცელებული ირონიული სიმღერა:

გენაცალე ქერის პურო,
ანაცრო დიკისაო,
ქალო, შებრალუბა გქონდეს
ჩემისთანა ზივისაო.

ქერისა და დეკის ანაცერის პური მაინცდამაინც საქები არაა, რომ გენაცალე ეთქვათ.

ნათესებიდან პირველათ პური შემოდის. პურს მკიან ნამგლით და შეყო-ნავენ პურის ღეროებით. კონებს დაუყრიან თავს ძნებათ. სიტყვა „ძნა“ აქ არ იცინან. ამის მაგიერად ხმარობენ „ცამეტს“, „დაცამეტებენ“. ოცი კონა პური შეადგენს ერთ ცამეტს. უეპველია, წინად ცამეტი კონა შეადგენდა ერთ ცამეტს. ეს რომ ასეა, ამას ამტკიცებს სხვადასხვა განასზღვრა „ცამეტისა“. სადმელში და მის ახლო სოფლებში, კატო კერესგოლიას თქმით, ოცი კონა შეადგენს ერთ ცამეტს; ბაჭში, ქვედა შავრაში, ლაღიშში, ბარეულში და პატარა ონში თუთხამეტი კონა იციან ცამეტად.

კალოში გაიდგამენ სამ-ოთხ ცამეტს, გაშლიან კარგად შთელ კალოს ფართობზე. „მოწმენდილ ცას“ შეურჩევენ. თუ დილა ღრუბლიანია, არჩევენ არ ეკალოვონ. კალოში ჩვეულებრივად ხარებს გააბამენ. იციან ცხენის გაბმაც. რამდენჯერმე რომ შემოუვლიან კალოს, „უქცევენ“ (ორთითით გადააბრუნებენ სალუქ პურს). სანამ პურს გალუწდნენ მთლიანად ოთხჯერ — ხუთჯერ უქცევენ.

გალეწილ პურს ნიჩბებით და არნადით მოუყრიან თავს და ნიჩბებით ანიავებენ. განიავებულ პურს მოკაებავენ. მოკაების დროს კაებაში ვადის პური და სარეველა მცენარეების კაკლები, ქვები და შერჩენილი ბალახ-ბუღახი რჩება. შემდეგ ამ პურს მოცხრილავენ. ცხრილში ვადის სარეველა მცენარეების მატკეაქანას, ძაღლისპურას, შვლივას კაკლები. ცხრილში ვადის აგრეთვე სილა, მიწა, წვრილი კენჭები. რჩება პური და სარეველა ბალახის — კვარკვალბის კაკლები, რომელსაც დაღვჯის ან თესლის შერჩევის დროს ხელით გამოარჩევენ.

გაცხრილულ პურს კალათებით და ტომრებით ეხილებიან და ყრიან ბელის თვალში. წინასწარ სათებლიდ გადარჩევა ამ დროს არ იციან.

პურის მოწევის (გომკა — გალეწვა — შენახვა) შემდეგ იწყება ლობიო-ობა ლობიოს ბარდიანა იღებენ, ძარებით ეხილებიან, გაყრიან კალთზე და მზე რომ დააფიცებებს, ხის კეტებით ბეგვენ ზარდებხს. პარკი სკდება და ლობიო იყრება მიწაზე. ლობიოსაც მოკაებავენ და მოცხრილავენ. სხვადასხვა ჭიშის ლობიოს ცალცალკე ინახავენ ბელის თვლებში ან კოდებში.

სიმინდს ორჯერ თოხნიან. პირველ გათოხნას საერთხელოს უწოდებენ, მეორეს — ხამოროდოხს. საერთხელო თოხნა მისში უწევს. ამ დროს ყანას ღრმად თოხნიან და ყველა ბალახებს ძირზე ავლებენ (ძირიან კრიან).

სამოროდო თოხნა უწევს იენისში. სიმინდს ამ დროს ძირში გარშემო შემოაყრიან მიწას, რომ გვადვას გაუძლოს სიმინდმა. კარგმა მეთოხარმა სიმინდებს შუა მიწა არ უნდა მოფხიკოს და შიშვლად არ უნდა დატოვოს, რომ მიწა გვალვის დროს არ დასკიდეს და სიმინდს ძირი არ გამოეფშუტოს. თოხნის დროს სიმინდს თვალში გაარიგებენ, ზედმეტს გამოჭრიან, რასაც ამასთანავე გამოჩაღვას უწოდებენ.

გამარგვლას აქ მხოლოდ ჭეჭილის სარეველა ბალახებიდან გაწმენდას უწოდებენ.

აგვისტოს დაპლევადან იწყება სიმინდობა. სიმინდს კრიან სასხლავით (ფართუპირიანი დანაა, ყუა სქელი აქვს, წვეტი მოლუნული აქვს, პირს ვადმოცილებული. პტყელი სახელურით ჩამაგრებულია ხის მოკლე გათლილ ტარში). ყანა თუ შორსაა, იქვე არჩევენ სიმინდს. ტაროს ცალკე ეხილებიან ძარებით და ჩალა ცალკე. ჩალის დაწვინვაც იციან. ყანის პირზე — სხლებზე — სშირია ხეები, ანუ როგორც აქ ეძახიან საბელავები. საბელავის შუა შტო შერჩეულია ზვინის გულად, დამსხველბულია. ზვინის საგულე შტოს გარშემო განზე წაზრდილ შტოებზე მოაწყობენ ჩალის კონებს. კონაზე კონას აწყობენ და ამრიგად აღის თანდათან ზვინი. ზვინი ბოლოდან თანდათან ვიწროვდება და სულ თავში თითო კონა ჩალა თუ ეკერება ზვინის გულს, ზვინის აყვანის დროს გზადგზა გულს აბევენ ჩალის ფუჩჩხს, რომ წვიმა არ ჩაეპაროს გულს, ჩალა არ წახდეს. ზვინი თივისაც იციან. იენისში, როცა პირველად თობავენ, თივას სათიბშივე დაზვინავენ, მაგრამ აქ ზვინის საგულედ გრძელი მსხვილი მარა იციან. ამ სარს თავს წაუმახავიენ (გაუმახვილებენ) წალღით (ნაჭახის სვავისი, უფრო წვრილი, სასხლავით აქვს ვადმოსული წვეტი პირზე) და დაასობენ სათიბში. თივას მოაგროვებენ ფიწლით, ორთითი და ფოცხით (სავარცხელივით აქვს კბილები, ხისაა, აქვს გრძელი ტარი). ზვინის გულის გარშემო მოაწყობენ ფარჩხს და ფიწლით ამ ფარჩხზე დებენ თივას. როგორც ჩალის ზვინს, თივის ზვინსაც ბოლოდან თანდათან ავიწროვებენ, შემოდგომამდე თივა მიაქვთ სახლში და ხაბჭელში ინახავენ. თივის დაზვინვა სათიბში იმდენად არის აუცილებელი, რამდენად სათიბის გარშემო სშირად სიმინ-

ღია დათესილი და გზა არ არის თივის გამოსატანად. ჩალას ზამთრამდი სტო-
ვებენ ზმირად და ზამთრობით მარხილით ეზიდებიან. ზვინი კარგად ინახავს
თივსაც და ჩალასაც.

ჩვენ ვლაპარაკობდით: სიმინდის მოწყვეაზე. აღვნიშნეთ, რომ ტაროს ძა-
რებით ეზიდებიან სახლში, ეზოში ნალიის წინ ტაროს დაყრიან და დაუყრიან
თავს ზვავად. ზვავი შედგება აგრეთვე მამინ, როცა ეზოში გაურჩეველი
სიმინდია მოტანილი და აქ არჩევენ. ზვავს ვულს გადაუშლიან მზეზე; საღამოს
დაიწყებენ ზვავის აღებას. კარგ ტაროებს თავებს გაუწმენდენ და გოდრებით
შეზიდავენ ნალიაში. პატარას, ნელს და საზოგადოთ დაზარალებულ ტაროს,
რასაც ჰიჭკვს ეძახიან, სახლის ჰერზე შეიტანენ, ან ვისაც ორსართულიანი
სახლი აქვს, მეორე სართულის დერეფანში დაყრის გასახმობად. ჰიჭკვს ნა-
ხევრად და უფრო მეტად ნაჭურჩალაა (ტაროს შიგნითა გული).

სათესლე სიმინდს გამოარჩევენ მაშინ, როცა სიმინდის ფშენას შეუდ-
გებიან. თებერვალში ერთიანად დაფშენიან ნაღობს. სათესლედ არჩევენ კარგ
და დიდ ტაროს, თავსა და ბოლოს წააფშენიან და შუა ნაწილის კაკლებს გა-
მოფშენიან სათესლად.

სიმინდის, თუ სხვა ხორბლეულის თესვის, თოხნის, მოსავლის აღების
დრო ამ რაიონში ალთო იწოდება. სცოდნით საურთიერთო დახმარება. ვინც
ვერ მოერეოდა თავის სამუშაოს ალოზე, მეშველს მოიხმარდა. ჩამოიგლი-
და მეზობლებს მეშველისათვის წინა საღამოს. ის, ვინც საჭიროებდა დახმა-
რებას და ყველა, ვინაც — საჭიროებდა, თუ გადაუდებელი საქმე არ ექნე-
ბოდა, უნდა მოხმარებოდა. დაზარება ამ შემთხვევაში სირცხვილად ითვლე-
ბოდა. მეშველად სცოდნით ხუთ-ოც კაცამდე. ქალები სცოდნია მეშველად
პურის მკის ხმინდის რჩევის (ტაროს გამორჩევა) დროს და რთველზე.

შეამხანაგება ხარებით, მესხრობა და გუთნისხედლობა აქ არა სცოდნით.
უმეტესად აქ საყანე ადგილები ფერდობებია, რის გამოც გუთნის მაგიერ
მალაკვიანი სახენული შემოიღობათ.

მუშაობის დროს განსაკუთრებით მეშველმა იცის „ორპირული სიმღერა“:
ერთი ჭგუფი დაიწყებს სიმღერას და სანამ გაათავებდეს (ხმას სანამდე შე-
წყვეტდეს), მეორე ჭგუფი დაენაცვლება. მოსიმღერენი იყოფიან იმის მიხედ-
ვით, თუ ვინ არის დამწყები, მოძახილი (მოკაცანე) და ბანი.

ზამო რაბა

მთხრობლები: ვანო იოსების ძე მებრეველი, 79 წ.; ეგნატე ვახილის ძე
მებრეველი, 73 წ. (სოფ. უწერა).

პური და ხმინდი ორივე ითესება ჩვენში. უფრო პური ვიციოთ და ჭერი.
პურს ვათხნა არ უნდა, იმითია კარგი. დავხნავთ და დავფარცხავთ, მორჩა
და გათავდა. სიმინდი რომ დაულაშდება და დაჭურჩუნდება, მეორეთ ვთოხნით
მამინ, რომ ვახმება, მომწიფდება, ტაროიანთა აუკრით სიმინდს და სახლში
შეკარჩევთ. ტაროს მარცვლი და ნაჭურჩალი აქ.

ორნარი სიმინდი მოგვყავს: თეთრი და ყვითელი. ისე, ხავიანო და
ხადრიო სიმინდი ვიციოთ. საადრიოა შინაური ციცუა სიმინდი.

დოლა პური. დოლა პური უფრო ვაზაფხულზე ითესება. უფხობა და მაგი-
ტომ ქვია დოლა პური (ცხვარს და თხას ურჭებოს დოლა ქვია).

დია ვაზაფხული პურია, ფხიანი, ცხოველი და ნოყიერია.

ბულუგო უფხო პურია. გამომავლობა კარგი აქ. საქმელათ კიდე უკეთე-
ნია. ყუა აქ ძალიან კარგი, ნამზადი — სადიდებულო. გაზაფხულზე ითესება
შეტწილათ, შეიძლება შემოდგომამზეც...

ძველი პური. გამომავლობით ყველას ჯობია. ითესება შემოდგომამზე.
უხიანი და თხელი მთაველი იცის. დოვლათიანია. ნათელი გამოდის მისი ნამ-
ზადი. ხულუგო მეტი ამას ვერ შედრება პური ვერომელი (სოფ. ჭოორასა და
გლოლაში ძველ პურს ჭუბა პურს უძახიან და აზბობენ — „ახლანდელი ძველი
პური გადაგვარებული ჭუბა“. „ძველ პურში ურევია ჭუბა და ძველი პუ-
რიო“).

ქერი ითესება ჩვენში ფტყელთაფიანი, დიდი ფხიანი, — გაზაფხულს.

ჰადი სამნაირი ვიცოდით. თეთრი მჰადი — ფეტვი, შავი მჰადი თავდა-
ღუნღუნებუელი. ყვითელი მჰადი, თბელი თავი ქონდა. თეთრ მჰადს ჭვრამხას
უძახათ, ყვითელს — ფახა მჰადს.

[მოგეყავდა] ცერცვა, ლობიო, ქართოფილი, მიწივამლა. წვრილი ცერცვი
ვიცით, ბარდა ცერცვი ჭეა აჰას; [აგრეთვე] — მსხვილი ცერცვი, ოხმა, ლობიო
კუტი და სახეივლის ქვეყნინაირი, ქართოფილი, მიწივამლა. ქართოფილი რომ
არ ვიცოდით, მახსოვს. აგერ ახლა მოიღეს; ახლა იძენი მოღეს, რომ ის რომ
არ გეწველოდეს, ჩენი მიწი პატრონი დავიხოცებოდით. კუტი — ლობიოს
მიწი ლობიოხაც უძახიან; მიწაზე იბარდება, სარი არ ქირდება.

ნთხრობლები: თედორე გიორგის ძე მაისურაძე, 89 წ.; სპირიდონ გიორ-
გის ძე მაისურაძე, 80 წ.; ბახილა შიოს ძე მაისურაძე, 70 წ. (სოფ. ქვედი,
წედანი).


მკა. სანამღი ყანი ხამქალში გავიდოდეთ, ჭერ ვინახულებთ ყანის ხანახაოს,
ავჭრია, ბედღელში შევიჩნახამთ. მერე ვილოცამთ. მერე დღეს წავალთ სამკა-
ლათ. გავეფქვარებით, ქალები ქვე მკიან, კაცები თავ უყრიან კონებს და
მოგწერამთ ნამჭხ. ვიტყვით: ნამჭათ კაია, გამომავლობა არ უეარგაო. ნამჭი
კონას თულთო შეეკრამთ. თულთს ხარტყელიც ჭეა. კონებს რომ თავს მოუ-
ყრით, დავასვამთ სარს. სარი ორი მხარი უნდა. იმაზე მოწერავთ. მოწერულს
ხართულს დავაცვამთ და წერს ვუტყვით. წერა რომ არ წაიქცეს, შეუყენებთ
მორხილებს, თითო წერი თითო კოლხ დაყრის, რომ გავლწვამთ. წერები მო-
ტანა მარხილებით ვიცით საღამოზე. დღისით ფიცხელია და დაიფშენება სულ.
საღამოზე, ცოტა დაღამდება, რომ მოვიტანთ, თუ კაი დღე იქნება, გაუშლით
კალოზე და გავლწვამთ, თუ არა და მაჩაში მივგორნავთ კონებთ. ყანაშიაც
ვიცით დაკონვა, მოწერვა, თუ ვერ მოვაწარიით.

პური გავლწვა ფსკერით ვიცით, ქერის კი ფხით გაუბამთ საქონელს,
პირზე — ხამირეუბზე აუდებთ და შემოვარონიებთ გურგელი დრო-დრო ფიწ-
ლით აუბრუნებთ, აეჩეჩავთ, გადავაყენებთ ხარებს და მოვართვეთ ჩალას.
მერე ბზიანი არნადებით შეგვხვეტავთ შუა კალოზე, მოვფაღავთ ცოცხით და
დაუწყებთ ხი ნიჩბებით ნიოხას. რომ გავანიავებთ, ჩელდოთი გავჭელდამთ,
მერე გავაკვამთ, მერე ცხრილით გავცხრილამთ. ჩელდოში ბზეს მოვართ-



1 წერი — კონებისაგან დაზინული პურის ნამჭი. სარზე მიბმულია კონები.

2 საპირე — ხარს აუდებენ ტუჩზე (პირზე) ლუწვის დროს, რომ პურის ნამჭი არ შეჰკაოს.


მევთ. კაკაბაში ქვა ზვინჯკი (წვრილი ქვა) ძირ გაცეინდება. მერე ცხრილით გავკაშმავთ და მოვართმევთ ბღვერს. წმინდა ხეავს გავაფიცხებთ საფიცხოხელზე და მერე ბელლი თვლებში ჩაეყრით. კალოოხა მარიაამობის თვეში ვიციოდ.




სურ. 56 საპირე.




სურ. 57 სამთითი, 57ა. ორითი (დიწალი).




სურ. 58 ბრნალი.



სურ. 59 ქელლო.



სურ. 60 კააბა.




სურ. 61 ცხრილი.


მთხრ. ქიტო ვახილას ძე ჩიჩხაშვილი, 79 წ. (სოფ. გლოლა).

თიბვა. სათიბხ ისე არ გავალთ, ჭერ მოვთიბამთ ბარი ადგილებს და ლიხიანს (მსხვილღეროვანი ბალახი. — ნ. რ.), მერე მთაში მივიღივართ. თუ ჭყანტლი არ არსა ბალახი. გავთიბამთ. მოპაერებულნი და იწიფე ბალახი თუ არ იქნა, თივა აშმორდება და დაღებება. მოთიბულს, თუ კაი დარები წაუდგა, მალე ავიღებთ ველებს. თუ ავღარი წაუდგა, ამას ნადარალს ვეტყვით, თივა ბღვირინი და შავი გამოდის. მთიბლები რომ დაადგებიან, გაიჭანებენ ლესურს. ერთი ფწკარი ნათიბი, ერთი ცელის გატანას ლესურ[ს] ვეტყვით. მკაში ვიციით ხრიფლი გატანა — ერთი სრიელი დამრჩა მოუმკალიო, ვიტყვით. დათიბულს მეოთხე დღეს დავხვეტამთ ფოცხით (ფოჩხი — ზოგაერთგან). დახვეტილ თივას მარჯვე ადგილს მოუყრით თივს და დავდგამთ თივას (ზვინი) — ჭერ დავსევამთ არყი ან ნაძვი სარს, ძირ გაუკეთებთ ხაფურცლეს (ხის ტოტების მოფენა, მიწაზე რომ არ დავეკაროს თივა), ხის შტოები სართყელ შემოვარტყამთ ძირ სარს. თივაზე ვიკით — თევშემდგმური. ის ფეხებით ტენის და მეორე აძლევს ფიწლით თივი — ნავარს (ერთი ფიწლი აღება თივა). თივი დადგმას რომ მოვათავებთ სულ, ამას თივაზე სართულს დავაკვამთ, წყალი რომ არ ჩაუვიდეს მალღოდან. შეუდგამთ, მოუყენებთ სარებს თივებს, რომ ქარში არ წაიქცენ. შემოდგომას წაუყრით თივს ჟრთვან; ამას თივი მოხაყარ უძახით. მერე

რომ მოთოვს, თოვლზე ადვილათ ჩამოვითრევთ სარებით. ცალუღელას დაეადგამთ ხარს, თივას კარგა შევკრავთ ღლახანით, გამოუბამთ ხარს და ჩამოვითრევთ სახში ერთი დავიდარებით. ამდენი წვალება უნდა ი, ტიალს და ქვე-კი არ ფასობს მამასისხლათ.



სურ. 62 ცელი.



სურ. 63 ფოჩხი.

თევი დადგმა თუ არ გაეწყო ფარებში (დაქანებული ადგილი), ავიღებთ, დაგზოვლამთ. ბოლოლებს დავაწყობთ ტოტებზე, ხი შტოებზე და დავითრევთ


ძირ, სათივე ალაგამდი. ასეთ დაწყობილ თივას ზეჟანა ქვია, ზეჟანა დავათ-რიეთ.

ლეჩხუმი

მთხრობლები: ალექსი ბეჟანის ძე ბეწიძე, 72 წ.; ასკალონ ეპიფანეს ძე ჩანკვეტაძე, 45 წ. (სოფ. ზუბი).

იფქლო პურებში ყველაზე უკეთესია, ფხიანი თაველი იცის. ითესება შე-მოდგომასზე. ადრე ვაბარებთ მიწას. მოსავალი და ბარაქა მეტი აქ ყველა პურზე.

ზანდური. გაზაფხულის პურია. თაველმა ცოტა ფხა იცის. თაველი ქე-რივით ფტყელი იცის და მოკლე. თაველის მოკრეფა შანკვეთი ვიცით. მერე



სურ. 54 შანკვი

მოთხრობით ძირიანათ ჩალას და კოროშით ვხმარობთ. ამისი პური ძალიან რბილი გამოდის, დიდხანს ინახება. იფქლს მაინც ვერ მოუგებს; იმის მერე ზანდური ყველას ჯობია.

მახა. ესეც კაი პურია, თაველი უფხო იცის; საადრიოა. ესეც შანკვით იკ-რიფება. ჭერ გაიცეხვება და მერე დაიფქვება. მახა და ზანდური ორივე ხა-ცეხვი პურია და ესა რომ გეძულს, თუ არა, მაგათ პური ვერ მიუვა ვერაფ-რით.

ქერჯილი ქერა. დიდი ფხიანი ქერია, მოსავალი იცის კარგი, ცოტას ვთესამთ. მეტად ვთესამთ იფქლს, ზანდურს და მახას.

ბულუგო უფხო პურია, სასიამოვნო საჭმელია. ძალიან მოღვეიანია, იფქლი-სა არ იყოს.

ძველათ ვიცოდით კობერი ქერა. მსხვილი მარცვალი ქონდა და კარგი საჭმელი იყო. ფხა თხელი და გძელი იცოდა.



დეჟა არის ფხიანი. გაზაფხულის პურია, კარგი გამამავლობის.

ხიმინდი ითესება ბევრი. ძველათ პური ჭარბობდა; სიმინდი ხილათ ვი-ცოდით.

ყველაზე მაყე (ნოყიერი) და მგზავრობის ამტანია ზანდური. იფქლო კარ-გია, მარა ხანდახან გვაწით იჭყევა — დაწვრილდება და დაკნინდება მისი თაველი. ისე მახაც მოღვეიანია, ზანდურიოდენი მაინც ვერ არის. თესლათ ზანდური ჭაროთ მოწეული ინახება, ცოტა შონედლო. ითესება გაზაფხულზე, მარა შემოდგომამზეც შეიძლება.

1 შანკვი — პურის თაველბის მოსაკრეფი იარაღი. წარმოდგენს ორ პარალელურ ჯო-ხბის თავსკენილს, რომელიც ღია თავით მოიქცევს თაველბს, მოუპერს და მოიგლიჯება.

ზანდური, მახა და ღომი იცეხება. ზანდური და მახას პური მოკრეფას ვეტყვით, ღომისას — მოკრახ, სხვა პურეულობას — მომკახ, სიმინდზე მოტეხვას ვიტყვით. ზანდური, მახა და ღომი იცეხება ხაცეხველაში ხელკავით, ისინი კი იღეწება კევრით.



სურ. 65 საკეხელა.

თაველს სანემ გაცეხებამდეთ, ჰილო პური ქვია. ცეხვის დროს გავაკ-
ლავთ — ჰილო ცალკე ჰიდის, კაკალი — ცალკე. ცეხვი დროს რომ პური
ქერქის ბლეირი ცვივა, იმას ბრელოს ვეტყვით, ჰილოს — გარეთ რომ კანი
აქვს, გაუცეხველს.

მთხრ. იესე დავითის ძე მუშკუდიანი, 100 წ. (სოფ. ოყურეში).

„კეთილი მოგცემოდეს, შენი ბედელი კეთილით გავგესებოდეს“, უსურვებთ
ერთმანეთს; ჰირნახული ახლა შემოიღეს, ძველათ ასე ვიტყოდით, კეთილს
ამას უძახოდით.


კენტეხილე პური ითეხება შემოდგომაზე; უფხო პურია, საშუალო თავე-
ლი იცის; მაღალი იზრდება. პური კარგი იცის. კაკალი საშუალო აქ.

თანთუხმა ოთხეციანი თაველი იცის — მსხვილი და დიდი ფხიანი. პური
ძალიან ფიცხი იცის, შშრალი. ბარაქა კარგი აქვს.

ხულუგოს და იფქლს უხდება აგვისტოში სიმინდში გამოთესვა. სიმინდის პირველ გათონხას პირადი ქვია, მეორეს — შორედო. კარგი გამოსულა აქვს შახას, იფქლს, ხულუგოს და ზანდურხს. ჩვენ ჰაესს უფრო დაუმაგრდა ძველი პურები, თვინიერ გამოხვლაც მათ მეტი ქონდა. ჩვენ ადგილებში ამათ მეტი იმარუნულეს (მარუნულობას, რომ იხეირებს, იმას ვეტყვით).

პატარა, დაკნინებულ სიმინდი ტაროს ქვიჩიჩი ქვია. პური და სიმინდი ფესვებს ჩიჩხვს უძახით.

პურს და სიმინდს უჩდება ხოკო შავი და აფუქებს; ამას უძახით ზუფხ. ხუეს გარდა სარეველა ბალახები მოდის პურში: ძაღლიპურა, მოკლე თაველი აქ, მსხვილია, პურის მაცილობელაა; ღვარძლი, კვარკვალიტა (ცერცვივითა),



სურ. 66 საცხველე ჭორგო.



სურ. 67. ხელკავი.


გვანგვი, შვრიახ გაეს. მოყვება პურს ძენწლა და კიდევ რაღაცეები. უმაღლ მოსავალი მეტი იყო, მიწა მოუტყვეთავი იყო და ისეთი მოსავალი მოდიოდა, რომ ახლა იმისთანე ტყუილია.

ღომის, ჭადის და ჭილო პურის ხაცხველე ჭორგოს გარშემო ჩამწკრივდებიან ოთხი ქალი თუ კაცი და ხელკავით მორიგეობით ცეხვენ. ჭორგო არის

ხნს და ქვისაც. თუ ხელსამცებელი ეძნელებათ, აწყობენ ფეხის ხანცებლღს. ერთი კაცი ფეხით ცეხავეს ორჯელ მუტს, ვიდრე ორი კაცი ერთად ხელით.

მთხრ. ელიზბარ მერაბის ძე მამარდაშვილი, 65 წ. (აღფ. ოყურეში).

ხამკალათ რომ გავალთ, წინა დღით ვილოცავთ. მეორე დღეს შეუღღებით მკახ. ჟერ შინაყანები აიძკება, ის აღრე დათუხილია, და თან უკეთესი მიწებია და აღრე მოყავს მოსავალი. პური კონების სარტყელს გვარალი ქვია. სამ-სამ კონათ ვიციით დაწყობა, ხამოულხ ჳეტყვით. თხუთმეტ ასეთ სამოულს. ოთხუთხად დავაცამეტებთ, თავეღები შიგნი აქვს; ასეთ წყობიღს ცაშეტი ქვია. ერთი ურემია გამოზომიღათ. კონებათ მოვიტანთ და გავლეწავთ კვერით. შევხვეტავთ არნახით კაღოთ, მერე ხამთითათი გავანიავებთ. თან ნიჰბით მალ-მალე შემოუყრით თავს. განიავების მერე მძღავით გავამძღავებთ. მძღავითხელი საცერია, თხელი ტყეჩისხაგან ვიციით მოწვნა. მერე კაკაბათი მოვხურავთ. გავცხრიღამთ ცხრიღით მერე. როცა ვამძღავებთ, ზე და ჩაღას თავს მოიღებს, იმას ხელით ავართმევთ. როცა გავკაბავთ, კაკალი ძირს ცეცია და ბულახი და ქვა კაკაბაში რჩება. როცა გავცხრიღავთ, სიღა ძირს გაღის და სუფთა კაკალი ცხრიღში რჩება. ამ წმინდა ხვავს გავახმობთ საფენზე და შევინახავთ ბელელში.



სურ. 68 საზინო კოტი.

ყანიღდან პური ურმით მოვკაქვს. ყანაში პური კონები დაჯორავებულღითითი ურმით, — ორმოცი-ორმოცდაათი კონა. ჩაღას ხამძელში ვინახავთ და პური კაკალს — ბელელში, ხამინდღს ტაროს — ნაღაში, ჩაღას ხეზე ჩამოკიდებთ, თუ არაღა გუეს მოვაწყობთ. გუეს ვეტყვით — სიმინდი ჩაღის დასახვინ დიდ ხარხ, რომელიც დასმულია შუაში და მის გარეთ ოთხი ბაჭვია დასმული; იმაზე გაწყობიღია გარეები. ამ სარზე რომ დავხვინავთ კაა ბლომად ჩაღას ან თივას, ძირ დაურჩება კაა მღაღზე ოთახივით, იმას ფანჩატურს ვეტყვით. ხამინდა ჩაღის მისაწოდებელი ვიციით. ხაზვინი კოყი, რცხიღასი ან ლუკუხოსი. ორივე მჩაღტვა, ხმელი.

სიმინდი ჩაღა სანემ გახმებოდღეს, ჩენგენი ქვია.

ქვემო სვანეთი

ხვან-თეხვასი ყოველი მოსახლე თავისთვის ცალკე აწარმოებს, მაგრამ თუ რომელიმეს ხარები არ ჰყავს, მამინ თავის ყანებს ნადღს საშუალებით დახნავს.

2 სამოული — სამი კონა ერთად თავმოყრიღი. სარზე მოწერვა ლეჩხუმში არ იციან კონებად დაწყობენ ურემზე და მოკეტ. (რავის სოფლებში ჟერ სარზე მოწერავენ და წერებად მოკეტ სახლში).

1 ჩაწერს, ფ. გარდაღსაქეს დღდანში მთხრობელი არა ჰყავს მითითებულღ.

პირველი თვისლის ჩაყრის დროს აუცილებელი იყო — „ტაბჯღ დალოცვა: „ღერბეთ, ათეუზერ ხოჩა ახფას, დარ-ი-ავდარ ნამაშ ხაყრ“ (ღმერთო კარგი გამოიყვანე ნათესი, დარი და ავდარი ზომაზე მიეციო).

ხენა უნდა დაიწყონ მარტში, მაგრამ ამ დროს ხშირად დიდი თოვლია, ამიტომ ჩქარობენ თოვლის დადნობას ხელოვნურად; ეს აუცილებელიც არის, რადგან მარტში თუ პური არ დაითესა, მერე აღარ მოვა; ხელოვნურად თოვლის დადნობა იქიან მხოლოდ საპურე ყანებში, საქერქასშიმინდე ყანებზე აოვლს არ აღნობენ. ხელოვნურად თოვლის დადნობას — ლიდხვე ეწოდება და ამნაირად ხდება: გასჭრიან ყანაში თოვლს ბარებიით, თოხით, მერე მიწას ამოთხრიან; თუ თოვლი დიდია, მამინ ერთ ადგილას ღრმად ამოთხრიან მიწას და ამონახარ მიწას ცალ-ცალკე მოაქუჩებენ და მერე ნიხით გაფანტავენ აქეთ-იქით; ეს ხდება თებერვლის დამლევს, რომ მარტის ნახევრიდან დაიწყონ ხენა. მიწამოყრილი თოვლი დნება დაახლოებით ათ დღეში.

ნაკელი გააქვთ ზამთარში და აგროვებენ ერთ ადგილას ხახიმინდე ყანაში, ხენის დროს კი, არილში. ამ შეგროვილ ნაკელს მოაყრიან მთელ ყანას, მერე დახნავენ, შენდეჯ დათხავენ და ბოლოს კი მოფარცხავენ. ლიდხვეს (ხელოვნურ დადნობას) რომ გაათავებდნენ, იმ მიზნით, რომ ყანაში არ გახშირდეს ერთი წითელი ყვავილი — მულმეხგ, რომელიც მიწას სწევავს, მიწათავდნენ ერთ საშუალებას: ყანიდან დაბრუნებული კაცი სახლში ისე არ შევიდოდა, რომ თვალზე არ აეფარებინა საცერი — საცერიდან გაპნუდავდა ცეცხლს, მერე ჩამოიღებდა და ადგილზე დადებდა.

ლოთე (შვა) პატარა ნამგლებით (ნამგალი — ნაშლაქ) იციან. მომკილს მაშინვე არ წამოაღებენ, ლეწვამდე ყანაში არის ხოლმე, რომ უკეთ გახმეს და უკეთესი სალეწი იქნეს.

ყანაში პური, ჭერი, კვაფი სულ ზვინებათ იღვებდა. აჭ (ზეინი) ამგვარად იღვებდა: დაასველებენ მიწას და სველში ჩაარკობენ წამახვილებულ სარს — სივარძე სარს [ოთხი] ალაბი ან ცოტა მეტიც, შეიძლება ნაკლებიც; როდესაც სარი შავრად ჩაისმევა, იწყებენ ამ სარზე დაზვინვას ამ წესით: აიღებენ ლუნჩორ (პურის ძნებს), რომლებიც ძალიან პატარა იციან და თავდაღმა დააყირავენ — წვერებს კონებისას მიყრავენ სარს ირგვლივ (იქცხარ ფიბოვ, თხუმი ჩუბოვ) — წვერები, ზემოდ, თავი ქვემოდ). ერთი აძლევს კონებს, მეორე კი დგამს აჭ-ს, ქვემოდ უფრო ფართოდ იღვებდა, მჭიდროდ, ზეითიყენ კი თანდათან ეიწროვებდა; როდესაც სარს გაავსებენ კონებით, უნდა გაუკეთონ თავი და იმისთვისაც კონას გამოიყენებენ, მხოლოდ წვერებს ქვემოთ. თავს კი ზემოთ მოუქცევენ და ისე ჩამოაცვამენ სარზე; ეს იქნება აჭა თხუმი (ზეინის თავი)² ლეწვის დაწყებისას კი აჭ-ს დაარღვევენ და მარხილით შინ მოიტანენ. ერთ მარხილზე დააწყობენ მხოლოდ ორ აჭ-ს, თუ კალო დიდია, დააყრიან ოთხ-ხუთ აჭ-ს, საშუალოზე კი — სამს; ორზე ნაკლები კალოზე არ იყრება.

კალოს ჩაშლას³, ჩაღვმას ეძახიან კალალოშდე, კალ მიშიდ, (ლიმდე — დაყრა). ვალეწვა იციან პურის, ჭერის და ძალიან ძვირად მანაშო-ს (კვაფის), რადგან კვაფის „წუყარ“-ს [კოროდის] ხმარობენ საბძლის და „კარპან“-ი დასახურავად. პურის და ჭერის ვეჯ (ზზე), იხმარება საქონლის საკვებად (ჭერს მომკის დროს კონებად არ შეყრავენ, ისე დადებენ სარზე; მხოლოდ ჭერისა უფრო დაბალი აჭ-ი იციან).

² თარგმანი — „ზეინის თავი“ ეკუთვნის ივ. ჭავჭავიძელს.

³ სიტყვა „ჩაშლას“ ჩამატებულია ივ. ჭავჭავიძელის მიერ.

გალეწილი პურა ან ქერი გროვდება კალოს იმ გვერდზე, სადაც ნიაგი უფრო უღვება. აგროვებენ „ლახუპირ“-ით (არნადი-თ და მერე ლანგავებით (ცოცხებით) აქუჩებენ. შეგროვილი იქნება ხვა. ხვაის გვერდზე დასდებენ ლაყვილს (არყის გრძელ ტრტს), რომელიც ჰყოფს განაივებულს გასანაივებელიაგან. შემდეგ იწყება ლიბანზე (განაივება). კალოს ნიაგს ეძახიან ბზბა-ს. ხშირად ბზბას სახელზე გამოაცხობენ ტაბგლ-ს, რომ ნიაგი დროზე მოვიდეს. პირველად ანაივებენ ორთითათი, სამითათი, და შემდეგ კი, როცა ბზე საკმაოდ მოშორდება, ნიჩბით განაივებული მარცვალი ცხრილშუფ (გაციხრილება), მერე კი უსათუოდ უნდა გაირეცხოს: გაურეცხავ მარცვალს არ ინახავენ ბელეში.

მარცვლის გარეცხვა იციან ლელეზე, სადაც ამისათვის საგანგებოდ მოაწყობენ დიდ ლობრა-ს (საწნახელს) ხორგოსებურს. ამ ლობრას ბოლოში წყლის გასასვლელი აქვს, რომელსაც ჩვრებით ამოავსებენ; წყალი დაგუბდება შავნით და მარცვლიც ჩაიყრება. ნიჩბით ურევენ საწნახელში, ხშირად — ხელებითაც; ქვა და მიწა იღუქება ქვემოდ; იპიანათვის რომ თავზე მოგდებულ ბზე, ცუდი კაკალი გავიდეს, ლობრიდან ნელ-ნელა იღებენ ჩვრას, მაგრამ სულ კი არა, და ბინძური წყალი გადის. იქვე „ლობრა“-სთან მოთავსებულა ჩავ (ძარი), რომელზედაც დაფენილა სელის ქსოვილი საკ. ამ საკ-ზე იწურება პური, ან სხვა [მარცვალი], როდესაც საწნახლიდან ჩვრას იღებენ, წყალი თავისუფლად ჩადის ჩავ-ში. თან ნიჩბითაც სწევენ მარცვალს, ხელითაც რომ განათავსებულ ლობრას; შემდეგ მეორეჯერ ირეცხება და ა. შ. გარეცხილი პური, ქერი მიაქვთ კალოსთან მოთავსებულ ლგკერა-ზე, რომელიც მხოლოდ მარცვლის გასახმობად არის გაკეთებული. ამ ლგკერა-ზე მარცვალი, რაც შეიძლება ფართოდ გაიშლება, რომ მალე გაშრეს; ხშირად ურევენ ფეხით, ხელით და საღამოს კი მოაქუჩებენ და დროებით იქვე დახურულში, — კარპან-ში შეინახავენ; მეორე დღეს კიდევ გაშლიან. სამი დღე მაინც არის საჭირო, რომ საესებით გაშრეს, გახმეს, რის შემდეგ კი ინახება ბელეში.

თუ ქვავის ლერები სახურავად უნდათ, მაშინ გვერდზე დააყენებენ კევრას, დაამარგებენ და ქვავის კონის წვერებს ზედ დასდებენ, მარჯვენა ხელით კი კეტს ურტყავენ ქვავის წვერებს, რომ მარცვალი დააყრევიონ, ამას ეძახიან ლიხეტტა-ს (ცეხვა).

სვანეთში თუმცა ბევრი არა, მაგრამ მაინც ითვისება ფეტჭ (ფეტვი), რომელიც პურის მაგივრად იხმარება. ხშირად ფეტვის ფქვილს შეაზელენ ყველს და ნაჩღუნ-ად ხმარობენ, იშვიათად კი ფრინველებს აჭმევენ. თუ ვინმეს ბლომად აქვს დათუპილი ფეტვი, ის გალუწავს ჩვეულებრივად, თუ არადა იციან იმის ლიკვლანე (ფეხებით მოთუევა). გადააბრუნებენ ჩავს (ძარს) და ზემოდან დაადებენ ფეტვის კონას, ზედ შედგებიან ფეხებით და ისე თელავენ. კაკალი ქვემოთ იყრება.

ზომი სამზარელო

მთხრ. გვაბი ვეკუა, 120 წ. (სოფ. სავეკუო).

ლატი (სიმინდი)!. ძველად ორნაირი სიმინდი მახსოვს ჩვენში: ერთი თურქულია, რომელიც არც წითელი იყო და არც თეთრი. მოჰქონდათ სათათ-

1 დედანი დაკარგულია. ტექსტი მოზადებულია ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაცულ პირის მიხედვით.

რითიდან. გული წვრილი ჰქონდა, მარცვალი — მსხვილი. მეორეს ჩვენებურ ხამინდს ეძახდნენ. მარცვალი წვრილი ჰქონდა, ისე კარგი სიმინდი იყო.

სიმინდის დასათესად მიწას მოვამზადებდით. თუ ბალახიანი მიწა იყო, აგვისტოში მოვტახავდით: მოვჭრიდით ხეებს, მოვეცლავედით ბალახს. ყველა ეს რომ გახმებოდა, მოუკიდებდით ცეცხლს, რაც არ დაიწვებოდა, ნაპირზე გაგვქონდა. ამის შემდეგ დაუთესავდით 'ამინდს, ღომს ან ფეტვს. ასეთ გასუფთავებულ მიწას შხუნას ვუწოდებდით. მეღვკვილ (უნაყოფო) მიწას ეწერს ვუწოდებდით. ახლა ასეთი მიწა ჩარსათვისაა გამოყენებული და საუკეთესო მოსავალი ზოდის.

როდესაც მიწა მირციებულე (გაპოფიტებოდა), სხვა ადგილზე გადავილდნენ. მიწა ბევრი იყო. გამოფიტულ მიწას ნოჯუნი მიწას ვუწოდებდით. ასე იტყოდნენ: „ეს შენი ნოჯუნი მიწაა“, „ეს ჩემი ნოჯუნი მიწაა“.

ზოგ მიწას პატფეს აყრიდნენ, ზოგს არ სჭირდებოდა. შხუნა მიწებს, სადაც კი ხარი გავიღოდა, აგაფით (ოქოქით) ხნავდნენ. სადაც კი ხარი ვერ გავივლიდა. მიწას სთოხნიდნენ. შხუნა ადგილებში წყველ ხარს ხუთი-ექვსი თოხიანი კაკო მისდევდა. რქ სადაც ხარი ვერ მიუღებოდა, თოხით მიეშველებოდნენ, ჭარკვებსაც ამოჰყრიდნენ. ერთ დღეში მთელ ურემ ჭარკვს დააგროვებდნენ.

ყოველი გლეხი ხაყანე მიწას მოსუფთავებდა და თვითონვე დასთესავდა. ორი ნეზობელი. თუ მათი მიწები ახლო-ახლო იყო, ერთად შემოლობავდა თავის ნეწებს. ამას მოხურგობას ვუწოდებდით. შხუნა მიწის პირველად მოხვნას მიწის მატებვას ვუწოდებდით. მიწის მოტებვა შემოდგომამდე ხდებოდა. ამ მიწაზე მარტში სთესავდნენ. მიწის მოსახნაველ ზოგჯერ შეამხანაგებაც ეი-ცოდით.

თუ ვინმეს ცალი ხარი ჰყავდა, მოსძებნიდა ისევ ცალხარიან გლეხს და ერთად შეუღებოდნენ მუშობას: ჭერ ერთის მიწა მოიხვნებოდა, მერე — მეორეა. ურყი მიწის გასატებხადაც ხდებოდა შეამხანაგება.

სიმინდი გაზაფხულზე ითესებოდა. ამოდიოდა ოცი დღის შემდეგ, კარგ მიწაზე კი — ხუთი დღის შემდეგ. ხუთი ყურის შემდეგ გაითოხნებოდა. პირველ თოხს ბარგუას ეძახიან. თუ გვიმრა გაერეოდა, მაშინ ჭერ გვირას მოსჭრიდნენ. როდესაც გვიმრა დაჭკნებოდა, შეუღებოდნენ თოხნას; თოხნის დროს სიმინდს არიგებდნენ და ძირში მიწას აყრიდნენ. ეს იყო პირველი გათოხნა.

სიმინდი რომ წელამდის ამოვიდოდა, მეორე გათოხნიდნენ. ამას მფერუას უწოდებდნენ. მაჟირუა (მეორე გათოხნა) კარგ ამინდში ხდებოდა. მაშინ უფრო უკეთ ვარიგებდით სიმინდს და ძირშიც ბლომად ვაყრიდით მიწას. მაჟირუა წვიმიან ამინდში არ ვარგოდა, რადგანაც ბალახი არ კვდებოდა. ეს კი სიმინდს ავნებდა. სიმინდი წამოიზრდებოდა, გაიდგამდა ფესვებს და ტაროს გაიკეთებდა. აგვისტოსათვის ტარო ხმებოდა, ერთი თვის შემდეგ შეიძლებოდა მისი მოტებვა. მოსატებავდნენ სიმინდს, მოიტანდნენ სახლში, დაჰყრიდნენ და გაარჩევდნენ. გარჩეულ სიმინდს ჰყრიდნენ სახამინდში, ფურჩხს — ოფურჩხში და მოჭრილ ჩალას კი ჩამოჰყრიდნენ მალა ხეზე. ამას ანწალას უწოდებდნენ.

ოჩებს ვეძახდით ყანას, სადაც ხუთი-ექვსი ქეცვა იყო. ბატონის დიდ ყანასაც ოჩეს ვეძახდით.

ქობალი [ხორბალი]. ქობალისათვის საჭირო იყო კარგი შავი მიწა. ხნავდნენ ხარით. ითესებოდა შემოდგომამდე. ივნისში უკვე გამხმარი იყო. მკიდნენ ნამკლათ, კრავდნენ ძნებად და მიჰქონდათ სახლში. ეზოში შეარჩევდნენ სწორ

ადგილს, ზევადან მოსჭრიდენ მიწას, მოასუფთაებდენ და პურის ძნებს დააწყობდენ. ამ ადგილს კალოხ ან ოკელაშეს ვუწოდებდით. ლასტში შეაბამდენ ხარებს და ასე ლეწავდენ. ლეწავდენ ცხელ, მზიან დღეს. კალოზე ლასტით ირგვლივ უვლიდენ. შუაში რჩებოდა კუნჭული; როდესაც კუნჭულიც გაილეწებოდა, ნაკლუა (ლეწვა) დამთავრებული იყო. შემდეგ ქერქილხ ფაწლით შეაგროვებდენ და ანიავებდენ. ქარი ძვეძეს განზე გაჰყრიდა და მარცვალი იქვე დაუცემოდა. მარცვალს გობზე დაყრიდენ, აყეთებდენ და სახლში მიჰქონდათ. იქ ზოგს კოკაში ჩაყრიდენ, ზოგ მარცვალს მოათავსებდენ კუთხეში მოთავსებულ ქვევრში. თუ ბევრი მოუვიდოდათ, ჩაჰყრიდენ ხულაში. ნაქერქახს (ბზან) წუს უწოდებდენ. მარცვალს, პეპელა რომ არ გასჩენოდა, გარეცხავდენ, გააშრობდენ და იხე ინახავდენ.

ღუმუ (ღომი). ღომი იყო კითა (ყვითელი), ჩე (თეთრი), კოხურე, ქოჩობე.

კითა ღუმუ ყვითელი ფერისაა, კარგ თავთავს იყვთებს, წვრილი მარცვალი აქვს, ოჩხვარალო (გასალეწად) კარგია.

ჩე ღუმუ თეთრი ფერისაა, გვიან მწიფდება, ამიტომ საჭიროა მისი ადრე დათესვა. ითესება შუა აპრილს ან აპრილის დასაწყისს.

კუნურუ ღუმუ. სხვა ღომისთანა ფერი არა ჰქონდა, უფრო ნოშავო იყო. მოსავალი კარგი იცოდა; უფრო მსხვილი და მოგრძო ღუღელი (თავთავი) ჰქონდა.

ქოჩუბე ღუმუ. თავთავი კეციის კუდისავეთ აბურძენულა და მოკლე ჰქონდა.

როდესაც ღომი გახმებოდა, დოგუმენდეს (თავთავებს ცალკე მოსჭრიდენ და ღეროებს — ცალკე). ღეროებს შეჰკრავდენ და აწოლად ჩამოჰკიდებდენ.

სათესლედ საუკეთესო თავთავს ამოარჩევდენ, შეჰკრავდენ და შუაცეცხლზე ჩამოჰკიდებდენ. თუქვის დრო რომ მოვიდოდა, დაფშენიდენ და დასთესავდენ. ღომის გუმუა (მოჭრა) ვიცოდით ჩვეულებრივ ოქტომბერში, ამიტომაც ჩვენ ამ თვეს გვმათუთას ვეძახით.

ჭვე (ჭვავი). ჭვავს სთესავდენ სიმინდში. ავეისტოს ბოლო რიცხვებში გაასუფთაებდენ მიწას, გასთოხნიდენ და დათესავდენ. ცხრა თვის შემდეგ იენისში, მკიდენ. ასეთ დროს სინინდში ითესებოდა ქერცე. ზოგს ცალკე ჰქონდა დოხუჯე (ადგილი). იქ თესავდა ქერცე. ქერი ჭვავზე ადრე მოდიოდა: იენისის პირველ რიცხვებში უკვე მზად იყო.

მთხრ. კუკურა შანავა, 98 წ. (სოფ. წალენჯიხა).

პიტა ქობალი. ხორბალი ჩვენ ბევრნაირი ვიცოდით: პიტა ქობალი, ირკი ქობალი და სხვა.

პიტა ქობალი მაღალია. ერთი ღერო ხუთ დუღეღებს (თავთავს) ამოხეთქავდა. მარცვალი მომსხვილო ჰქონდა. პიტა ქობალს ღომივით ვცეხხვავდით, ვფქავდით და გემრიელ პურს ვაცხობდით.

ირკი ქობალი. ირკი ქობალი წითელი ფერისა იყო. მარცვალი მოგრძო ჰქონდა, თავთავი რგვლი იცოდა. ამ ხორბალს ფიცარზე ხელით ვარჩევდით, ითესებოდა ცოტა.

ღუმუ. ძველად ღომს ყველა სთესავდა. ღომი სამნაირი იყო: გუჭურ ღუმუ, კითა ღუმუ და ციც ღუმუ. გუჭურ ღუმს გრძელი და მსხვილი თავთავი ჰქონდა. მარცვალიც სხვა ღომზე მსხვილი ჰქონდა. გვიან შემოდიოდა — ოქტომბრის ბოლოს. კითა ღუმუ პატარა თავთავებს იყვთებდა. მარცვალიც

წერილი ჰქონდა, მოწითალო ფერის იყო. ცეც ლუმუ ადრე შემოდიოდა. ბევრ-
ჯერ ყოფილა, რომ მარიამობის მარხვაში მოუჭრიათ. თავთავი პატარა იცოდა,
მარცვლიც წერილი ჰქონდა.

ლომისათვის საჭირო იყო სუფთა მიწა. ამისათვის ჯერ სიმინდს დასთეს-
ავენ, ორჯერ გათონნიდენ, შემდეგ აგვისტოში კიდევ გათონნიდენ. მიწა სა-
რეველა ბალახისაგან გაიწმინდებოდა. გაზაფხულზე ორჯერ დახნავენ მიწას,
დაფარცხავენ. ხნავენ აგაფთო, (ყავით). კავში აბაჰდენ ხარებს. ღომს რომ
დასთესავენ, შემდეგ გადაავლებდენ ლახტხ. თესლი ერთი სავსე ოგვერდელა-
ში ეყოფოდა. თუ მიწა ცუდი იყო, ცხერისა და თხის ჰატივს დავაყრიდით.

ღომი, როგორც სიმინდი, გაზაფხულზე ითესებოდა. როდესაც ამოვი-
დოდა, გასთონნიდენ. მაშინ თხის ახლანდელზე პატარა იყო. წამოიზრდებო-
და ღომი და დობზღანდით, ე. ი. გაათხელებდენ. ენკენისთვიდან დაწყებული
